

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ეკონომიკისა და საპარტლის ინსტიტუტი
საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო

**ბიუჯეტური დაგეგმვის, აღრიცხვისა
და კონტროლის სრულყოფის
საფუძვლები**



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1988

**ზ. ბურდული, მ. მურჯიანი, თ. გიორგობიანი,
ი. დონჯაშვილი, ი. შარვაშიძე**

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს თეორიულ-პრაქტიკული ხასიათის მონოგრაფიულ ნაშრომს. მასში გაშუქებულია ადგილობრივ ბიუჯეტების შედგენის, ბიუჯეტური დაწესებულება-ორგანიზაციების ხარჯთესხების შესრულების აღრიცხვა-ანგარიშგების, კონტროლისა და ანალიზის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური საკითხები. მოცემულია მათი შემდგომი განვითარების გზები ანგარიშწარმოებაში შეცნირულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და გამოთვლითი ტექნიკის ფართო დანერგვის საფუძველზე.

წიგნი განკუთვნილია როგორც ბიუჯეტური აღრიცხვის, ანალიზისა და კონტროლის, ასევე საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის კადრებისა და ხელმძღვანელი მუშაკებისათვის.

რედაქტორები:

ეკ. მეცნ. კანდიდატი **ზ. ჩქვანავა**
ეკ. მეცნ. კანდიდატი **ჯ. შათირიშვილი**

რეცენზენტები:

ეკ. მეცნ. დოქტორი **ფ. მენთეშაშვილი**
ეკ. მეცნ. კანდიდატი **ს. სიმონიშვილი**

0604070406

ბ ————— 228 — 88 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988.

M 607 (06) — 88

ISBN 5 — 520 — 00228 — 2

შ ე ს ა ვ ა ლ ი

სოციალისტური საზოგადოების მნიშვნელოვან ეკონომიკურ ამოცანას შეადგენს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ყოველმხრივი ამაღლება. ეს ამოცანა უნდა გადაწყდეს უმთავრესად სოციალისტური ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის, აგრეთვე სახალხო მეურნეობრივი აღრიცხვის შემდგომი სრულყოფის საფუძველზე.

ბუხალტრული აღრიცხვის მეცნიერული ორგანიზაციის დონის ამაღლების აუცილებლობა დაკავშირებულია ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაუმჯობესებასა და წარმოების მართვისათვის საჭირო ეკონომიკური ინფორმაციის მოცულობის განუწყვეტელ ზრდასთან.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების XIV თავში მითითებულია იმის შეესაბეჭ, რომ „ფართოდ გამოვიყენოთ მართვისა და დაგეგმვის ყველა დონეზე ნორმატიული მეთოდები, სრულყოფით საფინანსო სისტემა ...„გავზარდოთ აღრიცხვის, სტატისტიკისა და კონტროლის როლი რესურსების რაციონალური და ეკონომიკური გამოყენების უზრუნველყოფაში, უყარათობასა და მფლანგველობის წინააღმდეგ სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვისათვის ბრძოლის გაძლიერებაში. გავაუმჯობესოთ საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა. განვახორციელოთ საუწყებო კონტროლის სისტემის სრულყოფის ღონისძიებანი, გავადიდოთ მისი ეფექტიანობა“.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების თანამედროვე პირობებში აღრიცხვა, სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი და კონტროლი უნდა განხორციელდეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, წარმოების მართვის ავტომატიზებულ სისტემებისა და მისი სტრუქტურულ-ფუნქციონალური ქვესისტემების პრაქტიკაში დანერგვის გზით ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკის ფართო გამოყენების ბაზაზე.

სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის შემდგომი მექანიზაცია თანამედროვე პერფორაციული და ელექტროგამომთვლელი მანქანების გამოყენებით წარმოუდგენელია სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის ერთ ცენტრში კონცენტრაციის გარეშე. ამ მოსაზრებით სააღრიცხვო-გამოთვლითი პროცესების ცენტრალიზაცია წარმოადგენს

ობიექტურ აუცილებლობას ანგარიშწარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შემდგომი განვითარებისა და გამოთვლითი ტექნიკის რაციონალური გამოყენებისათვის.

ამჟამად უკვე არსებობს აღრიცხვის ცენტრალიზაციის მდიდარი გამოცდილება მისი გამოყენების სხვადასხვა ფორმის სახით, მაგრამ ამ გამოცდილების თეორიული განხორციელების დონე ჯერ კიდევ არა დგას იმ სიმაღლეზე, რომელიც ხელს შეუწყობს მის გავრცელებას, ანგარიშწარმოების სრულყოფის საქმეს მისი კარგი ორგანიზაციის პირობებში.

ბიუჯეტური აღრიცხვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ერთსულოვნად აღიარებენ აღრიცხვის ცენტრალიზაციის უპირატესობას, მათ ეს პროგრესული ღონისძიება მიაჩნიათ საბიუჯეტო აღრიცხვის შემდგომი განვითარებისა და მექანიზაციის წინაპირობად. ამიტომ საჭიროა არა დაეა აღრიცხვის ცენტრალიზაციის გარშემო, არამედ ზრუნვა და ქმედითი ღონისძიებების გატარება მის ორგანიზაციაში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად.

ვ. ი. ლენინი სტატიაში „ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ“ წერდა: „საჭიროა, რათა ეკონომისტებმა, ლიტერატორებმა, სტატისტიკოსებმა კი არ ილაყბონ გეგმაზე საერთოდ, არამედ დეტალურად შეისწავლონ ჩვენი გეგმების შესრულება, ჩვენი შეცდომები ამ პრაქტიკულ საქმეში, ამ შეცდომათა გამოსწორების საშუალებანი. ამის შესწავლელად ჩვენ ბრძეები ვიქნებით. საქმიანი ეკონომისტი ფუჭი თეზისების ნაცვლად ხელს მოჰკიდებდა ფაქტების, მონაცემების გულმოდგინედ შესწავლას, ანალიზს გაუკეთებდა ჩვენს საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებას და იტყოდა აქა და აქ შეცდომაა, ეს შეცდომა ასე და ისე უნდა გამოსწორდესო“¹.

ცნობილია, რომ ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგს აღრიცხვის სპეციალური განათლების მქონე არასაკმარისი კადრები ჰყავს. ანგარიშწარმოების ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის პირობებში იზრდება შრომის მწარმოებლურობა, მაღლდება ბუხპალტერიის, როგორც აღრიცხვის ორგანიზატორის, როლი, იზრდება საბიუჯეტო დაწესებულებების საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის ანალიზის მნიშვნელობა, რაც შოითხოვს სპეციალური განათლების მქონე კადრების სიუხვეს და მათ მაღალ კვალიფიკაციას. კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ „შრომის მწარმოებლური ძალა განისაზღვრება მრავალნაირი გარემოებით, სხვათა შორის, მუშის საშუალო დახელოვნების ხარისხით, მეცნიერების განვითარებისა და მისი ტექნოლოგიური გამოყენების დონით, წარმოების პროცესის

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. XXXII, გვ. 166—167.

საზოგადოებრივი კომბინაციით, წარმოების საშუალებათა მოცულობით და ქმედითუნარიანობით და ბუნებრივი პირობებით“².

შრომის მწარმოებლურობის ზრდის ფაქტორებში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე ანგარიშწარმოების განუწყვეტელ სრულყოფას, აღრიცხვის ყველა მუშაკის ცოდნის დონის ამაღლებას.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანები მოითხოვს მეურნეობრივი მმართველობითი აპარატის სისტემატურ გაუმჯობესებას. ამასთან, ბუხპალტრული აღრიცხვის მნიშვნელობაც უაღრესად იზრდება და დგება მისი შემდგომი განვითარების საკითხი, რომელიც გამოთვლითი ტექნიკის განვითარების დღევანდელ პირობებში აღრიცხვის ცენტრალიზაციისა და უწყებრივი ბარიერების მოხსნის გზით წყდება.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო თანმიმდევრულად ზრუნავს საბიუჯეტო აღრიცხვის გაუმჯობესებისა და ცენტრალიზაციის განვითარებისათვის, სისტემატურად მართავს სემინარებს და ინსტრუქტაჟს ცალკეული რაიონების, ქალაქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მასშტაბით, ცენტრალიზებულ ბუხპალტერიებს უზრუნველყოფს აღრიცხვის შესაბამისი რეგისტრებით, დავთრებით და სახელმძღვანელო ლიტერატურით.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დამოუკიდებლობისა და სახალხო მეურნეობის მართვაში მათი როლის გაძლიერებისათვის ზრუნვა პარტიისა და მთავრობის მუდმივი ყურადღების საგანს წარმოადგენს. ამის ნათელი დადასტურებაა სადირექტივო ორგანოების დადგენილებანი — „სახალხო დეპუტატთა საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ და „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“³.

ამ დოკუმენტების მოთხოვნებს აღრიცხვა-ანგარიშგების საქმეში პასუხობს სახალხო დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან არსებული ცენტრალიზებული ბუხპალტერიების საქმიანობა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების ორგანიზაციისა და კონტროლში. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ მათ დადებით მუშაობას ახასიათებს ზოგიერთი ნაკლოვანება.

² კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 55—56.

³ „კომუნისტი“, 21 აგვისტო, 1986, № 192, საბჭოების როლი და ძალა.

სახალხო მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სოციალისტური აღრიცხვის მთავარი ამოცანაა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საზოგადოებრივი წარმოების შემდგომ განვითარებას, მის სისტემატურ ზრდას და იმ დონემდე ამაღლებას, რაც წარმატებით უზრუნველყოფს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. სახალხო მეურნეობრივი აღრიცხვა მოწოდებულია უზრუნველყოს ქვეყნის შინა რესურსების მობილიზაცია, სამეურნეო ფონდების რაციონალური გამოყენება, საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის მკაცრი დაცვა.

თანამედროვე პირობებში ფართოდება და ახალი შინაარსი ეძლევა სასაქონლო და ფულად ურთიერთობებს, სახელმწიფო საფინანსო გეგმას — სახელმწიფო ბიუჯეტს. საბჭოთა სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებით აწარმოებს ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის განაწილებასა და გადანაწილებას. სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად თავს იყრის ჩვენი ქვეყნის ფულადი შემოსავლების დიდი რაოდენობა, რომელიც წარიმართება კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ყველა სხვა ღონისძიების დასაფინანსებლად.

აქედან ნათლად ჩანს, რა დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო ბიუჯეტი სოციალურ-კულტურული მშენებლობის, კულტურის განვითარებისა და მშრომელთა ეკონომიკურ-მატერიალური პირობების გაუმჯობესების, უდიდესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საქმეში.

სახელმწიფო ბიუჯეტი არის ფულადი სახსრების საერთო-სახელმწიფოებრივი ცენტრალიზებული ფონდის გეგმაზომიერი წარმოქმნისა და განაწილების ძირითადი ეკონომიკური ფორმა.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაში მეტ-ნაკლებად მონაწილეობს სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, ამიტომ მის საფუძველს წარმოადგენს წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება და სახელმწიფო მმართველობის სოციალისტური წესი.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პერიოდში კიდევ უფრო მტკიცდება კავშირი ეკონომიკურ და სააღრიცხვო-საკონტროლო მუშაობას შორის, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს საფინანსო ორგანოების, სახელმწიფო და სამშენებლო ბანკების საფინანსო გეგმებზე დამყარებულ ურთიერთკავშირის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოებთან და ორგანიზაცია-დაწესებულებებთან. ასეთი ურთიერთკავშირი წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების გაერთიანებული აღრიცხვის საფუძველს, რამდენადაც, მიღებული წესის მიხედვით, სახალხო მეურნეობის დარგების საწარმოები და ორგანიზაციები სახელმწიფო ბიუჯეტთან ურთიერთობის გამომხატველ ოპერაციებს თავიანთი ძირითადი საქმიანობის ბალანსებზე ასახავენ.

სახელმწიფო ბანკი საბიუჯეტო ოპერაციებს ძირითადი საქმიანობის ბალანსზე ასახავს საბიუჯეტო კლასიფიკაციით დადგენილი წესის მიხედვით, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულების შესახებ დამოუკიდებელ ანგარიშგებას ადგენს.

საფინანსო ორგანოები, საბიუჯეტო დაწესებულებები და ორგანიზაციები ბიუჯეტის შესრულების ბუხპალტრულ ოპერაციებს დამოუკიდებელ ბალანსზე ასახავენ და დამოუკიდებელ ანგარიშგებას ადგენენ. სახელდობრ, საფინანსო ორგანოები — ბიუჯეტის შესრულების შესახებ, ხოლო საბიუჯეტო დაწესებულება-ორგანიზაციები — ხარჯთ-ნუსხების შესრულების შესახებ.

ამრიგად, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბუხპალტრული აღრიცხვა ხორციელდება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, ყალიბდება და ფორმდება საფინანსო ორგანოებში. იგი წარმოადგენს სოციალისტური სახალხო მეურნეობის ერთიანი აღრიცხვის შემადგენელ ნაწილს და ცნობილია საბიუჯეტო აღრიცხვის სახელწოდებით.

საბიუჯეტო აღრიცხვის ძირითადი ამოცანაა სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო და ფაქტიური შესრულების უზრუნველყოფა, ე. ი. საკავშირო ბიუჯეტის, მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯების ბუხპალტრული ასახვა და მიმდინარე კონტროლი სახელმწიფოს საფინანსო გეგმის შესრულების პროცესებზე.

საბიუჯეტო აღრიცხვის, როგორც სახალხო მეურნეობრივი აღრიცხვის შემადგენელი ნაწილის, განვითარების მთელი ისტორია მოწმობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის იმ დიდ მზრუნველობას, რასაც იგი იჩენდა და იჩენს სოციალისტური აღრიცხვისა და, კერძოდ, საბიუჯეტო აღრიცხვის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის.

სოციალისტური ეკონომიკის ზრდის, დაგეგმვის სრულყოფისა და ნამდვილი მეურნეობრივი ანგარიშშიანობის მტკიცე დანერგვის ნიადაგზე ჭისტემატურად მალღდებოდა და მალღდება საერთოდ სახალხო-მეურნეობრივი აღრიცხვის, კერძოდ კი საბიუჯეტო აღრიცხვის როლი.

საბიუჯეტო აღრიცხვა საბჭოთა ეკონომიკის განვითარების ყოველ ეტაპზე სოციალისტური მშენებლობის ამოცანების სამსახურში იღდა და ამ ამოცანების შესაბამისად ვითარდებოდა და უმჯობესდებოდა, მისი განვითარება ხორციელდებოდა სახელმწიფოებრივ დაგეგმვასთან შეხამების, გამარტივების, აღრიცხვის მეთოდოლოგიის გაუმჯობესების გზით.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ გატარებული პროგრესული ღონისძიებების შედეგად შეიქმნა საბიუჯეტო აღრიცხვის სრულ-

ლიად ანალი სისტემა სახელმწიფოებრივი ანგარიშწარმოების ერთიანი წესებით, საერთო ანგარიშთა გეგმით, ანგარიშთა ტიპობრივი კორესპონდენციით, ერთიან სისტემაში მოყვანილი დოკუმენტაციითა და აღრიცხვის ტიპობრივი რეგისტრებით, ბუხჰალტრული ანგარიშგების ზუსტად დადგენილი ფორმებით, ბალანსის მუხლების მყარი ნომენკლატურით და ა. შ.

საბიუჯეტო აღრიცხვის განვითარებაში წამყვანი როლი ენიჭებოდა სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების აღრიცხვას, კერძოდ, სამრეწველო ბუხჰალტერიას. ცნობილია, რომ მრეწველობაში იქმნებოდა ბუხჰალტრული აღრიცხვის პროგრესული ფორმები და მეთოდები, ინერგებოდა ანგარიშწარმოების გაუმჯობესებული რეგისტრები. მრეწველობაში შექმნილი ბუხჰალტრული ანგარიშწარმოების ფორმებსა და წესებს, მასალების აღრიცხვის ოპერატიულ-ნაშთობრივ მეთოდს, აღრიცხვის ჟურნალ-ორდერულ ფორმასა და სხვ. წარმატებით იყენებენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. საბიუჯეტო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შემოღებული აღრიცხვის ჟურნალ-ორდერულ ფორმას საფუძვლად დაედო სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგებისათვის გათვალისწინებული ანგარიშწარმოების ჟურნალ-ორდერული ფორმა.

როგორც ზემოთ ითქვა, აღრიცხვა-ანგარიშგების განვითარების საქმეში დიდი როლი ეკუთვნის ანგარიშწარმოების მოწინავე ფორმებისა და რაციონალურ ანგარიშთა სისტემის შემოღებას, საბიუჯეტო კლასიფიკაციის გამარტივებას, ბიუჯეტისა და ხარჯთნუსხების შესრულების ცენტრალიზაციასა და მექანიზაციას.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბუხჰალტრული აღრიცხვის ანგარიშთა სისტემამ, პირველ რიგში, უნდა უზრუნველყოს ბიუჯეტის შესრულების პროცესებთან დაკავშირებული ყველა დაწესებულება-ორგანიზაციის სახსრების, წყაროებისა და საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების ურთიერთდაკავშირებული თანმიმდევრული აღრიცხვა და კონტროლი.

აქედან გამომდინარე, აღრიცხვა-ანგარიშგების ერთიანი პრინციპი მოითხოვს ანგარიშთა ერთიანობასაც, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბუხჰალტრული აღრიცხვის ერთიან ტიპობრივ გეგმებში დარღვეულია. ბიუჯეტის საკასო შესრულებისა და ხარჯთნუსხების შესრულების ანგარიშთა გეგმები ერთიმეორისაგან არსებითად განსხვავდება. ამის გამო საფინანსო ორგანოებში ბიუჯეტისა და ხარჯთნუსხის შესრულების აღსარიცხავად ერთდროულად იყენებენ ორ ერთიმეორისაგან განსხვავებულ, ანგარიშთა გეგმას.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბუხჰალტრული აღრიცხვის გაერთიანებას და შემდგომ განვითარებას დიდად შეუწყობს

ხელს ერთიანი ტიპობრივი ანგარიშთა გეგმის შემოღება და მისი და-
ნერგვა ბიუჯეტის შესრულებაში მონაწილე ყველა ორგანიზაციისა და
დაწესებულების ანგარიშწარმოებაში.

ბიუჯეტის შესრულების ბუხპალტრული აღრიცხვის ანგარიშთა
გეგმის აგებულებას საფუძვლად უდევს სსრ კავშირის სახელმწიფო
ბიუჯეტის კლასიფიკაცია, რომელიც ბიუჯეტის შემოსავლებისა და
ხარჯების უაღრესად რთულ დაჯგუფებას ითვალისწინებს. ჩვენი აზრით,
გადაუდებელი ამოცანაა მისი განაყოფების, თავების, პარაგრაფებისა
და მუხლების შემცირება, რაც ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვასა
და ანგარიშგებას საგრძნობლად გააადვილებს.

ანგარიშწარმოების განვითარების მთავარ პირობას მექანიზაცია-
წარმოადგენს, რომელიც აღრიცხვის ცენტრალიზაციის საფუძველზე
უნდა განხორციელდეს.

ნაშრომის შესავალში მიმოხილული მასალიდან ჩანს, რომ სახალხო
მეურნეობისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარება-
საბჭოთა ხალხის მატერიალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესე-
ბა პირდაპირაა დამოკიდებული სახელმწიფო ბიუჯეტზე, რომელიც მო-
წოდებულია უზრუნველყოს ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშე-
ნებლობის შეუფერხებელი დაფინანსება.

სახელმწიფო ბიუჯეტში თავს იყრის სსრ კავშირის მთელი ეროვ-
ნული შემოსავლის ნახევარზე მეტი, რაც შემდეგ განაწილდება და
გადანაწილდება სახალხომეურნეობრივი გეგმების შესაბამისად, ამით
პრაქტიკულად ხორციელდება ეკონომიკური რაიონების გამოთანაბ-
რების ერთი ყველაზე უფრო რთული საქმე.

სახელმწიფო ბიუჯეტით ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარებ-
მთლიანად დამოკიდებულია მისი შემოსავლების გეგმის შესრულებაზე,
ხარჯების სწორ მიმართულებაზე და ბიუჯეტებიდან ფულადი სახსრე-
ბის თავისდროულ გაცემაზე, მათი გამოყენების და საერთოდ ხარჯთ-
ნუსხების შესრულების აღრიცხვასა და კონტროლზე.

სახალხო მეურნეობაში საფინანსო-საკრედიტო დისციპლინის შემ-
დგომი განმტკიცების, საბიუჯეტო ურთიერთობისა და ფულის მიმოქ-
ცევის სრულყოფის საქმეს ემსახურება სახელმწიფო ბიუჯეტებისა და
ბიუჯეტური ხარჯთნუსხების შესრულების აღრიცხვისა და კონტრო-
ლის მაღალი ორგანიზაცია საფინანსო ორგანოებში, ბიუჯეტურ დაწე-
სებულება-ორგანიზაციებისა და სახალხო დეპუტატების სასოფლო,
საქალაქო და სადაბო საბჭოებში.

ზემოაღნიშნულ საკითხებს აშუქებს ავტორთა კოლექტივის წინა-
მდებარე ნაშრომი „ბიუჯეტური დაგეგმვის, აღრიცხვისა და კონტრო-
ლის სრულყოფის საფუძვლები“. ნაშრომი შედგება შესავლის, 27 თა-
ვისა და დასკვნისაგან. შესავალი, I თავის 1 პარაგრაფი, IV, XI თავის

1 და მე-2 პარაგრაფი, XII, XIII, XIV, XV, XVI, XXI, XXII, XXIII, XXVI, XXVII თავები და დასკვნა მოამზადა ემკ, დოც. შ. ბურდულმა; XVII, XVIII, XIX და XX თავები — ო. გიორგობიანმა; I თავის მე-2 პარაგრაფი, III თავი და XXV თავის 1 პარაგრაფი — კ. გიორგობიანმა; IV თავის მე-5 პარაგრაფი, V, VI, VII თავის მე-3—4 პარაგრაფი, VII და X თავები — ი. დონჯაშვილმა; II თავი — ემკ მ. მურჯიკენელმა, ხოლო VII თავის 1, მე-2 პარაგრაფი, IX, XII თავის 1, მე-2 პარაგრაფი და XXIV თავი — ი. შარვაშიძემ. ნაშრომის XXV თავის მე-2 პარაგრაფი ეკუთვნის ემკ, დოც. მ. როკეტლიშვილს, მე-3 პარაგრაფი — ემკ, დოც. ვ. პატიშვილს.

ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი — ემკ, დოც. შ. ბურდული.

ნაწილი პირველი

ბიუჯეტური ხარჯთნუსხების შესრულების აღრიცხვისა და კონტროლის საფუძვლები

თ ა ვ ი

მეურნეობრივი აღრიცხვის როლი საუწყებო ანგარიშწარმოების მეცნიერულ-ბიქნიკური პროგრამის დაჩქარებაში

1. მეურნეობრივი აღრიცხვის მეცნიერული ორგანიზაციის საფუძვლები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანებისა და სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მეურნეობის მართვის შემდგომ სრულყოფას. ჯერ კიდევ 1979 წლის 12 ივლისს, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ ითვალისწინებდა საწარმოებისა და ორგანიზაციების მეურნეობრივი საქმიანობისა და ხელმძღვანელობის შემდგომ გაუმჯობესებას, სოციალისტური მეურნეობის განვითარების მაღალ ტემპს, ქვეყნის მატერიალური სიმდიდრის ზრდას და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას. ამ დადგენილებით გათვალისწინებული იყო დაგეგმვისა და ეკონომიკური მართვის უფრო სრულყოფილი მეთოდების შემოღება. წარმოებაში მეცნიერების მიღწევისა და მოწინავე ტექნიკის დანერგვა; მეურნეობის განვითარების შესაძლებლობათა ეფექტური გამოყენება სოციალიზმის ეკონომიკური კანონების შესაბამისად.

წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივმა სოციალისტურმა საკუთრებამ შესაძლებელი გახადა სახალხო მეურნეობის ერთიანი აღრიცხვის მეცნიერული ორგანიზაცია. მეცნიერულ-ტექნიკური პროგ-

რესის დაჩქარების პერიოდში აღრიცხვის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა.

ხაზს უსვამს რა აღრიცხვის როლს საზოგადოებრივი წარმოების პირობებში, კ. მარქსი წერს: „კაპიტალისტური წარმოების წესის მოსპობის შემდეგ, მაგრამ საზოგადოებრივი წარმოების შენარჩუნებისას, ღირებულების განსაზღვრა გაბატონებული რჩება იმ აზრით, რომ სამუშაო ღრის რეგულირება და საზოგადოებრივი შრომის განაწილება წარმოებს სხვადასხვა ჯგუფებს შორის, ბოლოს ყოველივე ამის ანგარიშწარმოება უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე ოდესმე იყო“¹.

სოციალისტურ საზოგადოებაში აღრიცხვისა და კონტროლის მნიშვნელობა უდიდესი სიცხადით არის გამოხატული ვ. ი. ლენინის ნაშრომში „სახელმწიფო და რევოლუცია“. მასში ნათქვამია: „აღრიცხვა და კონტროლი — აი მთავარი, რაც საჭიროა კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზის „მოწესრიგებისათვის“, სწორი ფუნქციონირებისათვის“².

ვ. ი. ლენინი საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკის განმტკიცებისათვის ბრძოლაში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა აღრიცხვისა და კონტროლის საქმის მოგვარებას.

ვ. ი. ლენინს სოციალისტური საზოგადოების არსებობის აუცილებელ პირობად ძირითად ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად მიაჩნდა მატერიალური და ფულადი რესურსების ზუსტი აღრიცხვა. „არც ერთი ნაწარმი, არც ერთი გირვანქა პური არ უნდა დარჩეს აღურიცხველი, ვინაიდან სოციალიზმი — ეს, უწინარეს ყოვლისა, აღრიცხვაა“³.

წარმოების მართვის პროცესი ეტაპობრივია. თითოეულ ეტაპზე სრულდება გარკვეული ფუნქცია, ანუ ხორციელდება განსაზღვრული გეგმაზომიერი მიზანდასახულ მოქმედებათა პროცესი — გადაწყვეტილებათა მიღება-შემუშავების, მისი რეალიზაციისა და რეგულირების, აღრიცხვა-კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის მეშვეობით.

ზემოთ აღნიშნულ ფუნქციათა მართვაში ყველაზე დიდი როლი აღრიცხვასა და კონტროლს მიუძღვის.

განვითარებადი სოციალისტური საზოგადოების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოწესრიგებულ აღრიცხვას მეურნეობის მართვადი პროცესების სწორი ფუნქციონირების საქმეში. აღრიცხვა არა მარტო მეურნეობის ფუნქციათა მართვისა და კონტროლის საშუალებაა, არამედ, როგორც ამოსავალ მონაცემთა ერთობლიობა, მომავლის პროგნოზირების საფუძველიცაა. უფრო მე-

¹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, 1959, გვ. 488.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. XXV, გვ. 590.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. XXVI, გვ. 334.

ტიც, აღრიცხვის გარეშე წარმოუდგენელია ყოველგვარი მეურნეობრივი და მეცნიერული მუშაობა. მეურნეობრივი იმიტომ, რომ სახალხო-მეურნეობრივი გეგმებისა და მათი ფაქტიური შესრულების მონაცემთა შეპირისპირება, შედეგების გამოვლინება და სათანადო ოპერატიული ზომების მიღება ხერხდება მხოლოდ აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე; მეცნიერული იმიტომ, რომ ბუნებისა და საზოგადოების პრაქტიკული მოვლენებზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგების ანალიზი წარმოებს აღრიცხვის მონაცემების საშუალებით.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ეკონომიკის ინტენსიფიკაციის კურსის თანამედროვე პირობებში სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განუხრელმა აღმავლობამ, მეცნიერების მიღწევებმა, საზოგადოებრივი ფონდების სისტემატურმა ზრდამ მოითხოვა დაგეგმვის, აღრიცხვისა და კონტროლის სრულყოფა. კერძოდ, ბუნჰალტრული აღრიცხვის მაქსიმალური ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის მეშვეობით მისი აყვანა ისეთ დონეზე, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს ქვეყნის საფინანსო მეურნეობის მაღალ ორგანიზაციას, ეროვნული შემოსავლის რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებას, საზოგადოებრივი წარმოების ყველა უბანზე ზედმეტი დანახარჯებისა და დანაკარგების აღმოფხვრას.

სოციალისტური წარმოების გაფართოება, შრომის მაღალი ორგანიზაცია და გეგმური მეურნეობა აღრიცხვის ის ძირითადი საფუძველია, რაც მის როლს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დარგების ბუნჰალტრულმა აღრიცხვამ განვითარების დიდი გზა განვლო. სოციალისტური ბუნჰალტრული აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით 1923 წელს სსრ კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა გამოსცა პირველი ინსტრუქცია სახალხო კომისარიატებში ბუნჰალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ. მაგრამ ბუნჰალტრული აღრიცხვის ერთიანი ანგარიშთა გეგმა და ინსტრუქცია მისი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში გამოყენების შესახებ, გაცილებით ადრე იქნა შემოღებული. ერთიანი ანგარიშთა გეგმის სახით იგი ჩამოყალიბდა 1921 წელს, ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლის პერიოდში, როდესაც საბჭოთა სოციალისტური საწარმოები მასობრივად გადავიდნენ სრულ მეურნეობრივ ანგარიშთანობაზე, სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ 1922—1924 წწ. კიდევ უფრო გააუმჯობესა ანგარიშწარმოების მოქმედი ინსტრუქცია, დააწესა ახალი ანგარიშები, შეიმუშავა ბალანსის მუხლების ისეთი ნომენკლატურა, რომელიც სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობათა ხასიათს შეესაბამებოდა.

სსრ კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი თანმიმდევრულად ზრუნავდა აღრიცხვა-ანგარიშგების შემდგომი სრულყოფისათვის აღრიცხვის ახალი, უფრო რაციონალური ფორმების შემოღებით.

ანგარიშწარმოების მოწინავე გამოცდილების განზოგადების შედეგად ოცდაათიანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა აღრიცხვის მემორიალ-ორდერული ფორმა, რომელსაც მთელი რიგი ავტორები (დოდონოვი, ლეონტიევი, ვეიცმანი, გალპერინი), მისი რეგისტრების აგებულებისა და კონკრეტული თვისებების გამო, ჰადრაკისებრ ფორმას უწოდებდნენ.

აღსანიშნავია, რომ აღრიცხვის მემორიალ-ორდერული ფორმის რეგისტრებს ჰადრაკისებრი მოხაზულობა აქვთ და ზოგიერთ შემთხვევაში საკონტროლო და მაგროვებელი უწყისების გამოყენებას ითვალისწინებს.

სწორედ ჰადრაკისებრი სქემით აგებული რეგისტრების გამოყენების პრინციპი დაედო საფუძვლად უფრო გვიან შემოღებულ, ამჟამად ფართოდ გავრცელებულ ახალ, შედარებით უფრო პროგრესულ აღრიცხვის ეურნალ-ორდერულ ფორმას.

აღრიცხვის ყველა ფორმას აქვს თავისი განმასხვავებელი რეგისტრები, წარმოების ტექნიკა, ქრონოლოგიური და სისტემური რეგისტრაციის თავისებური წესი.

ანგარიშწარმოების ფორმის თავისებურებას მიეკუთვნება აგრეთვე აღრიცხვის რეგისტრების შესაბამისობა აღრიცხვის მექანიზაციის საშუალებებთან.

ამავე პერიოდს მიეკუთვნება აღრიცხვის ეურნალ-მთავრული ფორმის შემოღება, რომელიც სწრაფად გავრცელდა სახალხო მეურნეობის ისეთ დარგებში, რომელთა საწარმოებს, მიმდინარე აღრიცხვის ანგარიშთა გეგმით 20—30 მთავარი ანგარიში ჰქონდათ გათვალისწინებული. აღრიცხვის ამ ფორმის მთავარი რეგისტრი — „ეურნალ-მთავარი“ ქრონოლოგიურ და სისტემურ აღრიცხვას ერთ დავთარში (ორ გაშლილ გვერდზე) უზრუნველყოფს, რაც ამარტივებს სამეურნეო ოპერაციების სინთეზურ აღრიცხვას. ერთდროულად უზრუნველყოფს ცალკეული ანგარიშის სადებეტო და საკრედიტო ბრუნვებისა და ნაშთების მიღებას სინთეზური ანგარიშების ბრუნვათა უწყისების შედგენის გარეშე. ამის გამო, სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში და ბიუჯეტურ დაწესებულებებში ამჟამადაც იყენებენ ანგარიშწარმოების „ეურნალ-მთავრულ“ ფორმას.

სამამულო ომის შემდგომ წლებში ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა სწრაფი ტემპით განვითარდა. მდიდარი პრაქტიკული გამოცდილების მეცნიერული განზოგადების საფუძველზე შეიქმნა სახალხო

მეურნეობის მართვისა და ეკონომიკური მუშაობის გაუმჯობესების რეალური შესაძლებლობანი შიგაწარმოებრივი რეზერვების მობილიზაციის, ეკონომიის რეჟიმის შემოღების, სრული მეურნეობრივი ანგარიშიანობის დანერგვის, კონტროლის გაძლიერების გზით. ამის შედეგად აუცილებელი გახდა ბუხჰალტრული აღრიცხვის უნიფიკაცია და მისი როლის ამაღლება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ბუხჰალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიური ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის ამაღლების, მისი ერთიანობისა და უნიფიკაციის მიზნით სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ 1960 წლის 1 იანვრიდან შემოიღო საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების მრეწველობის, მშენებლობის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის. საწარმოთა და ორგანიზაციების მეურნეობრივი საქმიანობის მიმდინარე აღრიცხვის ერთიანი ანგარიშთა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა 69 მთავარ ანგარიშს, 98 სუბანგარიშს და 10 ბალანსგარეშე ანგარიშს.

ანგარიშთა ერთიანი გეგმის შემოღებამ შესაძლებელი გახდა სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებში დანერგილიყო ანგარიშწარმოების ერთიანი ჟურნალ-ორდერული ფორმა ერთიანი დოკუმენტაციით, მაგრამ მექანიზებული აღრიცხვის პროგრესული, პერფორირებული და სხვა ფორმების შემოღებამ მოითხოვა აღრიცხვის რეგისტრებისა და პირველადი დოკუმენტაციის შემდგომი სრულყოფა. ცნობილია, რომ პირველადი დოკუმენტაციის მოწესრიგება ბუხჰალტრული აღრიცხვის გაუმჯობესებისა და გაიაფების შესაძლებლობას წარმოადგენს. საბუთების ოპერატიულობისა და კონტროლის ფუნქციების გაძლიერება პირველადი აღრიცხვის სრულყოფისა და გაიაფების საწინდარია, მაგრამ, როგორც რესპუბლიკის საწარმოებისა და ორგანიზაციების შემოწმების მასალები გვიჩვენებენ, პირველადი აღრიცხვის გაუმჯობესების ღონისძიებები არადაამაყმაყოფილებლად ტარდება. მაგალითად, შერჩევითი შემოწმების შედეგად დადგენილია, რომ რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებაში პირველადი აღრიცხვის ტიპობრივ ფორმებთან ერთად იყენებენ არატიპობრივსაც. მთელ რიგ რთულ გაანგარიშებებს ხელით ადგენენ ამისათვის გათვალისწინებულ ფორმის ცხრილების თუ უწყისების გარეშე. ადგილი აქვს ოპერაციების დუბლირებას სხვადასხვა დოკუმენტში და ა. შ. მაგალითად, სამუშაო დროის სატაბელო აღრიცხვის ტიპობრივ ფორმაში, სადაც აღინიშნება მუშაკების სამუშაოზე გამოცხადება და ერთდროულად საანგარიშსწორებო ჯგუფების მიხედვით ხდება გამომუშავების დაგროვება, ყოველდღიურ ნამუშევარ საათებს ცვლის გარეშე უჩვენებენ, ღამის ცვლის სამუშაო განრიგში ხელმეორედ შეაქვთ გამომუშავებული საათები ცვლის აღნიშვნის გა-

რეშე. მაშინ, როცა ეს ჩანაწერები შეიძლება ერთ საბუთში (ნამუშევარი დროის ტაბელში) მოახდინონ ჩანაწერების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით.

ოპერატიული აღრიცხვის ორგანიზაციის დროს მნიშვნელოვანია პირველადი სააღრიცხვო ინფორმაციის მოცულობა, სახეობის და წარდგენის ვადების განსაზღვრა, ანუ ინფორმაციათა გავლის გრაფიკის დადგენა. ოპერატიული ინფორმაცია უნდა შემოიფარგლოს მონაცემების იმ მინიმალური ოდენობით, რაც ნამდვილად საჭიროა ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის. პირველადი ინფორმაციის წყაროს, როგორც წესი, უნდა წარმოადგენდეს პირველადი დოკუმენტაცია, რომლებსაც შემდეგ იყენებს ბუხპალტრული აღრიცხვა სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის რეგისტრებში სამეურნეო ოპერაციების ასასახავად და სააღრიცხვო-გამოთვლითი ინფორმაციის დასამუშავებლად. სხვადასხვა დისტანციური ცნობების, ტელეფონოგრაფებისა და ინფორმაციის სხვა მეორადი წყაროების გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საწარმოს შესაბამისი ქვედანაყოფები ტერიტორიულად განცალკევებული არიან და მათ შორის კავშირი ხორციელდება ტელეფონის, ტელეგრაფის ანდა ტელეტაიპის მეშვეობით.

აღრიცხვისა და კონტროლის გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარების მნიშვნელოვან რეზერვს შეიცავს აღრიცხვის ცენტრალიზაცია და კომპლექსური მექანიზაცია ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენებით. აღრიცხვის კომპლექსური მექანიზაციის დასანერგად საჭიროა შემუშავდეს და თანმიმდევრობით განხორციელდეს აღრიცხვისა და გამოთვლითი მუშაობის მექანიზაციის დონის ამაღლების, საანგარიშო და ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკის საწარმოებისა და ორგანიზაციების აღჭურვის, ეკონომიკური ინფორმაციის თავიდან ბოლომდე ცენტრალიზებული სისტემის შექმნის რეალური გეგმა. ამასთან, მაქსიმალურად უნდა გაიზარდოს საწარმოთა ხელმძღვანელებისა და აღრიცხვის მუშაკების პერსონალური პასუხისმგებლობა სააღრიცხვო-საანგარიშო დისციპლინის განმტკიცებისა და სააღრიცხვო მონაცემების სინამდვილის უზრუნველყოფისათვის.

სამრეწველო საწარმოთა აღრიცხვის ცენტრალიზაციის პირობებში მთავარი ბუხპალტერი საერთო ხელმძღვანელი, სრული პასუხისმგებელია ცენტრალიზებულ ბუხპალტერიაში აღრიცხვა-ანგარიშგების სწორად წარმოებაზე. თავის საქმიანობაში ის ხელმძღვანელობს დებულებით სახელმწიფო, კოოპერაციული (გარდა კოლმეურნეობებისა) და საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციების მთავარი (უფროსი) ბუხპალტრების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სათანადო დადგენილებით, აგრეთვე სსრ კავშირის

ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ტიპური დებულებით — საწარმოებისა და მეურნეობრივი ორგანიზაციების ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების შესახებ და სხვა ნორმატიული მასალებით. იგი დაწესებულ ვადებში უზრუნველყოფს პერიოდული და წლიური ბალანსებისა და ანგარიშგების შედგენასა და სათანადო ორგანიზაციებში წარდგენას.

მთავარი ბუხჰალტერი აწესებს მომსახურებული საწარმოებისაგან საჭირო დოკუმენტების წარმოდგენის, თანხების გადარიცხვისა და ფულის გაცემის გრაფიკს. იგი უწესებს თავის თანამშრომლებს სამუშაოს მოცულობას ფუნქციონალური ნიშნით. გამომთვლელ მანქანათა დანადგარის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ადგენს მექანიზაციის საშუალებათა გამოყენებით დასამუშავებელი საბუთების მოძრაობის გრაფიკს.

ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებს (ეგმ)⁴ არსებითი ცვლილებები შეაქვთ სააღრიცხვო-გამოთვლითი სამუშაოებს ორგანიზაციაში. ეს ხდება მათი საექსპლოატაციო თავისებურებიდან გამომდინარე. ელექტრონული გამომთვლელი მანქანები ავტომატურად ამუშავებენ ინფორმაციას, მაგრამ დამუშავებისათვის საჭიროა წინასწარი მომზადება. იგი მიმდინარეობს ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, მუშავდება ამოცანების გადაწყვეტის პროგრამა, მეორე მხრივ, წარმოებს დასამუშავებელი ინფორმაციის რეგისტრაცია სპეციალურ მატარებლებში.

პროგრამის შედგენა რთული და შრომატევადი სამუშაოა. იგი იყოფა რამდენიმე საფეხურად. პირველ ეტაპს წარმოადგენს ალგორითმების შემუშავება.

ალგორითმი უნდა შეიცავდეს ყოველგვარ მითითებას ამოცანის გადაწყვეტის, გამოთვლითი ოპერაციების თანმიმდევრობით შესრულების შესახებ. ყოველი ამოცანა საჭიროებს თავის ალგორითმს, მაგალითად, ორი შესაკრების შეკრების ალგორითმი, საერთო უდიდესი გამყოფის პოვნის ალგორითმი, დარიცხული ხელფასის თანხის განსაზღვრის ალგორითმი, ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავების გაანგარიშების ალგორითმი და ა. შ.

ალგორითმები უფრო ხშირად ჩაიწერება გრაფიკული ბლოკსქემებისა და მათემატიკური ფორმულების სახით, თუმცა შესაძლებელია მათი უფრო დაწვრილებითი სიტყვიერი აღწერა. მაგრამ ალგორითმების ჩაწერა უფრო მოხერხებულია პირობითი სიმბოლოების მეშვეობით (ასოები, ციფრები, ნიშნები).

⁴ ბუხჰალტერია, ანალიზი და კონტროლი, ტ. I, 1977. გვ. 110—111

მეორე ეტაპს წარმოადგენს ამოცანის გადასაწყვეტი პროგრამის შემუშავება. პროგრამა იქმნება ალგორითმების ბაზაზე. პროგრამების შედგენის პროცესს ეწოდება პროგრამირება. ამ სამუშაოს ასრულებენ ინჟინერ-პროგრამისტები ან თვით ელექტრონული გამომთვლელი მანქანები.

არაებობს რანდენიმე სახის პროგრამა: პირობითი სიმბოლოების დახმარებით ჩაწერილი და პროგრამა, რომელიც ჩაწერილია ამოცანის გადასაწყვეტად კონკრეტულ ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაზე. პროგრამების პირველი სახე იქმნება მთლიანად ელექტრონული ტექნიკისათვის. შემდეგ ამ საერთო პროგრამების საფუძველზე მუშავდება კონკრეტული პროგრამები, რომელთაც მანქანური ეწოდებათ. ამოცანების გადაწყვეტა წარმოებს მანქანური პროგრამების დახმარებით. ასეთ პროგრამებში მითითებულია რა ოპერაციები უნდა შეასრულოს, რა რიცხვები უნდა დაამუშაოს, რა თანმიმდევრობით და ა. შ.

მესამე ეტაპს წარმოადგენს პროგრამების ფიქსაცია (ჩაწერა) პერფორენტებზე, პერფობარათებზე და ინფორმაციის სხვა მატარებლებზე და პროგრამის შემდგომი შეტანა მანქანაში. ელექტრონული გამომთვლელი მანქანის მოწყობილობაში მყოფი პროგრამა უზრუნველყოფს ამოცანის ავტომატურ გადაწყვეტას ამ ამოცანის საწყისი მაჩვენებლების მანქანაში შეტანის შემდეგ.

ამგვარად, ელექტრონული გამომთვლელი მანქანის საშუალებით, მაგალითად, ხელფასის დარიცხვა მოითხოვს შემდეგ მოსამზადებელ სამუშაოებს: შესაბამისი ალგორითმის პოვნა; დარიცხული ხელფასის გაანგარიშების პროგრამის ან მანქანური პროგრამის შედგენა; ელექტრონული გამომთვლელი მანქანის მოწყობილობაში პროგრამისა და ამოცანის მაჩვენებლების (საწყისი და საშედეგო) გასანაწილებლად ადგილების მონახვა; ინფორმაციის მატარებლებზე მანქანური პროგრამის ჩაწერა და მისი შეტანა ელექტრონულ გამომთვლელ მანქანაში; ხელფასის სიდიდის განმსაზღვრელი საწყისი მაჩვენებლების ჩაწერა ინფორმაციის მატარებლებზე და მათი შეტანა ელექტრონულ გამომთვლელ მანქანაში.

ეს სააღრიცხვო გამოსათვლელი სამუშაოების მექანიზაციის მთავარი თავისებურებანია ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენების დროს, რაც ნაწილობრივ შეიძლება შეასრულონ კვალიფიციურმა ბუხპალტრებმა და არა მარტო ინჟინერ-პროგრამისტებმა ან მათემატიკოსებმა.

თანამედროვე რთული კონსტრუქციული მანქანების ეფექტური გამოყენების მთავარ წინამძღვარს წარმოადგენს შრომის საგნების საკმაო რაოდენობის ბაზაზე პროდუქციით მასობრივი წარმოება ერთი მხრივ, და შრომის პროცესების უწყვეტობა, მანქანის ხელის მუშაო-

ბით შენაცვლების აღმოფხვრა, ცალკეულ ოპერაციებზე სამუშაო პროცესების გაძლიერება — მეორე მხრივ. ეს პრინციპები შეიძლება მივიღოთ ნებისმიერი მანქანის ეფექტურობის ამაღლების საერთო დებულებად როგორც წარმოებრივ, ისე მმართველობით სფეროში. ეს ფაქტორები განსაზღვრავენ აღრიცხვის მექანიზაციის ორგანიზაციულ ფორმებსა და ანგარიშწარმოების დაპროექტების პრინციპებს ეკონომიკის სხვადასხვა დარგში.

ცნობილია, რომ აღრიცხვის შრომატევადი პროცესების მექანიზაცია კანონზომიერად საჭიროებს შემდეგი ეტაპების გავლას: ნაწილობრივი მექანიზაცია, ნაწილობრივი ავტომატიზაცია და კომპლექსური, ახუ სრული ავტომატიზაცია.

მექანიზაციის თითოეულ ამ ეტაპს უნდა შეესაბამებოდეს გამოთვლითი ტექნიკის საშუალებანი, ფორმები და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების მეთოდოლოგია, აგრეთვე წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია. ტექნიკურ საშუალებათა მეთოდოლოგიასა და ორგანიზაციის შორის არსებობს მჭიდრო კავშირი, რომელიც ემყარება არსებულ ტექნიკურ საშუალებათა ყოველმხრივი და რაციონალური გამოყენების გათვალისწინებით განსაზღვრულ ფორმებს და მექანიზაციის ტექნოლოგიის შემდგომ სრულყოფასაც ითვალისწინებს.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავებისათვის ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენება აღმავლობის სტადიაშია. მისი ფართოდ დანერგვა ერთ-ერთი გადაუდებელი სადღეისო ამოცანაა, რომლის წარმატებით გადაჭრა, თავის მხრივ, დამოკიდებულია მთელ რიგ პრობლემებთან.

თავის მოხსენებაში ამხ. მ. ს. გორბაჩოვი. 1985 წლის 11—12 ივნისს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებთან დაკავშირებით, აღნიშნავდა — „პროგრესის კატალიზატორია მიკროელექტროტექნიკა, გამოთვლითი ტექნიკა და ხელსაწყოთმშენებლობა, ინფორმატიკის მთელი ინდუსტრია — ისინი მოითხოვენ დაჩქარებულ განვითარებას. რა თქმა უნდა, ბევრი რამ დამოკიდებულია არა მარტო ელექტრონული მანქანების გამოშვების ზრდაზე, არამედ სახალხო მეურნეობაში მათ უნარიან გამოყენებაზეც...“⁵

ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებზე გაანგარიშებათა შესრულება მოითხოვს მონაცემთა ტექნიკური დამუშავების წინასწარ დაწვრილებით ალგორითმიზაციას (მათემატიკურ აღწერას) და მის გადაყვანას მანქანის კოდურ ენაზე (პროგრამირება), რაც ნიშნავს დეტალური განაწესის (პროგრამის) შედგენას ამოსავალი ინფორმაციე-

⁵ „კომუნისტი“, 12 ივნისი, 1985.

ბის სამახსოვრო უჯრებში მოსათავსებლად, ეს უკანასკნელი განაპირობებს დამუშავების პროცესს და გამოთვლითი შედეგების საჭირო ფორმებში მიღებას. ალგორითმიზაციის სისრულესა და სისწორეზე და პროგრამირების სიზუსტეზე დიდად არის დამოკიდებული შესრულებულ სამუშაოთა სისრულე და ხარისხი, სწრაფმოქმედი ელექტრონული ტექნიკის გამოყენების ეფექტურობა.

ელექტრონული გამოთვლელი მანქანების გამოყენებისას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დატვირთვის ფაქტორს სამუშაოთა მანქანა-საათის ღირებულების შემცირებისათვის. შრომისა და ფულადი საშუალებების დიდი ეკონომიის მიღწევა ეგმ-ს გამოყენების პირობებში შესაძლებელია მხოლოდ მათი რაციონალური ექსპლუატაციისა და მაქსიმალური დატვირთვის შედეგად.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის მეთერთმეტე ხუთწლიანი გეგმით დასახული ღონისძიებანი უზრუნველყოფს ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, ხოლო ხალხის კეთილდღეობის ღონის ამღლებს ერთ-ერთი პირობაა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდება, რომელიც, თავის მხრივ, მოითხოვს მეურნეობის ყველა შიგა რეზერვის მაქსიმალურ გამოყენებას წარმოების რაციონალური ორგანიზაციის მეშვეობით. ეს იმაზე მიუთითებს, რომ გეგმაზომიერი წარმოების მართვის ერთ-ერთი ფუნქცია მისი რაციონალური ორგანიზაციაა, რომლის ძირითადი დანიშნულებაა სახელმწიფო საწარმოო გეგმების პრაქტიკულად განხორციელების მეცნიერული ორგანიზაცია. ეს ფუნქცია ემყარება ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ-მორალურ ზემოქმედებას სამეურნეო მექანიზმის საშუალებით. აქ მნიშვნელობა ენიჭება: მუშაკთა მატერიალურ დაინტერესებას, საგეგმო დავალებების ვადაზე ხარისხიანად შესრულებას, წარმოების მართვის მეცნიერულ ორგანიზაციას, დაგეგმვის გაუმჯობესებასა და წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამღლებას სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების საფუძველზე.

„დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ უზრუნველყოფით ყოველივე იმის რაციონალური გამოყენება, რაც აქვს სახალხო მეურნეობას, დავეყარნოთ უმთავრესად ზრდის ინტენსიურ ფაქტორებს, უფრო ფართოდ დავნერგოთ წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები და მოწინავე გამოცდილება“⁶.

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მართვის რეგულირების ფუნქციას, მათ

⁶ სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფისა და პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ამოცანების შესახებ, თბ., 1979, გვ. 4.

შორის წარმოების ეკონომიკური რეგულირების ისეთ ბერკეტებს, როგორცაა: მოგება, სამეურნეო ანგარიშიანობა, შრომის ხელფასი, ეკონომიკური სტიმულირების ქმედითობა და ფორმები, მატერიალური წახალისება. რეგულირების ფუნქციის მეშვეობით წარმოებს ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება, მუშაკთა კოლექტივების შეთანხმებული მუშაობის ხელისშემშლელი ფაქტორების დაძლევა.

სოციალიზმის პირობებში სასაქონლო წარმოება და ღირებულების კანონი მოითხოვს ისეთი ეკონომიკური კატეგორიების არსებობას, როგორცაა ფასი და თვითღირებულება. ფასი ღირებულების ფულადი გაზოხატულებაა. თვითღირებულება — ღირებულების ნაწილია და მოიცავს პროდუქციის წარმოების დანახარჯებს, ე. ი. გვიჩვენებს იმას, თუ რა უჯდება პროდუქციის წარმოება მოცემულ საწარმოს. თვითღირებულება ასახავს ღირებულების იმ ნაწილს, რომელშიც ძირითადად განსახიერებელია წარსული და ცოცხალი აუცილებელი შრომა.

სხვაობა ფასსა და თვითღირებულებას შორის გვევლინება ფულადი დაგროვების ფორმით. თვითღირებულების გადიდება იწვევს დაგროვების შემცირებას და პირიქით. ამრიგად, მოგება, რომელიც ფულადი დაგროვების ნაწილია, და რენტაბელობა, რომელიც წარმოადგენს მოგების შეფარდებას თვითღირებულებასთან ანდა ძირითადი და საბრუნავი ფონდების ღირებულებასთან, მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან და ურთიერთს განაპირობებენ.

პროდუქციის თვითღირებულების დაგვემევა, აღრიცხვა და ოპერატიული კონტროლი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოს მართვის მნიშვნელოვანი საშუალებაა. იმ შემთხვევაში, როდესაც უზრუნველყოფილია ყოველდღიური ოპერატიული აღრიცხვა და კონტროლი, ოპერატიული ზემოქმედება წარმოების დანახარჯების დონეზე, საწარმო უთუოდ აღწევს თვითღირებულების გეგმაზომიერ შემცირებას, ფულადი დაგროვების რეზერვების სრულად გამოვლინებას და მიზნობრივ გამოყენებას. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა არ ხდება ოპერატიული ზემოქმედება დანახარჯების ფორმირებაზე, ყოველდღიურად ოპერატიულად არ მოწმდება წარმოებაზე დანახარჯების სისწორე, თვის ბოლოს აღმოჩნდება, რომ მოხდა ნედლეულის, მასალებისა და შრომითი რესურსების გადახარჯვა, დანაკარგი წუნის გამო, უნაყოფო ხარჯები და სხვა.

ბუხჩალტრული აღრიცხვა კონტროლის ყველაზე ქმედითი ფორმაა. აღრიცხვამ უნდა უზრუნველყოს არა მარტო ის, რომ წარმოადგინოს ცნობები საწარმოო პროცესის თუ ბიუჯეტური ხარჯთნუსხის შესრულების ნორმალური მსვლელობის გადახრის ფაქტის შესახებ ანდა იძლეოდეს სიგნალებს უნაყოფო ხარჯების, დანაკარგების, უყაირათობისა და სოციალისტური საკუთრების დატაცების შესახებ, არა-

მედ ისიც, რომ ხელი შეუწყოს ამ გადახრების გამომწვევი მიზეზებისა და მათზე მოქმედი ფაქტორების გამოვლინებას, მიუთითოს ამ მიზეზებისა და ფაქტორების წარმოების ადგილი და დრო, გამოამჟღავნოს ის პირობები, ვისაც ბრალი მიუძღვით დაშვებულ ნაკლოვანებებსა და შეცდომებში.

ეკონომიკური მუშაობის, შიდასამეურნეო რეზერვების გამოვლენის შემდგომი გაძლიერება, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება და ეკონომიის უმკაცრესი რეჟიმის განხორციელება შეუძლებელია მხოლოდ საწარმოს შესაბამის განყოფილებათა და სამსახურთა ძალებით, საჭიროა ამ საქმეში ფართო საზოგადოებრიობის ჩაბმა და მათი მუშევრებით აღრიცხვისა და ანგარიშების საერთო მდგომარეობის საფუძვლიანი შემოწმება.

2. ბიუჯეტური აღრიცხვის განვითარება და მისი მცენიერულ-ბიანიაური პროგრამის საფუძვლიანი

სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, მშრომელთა მატერიალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში დიდი როლი ეკუთვნის სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ქვეყანაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობა.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს ეროვნული შემოსავლის განაწილებისა და გადანაწილების ძირითად ფორმას საწარმოო და არასაწარმოო სფეროს, მეურნეობის დარგებსა და ეკონომიკურ რაიონებს შორის. სახელმწიფო მეურნეობის წმინდა შემოსავლის ნაწილის მობილიზაცია ბიუჯეტში ხდება ბრუნვის გადასახადის, მოგების ანარიცხებისა, საწარმოთა წარმოებრივი ფონდების გადასახდელებისა და სოციალური დაზღვევის შენატანების სახით, პირდაპირი განაწილების წესით, ხოლო საკოლმეურნეო-კოოპერაციული ორგანიზაციების წმინდა შემოსავლებისა და მოსახლეობიდან შემოსავლების ნაწილი შედის ბიუჯეტში ეროვნული შემოსავლის გადანაწილების წესით, გადასახადებისა და სხვა გადასახდელების სახით. წმინდა შემოსავლის ნაწილს სახელმწიფო ტოვებს საწარმოთა განკარგულებაში, რაც დაკავშირებულია მეურნეობრივ ანგარიშთან და ითვალისწინებს საწარმოთა ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერებას, მათ მატერიალურ დაინტერესებას გეგმების შესრულებაში და ფულადი სახსრების უკეთ გამოყენების უზრუნველყოფაში.

სახელმწიფო ბიუჯეტში თავს იყრის სსრ კავშირის მთელი ეროვნული შემოსავლის ნახევარზე მეტი, რაც შემდეგ განაწილდება და გადანაწილდება სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვა მშრომელების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელ ამაღლებაზე ნათლად გამოიხატება საბჭოთა ბიუჯეტის სტრუქტურაში. სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშში მოსახლეობა ყოველწლიურად ღებულობს მილიარდობით მანეთს პენსიების, სტიპენდიების, დახმარებების, სოციალური დაზღვევის (გაცემის), სანატორიუმებისა და დასასვენებელ სახლებში საგზურების, უფასო სამედიცინო მომსახურების, სწავლა-განათლებისა და სხვა სახით.

სახელმწიფო ბიუჯეტით ასეთი ღონისძიებების გატარება სავსებით დამოკიდებულია შემოსავლების გეგმის შესრულებაზე, ხარჯების სწორ მიმართულებაზე და ბიუჯეტიდან სახსრების თავისდროულ გაცემაზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვამ უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი ბიუჯეტების, მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისა და საკავშირო ბიუჯეტის საჭირო მონაცემები ბიუჯეტის შემოსავლებზე და ხარჯებზე, აგრეთვე მონაცემები საბიუჯეტო დაწესებულებების ხარჯთნუსხების შესრულებაზე.

საბიუჯეტო აღრიცხვა წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დისციპლინის დაცვისა და კონტროლის საშუალებას სახელმწიფო სახსრების მიზნობრივ და ზუსტ გამოყენებაზე. გარდა ამისა, მისი მონაცემების საფუძველზე იგეგმება მომავალი წლის ბიუჯეტი.

სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების ობიექტური ეკონომიკური კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ადგენს მეურნეობის ცალკე დარგებისა და ეკონომიკური რაიონების განვითარების განსაზღვრულ პროპორციას. ამ ამოცანის გადაწყვეტაში დიდი როლი ეკუთვნის ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვას. მისი დახმარებით უზრუნველყოფილი ხდება სახალხო მეურნეობის განვითარების დარგობრივი გეგმების დაკავშირება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ზუსტ და კარგად ორგანიზებულ აღრიცხვას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა, ანუ საბიუჯეტო აღრიცხვა, როგორც მას უწოდებენ, წარმოადგენს სოციალისტური აღრიცხვის ერთ მნიშვნელოვან დარგთაგანს, რომელსაც ახასიათებს ყველა ის თვისება, რაც ჩვენს სოციალისტურ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვას. საბიუჯეტო აღრიცხვა აუცილებელი პირობაა სახელმწიფო ბიუჯეტის, სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი საფინანსო გეგმის შედგენისა და შესრულებისათვის.

საფინანსო ორგანოების, სახელმწიფო ბანკისა და სხვა დაწესებულებების საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ბიუჯეტის შესრუ-

ლებასთან, გვაძლევს შესაძლებლობას თვალყური ვადევნოთ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას, დროზე აღმოვაჩინოთ ნაკლოვანებები და მივიღოთ ზომები მათ გამოსასწორებლად.

ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის ორგანიზაცია დამოკიდებულია თვით ბიუჯეტის შესრულების ორგანიზაციაზე და იმ ფუნქციებზე, რომლებსაც ახორციელებენ ბიუჯეტის შესრულებაში მონაწილე ორგანოები — ძირითადად საფინანსო ორგანოები.

სოფლის, დაბისა და რაიონული დაქვემდებარების ქალაქებში, სადაც არ არის საფინანსო ორგანოები, ბიუჯეტის შესრულებას ახორციელებენ შესაბამისი სახალხო დეპუტატების საბჭოები. სოციალური დაზღვევის ბიუჯეტს, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში შედის, ასრულებს სსრ კავშირის პროფესიონალური კავშირების (ორგანოების) ცენტრალური კომიტეტი. ბიუჯეტის შესრულებაში მონაწილეობენ აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი, სამშენებლო ბანკი, ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებები. მათ შორის ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება საფინანსო ორგანოებს, რომელნიც თვალყურს ადევნებენ ბიუჯეტის შესრულებას, აკონტროლებენ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ სახსრების ხარჯვას, აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას, წარმართავენ მათ მუშაობას სახელმწიფო ბიუჯეტის ზუსტი შესრულებისათვის.

საფინანსო ორგანოები თვითონ აწარმოებენ საბიუჯეტო აღრიცხვა-ანგარიშგებას, ადგენენ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებას და თვალყურს ადევნებენ საბიუჯეტო ოპერაციების წარმოებას სახელმწიფო და სამშენებლო ბანკებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულება აგებულია სალაროების ერთიანობის პრინციპზე. ეს პრინციპი კი გამოიხატება იმაში, რომ ბიუჯეტის ყველა შემოსავალი თავს იყრის ერთ საკასო ორგანოში — სახელმწიფო ბანკში და აქედან ხდება ბიუჯეტის ხარჯების ანაზღაურება. ასეთი ოპერატიულობა შესაძლებლობას აძლევს საფინანსო ორგანოებს გამოიყენონ მთელი რესურსები მთლიანად სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის. ამიტომ სახელმწიფო ბანკი წარმოადგენს ბიუჯეტის საკასო შესრულების ორგანოს. იგი თავს უყრის საკავშირო, მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების ყველა შემოსავალს და ანაწილებს მათ ამ ბიუჯეტებს შორის; აგრეთვე ანაზღაურებს ყოველგვარ ხარჯს საკავშირო, მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით. ამასთან ერთად აწარმოებს შინასაბანკო კონტროლს საბიუჯეტო ოპერაციებისა და სხვა დანარჩენი ოპერაციების შესრულებაზე.

სახელმწიფო ბანკი აწარმოებს ყოველგვარი შემოსავლის დოკუმენტურ გაფორმებას, იგი თვალყურს ადევნებს დაწესებულების, სა-

წარმოებისა და ორგანიზაციების ფულადი სახსრების ანგარიშებზე ნაშთების მდგომარეობას. ამასთან ერთად, კონტროლს უწევს ხელფასის ფონდისა და სხვა ფულადი სახსრების ხარჯვას ხარჯთნუსხების ფარგლებში.

სახელმწიფო ბანკი ახორციელებს აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულების აღრიცხვა-ანგარიშგებას და ა. შ.

ბიუჯეტის შემოსავლების მიღება მოსახლეობიდან წარმოებს სპეციალური საშემოსავლო სალაროების მეშვეობით, რომლებიც შემნახველ სალაროებთან არსებობენ. ასეთ სალაროებს დადგენილი აქვთ სპეციალური ვადები სახბანკოში ფულის ჩასაბარებლად.

კაპიტალური დაბანდებების დაფინანსება დაკისრებული აქვთ სამშენებლო ბანკსა და სახელმწიფო ბანკს; ამ ბანკების მეშვეობით ორგანიზაცია-დაწესებულებებს ეძლევათ სახსრები კაპიტალური დაბანდებების დასაფინანსებლად.

რამდენადაც ბიუჯეტიდან ფინანსდება სახალხო მეურნეობის უმრავლესი დარგი, სამინისტროებს, ცენტრალურ დაწესებულებებს, სახალხო დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტების საბჭოებს დაკისრებული აქვთ ბიუჯეტიდან მიღებული თანხების განაწილება დაქვემდებარებულ რგოლებს შორის, აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება და კონტროლი.

ზემოთქმულიდან შეიძლება გავაკეთოთ ასეთი დასკვნა:

ა) სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა წარმოადგენს სახალხო მეურნეობის ერთიანი აღრიცხვის ნაწილს და ყველა ის ამოცანა, რაც სახალხო მეურნეობის აღრიცხვა-ანგარიშგების წინაშეა დასმული, თანაბარი ზომით ვრცელდება სსრ კავშირის ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა-ანგარიშგებაზეც.

ბ) ბიუჯეტის შესრულებისა და საბიუჯეტო დაწესებულებათა ხარჯთნუსხების შესრულების აღრიცხვის მონაცემები გამოიყენება სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საბიუჯეტო დაწესებულებათა ხარჯთნუსხების შესადგენად: ეს მონაცემები წარმოადგენენ საწყის ბაზას გეგმის შესადგენად, ხოლო მიმდინარე აღრიცხვის მონაცემები გამოიყენება ბიუჯეტის ხარჯების დასაფინანსებლად, გეგმის შესრულების მიმდინარეობის მიხედვით;

გ) ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა წარმოადგენს კონტროლის საშუალებას სსრ კავშირის ბიუჯეტის, მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტის და დანარჩენი ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების მიმართ, ის აგრეთვე ყოველდღიური კონტროლის საშუალებაა საბიუჯეტო დაწესებულებათა ხარჯთნუსხების შესრულების საქმეში. ბიუჯეტის შესრულების ბუხჰალტრული აღრიცხვა ხელს უწყობს ბიუჯეტის შე-

მოსავლის მთლიან და თავისდროულად მიღებას. აგრეთვე ბიუჯეტე-
ბითა და ხარჯთნუსხებით გათვალისწინებული ხარჯების გამოყენებას
მიზნობრივი დანიშნულებით.

დ) ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა წარმოადგენს სოციალისტუ-
რი საკუთრების გამწვანებლებთან ბრძოლის იარაღს. იგი ხელს უწყობს
უყარათობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, მმართველობის
აპარატის ხარჯებში ზედმეტობის შემცირებას, საფინანსო დისციპლი-
ნის დაცვისათვის ბრძოლის გაძლიერებას.

სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე მოქმედებს
ისეთი კატეგორიები, როგორცაა: სამეურნეო ანგარიში, რენტაბელო-
ბა, თვითღირებულება, მოგება, ვაჭრობა, კრედიტი, ფინანსები. ფარ-
თოვდება და ახალი შინაარსი ეძლევა სასაქონლო და ფულად ურთი-
ერთობებს, სახელმწიფო საფინანსო გეგმას — სახელმწიფო ბიუჯეტს.
საბჭოთა სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებით აწარმოებს ეროვნული
შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის განაწილებასა და გადანაწილე-
ბას. სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად თავს იყრის ჩვენი ქვეყ-
ნის ფულადი შემოსავლების დიდი რაოდენობა, რომელიც წარიმარ-
დება სოციალისტური მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის
შესაქმნელად და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სხვა ღონისძიე-
ბათა დასაფინანსებლად. დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელ-
მწიფო ბიუჯეტი სოციალურ-კულტურული მშენებლობის, კულტურის
განვითარებისა და მშრომელთა ეკონომიკურ-მატერიალური პირობე-
ბის გაუმჯობესების, სოციალისტური მშენებლობის მატერიალურ-
ტექნიკური ბაზის შექმნისა და გაფართოების საქმეში.

სახელმწიფო ბიუჯეტი არის ფულადი სახსრების საერთო-სახელ-
მწიფოებრივი ცენტრალიზებული ფონდის გეგმაზომიერი წარმოქმნი-
სა და განაწილების ძირითადი ეკონომიკური ფორმა.

საბჭოთა კავშირის ბიუჯეტის შესრულებაში მეტ-ნაკლებად მონა-
წილეობს სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. ამიტომ კიდევ უფრო
მტკიცდება კავშირი საბიუჯეტო და სააღრიცხვო-საკონტროლო მუშ-
ობას შორის, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს საფინანსო ორგანოების,
სახელმწიფო და სამშენებლო ბანკების საფინანსო გეგმებზე დამყარე-
ბულ ურთიერთკავშირის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარ-
მოებთან და ორგანიზაცია-დაწესებულებებთან (მათ ცვლილებათა შე-
სახებ იხილეთ X XV თავის მე-3 პარაგრაფი). ასეთი ურთიერთკავშირი
წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების გაერთიანებული
აღრიცხვის საფუძველს, რამდენადაც, მიღებული წესის მიხედვით, სა-
ხალხო მეურნეობის დარგების საწარმოები და ორგანიზაციები სახელ-
მწიფო ბიუჯეტთან ურთიერთობის გამომხატველ ოპერაციებს თავიან-
თი ძირითადი საქმიანობის ბალანსებზე ასახავენ.

სახელმწიფო ბანკი ბიუჯეტურ ოპერაციებს ძირითადი საქმიანობის ბალანსზე ასახავს საბიუჯეტო კლასიფიკაციით დადგენილი წესის მიხედვით, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულების შესახებ დამოუკიდებელ ანგარიშგებას ადგენს.

საფინანსო ორგანოები, საბიუჯეტო დაწესებულებები და ორგანიზაციები ბიუჯეტის შესრულების ბუხპალტრულ ოპერაციებს დამოუკიდებელ ბალანსზე ასახავენ და დამოუკიდებელ ანგარიშგებას ადგენენ. სახელდობრ, საფინანსო ორგანოები — ბიუჯეტის შესრულების შესახებ, ხოლო საბიუჯეტო დაწესებულება-ორგანიზაციები — ხარჯთნუსხების შესრულების შესახებ.

ამრიგად, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბუხპალტრული აღრიცხვა ხორციელდება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ყალიბდება და ფორმდება საფინანსო ორგანოებში. იგი წარმოადგენს სოციალისტური სახალხო მეურნეობის ერთიანი აღრიცხვის შემადგენელ ნაწილს და ცნობილია საბიუჯეტო აღრიცხვის სახელწოდებით.

საბიუჯეტო აღრიცხვის ძირითადი ამოცანაა სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო და ფაქტიური შესრულების უზრუნველყოფა, ე. ი. საკაეშირო ბიუჯეტის, მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯების ბუხპალტრული ასახვა და მიმდინარე კონტროლი სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის, ანუ ჩვენი სახელმწიფოს საფინანსო გეგმის შესრულების პროცესებზე.

საბიუჯეტო აღრიცხვის, როგორც სახელმწიფოებრივი აღრიცხვის შემადგენელი ნაწილის, განვითარების მთელი ისტორია მოწმობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის იმ დიდ მზრუნველობას, რასაც იგი იჩენდა და იჩენს სოციალისტური აღრიცხვისა და, კერძოდ, ბიუჯეტური აღრიცხვის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის.

სოციალისტური ეკონომიკის ზრდის, დაგეგმვის სრულყოფისა და მეურნეობრივი ანგარიშთანობის მტკიცე დანერგვის ნიადაგზე სისტემატურად მადლდებოდა სახალხო მეურნეობრივი აღრიცხვის, კერძოდ, კი ბიუჯეტური აღრიცხვის როლი.

ბიუჯეტური აღრიცხვა საბჭოთა ეკონომიკის განვითარების ყოველ ეტაპზე სოციალისტური მშენებლობის ამოცანების სამსახურში იღვა და ამ ამოცანების შესაბამისად ვითარდებოდა და უმჯობესდებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ძირფესვიანად შეიცვალა ხარჯთნუსხების შესრულების ანგარიშწარმოება საბიუჯეტო დაწესებულებებში. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა 1923 წელს გამოსცა ინსტრუქცია საბიუჯეტო დაწესებულებებში ბუხპალტრული აღრიცხვის წარმოების წესის შესახებ, რომე-

ლიც მოქმედებდა 1932 წლამდე. შემდგომ ეს ინსტრუქცია შეიცვალა სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის 1932 წლის ინსტრუქციით „საბიუჯეტო დაწესებულებათა ანგარიშწარმოების შესახებ“, რომელმაც დაადგინა ანგარიშთა ერთიანი ნომენკლატურა და ანგარიშთა კორესპონდენცია ბიუჯეტის ყველა რგოლის დაწესებულებისათვის. ინსტრუქცია ითვალისწინებდა აღრიცხვის რეგისტრებისა და ანგარიშგების ერთიან ფორმებს, ამასთან სინთეზური აღრიცხვის წარმოებას საკონტროლო უწყისებში, ხოლო ანალიზური აღრიცხვისათვის — დამხმარე დავთრებს ან ბარათებს, მაგრამ ისიც ყველა საბიუჯეტო დაწესებულებისათვის არ გულისხმობდა აღრიცხვის ერთიან წესებს.

საბიუჯეტო დაწესებულებათა აღრიცხვა-ანგარიშგების გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა 1936—1938 წლებში გამოსცა ახალი ინსტრუქცია, რომლითაც დადგინდა ორმაგი და მარტივი სისტემით ანგარიშწარმოების ერთიანი წესები; ადრე მოქმედი სამი ანგარიშთა გეგმის ნაცვლად შემოღებულ იქნა ორი: ერთი — საბიუჯეტო დაწესებულებათა ძირითადი საქმიანობის ხარჯთნუსხების შესრულების, ხოლო მეორე — მათი დამხმარე მეურნეობების სპეციალური სახსრების აღსარიცხავად.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ 1955 წლის სექტემბერში გამოაქვეყნა დებულება ბუხჰალტრული ანგარიშგებისა და ბალანსების შესახებ იმ საბიუჯეტო დაწესებულება-ორგანიზაციებისათვის, რომლებიც აღრიცხვას ორმაგი სისტემით აწარმოებდნენ. ამ დებულებით განისაზღვრა კრედიტების მთავარი განმკარგულებლების უფლებამოვალეობანი დაქვემდებარებული კრედიტების განმკარგულებელთა მიმართ, დაწესდა ბუხჰალტრული ანგარიშგებისა და ბალანსების წარდგენის ვადები, მისი განხილვის, დამტკიცებისა და საანგარიშო შემოწმებების წესი.

დებულებით ჩამოყალიბდა აგრეთვე მარტივი სისტემით ანგარიშწარმოების წესი და შემოიფარგლა იმ დაწესებულებათა წრე, რომლებსაც ანგარიშწარმოება ევალემა მარტივი სისტემით.

1955 წლის დეკემბერში გამოიცა ანგარიშთა ახალი ტიპობრივი გეგმა ანგარიშთა კორესპონდენციით, რომელმაც უზრუნველყო ბიუჯეტის ხარჯთნუსხის შესრულებისა და დამხმარე მეურნეობათა სპეციალური სახსრების შესრულების ბალანსების ერთ ანგარიშგებაში გაერთიანება.

შემდგომ პერიოდში, სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის 1960 წლის 17 სექტემბრის № 323 ბრძანებაზე დართული ინსტრუქციის თანახმად, ბიუჯეტური აღრიცხვა ხორციელდება ორმაგი სისტემით, რომელიც საკავშირო ბიუჯეტზე, მოკავშირე და ავტონომიური რეს-

პუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტსა და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ანგარიშწარმოების „ჟურნალ-მთავრულ“ ფორმას ითვალისწინებს.

ეს ინსტრუქცია უდევს საფუძვლად სსრკ ფინანსთა სამინისტროს 1973 წლის 27 დეკემბრის № 323 ბრძანებით დამტკიცებულ ამჟამად მოქმედ ინსტრუქციას, რომლის მიხედვით ხარჯთუნუსების შესრულების აღრიცხვა ხორციელდება ორმაგი სისტემით.

ინსტრუქციაში წარმოდგენილი ერთიანი ანგარიშთა გეგმა ტიპობრივია და უზრუნველყოფს ბიუჯეტის, ხარჯთუნუსებისა და დამხმარე მეურნეობების ბიუჯეტგარეშე სახსრების შესრულების აღრიცხვას საბიუჯეტო დაწესებულებების ძირითადი საქმიანობის ერთ ბალანსზე.

ისევე როგორც საბიუჯეტო ორგანიზაცია-დაწესებულებათა ხარჯთუნუსების აღრიცხვის ორგანიზაცია, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბუხპალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია ცაჭიროებდა ანგარიშწარმოების განვითარებულ რაციონალურ ფორმებს, აღრიცხვის ერთიან წესებს, მიმდინარე აღრიცხვის ანგარიშების ერთიან სისტემას აღრიცხვის ერთგვაროვანი რეგისტრებით (დავთრებითა და ბარათებით).

ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის ერთიანი წესები და ერთიანი ანგარიშთა გეგმა საფინანსო ორგანოებისათვის შემოღებულია სსრკ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის 1939 წლის 1 იანვრის ინსტრუქციით, რომლის საფუძველზე ყველა საფინანსო ორგანოსათვის დაწესდა ანგარიშწარმოების მემორიალურ-ორდერული ფორმა სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის რვა დავთრით. აქედან ორი დავთარი — რეგისტრაციის ჟურნალი და საკონტროლო დავთარი — ჰადრაკისებრ ბრუნვათა უწყისებთან ერთად, უზრუნველყოფდა სინთეზურ აღრიცხვას, დანარჩენი ექვსი კი განკუთვნილი იყო ანალიზური აღრიცხვისათვის.

სსრკ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1950 წლის 30 ნოემბრის ინსტრუქციით 1951 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა აღრიცხვის არსებული წესი. საკონტროლო დავთრის ნაცვლად შემოიღეს მთავარი დავთარი, რომელმაც გააუქმა ჰადრაკისებრ ბრუნვათა უწყისის წარმოება, მაგრამ გაზარდა ანალიზური აღრიცხვის რეგისტრების რიცხვი. აღრიცხვის რეგისტრების რაოდენობის გადიდებამ ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის გამარტივების ნაცვლად გართულება გამოიწვია. ნაწილობრივი ცვლილებები განიცადა ანგარიშთა გეგმამაც, მთელი რიგი ანგარიშებისა გადატანილ იქნა ბალანსგარეთ, რამდენიმე ანგარიში კიდევ დავმატა და, საბოლოოდ საბალანსო ანგარიშთა რაოდენობა გაიზარდა.

ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის ორგანიზაცია 1956 წლის 1 იანვრიდან კვლავ შეიცვალა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1955 წლის 2 დეკემბრის ინსტრუქციის საფუძველზე. გამარტივდა აღრიცხვა, შემოღებულ იქნა ახალი ანგარიშთა გეგმა, რითაც საბალანსო და ბალანსგარეშე ანგარიშების რაოდენობა 36-დან 28-მდე შემცირდა. ამის შედეგად შესაძლებელი გახდა ქრონოლოგიური და სისტემური აღრიცხვის ერთ დავთარში გაერთიანება და ანალიზური აღრიცხვის დავთრების რაოდენობაც ცხრიდან სამამდე შეიკვეცა.

ასევე თანდათანობით იცვლებოდა და ვითარდებოდა საკავშირო ბიუჯეტისა და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების შესრულების აღრიცხვის ორგანიზაცია. ამ ბიუჯეტების შესრულების ბუხჰალტრული აღრიცხვა 1952 წლის აგვისტომდე წარმოებდა სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის 1938 წლის 20 ნოემბრის ინსტრუქციით; ეს ინსტრუქცია შეიცვალა საბჭოთა კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1952 წლის ივლისის ინსტრუქციით, რომელმაც კვლავ საგრძნობლად გააუმჯობესა საკავშირო ბიუჯეტისა და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების შესრულების აღრიცხვა, შეამცირა ანგარიშთა რაოდენობა.

შემდგომში ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების აღრიცხვა-ანგარიშგება ხორციელდება სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1959 წლის 20 იანვრის № 21 ინსტრუქციის საფუძველზე, ხოლო საკავშირო ბიუჯეტისა და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების შესრულების ბუხჰალტრული აღრიცხვა ორგანიზებულია 1959 წლის თებერვლის ინსტრუქციით (მათში შეტანილი შესაბამისი ცვლილებებით).

ამჟამად საფინანსო ორგანოებში ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა-ხორციელდება სსრკ ფინანსთა სამინისტროს 1975 წლის 16 მაისის № 44 ბრძანებასთან დართული ინსტრუქციით.

საბიუჯეტო აღრიცხვის განვითარების განვლილი გზა მოწმობს, რომ მის აღრინდელ ორგანიზაციას არსებითი ნაკლოვანებები გააჩნდა. აღსანიშნავია, რომ 1938 წლამდე არ იყო შემუშავებული მიმდინარე აღრიცხვის ერთიანი დებულება, ერთიანი ანგარიშთა გეგმა, რაც ბუხჰალტრულ აღრიცხვაში შეუთანხმებლობას იწვევდა, ხელს უშლიდა ბიუჯეტის შესრულების ოპერაციების გაერთიანებას საბალანსო ანგარიშებში, ვერ უზრუნველყოფდა კონტროლს აღრიცხვა-ანგარიშგებაზე.

1939 წლიდან საბიუჯეტო აღრიცხვას მეტი აღმავლობა დაეტყო, მაგრამ მისი განვითარება მაინც ჩამორჩებოდა სოციალისტური მშენებლობის სულ უფრო მზარდ მოთხოვნებს აღრიცხვის მეთოდოლოგიაში, მის ცენტრალიზაციასა და მექანიზაციაში.

აღრიცხვა-ანგარიშგების განვითარების საქმეში დიდი როლი ეკუთვნის ანგარიშწარმოების მოწინავე ფორმებისა და რაციონალურ ანგარიშთა სისტემის შემოღებას, საბიუჯეტო კლასიფიკაციის გამარტივებას, ბიუჯეტისა და ხარჯთნუსხების შესრულების ცენტრალიზაციასა და მექანიზაციას.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბუხჰალტრული აღრიცხვის ანგარიშთა სისტემამ მაღალ დონეზე უნდა უზრუნველყოს ბიუჯეტის შესრულების პროცესებთან დაკავშირებული ყველა დაწესებულება-ორგანიზაციის სახსრების, წყაროებისა და საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების ურთიერთდაკავშირებული თანმიმდევრული აღრიცხვა და კონტროლი.

ბიუჯეტური აღრიცხვის განვითარებაში წამყვანი როლი ენიჭებოდა სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების აღრიცხვას, კერძოდ, სამრეწველო ბუხჰალტერიას.

ცნობილია, რომ მრეწველობაში იქმნებოდა ბუხჰალტრული აღრიცხვის პროგრესული ფორმები და მეთოდები, ინერგებოდა ანგარიშწარმოების გაუმჯობესებული რეგისტრები. მრეწველობაში შექმნილ ბუხჰალტრულ ანგარიშწარმოების ფორმებსა და წესებს, მასალების აღრიცხვის ოპერატიულ-ნაშთობრივ მეთოდს, აღრიცხვის ყურნალ-ორდერულ ფორმასა და სხვ. წარმატებით იყენებენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. საბიუჯეტო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შემოღებულ აღრიცხვის ყურნალ-ორდერულ ფორმას საფუძვლად დაედო სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგებისათვის გათვალისწინებული ანგარიშწარმოების სწორედ ეს პროგრესული ფორმა, რომ არაფერი ვთქვათ აღრიცხვის პერფორატორულ ფორმაზე, რომელიც საბიუჯეტო დაწესებულება-ორგანიზაციებში ინერგება ამჟამად სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მოქმედი მექანიზებულ აღრიცხვის პერფორაციული ფორმის ანალოგიურად, თანამედროვე პერფორაციული მანქანები უზრუნველყოფენ არა მარტო აღრიცხვის მექანიზაციას, არამედ სააღრიცხვო-გამოსათვლელი სამუშაოების უფრო შრომატევადი ოპერაციების მნიშვნელოვან ავტომატიზაციასაც. ეს მანქანები წარმოადგენენ რთულ აგრეგატს, რომელიც შედგება 4 სახის ცალკე მანქანისაგან: პერფორატორის, მაკონტროლებლის, დამხარისხებლისა და ტაბულატორისაგან.

ბუხჰალტრულ სამუშაოთა შესრულების დროს პერფორაციულ-გამომთვლელ მანქანებზე მუშაობის პროცესი შედგება: პერფორაციის,

პერფორაციის კონტროლის, დახარისხების, ტაბულაგრამების, ფაბულაციისა და პერფორატების სპეციალური დამუშავების ოპერაციებისაგან. აქედან პერფორაცია ითვლება გამოთვლითი სამუშაოების მექანიზაციის პირველ საფეხურად, მისი მეორე საფეხური — პერფორაციის კონტროლი გულისხმობს პირველადი საბუთებიდან პერფორატებზე მონაცემების გადატანის სისწორის შემოწმებას.

მექანიზებული პროცესის მესამე საფეხური — პერფორატების დახარისხება წარმოადგენს პერფორატების განსაზღვრული ნიშნებით დაჯგუფებას ისეთი თანმიმდევრობით, რაც უზრუნველყოფს მექანიზებულად ჯამების მიღებას.

სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ხარჯების
დაბეგმვის სრულყოფის საფუძვლები

1. სახელმწიფო ბიუჯეტის როლი საფინანსო დაბეგმვის
სრულყოფაში

სკკ XXVII ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს შესუსტდა ეკონომიკაზე საფინანსო-საკრედიტო ზემოქმედება. საფინანსო სისტემა საკმარის გავლენას ვერ ახდენს ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდაზე. დაისახა ამოცანა — სრულყოფით ბიუჯეტში ბრუნვის გადასახადის, მოგებიდან გადასახდელებისა და სხვა შემოსულობათა გადახდევენების პრაქტიკა.

ყრილობის ამ მითითების შესასრულებლად სკკ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილებები ეკონომიკური მართვის ძირეული გარდაქმნის შესახებ. ფინანსური გარდაქმნის სტრუქტურა მოცემულია სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის № 819 დადგენილებაში და სსრ კავშირის კანონში საწარმოს შესახებ. ეკონომიკური გარდაქმნა მოითხოვს მისი ზემოქმედების გაძლიერებას სოციალურ-ეროვნული შემოსავლის, მოგებისა და სახელმწიფოს სხვა ფინანსური რესურსების განუხრელ ზრდაზე, საზოგადოების ყველა რგოლში ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე, მეურნეობრივი ანგარიშიანობის განმტკიცებაზე, საწარმოების (გაერთიანებების) სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოებასა და პასუხისმგებლობის ამაღლებაზე, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდაზე, ასევე საწარმოების, სამეურნეო ორგანიზაციების, საბიუჯეტო დაწესებულებების ბიუჯეტთან ურთიერთობის დამყარებას გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების საფუძველზე.

სტაბილური გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივები განსაზღვრავს ბიუჯეტთან ურთიერთობის, შრომის ანაზღაურების ფონდებისა და ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ფორმირებას. საწარმოების (გაერთიანებების) უფლებების გაფართოებასთან დაკავშირებით დამტკიცებული ნორმატივების, ნორმებისა და განაკვეთების ზე-

ვით მოგებისა და სხვა ფინანსური რესურსების ამოღება და გადანაწილება აკრძალულია. სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადასვლა არ ათავისუფლებს საწარმოებს ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების შეუსრულებლობისაგან. ისინი გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესაბამისად ბიუჯეტში გადაიხდიან საწარმოო ფონდების, შრომითი და ბუნებრივი რესურსების საფასურს. რაც უკეთ გამოიყენებს რესურსებს, მით მეტი სახსრები დარჩება საწარმოს განკარგულებაში წარმოების განვითარებისა და სოციალური ბაზის შესაქმნელად.

მალდება სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც ფულადი რესურსების ცენტრალიზებული ფონდის მნიშვნელობა და როლი სახალხო მეურნეობის საფინანსო გეგმების სისტემაში. ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების ფორმირება ხდება გრძელვადიანი ეკონომიკური მაჩვენებლებისა და ნორმატივების საფუძველზე, რომელიც გათვალისწინებულია ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმასა და საფინანსო გეგმებში.

საწარმოები (გაერთიანებები), თვითდაფინანსების პრინციპებიდან გამომდინარე, როგორც ზემოთ აღინიშნა, სტაბილური ნორმატივების საფუძველზე მონაწილეობას ღებულობენ სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების ფორმირებაში, რომელიც უზრუნველყოფს საერთო სახელმწიფოებრივი ღონისძიებების დროულად და შეუფერხებლივ დაფინანსებას, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების გადიდებას, ქვეყნის თავდაცვას და სახელმწიფოს სხვა მოთხოვნათა დაკმაყოფილებას.

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში, სახელმწიფო ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილების პროცესში ბიუჯეტში თავს იყრის საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ფულადი სახსრები. საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტში სახსრების შეტანა და ბიუჯეტიდან სახსრების მიღება — ეს არის საწარმოებს, სამეურნეო ორგანიზაციებსა და ბიუჯეტს შორის ეკონომიკური ურთიერთობა, მათი ფონდების მოძრაობა, საწარმოო ორგანიზაციების განკარგულებაში არსებული ფონდები გადადის ბიუჯეტის განკარგულებაში, საიდანაც ხდება მისი გეგმიური განაწილება და გადანაწილება.

ბიუჯეტის ფონდების განაწილებისას სახსრების ნაწილი ხმარდება წარმოების სფეროს შემდგომ განვითარებასა და გაფართოებას, ხოლო ნაწილი მიიმართება არამწარმოებელი სფეროს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამასთან ერთად, სახსრების განაწილებისას მხედველობაში მიიღება ის გარემოება, რომ არამწარმოებლური სფერო ძალზე სწრაფი ტემპით იზრდება, რაც ხელს უწყობს წარმოე-

ბის სფეროს წინსვლას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ბიუჯეტის ფონდების გეგმურ განაწილებასა და გადანაწილებას საფუძვლად უდევს ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებების შესაბამისად იცვლება არამწარმოებელი სფეროს და, განსაკუთრებით, საბიუჯეტო დაწესებულების დაფინანსების წესი. მუშავდება გრძელვადიანი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივები და დაფინანსების ნორმები, რომლებიც ორიენტირებული იქნება საქმიანობის საბოლოო შედეგებზე. საბიუჯეტო დაწესებულებები დაზოგილ სახსრებს მოახმარებენ თავიანთ სოციალურ და საწარმოო საჭიროებებს. შეწყდა მათ მიერ დაზოგილი სახსრების ჩამორთმევისა და მომდევნო საგეგმო პერიოდისათვის ამ თანხების ოდენობით ასიგნებათა შემცირების პრაქტიკა.

იმასთან დაკავშირებით, რომ ძალზე გართულებულია სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ხარჯების დაგეგმვა და დაფინანსება, შესაძლებლად მიგვაჩნია ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების, ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენისას სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები დაიგეგმოს გრძელვადიანი სტაბილური ეკონომიკური (ფინანსური) ნორმატივების მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ხარჯებზე კრედიტის გახსნა მოხდეს წელიწადში ერთხელ, წლის დაწყებამდე, კვარტალური დაყოფით; ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფი საბიუჯეტო დაწესებულებებისა კი თვეში ერთხელ კვარტალური ხარჯების ერთი მესამედის ოდენობით.

აღნიშნული ღონისძიებების გატარება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ბიუჯეტის შედგენა-შესრულების შემდგომი სრულყოფის საქმეში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა და წარმოადგენს საბჭოთა ხალხის ცხოვრების ღონის სისტემატური გაუმჯობესება, საბჭოთა ოჯახის კეთილდღეობისათვის, მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა. ჩვენი სახელმწიფო თანამიმდევრულად და განუხრელად ახორციელებს სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის ყოველმხრივი განვითარების ვრცელ პროგრამას.

1965-1985 წწ. განხორციელდა ახალი მნიშვნელოვანი ღონისძიებები მოსახლეობის სოციალურ-კულტურული მომსახურების სფეროს

გაუმჯობესებისათვის, გაფართოვდა და გაიზარდა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან უზრუნველყოფილია მოსახლეობის უფასო განათლება, კვალიფიკაციის ამაღლება, სამედიცინო დახმარება, პენსიების გაცემა, მორიგი შვებულების ანაზღაურება, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში უფასო ან შეღავათიანი საგზურების გაცემა, სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა შენახვა და რიგი სხვა დახმარებები და შეღავათები.

სსრ კავშირში მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მოსახლეობის მიერ მიღებული დახმარებები და შეღავათები 1965—1985 წწ. 41,9 მილიარდი მანეთიდან 147,0 მილიარდ მანეთამდე, ე. ი. 3,5-ჯერ გადიდა. აქედან განათლებაზე შესაბამისად გადიდა 2,9-ჯერ, ჯანმრთელობის დაცვაზე და ფიზიკურ კულტურაზე — 2,9-ჯერ, სოციალურ უზრუნველყოფაზე და სოციალურ დაზღვევაზე — 4,2-ჯერ. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ამავე პერიოდში 182 მანეთიდან 530 მანეთამდე, ანუ 2,9-ჯერ გადიდა¹. ჩვენს რესპუბლიკაში ასეთი დახმარებები და შეღავათები შემდეგი მონაცემებით ხასიათდება²:

	1965 წ.	1985 წ.	1985 წ. 1965 წ. %-%-ობით
დახმარებები და შეღავათები სულ (მლნ. მან.)	668,8	2318,0	316
აქედან:			
განათლება	239,9	782,1	326
ჯანმრთელობის დაცვა და ფიზიკური კულტურა	125,1	336,3	269
სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაზღვევა	219,1	941	429
პენსიები	178,2	701,0	393
დახმარებები	38,8	170,3	439
დახმარებები და შეღავათები ერთ სულ მოსახლეზე (მანეთობით)	148,2	444,1	300

როგორც მოტანილი ციფრებიდან ჩანს, დახმარებები და შეღავათები, რომლებსაც მოსახლეობა ლებულობს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან, რესპუბლიკაში წლითიწლობით იზრდება.

¹ სსრკ სახალხო მეურნეობა 1985 წელს, მ., „ფინანსები და სტატისტიკა“, 1986, გვ. 412.

² საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1985 წელს, თბ., 1986, გვ. 180.

ამასთან აღსანიშნავია, რომ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან დახმარებები და შეღავათები ერთ სულ მოსახლეზე თუ სსრ კავშირში 1965 წელთან შედარებით 1985 წ. გადიდა 2,9-ჯერ, ასეთი საქართველოში 3-ჯერ გაიზარდა. ასეთი ზრდა ძირითადად მიღწეულია მეათე-მეთერთმეტე ხუთწლეულებში. ამასთან აღსანიშნავია, რომ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან ერთ სულ მოსახლეზე გაცი-მული დახმარებებისა და შეღავათების მაჩვენებლების მიხედვით ჩვე-ნი რესპუბლიკა საშუალო-საკავშიროს 1985 წელს ჩამორჩებოდა 86 მანეთით.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების უდიდესი ნაწილი სახელ-მწიფო ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფი-ნანსებლად მიიმართება. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდის მოსახ-ლეობამდე დაყვანის მთავარ არხს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუ-ჯეტი. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება სახელ-მწიფო ბიუჯეტიდან სისტემატურად იზრდება. თუ რა დიდი ოდენო-ბით სახსრებს ხარჯავს ამ მიზნით საბჭოთა სახელმწიფო, ნათლად ჩანს ჩვენი რესპუბლიკის მაგალითზე.

საბიუჯეტო ასიგნებანი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებაზე³
(მლნ. მანეთობით)

წლები	სულ ხარჯები	მათ შორის				
		განათლება	ჯანმრთელობის დაცვა	ფიზიკური კულტურა	მრავალშვილიან და მარტოხელა დედებზე სახელმწიფო დახმარება	სოციალური უზრუნველყოფა
1	2	3	4	5	6	7
1965 წელი	504,7	270,9	116,6	2,0	7,1	108,1
მეჩრე ხუთწლედი	3082,3	1643,4	705,6	17,2	32,0	684,6
მათ შორის 1970 წელი	715,8	372,8	159,8	4,0	5,8	173,4
მეცხრე ხუთწლედი	4211,2	2259,4	889,6	19,4	24,4	1018,4
მათ შორის 1975 წელი	947,7	503,4	196,8	4,2	4,2	239,1
მეათე ხუთწლედი	5430,0	2838,8	1135,0	25,8	16,0	1414,4
მათ შორის 1980 წელი	1206,6	623,6	260,9	5,2	2,6	314,3
მეთერთმეტე ხუთწლედი	6833,4	3506,6	1442,4	33,0	17,0	1833,8
მათ შორის 1985 წელი	1511,1	782,1	313,8	8,9	4,0	402,3
1966—1985 წწ.	19557,4	10248,2	4172,0	95,4	90,0	4951,2
1985 წ. % -ობით						
1965 წ.	299	289	269	445	56	372

³ ცხრილი შედგენილია ჩემ მიერ საქართველოს სსრ 1966—1985 წწ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების საფუძველზე.

როგორც ცხრილიდან ჩანს, საბიუჯეტო ასიგნებანი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებაზე 1985 წელს 1965 წლის ღონეს 3-ჯერ აღემატება. მერვე-მეთერთმეტე ხუთწლეულებში სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებას მოხმარდა 19 557 მლნ. მანეთი. აქედან განათლებას — 10248 მლნ., ანუ მთელი ასიგნების 52 პროცენტი, ჯანმრთელობის დაცვას — 4172 მლნ., ხოლო სოციალურ უზრუნველყოფას — 5041 მლნ. მანეთი.

საზოგადოებრივი წარმოების განვითარება და ეროვნული შემოსავლის ზრდა გვაძლევს საშუალებას გამოვყოთ დიდი ოდენობის მატერიალური და ფინანსური რესურსები ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. მეთორმეტე ხუთწლეულისათვის დამახასიათებელია საგრძნობლად გადიდდეს ამ დანიშნულების სახსრების გამოყოფა. მეთერთმეტე ხუთწლეულში დაიწყო და მიმდინარე ხუთწლეულში გრძელდება ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმა, რომლის საფუძველზე დიდი ოდენობით სახსრებია გამოყოფილი მასწავლებლებისა და სახალხო განათლების სხვა მუშაკთა ხელფასის მომატებისათვის, სკოლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის; მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის მუშაკთა დაინტერესების მიზნით მეთორმეტე ხუთწლეულში დაიწყო და 1991 წელს დამთავრდება ამ დარგის მუშაკთა ხელფასის მომატება და მატერიალური და მორალური სტიმულირება, 1987 წელს დაიწყო უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ღონისძიებების განხორციელება. სისტემატურად ტარდება ღონისძიებები სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის განვითარებისათვის.

დიდია საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელობა მოქალაქეებისათვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების განხორციელებისათვის.

ჩვენს რესპუბლიკაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობს 0,9 მლნ. კაცზე მეტი, რომელთაც ემსახურება 90 ათასი მასწავლებელი. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ყოველწლიური ხარჯები 270 მლნ. მანეთს აღემატება. დიდი ოდენობით სახსრები გამოიყოფა სკოლების მშენებლობისათვის, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვისათვის, სასწავლო მოწყობილობებისა და ინვენტარის შესაძენად. სასკოლო რეფორმის ღონისძიებების გატარებისათვის რესპუბ-

ლიკის სახელმწიფო ბიუჯეტით ყოველწლიურად გამოიყოფა 40 მლნ. მანეთზე მეტი.

დიდი ოდენობით სახსრებს გამოყოფენ საბაზო და საშეფო ორგანიზაციები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, შენობა-ნაგებობათა კაპიტალური რემონტისათვის, მოწყობილობის შესაძენად და ა. შ. ასეთ სახსრებს საწარმოები და ორგანიზაციები გამოყოფენ ზეგეგმური დაგროვებიდან (ის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც გადაყვანილი არიან მოგების განწილების ახალ წესზე და ეკონომიკურ ექსპერიმენტებზე ზეგეგმური შოგებიდან მათ განკარგულებაში დატოვებული სახსრებიდან).

სოფლად მომუშავე მასწავლებლების დამაგრების მიზნით სახელმწიფო განსაკუთრებულ სახსრებს გამოყოფს უფასო კომუნალური მომსახურების უზრუნველსაყოფად.

სკოლამდელი დაწესებულებების შენახვისათვის, სადაც 165 ათასი ბავშვია, იხარჯება 70 მლნ. მანეთზე მეტი.

დიდი ღონისძიებები ტარდება უმაღლეს და პროფტექსასწავლებლებში კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის, საშუალო განათლების მქონე სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო განათლების სასწავლებლები ყოველწლიურად უშვებენ 32 ათასზე მეტ სპეციალისტს. პროფტექსასწავლებლები ამზადებენ 43 ათას კვალიფიციურ მუშას. 1985 წელს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან კადრების მომზადებაზე დაიხარჯა 157 მლნ. მანეთი, რაც 112 მლნ. მანეთით აღემატება 1965 წლის დონეს.

რესპუბლიკაში სისტემატური მუშაობა მიმდინარეობს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისათვის. იზრდება საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების ქსელი, მტკიცდება და სრულყოფილი ხდება მათი მატერიალური ბაზა, იზრდება სამედიცინო მომსახურების ხარისხი.

რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება 55,4 ათ. საწოლი, 28,0 ათ. ექიმი, 60,3 ათ. საშუალო სამედიცინო პერსონალი. 1986 წელს ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის ღონისძიებების ხარჯები 322,7 მლნ. მანეთს აღემატებოდა.

დიდი ღონისძიებები ტარდება სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი განვითარებისათვის. ამ დანიშნულებით გამოყოფილი სახსრები ყოველწლიურად იზრდება და 1985 წელს 400 მლნ. მანეთს გადააჭარბა, რაც 294 მლნ. მანეთით მეტია 1965 წელთან შედარებით.

არამწარმოებლური სფეროს დაწესებულებების ხარჯების დაფინანსება ხდება ბიუჯეტიდან, რის გამო ისინი განსხვავდებიან იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, რომლებიც იმყოფებიან სამე-

ურნეო ანგარიშზე. ასეთ ორგანიზაციებს, როგორც წესი, თავიანთი შემოსავლები არ გააჩნიათ და ეწოდება საბიუჯეტო დაწესებულება. საბიუჯეტო დაწესებულებებს მიეკუთვნება სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებები, ყველა სახის სკოლები, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლები, უმრავლესი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის და სხვა დაწესებულებები. ამავე წესით ხდება სახელმწიფო მმართველობის, სასამართლო და პროკურატურის ორგანოების, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების მთელი რიგი ღონისძიებების დაფინანსება და ა. შ.

ბიუჯეტის ხარჯების ნორმირება ძირითადად ხდება ქსელისა და კონტინგენტის ხარჯების (მატერიალური და ფულადი, აუცილებელი და გაანგარიშებითი) ნორმების მიხედვით. სკოლების, კლასების, მათში მოსწავლეთა რაოდენობა, საავადმყოფოებისა და საავადმყოფოს საწოლების რაოდენობა, ხარჯების ნორმა ერთ კლასზე, ერთ საწოლზე, ერთ ავადმყოფზე, ერთ ბავშვზე, ერთ დაწესებულებაზე და ა. შ. ქსელის მაჩვენებლები დარგების მიხედვით გათვალისწინებულია ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმაში.

2. ხარჯები განათლებაზე, მეცნიერებაზე და კულტურაზე

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში აყვავდა და გაიფურჩქნა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებიდან სისტემატურად ზრუნავენ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისა და, განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობის სწავლა-განათლებისა და მაღალი კულტურისათვის. სოციალისტური სახელმწიფო, როგორც ქვეყნის მოწინავე საზოგადოება, მოითხოვს შრომის მაღალ ნაყოფიერებას, მოწინავე მეთოდებისა და ტექნიკის დანერგვას. ყოველივე ეს შეუძლებელია სათანადო განათლებისა და კულტურის, ადამიანებში მაღალი შეგნების ჩამოყალიბებისა და ყველაზე საუკეთესოს ათვისების გარეშე.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში შეიქმნა სათანადო პირობები სწავლა-განათლების ფართოდ დანერგვისა და ხალხის კულტურული წინსვლისათვის. თუ 1897 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებით რესპუბლიკაში განათლებული იყო 9—49 წლის ასაკის მოსახლეობის 23,6 პროცენტი, უკვე 1926 წლის ბოლოსათვის ეს რიცხვი ორჯერ გადიდდა და 53,0 პროცენტს გადააჭარბა. 1979 წლის აღწერამ

დაგვანახა, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში 9—49 წლის ასაკის მოსახლეობიდან მხოლოდ 0,07 პროცენტს არ ჰქონდა განათლება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე 1914/15 სასწავლო წელს საქართველოში იყო სხვადასხვა ტიპის 1765 სკოლა, რომლებშიც სწავლობდა 157,1 ათ. მოსწავლე და ასწავლიდა 5,9 ათ. მასწავლებელი, იყო 1 უმაღლესი სასწავლებელი 0,3 ათასი სტუდენტით, 5 საშუალო სპეციალური სასწავლებელი 0,5 ათასი მოსწავლით. ყოველ 10 000 მცხოვრებზე მოდიოდა უმაღლესი სასწავლებლის 1 სტუდენტი და საშუალო სპეცსასწავლებლის 2 მოსწავლე.

საბჭოთა წყობილებამ ყველა საჭირო პირობა შექმნა განათლებისა და კულტურის განვითარებისათვის.

მიუხედავად მიიმე პირობებისა, ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ ძალების მობილიზაციის საშუალებით შეძლო 1940 წლისათვის 1914 წელთან შედარებით სკოლების რაოდენობა გაედიდებინა 4783-მდე, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა — 766.6 ათასამდე.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ ახალგაზრდა თაობის სწავლა-აღზრდისათვის, ჩვენს დიად სამშობლოში ახალგაზრდობა განსაკუთრებული სიყვარულითა და მზრუნველობით არის გარემოცული. მას ყველა პირობა აქვს შექმნილი სწავლისათვის, მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებისათვის.

რესპუბლიკაში სახალხო განათლების დარგში მიღწეულ წარმატებებზე ნათელ წარმოდგენას იძლევა თანდართული ცხრილი⁴ (გვ. 42):

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, საქართველოში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შემდეგ სხვა დარგებთან ერთად სახალხო განათლებაში დიდი ძვრები მოხდა.

1985/86 სასწავლო წლისათვის რესპუბლიკაში ირიცხებოდა 3.8 ათ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა 908,8 ათ. მოსწავლით, სადაც ასწავლიდა 90 ათ. მასწავლებელი, რაც 1914/15 სასწავლო წლის მონაცემებს აღემატება 2 ათ. სკოლით, 751,7 ათ. მოსწავლით და 84,1 ათ. მასწავლებლით.

საგრძობლად გადიდა საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებისა და მათში მოსწავლეთა და სტუდენტთა რაოდენობა. 1985/86 სასწავლო წელს ყოველ 10 ათას მოსახლეზე მოდიოდა უმაღლესი სასწავლებლის 169 სტუდენტი და საშუალო სპეციალური სასწავლებლის 103 მოსწავლე. საშუალო-საქვეშაო მაჩვენებელს ჩამორჩებოდა, შესაბამისად, 16 სტუდენტით და 58 მოსწავლით⁵.

⁴ საქ. სსრ სახალხო მეურნეობა 60 წლის მანძილზე, თბ., 1980, გვ. 236—253 და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1985 წელს, თბ., 1986, გვ. 202, 234, 239, 248, 249, 250.

⁵ სსრკ სახალხო მეურნეობა 1985 წელს, მოსკოვი, 1986, გვ. 511.

	1914/ 15 წწ.	1940/ 41 წწ.	1960/ 61 წწ.	1985/ 86 წწ.
1. ყველა სახის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა	1,8	4,8	4,7	3,8
2. მოსწავლეთა რაოდენობა (ათასობით)	157,1	766,6	702,8	908,8
3. მასწავლებელთა რაოდენობა (ათასობით)	5,9	31,2	60,0	90,0
4. საბავშვო ბაღებისა და ბავა-ბაღების რაოდენობა წლის ბოლოსათვის	X	664	669	2305
5. მათში ბავშვთა რაოდენობა (ათასობით)	X	39	46	189,5
6. უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა	1	21	18	19
7. მათში სტუდენტების რაოდენობა (ათასობით)	0,3	28,5	56,3	88,5
8. საშუალო-სპეციალური სასწავლებლები — სულ	5	192	81	91
9. მათში მოსწავლეთა რაოდენობა (ათასობით)	0,5	26,1	26,3	54,1
10. ყოველ 10000 მოსახლეზე მოდის:				
— უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი	1	77	134	169
— საშუალო სპეციალური სასწავლებლის მოსწავლე	2	71	63	103
11. მასობრივი ბიბლიოთეკების რაოდენობა წლის ბოლოსათვის	X	1599	3170	4264
12. საკლუბო დაწესებულების რაოდენობა წლის ბოლოსათვის	X	1483	1953	2705
13. მუზეუმების რაოდენობა წლის ბოლოსათვის	X	38	68	118
14. მათში დასწრება (ათასობით)	X	520	1297	8078

საბავშვო ბაღებისა და ბავა-ბაღების რაოდენობა 1941—1985 წწ. 664-დან 2305-მდე გაიზარდა, ხოლო მათში ბავშვთა რაოდენობა შესაბამისად 39 ათასიდან 189,5 ათასამდე.

სკკპ XXVII ყრილობამ კომუნისტური მშენებლობის განსაკუთრებულ ამოცანათა შორის ერთ-ერთ ძირითად ღონისძიებად სახალხო განათლების დონის განუხრელი ამაღლება განსაზღვრა. აღნიშნულ დირექტივებში ნათქვამია: „უფრო სრულად უნდა განვხორციელოთ სწავლებისა და ნაყოფიერი შრომის შეხამება, ლენინური პრინციპები, უფრო მტკიცედ ვიღვაწოთ, რათა გავზარდოთ სწავლების ეფექტიანობა, ძირეულად გავაუმჯობესოთ ახალგაზრდობის მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისა და შრომისათვის; აღვზარდოთ ახალი საზოგადოების შეგნებული მშენებლები“⁶.

ბოლო წლებში სახელმწიფო დიდ სახსრებს გამოყოფს სახალხო განათლების ღონისძიებათა შეუფერხებელი დაფინანსებისათვის. ამის ნათელ დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი რესპუბლიკის მაგალითი.

⁶ სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1986, გვ. 74.

ბოლო ხუთწლედში რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდასთან ერთად გაიზარდა ასიგნებათა ოდენობა სახალხო განათლების ღონისძიებებზე. საანგარიშო მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1965—1985 წწ. ეს ხარჯები რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში გადიოდა 544 მლნ. მანეთით და 815 მლნ. მანეთს მი:ღწია, რაც ნათლად ჩანს შემდეგი მონაცემებიდან:

(მლნ. მანეთობით)

წლები	საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი	მათ შორის ხარჯები სახალხო განათლებაზე
1965	1046,3	270,9
1970	1466,3	370,7
1975	1970,1	503,4
1980	2447,6	623,6
1985	3290,4	782,1
1986	3559,0	814,9

როდესაც ვიხილავთ განათლების ღონისძიებების დასაფინანსებლად გაწეულ ხარჯებს, არ შეიძლება ყურადღება არ შევაჩეროთ იმ დიდ ღონისძიებებზე, რომელსაც ახორციელებენ ჩვენი პარტია და მთავრობა ბავშვთა და მოზარდთა თაობის აღზრდისათვის.

ჩვენ აქ ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ ღონისძიებებზე, რომელთა დაფინანსებას რესპუბლიკის ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი უკავია.

საბჭოთა კავშირში შექმნილია სახლხო განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც აერთიანებს ურთიერთდამაკავშირებელ შემდეგ რგოლებს: სკოლამდელ დაწესებულებებს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, სკოლის გარეშე დაწესებულებებს, პროფესიულ-ტექნიკური განათლების, საშუალო-სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ მომზადებას, ადამიანების კომუნისტურ აღზრდას, კადრების მომზადებას და ა. შ.

ამ დაწესებულებების შენახვაზე და განვითარებაზე გამოიყოფა დიდი ოდენობით საბიუჯეტო ასიგნებები. ასე, რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტით 1987 წელს გათვალისწინებული იყო 880 მლნ. მანეთი. მათ შორის 290 მლნ. მანეთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის.

განათლების ხარჯების დაგეგმვა ხდება დაწესებულებების სახეების მიხედვით: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები (დაწყებითი, რვაწლიანი, საშუალო), სკოლა-ინტერნატები, მუშა ახალგაზრდობის სკო-

ლები და ა. შ. ადგილმდებარეობის გათვალისწინებით (ქალაქი, სოფელი).

1960—1985 წლები საშუალო სკოლების რაოდენობის ინტენსიური ზრდის წლებია. სამოციანი წლების დასაწყისიდან რესპუბლიკაში საშუალო სკოლების რაოდენობა სწრაფი ტემპით იზრდებოდა. დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რიცხვში თუ 1945/46 სასწავლო წელს იყო 756 საშუალო სკოლა, ხოლო 1965/66 სასწავლო წლისათვის — 1200, 1985/86 სასწავლო წლისათვის მათმა რიცხვმა 1820-ს გადააჭარბა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დაწყებითი სკოლების რაოდენობა ამავე პერიოდში 2168-დან 955-მდე შემცირდა, ხოლო არასრული საშუალო სკოლებისა — 1186-დან 871-მდე, მაშინ, როდესაც მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა 593,1 ათასიდან 861,4 ათასამდე, ხოლო მასწავლებელთა რიცხვი — 35,2 ათასიდან 88,4 ათასამდე. ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ომის შემდგომ წლებში ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს დიდი ღონისძიება — ახალგაზრდობა გადაიყვანეს საყოველთაო საშუალო განათლებაზე, რასაც თან მოჰყვა საშუალო სკოლების მშენებლობა და დაწყებითი და არასრული საშუალო სკოლების შემცირება და გაუქმება, ამჟამად თითქმის ყველა სოფელში, მუშათა დასახლებაში გახსნილია საშუალო სკოლები.

1985/86 სასწავლო წლისათვის არსებული ყველა სახის 3,8 ათ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან, სადაც სწავლობდა 908,8 ათ. მოსწავლე, ნახევარზე მეტი, ანუ 2733 სკოლა 933,7 ათ. მოსწავლისათვის, აშენებულია 1946—1985 წლებში. მხოლოდ ბოლო 1971—1985 წწ. აშენდა 1170 სკოლა 481,3 ათასი მოსწავლისათვის.

1965/66 — 1985/86 სასწავლო წლებში საშუალოდ ერთ სკოლაში მოსწავლეთა რიცხვი სსრ კავშირში 226-დან 317-მდე, ანუ 91 მოსწავლით გადიდა, საქართველოს სს რესპუბლიკაში შესაბამისად 201-დან 239-მდე, ანუ 38 მოსწავლით. ეს იმის შედეგია, რომ ჩვენი რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში ადგილი აქვს მცირე კომპლექტური სკოლებისა და კლასების არსებობას, რომელთა აუცილებლობა ცხოვრებით არის ნაკარნახევი.

სკოლის საკითხები მუდამ იყო და არის საბჭოთა სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში. ამაზე ნათლად მეტყველებს ფაქტები და ციფრები, რომლებიც ჩვენ მოვიტანეთ. ამის ყველაზე კარგ დადასტურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სკოლების დასაფინანსებლად გამოყოფილი სახელმწიფო სახსრები სისტემატურად იზრდება. ეს ხარჯები 1961—1985 წწ. 74,9 მლნ. მანეთიდან 239,8 მლნ. მანეთამდე, ანუ 3,2-ჯერ გადიდა.

რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება სკოლების შენობათა კაპიტალური რემონტისათვის, მათი ახალი აპარატებითა და სასწავლო ხელსაწყოებით შევსებისათვის, გამოთვლითი ტექნიკისა და ლინგვონური დანადგარ-მოწყობილობის შესაძენად. აღნიშნული ღონისძიებების განსახორციელებლად ბიუჯეტიდან გამოიყოფა სათანადო ასიგნებები. მხოლოდ 1976—1985 წწ. სკოლების კაპიტალურ რემონტზე დაიხარჯა 80,8 მლნ. მანეთი, სასკოლო ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენაზე 61,2 მლნ. მანეთი, ახალი წიგნების შეძენაზე 28,7 მლნ. მანეთი.

როგორც ქვემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს, სკოლების ხარჯებში დიდი ხვედრითი წილი უკავია ხელფასს. მისმა მოცულობამ 1985 წლის ხარჯებში შეადგინა 190,1 მლნ. მანეთი, რაც 3,5-ჯერ, ანუ 135,9 მლნ. მანეთით აღემატება 1961 წლის დონეს. აღნიშნულის ზრდას საფუძვლად უდევს ქსელის მაჩვენებლების გაფართოება და პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები პედაგოგიური და სხვა პერსონალის ხელფასების განაკვეთების გასაზრდებლად. 1960—1985 წწ. სახალხო განათლებაში ერთი მუშაკის საშუალო თვიური ხელფასი 66,5 მანეთიდან 134,4 მანეთამდე გაიზარდა.

ღლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხარჯების დინამიკა⁷
(ათას მანეთობით)

წლები	სულ ხარჯები	მ ა თ შ ო რ ი ს		
		ხელფასი (მუხლი 1)	ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენა (მ. 12)	შენობებისა და ნაგებობათა კაპიტალური რემონტი (მ. 16)
1961	74 864	54 249	2 858	3 509
1966	122 222	97 680	2 238	3 764
1971	154 789	120 225	2 968	6 383
1976	183 835	149 228	5 289	7 192
1980	193 654	155 656	6 124	7 294
1985	239 768	190 066	6 638	9 453
1985 წ. %-ობით 1961 წ.	320,3	350,4	232,3	269,4

დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების ხარჯთნუსხა წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს სკოლის შესანახად ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებათა მოცულობას. ხარჯთნუსხაში მოცემულია მიზნობრივი მიმართულებები და კვარტალური დაყოფა.

⁷ ცხრილის მონაცემები აღებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის 1961—1985 წწ. შესრულების ანგარიშებიდან.

სკოლების ხარჯთნუსხით გათვალისწინებული ასიგნებების კვარტალური დაყოფა უნდა მოხდეს ცალკეული ღონისძიებების განხორციელების ვადების და მათი დაფინანსების უზრუნველყოფის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ბიუჯეტის სახსრების ხარჯვა ისეთ ღონისძიებებზე, რომლებიც ხარჯთნუსხით არ არის გათვალისწინებული, არ უნდა წარმოებდეს.

სკოლის ხარჯთნუსხა დგება დადგენილი ტიპური ფორმის მიხედვით კალენდარულ წელზე. მასში აისახება ყველა ის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მოსწავლეთა სწავლებასთან.

ხარჯთნუსხაში შეტანილი ხარჯები დასაბუთებული უნდა იყოს სათანადო გაანგარიშებებით თითოეული მუხლის მიხედვით. დაანგარიშებანი დგება მოსწავლეთა, კლასების, გახანგრძლივებული დღის ჯგუფების რაოდენობის და პედაგოგიური განაკვეთების მაჩვენებელთა საფუძველზე დანახარჯების თითოეული სახის მიხედვით.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ხარჯები გაიანგარიშება გამსხვილებული მაჩვენებლებით, ხოლო თითოეული სკოლის დაფინანსება ხდება ინდივიდუალური ხარჯთნუსხის (ნაერთი ხარჯთნუსხის) მიხედვით. დანახარჯები სკოლებზე აერთიანებს შემდეგ ხარჯებს: მიმდინარე შენახვის ხარჯები, ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენა, კაპიტალური რემონტი და ახლის მშენებლობა.

სკოლების მიმდინარე შენახვის ხარჯებს მიეკუთვნება: პედაგოგიური პერსონალის, ხელმძღვანელი მუშაკების, ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პერსონალის ხელფასი, სამეურნეო და მივლინების ხარჯები, სასწავლო და სხვა ხარჯები.

სკოლის ხარჯთნუსხა ასახავს მოსწავლეთა სწავლებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს გახანგრძლივებული დღის ჯგუფების შენახვის ხარჯების ჩათვლით.

სკოლის ხარჯთნუსხა დგება ბიუჯეტის კლასიფიკაციის ხარჯების ცალკეული მუხლების მიხედვით.

ხარჯთნუსხაში შეტანილი ხარჯები ცალკეული მუხლების მიხედვით უნდა დასაბუთდეს სათანადო გაანგარიშებებით.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის (სკოლა-ინტერნატების) შენახვის ხარჯების დაანგარიშების ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს კლასების რაოდენობა (კლას-კომპლექტი) და მოსწავლეთა რიცხვი. გარდა ამისა, საჭიროა ვიცოდეთ სკოლების ქსელი.

იმასთან დაკავშირებით, რომ ბიუჯეტის კალენდარული წელი არ ემთხვევა სასწავლო წელს, ქსელისა და კონტინგენტის რაოდენობა გაიანგარიშება საშუალო-წლიური მაჩვენებლით.

კლასებისა და მოსწავლეთა რაოდენობა წარმოადგენს საფუძველს სკოლის ხარჯთუნუსხის ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშებისათვის. კლასებისა და მოსწავლეთა რაოდენობის მონაცემები ხარჯთუნუსხაში მოცემულია ორი თარიღისათვის — დასაგეგმი წლის 1 იანვრისა და 1 სექტემბრისათვის. 1 იანვრისათვის კლასისა და მოსწავლეთა რაოდენობა მიიღება ბოლო საანგარიშო პერიოდისათვის ფაქტიური მდგომარეობით მიმდინარე წლის ბოლომდე მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით. დასაგეგმი წლის 1 სექტემბრისათვის ბავშვთა რაოდენობა განისაზღვრება მისაღებ და გამოსაშვებ მოსწავლეთა გეგმის შესაბამისად. გათვალისწინებული უნდა იყოს რამდენი მოსწავლე მიიღება მომავალ წელს პირველ კლასში, რამდენი დაამთავრებს მეთერთმეტე კლასს და რამდენი წავა საშუალო სპეციალურ და პროფტექნიკურ სასწავლებელში VIII—IX კლასის დამთავრების შემდეგ.

მაგალითად: სკოლაში დასაგეგმი წლის 1 იანვრისათვის არის 30 კლასი, სადაც სწავლობს 820 ბავშვი. აღწერის მიხედვით სასკოლო ასაკის ბავშვთა რაოდენობა არის 90. ამასთან 25 მოსწავლე მერვემეცხრე კლასის დამთავრების შემდეგ მოეწყობა საშუალო სპეცსასწავლებელში. XI კლასს დაამთავრებს 50 ბავშვი. გამომდინარე აქედან, 1 სექტემბრისათვის სკოლაში ისწავლის 835 ბავშვი. კლასების რაოდენობა კვლავ 30 დარჩება (გაიხსნება 3 პირველი კლასი, მერვე კლასები, რომელიც გადადის მეცხრეში, შემცირდება ერთი კლასით, ხოლო მეთერთმეტე კლასს დაამთავრებს 2 კლასი).

ახალგაზრდობის ზოგადი საშუალო განათლების შემდგომი სრულყოფისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით განხორციელდა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლა, ამასთან დაიწყო ბავშვთა სწავლება 6 წლის ასაკიდან. გარდაიქმნა დაწყებითი სამწლიანი სკოლა ოთხწლიანად.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ამჟამად მოქმედებს შემდეგი სტრუქტურა: I—IV კლასებით — დაწყებითი სკოლა, I—IX კლასებით — არასრული საშუალო (ცხრაწლიანი) სკოლა, I—XI (XII) კლასებით (თორმეტწლიანზე — მოკავშირე რესპუბლიკების სკოლებში, სადაც თერთმეტწლიანი სწავლება იყო სასკოლო რეფორმამდე) — საშუალო სკოლა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში I—IX კლასებში ერთი კლასის შევსება 40-დან შემცირდა 30 კაცამდე, ხოლო X—XI (XII) კლასებში 35-დან 25 კაცამდე.

1986/87 სასწავლო წლიდან შემოღებულია ახალი სასწავლო გეგმა. მასში გათვალისწინებულია სასწავლო დროის შემდეგი რაოდენობა კვირაში: I კლასში — 20 საათი, II კლასში — 22 საათი, III—IV

კლასებში — 24 საათი, V—VIII კლასებში — 30 საათი და IX—XI (XII) კლასებში — 31 საათი.

იმ მოსწავლეებისათვის, რომლებსაც სურთ გაიღრმონ ცოდნა ფიზიკა-მათემატიკური, ქიმიკა-ბიოლოგიური, საზოგადოებრივ-პუბლიცისტარული და ტექნიკური ციკლების ცალკეულ საგნებში ფაქულტატური მეცადინეობის მეშვეობით, გათვალისწინებულია VII—IX კლასებში 2 საათი და X—XI (XII) კლასებში 4 საათი კვირაში, სასწავლო გეგმის გადამეტებით. გარდა ამისა, ეროვნულ სკოლებში შემოღებულია დამატებით კვირაში 2—3 საათი II—XI (XII) კლასებში რუსული ენის შესასწავლად.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესების მიზნით მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო, ნაყოფიერი შრომისათვის დამატებით გათვალისწინებულია: II—IX კლასებში — 1 საათი, V—VII კლასებში — 2 საათი, VIII—IX კლასებში — 3 საათი, X—XI (XII) კლასებში — 4 საათამდე კვირაში, აგრეთვე მოსწავლეთა ყოველწლიური შრომითი პრაქტიკა: V—VII კლასებში — 10 დღე, VIII—IX კლასებში — 16 დღე და X (XI) კლასში — 20 დღე.

სკოლების მიმდინარე შენახვის ხარჯებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხელფასის ფონდს, ხელფასის ფონდის შემადგენლობაში შეიტანება მასწავლებელთა ხელფასი, ანაზღაურება რვეულების გასწორებისათვის, სასწავლო-დამხმარე და ადმინისტრაციული მომსახურე პერსონალის ხელფასი, ანაზღაურების დამატებითი სახეები და ხელფასის დანარჩენი სახეები. ხარჯების თითოეულ ამ სახეზე დგება ცალკეული გაანგარიშება.

ხარჯები მასწავლებელთა ხელფასზე განისაზღვრება თვეში პედაგოგიური განაკვეთების რაოდენობისა და მასწავლებლის საშუალო განაკვეთის ოდენობის მიხედვით.

პედაგოგიური განაკვეთების რაოდენობა განისაზღვრება სასწავლო პროგრამის საათების რიცხვისა და მასწავლებელთა კვირეული სასწავლო დატვირთვის დადგენილი ნორმის საფუძველზე. მონაცემები პედაგოგიური განაკვეთების რაოდენობის შესახებ ხარჯთნუსხაში იჩვენება ორი თარიღისათვის: დასაგეგმი წლის 1 იანვრისათვის და 1 სექტემბრისათვის.

კვირეული საათების რიცხვი დაიანგარიშება კლასების რაოდენობისა და განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმით ერთ კლასზე განკუთვნილი საათების რაოდენობიდან.

I—IX კლასებში მასწავლებლებს ხელფასის განაკვეთები ეძლევათ

კვირაში პედაგოგიური მუშაობის 20 საათისათვის ადრე დაწესებული 24 საათის მაგიერ, ხოლო V—XI (XII) კლასებში — 18 საათისათვის.

სკოლის პედაგოგიურ პერსონალს ხელფასის განაკვეთი უდგინდება განათლებისა და პედაგოგიური მუშაობის სტაჟის მიხედვით 3 წლამდე, 3-დან 8, 8-დან 13, 13-დან 18 წლამდე და 18 წელი და ზევით. მასწავლებლის მინიმალური განაკვეთი შეადგენს 110, ხოლო მაქსიმუმი 170 მანეთს.

დადგენილია, რომ მასწავლებლებისა და სახალხო განათლების დაწესებულებათა სხვა მუშაკების განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები უდიდდებათ იმათ: ვისაც აქვს „სსრ კავშირის სახალხო მასწავლებლის“ წოდება — თვეში 50 მანეთით; ვისაც აქვს „დამსახურებული მასწავლებლის“, „პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატის“ წოდება და ცალკეული სხვა საპატიო წოდება — თვეში 30 მანეთით, განაკვეთები და თანამდებობრივი სარგოები უდიდდებათ აგრეთვე აღნიშნულ მუშაკებს, რომლებსაც აქვთ მეცნიერებათა დოქტორის ან კანდიდატის სამეცნიერო წოდება.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებს კლასის ხელმძღვანელობისათვის დამატებით აუნაზღაურდება I—IV კლასებში 20 მანეთის ოდენობით, V—XI (XII) კლასებში — 30 მანეთის ოდენობით.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ყველა ტიპისა და დასახელების სკოლა-ინტერნატების I—IV კლასების მასწავლებლებს რვეულების შემოწმებისათვის აუნაზღაურდებათ თვეში 15 მანეთის ოდენობა, ხოლო V—XI (XII) კლასების მასწავლებლებს რუსულ ენაში, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში წერითი ნამუშევრების შემოწმებისათვის — 20 მანეთის ოდენობით, მათემატიკაში — 15 მანეთის, უცხო ენასა და სტენოგრაფიაში — 10 მანეთის, სასწავლო კაბინეტების გამგეობისათვის — თვეში 10 მანეთის ოდენობით.

სკოლის ერთ-ერთ პედაგოგიურ მუშაკს დანაშაულო მოსწავლეთა შრომითი სწავლების, პროფესიული ორიენტაციის საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციისათვის შემდეგი ნორმატივების საფუძველზე ემატება: 6—12 კლასის მქონე სკოლებში — 25 მანეთი, 13—29 კლასისა — 50 მანეთი, 30 და მეტი კლასისა — 80 მანეთი თვეში.

სასწავლო-დამხმარე და ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალის ხელფასის ფონდი განისაზღვრება დადგენილი წესით დამტკიცებული ტიპური შტატებიდან და თანამდებობრივი სარგოებიდან (განაკვეთებიდან) გამომდინარე.

ამ პერსონალის რაოდენობა დასაგეგმი წლის დასაწყისისათვის განისაზღვრება ფაქტიურად არსებულისა და ტიპური შტატების ფარ-

გლებში მისი დაკომპლექტების შესაძლებლობათა გათვალისწინებით, ხოლო წლის ბოლოსათვის — კლასების, მოსწავლეთა რიცხვისა და სხვა იმ მაჩვენებელთა ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებზე-დაც დამოკიდებულია შტატების დადგენა.

1987 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალის ტიპური შტატები. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალის რაოდენობა დამოკიდებულია სკოლის სიმძლავრეზე — კლასებისა და მოსწავლეთა რაოდენობაზე, შენობის ფართობზე, ცვლათა რაოდენობაზე, პროფილებზე, გახანგრძლივებული დღის ჯგუფებზე, ტექნიკურ აღჭურვაზე და ა. შ.

სკოლების მიმდინარე შენახვის ხარჯებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამეურნეო მომსახურების ხარჯებს. სკოლის ხარჯთუნუსხაში ცალკე ხდება გათბობის, განათების, კომუნალური მომსახურებისა და სხვა ხარჯების დაანგარიშება.

ხარჯები გათბობაზე და განათებაზე განისაზღვრება სკოლის შენობის კუბატურის (ფართობის) მიხედვით. გათბობისა და განათების ხარჯების განსაზღვრა წარმოებს გასათბობი და გასანათებელი შენობების კუბატურის, ელექტროენერჯის ფაქტიურად დანახარჯების, დადგენილი ნორმების, მოქმედი ფასებისა და ტარიფებიდან გამომდინარე. ამასთან, გათბობის ხარჯების დაანგარიშებისას ჩვენ უნდა ვიცოდეთ თუ ვინ აწოდებს სითბურ ენერჯიას, ადგილობრივი თუ ცენტრალური საქვაბე. შესაძლებელია შენობა თბებოდეს ასევე ლუმენლებით.

ბოლო პერიოდში სოფლად და დაბებში პედაგოგიური პერსონალის დამაგარების მიზნით დიდი ოდენობით სახსრები გამოიყოფა მათთვის უფასო კომუნალური მომსახურებისათვის. სკოლების ხარჯთუნუსხაში გაითვალისწინება ამ პერსონალისათვის ბინების, გათბობისა და განათების ხარჯების ანაზღაურება.

სკოლების ხარჯთუნუსხაში გათვალისწინებულია ასევე მივლინებისა და სამსახურებრივი მიმოსვლის ხარჯები, სასწავლო, მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკის, ბიბლიოთეკებისათვის და მოსწავლეთა უფასოდ წიგნების შეძენის, გახანგრძლივებული დღის რეჟიმზე მყოფ მოსწავლეთა კვების, რბილი ინვენტარისა და ტანსაცმლის შეძენა და სხვა ხარჯები.

მოსწავლეთა აღზრდისათვის სათანადო პირობების გაუმჯობესებისა და ოჯახებისათვის დახმარების გაწევის მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში I—VIII კლასის მოსწავლეებისათვის შემოღებულია გახანგრძლივებული დღის ჯგუფები. სკოლები გახანგრძლივებული დღის ჯგუფებით იხსნება იმ პირობით, თუ სკოლაში არ გაიზრდება

სწავლების ცვლათა რაოდენობა. აღსაზრდელთა რაოდენობა განისაზღვრება ერთი ერთეული ჯგუფზე.

აქვე აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირში ზოგადსაგანმანათლებლო დღის სკოლების 1—8 კლასის მოსწავლეთა რიცხვის 37 პროცენტი ჩარიცხულია გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში, მაშინ, როდესაც საქართველოში ასეთი 19 პროცენტს არ აღემატება. ასეთ პირობებშიც კი რესპუბლიკაში იმის გამო, რომ არ არის შექმნილი სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არ სრულდება გახანგრძლივებულ ჯგუფებში მოსწავლეთა ჩარიცხვის გეგმები.

მიმდინარე ხარჯებთან ერთად სკოლების ხარჯთნუსხაში გათვალისწინებულია საბიუჯეტო ასიგნებები ინვენტარისა და მოწყობილობების შესაძენად და შენობებისა და ნაგებობათა კაპიტალური რემონტისათვის.

ხარჯები მოწყობილობებისა და ინვენტარის შეძენაზე იგეგმება მასზე მოთხოვნილებისა და ეკონომიკურად დასაბუთებული ნორმატივების მიხედვით. კაპიტალური რემონტისათვის სახსრები გამოიყოფა მოქმედი ნორმებისა და კუბატურის მიხედვით ფაქტიური მდგომარეობის მხედველობაში მიღებით. კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი სახსრების გამოყენება შეიძლება სასკოლო ოთახების (კლასების) მიშენებისათვის, სკოლს გაფართოებისათვის.

ახალი სკოლების მშენებლობა ცალკეული სკოლის ხარჯთნუსხაში არ გაითვალისწინება. იგი გათვალისწინებულია ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმასა და ბიუჯეტში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან შექმნილია საყოველთაო სწავლების ფონდი მოსწავლეთა მატერიალური დახმარებისათვის (ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაძენად, უფასო კვება და ა. შ.). აღნიშნული ფონდი იქმნება საბიუჯეტო სახსრების (I—VIII კლასების მიმდინარე შენახვის ხარჯებიდან არანაკლებ 1%), კოლმეურნეობათა, პროფკავშირული და კოოპერაციული ორგანიზაციების შენატანებიდან. გარდა ამისა, აქ შეიძლება მიმართული იქნეს სახსრები, რომლებიც მიიღება ფასიანი კონცერტებიდან და საღამოებიდან, ჯართისა და მეორადი ნედლეულის ჩაბარებიდან, დამხმარე მეურნეობიდან და ა. შ.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს დიდ დახმარებას უწევენ საბაზო და შეფი საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული მომზადების, მათი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ორგანიზაციის ამოცანების ეფექტიანად განხორციელებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე ბაზების სახით მიმავრებულია მრეწველობის, მშენებლობის, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებსაც სკოლებთან ერ-

თად ეკისრებათ პასუხისმგებლობა მოსწავლეთა შრომითს მომზადებაში.

საბაზო ორგანიზაციებს სკოლებისათვის გამოყოფილი აქვს საჭირო რაოდენობის მოწყობილობა, ტექნიკა, ხელსაწყოები, ინვენტარი და მასალები. მათ უფლება აქვთ ასევე უსასყიდლოდ გადასცენ სკოლებს მოსწავლეთა სწავლების, სახელოსნოების, სასწავლო ლაბორატორიებისა და კაბინეტების აღჭურვისათვის საჭირო მოწყობილობა, ინვენტარი და მასალები ისე, რომ ამის შესახებ არ აცნობონ ზემდგომ ორგანოს.

საბაზო ორგანიზაციები ზეგეგმითი დაგროვების ხარჯზე (ხოლო ის საწარმოები, რომლებიც გადასულია მოგების განაწილების ნორმატიულ მეთოდზე, ასევე რომლებიც მუშაობენ ეკონომიკური ექსპერტიზის პირობებში იმ ზეგეგმური მოგებიდან, რომელიც რჩება მათ განკარგულებაში, ეწევიან ხარჯებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შენობათა აგების, შეკეთებისა და აღჭურვისათვის) დახმარებას უწევენ სკოლებს სასწავლო წლისათვის მომზადებაში, შენობის აღჭურვაში, კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებაში და ა. შ.

საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი საშუალო სკოლები. მოზარდის ზოგადი საშუალო განათლება ხორციელდება მუშა-ახალგაზრდობის და სოფლის ახალგაზრდობის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მეშვეობით. ამ სკოლებში სწავლობენ სოფლად და ქალაქად შრომით საქმიანობაში პრაქტიკულად ჩაბმული ახალგაზრდები. მათთვის მეცადინეობა ტარდება საღამოს საათებში, ხოლო საჭირო შემთხვევაში ცვლების მიხედვით. სასწავლო პროგრამები შეხამებულია საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლების შესაბამისი საგნების პროგრამებთან და კურსდამთავრებულებს საშუალება აქვთ განაგრძონ სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში. ამ სკოლებს ყოველწლიურად ამთავრებს 8—9 ათასი ახალგაზრდა.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აღნიშნული ტიპის სკოლების ქსელის მოწესრიგებას. რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 48 საღამოს (ცვლიანი) სკოლა 7,2 ათ. მოსწავლით და 809 პედაგოგით.

გარდა ამისა, 128 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან არსებობს დაუსწრებელი სკოლები 3,7 ათ. მოსწავლითა და 1,9 ათ. პედაგოგით. ასეთი ტიპის სკოლების შენახვაზე ბიუჯეტიდან ყოველწლიურად მნიშვნელოვანი სახსრები გამოიყოფა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან ერთად სკოლა-ინტერნატები და სკოლებთან არსებული ინტერნატები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში. ისინი მოწოდებულნი არიან სათანადო პირობები შეუქმნან იმ მოსწავლეებს, რომლებიც

დაცილებული არიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან და დახმარება გაუწიონ იმ ბავშვებს, რომელთაც არა აქვთ ოჯახში აღზრდის სათანადო პირობები. სკოლა-ინტერნატებისა და სკოლებთან არსებული ინტერნატების შენახვას მეთერთმეტე ხუთწლედში 113 მლნ. მანეთზე მეტი მოხმარდა.

საბჭოთა სახელმწიფოში დიდი ყურადღება ექცევა სკოლამდელ ბავშვთა აღზრდის დაწესებულებათა ქსელის განვითარებასა და განმტკიცებას. ოქტომბრის რევოლუციამდე ბავშვთა ბაგების, ბაღებისა და ბაგა-ბაღების რაოდენობა ძალზე მცირე იყო. სკოლამდელთა დაწესებულებების ქსელის განვითარება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. უკვე 1927 წლისათვის რესპუბლიკაში იყო 93 ბაღი და ბაგა-ბაღი 6195 ბავშვით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა სახელმწიფოში ბავშვთა აღზრდის საკითხებს უფრო მეტი ყურადღება ექცევა. საბჭოთა ადამიანებისათვის, კომუნისტური პარტიისა და ჩვენი მთავრობისათვის არ არსებობს უფრო დიდი და კეთილშობილური საქმე, ვიდრე ზრუნვა ბავშვების ჯანმრთელობაზე, ბედნიერებაზე, აღზრდასა და მის განვითარებაზე. ჩვენს რესპუბლიკაში 1986 წლის დასაწყისში 2305 საბავშვო ბაღსა და ბაგა-ბაღში ირიცხებოდა 189,5 ათასი ბავშვი.

სამრეწველო მშენებლობის პარალელურად ხორციელდებოდა სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა. რესპუბლიკის ბევრი რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოს ცენტრებში გაიხსნა თანამედროვე ტიპის ახალი ბაღი და ბაგა-ბაღი, 1951—1985 წწ. ექსპლოატაციაში გადაეცა 159,4 ათასი ადგილი.

სკოლამდელი დაწესებულებების როლი კიდევ უფრო გაიზარდა საწარმოებსა და ორგანიზაციებში ორ და სამცვლიანი რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით. 1987—1988 წწ. გაფართოვდა ისეთი საბავშვო ბაღებისა და ბაგების ქსელი, სადაც მთელ დღე-ღამეს არიან ბავშვები.

საბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღების ქსელისა და მათში კონტინგენტის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ხარჯები მათ შენახვაზე. რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1961 წელს საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების შენახვაზე დაიხარჯა 10,6 მლნ. მანეთი, 1985 წელს ასეთმა ხარჯებმა შეადგინა — 66,2 მლნ. მანეთი, რაც 55,6 მლნ. მანეთით აღემატება 1961 წლის დონეს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალური ბაზის განმტკიცების საკითხებს. საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების შენობათა კაპიტალური რემონტის სამუშაოების დასაფინანსებლად მეცხრე ხუთწლედში ბიუჯეტიდან გაცემულია 6588 ათ. მანეთი, ხოლო ახალი ინვენტარისა და მოწყობილობების

შექნაზე — 3819 ათ. მანეთი. მეათე-მეთერთმეტე ხუთწლეულებში ეს მონაცემები კიდევ უფრო გაიზარდა. 1976—1980 წწ. ამ ღონისძიებათა დაფინანსებას მოხმარდა 15184 ათ. მანეთი, ხოლო 1981—1985 წწ. — 19342 ათ. მანეთი. ამ დანიშნულებით ხარჯების მოცულობა 1971—1985 წწ. 1755 ათ. მანეთიდან 4336 ათ. მანეთამდე გადიდა. სკოლამდელ დაწესებულებებში ერთი ბავშვის შენახვაზე ხარჯები 1976—1985 წწ. 394 მანეთიდან 471 მანეთამდე გადიდა.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკაში სისტემატურად არ სრულდებოდა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელობრივი მაჩვენებლების საგეგმო დავალებები, რის გამო აუთვისებელი რჩებოდა საბიუჯეტო სახსრები. ერთი ადგილის დატვირთვა 1976—1985 წწ. 190 დღიდან 169 დღემდე შემცირდა, ბავშვთა საშუალო წლიური რაოდენობის გეგმის შესრულებას დააკლდა 1975 წელს — 1,3 ათ. ბავშვი, 1985 წელს — 2,3 ათ. ბავშვი. რესპუბლიკის სკოლამდელი დაწესებულებების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ ადგილობრივი საბჭოები, სამინისტროები და უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სათანადო ყურადღებას არ უთმობდნენ სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, ნორჩი თაობის სწავლებისა და აღზრდის საკითხებს, არ ახორციელებდნენ საკირო ღონისძიებებს ამ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის.

სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებზე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრული დაკმაყოფილების მიზნით მეთერთმეტე ხუთწლეულის დასაწყისშივე გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების შემდგომი სრულყოფისათვის. ამალდა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომის პასუხისმგებლობა ბავშვთა დაწესებულებების რაციონალურად განლაგებასა და მშენებლობაში. აღმასკომები ყოველმხრივ უწყობენ ხელს კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების ძალებით და მათი საკუთარი სახსრებით სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობას. სკოლამდელ დაწესებულებებს შეფობას უწყვენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები. ისინი ასევე უზრუნველყოფენ სოფლად მცხოვრები ბავშვების სკოლამდელ დაწესებულებებში ტრანსპორტით მიყვანას.

სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსება ძირითადად ხდება ბიუჯეტიდან. მათი ხარჯების ნაწილი იფარება მშობელთა შენატანებით, რაც საერთო ხარჯების 8—9 პროცენტს არ აღემატება. თუ ოჯახის ერთ წევრზე ერთობლივი შემოსავალი 60 მანეთს არ აღემატება,

ბავშვთა შენახვის გადასახდელისაგან მშობლები გათავისუფლებული არიან.

სამინისტროებისა და უწყებების, გაერთიანებებისა და საწარმოების მიერ, რომლებიც გადასული არიან მეურნეობრიობის ახალ წესზე ან სრულ სამეურნეო ანგარიშზე, სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსება ხდება სამინისტროებისა და უწყების ცენტრალიზებული სახსრებიდან ან საწარმოებისა და გაერთიანების საკუთარი სახსრებიდან. ამ დაწესებულებების ხარჯთნუსხის შედგენა და დამტკიცება ხდება იმავე წესით, რაც დადგენილია საბიუჯეტო დაწესებულებებისათვის.

ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებათა ხარჯთნუსხა წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების შენახვაზე განკუთვნილი სახსრების მოცულობას, მიზნობრივ დანიშნულებას და მათ კვარტალურ განაწილებას. ხარჯთნუსხა წარმოადგენს სკოლამდელი დაწესებულების დაფინანსების საფუძველს.

ბავშვთა აღზრდის საქმეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, სკოლამდელ დაწესებულებებთან ერთად ემსახურება ბავშვთა სახლები, რომელთა შენახვაზე ბიუჯეტიდან ყოველწლიურად დაახლოებით ორი მლნ. მანეთი იხარჯება.

სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა აღზრდას სკოლისგარეშე დაწესებულებებში, განსაკუთრებით პიონერთა სახლებსა და სასახლეებში, სპორტულ და მუსიკალურ სკოლებში, მხატვრული აღზრდის სახლებში და სხვა. სკოლისგარეშე დაწესებულებების შენახვის ხარჯები ყოველწლიურად იზრდება. მეთერთმეტე ხუთწლედში ასეთი ხარჯები 20,1 მლნ. მანეთიდან 28,1 მლნ. მანეთამდე გაიზარდა და 125 მლნ. მანეთი შეადგინა, რაც 40 მლნ. მანეთით აღემატებოდა მეათე ხუთწლედში ამ დანიშნულებით გამოყოფილ სახსრებს.

მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა ბევრად არის დამოკიდებული სასახლეების, კულტურის სახლების, კლუბების, მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების ნაყოფიერ მუშაობაზე. ადამიანის ყოველმხრივი განვითარება, მისი მორალური ჩამოყალიბება წარმოუდგენელია წიგნის სისტემატური კითხვის გარეშე. ამ საქმეში ბიბლიოთეკები დიდ მუშაობას ეწევიან. იზრდება საბიბლიოთეკო ქსელი და წიგნების ფონდი არსებულ ბიბლიოთეკებში. რესპუბლიკაში საბიბლიოთეკო საქმე ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების წლებში განვითარდა. 1985 წლის ბოლოსათვის ირიცხებოდა 4264 მასობრივი ბიბლიოთეკა 42719 ათასი ეგზემპლარი წიგნითა და ჟურნალით; მაშინ როდესაც მათი რიცხვი 1965 წელს არ აღემატებოდა შესაბამისად 3084

და 22366 ათასს. აღნიშნულ პერიოდში წიგნების შევსება ერთ ბიბლიოთეკაში 7252-დან 10 019-მდე გაიზარდა⁸.

სსრ კავშირში მასობრივი ბიბლიოთეკების რაოდენობა 1965—1985 წწ. გადიდა 127,1 ათასიდან 134,1 ათასამდე, ე. ი. 5,5 პროცენტით, ხოლო მათში წიგნებისა და ჟურნალების რაოდენობა — 1097,7 მლნ. ეგზემპლარიდან 2101,3 მლნ. ეგზემპლარით, ანუ 91,4 პროცენტით. ჩვენს რესპუბლიკაში მასობრივი ბიბლიოთეკების რაოდენობა ამავე პერიოდში გაიზარდა 38,3 პროცენტით, ხოლო მათში წიგნებითა და ჟურნალებით შევსება — 90,6 პროცენტით. წიგნებითა და ჟურნალებით შევსების რაოდენობით ჩვენი რესპუბლიკა ჩამორჩებოდა საშუალო საკავშიროს — 0,8 პროცენტით, მაშინ, როდესაც ბიბლიოთეკების რაოდენობის ზრდით წინ უსწრებს 32,8 პუნქტით.

რესპუბლიკაში სისტემატურად იზრდება საკლუბო დაწესებულებათა რაოდენობა, მათმა რიცხვმა უკვე 2,7 ათასს გადააჭარბა, მაშინ როდესაც 1921 წელს მხოლოდ 209 დაწესებულება ირიცხებოდა. 1960—1985 წწ. საკლუბო დაწესებულებების რაოდენობა კავშირის მასშტაბით გადიდა 7,2 პროცენტით, ჩვენს რესპუბლიკაში — 35,0 პროცენტით.

მუზეუმები დიდ სამეცნიერო-კვლევით და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევიან. ისინი მოწოდებული არიან ამაღლონ მოსახლეობის კულტურის დონე, მისცენ მას სპეციალური ცოდნა. მუზეუმების რიცხვი 1960—1985 წწ. სსრ კავშირში გადიდა 2-ჯერ და 1932 მიაღწია, გაძტარიანობა გაიზარდა 3,7-ჯერ და შეადგინა 186,1 მლნ. ჩვენს რესპუბლიკაში მათი რიცხვი შესაბამისად გადიდა — 0,7-ჯერ და 4,7-ჯერ და შეადგინა 118 და 8,1 მლნ.⁹

თეატრების რიცხვი 1960—1985 წწ. სსრ კავშირში 502-დან 636-მდე გაიზარდა, საქართველოში — 20-დან 31-მდე. მათში დასწრების გამტარიანობის რიცხვი კავშირის მასშტაბით გადიდა 91,3 მლნ. მაყურებლიდან 124,9 მლნ-მდე, ანუ 36,8 პროცენტით, მაშინ როდესაც ჩვენს რესპუბლიკაში იგი გადიდა 32,1 პროცენტით, ანუ 2,8 მლნ. მაყურებლიდან 3,7 მლნ. მაყურებლამდე გაიზარდა.

რესპუბლიკაში კინოდანადგარების რიცხვი 1960—1985 წწ. გაიზარდა 61,5 პროცენტით და 1985 წლის ბოლოსათვის 2,1 ათ. შეადგინა. მათი რიცხვი კავშირის მასშტაბით 47,2 პროცენტით გაიზარდა. კინოთეატრებში დასწრება ამავე პერიოდში კავშირის მასშტაბით 3611 მლნ. მაყურებლიდან 4100 მლნ. მაყურებლამდე გაიზარდა, ხოლო ჩვენს რესპუბლიკაში — 49-დან 50 მლნ. მაყურებლამდე. ერთი მცხოვ-

⁸ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1085 წელს, თბ., 1986, გვ. 248.

⁹ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა 1985 წელს, 1986, გვ. 527.

რების დასწრება კავშირში შემცირდა 2 კაცი და შეადგენს 15-ს, რესპუბლიკაში შემცირდა 2-ით და შეადგინა 10.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში სოფლად ერთი მცხოვრების დასწრების 5-დან 6-მდე გაზრდის მიუხედავად, ეს მაჩვენებელი საკავშირო მაჩვენებელს კვლავ ჩამორჩება 9 ერთეულით.

ყოველწლიურად იზრდება საბიუჯეტო ასიგნებანი თეატრების, მუსიკალური დაწესებულებებისა და კინოთეატრების განვითარებაზე. თუ მეცხრე ხუთწლედში ამ დარგის განვითარებას მოხმარდა 63,4 მლნ. მანეთი, მეთექვსმეტე ხუთწლედში 97,4 მლნ. მანეთი შეადგინა, მეთერთმეტე ხუთწლედში 1090 მლნ. მანეთს გადააჭარბა.

ბიუჯეტის ხარჯებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, მუზეუმებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შენახვის ხარჯებს.

ბიბლიოთეკების წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესასრულებლად ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა სათანადო სახსრები, მათი ზრდა ძირითადად დამოკიდებულია ქსელისა და წიგნების ფონდის შევსებაზე. ამ დანიშნულებით გამოყოფილი სახსრების ოდენობა 1961—1985 წწ. 3021 ათ. მანეთიდან 18825 ათ მანეთამდე გაიზარდა. აღნიშნულ ხარჯებში დიდი ხვედრითი წილი უკავია ხელფასს, წიგნების, ჟურნალებისა და ინვენტარ-მოწყობილობების შეძენას, რაზედაც ნათელ სურათს იძლევა შემდეგი მონაცემები:

(ათას მანეთებში)

წლები	სულ ხარჯები	ხელფასი (მ. 1)	წიგნებისა და ჟურნალების შეძენა (მ. 5)	ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენა (მ. 12)	ხვედრითი წილი საერთო ხარჯების მიმართ %-ობით		
					მუხლი 1	მუხლი 5	მუხლი 12
1961	3021	1587	771	94	52,5	25,5	3,1
1970	7474	4250	1642	396	57,9	22,0	5,3
1980	17892	11433	2863	820	63,9	16,0	4,6
1985	18825	11885	3065	853	63,1	16,3	4,5

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, საერთო ხარჯებში ხელფასის ხვედრითი წილი სისტემატურად იზრდება, თუ 1961 წელს იგი 52,5 პროცენტს შეადგენდა, მან 1985 წელს — 63,1 პროცენტს მიადგინა. წიგნებისა და ჟურნალების შეძენაზე გამოყოფილი სახსრები ამავე პერიოდში 771 ათ. მანეთიდან 3065 ათ. მანეთამდე გაიზარდა, ხოლო ინვენტარისა და მოწყობილობათა შეძენაზე — 94 ათ. მანეთიდან 853 ათ. მანეთამდე.

ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, როგორც მასობრივი ინფორმაციის ერთ-ერთი საშუალების, განვითარებისათვის სახელმწიფო ყოველწლიურად დიდი ოდენობით სახსრებს გამოყოფს. ასეთი სახსრები ყოველწლიურად იზრდება. აქე, მაგალითად, თუ 1965 წელს ეს სახსრები 4.5 მლნ. მანეთს არ აღემატებოდა, 1985 წელს 25,7 მლნ. მანეთს გადააჭარბა. 1966—1985 წწ. ამ დარგის განვითარებას მოხმარდა 305,2 მლნ. მანეთის საბიუჯეტო ასიგნება, აქედან მხოლოდ მეთერთმეტე ხუთწლეულში — 117,7 მლნ. მანეთი.

ჩვენი სახელმწიფო მუდმივად ზრუნავს კულტურის ისტორიული ძეგლების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რომელიც ხელს უწყობს მოზარდი თაობის ესთეტიკურ აღზრდას. რესპუბლიკის ბიუჯეტიდან ამ დანიშნულებით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები ყოველწლიურად იზრდება. მათ შენახვაზე 1985 წელს 3,0 მლნ. მანეთზე მეტი დაიხარჯა. მეთერთმეტე ხუთწლეულში ამ ღონისძიებების დაფინანსებას მოხმარდა 15,0 მლნ. მანეთი, რაც 8,0 მლნ. მანეთით აღემატება მეათე ხუთწლეულში გამოყოფილ საბიუჯეტო ასიგნებას.

სახელმწიფო ბიუჯეტი მნიშვნელოვან თანხებს გამოყოფს მუზეუმების, გამოფენების, სასახლეების, კულტურის სახლების, კლუბებისა და კულტსაგანმანათლებლო სხვა დაწესებულებების ქსელის გასაფართოებლად და შესანახად. ამ დანიშნულებით რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1985 წელს გაცემულია 24,3 მლნ. მანეთი, მაშინ როდესაც ეს ხარჯები 1965 წელს არ აღემატებოდა 6,0 მლნ., ხოლო 1970 წელს — 8,9 მლნ. მანეთს. მერვე ხუთწლეულში მოცემული დანიშნულებით გამოყოფილია სახსრები 37,4 მლნ. მანეთი, მეცხრე ხუთწლეულში — 51,4 მლნ., მეათე ხუთწლეულში ამ სახსრებმა შეადგინა 72,9 მლნ., ხოლო მეთერთმეტე ხუთწლეულში — 106,7 მლნ. მანეთი. ეს, რა თქმა უნდა, კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ რა მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებდა ჩვენი პარტია და მთავრობა ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგების განვითარებისათვის. სკკპ XXVII ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო განვავითაროთ და განვამტკიცოთ კულტურისა და ხელოვნების მატერიალური ბაზა. გავაფართოოთ კულტურის რაიონული სახლებისა და დაწესებულებების ქსელი, სრულყოთ მოსახლეობის კინომომსახურება. უფრო ფართოდ ჩაებათ მოსახლეობა თვითმოქმედ მხატვრულ შემოქმედებაში. გავაუმჯობესოთ მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურება. ახლა კიდევ უფრო ქმედითი გავხადოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალება და ა. შ.

კადრების მომზადების საკითხები იყო და არის პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ყურადღების ცენტრში, სკკპ XXVII ყრილობაზე ხაზი გაესვა, რომ „ახლებურად უნდა წარვმართოთ სახალხო მე-

ურნეობის დარგებთან უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის ურთიერთობა, უფრო მეტად დაეინტერესოთ ისინი კადრების სწავლებისა და გადამზადების დონის ამაღლებით, წარმოებაში მათი გამოყენების კარდინალური გაუმჯობესებით¹⁰.

ბოლო ხუთწლეულებში ჩვენს რესპუბლიკაში დიდმნიშვნელოვანი და სერიაოზული ღონისძიებები განხორციელდა კადრების მომზადების საქმეში, სწორედ აღნიშნულის შედეგია ის, რომ რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა აღმაშენებელი გზით წავიდა. საგრძნობლად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, შრომის დისციპლინის განმტკიცების შედეგად შემცირდა საუშუალო დროის დანაკარგები, გადიდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები. დიდი წარმატებებია მოპოვებული სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ამ წარმატებების შედეგად ამაღლდა ეკონომიკური დონე, რის საფუძველზეც რესპუბლიკაში მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების მყარი მატერიალური ბაზა შეიქმნა.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ჩვენი სახელმწიფო დიდი ოდენობით სახსრებს ხარჯავს კადრების მომზადებაზე. 1965—1985 წლებში ეს სახსრები 44,3 მლნ. მანეთიდან 156,7 მლნ. მანეთამდე გაიზარდა.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარება მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციისა და ფართო პროფილის მუშების მომზადებას. კადრების მომზადებაში დიდი წვლილი შეაქვს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებს. საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში მკვეთრად უნდა ამაღლდეს პროფტექგანათლების მთელი სისტემის საზოგადოებრივი პრესტიჟი, იგი უნდა გადაიქცეს ახალგაზრდობის შრომითი აღზრდისა და ღირსეული მუშათა ცვლის მომზადების ნამდვილ ცენტრად.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანებში აქ ბევრი რამ გაკეთდა. მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლოსათვის რესპუბლიკაში იყო 177 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, სადაც პროფესიას ეუფლება 70,3 ათას კაცზე მეტი. მხოლოდ მეთერთმეტე ხუთწლედში ამ სასწავლებლებში მომზადდა 197 ათასი კაცი. სასიხარულოა რომ 1979 წელს, გათვალისწინებულზე უფრო ადრე, საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების ყველა სასწავლებელი სრულ საშუალო განათლებაზე გადავიდა.

პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების რაოდენობა, მათში მოსწავლეთა რიცხოვნობა, მიღება და გამოშვება შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება:

¹⁰ სკკპ XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1986, გვ. 74.

წლები	სასწავლებელთა რაოდენობა წლის ბოლოსათვის	მათში მოსწავლეთა რიცხოვნობა (ათ. კაცი) წლის ბოლოსათვის	მოსწავლეთა მიღება (ათ. კაცი)	მოსწავლეთა გამოშვება (კვალიფიციური მუშების მომზადება) ათ. კაცი
1965	41	13,1	9,4	8,9
1970	67	31,8	24,2	20,6
1975	88	41,5	30,1	25,0
1980	146	59,3	40,7	34,1
1985	177	70,3	48,3	43,2

თუ 1965 წელს რესპუბლიკაში იყო 41 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, რომლებიც ამზადებდნენ 13 ათას კვალიფიციურ მუშას, 1985 წლისათვის მათი რიცხვი გაიზარდა 177-მდე და ამზადებდა 70,3 ათას კვალიფიციურ მუშას. თუ 1965 წელს მათ მიერ გამოშვებულია 8,9 ათ. კვალიფიციური მუშა, 1985 წელს ასეთი 43 ათასს აღემატებოდა.

მიღწეულ წარმატებებთან ერთად, ჯერ კიდევ ბევრი აშოცანაა გადასაქრელი. ამ ტიპის სასწავლებლებმა უნდა მოამზადონ ახალი სპეციალობის კვალიფიციური მუშა-კადრები.

რესპუბლიკაში შემუშავებულია მუშათა კადრების მომზადების პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების ვრცელი პროგრამა.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად დიდი ყურადღება ექცევა საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას. გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი და მომავალი ახალგაზრდა მუშების ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების ხარისხი. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის ორგანიზაციას. გაფართოვდა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლების კავშირი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან და შრომით კოლექტივებთან. მეტი ყურადღება ექცევა კვალიფიციური კადრების მომზადებას.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებში, რომელიც მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1984 წლის 10 აპრილს, აღნიშნულია, რომ რეფორმამ თვისებრივად ახალ დონეზე უნდა აიყვანოს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლების მუშაობა, აღმოფხვრას მის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებები, უზრუნველყოს მოსწავლეთა მიერ მეცნიერებათა საფუძვლების ღრმად დაუფლება, მათთვის მტკი-

ცე კომუნისტური მრწამსის, შრომისმოყვარეობის, ზნეობრივი სისპეტაკის ჩანერგვა, მათი აღზრდა ჩვენი სოციალისტური მრავალეროვანი სამშობლოს სიყვარულისა და მისი დაცვისათვის მზადყოფნის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით¹¹.

რესპუბლიკის რიგი სამინისტროები და უწყებები, საწარმო და გაერთიანება, რომლებიც ითვლებიან პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა ბაზებად, ჯერ კიდევ ჯეროვნად ვერ ზრუნავენ თავიანთი სისტემისათვის მასობრივ პროფესიათა კადრების მოსამზადებლად.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ სასწავლო-საწარმოო ბაზები მარტო მასობრივ პროფესიათა მუშების მოსამზადებლად კი არ არის საჭირო, არამედ იმისათვისაც, რომ შრომითი ჩვევები ჩაუუნერგოთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებს.

საჭიროა შემუშავდეს მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებათა კომპლექსი წარმოებისათვის კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის.

რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა სახალხო მეურნეობის მოთხოვნებს სრულად ვერ უზრუნველყოფს მასობრივ პროფესიათა კვალიფიციური კადრებით, რის გამო მუშათა კადრების მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება უშუალოდ წარმოებაში წარმოებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სისტემატურად ატარებენ ღონისძიებებს სახალხო მეურნეობის დარგების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველსაყოფად, რის შედეგად ბოლო პერიოდში საგრძნობლად ამაღლა სამინისტროებისა და უწყებების, გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა ახალი ტექნიკის გამოყენების, პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის, არსებული საწარმოების გადაიარაღების, კადრების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, ახალი ტექნიკის, მოწყობილობების, პროგრესული ტექნოლოგიის, აგრეგატების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ახალი კულტურებისა და სხვა მექანიზმის ექსპლოატაციისა და მომსახურების საქმეში.

საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მუშებისა და მოსამსახურეების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მონაცემები შემდეგ სურათს იძლევა¹¹ (ცხრ. იხ. 62-ე გვ.).

გარდა ამისა, 1985 წელს კოლმეურნეობებში ახალ პროფესიას დაეუფლა და კვალიფიკაცია აიმაღლა 26,9 ათასმა კაცმა.

რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო

¹¹ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1985 წ., თბ., 1986, გვ. 178.

კომიტეტი სამინისტროებთან და უწყებებთან, გაერთიანებებთან და საწარმოებთან ერთად დიდ როლს ასრულებს მასობრივ პროფესიათა კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში, იგი მათთან ერთად სისტემატურად სწავლობს სახალხო მეურნეობისათვის მასობრივ პროფესიათა კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის

(ათასი კაცი)

	1970 წ.	1975 წ.	1980 წ.	1985 წ.
ახალ პროფესიას და სპეციალობას დაუფლებელი მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობა სულ	66,3	75,9	89,5	87,4
მათ შორის მუშები	64,0	74,0	87,9	84,2
კვალიფიკაციამაღლებული მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობა სულ	71,2	148,0	243,6	393,8
მათ შორის მუშები	47,1	84,1	135,7	234,5

ამაღლების საკითხებს. წარმოებაში კადრების დენადობის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით გამოყენებულია ისეთი მძლავრი ბერკეტი, როგორცაა შრომის მატერიალური და მორალური სტიმულირება.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ დიდი ამოცანები დაუსახა საბაზო სამინისტროებს, უწყებებს, გაერთიანებებსა და საწარმოებს პროფტექნიკური განათლების სისტემის მატერიალური და სასწავლო-საწარმოო ბაზის განმტკიცების საქმეში. ყრილობაზე ითქვა, რომ „ჩვენ ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემას დიდი მომავალი აქვს. ამ მომავალს დღესვე უნდა ჩაეყაროს მკვიდრი საფუძველი, ასეთია ამოცანა“¹².

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1987 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებებმა ქვეყნის ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის თაობაზე ახალი ამოცანები დაუსახა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემას შრომითი რესურსების ეფექტიანი გამოყენების, მომზადების, გადამზადებისა და შრომითი მოწყობის ორგანიზაციის საქმეში. ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში 1988 წლიდან განხორციელდება კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების დაგეგმვის გარდაქმნა პროფტექნიკურ სასწავლებლებსა და გაერთიანებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს შორის ბირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე. ჩვენს რესპუბლიკაში ასეთი დაგეგმვის პრაქტიკის შემოღების შესახებ საქართველოს სსრ

¹² საქართველოს კპ XXVI ყრილობის მასალები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, თბ., 1981, გვ. 83.

მინისტრთა საბჭომ 1987 წლის 16 აპრილს მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე, რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების 1988 წლის გეგმა შედგენილ იქნა აღნიშნული წესის საფუძველზე.

პირდაპირი ხელშეკრულებების წესით კვალიფიციური მუშების მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების განხორციელება მოხერხებული ეფექტიანი ფორმაა კვალიფიციურ მუშათა კადრებზე სახალხო მეურნეობის რეალური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წარმოებაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დაჩქარებული დანერგვისა და ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის რეალიზაციის პერიოდში.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვალიფიციური მექანიზატორებისა და მუშათა სხვა კადრების მომზადებასა და გადამზადებას აგროსამრეწველო კომპლექსის დარგისათვის. დაწყებული 1988 წლიდან სახაგრომრეწვის სისტემის ყველა ორგანიზაციისათვის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში კვალიფიციური მუშების მომზადება და გადამზადება ხორციელდება პროფტექნიკურ სასწავლებლებსა და რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის დადებული პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე. ამ მიმართებით მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა რესპუბლიკაში, დამაკმაყოფილებელ დონეზე გაფორმდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია ხელშეკრულებებით კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების ორგანიზაციის საქმეში. ყოველთვის სრულად არ არის განსაზღვრული მუშათა კადრებზე პერსპექტიული მოთხოვნები. ხშირია შემთხვევა, როცა გაერთიანება, საწარმო, ორგანიზაცია ითხოვს კადრების მომზადებას, მაგრამ ნაკლებ ყურადღებას აქცევს სასწავლებელში სათანადო სასწავლო-მატერიალური ბაზის, სახელოსნოების აღჭურვის საკითხებს, განსაკუთრებით ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის მომსახურებისათვის კვალიფიციურებულ მუშათა კადრების მოსამზადებლად. ამის გამო რესპუბლიკის ბევრი პროფტექნიკური სასწავლებლის სასწავლო სახელოსნოების აღჭურვილობის მდგომარეობა ჯერ კიდევ ნელა სწორდება. ზოგიერთი გაერთიანება, საწარმო, ორგანიზაცია სუსტად ან საერთოდ არ იყენებს პროფტექნიკური სასწავლებლების შესაძლებლობებს წარმოების მუშების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, კვლავ უშუალოდ წარმოებაში ამჭობინებენ მას და არ ითვალისწინებენ საწარმოს თვითდაფინანსებაზე გადასვლის პერიოდში პროფტექნიკურ სასწავლებლებში გადამზადების ეფექტიანობას. ბევრი საწარმო, ორგანიზაცია ჯერ კიდევ ინერ-

ციით აგრძელებს ახალგაზრდობაში საპროფორინტაციო მუშაობას და ნაკლებად ზრუნავს პროფტექნიკური სასწავლებლების დასაკომპლექტებლად, მოსწავლეთა კონტინენტის შესარჩევად.

რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ ამოცანათა გადაწყვეტაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტები. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ სპეციალისტთა 59 პროცენტამდე უმაღლესი განათლების მქონეა, მაშინ როდესაც ეს ციფრი საბჭოთა კავშირში 43 პროცენტს არ აღემატება. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ყოველი მეშვიდე მუშაკი უმაღლესი განათლების მქონეა, ხოლო ყოველი მეათე — საშუალო სპეციალობის. ჩვენი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები ამზადებენ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოეს მიმართულებათა კვალიფიციურ სპეციალისტებს.

1979 წლის მაისში გამართულ სტუდენტთა რესპუბლიკური აქტივის კრებაზე მკაფიოდ აღინიშნა, რომ ჩვენი საზოგადოების მომავლის ბედით დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ აღიზრდება ახალგაზრდობა, რომელზეც დამოკიდებულია სახალხო მეურნეობის, ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის, რესპუბლიკის პოლიტიკური და სოციალური განვითარების ხვალისდელი დღე. ამიტომ ზრუნვა სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდისათვის საყოველთაო, საერთო-სახალხო საქმეა.

ბოლო ხუთწლებებში პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენენ სახალხო მეურნეობისათვის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტების მომზადებისათვის. სსრ კავშირში სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების რიცხვი 1960—1985 წწ. 3545 ათასიდან 14485 ათასამდე გადიოდა, ხოლო საშუალო სპეციალური განათლების მქონეთა რიცხვი შესაბამისად 5239 ათასიდან 19107 ათასამდე¹³.

განვლილი ათწლეული პრინციპულად დიდმნიშვნელოვანი იყო რესპუბლიკის უმაღლესი სკოლისათვის. ძალზე გაიზარდა მისი პრესტიჟი, უმაღლესი განათლების ავტორიტეტი, რამაც საპირო ხელსაყრელი პირობები შექმნა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისათვის. ამით მტკიცე და საიმედო საძირკველი ჩაეყარა ეკონომიკის, სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, რესპუბლიკაში სოციალურ-კულტურული მშენებლობის მრავალფეროვანი სფეროს მომავალ ინტენსიურ განვითარებას.

¹³ სსრკ სახალხო მეურნეობა 1985 წ., 1986, გვ. 400.

რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა სტუდენტთა კომუნისტური იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის, მათთვის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, მოქალაქეობრიობის, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის ჩანერგვის საკითხებს.

მიუხედავად ამ დიდი წარმატებებისა უმალღესი და საშუალო სპეციალური განათლებით სპეციალისტების მომზადებაში, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგები და რეგიონები განიცდიან კადრების ნაკლებობას, ხოლო რიგ მათგანში არის სიჭარბე. არის სპეციალობები, რომელთა კურსდამთავრებულები განაწილების გარეშე რჩებიან, საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს კადრების მომზადების, გადამზადებისა და განაწილების საკითხებს. გაუმჯობესებას მოითხოვს უმალღეს სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვა სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივების შესაბამისად. ამასთან ის სპეციალისტები, რომლებიც გარკვეული ვადით არ წავლენ სახალხო მეურნეობის იმ დარგებში, რეგიონებში, სადაც ისინი არიან განაწილებული, მათ მიმართ მიღებული იქნეს კანონით გათვალისწინებული ზომები.

სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის ვრცელი პროგრამაა მოცემული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის დადგენილებაში „უმალღესი სკოლის შემდგომი განვითარებისა და სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლების შესახებ“.

სკკპ XXVII ყრილობაზე ერთხელ კიდევ გაესვა ხაზი თანამედროვე დონეზე სპეციალისტთა მომზადების, კადრების სწორად გამოყენების, სახალხო მეურნეობის დარგებთან უმალღესი და საშუალო სპეციალური სკოლების ურთიერთობის და უმალღესი სკოლის მატერიალური ბაზის სრულყოფის საკითხებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის დადგენილებების შესაბამისად მეთორმეტე ხუთწლედში დაიწყო და შემდგომ ხუთწლედებში გაგრძელდება სკკპ XXVII ყრილობის მითითებანი უმალღესი სკოლის გარდაქმნის შესახებ. შეწყდა უმალღეს სასწავლებლებში სპეციალობათა გაუმართლებელი დაწილადობის პრაქტიკა. გამსხვილდა სპეციალობანი მათი რიცხვის არსებითი შემცირების გზით. გაიზარდა ინდივიდუალური მუშაობა სტუდენტებთან. არსებითად შემცირდა იმ სტუდენტთა რიცხვი, რომლებიც ერთ მასწავლებელზე მოდიოდნენ. თუ ერთ მასწავლებელზე საშუალოდ მოდიოდა 11 სტუდენტი, რეფორმა ითვალისწინებს ეს თანაფარდობა დავიდეს რვა ერთეულზე.

დაწყებული 1987 წლის პირველი სექტემბრიდან, სტიპენდიები გაუდიდდათ სტუდენტებს, რომლებიც განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწევენ სწავლაში. საუკეთესოთა წახალისების გარდა, უმცროს

კურსებზე სტუდენტები, რომლებიც უპასუხისმგებლოდ მოეკიდებიან სწავლას, გაირიცხებიან უმაღლესი სასწავლებლებიდან. ამ მიზნით შეწყდა პრაქტიკა, როცა მასწავლებელთა შტატები დამოკიდებული იყო სტუდენტთა რიცხვზე. ყოველივე ეს ხელს უწყობს სწავლების პროცესის ინტენსიურობის გადიდებას.

უმაღლესი განათლების გარდაქმნის საკვანძო მიმართულებაა: უმაღლესი სასწავლებლების კავშირის განმტკიცება წარმოებასთან, ცხოვრებასთან. დაინერგა პრაქტიკაში მოწინავე საწარმოებში სწავლების დამამთავრებელი სტადიის გადატანა. ამ მიზნით საწარმოებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში შეიქმნა უმაღლესი სასწავლებელთა კათედრების ფილიალები.

დადგენილებით გათვალისწინებულია მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების გადიდების სერიოზული ღონისძიებანი, ასევე გათვალისწინებულია გადიდდეს პროფესორების და დოქტორების საპენსიო უზრუნველყოფის დონე, გაუმჯობესდეს მათი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, სამედიცინო მომსახურება და ა. შ.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ „მომწიფებული სოციალიზმის ეპოქაში სწრაფად ვითარდება მეცნიერება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რაც თავის მხრივ, რაოდენობრივად და თვისებრივად ზრდის სამეცნიერო და ტექნიკურ ინტელიგენციას, რომლის ბირთვის შეადგენენ აკადემიკოსები, სამეცნიერო-აკადემიათა წევრ-კორესპონდენტები, მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები, პროფესორები და დოცენტები. ეს ჩვენი სამეცნიერო და ტექნიკური ინტელიგენციის ოქროს ფონდია. მას პატივს უნდა ვცემდეთ, ვუფრთხილდებოდეთ, შრომისა და შემოქმედების ოპტიმალურ პირობებს ვუქმნიდეთ“¹⁴.

მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა წლების მიხედვით შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება¹⁵ (ცხრ. იხ. 37-ე გვ.).

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, განვილილ 15 წელიწადში მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა 37%-ით გადიდდა და 27605 კაცს მიაღწია; აქედან მეცნიერებათა დოქტორებისა და მეცნიერებათა კანდიდატების რაოდენობა გადიდდა 77%-ით და 12 ათას კაცს გადააჭარბა.

მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლეულებში პარტიამ და მთავრობამ მრავალი დადგენილება მიიღო მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის. განხორციელდა ღონისძიებანი დაგეგმვის გაუმჯობესებისათვის, მეცნიერების კოორდინაციისა და დაფინანსებისათვის, პრაქ-

¹⁴ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მასალები, საქართველოს კპ ცკ ანგარიში. თბ., 1981, გვ. 91.

¹⁵ საქართველოს სსრ სახალხო მურნეოზა 1985 წ. თბ., 1986, გვ. 26.

	1971 წ.	1986 წ.
I. სულ მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა მათ შორის სამეცნიერო ხარისხის მქონე	20160	23605
— მეცნიერებათა დოქტორი	989	1387
— მეცნიერებათა კანდიდატი	5860	10706
II. მეცნიერ მუშაკთა საერთო რიცხვიდან სამეცნიერო წოდების მქონე:		
— აკადემიკოსი, წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი	814	1065
— დოცენტი	1698	3053
— უფროსი მეცნიერ მუშაკი	1752	2103

ტიკაში მისი მიღწევების დანერგვის დაჩქარებისათვის, შემოღებულია შრომის ანაზღაურების ახალი განაკვეთები, ეკონომიკური სტიმულირება და ა. შ.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო მეცნიერების განვითარებას ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში. სამეცნიერო ქვეგანაყოფები შეიქმნა ქუთაისში, რუსთავსა და რესპუბლიკის სხვა რეგიონებში.

სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის ეკონომიკური ეფექტი თითქმის ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე წინა ხუთწლეულში; დანერგილი ღონისძიებების შედეგად დამატებითმა მოგებამ საშუალოდ წელიწადში მეთერთმეტე ხუთწლეულში შეადგინა 43,1 მლნ. მანეთი, რაც 13,2 მლნ. მანეთით აღემატება მეთათე ხუთწლეულის საშუალო წლიურ დონეს.

მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად საგრძნობი თანხები იხარჯება, რაზეც ნათლად მიუთითებს შემდეგი მონაცემები:

წლები	ბიუჯეტიდან გაცემული თანხა (მლნ. მან.)	წლები	ბიუჯეტიდან გაცემული თანხა (მლნ. მან.)
1965	24,2	1975	46,4
1970	43,3	1980	56,2
		1985	67,3

როგორც ამ მონაცემებიდან ირკვევა, 1985 წელს 1965 წელთან შედარებით მეცნიერების განვითარებას რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოხმარდა 43 მლნ. მანეთით მეტი, მხოლოდ მეთერთმეტე ხუთწლეულში ამ დარგის განვითარებას მოხმარდა 310 მლნ. მანეთზე მეტი.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე აღინიშნა, რომ ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმრომონ მეცნიერ მუშაკებმა, სპეციალისტებმა, კონსტრუქტორებმა, რათა უფრო სწრაფი ტემპით დაჩქარდეს როგორც რესპუბლიკის, ასევე ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკის აღმავლობა.

3. ჯანმრთელობის დაცვა, ფიზიკური კულტურა და სოციალური უზრუნველყოფა

ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე საყოველთაო-სახალხო ზრუნვა, მოსახლეობის უფასო სამედიცინო მომსახურება — სოციალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 42-ე მუხლში ნათქვამია: „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ ჯანმრთელობის დაცვის უფლება. ამ უფლებას უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო დაწესებულებათა მიერ გაწეული უფასო კვალიფიციური სამედიცინო დახმარება; მოქალაქეთა სამკურნალო და ჯანმრთელობის გასაკაჟებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება; უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის განვითარება და სრულყოფა; ფართო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება“¹⁸.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულია ფართო დადგენილება და კანონი სახალხო ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 ივლისის № 517 და 1977 წლის 22 სექტემბრის დადგენილებები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1986 წლის № 1240 დადგენილება, რომლებშიც დასახულია ჯანმრთელობის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაფართოების, მრავალპროფილიანი და სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობის; სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ცენტრალური რაიონული საავადმყოფოების გამსხვილების, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დონის ამაღლების, თანამედროვე მედიცინის მიღწევათა სამედიცინო პრაქტიკაში ფართოდ დაწერვის, სამედიცინო კადრების იდეურ-პოლიტიკურად მომზადების,

¹⁸ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), თბ., 1977, გვ. 21—22.

ამ დარგის მუშაკთა შრომის დაინტერესების მიზნით ხელფასის გადიდებისა და მატერიალური და მორალური სტიმულირების სრულყოფისა და სხვა ღონისძიებანი.

მეთერთმეტე ხუთწლედში მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მიზნით შემცირდა ექიმთა დატვირთვის ნორმები. ეს ნორმები ერთ პედიატრულ უბანზე 1000-დან 800 ბავშვამდე შემცირდა, ხოლო თერაპიულზე — 2000-დან 1700 კაცამდე.

1978 წლის 1 იანვრიდან კვების, მედიკამენტებისა და შესახვევი მასალის ხარჯების გაანგარიშებითი ნორმა გადიდდა სამშობიარო სახლებში (განყოფილებებში), საბავშვო საავადმყოფოებში (განყოფილებებში), ბავშვთა კლინიკურ საავადმყოფოებში, თერაპიულ, ქირურგიულ, ნეიროქირურგიულ განყოფილებებში და ა. შ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1986 წლის № 1290 დადგენილების შესაბამისად ჯანმრთელობის, კულტურის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, სხვა სოციალურ-კულტურული დაწესებულებების მუშაკთა საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების მუშაკთა მომსახურების გაუმჯობესების დაინტერესების ამალგებისა და საგეგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის მათთვის სათანადო პირობების შექმნისათვის გაერთიანების, საწარმოებისა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელთ უფლება მიეცათ პროფკავშირის კომიტეტებთან ერთად მშრომელ კოლექტივებთან შეთანხმებით გამოიყენონ მატერიალური წახალისების ფონდის ნაწილი გაერთიანების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ბალანსზე რიცხული სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა მუშაკთა მატერიალური სტიმულირებისათვის.

სკკპ XXVII ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ „თითოეული ადამიანისათვის და არსებითად საზოგადოებისათვისაც, არა არის რა იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ჯანმრთელობა. ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა და გაკეთება უპირველესი მნიშვნელობის საქმეა“¹⁷.

ახორციელებს რა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა სახელმწიფო მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად ყოველწლიურად დიდძალ სახსრებს გამოყოფს. მაგალითად, თუ 1940 წელს ასეთმა ხარჯებმა 896 მლნ. მანეთი შეადგინა, ხოლო 1970 წელს — 9237 მლნ., 1987 წელს — 19100 მლნ. მანეთს მიაღწია.

1941 წლის დასაწყისისათვის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურებოდა 791 ათასი საწოლი, ანუ საშუალოდ 4,02 საწოლი მო-

¹⁷ სკკპ XXVII ყრილობის მასალები. თბ., 1986, გვ. 74—75.

სახლეობის ყოველ ათას სულზე. 1940—1960 წწ. ეს რიცხვი 948 ათასი საწოლით გადიოდა, ხოლო 1960—1985 წწ. 1869 ათასით. 1985 წლის ბოლოსათვის საავადმყოფოებში, სამშობიარო სახლებსა და დისპანსერებში ირიცხებოდა 3608 ათასი საწოლი, ანუ მოსახლეობის ყოველ ათას სულზე 12,96 საწოლი მოდიოდა.

სსრ კავშირის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას 1940 წ. ემსახურებოდა 155,3 ათასი ექიმი და 472,0 ათასი საშუალო სამედიცინო მუშაკი. მათი რაოდენობა 1940—1960 წლებში შესაბამისად 276,4 ათასით და 916,3 ათასით გადიოდა; 1960—1985 წწ. 738,7-ით და 1770,6-ით.

1985 წელს ყოველ 1000 სულს მომსახურებას უწევდა 4,2 ექიმი, 11,35 საშუალო მედიკოსონალი, რაც 1960 წლის დონეს შესაბამისად 2,2 და 4,93 ათ. აღემატებოდა.

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები შესრულების ფუნქციების მიხედვით იყოფა ოთხ ძირითად ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება — სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები, რომელიც აერთიანებს საავადმყოფოებს, დისპანსერებს, ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებს, სამშობიარო სახლებს, ბავშვთა სახლებს, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების დაწესებულებებს, სანატორიულ-საკურორტო ქსელს.

მეორე ჯგუფი შეიცავს სანიტარულ-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს, მესამე ჯგუფი — სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს, ხოლო მეოთხე ჯგუფი — სააფთიაქო დაწესებულებებს.

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ძირითადი ქსელის დაფინანსება ხდება ბიუჯეტიდან, ხოლო რიგი მათგანი, როგორცაა აფთიაქები, სააფთიაქო მაღაზიები და კიოსკები, სააფთიაქო საწყობები და ა. შ. მუშაობს მეურნეობრივი ანგარიშთანობის პრინციპებზე.

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების ხარჯები შედგება მიმდინარე შენახვის (ხელფასი, სამეურნეო და სამივლინებო ხარჯები, კვება, მედიკამენტების შექენა, რბილი ინვენტარი და ტანსაცმლის შექენა), დაწესებულებათა შენობების კაპიტალური რემონტისა და მათთვის მოწყობილობებისა და ინვენტარის შექენისა და ახალი ობიექტების მშენებლობის ხარჯებისაგან.

ჯანმრთელობის დაცვის ხარჯების განსაზღვრაში მთავარი ადგილი უკავია ხელფასის ფონდის განსაზღვრას, რომელიც საერთო ხარჯებში 50 პროცენტს აღემატება. ხელფასის ფონდის განსაზღვრისათვის ჩვენ უნდა ვიცოდეთ ექიმების, საშუალო და უმცროსი სამედიცინო პერსონალისა და ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალის რაოდენობა, მათი განათლება, სტაჟი, კვალიფიკაცია, დამსახურება, სამკურნალო დაწესებულების ადგილმდებარეობა (სოფლად, ქალაქად), მისი სიმ-

ქლავრე, პროფილი და სხვა. ექიმებისა და საშუალო მედპერსონალის ხელფასის განაკვეთები მუშაობის სტაჟის მიხედვით დიფერენცირებულია ოთხ ჯგუფად. პირველი ჯგუფი — 5 წლამდე, მეორე — 5-დან 10-მდე, მესამე — 10-დან 15-მდე, მეოთხე — 15 და მეტი.

ხელფასის განაკვეთი უდიდესობა მალალკვალიფიცირებულ ექიმებსა და პროვიზორებს, რომელთაც ატესტაციის შედეგებით მინიჭებული აქვთ უმაღლესი, პირველი და მეორე საკვალიფიკაციო კატეგორია შესაბამისად 50, 30 და 15 მანეთით, ხოლო მალალკვალიფიცირებულ ექიმ-ქირურგებს, რომელთაც ატესტაციის შედეგად მინიჭებული აქვთ უმაღლესი, პირველი და მეორე საკვალიფიკაციო კატეგორია და მუშაობს საავადმყოფოში ქირურგიულ განყოფილებაში ან პალატაში — შესაბამისად 75, 50 და 25 მანეთი თვეში; ექიმს, რომელსაც აქვს საპატიო წოდება „სსრკ სახალხო ექიმი“ — 50 მანეთით, ხოლო ექიმს და პროვიზორს, რომელსაც აქვს საპატიო წოდება „რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი“ და „რესპუბლიკის დამსახურებული პროვიზორი“ — 30 მანეთით თვეში. იმ პირებს, რომლებსაც უკავიათ ექიმის ან პროვიზორის თანამდებობა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში და აქვს მედიცინის (ფარმაცევტული, ბიოლოგიური, ქიმიის) კანდიდატის ხარისხი — 30 მანეთით, ხოლო მედიცინის (ფარმაცევტული, ბიოლოგიური, ქიმიის) მეცნიერებათა დოქტორს — 50 მანეთით თვეში და სხვ.

მიმდინარე ხარჯებში მეორე ძირითად ელემენტს წარმოადგენს კვების ხარჯები. ჩვენ ვიცით ნატურალური და ფულადი ნორმა, იგი დიფერენცირებულია საწოლების პროფილის მიხედვით. დიდი ყურადღება ექცევა ასევე მედიკამენტებისა და შესახვევი საშუალებების, რბილი ინვენტარისა და ტანსაცმლის შესაძენად ასიგნებათა და სხვა ხარჯების გაანგარიშებას.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად მოკავშირე რესპუბლიკებში და, კერძოდ, საქართველოს სს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. მნიშვნელოვანი სახსრები იხარჯება სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობაზე და სამედიცინო კადრების მომზადებაზე.

რესპუბლიკაში ამჟამად შექმნილია თანამედროვე ტექნიკით და აპარატურით აღჭურვილი, მალალკვალიფიციური ექიმ-სპეციალისტებით უზრუნველყოფილი სამკურნალო და პროფილაქტიკური დაწესებულებების ფართო ქსელი, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული რესპუბლიკური და საკავშირო დაქვემდებარების ჯანმრთელობის და-

ცვის მრავალი დაწესებულება, სადაც მუშაობს მედიცინის მუშაკთა მთელი არმია.

რესპუბლიკის მოსახლეობას 1985 წელს ემსახურებოდა 1362 საექიმო დაწესებულება, 55,4 ათასი საავადმყოფო საწოლი, 28,0 ათასი ექიმი და 60,3 ათასი საშუალო სამედიცინო პერსონალი. მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე მოდიოდა 10,63 საწოლი, 5,37 ექიმი, 11,58 საშუალო მედპერსონალი, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებლები 1965 წელს იყო შესაბამისად 8,48 საწოლი, 3,5 ექიმი და 8,23 საშუალო მედპერსონალი.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, ყოველ 1000 სულ მოსახლეზე საწოლთა რაოდენობა 1965—1985 წწ. გადიოდა 25 პროცენტით, ექიმებისა — 54; ხოლო საშუალო მედპერსონალისა — 41 პროცენტით.

მოსახლეობის 1000 სულზე ჩვენი რესპუბლიკა ექიმთა რაოდენობით საშუალო-საკავშირო მაჩვენებელს აღემატება 1,17-ით, საშუალო სამედიცინო პერსონალის — 0,23-ით, ხოლო საწოლთა რაოდენობის მიხედვით ჩამორჩება 2,33-ით. მიუხედავად ამისა, ერთი საწოლის საშუალო წლიური დატვირთვა ჩამორჩება საშუალო-საკავშირო მაჩვენებელს. ქალაქებისა და მუშათა დასახლებებში მდებარე საავადმყოფოებში ასეთმა დატვირთვამ 1986 წელს 260 დღე შეადგინა, მაშინ როდესაც საშუალო-საკავშირო — 325 დღეს აღემატებოდა. ასეთ პირობებში ჩვენი რესპუბლიკა საშუალო-საკავშირო მაჩვენებელს ჩამორჩება ქალაქად დაახლოებით 60—70 დღით, ხოლო სოფლად 100—120 დღით. აქედან გამომდინარე, საავადმყოფოებში ყოველი მეხუთე-მეექვსე ექიმი ქალაქად და ყოველი მესამე-მეოთხე ექიმი სოფლად არ არის დატვირთული და ეძლევა ხელფასი. ანალოგიური მდგომარეობაა საშუალო მედპერსონალშიც.

რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა ცალკეული რეგიონების, განსაკუთრებით ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის განვითარების საკითხებს.

საავადმყოფოს საწოლების რიცხვი აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 1970—1980 წწ. 4395 საწოლიდან 6190 საწოლამდე გადიოდა. ყოველ ათიათას მცხოვრებზე საწოლთა რიცხვი 91,8 საწოლიდან 121,2 საწოლამდე გაიზარდა, ექიმთა რაოდენობისა შესაბამისად — 29,9-დან 46,1-მდე, საშუალო სამედიცინო პერსონალისა — 91,7-დან 122,6-მდე. ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა აჭარის ასს რესპუბლიკაში, სადაც 1970—1985 წწ. ყოველ ათიათას მცხოვრებზე საწოლთა რაოდენობა გადიოდა 5,6-ით, ექიმთა რიცხვი — 11,9-ით, საშუალო სამედიცინო პერსონალის — 11,6-ით. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკაში საავადმყოფო საწოლების რაოდენობა გადიოდა 37,1-ექიმებისა — 38,8, საშუალო სამედიცინო პერსონალისა — 41,7-ით-

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი სრულად ვერ ანახავს ყველა იმ ხარჯს, რომელსაც სოციალისტური სახელმწიფო გამოყოფს სახალხო ჯანმრთელობის დაცვისათვის. ამ მიზნით საგრძნობ სახსრებს ხარჯავენ სამეურნეო ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები, ამასთან რიგ ღონისძიებებს აფინანსებენ საკავშირო ორგანიზაციები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვას მოხმარდა 1965 წელს — 117 მილიონი მანეთი, 1970 წელს — 161,5 მლნ., ხოლო 1985 წელს — 313,8 მლნ. მანეთი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ბოლო წლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად შესაძინევად გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, გაფართოვდა სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი, აშენდა ახალი საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, სამშობიარო სახლები ავადმყოფთა დროულად და უკეთ მომსახურების მიზნით.

საგრძნობლად გაიზარდა ამბულატორული გამტარიანობა პოლიკლინიკურ და მსხვილ სამრეწველო საწარმოებთან ჯანაუწყებების ქსელის გაფართოების შედეგად.

განსაკუთრებული ღონისძიებები ტარდება სამკურნალო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის, მათი თანამედროვე ინვენტარითა და მოწყობილობით აღჭურვისათვის. პრაქტიკაში ფართოდ ინერგება დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდები. დიდი ყურადღება ექცევა სამედიცინო კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას და სხვ.

გაუმჯობესდა მოსახლეობის სამკურნალო პროფილაქტიკური მომსახურება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვთა და ქალთა პირობების გაუმჯობესების საკითხებს. გაფართოვდა ბავშვთა და ქალთა კონსულტაციების ქსელი. 1985 წლის ბოლოსათვის რესპუბლიკაში მშობიარე და ფეხმძიმე ქალებისათვის ირიცხებოდა 4482 საექიმო და საბეანო საწოლი, მაშინ როდესაც ეს რიცხვი 1940 წელს არ აღემატებოდა 1880-ს. ქალთა კონსულტაციების, ბავშვთა პოლიკლინიკების და ამბულატორიების რიცხვი 1940—1985 წწ. 283-დან 646-მდე გადიდდა.

ადამიანებისათვის ზრუნვა გულისხმობს დაუცხრომელ ზრუნვას. მათი ჯანმრთელობისათვის. ყოველმხრივ უნდა სრულყოფილად ადამიანების შრომის პირობები და მისი დაცვა, უფრო მკიდროდ დავუკავშიროთ ეს პროცესი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. თვისებრივ გაუმჯობესებას საპირობებს მოსახლეობის სამედიცინო დახმარება. ბევრი რამ გაკეთდა სამკურნალო დაწესებულებების მატე-

რიალური ბაზის განვითარებისათვის, აღინიშნა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობაზე.

1966—1985 წწ. აშენდა და ექსპლოატაციაში გადაეცა საავადმყოფოები 24814 საწოლზე, აქედან მეთათე და მეთერთმეტე ხუთწლედში — 12283 საწოლი.

ასეთ პირობებში კვლავ არაღამაკმაყოფილებელია ჯანმრთელობის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სამედიცინო დაწესებულებათა 50 პროცენტი მოთავსებულია არატიპურ შენობაში. რესპუბლიკაში 1 საწოლზე საშუალოდ მოდის 3,5—4 კვ. მეტრი სანიტარული ნორმით გათვალისწინებული 7 კვ. მეტრის მაგიერ. არის საავადმყოფოები, რომელსაც არა აქვს ცენტრალური გათბობა, კანალიზაცია.

მეთერთმეტე ხუთწლედში ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა კაპიტალურ მშენებლობაზე დაიხარჯა 130 მილიონი მანეთი, კაპიტალურ რემონტზე 67 მლნ., სამედიცინო მოწყობილობების, აპარატურისა და ინვენტარ-მოწყობილობების შეძენაზე — 39 მლნ. მანეთი. თუ 1961 წელს კაპიტალურ მშენებლობაზე დაიხარჯა 3,9 მილიონი მანეთი, 1985 წელს 33 მილიონი მანეთი შეადგინა, კაპიტალურ რემონტზე შესაბამისად 2,6 და 17,0 მლნ. მანეთი. სამედიცინო მოწყობილობის, აპარატურისა და ინვენტარ-მოწყობილობების შეძენაზე — 4,2 მილიონი და 9,8 მილიონი მანეთი, ჯანმრთელობის დაცვის ხარჯების შოტულობაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი უკავია ხელფასს. ეს ხარჯი 1961—1985 წწ. 44,2 მილიონი მანეთიდან 159,4 მილიონ მანეთამდე გადიდა. ამ პერიოდში რიგი სამედიცინო პერსონალის ხელფასის განაკვეთი 2—3-ჯერ მოწესრიგდა.

სწრაფი ტემპით იზრდებოდა ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის ისეთ ძირითად ღონისძიებებზე, როგორცაა საავადმყოფოებისა და დისპანსერების, სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სისხლის გადასხმისა და სანიტარულ-ეპიდემიური სადგურების, სანატორიუმებისა და სხვა ღონისძიებათა დაფინანსება.

სავადმყოფოებისა და დისპანსერების შენახვის ხარჯები 1981—1985 წლებში 171 მლნ. მანეთიდან 191 მლნ. მანეთამდე გადიდა, ხოლო პოლიკლინიკებისა და ამბულატორიებისა შესაბამისად — 36,7 მლნ. მანეთიდან 42,3 მლნ. მანეთამდე. სავადმყოფოების, დისპანსერების, პოლიკლინიკებისა და ამბულატორიების შენახვას მეთერთმეტე ხუთწლედში მოხმარდა 1092,2 მლნ. მანეთი, რაც 223,8 მლნ. მანეთით აღემატება მეთათე ხუთწლედში ამ დანიშნულებით გამოყოფილ სახსრებს.

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე ხარჯების სწრაფმა ზრდამ გარკვეული გავლენა მოახდინა ადგილობრივი ბიუჯეტების ზრდის მოცულობაზე. ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების ხარჯები 1961—

1985 წწ. რესპუბლიკურ ბიუჯეტში 12,1 მლნ. მანეთიდან 97,8 მლნ. მანეთამდე, ე. ი. 85,7 მლნ. მანეთით გაიზარდა, მაშინ როდესაც ადგილობრივ ბიუჯეტებში მათი მოცულობა 68,7 მლნ. მანეთიდან 215,9 მლნ. მანეთამდე, ანუ 147,2 მლნ. მანეთით გადიდდა. ადგილობრივ ბიუჯეტებში ხარჯების ასეთ ზრდას საფუძვლად უდევს ადგილობრივი საბჭოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და უფლებების გაფართოება.

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების ხარჯები უფრო მეტი იქნებოდა, ყოველწლიურად ეს სახსრები აუთვისებელი რომ არ რჩებოდეს. მხოლოდ მეთერთმეტე ხუთწლედში კაპიტალური დაბანდებისათვის გამოყოფილი სახსრები აუთვისებელი დარჩა 15 მლნ. მანეთზე მეტი.

ჯანმრთელობის დაცვისათვის გამოყოფილი სახსრების აუთვისებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ერთი საწოლის საშუალო წლიური დატვირთვისა და საწოლთა გაშლის გეგმის შეუსრულებლობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ქსელის დაგეგმვისას საფუძვლიანად არ სწავლობს მატერიალურ-ტექნიკურ შესაძლებლობებს.

საწოლების დაუტვირთაობის მიზეზი კაპიტალური რემონტის გაჭიანურების გამო საავადმყოფოების ხანგრძლივი პერიოდის დახურვასთან ერთად ისიც არის, რომ რიგ საავადმყოფოებსა და სტაციონარულ დაწესებულებებში არ არის საწოლთა მანევრირების საშუალება. დაავადებათა გამწვავებისა და ზამთრის ეგრეთ წოდებულ „პიკის“ პერიოდში საავადმყოფოებს შესაძლებლობა არა აქვთ დამატებით მიიღონ ავადმყოფები. თუ ეს ხდება, ხშირია სანიტარული ნორმების დარღვევა, საწოლის ჩადგმის ან დერეფანში მოთავსების შემთხვევა. ეს მაშინ, როცა ზაფხულში საწოლები დაუტვირთავია. შედეგი კი ის არის, რომ არ სრულდება საწოლის წლიური დატვირთვის გეგმები, შესაბამისად ინტენსიურად არ არის გამოყენებული სამედიცინო პერსონალიც. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ პირობებში რიგ ქალაქსა და რაიონში საავადმყოფოები დაკომპლექტებულია ნორმატივის ზევით საშტატო ერთეულებით.

საავადმყოფო საწოლების სრული დაუტვირთაობა, გარდა ზემოაღნიშნული მიზეზებისა. ჩვენი აზრით, განპირობებულია იმითაც, რომ სათანადო კონტაქტები არ არის პოლიკლინიკებსა და საავადმყოფოებს შორის, ყოველთვის სწორად არ დგას სამედიცინო პერსონალის შვებულებათა გრაფიკი, ზოგიერთი საავადმყოფო დაკომპლექტებული არ არის ამა თუ იმ დარგის ექიმ-სპეციალისტებით, სწორად არ არის ორგანიზებული ავადმყოფთა კოსპიტალიზაცია, არ არის ზუსტად განზაზღვრული საავადმყოფოთა სიმძლავრეები, პროფილი და სხვა.

ამ საკითხს ხაზი გავსვა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე, სადაც აღინიშნა, რომ „ჩერ კიდეც ვერ შევძელით სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადაგვეტანა საამბულატორიო-პოლიკლინიკურ დაწესებულებებზე, განგვემტკიცებინა მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აღგვეჭურვა ისინი თანამედროვე დიაგნოსტიკური და სამკურნალო სამედიცინო ტექნიკით, დაგვეკომპლექტებინა სათანადო კვალიფიკაციის სამედიცინო კადრებით“¹⁸.

საჭიროა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა განახორციელონ ღონისძიებები, რათა უფრო ქმედითი კონტროლი დაწესდეს საავადმყოფოების მუშაობაზე, სტაციონარული მკურნალობის ჩასატარებლად დროული ჰოსპიტალიზაცია გაუკეთდეს ავადმყოფებს, დაწესდეს საავადმყოფოების კაპიტალური რემონტის ჩატარების მკაცრი გრაფიკი, აღიკვეთოს კაპიტალური რემონტის გაჭიანურების გამო საავადმყოფოების ხანგრძლივი პერიოდით დახურვის ფაქტები, შეიქმნას მანეჯირების ფონდი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ბოლო პერიოდში მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებზე გამოყოფილი სახსრების დანიშნულებისამებრ და მთლიანად ათვისების უზრუნველსაყოფად, რამაც უკვე დადებითი შედეგები მოგვცა.

პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებული ღონისძიებები შეუწყობს ხელს სკკპ XXVII ყრილობის მიერ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

ყრილობის შემდეგ უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „1988—1990 წლებში ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების პირველი რიგის ღონისძიებების შესახებ“ 1988 წლის 1 იანვრიდან ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში ავადმყოფთა კვების, მედიკამენტებისა და შესასყიდი საშუალებების შექენის ნორმები საშუალოდ გაიზარდა 25—30 პროცენტით, რბილი ინვენტარისა — 50 პროცენტით, დაწესდა წამლების უფასო გაცემა ამბულატორიულ პირობებში 3 წლამდე ასაკის ბავშვთა, აგრეთვე ბრონქული ასთმით ავადმყოფთა მკურნალობისათვის, შრომითი სახიჩრობის, პროფესიული თუ საერთო დაავადების შედეგად პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებისათვის მედიკამენტების შეღავათიანი გაცემა ღირებულების 50 პროცენტის ანაზღაურებით.

¹⁸ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მასალები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, თბ., 1981, გვ. 72—73.

უფასოდ ეძლევათ რძის, მშრალი, დაკონსერვებული და საბავშვო კვების სხვა პროდუქტები ერთიდან ორი წლის ბავშვებს იმ პირობებში, რომლებიც მოქმედებდა მრავალშვილიანი და ხელმოკლე ოჯახების ერთ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის.

სამედიცინო ტექნიკისა და დადგენილებით განსაზღვრულ ღონისძიებათა მოწყობისათვის საჭირო ასიგნებები 1988—1990 წლებში 5,4 მილიარდ მანეთს გადააქარბებს. 1988 წელს ამ ღონისძიებებისათვის გამოიყოფა 1,2 მილიარდი მანეთი, 1989 წელს — 1,8 მილიარდი მანეთი.

დადგენილებით გათვალისწინებულმა ღონისძიებებმა კიდევ უფრო გააუმჯობესა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება და ხელი შეუწყო სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას.

საბჭოთა ხალხის კომუნისტური აღზრდის, მისი ჯანმრთელობის გაკაუებისა და შრომისადმი სიყვარულის გავლევების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს ფიზიკური კულტურა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მხრივ ყოველდღიური დახმარების შედეგად ჩვენ რესპუბლიკაში ამ საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული.

რესპუბლიკაში 1986 წლის დასაწყისისათვის 7,4 ათ. ფიზკულტურული კოლექტივი არსებობდა, სადაც 1890,5 ათასი ფიზკულტურელი იყო გაერთიანებული. ფიზკულტურელთა რიცხვი 1975—1985 წწ. 413,5 ათასით გაიზარდა. ამავე პერიოდისათვის რესპუბლიკაში ირიცხებოდა 85 სტადიონი, 1583 სპორტული დარბაზი, 1698 ფეხბურთის მოედანი, 6760 კალათბურთის, ფრენბურთისა და ჩოგბურთის მოედანი. სპორტულ ორგანიზაციებში ირიცხება მრავალი გამოჩენილი სპორტსმენი, რომელიც შედის საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში. სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მინიჭებული აქვს 7353 კაცს.

სპორტული ღონისძიებების დაფინანსება ძირითადად ხდება საწარმოთა, გაერთიანებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა პროფკავშირული ორგანიზაციების. ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების სახსრებიდან და საბიუჯეტო ასიგნებიდან. 1966—1985 წწ. აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიმართულია 92 მლნ. მანეთი, აქედან მეთერთმეტე ხუთწლედში 31 მლნ. მანეთი.

სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებათა პროგრამა, მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის გარდა, ღონისძიებათა საკმაოდ ფართო წრეს მოიცავს. მნიშვნელოვანი თანხები ხმარდება მოხუცებულთა და ინვალიდ ბავშვთა სახლ-ინტერნატების შენახვას, პროტე-

ზირებას, ინვალიდთა სწავლებასა და მათ სამუშაოზე მოწყობას, პენსიონერთა ერთდროულ დახმარებებს, მათ შორის სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახებისათვის დახმარებებს, სანატორიულ-საკურორტო დახმარებებს, დახმარებებს, რომლებიც ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებისათვის არის გათვალისწინებული, და სხვა. პენსიონერთა რიცხვი 1965—1985 წწ. 625 ათასიდან 983 ათასამდე გაიზარდა, ბოლო ხუთწლეულებში დიდი ღონისძიებები გატარდა პენსიის მინიმუმის გადიდების, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების, ერთ წლამდე ასაკის ბავშვების დედების დახმარების გადიდებისა და მომუშავე პენსიონერების შეღავათების გადიდების შესახებ.

სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებზე ჩვენს რესპუბლიკაში ყოველწლიურად იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტის თითქმის ერთი მეექვსედი ნაწილი, მერვე ხუთწლეულში ამ დანიშნულებით გაწეულმა ხარჯებმა 685 მილიონ მანეთს გადააჭარბა, მეცხრე ხუთწლეულში — 1018 მლნ., მეათე ხუთწლეულში — 1415 მლნ., ხოლო მეთერთმეტე ხუთწლეულში — 1834 მლნ. მანეთს. ამასთან, ყოველწლიური საშუალო ზრდის ტემპი დაახლოებით 6—7 პროცენტს უდრის. ამ დანიშნულებით საბიუჯეტო ხარჯების ასეთი სწრაფი ზრდა მკაფიო გამოხატულებაა პარტიისა და მთავრობის განუწყვეტელი ზრუნვისა საბჭოთა საზოგადოების ხანდაზმული და შრომის უნარს მოკლებული წევრების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. მეთერთმეტე-მეთორმეტე ხუთწლეულებში მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ამ მიმართულებით. მათ შორის პენსიების მაქსიმუმში გაუდიდდათ ზოგიერთი კატეგორიის მუშებს, რომლებსაც განსაკუთრებით მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა, პენსიის მინიმალური ოდენობა გაუდიდდათ კოლმეურნეობის წევრებს, დამატებითი შეღავათები მიეცათ სამამულო ომის მონაწილეებს, სამამულო ომის ინვალიდებს და მათ ოჯახებს. შეღავათები, რომლებიც უფლებას აძლევენ მომუშავე პენსიონერებს ხელფასთან ერთად მიიღონ პენსია, გავრცელდა მომუშავეთა ყველა კატეგორიაზე, დახმარების ოდენობა გაუდიდდათ ბავშვობიდან ინვალიდებს. გატარდა ღონისძიებები პენსიის მინიმუმის გადიდების, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების, ერთ წლამდე ასაკის ბავშვების დედების დახმარების გადიდებისათვის და ა. შ.

ამ მიმართებით ფართო პროგრამაა დასახული მეთორმეტე და შემდგომ ხუთწლეულებში. ეს კიდევ უფრო გაზრდის სახელმწიფო სახსრებს, რომელიც მიმართულია ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ეკონომიკის ზრდის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე მეთორმეტე და შემდგომ ხუთწლეულებში კი-

დევ უფრო გაიზრდება ბიუჯეტის როლი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული სიმდიდრის განაწილებასა და გადანაწილებაში, რაც ხელს შეუწყობს ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით წარმოებული ეროვნული შემოსავალი გაიზრდება 19—22 პროცენტით, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდი შესაბამისად გაიზრდება 20—23 პროცენტით, ხოლო რეალური შემოსავალი — 13—15 პროცენტით. მოსახლეობის რეალური შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს შრომის ანაზღაურება. ეს ნიშნავს, რომ თითოეული მშრომელის კეთილდღეობის ზრდა დამოკიდებულია იმაზე, თუ მას პირადად თავის შრომით რა წვლილი შეაქვს წარმოების გაფართოებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლებაში. მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო თვიური ხელფასი 1990 წელს მიაღწევს 215—220 მანეთს. რაც 13—15 პროცენტით აღემატება 1985 წელს მიღწეულ დონეს.

გაფართოვდება ბავშვებიანი ოჯახების დახმარება, გაუმჯობესდება ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები. გაიზრდება შვილის მოსაველად დედების ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულების ხანგრძლივობა, სანამ ბავშვი წლინახევრისა გახდებოდეს. განვითარდება ორსულ ქალთა სპეციალიზებული პროფილაქტორიუმების ქსელი, გაუდიდდება ქალებს მშობიარობამდელი შვებულების, აგრეთვე ავადმყოფი შვილის მოვლის ფასიანი შვებულების ხანგრძლივობა.

გაუქმდა ახალდაქორწინებულ მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადის გადახდევინება ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან პირველი წლის განმავლობაში და ა. შ.

თ ა ვ ი III

მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა ხარჯთნუსხების შედგენის ორგანიზაცია და ხარჯების ნორმირების კრინციპები

1. ხარჯთნუსხების შედგენის ორგანიზაცია ადგილობრივი ბიუჯეტებით

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მითითებათა თანახმად, ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა ხარჯთნუსხების შედგენის წესი და ვადები ისაზღვრება რაიადმასკომის დადგენილებით.

ცალკეული დაწესებულების ხარჯთნუსხის პროექტების შედგენისა და კრედიტების მთავარი განმკარგულებლებისადმი მათი წარდგენის ვადები წესდება იმ ანგარიშით, რომ მათი განხილვა შეიძლებოდეს მაშინვე, როგორც კი რაიონის ბიუჯეტის პროექტი იქნება განხილული ზემდგომ ორგანოებში.

საინსტრუქტაჟო თათბირებზე, რომლებიც ბიუჯეტის შედგენის ორგანიზაციული გეგმის შესაბამისად ტარდება, ცალკეული დაწესებულების ხელმძღვანელსა და საანგარიშო დარგის მუშაკებს უნდა განემარტოს:

საკითხები მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების შესახებ სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში მკაცრი ეკონომიის დაცვის ამოცანებიდან გამომდინარე;

ხარჯების ცალკეულ სახეობებზე დაწესებული მატერიალური და ფულადი ნორმების გათვალისწინების შესახებ და სხვ.

ინდივიდუალური ხარჯთნუსხები დგება ცალკეული დაწესებულების მიხედვით და წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც საზღვრავს დაწესებულების შენახვაზე ბიუჯეტიდან გასაცემი სახსრების მოცულობას და მიზნობრივ მიმართულებას კვარტალების მიხედვით.

ხარჯთნუსხა შეიცავს სამ განყოფილებას.

პირველ განყოფილებაში აისახება დაწესებულების მუშაობის ძირითადი მაჩვენებლები (მაგალითად, სკოლაში — მოსწავლეებისა და კლასთა რაოდენობა, პოლიკლინიკებში — ავადმყოფთა გამტარიანო-

ბა, საავადმყოფოებში — გაშლილი საწოლების რაოდენობა და ა. შ.), აგრეთვე ზოგადი ცნობები დაწესებულების ადგილსამყოფელისა და დაკავებული სადგომების მოცულობაზე.

მეორე განყოფილება განკუთვნილია გაანგარიშებების შესადგენად ხარჯთნუსხების ცალკეული მუხლების მიხედვით, ხოლო მესამე განყოფილება გათვალისწინებულია ხარჯების მუხლობრივი ნაერთის შესადგენად (საბიუჯეტო კლასიფიკაციით ხარჯთა მუხლებისათვის გათვალისწინებული თანმიმდევრობით).

დაწესებულების ინდივიდუალური ხარჯთნუსხა, რომელიც დადგენილი ფორმის ბლანკებზე დგება, სავსებით უნდა შეესაბამებოდეს მთავრობის დირექტივებს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მითითებებს, დაწესებულების საქმიანობის მოცულობას, შეფარდებოდეს დამტკიცებულ შტატებს და ხელფასის განაკვეთებს.

ხარჯთნუსხის ცალკეული მუხლების განსაზღვრისას სარგებლობენ დაწესებული ნორმით (სკოლების ხარჯთნუსხების შედგენისას გათბობაზე, განათებაზე, სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოებსა და მასალებზე, პოლიკლინიკებისა და საავადმყოფოების ხარჯთნუსხების შედგენისას — გათბობაზე, განათებაზე, ავადმყოფთა კვებასა და მედიკამენტების შექმნაზე).

ხარჯთნუსხების შედგენის დროს წინასწარი კონტროლის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს „შრომის ზომისა“ და „მოხმარების ზომის“ ზუსტად დაცვას, როგორც ლენინი მიუთითებდა, სანამ ადამიანები კომუნისზმის პრინციპით საერთო თანაცხოვრების ძირითადი წესების დაცვას შეეჩვევიან, პროდუქტების განაწილება უნდა მოხდეს დადგენილი ნორმების საერთო დაცვით. „მანამდე, სანამ კომუნისზმის „უმალღესი“ ფაზა დადგებოდეს, — წერდა ლენინი, — სოციალისტები მოითხოვენ შრომის ზომისა და მოხმარების ზომის უსასტიკეს კონტროლს საზოგადოების მხრივაც და სახელმწიფოს მხრივაც“¹.

ამრიგად, დაწესებულებათა ინდივიდუალური ხარჯთნუსხები დგება პირდაპირი გაანგარიშებით მატერიალური ნორმების, მოცემული ადგილისათვის მიღებული მოქმედი ფასების საფუძველზე და თვით დაწესებულების საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით.

ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის მიერ მომსახურებული თითოეული დაწესებულების ხარჯთნუსხის შედგენამდე უნდა დაზუსტდეს ცნობები დაწესებულების შტატის, ხელფასის განაკვეთების, ხარჯთა ნორმების შესახებ. ამის მიხედვით განისაზღვრება და დიფერენციალური განმავლობაში საჭირო სახსრები დაწესებულების მუშაკების ფაქტიურ შემადგენლობაზე, სამეურნეო-საქანცელარიო და მივლინე-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 585.

ბის ხარჯებზე, ავადმყოფთა კვებაზე, მედიკამენტის შექმნაზე, კაპიტალურ რემონტზე, კაპიტალურ დაბანდებაზე და ა. შ.

მოსწავლეებისა და კლასების რაოდენობა სკოლებში უცვლელი რჩება სასწავლო წლის განმავლობაში. ამიტომ დასაგეგმი წლის პირველი 8 თვისთვის ცნობები მოსწავლეებისა და კლასების რაოდენობათა შესახებ ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით აიღება შემდგომი წლის 1 სექტემბრიდან ახალი კონტინგენტის მიღებამდე.

ცნობები პოლიკლინიკებში ავადმყოფთა გატარების, საავადმყოფოებში ფაქტიურად გაშლილი საწოლების შესახებ ცენტრალიზებულ ბუხპალტერიას შესაძლებლობას აძლევს ზუსტად გამოითვალოს მედიკამენტების, კვების პროდუქტებისა და სხვათა შესაძენად წლის განმავლობაში საჭირო სახსრები.

ცნობები ბაღებსა და ბაგებში ფაქტიურად არსებული ადგილების რაოდენობის შესახებ ქმნის საბავშვო დაწესებულებებში მომავალი წლისათვის ადგილების რაოდენობის სწორად დაგეგმვის შესაძლებლობას.

არსებული წესის მიხედვით, საბავშვო დაწესებულებებში ბავშვთა შენახვისათვის მშობელთა გადასახდელის გეგმური ოდენობის განსაზღვრის დროს თვლიან ყველა ბავშვის თვიური გადასახდელის საერთო თანხას, რომელსაც ყოფენ ბავშვთა რაოდენობაზე, მიღებულ განაყოფს ამრავლებენ დასაგეგმავ საბიუჯეტო წელს გათვალისწინებულ ბავშვთა გეგმურ რაოდენობაზე და მიღებულ ნამრავლს ყოფენ თორმეტზე.

აღრიცხვის ცენტრალიზაციის პირობებში, როდესაც რამდენიმე ათობით დაწესებულების შესანახი ხარჯების გაერთიანება ხდება, დაგეგმვისა და მომჭირნეობის რეჟიმის დაცვის საჭიროება უაღრესად იზრდება, აღრიცხვის ცენტრალიზაციის ახალ ორგანიზაციულ ურთიერთობათა რთული ქსელის მოგვარება ფართო საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული მუშაობის ცენტრალურ ობიექტად იქცევა. ამიტომ აღრიცხვის ცენტრალიზაციის პირობებში აუცილებელია ცალკეული დაწესებულების მომავალი წლის ხარჯების გასაანგარიშებელ მუშაობას წინ უძღოდეს მიმდინარე წლის მოსალოდნელი შესრულების შეფასება წლის განვლილი პერიოდის ხარჯთნუსხის შესრულების საანგარიშო მონაცემებისა და წლის ბოლომდე მოსალოდნელი ხარჯების განსაზღვრის საფუძველზე.

ხარჯთნუსხების მოსალოდნელი შესრულების ანალიზის შედეგებმა, დაზუსტებული დანიშნულებიდან გადახრის დადგენამ და ამ გადახრათა მიზეზების გამოვლენამ, შემოწმება-გამოკვლევისა და, აგრეთვე, ჩატარებული რევიზიების მასალების მოშველიებამ უნდა უზრუნველყოს მომავალი წლის ხარჯთნუსხებში გასათვალისწინებელი ხარჯების

სიზუსტე მოქმედი კანონისა და დაწესებულების საქმიანობის ხასიათის შესაბამისად.

გათვალისწინებელი ყველა ხარჯი დასაბუთებული უნდა იყოს საჭირო გაანგარიშებებით და ამის მიხედვით შეივსოს ხარჯთნუსხის ბლანკით გათვალისწინებული ყველა მაჩვენებელი.

ხარჯთნუსხა დება ერთი წლის ვადით — 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით — საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი დანიშნულები-სამებრ განაწილებით (საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედ-ვით).

ხარჯთნუსხის შედგენილ პროექტს დაწესებულება წარუდგენს თავის ზემდგომ ორგანოს. ამის კვალობაზე რაიონის ბიუჯეტზე მყოფი ზემდგომი დაწესებულებანი ხარჯთნუსხებს წარადგენენ სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილებაში. რაიონული დაქვემდებარების ქალაქების, სოფლებისა და დაბების ბიუჯეტებზე მყოფი დაწესებულებანი ხარჯთნუსხებს წარადგენენ სახალხო დეპუტატების სათანადო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში კუთვნილებისამებრ.

როგორც წესი, ყველა ცალკეული დაწესებულების თუ ორგანიზაციის ხარჯთნუსხას უშუალოდ კრედიტების მთავარი განმკარგულებელი წარადგენს.

ხარჯთნუსხების შედგენასთან დაკავშირებული მუშაობა ისე უნდა მოეწყოს, რომ რაც შეიძლება მოკლე ვადაში ჩატარდეს მაღალი ეფექტიანობით. ამიტომ კრედიტების მთავარი განმკარგულებლების მიერ იმ ცალკეულ დაწესებულებათა ხარჯთნუსხების განხილვა, რომლებიც რაიონის ბიუჯეტით ფინანსდებიან, უნდა მოხდეს მაშინვე, როგორც კი რაიონის ბიუჯეტი განხილული იქნება ზემდგომ ორგანოებში და რაიონის საფინანსო განყოფილება შეატყობინებს კრედიტების მთავარ განმკარგულებლებს ბიუჯეტის განხილვის დროს, ამ დარგისათვის მიღებულ მთლიან თანხას ხელფასისა და სხვა ხარჯების გამოყოფით, რომლის ზღვრულ ოდენობას მთლიანად რაიონის ბიუჯეტით აწესებს ზემდგომი ორგანო.

რაიონის საფინანსო განყოფილებათა გამგეები განიხილავენ რაიონის ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ხარჯთნუსხების პროექტებს და მიიღებენ ხარჯებს დაწესებულებათა ხარჯთნუსხებით იმ ასიგნებათა ფარგლებში, რომლებიც ამ მიზნისათვის ბიუჯეტის პროექტით არის გათვალისწინებული.

რაიონული დაქვემდებარების ქალაქის აღმასკომები, რომლებსაც განყოფილებები არა აქვთ, აგრეთვე მუშათა დაბებისა და სასოფლო საბჭოების აღმასკომები განიხილავენ სათანადო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ხარჯთნუსხებს და მიიღებენ ხარჯებს ამ ხარჯთნუსხე-

ბით იმ ასიგნებათა ფარგლებში, რომლებიც სათანადო ბიუჯეტების პროექტებშია გათვალისწინებული.

წარმოდგენილი ხარჯთნუსხების განხილვის დროს რაიონული საბჭოს აღმასკომის განყოფილებები, ქალაქების, რაიონული დაქვემდებარების ქალაქების, დაბებისა და სასოფლო საბჭოების აღმასკომები ამოწმებენ მოქმედ კანონმდებლობასა და ხარჯთნუსხების შედგენაზე მითითებების დაცვას, საწარმოო მაჩვენებლების შესაბამისობას მეურნეობის განვითარების მომავალი წლის გეგმის პროექტთან, გაანგარიშებათა სისწორეს და ხარჯების მიზანშეწონილობას. კრედიტების მთავარი განმაკარგულებლების მიერ ცალკეულ დაწესებულებათა ხარჯთნუსხების განხილვა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მასში მონაწილეობას ღებულობდნენ სათანადო დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

დაქვემდებარებულ დაწესებულებათა ხარჯთნუსხების განხილვასთან ერთად რაიონული საბჭოს განყოფილებათა გამგეები იხილავენ ხარჯთნუსხებს იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც უშუალოდ განყოფილებები ახორციელებენ (ცენტრალიზებული ხარჯები), აგრეთვე ხარჯთნუსხებს იმ დაწესებულებათა შენახვაზე, რომლებიც რაიონის მეურნეობის განვითარების გეგმის პროექტის შესაბამისად უნდა გახსნან მომავალ წელს.

ცალკეულ დაწესებულებათა ხარჯთნუსხების განხილვის შემდეგ სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილებები ადგენენ და უდგენენ რაიონის საფინანსო განყოფილებას ბიუჯეტის პროექტში შესატანად:

ა) ხარჯების ნაერთ ხარჯთნუსხას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, კვარტალებზე დანაწილებით;

ბ) ხარჯთნუსხებს იმ ხარჯებისა, რომლებსაც უშუალოდ კრედიტების მთავარი განმაკარგულებელი ახორციელებს;

გ) ქსელის, კონტინგენტებისა და შტატების ნაერთ მაჩვენებლებს დაწესებულებათა ჯგუფების მიხედვით. რაიფინგანი იხილავს წარმოდგენილ მასალებს და, კერძოდ, არკვევს:

ხარჯთნუსხის ნაერთით მიღებული ქსელისა და კონტინგენტის მონაცემების შესაბამისობას რაიონის მეურნეობის განვითარების გეგმის პროექტით გათვალისწინებულ მაჩვენებლებთან;

ხარჯების ცალკეულ სახეობებზე იმ ასიგნებათა ოდენობების დაცვას, რომლებიც დადგენილია ზემდგომი ორგანოების მიერ და ეცნობათ ადრე კრედიტების მთავარ განმაკარგულებლებს.

რაიონული დაქვემდებარების ქალაქების, დაბებისა და სასოფლო საბჭოების აღმასკომები იხილავენ დაქვემდებარებულ დაწესებულებათა ხარჯთნუსხებს და მის საფუძველზე ღებულობენ ხარჯებს იმ თანხე-

ბის ფარგლებში, რომლებიც გათვალისწინებულია ბიუჯეტების დაზუსტებული პროექტებით.

სარაიონო, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოთა აღმასკომების მიერ ბიუჯეტების განსაზღვრის შემდეგ, კრედიტების მთავარი განმკარგულებლები ამტკიცებენ საბიუჯეტო დაწესებულებათა ხარჯთნუსხებს.

ხარჯთნუსხების დასამტკიცებლად მომზადებისას კრედიტების მთავარი განმკარგულებლები დაწესებულებათა ხარჯთნუსხებში აზუსტებენ მათ მიერ ადრე დასახულ ასიგნებათა წლიურ ოდენობებს იმ ანგარიშით, რომ ხარჯების საერთო ჯამები ყველა ხარჯთნუსხით ზუსტად შეესაბამებოდეს ბიუჯეტით დაწესებულ ასიგნებებს.

კრედიტების მთავარი განმკარგულებელი, ხელმძღვანელობს რა წლიური ბიუჯეტის ხარჯების დამტკიცებული კვარტალური დანაწილებით, დაწესებულებათა ხარჯთნუსხებით მიღებული ხარჯების წლიურ ჯამებს ანაწილებს ცალკეულ კვარტალებად იმ ანგარიშით, რომ ხარჯების საერთო ჯამი, აგრეთვე ხარჯების ჯამი ხელფასზე, კაპიტალურ დაბანდებებზე და ხარჯები სხვა მუხლებით, ზუსტად შეესაბამებოდეს ბიუჯეტით დამტკიცებულ კვარტალურ დანაწილებას.

ხარჯთნუსხების დამტკიცების შემდეგ კრედიტების მთავარი განმკარგულებელი აზუსტებს ნაერთ ხარჯთნუსხას პარაგრაფებისა და მუხლების მიხედვით, კვარტალური დანაწილებით და უდგენს მას რაიონულ საფინანსო ორგანოს.

რაიფინგანი ამოწმებს წარმოდგენილ ნაერთ ხარჯთნუსხებს დამტკიცებული ბიუჯეტისადმი შესაბამისობის თვალსაზრისით, აგრეთვე შერჩევის წესით — ცალკეული დაწესებულებების ხარჯთნუსხებს.

ცალკეულ დაწესებულებათა ხარჯთნუსხების შემოწმებისას რაიფინგანი ვალდებულია დაადგინოს:

დაცულია თუ არა მთავრობის მოქმედი დადგენილებანი და განკარგულებანი;

დაცულია თუ არა რაისაბჭოს აღმასკომისა და ზემდგომი ორგანოს მითითებანი ხარჯთნუსხის შედგენის შესახებ;

შედგენილი გაანგარიშების სისწორე ხარჯების თითოეული მუხლით, კერძოდ, მიღებული შტატებისა და ხელფასის განაკვეთების, ნორმების, ფასების, ტარიფების სისწორე.

იმ შემთხვევაში თუ საბიუჯეტო დაწესებულებათა დამტკიცებული ხარჯთნუსხების შემოწმებისას გამოვლინდა უკანონო და გადამეტებული ხარჯები, რაიფინგანი აძლევს მითითებას კრედიტების მთავარ განმკარგულებელს დამტკიცებულ ხარჯთნუსხებში შესწორებების შეტანის შესახებ და წარადგენს წინადადებებს რაი აღმასკომში ნაერთ ხარჯთნუსხაში ასიგნებათა სათანადო თანხით შემცირების შესახებ.

ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებს ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების გარდა თავის განკარგულებაში შეიძლება ჰქონდეთ სპეციალური სახსრებიც.

სპეციალურ სახსრებად ითვლება სახსრები, რომლებიც იქმნება ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა იმ შემოსავლებიდან, რომლებიც შეიძლება იწარგებოდეს სპეციალურ მიზნებზე, ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის ნაწილში გაუტარებლად.

ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსრების შექმნა და გაუქმება ხორციელდება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილი წესით.

სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხის პროექტი შემოსავლებზე და ხარჯებზე დგება ერთი წლის ვადით — 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ხარჯთნუსხის საშემოსავლო ნაწილში შეიტანება შემოსავლები თითოეული საშემოსავლო წყაროდან და ფულადი სახსრების ნაშთი მიმდინარე ანგარიშზე. სპეცსახსრების ხარჯთნუსხის პროექტი დგება მოსალოდნელი შემოსავლებისა და მათი მიზნობრივი დანიშნულების სრული შესაბამისობით.

სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხათა პროექტები წარედგინება და განიხილება ბიუჯეტური ხარჯთნუსხების პროექტებთან ერთდროულად.

ხარჯებზე გადანამატი შემოსავლის თანხები, სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხებით, გათვალისწინებული უნდა იქნეს ბიუჯეტის შემოსავლებში შესატანად, კვარტალური დანაწილებით.

სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებების, სახალხო დეპუტატების საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების), სასოფლო, სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ამტკიცებენ სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხებს დაქვემდებარებულ დაწესებულებებისათვის და ნაერთ ხარჯთნუსხებს უდგენენ რაიფინგანს.

რაიონის ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსრების ნაერთ ხარჯთნუსხებს რაიონის საფინანსო განყოფილების წარდგენით ამტკიცებს სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ბიუჯეტის განსაზღვრასთან ერთდროულად.

ქალაქის (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), დაბებისა და სოფლის ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხები მტკიცდება სახალხო დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოთა აღმასკომების მიერ ბიუჯეტის განსაზღვრასთან ერთდროულად.

ბიუჯეტურ დაწესებულებათა მუშაობის სრულყოფის, ბიუჯეტის ხარჯების უფრო ეფექტურად გამოყენების, სხვადასხვა დაწესებულებებში ერთგვაროვანი ხარჯების თანაზომადობის შექმნის, გაანგარიშებათა გამარტივებისა და გაადვილებისათვის ბიუჯეტის შედგენის დროს გამოიყენება დაგეგმვითი მუშაობის ერთ-ერთი მეთოდი — ბ ი უ ჯ ე ტ ი ს ხ ა რ ჯ ე ბ ი ს ნ ო რ მ ი რ ე ბ ა .

ხარჯების ნორმირების მეთოდის გამოყენებისას ამა თუ იმ ტიპის ბიუჯეტური დაწესებულების შენახვის ხარჯების მოცულობა მთლიანად ბიუჯეტით განისაზღვრება, როგორც ნაპრაელი ხარჯების ნორმებისა კონტინგენტის გეგმის შესაბამის მაჩვენებელზე — კლასზე, საწოლზე, დაწესებულებაზე. ასეთ მაჩვენებლებს ეწოდება საანგარიშო (დასაგეგმი) ერთეულები. გაანგარიშებათა გამარტივების მიზნით, ისინი ინგარიშებიან არა ცალკე წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის, არამედ საშუალო წლიურ გამოსახლებაში შემდეგი ფორმულით: X

$ქს — (ქ_1 \times თ_1) + (ქ_2 \times თ_2)$, სადაც $ქს$ არის საშუალო წლიური კონტინგენტი, $ქ_1$ და $ქ_2$ ქსელი ან კონტინგენტი წლის დასაწყისში და წლის ბოლოს შესაბამისად: $თ_1$ და $თ_2$ — ამა თუ იმ კონტინგენტის მოქმედების თვეთა რაოდენობა დასაგეგმი წლის დასაწყისში და ბოლოს.

საერთო საბიუჯეტო-სახარჯთაღრიცხვო წესით დაფინანსდება სკოლები, ტექნიკუმები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, საბავშვო ბაღები, ჯანდაცვის დაწესებულებები, საავადმყოფოები, პოლიკლინიკები. სოციალური მომსახურების ორგანოები, სახელმწიფო ხელისუფლება და სახელმწიფო მმართველობა.

ბიუჯეტური დაწესებულებები თავიანთ გასავლებს გეგმავენ საშუაოს მოცულობისა და გეგმების შესაბამისად. საგეგმო მონაცემები ყველა ბიუჯეტურ ორგანიზაციას უმტკიცდება ზემდგომი ორგანოებიდან, სამინისტროებიდან, მშრომელთა ადგილობრივი საბჭოების უწყებებიდან და განყოფილებებიდან მოცემული საგეგმო მონაცემების შესაბამისად. საბჭოთა კავშირში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება საბაზო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში, აგრეთვე სოციალურ-კულტურული მშენებლობა ხორციელდება უმაღლესი და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში. აღნიშნული მიზნებისათვის გასაწევი ხარჯები იგეგმება მოსწავლეთა კონტინგენტიდან გამომდინარე რიცხოვნობით და თანამდებობრივი განაკვეთებით. პროფესორ-მასწავლებლების და ადმინისტრაციულ-მომსახურე პერსონალის, აგრეთვე სპეციალისტების მოთხოვნილებისა და კატეგორიების შესაბამისად იგეგმება მოსწავლეთა კონტინგენტის სტიპენდიებით უზრუნველყოფა.

1981—1985 წლებში განხორციელდა ღონისძიებები უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების შემდგომი განვითარებისათვის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის, მომავალი სპეციალისტების მომზადების დონის ამაღლებისა და იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესების მოთხოვნების შესაბამისად. ხუთი წლის განმავლობაში უნდა მომზადდეს, 9,6 მლნ. სპეციალისტი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებით და, პირველ რიგში, სპეციალისტები მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიმართულებების შესაბამისად წარმოების სწრაფად განვითარებადი დარგებისა და მომსახურების სფეროსათვის. ეს ყველაფერი მოითხოვს საშუალო და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ქსელის განვითარებასა და მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებას.

უმაღლეს და სპეციალურ განათლებაზე დანახარჯების დაგეგმვისათვის გამოიყენება მოსწავლეების კონტინენტის, პროფესორ-მასწავლებლების პერსონალის, სტიპენდიანტების რიცხოვნობის საშუალო წლიური მაჩვენებელი. მოსწავლეების რიცხოვნობა განისაზღვრება ყოველი თვის პირველი რიცხვისათვის გამოყვანილი და სასწავლო წლის ბოლოს მიღებული ჯამის გაყოფით ცამეტზე.

პროფესორ-მასწავლებლების შემადგენლობის რიცხოვნობის ნორმები განისაზღვრება ცალ-ცალკე დღის, საღამოს და დაუსწრებელი განყოფილებებისათვის. აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლის დასწრებელი და დაუსწრებელი ასპირანტურის მიხედვით. პროფესორ-მასწავლებლების შემადგენლობის რიცხოვნობის საშუალო ნორმა საღამოსა და დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებში და ფაკულტეტებზე დადგენილია შემდეგი ნორმით:

ცხრილი 1

უმაღლესი სასწავლებლები და ფაკულტეტები	სტუდენტების რაოდენობა ერთ პედაგოგზე	
	საღამოს სწავლება	დაუსწრებელი სწავლება
1. საინჟინრო	20	50
2. საინჟინრო-ეკონომიკური, ეკონომიკური	21	53
3. უნივერსიტეტები	20	53
4. სასოფლო-სამეურნეო	20	53
5. პედაგოგიური	20	58
6. ხელოვნება	6	18
7. ფიზკულტურა და სპორტი	14	40
8. სამედიცინო	16	30

² დამტკიცებულია სსრკ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

პროფესორ-მასწავლებლების შემადგენლობის რიცხოვნობის ნორმები დასწრებული ასპირანტურის ასპირანტებისათვის შეადგენს 1 პედაგოგს 12 ასპირანტზე, ხოლო დაუსწრებელ ასპირანტურაში 1 პედაგოგს 15 ასპირანტზე.

პროფესორ-მასწავლებლების შემადგენლობის საშუალო წლიური რიცხოვნობა განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$სრ = \frac{\text{თრდ} \times 8,5 \times \text{თრბ} \times 3,5}{12}$$

სადაც სრ საშუალო წლიური რიცხოვნობაა;

თრდ — თანამდებობათა რიცხოვნობა სასწავლო წლის დასაწყისში;

თრბ — თანამდებობათა რიცხოვნობა სასწავლო წლის ბოლოს;

8,5; 3,5 — თვეების რაოდენობა სასწავლო წლის განმავლობაში.

გამომდინარე საშუალო წლიური რიცხოვნობიდან, გამოითვლება ხელფასის ფონდი პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისათვის.

ხელფასის ფონდის გამოსათვლელად, გარდა აღნიშნული სიდიდისა, საჭიროა აგრეთვე მონაცემები პროფესორ-მასწავლებლების შემადგენლობის ხელფასის საშუალო განაკვეთის სიდიდის შესახებ. ეს მაჩვენებლები გამოითვლება სატარიფიკაციო სიის საფუძველზე (თვიური ფონდის ჯამი სიობრივი შემადგენლობის მიხედვით იყოფა მომუშავეთა რაოდენობაზე).

კათედრის გამგეების, კათედრის პროფესორების, უფროსი მასწავლებლების, ასისტენტების და კათედრის მასწავლებლების თანამდებობრივი განაკვეთები დადგენილია თანამდებობრივი განაკვეთების სახით დაკავებული თანამდებობების მიხედვით სამეცნიერო ხარისხიდან და წოდებიდან, აგრეთვე სამეცნიერო-პედაგოგიური სტაჟიდან გამომდინარე.

შესაბამისად, მაჩვენებლების გამოთვლა საშუალებას იძლევა დაიგეგმოს საბიუჯეტო დაწესებულებების ფულადი სახსრების ხარჯები.

განათლებაზე დანახარჯების დაგეგმვისათვის აუცილებელია მოხდეს უმაღლეს სასწავლებლებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა მომავალი რიცხოვნობის შეფასება როგორც მთელი ქვეყნის, ასევე რესპუბლიკური მასშტაბით.

ცნობილია, რომ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტების მოსამზადებლად საჭიროა ხანგრძლივი დრო (3—6 წელი), ამის გამო საგეგმო მოთხოვნილება განისაზღვრება 5—7 წელზე და მეტი დროით. იმ პერიოდისაგან დამოკიდებულებით, რა დროისათვისაც ხდება გეგმის შექმნა (1 წელი, 5—7 წელი ან 15 წელი), მოთხოვნილება დგინდება დეტალიზაციის სხვადასხვა ხარის-

ხით. ხანგრძლივი პერიოდის გეგმებში მოთხოვნილება სპეციალისტებზე განისაზღვრება სპეციალისტების გამსხვილებული ჯგუფების მიხედვით, ხოლო 5—7 წლის პერიოდებისათვის — ყოველი სპეციალობის მიხედვით. შესაბამისად, შესაძლებელია დაგვეგმოთ საჭირო რაოდენობის სპეციალისტების მოსამზადებელი ხარჯები უმაღლეს სასწავლებლებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

სპეციალისტებზე მოთხოვნილება იყოფა საერთო და დამატებით საჭიროებად. საერთო მოთხოვნილება — ეს სპეციალისტების ის რაოდენობაა, რომელიც აუცილებელია გარკვეული პერიოდისათვის დამტკიცებული წარმოების გეგმისა და სხვა სახის საქმიანობით დასახული ამოცანების შესასრულებლად. დამატებითი მოთხოვნილება — ეს სპეციალისტების ის რიცხოვნობაა, რომელიც აუცილებელია საგეგმო პერიოდისათვის, საერთო დადგენილი რიცხოვნობის უზრუნველსაყოფად.

სპეციალისტებზე მოთხოვნილების განსაზღვრის მრავალრიცხოვანი მიდგომებისა და მეთოდების ანალიზის შედეგად შესაძლებელია მათი დაჯგუფება სამი მიმართულებით:

1. დაფინანსებით უზრუნველყოფის მეთოდი, რაც გამოიხატება საგეგმო პერიოდის მდგომარეობისათვის დინამიკური ანდა სტატიკური უზრუნველყოფილობის კოეფიციენტების დადგენაში, მეურნეობის დარგებში დასაქმებულ საერთო რიცხვიდან.

2. ექსტრაპოლაციის მეთოდი ნაკლებად ზუსტია და პრაქტიკაშიც ნაკლებად გამოიყენება, ძირითადად შორეული პერსპექტივის გამოთვლებისა და საზოგადოებრივი წარმოების იმ დარგებში, სადაც ძნელია გამოიხატოს საშუაოს მოცულობა. იგი იანგარიშება გასული პერიოდის ტენდენციის შესწავლით და დასაგეგმ პერიოდში ამ ტენდენციების გავრცელების გარკვეული კორექტირებით.

3. ნორმატიული მეთოდი დაიყვანება სპეციალისტების დასაგეგმი რიცხოვნობის გაანგარიშებაზე ნორმატივების საფუძველზე, რითაც განისაზღვრება სპეციალისტების საშტატო თანამდებობების აუცილებელი რიცხვი ამა თუ იმ სახის საქმიანობისათვის. ეს მეთოდი უფრო ზუსტია და დაფუძნებულია რეალურ გაანგარიშებებზე³.

სპეციალისტებზე დადგენილი საერთო და დამატებითი მოთხოვნის საფუძველზე ყალიბდება გეგმა და იგეგმება სპეციალისტების მომზადების მოცულობა უმაღლესი და საშუალო სპეციალური დაწესებულებების სისტემის მეშვეობით მათი განათლებისათვის საჭირო დანახარჯების გათვალისწინებით.

³ იხ. მ. ბერმანტი და სსუ., მათემატიკური მოდელი და განათლების დაგეგმვა. მ., 1972, გვ. 16—20.

სპეციალისტების მომზადების ხარჯების განსაზღვრისას აუცილებელია მომავალი სპეციალისტის პროფილის და სასწავლო დაწესებულებაში სტუდენტის ყოფნის ვადის, სასწავლო დაწესებულების თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო მოწყობილობით აღჭურვილობის დონის, პროფესორ-მასწავლებლების ხარისხობრივი შემადგენლობის, სტუდენტების სტიპენდიებით უზრუნველყოფის და სხვა ფაქტორების გათვალისწინება. საერთო საბიუჯეტო დანახარჯებში აუცილებელია ჩაირთოს აგრეთვე იმ დაწესებულებების ხარჯი, რომლებიც დაკავშირებული არიან საღამოსა და დაუსწრებელი განყოფილების სწავლებასთან.

სხვა ხარჯების ნორმირება უზრუნველყოფს ერთგვაროვანი ტიპის დაწესებულებათა ერთი და იგივე საჭიროების ხარჯებით დაგეგმვას ერთნაირ დონეზე, მაგალითად, კვების ხარჯები საავადმყოფოებში და საბავშვო დაწესებულებებში, სასწავლო ხარჯები სკოლაში, განათება და სხვა სამეურნეო ხარჯები ყველა ტიპის დაწესებულებაში და ა. შ.

ხარჯების ნორმირება-გაანგარიშების ერთიანი ფორმის შემოღება ერთიანი ნორმების გამოყენების საშუალებას იძლევა საბიუჯეტო დაგეგმვაში. ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფს მომჭირნობითი რეჟიმის დაცვას და წინასწარი კონტროლის განხორციელებას ადვილებს ხარჯთუნუსის და წარმოებული ხარჯების შეფასების ანალიზს. ბიუჯეტის შესრულების დროს ნორმები გამოიყენება დაფინანსების ოდენობისა და სახალხო მეურნეობის გეგმის მაჩვენებელთა შესრულებას შორის შესაბამისობის დადგენისა და ბიუჯეტის სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე კონტროლისათვის.

თავისი შინაარსით ნორმები არის მატერიალური და ფინანსური (ფულადი). მატერიალური ნორმით დგინდება მატერიალური რესურსების დანახარჯების მოცულობა ერთ რომელიმე საანგარიშო ერთეულზე მატერიალურ გამოსახულებაში, მაგალითად, კვების პროდუქტების შემადგენლობა და რაოდენობა დღეში ერთ ბავშვზე, ავადმყოფზე ან ინვალიდზე. შენობის გათბობა მისი მოცულობის ერთ კუბურ მეტრზე, ელექტროენერგიის რაოდენობა ერთი კვადრატული მეტრი ფართობის განათებისათვის და ა. შ.

მატერიალური ნორმა უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროების დაკმაყოფილების აუცილებელ დონეს, ამავე დროს არეგულირებს მატერიალური რესურსების გამოყენებას.

ამიტომ მატერიალური ნორმები მუშავდება ნორმების გამოყენების, მისი სტრუქტურისა და გასულ წლებში ხარჯების ფაქტიური ოჯე-

ნობის სისტემატური შესწავლის, მეცნიერულად დასაბუთებული ტექნიკური მაჩვენებლების ფართოდ გამოყენების საფუძველზე⁴.

ნორმები ხარჯების ცალკეულ სახეებზე დიფერენცირებულია ქვეყნის დარაიონებული ზონების მიხედვით, ადგილის ეკონომიკური, კლიმატური და გეოგრაფიული პირობების შესაბამისად. მაგალითად, ხარჯების ნორმა გათბობასა და განათებაზე ჩრდილოეთ რაიონებში უფრო მაღალია, ვიდრე სამხრეთში. ხარჯების ნორმები კვებაზე დიფერენცირდება (წესრიგდება) სახელმწიფო ზონალური ფასების მიხედვით. გარდა ამისა, ნორმა წესდება დაწესებულებათა ტიპების ან მათი სტრუქტურული დაყოფის მიხედვით, მაგალითად, ხარჯების ნორმა კვებაზე ბავშვთა დაწესებულებებში განსხვავდება ასეთივე ნორმებისაგან მოზრდილთა საავადმყოფო-სტაციონარებში; ინფექციური, ტუბერკულოზური სანატორიუმების საწოლებზე წესდება უფრო მაღალი ნორმები, ვიდრე საერთო ტიპის საწოლებზე. სასწავლო ხარჯების ნორმები დიფერენცირდება კლასთა ჯგუფების მიხედვით (1—4, 5—7, 8—10). გათბობისა და განათების ხარჯების ნორმები სკოლებში წესრიგდება მეცადინეობის ცვლისა და შენობის კეთილმოწყობის მდგომარეობის მიხედვით.

ხარჯების განზოგადების მიხედვით არსებობს ნორმები ინდივიდუალური და კომბინირებული, აგრეთვე გამსხვილებული საზომების სახით. ეს დაყოფა ეხება მხოლოდ ფინანსურ ნორმებს. ინდივიდუალური ნორმა დადგენილია კონკრეტული სახის ხარჯზე; მაგალითად, გათბობაზე. სასწავლო ხარჯებისათვის საჭირო მასალების შეძენის ხარჯები და ა. შ.

კომბინირებული (კომპლექსური) ნორმები აერთიანებენ ხარჯების ჯგუფს ერთ საანგარიშო (ნორმირებულ) ერთეულზე. მაგალითად, საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯებს მთლიანად მე-3 მუხლით. ასეთივე ნორმაში შედის შენობის დაქირავეების, გათბობის, განათების, წყლით მომარაგების, კანალიზაციის, მიმდინარე რემონტის, ფოსტა-ტელეგრაფის ხარჯები და სხვა. სასწავლო ხარჯების ნორმაში (მუხ. 5) შედის საწარმოო პრაქტიკის ხარჯები, ლაბორატორიული მეცადინეობისა და სასწავლო სახელოსნოების მუშაობისათვის საჭირო მასალების შეძენის ხარჯები და ა. შ. |

კომბინირებული ნორმების ნაირსახეობას წარმოადგენს გამსხვილებული საზომი. გამსხვილებული საზომი — ეს არის ხარჯების თანხა ერთ საანგარიშო ერთეულზე (კლასი, საწოლი, მოსწავლე, ადგილი საბავშვო ბაღში ან ბაგაში, დაწესებულება) ხარჯთა ყველა მუხლის მი-

⁴ მატერიალურ ნორმებს (სახელმწიფო ფასებით) ფულად გამოსახულებაში, ეწოდება ფინანსური ნორმები.

ხედვით. ე. ი. გამსხვილებული საზომი წარმოადგენს ცალკეული მუხლების მიხედვით დასადგენი კომბინირებული ნორმების ერთობლიობას. გამსხვილებული საზომების მეთოდის მიხედვით ხარჯების გამოანგარიშების დროს შეიძლება გამოიყოს ძირითადი შემადგენელი ელემენტები, მაგალითად, ხელფასი, კვების ხარჯი და სხვა.

ყველა ნორმა იყოფა სავალდებულო და საორიენტაციო ნორმებად, სავალდებულო ნორმები ან მათი ცალკეული ელემენტები მტკიცდება შთაერობის დადგენილებათა შესაბამისად ცალკეული საქონის-ტროებისა და უწყებების განკარგულებებით. სავალდებულო ნორმებს მიეკუთვნება ხელფასის განაკვეთები და დაწესებულებების შტატები, საავადმყოფოებსა და საბავშვო დაწესებულებებში კვებაზე ხარჯების ნორმები და სხვა.

მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოები აწარმოებენ სამეურნეო ხარჯების მატერიალურ ნორმებს (გათბობაზე, განათებაზე). ამ ნორმების დაცვა სავალდებულოა ყველა დაწესებულებისათვის. საორიენტაციო ნორმები განსაზღვრავენ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალო დონეს სახსრებზე, რაც წესდება საანგარიშო ერთეულზე საშუალო ხარჯის სახით ოლქის, ასსრ-ის ან რაიონის მიხედვით. ეს ნორმა მიიღება ბიუჯეტიდან დასაფარავი ხარჯების ერთგვაროვანი საბიუჯეტო დაწესებულებათა საანგარიშო ერთეულების საშუალო წლიურ რაოდენობაზე გაყოფის გზით. საორიენტაციო ნორმებს ეკუთვნის კომბინირებული ნორმების უმრავლესობა. მაგალითად, სამეურნეო და დანარჩენი ხარჯების თანხა ერთ საწოლდღეზე ან ერთ კლასზე. აგრეთვე გამსხვილებული საზომები მაგალითად, ხარჯების საერთო თანხა ერთ საწოლზე ან კლასზე. ინდივიდუალური ხარჯთნუსხების შედგენის დროს მხედველობაშია მისაღები დაწესებულებათა ფაქტური მოთხოვნილება სახსრებზე ხარჯთა შესაბამისი მუხლების მიხედვით. საორიენტაციო ნორმები ხარჯთნუსხების შედგენის დროს არ უნდა იქნეს გამოყენებული. საორიენტაციო ნორმები ფართოდ გამოიყენება ნაერთი საბიუჯეტო დაგეგმვის დროს.

ინვენტარისა და მოწყობილობის, აგრეთვე რბილი ინვენტარის შეძენის ხარჯებს ჩვეულებრივ გამოყოფენ მიმდინარე შენახვის ხარჯების საერთო ნორმებიდან, ამავე დროს ეს ხარჯები ახალი ობიექტის მოწყობაზე (მე-12 მუხ.) შეიტანება მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა თანხებში. ხარჯების ნორმათა დადგენა ახალი ობიექტის მოწყობაზე, როგორც მე-12, ისე მე-14 მუხლით, ხდება ცენტრალიზებული წესით.

ხარჯების ნორმები არსებულ დაწესებულებათა მოწყობაზე გამოიყენება მხოლოდ ნაერთი დაგეგმვის დროს. ცალკეულ დაწესებულებათა ხარჯთნუსხებში მაგარი და რბილი ინვენტარის

შესაძენი ხარჯები მიიღება დაწესებულების აღჭურვილობის ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით რაიონის, ქალაქის საერთო თანხების ფარგლებში, რაც განისაზღვრება მოწყობილობათა ხარჯების საშუალო ნორმებით. ამასთან დაკავშირებით ხარჯთნუსხებში აისახება ინვენტარის ცალკეულ სახეობათა საგნების რაოდენობა.

ბიუჯეტის დაგეგმვის ძირითადი ამოცანა ის არის, რომ სრულად უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებულ დაწესებულებათა ნორმალური მუშაობა სახსრებით და ამავე დროს განახორციელოს მომპირნეობის რეჟიმი ხარჯების განსაზღვრის დროს.

3. ბიუჯეტის ხარჯების დაბეგვვა

ბიუჯეტის ხარჯების დაგეგმვა, ე. ი. სოციალურ-კულტურულ და სხვა ბიუჯეტურ დაწესებულებათა ქსელის შენახვისა და გაფართოების ხარჯების ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება ორი მეთოდით: ან ჯგუფების მიხედვით ერთგვაროვან დაწესებულებათა ხარჯების შეჯამებით ხარჯების დადგენილი ნორმებიდან გამომდინარე, ე. ი. ნორმატიული მეთოდით ან თითოეული დაწესებულების ხარჯების პირდაპირი შეჯამებით.

ხარჯების დაგეგმვა ბიუჯეტის შედგენის პირველ სტადიაზე რესპუბლიკის, ოლქის, რაიონის, ქალაქის ბიუჯეტის პროექტის შედგენის დროს ხორციელდება ნორმატიული მეთოდის მიხედვით, კომბინირებული ნორმების, გამსხვილებული საზომებისა და ტიპური ხარჯთნუსხის საშუალებით.

ნორმატიული მეთოდის დროს ხარჯის წლიური ნორმა მრავლდება საანგარიშო ერთეულის საშუალო წლიურ გეგმურ რაოდენობაზე. კომბინირებული ნორმების გამოყენების დროს თანხები დაიყოფა ცალკეული მუხლების მიხედვით. მაგ., 1 — „ხელფასი“, 9 — „კვება“, 10 — „მედიკამენტებისა და შესახვევი საშუალებების შექენა“ და სხვა.

გამსხვილებული საზომების მეთოდის დროს მიიღება სკოლების, საავადმყოფოების და დაწესებულებათა შენახვის ხარჯების საერთო თანხები ოლქზე, მხარეზე, ავტონომიურ რესპუბლიკაზე და ა. შ. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებად დაყოფის გარეშე.

გამსხვილებული საზომების მეთოდის გამოყენება შეიძლება ნაერთი დაგეგმვის დროს ქვემდგომი ბიუჯეტების საერთო მოცულობის განსაზღვრისათვის ისე, რომ ბიუჯეტის ხარჯების დეტალური გაანგარიშება განხორციელდეს სათანადო ქვემდგომი საფინანსო ორგანოების მიერ.

ბიუჯეტის დაგეგმვის მეორე საფეხურზე — ცალკეული ბიუჯეტების

შედგენის დროს, დგება დაწესებულებათა ინდივიდუალური ხარჯთ-
ნუსხები.

ინდივიდუალური ხარჯთნუსხები დგება პირდაპირი ანგარიშის მე-
თოდით, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ განსაზღვროს მოცე-
მული დაწესებულებების ფაქტიური მოთხოვნილება სახსრებზე მისი
ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთანავე, ამ
მეთოდის გამოყენების დროსაც, ის ხარჯები, რომლებზედაც დაწესე-
ბულია სავალდებულო ნორმები, გაიანგარიშება ამ ნორმების მიხედ-
ვით, მათი საანგარიშო (ნორმატიული) ერთეულის საშუალო-წლიურ-
რაოდენობაზე გადაპრავლების გზით. მაგალითად, თუ სავადმყოფოს
ხარჯთნუსხის მიხედვით 100 საწოლთან საერთო ტიპის სამშობიარო
სავადმყოფოსათვის მიღებულია 33 ათ. საწოლიდღე, ხოლო ერთ სა-
წოლდღეზე კვების ხარჯების ნორმა დადგენილია 75 კაპ., მაშინ ხარ-
ჯების საერთო თანხა მე-9 მუხლით შეადგენს 24750 (75 კაპ. X 33,000)
მანეთს. ამავე დროს ხარჯის თანხა მე-3 მუხლით არ შეიძლება განი-
საზღვროს როგორც კომბინირებული ნორმების ნაწარმოები 100-ზე,
არამედ საჭიროა ჩატარდეს სახსრებზე მოთხოვნილებათა გაანგარიშება.
ხარჯების თითოეული სახის მიხედვით. ამასთანავე, საჭიროა დაიცვან-
აღმასკომის მიერ სათბობისა და ელექტროენერჯის ან გათვალისწი-
ნებული მასალების ხარჯვაზე დაწესებული ზღვრული ნორმები (ე. წ.
მატერიალური ნორმები). მაგალითად, თუ სათბობის მოხმარების ნორ-
მა დაწესებულია 7 მ³ შეშა 1 ლუმელზე, მაშინ 13 ლუმელისათვის
სათბობის საერთო მოხმარება განისაზღვრება 91 მ³. ამის შემდეგ,
არსებული სახელმწიფო ფასის მიხედვით, გამოითვლება სათბობის
ღირებულება. რასაც დაემატება გადაზიდვაზე, განაწილებასა და და-
ხერხვა-დაწყობაზე საჭირო ხარჯებიც. სახსრებზე მოთხოვნილებათა
პირდაპირი გაანგარიშება ხდება აგრეთვე ხელფასზე, ინვენტარის შე-
ძენის ხარჯებზე (მუხ. 12 და 14) და სხვა ხარჯებზე.

4. ხარჯების დაგეგმვის წესი ცალკელი მუხლების მიხედვით

ხ ე ლ ფ ა ს ი ს ფ ო ნ დ ი , მ უ ხ ლ ი

სოციალისტურმა წყობილებამ საზოგადოებრივი წარმოების, შრო-
მის მწარმოებლურობის, ეროვნული შემოსავლის განუხრელი ზრდის
საფუძველზე მკვეთრად აამაღლა მშრომელთა მატერიალური კეთილ-
დღეობა, გააუმჯობესა მათი საარსებო პირობები.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის, მათი საყოფაცხოვრე-
ბო პირობების გაუმჯობესებაში დიდი როლი ეკუთვნის შრომის ხელ-
ფასს.

სოციალიზმის დროს შრომის ხელფასი წესდება დახარჯული შრომისა და ხარისხის მიხედვით. სოციალისტური საზოგადოების წევრები შრომობენ უნარის მიხედვით და ლეზულობენ შრომის მიხედვით, თანხმად სოციალიზმის ძირითადი პრინციპისა: „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“. ამ პრინციპით ანგარიშობენ და გეგმავენ სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა მუშაკების ხელფასს.

აღსანიშნავია, რომ სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ხარჯების სტრუქტურაში ხელფასის ფონდს დიდი ხედრითი წონა აქვს. მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სხვადასხვა გამტარიანობის საავადმყოფოების ხარჯთნუსხაში ხელფასის ფონდი 55%-დან 62,3%-მდეა. ასევე დიდია ხელფასის ფონდის მოცულობა სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ხარჯების შემადგენლობაში.

საყოველთაო სწავლების სკოლების შენახვაში ძირითად ხარჯს წარმოადგენს მასწავლებელთა ხელფასი, რომელიც განისაზღვრება სასწავლო დატვირთვის პროპორციულად, განაკვეთების საფუძველზე. პედაგოგიური პერსონალის ხელფასის ფონდი გაიანგარიშება ხელფასის განაკვეთის იმ რაოდენობის მიხედვით, რომელიც საჭიროა სასწავლო გეგმის შესრულებისათვის. სკოლების მასწავლებელთა ხელფასის განსაზღვრის დროს პირველ რიგში უნდა დადგინდეს ერთ კლასზე განაკვეთთა რაოდენობა სასწავლო გეგმისა და მასწავლებლის საშუალო დატვირთვის შესაბამისად, ტარიფიკაციის საფუძველზე. აქვე უნდა ითქვას, რომ ხელფასის ფონდი ისაზღვრება კლასთა ჯგუფების მიხედვით. მასწავლებლის ხელფასის განაკვეთის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება მისი განათლება, პედაგოგიური მუშაობის სტაჟი, სასწავლო დისციპლინა, კლასის, ჯგუფების რაოდენობა და სკოლის ადგილმდებარეობა.

განათლების ცენტრის მიხედვით პედაგოგიური პერსონალი იყოფა ორ, ხოლო პედაგოგიური სტაჟის მიხედვით — ოთხ ჯგუფად.

დამატებით ანაზღაურდება მასწავლებლის მუშაობა რვეულების გასწორებისათვის, სასწავლო კაბინეტების გამგეობის, კლასის ხელმძღვანელობის მოვალეობის შესრულებისათვის და სხვა.

მასწავლებელთა ტარიფიკაციის შესახებ მონაცემების მიხედვით პედაგოგების ხელფასის ფონდის გამოთვლისათვის უნდა განისაზღვროს კლასთა ცალკე ჯგუფის მასწავლებელთა ხელფასის საშუალო განაკვეთი კლასების (კომპლექტების) საფუძველზე. კომპლექტად ითვლება ერთი ან რამდენიმე კლასისაგან შემდგარი მოსწავლეთა ჯგუფი, რომელთაც ერთდროულად ამეცადინებს ერთი მასწავლებელი.

დაწყებით, შეიძლება და საშუალო სკოლებში კლასების (კომპლექტების) საშუალო წლიური რაოდენობა გამოითვლება წლის დასაწყისისათვის კლასების რაოდენობის გადამრავლებით 8-ზე (თვეთა რაოდენობა იანვრიდან სექტემბრამდე), ხოლო წლის ბოლოს კლასთა მაჩვენებლის გამრავლებით 4-ზე (თვეთა რაოდენობა სექტემბრიდან წლის ბოლომდე) მიღებული საერთო ჯამის 12-ზე გაყოფით.

სკოლების ადმინისტრაციული, სასწავლო-დამხმარე და მოსამსახურე პერსონალის (დირექტორები, გამგეები, სასწავლო ნაწილის გამგეები, დირექტორის თანაშემწეები სამეურნეო ნაწილში, უფროსი პიონერხელმძღვანელები, ბიბლიოთეკის მუშაკები, სამეურნეო ნაწილის გამგეები, საქმის მწარმოებლები, მემანქანეები, დურგლები, ელექტრომონტიორები, მეგარდერობეები, ცეცხლფარეშები, დამლაგებლები და სხვა) ხელფასის ფონდი დადგინდება ტიპური შტატებისა და ხელფასის განაკვეთების საფუძველზე.

სასწავლო-დამხმარე პერსონალის (კლასგარეშე მუშაობის: მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის, სასკოლო წრეების ხელმძღვანელების, კლასების დამრიგებლების, კაბინეტებისა და სასწავლო-საცდელი ნაკვეთების გამგეების) ხელფასები დგინდება გათვალისწინებული ანაზღაურების თვიური ნორმების 12-ზე გადამრავლებით.

ადმინისტრაციულ-მოსამსახურე და სასწავლო დამხმარე პერსონალის ხელფასის ფონდის განსაზღვრის შემდეგ ეს ფონდი მცირდება ბიუჯეტით გათვალისწინებული შესაბამისი პროცენტით (1—2%) იმის გამო, რომ აღნიშნული კატეგორიის მუშაკები ავადმყოფობის დროს (დროებით შრომისუუნარობის შემთხვევაში) დახმარებას ღებულობენ არა ხელფასის, არამედ სოციალური დაზღვევის სახსრებიდან.

სამედიცინო მუშაკებს შრომა უნაზღაურდებათ განაკვეთების მიხედვით, რომელიც დიფერენცირებულია დაკავებული თანამდებობის, კვალიფიკაციის, სამედიცინო მუშაობის სტაჟისა და სამკურნალო დაწესებულების მუშაობის მოცულობის მიხედვით.

ჯანმრთელობის დაცვის ზემდგომ ორგანოებში ხელფასის ფონდი დგინდება ერთი მუშაკის საშუალო ხელფასის გამრავლებით მუშაკთა საერთო რაოდენობაზე. საავადმყოფოებში პირიქით, ჯერ განისაზღვრება ხელფასის გეგმიური ფონდი, ხოლო შემდეგ მუშაკების საერთო რიცხვის საფუძველზე — ერთი მუშაკის საშუალო ხელფასის განაკვეთი.

საშტატო განრიგებითა და თანამდებობრივი განაკვეთებით დადგენილი ხელფასის გარდა, ხელფასის ფონდში უნდა გაითვალისწინონ დამატებანი ღამით მუშაობისათვის, ანაზღაურება უქმე ღლებში მუშაობისათვის და სხვა.

საავადმყოფოს საშტატო მუშაკების ხელფასისათვის საჭირო თანხის

ოდენობა განისაზღვრება სატარიფიკაციო სიის საფუძველზე, საექიმო თანამდებობათა საშუალო რიცხვის გათვალისწინებით.

საექიმო თანამდებობაში იგულისხმება მთლიანი განაკვეთით გათვალისწინებული თანამდებობა, რომელიც გაანგარიშებულია მთელ სამუშაო ცვლაზე. არასრული საექიმო თანამდებობის არსებობის შემთხვევაში, ჯამდება ასეთ თანამდებობაზე მომუშავე ექიმთა სამუშაო საათების რაოდენობა და მიღებული საერთო საათების რიცხვი იყოფა მოცემული დაწესებულებების სრული სამუშაო დღისათვის დადგენილი საათების რიცხვზე. მაგალითად, თუ საავადმყოფოსათვის დადგენილია 6 საათიანი სამუშაო დღე და ამ საავადმყოფოში ითვლება 20 ექიმი, რომლებიც დღეში სამ საათს მუშაობენ ($20 \times 3 = 60$), გათვალისწინებული იქნება 10 საექიმო თანამდებობა.

საავადმყოფოსა და პოლიკლინიკის ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, შვებულებაში გასული ექიმები, ექთნები და სხვა მუშაკები, მათი მორიგი შვებულების დროს, იცვლებიან სხვა მუშაკებით, ამასთან დაკავშირებით საჭირო ხდება ხელფასის დამატებითი ანაზღაურება, რომელიც აუცილებლად უნდა გამოითვალოს და გაითვალისწინონ ხელფასის ფონდში. ხელფასის ფონდში გასათვალისწინებელია აგრეთვე სამედიცინო პერსონალის ღირებულება (10 საათიდან დღის 6 საათამდე ძილის გარეშე) მუშაობისათვის საზეგანაკვეთო ანაზღაურება, რომელიც ექიმებისა და საშუალო სამედიცინო მუშაკებისათვის ღირებულება 1 საათზე 12 წუთს, ხოლო უფროსი სამედიცინო და მომსახურე მუშაკისათვის — 10 წუთს შეადგენს. აქედან, ექიმთა ღირებულების მორიგეობის დრო შეიტანება მათი მუშაობის თვიურ განაწესში და ზედმეტ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ექიმთა არსებული შტატი არ კმარა ღირებულების მორიგეობისათვის.

დ ა რ ი ც ხ ვ ე ბ ი ხ ე ლ ფ ა ს ზ ე (მ უ ხ ლ ი 2). მშრომელთა სოციალური დაზღვევა ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე. სოციალური დაზღვევის წყაროს წარმოადგენს სადაზღვევო შესატანები, რასაც საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი ხელფასის ფონდზე იხდიან პროფესიული კავშირისათვის დადგენილი ტარიფის მიხედვით. სოციალური დაზღვევის შესატანები გათვალისწინებულია სახალხო განათლების ქსელის დაწესებულებებისათვის 5,8%, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის სისტემის დაწესებულებებისათვის — 5,9%-ის ოდენობით.

სოციალური დაზღვევის შესატანები გამოითვლება ყველა სახის ხელფასის ფონდზე აღნიშნული პროცენტის მიხედვით და აისახება ხარჯთუსხაში მე-2 მუხლით. შტატგარეშე მუშაკთა ხელფასის ფონდზე დარიცხული სოციალური დაზღვევის შესატანები შესაბამისად მიე-

კუთვნება ხარჯების იმ მუხლს, რომლის შემადგენლობაშიც ეს ფონდია გათვალისწინებული.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო - ს ა კ ა ნ ც ე ლ ა რ ი ო ხ ა რ ჯ ე ბ ი (მ უ ხ ლ ი 3).
ცენტრალიზებული ბუხალტერიის მიერ მომსახურებული ყველა დაწესებულებისათვის სამეურნეო-საკანცელარიო ხარჯები საერთო სახისაა. მისი ხვედრითი წილი ხარჯების საერთო სტრუქტურაში 8—9 პროცენტს შეადგენს და მოცულობის მიხედვით მესამე ადგილი უკავია.

სამეურნეო-საკანცელარიო ხარჯების მუხლი კომპლექსურია, იგი შეიცავს გათბობის, განათების, ტრანსპორტის, მიმდინარე რემონტის, ფოსტა-ტელეგრაფის, სისუფთავის დაცვის, საკანცელარიო და სხვა ხარჯებს. თითოეული სახეობის ხარჯს აქვს გაანგარიშების თავისებური წესი. ნახშირის ან შეშის ხარჯვის ნორმას სადგომის 1 კუბურ მეტრზე აწესებს სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომი. ამ ნორმებით განისაზღვრება სათბობის საჭიროება (ნახშირისა ტონობით, შეშისა კუბური მეტრობით, ნავთისა ლიტრობით, მაზუთისა ტონობით) სადგომების გასათბობად წინა წლების ანგარიშგებით, გაანგარიშების ნორმების მიხედვით განისაზღვრება მოთხოვნილება სათბობზე სხვა საჭიროებისათვის (აბანო, სამრეცხაო, სამზარეულო და ა. შ.), ე. ი. დგინდება დაწესებულებისათვის სათბობის მოთხოვნილება ნატურალურ მაჩვენებლებში. ამასთან, მოქმედი ფასების მიხედვით, გამოიანგარიშება ხარჯთნუსხაში შესატანი თანხა სათბობის შექმნაზე, მის შემოზიდვაზე და დამუშავებაზე.

ელექტროენერგიის ხარჯების გამოთვლა ძალიან მარტივია და არ მოითხოვს სპეციალურ განმარტებას. იგი შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს:

1. განათების ფართობი (კვ. მეტრობით)	2500
2. სანათი წერტილების რაოდენობა	—
3. ელექტროენერგიის (კვტ. საათი) ფართობის 1 კვ. მეტრზე ან ერთ წერტილზე წელიწადში	18
4. იგივე მთელ ფართობზე ან ყველა სანათ წერტილზე (კვტ. საათი)	45000
5. ერთეულის ღირებულება (კვტ. საათი)	0,06
6. დაწესებულებისათვის ტექნიკური საჭიროების და განათების საერთო ღირებულება (მან.)	270
7. მ. შ. ელექტროენერგიის ხარჯი ტექნიკური საჭიროებისათვის	30000
8. ერთეულის ღირებულება (კვტ. საათი)	0,06
9. ტექნიკური საჭიროებისათვის ელექტროენერგიის ღირებულება (მან.)	180

10. ელექტროენერჯის საერთო ღირებულება (განათების ხარჯების ფაქტიური თანხა და ტექნიკური საჭიროებისათვის მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულება) შეადგენს (მან.)

450

სხვა სამეურნეო ხარჯების შემადგენლობაში, რომელთა გამოთვლა წარმოებს ფართობის 1 კვადრატულ მეტრზე გაანგარიშებით, შეიტანება ხარჯები ტრანსპორტის დაქირავებასა და შენახვაზე, მიმდინარე წვრილ რემონტზე, წვრილი საკანცელარიო ნივთების შეძენაზე, სისუფთავის დაცვაზე, პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე და სხვ. ასეთი ხარჯებისათვის (გარდა სატრანსპორტო ხარჯებისა) საჭირო სახსრების ოდენობა უნდა გამოითვალოს ადმინისტრაციული და კომუნალური შენობების ფართობის კვადრატული მეტრების მიხედვით, გასულ წლებში მოქმედი ან აღმასკომის მიერ დადგენილი ნორმების საფუძველზე.

მესამე მუხლით, ყველა ხარჯის დადგენისა და შეჯამების შემდეგ, უნდა გამოიყოს შტატგარეშე მუშაკთა ხელფასის ფონდი.

შტატგარეშე მუშაკების ხელფასის განსაზღვრა წარმოებს ხარჯთნუსხის 5, 16, 18 მუხლებითაც, როდესაც სამუშაოების შესრულება გათვალისწინებულია მოწვეული პირების მეშვეობით, ხელშეკრულებათა საფუძველზე.

დანარჩენი ხარჯების გამოთვლა. მივლინებისა და სამსახურებრივი მიმოსვლისათვის ხარჯები მე-4 მუხლით განისაზღვრება, მივლინებათა რაოდენობის, მათი ხანგრძლივობის დღიურების ნორმების, სამგზავრო და ღამის სათევი ხარჯების გაანგარიშების საფუძველზე.

სასწავლო და სხვა სახსრები სკოლებში, რომელსაც მე-5 მუხლი ითვალისწინებს, ხარჯთნუსხაში აისახება სამი სახით: სასწავლო ხარჯები. ბიბლიოთეკისათვის წიგნების - შეძენა, უურნალებისა და სხვა გამოცემათა გამოწერა. ამ მუხლით საჭირო სახსრების დასადგენად თითოეული სახის ხარჯზე დგება შესაბამისი გაანგარიშება. მაგალითად, ბიბლიოთეკისათვის წიგნების შესაძენად საჭირო თანხის გამოსათვლელად დაწესებულების ხელმძღვანელი ან ბიბლიოთეკის გამგე (ბიბლიოთეკარი) ადგენს შესაძენი წიგნების სიას, რომელშიც უჩვენებს წიგნების რაოდენობას, ფასსა და საერთო ღირებულებას, აგრეთვე წიგნების გადმოზიდვასა და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს.

სასწავლო ხარჯებზე დგება გაანგარიშება, რომელშიც აღინიშნება შესაძენი სასწავლო თვალსაჩინო ნივთების, საკლასო უურნალების, საგამოცდო უწყისების, გაკვეთილის გეგმების ბლანკებისა და სხვა სასწავლო მასალების რაოდენობა და ღირებულება.

კვების ხარჯებში (მე-9 მუხლით) გათვალისწინებული სახსრები გაიანგარიშება და შეიტანება სკოლა-ინტერნატების, საავადმყოფოების, საბავშვო დაწესებულებათა ხარჯთნუსხებში.

ბავშვების რაოდენობა განისაზღვრება საბავშვო ბაღის ან ბაგის ბავშვთა რაოდენობაზე გამრავლებით წელიწადში მუშაობის დღეების რიცხვზე.

ავადმყოფთა კვება წარმოებს ავადმყოფთა სხვადასხვა ჯგუფისათვის მთავრობის მიერ დამტკიცებული ნორმების მიხედვით, რომლებიც ითვალისწინებენ ერთ ავადმყოფზე დღიური კვების პროდუქტების დასახელებას ნატურალურ მაჩვენებლებში. ამის მიხედვით გადიდებული ნორმები დაწესებულია სამშობიარო და ბავშვთა განყოფილებებისათვის, ხოლო კიდევ უფრო მაღალი ნორმები — ტუბერკულოზით დაავადებული უფროსი და უმცროსი ასაკის ავადმყოფთათვის.

დღიური კვების ხარჯები ერთ ავადმყოფზე წესდება ნორმებისა და პროდუქტების ღირებულების საფუძველზე.

კვების ღირებულების ნორმები დიფერენცირებულია ზონების მიხედვით, მათში მოქმედი საცალო ფასების სხვადასხვაობის შესაბამისად.

კვების ხარჯების ხარჯთნუსხაში შესატანი თანხის გაანგარიშება წარმოებს ერთ ავადმყოფზე ნორმით გათვალისწინებული ხარჯების გადამრავლებით გათვალისწინებულ საწოლდღეთა რიცხვზე⁵.

მედიკამენტებისა და შესახვევი საშუალებების შესაძენი სახსრები (მე-10 მუხლით) აისახება პოლიკლინიკის, საავადმყოფოსა და საბავშვო ბაგის ხარჯთნუსხებში. მედიკამენტებისა და შესახვევი საშუალებების შესაძენად გასათვალისწინებელი სახსრები გამოიანგარიშება საბავშვო ბაგებში ბავშვთა საშუალო წლიური დასწრების, ხოლო პოლიკლინიკებში — ავადმყოფთა გამტარიანობის მიხედვით დაწესებული ნორმებით.

საავადმყოფოებში ამ მუხლით გასათვალისწინებელი თანხა გამოიანგარიშება საშუალო წლიური საწოლდღეების რაოდენობის მიხედვით, საწოლთა პროფილის შესაბამისად დადგენილი ნორმებით.

ხარჯთნუსხაში გასათვალისწინებელი სახსრების გამოთვლას მე-12 („მოწყობილობისა და ინვენტარის შეძენა“) და მე-14 მუხლით („რბილი ინვენტარისა და ტანსაცმლის შეძენა“) საფუძველად უნდა დაედოს მოწყობილობის, სამეურნეო და რბილი ინვენტარისა და ტანსაცმლის

⁵ კვების ხარჯებისათვის ფაქტიურად საჭირო თანხის დასადგენად საწოლდღეთა გვერდური მონაცემების ნაცვლად შეიძლება გამოვიყენოთ გასული თვის საწოლდღეთა საშუალო რაოდენობა. ასეთი გაანგარიშებით მიღებული თანხა თანაბარ პირობებში უმნიშვნელო სხვაობით დაემთხვევა კვების ხარჯებისათვის საჭირო თანხის ფაქტიურ მოთხოვნას.

ინვენტარიზაციის შედეგად წლის ბოლოს გამოვლენილი, სახეზე არსებული რაოდენობა და მოთხოვნილება მომავალი წლისათვის.

შესაძენი მოწყობილობის, სამეურნეო და სხვა ინვენტარის ღირებულების გამოანგარიშება, როდესაც გათვალისწინებულია ადგილობრივი მრეწველობის ნაკეთობათა შექმნა, მიღებულია მოცემულ რაიონში მოქმედი ერთიანი სახელმწიფო ფასებით ან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და სახალხო დეპუტატების საოლქო აღმასკომების მიერ დადგენილი ფასებით.

ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის მიერ მომსახურებულ დაწესებულებებს მე-15 მუხლით შეიძლება მიეცეთ სახსრები ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებაზე, სკოლების, საბავშვო დაწესებულებების, საავადმყოფოებისა და სხვა სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე გასაწევი ხარჯებისათვის, აგრეთვე მშენებლობის ხარჯთუნუსხაში გათვალისწინებული ძირითადი საშუალებების (ფონდების) შექმნისათვის, დაწესებულებების ხარჯთუნუსხაში მე-15 მუხლით ასიგნება შეიძლება შევიტანოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ის გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით.

სახსრებს შენობებისა და ნაგებობათა კაპიტალურ რემონტზე ხარჯებისათვის (მე-16 მუხლით) განსაზღვრავს დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი თანამემწე ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილში, კაპიტალური რემონტის შესახებ წარმოდგენილი ძირითადი კაპიტალური სამუშაოების სიით, რომელსაც თან დაერთვის ხარჯების სათანადო გაანგარიშებანი.

ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის ხელმძღვანელი და მთავარი ბუხჰალტერი, დაწესებულების ხელმძღვანელის თანდასწრებით, განიხილავენ წარმოდგენილ გაანგარიშებებს და განსაზღვრავენ მოცემული დაწესებულებების ხარჯთუნუსხაში მე-16 მუხლით გასათვალისწინებელი ხარჯების რაოდენობას.

კაპიტალური რემონტისათვის ბიუჯეტით გასაწევი ხარჯების მოცულობის დადგენისას უნდა გავითვალისწინოთ დაწესებულების სპეციალური შემოსავლები.

სკოლებს, სკოლა-ინტერნატებს, საავადმყოფოებსა და საბავშვო დაწესებულებებს თავიანთ განკარგულებაში შეიძლება ჰქონდეთ ბიუჯეტგარეშე შემოსავლები: შენობის იჯარით გაცემისას — საიჯარო ქირის, საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებთა მომსახურებისათვის გადასახდელებისა და სხვა წყაროებიდან მიღებული სპეციალური სახსრების სახით, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს ძირითადი საშუალებების (ფონდების) კაპიტალურ რემონტზე. ასეთ შემთხვევაში, კაპიტალური რემონტის ხარჯებზე ბიუჯეტიდან მისაღები სახსრები დაწესე-

ბულების ხარჯთნუსხაში შესაბამისად უნდა შემცირდეს ან სულ არ იქნეს შეტანილი, თუ თავისი სპეციალური შემოსავლებით შეიძლება დაიფაროს კაპიტალური რემონტის სახსრები.

საბავშვო დაწესებულებათა ხარჯთნუსხების შედგენის დროს საჭიროა გაითვალისწინოთ ის გარემოება, რომ საბავშვო ბავშვები და ბავშვები ხარჯების დასაფარავად სახსრებს ღებულობენ აგრეთვე მშობლებისაგან, ამიტომ, სხვა საქმიანობის ბიუჯეტური დაწესებულებებისაგან განსხვავებით, ბიუჯეტიდან მისაღებ სახსრებთან ერთად ხარჯთნუსხაში ყოველთვის უნდა ვუჩვენოთ მშობლებისაგან მოსალოდნელი შემოსავლებიც.

საბავშვო დაწესებულებაში მოთავსებული ბავშვის თვიური გადასახდელის ოდენობა დამოკიდებულია მშობლების ხელფასსა და საბავშვო ბაღში ან ბავშვთა ბავშვის ყოფნის დღეების რაოდენობაზე.

მშობლებისაგან მისაღები სახსრების გამოთვლის დროს უნდა გაითვალისწინოთ დედის და მამის ხელფასი გაერთიანებულად, ხოლო თუ ბავშვს მშობლები არა ჰყავს, იმ პირების ხელფასი, ვის კმაყოფაზეც ბავშვი იმყოფება.

არსებული წესის მიხედვით, საბავშვო დაწესებულებებში ბავშვთა შენახვისათვის მშობელთა გადასახდელის გეგმური ოდენობის განსაზღვრისას თელიან ყველა ბავშვის თვიური გადასახადის საერთო თანხას, რომელსაც ყოფენ ბავშვთა რაოდენობაზე, მიღებულ განაყოფს ამრავლებენ დასაგეგმავ საბიუჯეტო წელს გათვალისწინებულ ბავშვთა გეგმიურ რაოდენობაზე და მიღებულ ნამრავლს ყოფენ თორმეტზე.

ცენტრალიზებული ბუხჰალტერია თავისი სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის ხარჯთნუსხას თვითონ ადგენს ისეთივე წესითა და იმავე ფორმებში, რაც მიღებულია მათი მომსახურე დაწესებულებისათვის. გარდა ამისა, გაერთიანებაში შემავალი დაწესებულებებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობისა და მათი სახსრების ხარჯვაზე აქტიური კონტროლის განხორციელებისათვის, ცენტრალიზებულმა ბუხჰალტერიამ ცალკეულ დაწესებულებათა დამტკიცებული ხარჯთნუსხების მოწაცემების საფუძველზე უნდა ააგოს გაერთიანებული ხარჯთნუსხა ხარჯების მუხლების მიხედვით, მაგრამ ისეთი ფორმით, რომელიც უზრუნველყოფს ანგარიშგების სათანადო მაჩვენებლებს და სადაც თვალსაჩინოდ იქნება წარმოდგენილი ხარჯების წლიური დანიშნულება და კვარტალური განაწილება მუხლობრივად⁶.

⁶ ბუხჰალტერია, ანალიზი და კონტროლი, ტ. II, 1978, გვ. 457—468.

ნაწილი მერამ

ბიუჯეტურ დაწესებულებათა ბუჰალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება

თ ა ვ ი IV

ბუჰალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია ბიუჯეტურ დაწესებულებაში

1. ბიუჯეტური დაწესებულებების აღრიცხვის ორგანიზაციის საფუძვლება

სკკპ და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერების, განათლების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, სოციალური უზრუნველყოფისა და მოსახლეობის სასიკეთოდ მიმართული მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელების საქმეს. დღითიდღე იზრდება ბიუჯეტურ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა რიცხვი, რომლებიც ამ ღონისძიებებს ახორციელებენ.

დაწესებულებებში ბუჰალტრული აღრიცხვა უნდა შეესაბამებოდეს ბიუჯეტის სახსრების გეგმაზომიერ გამოყენებას.

ბუჰალტრულმა აღრიცხვამ უნდა უზრუნველყოს ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის სისტემატური კონტროლი, ხელი უნდა შეუწყოს დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ხარჯთნუსხებით გათვალისწინებული სახსრების დადგენილ დროში და დანიშნულებისამებრ ათვისებაში.

დაწესებულებების ბუჰალტრული აღრიცხვის ძირითად ამოცანას წარმოადგენს: მატერიალური ფასეულობის, ანგარიშსწორებათა, კაპიტალურ დაბანდებათა, სპეციალური სახსრების, მათ შორის, დამხმარე მეურნეობებისა და საწარმოო (სასწავლო) სახელოსნოების, აგრეთვე სხვა ბიუჯეტგარეშე სახსრების ხარჯთნუსხების შესრულებასთან დაკავშირებული ოპერაციების დროული და ზუსტი ასახვა; ხარჯთნუსხე-

ბის შესრულების მიმდინარეობისადმი სისტემატური კონტროლი და ფულად სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის უზრუნველყოფა.

ბუხპალტრული აღრიცხვის წინაშე მდგარი ამოცანები ამავე დროს საანგარიშო დარგის მუშაკების ვალდებულებაცაა, რაც მტკიცედაა რეგლამენტირებული სსრკ მინისტრთა საბჭოს დებულებით „სახელმწიფო, კოოპერაციული (გარდა კოლმეურნეობებისა) და საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მთავარი (უფროსი) ბუხპალტრების შესახებ“.

აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, დაწესებულებების ბუხპალტერიებს (ცენტრალიზებულ ბუხპალტერიებს) ევალებათ:

ა) ბუხპალტრული აღრიცხვა აწარმოონ მოქმედი ინსტრუქციების და სხვა ცალკეული მითითებების შესაბამისად;

ბ) მტკიცედ დაიცვან საშტატო, საფინანსო-საბიუჯეტო და საკასო დისციპლინა;

გ) იზრუნონ აღრიცხვაში პროგრესული ფორმების, მეთოდებისა და მექანიზაციის დანერგვისათვის და სხვ.

ბიუჯეტისა და ხარჯთნუსხების აღრიცხვაში მეტ-ნაკლებად გამოიყენება ჟურნალ-ორდერული, ჟურნალ-მთავრული და შემორიალ-ორდერული ფორმები.

აღრიცხვის ყველა ფორმას აქვს თავისი განმასხვავებელი რეგისტრები, წარმოების ტექნიკა, ქრონოლოგიური და სისტემური რეგისტრაციის თავისებური წესი.

ანგარიშწარმოების ფორმის თავისებურებას მიეკუთვნება აგრეთვე აღრიცხვის რეგისტრების შესაბამისობა აღრიცხვის მექანიზაციის საშუალებებთან.

ხარჯთნუსხების შესრულების აღრიცხვაში უმეტესად გამოყენებულია აღრიცხვის ჟურნალ-მთავრული ფორმა; აღრიცხვის ამ ფორმის მთავარი რეგისტრი — „ჟურნალ-მთავარი“ ქრონოლოგიურ და სისტემურ აღრიცხვას ერთ დავთარში (ორ გაშლილ გვერდზე) უზრუნველყოფს, რაც ამარტივებს სამეურნეო ოპერაციების სინთეზურ აღრიცხვას. ერთდროულად უზრუნველყოფს ცალკეული ანგარიშის საღებუტო და საკრედიტო ბრუნვებისა და ნაშთების მიღებას სინთეზური ანგარიშების ბრუნვათა უწყისების შედგენის გარეშე. ამის გამო, სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში, მათ შორის ბიუჯეტურ დაწესებულებებში, ამჟამად იყენებენ ანგარიშწარმოების „ჟურნალ-მთავრულ“ ფორმას. ეს ფორმა შეესაბამება ბიუჯეტური ხარჯთნუსხების შესრულების ბუხპალტრულ აღრიცხვას საბიუჯეტო დაწესებულებებსა და საფინანსო ორგანოებშიც. ანგარიშწარმოების აღნიშნული ფორმით აღრიცხვის ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნებულია სახალხო მეურ-

ნეობრივი ერთიანი აღრიცხვის საერთო პრინციპზე, ბიუჯეტისა და ხარჯთნუსხების შესრულების ბუხპალტრულ აღრიცხვაში არსებული თავისებურებების გამო, გამოირჩევა თავისი ორიგინალური სტრუქტურით, რომელიც შედარებით მცირე მოცულობისა და რაოდენობის აღრიცხვის რეგისტრებით უზრუნველყოფს საკავშირო ბიუჯეტის, მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულებისა და ამავე ბიუჯეტებზე მყოფი ბიუჯეტური დაწესებულებათა ხარჯთნუსხების შესრულებას აღრიცხვა-ანგარიშგების მექანიზაციის მცირე საშუალებებით.

ბუხპალტრული აღრიცხვის რაციონალიზაცია განუყრელადაა დაკავშირებული ანგარიშწარმოების ფორმების გაუმჯობესებასთან. ცნობილია, რომ ასეთ პროგრესულ ფორმას წარმოადგენს ეურნალ-ორდერული. ბიუჯეტურ დაწესებულება-ორგანიზაციებში ანგარიშწარმოების ეურნალ-ორდერული ფორმა ნელი ტემპით ინერგება. ამ ფორმის პრაქტიკულ გამოყენებას ხელს უშლის აღრიცხვის რეგისტრებისა და ცალკეული ეურნალ-ორდერების სირთულე, აღრიცხვის მუშაკების დაბალი კვალიფიკაცია და სხვ.

ანგარიშწარმოების ეურნალ-ორდერული ფორმის მოქმედი რეგისტრები განსაზღვრულია ხელის შრომის გამოყენებაზე, რის გამო მან სრული გამოყენება ვერ ჰპოვა მექანიზებულ აღრიცხვაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც პროგრესულია სხვა ფორმებთან შედარებით. ამიტომ წარმატებით გავრცელდა სახელმწიფო ვაჭრობის, მრეწველობის, მშენებლობის და სხვა დარგების ანგარიშწარმოებაში.

უკანასკნელ წლებში, ცდის სახით, ზოგიერთ საბიუჯეტო დაწესებულებაში მთავარი ბუხპალტრების ინიციატივით დაინერგა ანგარიშწარმოების ეურნალ-ორდერული ფორმა, მაგრამ მისი შემდგომი გავრცელება არ მოხერხდა უფრო იმის გამო, რომ საბიუჯეტო აღრიცხვის მუშაკები ნაკლებად იცნობენ მას, ვერ ერკვევიან ეურნალ-ორდერული ფორმით აღრიცხვის წესში და მისი რეგისტრების აგების პრინციპებსა და დანიშნულებაში.

2. მოკმედი სააღრიცხვო რეგისტრების აგების პრინციპები

სამეურნეო ოპერაციების სააღრიცხვო რეგისტრაცია ტექნიკურად სხვადასხვაგვარად ხორციელდება. იმის მიხედვით, მასობრივია თუ ერთჯერადი, სამეურნეო ოპერაცია შეიძლება უშუალოდ ჩაიწეროს საბუთიდან პირდაპირ აღრიცხვის რეგისტრში. მეორე შემთხვევაში, როდესაც მასობრივია ოპერაციები, მაგალითად, მასალების მიღება და გაცემა, სალაროს შემოსავალ-გასავლის ოპერაციები და სხვა, ჯერ უნდა ცალკე დაჯგუფდეს, დაჯამდეს და შემდეგ იქნეს შეტანილი აღრიცხვის

რეგისტრში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით აღრიცხვის რეგისტრები შეიძლება იყოს მაგროვებელი, ანუ მაჯგუფებელი, და ჯამობრივი. პირველს მიეკუთვნება ისეთი რეგისტრები, რომლებშიც იწერება ერთდროული სისტემატიზებული მონაცემები საბუთებიდან დადგენილი ნიშნების მიხედვით.

ჯამობრივი — ეს ისეთი რეგისტრებია, რომლებშიც შეიტანება ჯამობრივი მონაცემები მაგროვებელი ან მაჯგუფებელი რეგისტრებიდან, სადაც წინასწარ წარმოებს ოპერაციების დაჯგუფება.

ზოგიერთი სამეურნეო ოპერაციის ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია თვით საბუთშივე წარმოებდეს მონაცემების დაჯგუფება (მაგ., თვიური სალიმიტო ბარათები მასალების გაცემაზე), რაც ხელს უწყობს საბუთთა რაოდენობის შემცირებას და ა. შ.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სამეურნეო ოპერაციები იწერება ქრონოლოგიური და სისტემატური აღრიცხვის რეგისტრებში. პრაქტიკაში გამოყენებულია ამ რეგისტრების სხვადასხვაგვარი შეხამებანი, რომელიც აყალიბებს ბუხპალტრული აღრიცხვის განსაზღვრულ ფორმას.

ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ ანგარიშწარმოების ეურნალ-ორდერული ფორმის აღრიცხვის რეგისტრების აგების პრინციპებს, რათა ხელი შეუწყოს ამ მოწინავე ფორმის დანერგვას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბუხპალტრულ აღრიცხვაში და, პირველ რიგში, ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ხარჯთსუნის შესრულების ბუხპალტრულ აღრიცხვაში. შემდეგ კი შევეხებით აღრიცხვის ეურნალ-მთავრულ და მემორიალურ-ორდერულ ფორმებს.

ეურნალ-ორდერად წოდებული რეგისტრის არსის გასაგებად წარმოვიდგინოთ ცნობილი ქადრაკული ბალანსის სქემა (შემოკლებული).

ქადრაკული ბალანსი

ანგარიშების კრედიტო	ნელლეული და მასალები	სალარი	მიმდინარე ანგარიში	დებიტორები და კრედიტორები	ხარჯები	ანგარიშვალდებული პირები
ანგარიშების დებეტი						
ნელლეული და მასალები	—	—	—	5200	—	20
სალარი	—	—	800	—	—	25
მიმდინარე ანგარიში	—	80	—	—	—	—
დებიტორები და კრედიტორები	—	—	1300	—	—	—
ხარჯები	—	110	300	180	—	310
ანგარიშვალდებული პირები	—	500	—	—	—	—

თუ ასეთი ცხრილი მთლიანად მოიცავს ანგარიშთა გეგმას, მაშინ შესაძლებელი იქნება აგრეთვე ყველა სამეურნეო ოპერაციის დაჯგუფება სინთეზური ანგარიშების კრილში.

ახლა წარმოვიდგინოთ ჰადრაკული ბალანსის თითოეული ვერტიკალური სვეტი, როგორც ცალკე განსაკუთრებული რეგისტრი. ასეთ რეგისტრში ჩაწერილი ყველა თანხა მიეკუთვნება სათაურში დასახელებული ერთი ანგარიშის კრედიტს. ამ რეგისტრში თავს მოიყრის მოცემული ანგარიშის ყველა საკრედიტო ბრუნვა მოკორესპონდენტო ანგარიშებთან დებეტით, რაც უკვე პრინციპში ჟურნალ-ორდერს წარმოადგენს.

რასაკვირველია, თითოეული სინთეზური ანგარიშის მიხედვით ცალკე და გაერთიანებულად, სადებეტო ბრუნვების მისაღებად საჭირო იქნება ყველა ჟურნალ-ორდერის შეერთება, რათა ასევე მთლიანად მივიღოთ ზემოთ წარმოდგენილი ჰადრაკული ბალანსის ცხრილი. ამიტომ, თავისთავად იგულისხმება, რომ ტექნიკურად ჟურნალ-ორდერი აიგება შედარებით უფრო რთული სქემით. მასში მოცემული იქნება სტრიქონები რიგი თანხების ჩასაწერად, სვეტებში (ჩაწერილი) თანხების სხვადასხვა კრილში დასაჯგუფებლად და ა. შ. მაგრამ იდეა ჟურნალ-ორდერის პრინციპის სქემისა იგივე დარჩება.

განვიხილოთ ეს სქემა ჰადრაკული ბალანსის ერთ-ერთი სვეტის (ვერტიკალური) მონაცემის პორიზონტალურ კრილში:

	დებეტი ანგარიშები			
	მიმდინარე ანგარიშები საბანკოში	ხარჯები	ანგარიშვალდებული პირები	და ა. შ.
კრედიტი—სალაროს ანგარიში	80	110	500	

ან სხვაგვარად გამოსახული ჟურნალ-ორდერი:

ჩანაწერების პერიოდები	სალაროს ანგარიშის კრედიტი				თვის
	სადებეტო ანგარიშები				
	მიმდინარე ანგარიში	ხარჯები	ანგარიშვალდებული პირები	და ა. შ.	
1—5	80	110	500		

შეიძლება ამნაირად შევედგინოთ ცალკეული ჟურნალ-ორდერი თითოეულ საკრედიტო ანგარიშზე და საჭიროების შემთხვევაში ერთ

ფურცელზე (ბლანკზე) გავაერთიანოთ ჟურნალ-ორდერში ცალკეული დამოუკიდებელი დანაყოფების სახით რამდენიმე დასაკრედიტებელი ანგარიში.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალ-ორდერული ფორმით ანგარიშწარმოებაში სინთეზური აღრიცხვის ყველაზე უფრო გავრცელებული აღრიცხვის რეგისტრებს ისეთი რეგისტრები წარმოადგენენ, რომელთა აგებას საფუძვლად უდევს მარტივი ჰიდრაკული ფორმა. იგი წარმოადგენს ჩანაწერების მაგროვებელ რეგისტრს შემდეგი სქემით:

ანგარიშის კრედიტი

სტრიქონების №№	თარიღი, საბუთის დასახელება და №№	საღებუტებელი ანგარიშები				
		№	№	№	№	№

ამ სქემის მიხედვით აგებულ რეგისტრებში სტრიქონები გამოიყენება სამეურნეო ოპერაციის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით საღებუტებელი ანგარიშების სვეტში ჩასაწერად.

ასეთი რეგისტრი ძალიან მოხერხებულია საბუთების საფუძველზე თვის განმავლობაში სამეურნეო ოპერაციების ჩასაწერად რომელიმე ანგარიშის კრედიტით მოკორესპონდენტო ანგარიშების ღებეტში თანხების დასაჯგუფებლად.

მოტანილი სქემიდან ჩანს, რომ ჟურნალ-ორდერი აგებულია ერთი საკრედიტებელი ანგარიშის მიხედვით, რომელიც საესებით უზრუნველყოფს სინთეზურ აღრიცხვას, მაგრამ ერთი საკრედიტო ანგარიშით ცალკე ჟურნალ-ორდერის აგება ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი, რადგანაც არის რიგი სინთეზური ანგარიშებისა, რომლებიც, ეკონომიკური შინაარსიდან გამომდინარე, თავიანთი ბრუნვებით ურთიერთკავშირში იმყოფებიან. მაგალითად, „ძირითადი საშუალებები“ და „ფონდი ძირითად საშუალებებში“ — მკვიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან. ამიტომ აქ უკეთესია, რომ აღნიშნული ანგარიშების კრედიტის ბრუნვები ჩაიწეროს ერთ ჟურნალ-ორდერში.

ამასთან დაკავშირებით წარმოიშვა სინთეზური აღრიცხვის რეგისტრების აგების სქემის მეორე ვარიანტი, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ბლანკი გამოიყენება ორი-სამი საკრედიტებელი

ანგარიშისათვის, რომლებსაც სადებეტებელი ანგარიშების მცირე რაოდენობა აქვთ.

ქვემოთ მოგვყავს ასეთი ყურნალ-ორდერის სქემა ორი ანგარიშის კრედიტის მიხედვით:

ჩანაწერი რების №№	შინაარსი, საბუთების დასახელება №№	ანგ. № 01 კრედიტიდან ანგარიშების დებეტში				ანგ. № 22 კრედიტიდან ანგარიშების დებეტში			
		ანგ. №	ანგ. №	ანგ. №	ანგ. №	ანგ. №	ანგ. №	ანგ. №	ანგ. №

ასეთი ყურნალ-ორდერები რეგისტრების რაოდენობის შემცირების შესაძლებლობას ქმნიან, ამიტომ ყურნალ-ორდერების აგების დროს ორი-სამი ანგარიშის ერთ რეგისტრში გაერთიანების მეთოდს ფართოდ იყენებენ, რასაკვირველია, მათი თვალსაჩინოების ამღლებისა და ეკონომიკური შინაარსის გაღრმავების პირობებში. რიგ შემთხვევებში მოუხერხებელია სამეურნეო ოპერაციების ჩაწერა პირველადი საბუთებიდან უშუალოდ ყურნალ-ორდერებში, ამიტომ ანგარიშწარმოებამში ფართოდაა გამოყენებული მაგროვებელი და მაჯგუფებელი რეგისტრები, რომლებშიც ყოველდღიურად ჩაიწერება (პირველადი საბუთებიდან) გარკვეული პერიოდის, დავუშვათ, ერთი თვის სამეურნეო ოპერაციები. ასეთ რეგისტრებში წარმოებული ჩანაწერები შეჯამდება და თვის ბოლოს გადაიტანება ყურნალ-ორდერებად წოდებულ რეგისტრებში. ასეთი ყურნალ-ორდერის აგებას ჭადრაკული ფორმის აღრიცხვის რეგისტრის სქემა უძევს საფუძვლად და, როგორც აღვნიშნეთ,

აღნიშნული ტიპის ყურნალ-ორდერის სქემა ასეთია:

ჩანაწერი თანხების დაჯგუფების პირველი კრილი	საკრედიტო ანგარიშები				
	ანგ. №	ანგ. №	ანგ. №	ანგ. №	ანგ. №
ჩანაწერი თანხების დაჯგუფების მე-2 კრილი					
(სადებეტებელი ანგ. № _____					
ანგარიშები) ანგ. № _____					
ანგ. № _____					
ანგ. № _____					

ჩაიწერება წინასწარ სხვა რეგისტრებში დაგროვებული სამეურნეო-ოპერაციების თანხების ჯამები.

წარმოდგენილი რეგისტრის ფორმა წააგავს ჰადრაკული ფორმის მარტივ ბრუნვათა უწყისს, მისი გადაკვეთის უჯრედებში შეიძლება ჩაიწეროს სინთეზური ანგარიშების სადებეტო და საკრედიტო ბრუნვები. თითოეული უჯრედი განკუთვნილია მხოლოდ ერთჯერადი თანხის ჩასაწერად. მაშასადამე, იგი გათვალისწინებულია მაგროვებელ რეგისტრებში წინასწარ დაჯგუფებულ ბრუნვათა ჯამების შესატანად და არა ცალკეული თანხების ჩასაწერად უშუალოდ პირველადი საბუთებიდან. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი სქემის აღრიცხვის რეგისტრის დაჯგუფებათა კრილში შეიძლება მოცემული იყოს არა მარტო სინთეზური ანგარიშები, არამედ შესაბამისი ანალიზური ანგარიშებიც.

განვიხილოთ ასეთივე სქემით აგებული ჟურნალ-ორდერის რეგისტრის სხვა ვარიანტის ნიმუში:

ჟურნალ-ორდერი

მაგროვებელ უწყისის სახელი	საკრედიტო ანგარიშები	№	№	№	№	სადებეტო ბრუნვები სხვა ჟურნალ-ორდერებიდან	კრედიტის ბრუნვა სულ
	სადებეტო ანგარიშები						
	№						
	№						
	№						
	№						
	№						
	კრედიტის ბრუნვა სულ						

ასეთი სქემით აგებული რეგისტრის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოცემული ანგარიშით მთელი კრედიტის ბრუნვები თავმოყრილია ამავე რეგისტრში, ხოლო თითოეულ სადებეტებელ ანგარიშზე მისაკუთვნილებელი თანხები კი შეიძლება მივიღოთ სხვა ჟურნალ-ორდერებიდან (რეგისტრებიდან).

ანგარიშწარმოების ჟურნალ-ორდერულ ფორმაში, ისე, როგორც საბუთთა აღრიცხვის სხვა ფორმებში, სინთეზური აღრიცხვის რეგისტრებთან ერთად ფართოდ გამოიყენება ანალიზური აღრიცხვის რეგისტრებიც. როდესაც რეგისტრი გათვალისწინებულია მხოლოდ ანალიზური აღრიცხვისათვის, მაშინ ასეთი რეგისტრი მონაცემების თანამიმდევრული ჩანაწერებისათვის, მათი დაჯგუფებით სხვადასხვა ნიშნის ქვეშ, ასეთი სქემით აიგება:

.ოპერაციის საბუთი ან შინაარსი	დაჭრუფების სხვადასხვა ნიშნები			

ამ რეგისტრის დამახასიათებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სტრიქონებზე თანამიმდევრულად იწერება სამეურნეო ოპერაციები (საბუთების საფუძველზე) ქრონოლოგიურად ან დადგენილი სააღრიცხვო წესით, ხოლო სვეტებში ჩაწერილი მონაცემები ჯგუფდება სხვადასხვა ნიშნით.

ანგარიშწარმოების ეურნალ-ორდერული ფორმით სინთეზურ აღრიცხვასთან შეუთავსებლად, ცალკე ანალიზური აღრიცხვისათვის გამოიყენება ანალიზური აღრიცხვის შემდეგი სახის რეგისტრები:

1. რეგისტრები ცხრილების სახით (ბარათები) ანალიზური აღრიცხვის ობიექტების ჯგუფებისათვის (მაგალითად, ძირითადი საშუალებების ერთნაირი ობიექტების ჯგუფური აღრიცხვისათვის).

2. რეგისტრები ბარათების სახით ანალიზური აღრიცხვის ცალკეული ობიექტებისათვის (მაგალითად, ხარისხობრივი ბარათები მასალების სასაწყობო აღრიცხვისათვის).

3. რეგისტრები ცალკეული ცხრილების (ბარათების) სახით ანალიზური აღრიცხვის თითოეულ ობიექტებზე გათვალისწინებული დიდი რაოდენობის ჩანაწერებისათვის ხანგრძლივ პერიოდში (მაგალითად, ძირითადი საშუალებების საობიექტო აღრიცხვისათვის).

4. რეგისტრები ანალიზური აღრიცხვის ხანმოკლე მასობრივი ობიექტებისათვის, ბარათების სახით რამდენიმე მკაცრად განსაზღვრული ოპერაციის ჩასაწერად მოცემული ობიექტების მიხედვით (მაგალითად, მომწოდებლებთან ანგარიშსწორებათა აღსარიცხვად).

გარდა ამისა, ანგარიშწარმოების ეურნალ-ორდერული ფორმისათვის დამახასიათებელია ფართოდ გავრცელებული ისეთი რეგისტრები (ეურნალ-ორდერები), რომლებშიც გაერთიანებულია სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა. ასეთი რეგისტრები აიგება ქვემოთ მოყვანილი სქემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ რთული ჰადრაკული ფორმის რეგისტრს, გათვალისწინებულს თანხების ჩასაწერად რამდენიმე პოზიციით ხუთი ჰრილის ფარგლებში. ამ სქემით აგებული რეგისტრი ასეთი ფორმისაა:

ასეთი რეგისტრის არსი იმაში მდგომარეობს, რომ შეიძლება ჩაწეროს ცალკეული სამეურნეო ოპერაციები საბუთების საფუძველზე და დაჯგუფდეს ჩაწერილი თანხები ხუთი კრილის ფარგლებში. წარ-

1 და მე-2 კრილში		№ ანგარიშის კრედიტიდან ანგარიშების დებეტში		ა. შ.
მე-3 კრილში		ანალიზური აღრიცხვის პოზიცია	ანალიზური აღრიცხვის პოზიცია	
მე-4 კრილში		მე-5 კრილში	№	№
საბუთები	საკრედიტო ანგარიშის ანალიზური აღრიცხვის პოზიცია	ანგარიშების პოზიცია		

მოდენილი სქემის მიხედვით პირველ და მეორე კრილში თანხები ჯგუფდება სადებეტო და საკრედიტო სინთეზურ ანგარიშებში, მესამე კრილში — სადებეტო ანგარიშების ანალიზური აღრიცხვის პოზიციით, მეოთხე კრილში — საკრედიტო ანგარიშის ანალიზური აღრიცხვის პოზიციით, მეხუთეში — ანგარიშების პოზიციით თანხების იმ ნაწილში, რომელიც ჩაიწერება მოცემული სინთეზური ანგარიშის კრედიტში.

ალსანიშნავია, რომ ასეთი სქემით სააღრიცხვო რეგისტრის სხვა ვარიანტის აგებაც შეიძლება. რასაკვირველია, პრინციპად მასაც ჰქონდა ფორმა დაედება, რაც შემდგომში მდგომარეობს: ჩაწერილი თანხის ერთდროულად მიკუთვნება ანგარიშების დებეტსა და კრედიტზე; ჩანაწერი თანხების მრავალგვარი დაჯგუფება სვეტების შესაბამისი აგებულების საფუძველზე; ჩანაწერების წარმოება პირველადი საბუთებიდან, როდესაც საბუთები მასობრივ ხასიათს არ ატარებენ.

სინთეზური აღრიცხვის ანალიზურ აღრიცხვასთან შეხამების ერთ-ერთი გავრცელებული ხერხი ისაა, რომ აღრიცხვის რეგისტრში საბუთებიდან ჩაწერილი თანხების დაჯგუფება ანგარიშებში წარმოებს ამ თანხების ერთდროული ქვედაჯგუფებით სინთეზური და ანალიზური ანგარიშების პოზიციით. ეს ხორციელდება ან მოცემული აღრიცხვის რეგისტრში, ან დამატებითი რეგისტრის „გაშიფვრის ფურცლის“ გამოყენების გზით.

თუ ანალიზური აღრიცხვის ანგარიშების ბრუნვათა უწყისი შეთავსებულია მოცემულ რეგისტრში, მაშინ, როგორც აღვნიშნეთ, ჩანაწერების დამატებითი დაჯგუფება ანალიზური აღრიცხვის პოზიციებით წარმოებს ერთ რეგისტრში. აქ შუალედური ჩანაწერების გარეშე თანხები პირდაპირ იწერება ანალიზური აღრიცხვის ბრუნვათა უწყისში.

როდესაც ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ეურნალ-ორდერებში და მოცემული (რომელიმე) სინთეზური ანგარიშის ანალიზური აღრიცხვა არაა გათვალისწინებული იმავე რეგისტრში, მაშინ შესაბამისი ანგარიშების დებეტზე მისაკუთვნებელი თანხები გაიშიფრება ან დაჯგუფდება სუბანგარიშების ან ანალიზური აღრიცხვის მუხლების მიხედვით. ამისათვის გათვალისწინებულია აღრიცხვის რეგისტრი, რომელიც დამუშავებით ცხრილს წარმოადგენს. მას „გაშიფვრის ფურცელი“ ეწოდება.

ეს რეგისტრი აგებულია დებეტის ნიშნით: თითოეულ სადებეტო ანგარიშზე, რომელიც საჭიროებს ანალიზურ დაჯგუფებას, იხსნება ცალკე „გაშიფვრის ფურცელი“.

საბიუჯეტო დაწესებულებებში „გაშიფვრის ფურცელი“ გამოიყენება ძირითადი საშუალებებისა და მასალების (მთავარი) ანგარიშების ბრუნვების ასასახავად სუბანგარიშების კრილში. სხვა ორგანიზაციებსა და საწარმოებში ასეთი რეგისტრი დგება სალაროს, ანგარიშსწორების ანგარიშისა და სხვა ანგარიშების სადებეტო ბრუნვების აღრიცხვის რეგისტრებთან (უწყისებთან) ასეთი სქემით:

გაშიფვრის ფურცელი ფ. № 13

ჩანაწერების საკუთველი	თანხები ანალიზური ანგარიშებით (მუხლებით)			
	№	№	№	№

ფურცელ-გაშიფვრა დამთავრებულია . . .
 ჟამები სინთეზურ ანგარიშებთან შედარებულია
 შემსრულებელი

„გაშიფვრის ფურცელი“ თვის ბოლოს გასატარებლად გადაეცემა იმ მუშაკს, რომელიც აწარმოებს შესაბამის ეურნალ-ორდერს. გასაგებია, რომ მოცემულ ეურნალ-ორდერში იმ ანგარიშზე, რომელზეც

შეივსო გაშიფრის ფურცელი, ანალიზური აღრიცხვის პოზიციით ჩანაწერები აღარაა საქირო.

გ ა ნ ხ ი ლ უ ლ ი რ ე გ ი ს ტ რ ე ბ ი ს გ ა რ დ ა, სინთეზური აღრიცხვის ანალიზურ აღრიცხვასთან შეთავსების მიზნით, ფართოდ გამოიყენება ისეთი სქემით აგებული მაგროვებელ უწყისად წოდებული რეგისტრები, სადაც ვერტიკალურ კრილში ჩანაწერები ანალიზური აღრიცხვის პოზიციით წარმოებს, ხოლო ჰორიზონტალურ კრილში ეს ჩანაწერები ჯგუფდება საკრედიტებელ სინთეზურ ანგარიშებში.

ასე, მაგალითად:

საკრედიტო ანგარიშები	ანგ. №	ან. №	და ა. შ.	საანგარიშებო თვის ქ.შ.	ჯამი წლის დასაწყისიდან	ხარჯთაღრიცხვით	
						თვის	წლის დასაწყისიდან
საამქროს ხარჯების ანალიზური აღრიცხვის მუხლები							
1.							
2.							
3.							
და ა. შ.							

ამ რეგისტრში ჩანაწერები წარმოებს ან უშუალოდ პირველადი საბუთებიდან, ან ხარჯების ელემენტების გამანაწილებელი უწყისიდან.

ანგარიშწარმოების ეურნალ-ორდერული ფორმის დროს სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის შესათავსებლად შეიძლება აიგოს რეგისტრები სხვა ვარიანტითაც, მაგალითად, ასეთი სქემით:

ანალიზური აღრიცხვის ობიექტები, მათი წარმოშობის კრონოლოგიური თანმიმდევრობა	ლაწუნებით ნაშთი	დებეტის ბრუნვა	კრედიტის ბრუნვა	საბოლოო ნაშთი
		მოკორესპონდირი ანგარიშების კრილში დამატებითი მაჩვენებლები	მოკორესპონდირი ანგარიშების კრილში დამატებითი მაჩვენებლები	

ამ სქემით აგებული რეგისტრის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული სტრიქონი გამოიყენება ანალიზური აღრიცხვის გარკვეული პოზიციისათვის, სამეურნეო ოპერაციის მოხდენის კრონო-

ლოგიური თანამიმდევრობით. ანალიზური აღრიცხვის ყველა სამეურნეო ოპერაცია, მაგალითად, ანგარიშსწორება ანგარიშვალდებულ პირებთან გაცემული ავანსებით, ანგარიშსწორებანი დებიტორებთან და კრედიტორებთან და ა. შ. ჩაიწერება მხოლოდ მოცემულ სტრიქონზე და დაჯგუფდება ბუხპალტრული აღრიცხვის ჩვეულებრივი წესით. (ნაშთი, დებეტი-კრედიტი, ნაშთი) მოკორესპონდირი ანგარიშების კრილში რიგი დამატებითი მაჩვენებლების აღნიშვნით (მაგალითად, ოპერაციების თარიღი).

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ყურნალ-ორდერებში მიღებული ბრუნვის ჯამები საერთო ნაკრების მისაღებად თავს მოიყრის ანგარიშების დებეტის ნიშნით აგებულ რეგისტრში, რომელსაც „მთავარი დაეთარი“ ეწოდება.

მთავარ დაეთარში ყოველი თვის ბოლოს ყურნალ-ორდერებიდან გადმოიტანება მოცემული ანგარიშის სადებეტო ბრუნვები.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ სხვადასხვა სახის აღრიცხვის რეგისტრების აგების პრინციპები, ახლა გავეცნოთ მათი გამოყენების მდგომარეობას ყურნალ-ორდერული ფორმით ანგარიშწარმოების პირობებში.

3. ანგარიშწარმოების ყურნალ-ორდერული ფორმა

ანგარიშწარმოების ყურნალ-ორდერული ფორმა აგებულია სამეურნეო ოპერაციების მაგროვებელი ყურნალ-ორდერების წარმოების პრინციპზე, რომლებიც წარმოადგენენ მაგროვებელი უწყისების შემდგომ გაუმჯობესებულ ისეთ რეგისტრებს, რომელთაც საფუძვლად უდევთ საკონტროლო-ჰადრაკული აღრიცხვის განვითარებული ფორმა.

ბუხპალტრული აღრიცხვის თანამედროვე პირობებში ანგარიშწარმოების ყურნალ-ორდერული ფორმით რეგისტრაცია ხასიათდება შემდეგით:

1. მემორიალური ორდერები არ დგება;
2. სამეურნეო ოპერაციების საერთო ქრონოლოგიური აღრიცხვა არ წარმოებს;
3. აღრიცხვის ისეთი ფორმის რეგისტრებია გამოყენებული, რომლებშიაც ერთი ჩაწერით ერთდროულად დებეტდება და კრედიტდება ანგარიშები;
4. სპეციალური ხერხების გამოყენების საფუძველზე უმრავლეს ანგარიშებში სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა რეგისტრში ხორციელდება სამეურნეო ოპერაციის ერთიანი ჩანაწერის სისტემით.
5. სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის ანგარიშებში ჩანაწერები ჯგუფდება ანგარიშგების მაჩვენებლების კრილში.

6. მაგროვებელ და მაჭგუფებელ უწყისებში სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ერთდროულად თანხების დაჭგუფების პრინციპით — დაწესებულებების, განყოფილებების, მეურნეობების, საწყობების (და ა. შ.) ჭრილში.

როგორც აღვნიშნეთ, ანგარიშწარმოების ეურნალ-ორდერული ფორმა ითვალისწინებს ერთჯერადი და მაგროვებელი საბუთების გამოყენებას. ამ ფორმის გამოყენების დროს საბუთებიდან ჩანაწერები შეიტანება ეურნალ-ორდერებად წოდებულ რეგისტრებში. ჩანაწერები წარმოებს კრედიტის ნიშნის ქვეშ აგებული სინთეზური ანგარიშების დებეტსა და კრედიტში ერთდროულად.

ეურნალ-ორდერები შეიცავენ სხვადასხვა რეკვიზიტებს და, მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, ერთიმეორისაგან ტიპობრივად განსხვავდებიან. ამასთან დაკავშირებით, ეურნალ-ორდერები თავიანთი აგებულების მიხედვით სამ ტიპად იყოფიან.

პირველი ტიპის ეურნალ-ორდერები გათვალისწინებულია ისეთი ანგარიშების საკრედიტო ბრუნვების ასასახავად, რომლებზეც ანალიზური აღრიცხვა ცალკე რეგისტრებში წარმოებს ან ასეთი აღრიცხვა სულ არაა საჭირო.

მეორე ტიპს მიეკუთვნება ისეთი ეურნალ-ორდერები, რომლებშიც სინთეზურ აღრიცხვასთან ერთად შეთავსებულია ანალიზური აღრიცხვაც.

ამ ტიპის ეურნალ-ორდერების თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ რეგისტრის ერთ მხარეს წარმოებს საკრედიტო ბრუნვების რეგისტრაცია მოკორესპონდერო ანგარიშების ჭრილში, ხოლო მეორე მხარეს (ან დამატებით ფურცლებზე) გათვალისწინებულია ცხრილები, რომლებშიც ჩგუფდება გარკვეული ანგარიშების დებეტისა და კრედიტის ბრუნვები ანალიზური აღრიცხვის ჭრილში.

მესამე ტიპის ეურნალ-ორდერები თავს უყრის მთელ რიგ ანგარიშებს ერთ რეგისტრში და უზრუნველყოფს მოცემული ანგარიშების სადებეტო და საკრედიტო ბრუნვების მიღებას. ამ ტიპის ეურნალ-ორდერების აგებულებას ჰიდრაკისებური აღრიცხვის რეგისტრის სქემა უდევს საფუძვლად და ფორმით ძალიან წააგავს ჰიდრაკისებურ მარტივ ბრუნვათა უწყისს, სადაც გადაკვეთის უჯრებში იწერება სინთეზური ანგარიშების სადებეტო და საკრედიტო ბრუნვები.

ასეთი ტიპის ეურნალ-ორდერის თითოეული უჯრა განკუთვნილია მხოლოდ ერთჯერადი თანხის ჩასაწერად, მაშასადამე, სხვადასხვა უწყისებში წინასწარ დაგროვებული თანხების ბრუნვათა ჯამების შესატანად და არა ცალკეული თანხების ჩასაწერად უშუალოდ პირველადი საბუთებიდან.

ეურნალ-ორდერული ფორმის რეგისტრთა სისტემა აგებულია იმგვარად, რომ შესაძლებელია ამა თუ იმ ეურნალ-ორდერის ცალკეული ჯამობრივი მონაცემები შეუდარდეს სხვა ეურნალ-ორდერების ან უწყისების ციფრობრივ ჯამებს.

ცხადია, რომ ურთიერთშემოწმების შედეგად აღმოჩენილი ყველა შეცდომა უნდა შესწორდეს კორექტურული, წითელი სტარხოს ან დამატებითი გატარების წესით.

ეურნალ-ორდერების მონაცემების ცალკეული ჯამების ურთიერთშემოწმების შემდეგ, ჯამობრივი მონაცემები შეიტანება მთავარ დავთარში.

მთავარი დავთარი წარმოადგენს წლიური აღრიცხვის რეგისტრს, რომელშიაც ყოველთვიურად თავს იყრის ეურნალ-ორდერებში შედგენილი ყველა გატარება. მთავარი დავთრის თითოეულ სინთეზურ ანგარიშში იწერება მოკორესპონდირო ანგარიშების სადებეტო ბრუნვები, რომლებიც სხვადასხვა ეურნალ-ორდერებშია ასახული კრედიტის ნიშნის ქვეშ. საკრედიტო ბრუნვები ეურნალ-ორდერებიდან მთავარ დავთარში გადაიტანება საერთო ჯამებით, რის შემდეგ ხდება სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის მაჩვენებლების ურთიერთშედარება.

სინთეზური და ანალიზური მონაცემების ურთიერთშედარების შემდეგ მთავარი დავთრის, ეურნალ-ორდერებისა და უწყისების მაჩვენებლების საფუძველზე შეივსება მიმდინარე ანგარიშგების ფორმები. რასაკვირველია, ყოველგვარ ბრუნვათა უწყისების შედგენისა და სხვა სპეციალურ სამუშაოთა ჩატარების გარეშე.

ამჟამად, უწყებრივი ინსტრუქციების საფუძველზე აგებულია ანგარიშწარმოების ეურნალ-ორდერული ფორმის ორი ვარიანტი: ერთი თერთმეტი, ხოლო მეორე ცამეტი ეურნალ-ორდერით. ამ ვარიანტებიდან სსრ კავშირის უმაღლესი და სპეციალური სამუშაო სასწავლებლების სამინისტროს ქსელში, აგრეთვე მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, ინერგება მეორე ვარიანტი და ისიც უკიდურესად ნელი ტემპით.

4. აღრიცხვის ეურნალ-მთავრული ფორმა

ა) აღრიცხვის ეურნალ-მთავრულ ფორმაში შეხამებულია ქრონოლოგიური და სისტემატური აღრიცხვის რეგისტრები. ისინი კომბინირებული არიან ერთ დავთარში. დავთრის მარცხენა ნაწილი წარმოადგენს ოპერაციების რეგისტრაციის ეურნალს და მას აქვს ოთხი სვეტი, რომლებშიც იწერება: თარიღი, გატარების ნომერი, ოპერაციის შინაარსი და ბრუნვის თანხა. დავთრის მარჯვენა ნაწილი შეიცავს სინთეზურ ანგარიშებს, ე. ი. მთავარი დავთრის ანგარიშებს.

ეურნალ-მთავრული საშუალებას იძლევა განვალაგოთ დავთრის ერთ გაშლილ გვერდზე (ჩანართი ფურცლების ჩათვლით) ანგარიშების შედარებით მცირე რაოდენობა, დაახლოებით 25—30. ამის გამო აღრიცხვის დასახელებული ფორმა გამოიყენება სამეურნეო ოპერაციების მცირე მოცულობისა და სინთეზური აღრიცხვის ანგარიშების ასევე მცირე ნომენკლატურის მქონე საწარმოებსა და დაწესებულებებში. იგი გამოიყენება საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, საბიუჯეტო დაწესებულებებში და ა. შ.

ოპერაციების რეგისტრაციის წესი აღრიცხვის ამ ფორმის პირობებში შემდეგში მდგომარეობს:

წინასწარ დაჯგუფებული პირველადი საბუთების საფუძველზე დგება მემორიალური ორდერები, შემდეგ ამ ორდერების მონაცემები ჩაიწერება უშუალოდ ეურნალ-მთავარში. ამასთან, თითოეული თანხა აისახება ეურნალ-მთავარში სამ ადგილას: „ბრუნვის თანხის“ სვეტში და მემორიალურ ორდერში აღნიშნული ანგარიშების დებეტში და კრედიტში.

მოცემული კანონმდებლობის შესაბამისად ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები, ეურნალ-მთავარში აღრიცხვის გარდა, აღრიცხება სალაროს დავთარშიც. სალაროს დავთარი წარმოადგენს სავალდებულო რეგისტრის ბუხჰალტრული აღრიცხვის ყოველნაირი ფორმის პირობებში.

ეურნალ-მთავარის გამოყენების შემთხვევაში ანალიზური აღრიცხვა უფრო ხშირად წარმოებს დამხმარე დავთრებში. ხოლო ზოგჯერ ბარათებშიც, ამ რეგისტრებში ოპერაციების ჩაწერა ხდება პირველადი საბუთების საფუძველზე.

თვის ბოლოს ეურნალ-მთავარში ჯამდება საანგარიშგებო პერიოდის ბრუნვები და გამოიყვანება ანგარიშების ნაშთები შემდეგი თვის დასაწყისისათვის. ამასთან, სინთეზური ანგარიშების მიხედვით სპეციალურ ბრუნვათა უწყისის შედგენა აუცილებელი აღარ არის, რადგან მისი მაჩვენებლები მთლიანად მოცემულია ეურნალ-მთავარში.

ასეთივე წესით გამოიყვანება თვიური ჯამები ანალიზური აღრიცხვის ანგარიშებზე. გარდა ამისა, ამ ანგარიშების მიხედვით შედგება ბრუნვათა უწყისები.

ანალიზური აღრიცხვისა და ეურნალ-მთავარის მონაცემების შედარების შემდეგ დგება საანგარიშგებო ბალანსი.

ბუხჰალტრული აღრიცხვის განხილული ფორმის ძირითად ღირსებას წარმოადგენს ოპერაციების ჩანაწერის სიმარტივე, აღრიცხვის რეგისტრაციის სიმოკლე და მნიშვნელოვანი თვალსაჩინოება, ზოგიერთი სააღრიცხვო სამუშაოს შემცირება.

5. ხარჯთნუსხების შესრულების აღრიცხვის ორგანიზაცია
ბიუჯეტურ დაწესებულებაში

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტს დიდი როლი აკისრია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დაჩქარებული გარდაქმნის იმ ამოცანების განხორციელებაში, რაც დასახულია სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მიერ.

როგორც აღვნიშნეთ, სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავლის უდიდესი ნაწილის განაწილება და გადანაწილება წარმოებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით, რის გამოც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას, რაც აღრიცხვის სწორი ორგანიზაციით ხორციელდება სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ინსტრუქციების საფუძველზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სამინისტროებში, უწყებებში, დაწესებულებებში (ცენტრალურებულ ბუხჰალტურებში), სახალხო დეპუტატების საბჭოების აღმასკომებში და მათ სამმართველოებში (განყოფილებებში), გარდა სახალხო დეპუტატების სასოფლო, საღაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისა, ბიუჯეტისა და ბიუჯეტგარეშე სახსრების ხარჯთნუსხების შესრულების აღრიცხვა 1988 წლის 1 იანვრიდან ხორციელდება სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1987 წლის 10 მარტის № 61 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში და ორგანიზაციებში ბუხჰალტრული აღრიცხვის შესახებ“. ამავე ინსტრუქციით აღრიცხება კაპიტალური დაბანდებების ოპერაციები და მისი მონაცემები აისახება ერთიან ბალანსზე.

სამინისტროებს, უწყებებს და სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების სამმართველოებს (განყოფილებებს) ნება დართული აქვთ თავიანთ დაქვემდებარებულ ბიუჯეტურ დაწესებულებებს მისცენ უფლება კაპიტალური დაბანდებების ასახვისა დამოუკიდებელ ბალანსზე და ოპერაციების აღრიცხვა აწარმოონ გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის გათვალისწინებული ბუხჰალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით.

ბიუჯეტურ დაწესებულებებში ბიუჯეტურ და ბიუჯეტგარეშე სახსრების ხარჯთნუსხების შესრულების, მათ შორის სოფლის დამხმარე და სასწავლო-საცდელი მეურნეობების, აგრეთვე სახელშეკრულებო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ბუხჰალტრული აღრიცხვა წარმოებს ზემოაღნიშნული ინსტრუქციით, ერთიან ბალანსზე.

დამხმარე სოფლის მეურნეობის მქონე ბიუჯეტურ დაწესებულებას ზემდგომი ორგანიზაციის ნებართვით დამხმარე სოფლის მეურნეობის

საქმიანობაზე შეუძლია დამოუკიდებელი ბალანსი შეადგინოს ბიუჯეტური დაწესებულებისათვის განკუთვნილ ანგარიშთა გეგმის გამოყენებით.

დაწესებულებებთან არსებული სამეურნეო ანგარიშიანი დამხმარე მეურნეობები, რომელთაც სახბანკის დაწესებულებაში გახსნილი აქვთ ანგარიშსწორების ანგარიში და აღგენენ დამოუკიდებელ ბალანსს, ბუხპალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1985 წლის 28 მარტის ბრძანებით დამტკიცებული ბუხპალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმით, რომელიც გათვალისწინებულია გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ბუხპალტრული აღრიცხვისათვის და ძალაში შევიდა 1986 წლის 1 იანვრიდან.

გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების გამგებლობაში შემავალ სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებათა ხარჯთნუსხების ბუხპალტრული აღრიცხვა წარმოებს ცენტრალიზებული წესით შესაბამისი გაერთიანების, საწარმოს, ორგანიზაციის ბუხპალტერიის მიერ, დადგენილი ინსტრუქციით.

ხარჯთნუსხების შესრულების ბუხპალტრული აღრიცხვა ბიუჯეტურ დაწესებულებებში ხორციელდება მემორიალურ-ორდერული ფორმით ბიუჯეტური დაწესებულებებისათვის დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

სსრ კავშირის სამინისტროებს და უწყებებს შეუძლიათ ნება დართონ დაწესებულებებს ხარჯთნუსხების შესრულების ბუხპალტრული აღრიცხვა აწარმოონ ყურნალ-ორდერული ფორმით, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

ხარჯთნუსხების შესრულების ბუხპალტრული აღრიცხვის ცენტრალიზაციის პირობებში მათ მიერ მომსახურებულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს უნარჩუნდებათ კრედიტების განმკარგულებლების უფლებები, კერძოდ, მათ შეუძლიათ: ხელშეკრულებების დადება საქონლის მიწოდებაზე და მომსახურების გაწევაზე; თავის თანამშრომლებზე ავანსების გაცემის განკარგულება; ანგარიშვალდებული პირების საავანსო ანგარიშების, უვარგისი ძირითადი საშუალებების და სხვა მასალების ჩამოწერის აქტების დამტკიცება მოქმედი დებულებების შესაბამისად; დაწესებულების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა და სხვა.

ცენტრალიზებული ბუხპალტერია დაწესებულ ვადებში წარუდგენს მომსახურებულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს საჭირო ცნობებს ხარჯთნუსხების შესრულების შესახებ.

სახელმწიფო სახსრებს დაწესებულებები ხარჯავენ მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულებით და ღონისძიებათა შესრულების მიხედვით,

მტკიცედ იცავენ საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინას და მაქსიმალურ ეკონომიას მატერიალურ ფასეულობათა და ფულადი სახსრების ხარჯვაში.

ხარჯთნუსხების შესრულების მიმდინარეობის, ანგარიშსწორებების მდგომარეობის, ფულადი სახსრების და მატერიალურ ფასეულობათა დაცულობის სისტემატურ კონტროლს უზრუნველყოფს ბუხპალტრული აღრიცხვა.

სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების ხელმძღვანელები და მათი საბუხპალტრო სამსახურები, ცენტრალიზებული ბუხპალტრების მთავარი ბუხპალტრები ახორციელებენ ბუხპალტრული აღრიცხვა-ანგარიშების ორგანიზაციას და უზრუნველყოფენ კონტროლს თავიანთი სისტემის დაწესებულებათა ხარჯთნუსხების შესრულებაზე.

საბუხპალტრო სამსახურების ხელმძღვანელები (მთავარი ბუხპალტრები) თავიანთ მუშაობაში ხელმძღვანელობენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 24 იანვრის დადგენილებით დამტკიცებული დებულებით საბუხპალტრო სამსახურებისა და ცენტრალიზებული ბუხპალტრების შესახებ, აგრეთვე სხვა ნორმატიული დოკუმენტებით.

ხარჯთნუსხების შესრულების მოქმედი ინსტრუქციებით საბუხპალტრო სამსახურებს ევალებათ:

ბუხპალტრული აღრიცხვის სწორი ორგანიზაციის უზრუნველყოფა მოქმედი ინსტრუქციებისა და ცალკეულ მითითებათა შესაბამისად;

წინასწარი კონტროლის განხორციელება მომხდარი ოპერაციებისა და საბუთების დროული და სწორი გაფორმებით;

კონტროლის განხორციელება მატერიალურ ფასეულობათა დაცვაზე. ფულადი სახსრების სწორად და ეკონომიურად ხარჯვაზე გახსნილი კრედიტების (ასიგნებების) შესაბამისად და მათ მიზნობრივ დანიშნულებით გამოყენებაზე დამტკიცებული ხარჯთნუსხების მიხედვით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით;

დაპოუქიდებელი აღრიცხვის მქონე დაწესებულებათა თავისდროული დაფინანსება, აგრეთვე კონტროლი მათ მიერ ხარჯთნუსხების შესრულებისა და ბუხპალტრული აღრიცხვის სწორად დაყენებაზე;

სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხების მიხედვით შემოსავლებისა და ხარჯების, და სხვა ბიუჯეტგარეშე სახსრების, მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასების, მოსწავლეთა სტიპენდიების აღრიცხვის მაღალი ორგანიზაცია;

ხარჯთნუსხების შესრულების პროცესში საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ცალკეულ პირებთან წარმოქმნილი ანგარიშსწორებების თავისდროული განხორციელება;

ფულადი სახსრების, ანგარიშსწორებათა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციაში მონაწილეობა, ინვენტარიზაციის შედეგების თავისდროული და სწორი განსაზღვრა და ასახვა აღრიცხვაში;

მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან ინსტრუქციების ჩატარება მათთან საპასუხისმგებლო შენახვაზე არსებული ფასეულობების აღრიცხვისა და დაცვის საკითხებზე;

სააღრიცხვო-გამოთვლითი საბუღალტრო-შესრულებისას თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა ფართოდ გამოყენება;

ბუხპალტრული ანგარიშგებების შედგენა და დაწესებულ ვადებში წარდგენა;

ხარჯთესხებისა და მისი გაანგარიშებების შედგენა და დაწესებულებების ხელმძღვანელებთან ან ეკონომიკურ სამსახურებთან შეთანხმება;

ძირითადი საშუალებების, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა დაცვაზე მათი შენახვისა და ექსპლუატაციის ადგილებში კონტროლის განხორციელება;

მოქმედი ინსტრუქციის საფუძველზე მთავარი ბუხპალტერი (საბუხპალტრო სამსახურის ხელმძღვანელი) ბუხპალტერიის მუშაკებს შორის ვალდებულებებს ანაწილებს ფუნქციონალური ნიშნის მიხედვით, თანამშრომელთა თითოეულ ჯგუფს ან ცალკე მუშაკს სამუშაოს მოცულობის მიხედვით მიემარება გარკვეული უბანი. ამ ნიშნით შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სანიმუშო ჯგუფები: საფინანსო, მატერიალური ფასეულობის, მუშებთან და მოსამსახურებთან ანგარიშსწორების, საბავშვო დაწესებულებებში ბავშვთა შენახვისათვის მშობლებთან ანგარიშსწორებების და ა. შ. სამუშაოს მოცულობის მიხედვით საფინანსო და მატერიალურ ფასეულობათა ჯგუფებიდან შეუძლიათ გამოყონ ქვეჯგუფები: ოპერატიულ-ფინანსური, საანგარიშსწორებო ოპერაციების, ძირითადი საშუალებებისა და მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების, კვების პროდუქტების და ა. შ.

ცენტრალიზებული აღრიცხვის პირობებში მომსახურებულ დაწესებულებებში იქმნება სააღრიცხვო-საკონტროლო ჯგუფები. ეს ჯგუფები ვალდებულია უზრუნველყოს მოცემული დაწესებულების ოპერატიული აღრიცხვის ყველა პირველადი საბუთის გაფორმება, კონტროლი განხორციელოს მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან არსებულ ფასეულობათა დაცვაზე და სხვა.

ცალკეულ დაწესებულებათა შემადგენლობაში შემაჯავლი ყველა ქვეგანყოფი, აგრეთვე ცენტრალიზებული ბუხპალტერიების მომსახურებაში მყოფი დაწესებულებები ვალდებული არიან თავისდროულად გადასცენ ბუხპალტერიის ბუხპალტრული აღრიცხვისა და კონტროლისათვის აუცილებელი დოკუმენტები: ამონაწერები ბრძანებებიდან და

განკარგულებებიდან, ხარჯთუნსხები, აგრეთვე ყოველგვარი ხელშეკრულებები, ნორმატივები და სხვა.

მთავარი ბუხპალტერის მოთხოვნა საჭირო საბუთებისა და ცნობების გაფორმებასა და წარმოდგენის შესახებ სავალდებულოა, რომ შესრულონ დაწესებულების ყველა დანაყოფისა და სამსახურის მუშაელებმა, ხოლო აღრიცხვის ცენტრალიზაციისას — ყველა მომსახურე დაწესებულების მუშაელებმა.

პირველადი საბუთების ბუხპალტერიაში წარმოდგენა რეგლამენტირებულია საბუთბრუნვის გრაფიკით, რომელსაც ადგენს მთავარი ბუხპალტერი და ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი. ცენტრალიზებულ ბუხპალტერიაში აღნიშნულ გრაფიკს ამტკიცებს იმ დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელთანაც შექმნილია ეს ბუხპალტერია. მატერიალურად პასუხისმგებელ და სხვა თანამდებობრივ პირებს ეძლევათ საბუთბრუნვის გრაფიკიდან ამონაწერი ბუხპალტერიაში საბუთების წარმოდგენის ვადების შესახებ.

დაწესებულებებში ყველა ბუხპალტრულ საბუთს, რომელიც დაკავშირებულია ბიუჯეტის, სპეციალური სახსრებისა და სხვა ბიუჯეტგარეშე სახსრების ხარჯთუნსხების შესრულებასთან, ხელს აწერს დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე და მთავარი ბუხპალტერი ან მისი მოადგილე. ხარჯთუნსხების შესრულების აღრიცხვის მოქმედი ინსტრუქციით: ცენტრალიზებულ ბუხპალტერიაში ბანკის საბუთებს (ჩეკებსა და საგადასახდელო დავალებებს), აგრეთვე სალაროს გასავლის ორდერებს და საგადასახდელო (საანგარიშსწორებისაგადასახდელო) უწყისებს ხელფასის სალაროდან გაცემის ვადებისა და თანხების შესახებ (განკარგულებითი წარწერა) ხელს აწერს იმ დაწესებულების ხელმძღვანელი, რომელთანაც შექმნილია ცენტრალიზებული ბუხპალტერია ან სხვა პირი, რომელსაც მიცემული აქვს ამაზე რწმუნება, და მთავარი ბუხპალტერი ან მისი მოადგილე. სხვა საბუთებს, რომლებიც წარმოადგენენ საფუძველს ფულის, სასაქონლო-მატერიალურ და სხვა ფასეულობათა გაცემისათვის, აგრეთვე ცენტრალიზებული ბუხპალტერიების მომსახურებაში მყოფ დაწესებულებათა საკრედიტო და საანგარიშსწორებო ვალდებულებების შემცველ საბუთებს, ხელს აწერენ დაწესებულებათა შესაბამისი ხელმძღვანელები და ცენტრალიზებული ბუხპალტერიის მთავარი ბუხპალტერი ან მისი მოადგილეები.

საბუთები მთავარი ბუხპალტრის ან მისი მოადგილის ხელმოწერის გარეშე ითვლება არასრულყოფილად და შესასრულებლად არ მიიღება.

სალაროს შემოსავლის ორდერები სრულყოფილია, თუ მასზე არის მთავარი ბუხპალტრის ან მისი მოადგილისა და მოლარის ხელისმოწერა.

სააღრიცხვო რეგისტრებში ჩანაწერების ასახვის საფუძველს წარმოადგენს სათანადოდ გაფორმებული პირველადი საბუთები. პირველადი საბუთები შეიძლება იყოს ერთჯერადი, განკუთვნილი ცალკეული სამეურნეო ოპერაციის გასაფორმებლად ან ჭგუფური, გარკვეული პერიოდის რიგი ერთგვაროვანი სამეურნეო ოპერაციების გასაფორმებლად. პირველადი საბუთები უნდა შედგეს თავისდროულად, როგორც წესი, ოპერაციის მოხდენის მომენტში და უნდა შეიცავდეს სწორ მონაცემებს.

პირველად საბუთებს რომ მიეცეს იურიდიული ძალა, უნდა ჰქონდეს შემდეგი რეკვიზიტები: საბუთის დასახელება (ფორმა), ფორმის კოდი; შედგენის თარიღი; სამეურნეო ოპერაციის შინაარსი; რაოდენობრივი და ღირებულებითი გამოსახვის საზომები; სამეურნეო ოპერაციის მოხდენისათვის და მისი გაფორმების სისწორისათვის პასუხისმგებელი პირების თანამდებობათა დასახელება; პირადი ხელმოწერები და მათი გაშიფვრა.

პირველად საბუთებში საჭიროების შემთხვევაში შეიძლება დამატებითი რეკვიზიტების მოყვანა: საბუთის ნომერი, საწარმოს, დაწესებულების დასახელება და მისამართი, საბუთით ფიქსირებული სამეურნეო ოპერაციის მოხდენის საფუძველი და სხვა, რომელიც სამეურნეო ოპერაციის ხასიათით განისაზღვრება.

მატერიალურ ფასეულობათა შეძენის საბუთებში უნდა იყოს მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა ან ფასეულობათა მიღებაზე. ხოლო შესრულებული სამუშაოების საბუთებში — დადასტურება შესაბამისი პირის მიერ სამუშაოს მიღებისა.

საბუთები, რომლებიც წარმოდგენენ საფუძველს აღრიცხვის რეგისტრებში ჩანაწერებისათვის, წარმოდგენილი უნდა იქნეს ბუხპალტერიაში გრაფიკით დაწესებულ ვადებში.

მატერიალურად პასუხისმგებელი პირები წარადგენენ პირველად საბუთებს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა შემოსავლისა და ხარჯვას შესახებ საბუთების ჩაბარების ფ. № 442 რეესტრთან ერთად, რომელიც დგება ორ ეგზემპლარად. მატერიალურად პასუხისმგებელი პირის თანადასწრებით, წარმოდგენილი პირველადი საბუთების გაფორმების სისწორის შემოწმების შემდეგ რეესტრის ერთი ეგზემპლარი ბუხპალტერიის მუშაკის ხელმოწერით უბრუნდება მატერიალურად პასუხისმგებელ პირს, მეორე ეგზემპლარი რჩება ბუხპალტერიის საქმეებში.

ფულადი სახსრებისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა შენახვაზე პასუხისმგებელ პირებთან იდება წერილობითი ხელშეკრულება სრული ინდივიდუალური მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ ტიპური ხელშეკრულების მიხედვით.

ბუხპალტერიაში შემოსული პირველადი საბუთები აუცილებლად მოწმდება როგორც ფორმით (პირველადი საბუთების გაფორმების, რეკვიზიტების შევსების სისრულე და სისწორე), ისე შინაარსობრივად (გაფორმებული ოპერაციის კანონიერება და მის ცალკეულ მაჩვენებელთა შორის ლოგიკური ურთიერთდაკავშირებულობა).

საბუთში ასახული მონაცემების უტყუარობისათვის, აგრეთვე მის თავის დროულად და სწორად შედგენისათვის პასუხს აგებენ ამ საბუთების შემდგენი და ხელმომწერი პირები.

ყველა საბუთი, სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერების დანართები და აგრეთვე საბუთები, რომლებიც წარმოადგენენ ხელფასის დარიცხვის საფუძველს, აუცილებლად უნდა დაიფაროს შტამპით ან ხელით წარწერით „მიღებულია“ ან „განაღებულია“ თარიღის ჩვენებით (აღნიშნული შტამპი ან წარწერა ნიშნავს საბუთის გაბათილებას ე. ი. ასეთი საბუთი ხელახლად — განმეორებით გაცემის ან გასაცემი თანხის გაანგარიშების საფუძველად აღარ გამოდგება).

შემოწმებული და აღრიცხვისათვის მიღებული საბუთები მოიყვანება სისტემაში ოპერაციების მოხდენის თარიღების მიხედვით (ქრონოლოგიური წესით) და ფორმდება მემორიალური ორდერებით — მაგროვებელი უწყისებით, რომელთაც მიეკუთვნება შემდეგი მუდმივი ნომრები:

მემორიალური ორდერი 1 — სალაროს ოპერაციების მაგროვებელი უწყისი ფ. 381;

მემორიალური ორდერი 2 — საბიუჯეტო (მიმდინარე) ანგარიშებზე სახსრების მოძრაობის მაგროვებელი უწყისი ფ. 381;

მემორიალური ორდერი 3 — ბიუჯეტგარეშე სახსრების მიმდინარე ანგარიშებზე სახსრების მოძრაობის მაგროვებელი უწყისი ფ. 381;

მემორიალური ორდერი 4 — ლიმიტირებული წიგნაკებიდან ჩეკებით ანგარიშსწორების მაგროვებელი უწყისი ფ. 323;

მემორიალური ორდერი 5 — ხელფასებისა და სტიპენდიების საანგარიშსწორებო უწყისების ნაერთი ფ. 405;

მემორიალური ორდერი 6 — სხვადასხვა დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ანგარიშსწორებების მაგროვებელი უწყისი ფ. 408;

მემორიალური ორდერი 7 — გეგმიური გადახდების წესით ანგარიშსწორებების მაგროვებელი უწყისი ფ. 408;

მემორიალური ორდერი 8 — ანგარიშვალდებულ პირებთან ანგარიშსწორებების მაგროვებელი უწყისი ფ. 386;

მემორიალური ორდერი 9 — ძირითადი საშუალებების გასვლისა და გადაადგილების მაგროვებელი უწყისი ფ. 438;

მემორიალური ორდერი 10 — მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების გასვლისა და გადაადგილების მაგროვებელი უწყისი ფ. 438;

მემორიალური ორდერი 11 — კვების პროდუქტების შემოსავლის მაგროვებელი უწყისების ნაერთი ფ. 398;

მემორიალური ორდერი 12 — კვების პროდუქტების ხარჯვის მაგროვებელი უწყისების ნაერთი ფ. 411;

მემორიალური ორდერი 13 — მასალების ხარჯვის მაგროვებელი უწყისი ფ. 396;

მემორიალური ორდერი 14 — სპეციალური სახსრების შემოსავლების დარიცხვის მაგროვებელი უწყისი ფ. 409;

მემორიალური ორდერი 15 — ბავშვების შენახვისათვის მშობლებთან ანგარიშსწორების უწყისთა ნაერთი ფ. 406;

დანარჩენ და „სტორნოს“ ოპერაციებზე დგება ცალკეული მემორიალური ორდერები ფ. 274, რომლებიც ინომრებიან დაწყებული 16 ნომრიდან ყოველი თვისათვის ცალ-ცალკე.

დაწესებულებებში, რომლებშიც ოპერაციების მოცულობის მიხედვით არ არის საჭირო მაგროვებელი უწყისების შედგენა, ანგარიშთა კორესპონდენციები იჩვენება ცალკეულ მემორიალურ ორდერებზე ფ. 274 ან შტამპის ანაბეჭდზე, რომელიც ისმება უშუალოდ პირველად საბუთებზე. შტამპი უნდა შეიცავდეს იმავე რეკვიზიტებს, რასაც მემორიალური ორდერი ფ. 274.

ცალკეული მემორიალური ორდერები დგება ოპერაციის მოხდენის კვალობაზე, მაგრამ არა უგვიანეს მეორე დღისა (პირველადი საბუთის მიღებიდან), როგორც ცალკეული საბუთების, ისე ერთგვაროვანი საბუთების ჯგუფის საფუძველზე.

მემორიალურ ორდერებს ხელს აწერენ მთავარი ბუხჰალტერი ან მისი მოადგილე და შემსრულებელი, ხოლო აღრიცხვის ცენტრალიზაციისას — მის გარდა, ჯგუფის ხელმძღვანელიც.

ყველა მემორიალური ორდერი ტარდება „ეჟურნალ-მთავარ“ დავთარში ფ. 308. აღრიცხვა „ეჟურნალ-მთავარ“ დავთარში, როგორც წესი, წარმოებს სუბანგარიშების მიხედვით, მთავარი ბუხჰალტრის გადაწყვეტილებით აღრიცხვა ამ დავთარში შეიძლება წარმოებდეს მთავარი ანგარიშების მიხედვით.

„ეჟურნალ-მთავარი“ დავთარი იხსნება გასული წლის დასკვნითი ბალანსის შესაბამისად წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთების თანხების ჩაწერით. მასში ჩაწერა წარმოებს ცალკეული მემორიალური ორდერის შედგენისას მათი შედგენის კვალობაზე, ხოლო მემორიალური ორდერების — მაგროვებელი უწყისების შედგენისას თვეში ერთხელ. მემორიალური ორდერის თანხა ჩაიწერება ჯერ სვეტში „თანხა ორდერის მიხედვით“, ხოლო შემდეგ შესაბამისი სუბანგარიშის დებეტსა და კრედიტში. ყოველი თვის ჩანაწერების დამთავრების შემდეგ გამოიყვანება მოცემული თვის ბრუნვის ჯამი. თვიური ბრუნვის

თანხა ყველა სუბანგარიშის მიხედვით, როგორც დებეტით, ისევე კრედიტით უნდა უდრიდეს სვეტის „თანხა ორღერის მიხედვით“ ჯამს. ყოველი თვის ბრუნვის ჯამის შემდეგ მეორე სტრიქონზე გამოიყვანება ნაშთი შემდეგი თვის დასაწყისისათვის ყოველი სუბანგარიშის მიხედვით.

ანალიზური აღრიცხვა წარმოებს სააღრიცხვო რეგისტრებში (დავთრებში, ბარათებში, მაგროვებელ უწყისებში, მანქანოგრამებში და სხვა). რეგისტრების ფორმები მოცემულია სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი ბიუჯეტური დაწესებულებებისათვის და ორგანიზაციებისათვის გამოცემული ბუხპალტრული დოკუმენტაციის ფორმების ალბომში, ხოლო მანქანოგრამების ფორმები — ბუხპალტრული აღრიცხვის კომპლექსური ავტომატიზაციის ტიპურ პროექტებში.

საბუხპალტრო დავთრებში ჩაწერის დაწყებამდე ინომრება ყველა გვერდი (ფურცელი). ფურცლის უკანასკნელ გვერდზე მთავარი ბუხპალტრის ხელმოწერით კეთდება წარწერა: „ამ დავთარში სულ დანომრილია — გვერდი (ფურცელი)“. სალაროს დავთრებს ფ. სო-4, ფ. 440, შრომის წიგნაკების შემოსვლისა და გასვლის დავთარს და მის ჩასართებს ფ. 449, გარდა ამისა, გაეყრება ზონარი და იბეჭდება ლუქის ბეჭდით, ხოლო ფურცლების რაოდენობა ფფ. სო-4, 440 და 449 მოწმდება დაწესებულების ხელმძღვანელისა და მთავარი ბუხპალტრის ხელმოწერით.

ყოველ დავთარს უკეთდება წარწერა: დაწესებულების, ცენტრალიზებული ბუხპალტერიის სახელწოდება და წელი, რომელზედაც გახსნილია დავთარი. დავთარში უნდა იყოს მასში გახსნილი სუბანგარიშების სარჩევი. ჩანაწერების დავთრის სხვა გვერდზე გადატანისას მოცემული სუბანგარიშის სარჩევი კეთდება აღნიშვნა ჩანაწერის გადატანის შესახებ, ახალი გვერდის ნომრის ჩვენებით.

საბუხპალტრო აღრიცხვის დავთრების გამოყენება შეიძლება შემდეგი წლის ოპერაციების ჩასაწერად, თუ მათში წლის გასვლის შემდეგ დარჩება თავისუფალი ფურცლები. ასეთ შემთხვევაში დავთრები არქივს ბარდება ორ წელიწადში ერთხელ.

ბარათები (გარდა ძირითადი საშუალებების ბარათებისა) ტარდება 279 ფორმის ბარათების რეესტრში, რომელიც იწარმოებს ყოველი ანგარიშისათვის ცალკე. ძირითად საშუალებათა აღრიცხვისათვის გახსნილი ბარათები ტარდება ძირითად საშუალებათა აღრიცხვის საინვენტარო ბარათების აღწერაში ფ. ძს-10.

ბარათები ინახება კარტოთეკებში, რომლებშიც ისინი ლაგდება სუბანგარიშების მიხედვით მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე და-

ნაწილებით, ხოლო ცენტრალიზებულ ბუხპალტერიებში — მომსახურებულ დაწესებულებათა მიხედვითაც.

მასალების, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების და ა. შ. აღრიცხვის ბარათები ბარდება არქივს ჩაქვრებული სახით ბარათების რეესტრთან და სხვა საბუხპალტრო საბუთებთან და რეგისტრებთან ერთად ყოველწლიურად ან ორ წელიწადში ერთხელ. ასეთივე ვადებში ბარდება არქივს წლის განმავლობაში გასული ძირითადი საშუალებების აღრიცხვის ბარათები.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვის ფ. ძს-10 საინვენტარო ბარათების აღწერა არქივს ბარდება, როდესაც მასში იქნება ჩანაწერი უკანასკნელი საინვენტარო ბარათით (ფფ. ძს-6, 8, 9) ინვენტარის ჩამოწერის შესახებ. აღწერის გარეშე არქივში საინვენტარო ბარათების ჩაბარებისას ისინი ჩაიწერებიან ცალკეულ უწყისში, რომელშიაც იჩვენება ბარათის ნომერი და ჩამოწერილი ინვენტარის დასახელება, ხოლო ცენტრალიზებულ ბუხპალტერიებში, გარდა ამისა, მომსახურებულ დაწესებულებების დასახელებაც.

საბუხპალტრო აღრიცხვის რეგისტრებში ჩანაწერები კეთდება პირველადი საბუთებიდან მელნით ან საბეჭდი მანქანებისა და მექანიზაციის საშუალებათა გამოყენებით არაუგვიანეს მეორე დღისა მათი მიღებიდან.

ყოველი თვის დამთავრებისას ანალიზური აღრიცხვის რეგისტრებში ჯამდება ბრუნვები და გამოიყვანება ნაშთები სუბანგარიშების მიხედვით.

საბუხპალტრო აღრიცხვის მიმდინარე წლის ჩანაწერებში შემჩნეული შეცდომის გასწორება წარმოებს შემდეგი წესით:

ა) შეცდომა, რომელიც შემჩნეულია მოცემული საანგარიშო პერიოდისათვის ბუხპალტრული ბალანსის წარდგენის მომენტამდე და არ მოითხოვს მემორიალური ორდერის მონაცემების შეცვლას, სწორდება არასწორი თანხისა და ტექსტის წერილი ხაზით გადახაზვით, ისე, რომ შესაძლებელი იყოს გადახაზულის წაკითხვა და მათ ზემოდან ახალი, სწორი ტექსტისა და ციფრის დაწერა. იმავდროულად იქვე, შესაბამისი სტრიქონის მინდორზე, მთავარი ბუხპალტრის ხელმოწერით კეთდება წარწერა „შესწორებულია“;

ბ) ბუხპალტრული ბალანსის წარდგენამდე შემჩნეული შეცდომითი ჩანაწერი, რომელიც გამოწვეულია მემორიალურ ორდერში დაშვებული შეცდომით, ამ შეცდომის ხასიათის მიხედვით, სწორდება დამატებითი მემორიალური ორდერით ან „წითელი სტორნოს“ წესით. ზუსტად ასევე სწორდება შეცდომები ყველა შემთხვევაში, როდესაც ისინი შეიმჩნევა იმ საანგარიშო პერიოდის ბუხპალტრულ ჩანაწერებში, რომელზედაც ბალანსი უკვე წარდგენილია. შეცდომების გასწორე-

ბის დამატებითი ბუხპალტრული ჩანაწერები, აგრეთვე „წითელი სტორნოს“ ხერხით შესწორებები ფორმდება მემორიალური ორდერებით, რომლებშიც ჩვეულებრივი რეკვიზიტების გარდა, კეთდება მითითება იმ მემორიალური ორდერის ნომერსა და თარიღზე, რომელიც სწორდება მოცემული მემორიალური ორდერით.

სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის ანგარიშების ბუხპალტრული ჩანაწერების სისწორის დასაკონტროლებლად დგება ბრუნვათა უწყისები ფფ. მ-44, 285 და 326 ანალიზური ანგარიშების ყოველი ჯგუფისათვის, რომლებიც ერთიანდება შესაბამისი სუბანგარიშით. ბრუნვათა უწყისების ბრუნვების ჯამები და ნაშთები უდარდება ფ. 308 „უქურნალ-მთავარი“ დავთრის შესაბამისი სუბანგარიშის ბრუნვებსა და ნაშთებს.

ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე ბრუნვათა უწყისები დგება ყოველთვიურად, გარდა ძირითადი საშუალებებისა და მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნებისა, რომლებზედაც ბრუნვათა უწყისები დგება ყოველკვარტალურად. ჩანაწერები ფ. 326 ბრუნვათა უწყისში საჭიროებისას შეიძლება იწარმოოს რამდენიმე წლის განმავლობაში.

ახალ წელს ბუხპალტრულ რეგისტრებში სინთეზური და ანალიზური ანგარიშების მიხედვით ჩაიწერება წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთების თანხები გასული წლის დასკვნით ბალანსთან და სააღრიცხვო რეგისტრებთან სრული შესაბამისობით.

თუ ზემდგომი ორგანიზაციის მიერ წლიური ანგარიშის დამტკიცებისას ან საფინანსო ორგანოს მიერ წლიური ანგარიშის მიღებისას დასკვნით ბალანსში შეტანილია შესწორებები, მაშინ სათანადო წერილობითი განკარგულების საფუძველზე ეს შესწორებები შეიტანება როგორც გასული წლის (ბუხპალტრული ჩანაწერების შესწორების გზით), ისე მიმდინარე წლის რეგისტრებში (დაწყებითი ნაშთების შეცვლის გზით).

ბუხპალტრული აღრიცხვის მექანიზმული სისტემა ემყარება აღრიცხვის ყველა განყოფილების დოკუმენტაციის დამუშავების და ბალანსის შედგენის ერთიან ურთიერთდაკავშირებულ ტექნოლოგიურ პროცესს ბუხპალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის დარგთაშორისო ტიპურ პროექტულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს აღრიცხვის შემდეგ განყოფილებებს: შრომისა და ხელფასის; გადასახდელთა სპეციალური სახეებით ანგარიშსწორებების; კვების პროდუქტების; მატერიალურ ფასეულობათა; საფინანსო-საანგარიშსწორებო ოპერაციების; საკასო და ფაქტიური ხარჯების და ნაერთი სინთეზური აღრიცხვის.

ბუხპალტრული აღრიცხვა წარმოებს დამუშავებულ სააღრიცხვო ნომენკლატურათა ერთიანი კლასიფიკატორის საფუძველზე. პირველა-

დი დოკუმენტაციის (ინფორმაციის) კოდირება ხორციელდება სააღრიცხვო ნომენკლატურათა კლასიფიკატორებში მოცემული კოდების სტრუქტურისა და მნიშვნელობის მტკიცე შესაბამისობით.

ბუხპალტრული აღრიცხვის კომპლექსური ავტომატიზაციის პირობებში სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის მონაცემები აისახება მანქანოგრამებში, რომელიც გათვალისწინებულია დარგთაშორისო ტიპური პროექტული გადაწყვეტილებებით ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენებით, რაც დამტკიცებულია სსრ კავშირის ცსს მიერ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

მანქანოგრამები წარმოადგენენ სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის რეგისტრებს.

ბუხპალტრულ-სამსახურებს დაკისრებული აქვთ მოვალეობა საბუთების კლადირებისა და გაფორმებისათვის გამომთვლელ დანადგარებზე დასამუშავებლად გადასაცემად და მათგან მანქანოგრამების მისაღებად, რაც გათვალისწინებულია ბუხპალტრული აღრიცხვის კომპლექსური ავტომატიზაციის დარგთაშორისო ტიპური პროექტული გადაწყვეტილებებით.

მანქანოგრამებში შეცდომების გამოვლინებისას ბუხპალტერია გამოთვლით დანადგარს წარუდგენს ცნობას ან საკორექტივო უწყისს შემსწორებელ ბუხპალტრულ ჩანაწერებზე, რომლის საფუძველზეც გამოთვლითი დანადგარი აფორმებს შესაბამის მანქანურ მატარებლებს და იძლევა შესწორებულ მანქანოგრამებს.

გამოთვლითი დანადგარის მანქანოგრამები უნდა იყოს სათანადოდ გაფორმებული, მისი გაცემისათვის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

პირველადი დოკუმენტები იკერება ბუხპალტერიაში ბროშურების სახით აღრიცხვის უბნების მიხედვით თვის განმავლობაში შეკვრათა ნომრების თანამიმდევრობით. მანქანოგრამები ინახება ცალკე შესაბამისი სუბანგარიშის მანქანოგრამის თითოეული ნომრის მიხედვით.

პირველადი საბუთების, სააღრიცხვო რეგისტრების, ბუხპალტრული ანგარიშებისა და ბალანსების შენახვას, გაფორმებას და მათ არქივში გადაცემას უზრუნველყოფს მთავარი ბუხპალტერი.

პირველადი საბუთები, სააღრიცხვო რეგისტრები, ბუხპალტრული ანგარიშები და ბალანსები მათი არქივში გადაცემამდე უნდა ინახებოდეს ბუხპალტერიაში სპეციალურ სათავსოებში ან დაკეტილ კარადებში იმ პირობა პასუხისმგებლობის ქვეშ, რომელთაც მთავარი ბუხპალტრისაგან მიცემული აქვთ რწმუნება.

დაწესებულების ბუხპალტრულ არქივში საქმეები ინახება დაწესებულებული ვადის განმავლობაში. შენახვის ვადების გასვლის შემდეგ, დადგენილი წესის შესაბამისად, საქმეები ბარდება შესაბამის სახელმწიფო

არქივს. საბუთები, რომლებიც არქივში საქმეების ჩაბარებას ადასტურებენ, ინახება მუდმივად დაწესებულების ბუხპალატერიაში ან ცენტრალიზებულ ბუხპალატერიაში.

ბუხპალატრული აღრიცხვის ანბაროშემის ბეჭედი

დაწესებულებათა ხარჯთესხების და სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) ბიუჯეტების შესრულების ოპერაციების ბუხპალატრული აღრიცხვისათვის გამოიყენება ანგარიშების შემდეგი გეგმა:

ანგარიშის დასახელება	ანგარიშის ნომერი	სუბანგარიშის დასახელება	სუბანგარიშის ნომერი
1	2	3	4

განყოფილება I. ძირითადი საშუალებები .

ძირითადი საშუალებები	01	შენობები	010
		ნაგებობები	011
		გადამცემი მოწყობილობები	012
		მანქანები და მოწყობილობები	013
		თეთრეული, ლოგინის კუთვნილებანი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	014
		სატრანსპორტო საშუალებები	015
		ხელსაწყოები, საწარმოო (კუთვნილებათა ჩათვლით) და სამეურნეო ინვენტარი	016
		მუშა და პროდუქტიული პირუტყვი	017
		საბიბლიოთეკო ფონდი	018
		სხვა ძირითადი საშუალებები	019
ძირითადი საშუალებების ცვეთა	02	ძირითადი საშუალებების ცვეთა	020

განყოფილება II. მასალების მარაგი

ნაკეთობები და პროდუქცია	03	საწარმო (სასწავლო) სახელოსნოების ნაკეთობები	030
		დამხმარე (სასწავლო) სოფლის მეურნეობების პროდუქცია	031
მოწყობილობა, სამშენებლო მასალები და მასალები სამეცნიერო გამოკვლევებისათვის	04	დასადგმელი მოწყობილობა	040
		სამშენებლო მასალები კაპიტალური მშენებლობისათვის	041
		ხანგრძლივი გამოყენების მასალები სამეცნიერო გამოკვლევითი და ლაბორატორიული ცდებისათვის	043
		სპეცმოწყობილობა სახელმეცრულებო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის	044

1	2	3	4
მოზარდი და გასასუქებლად დაყენებული პირუტყვი	05	მოზარდი და გასასუქებლად დაყენებული პირუტყვი	050
მასალები და კვების პროდუქტები	06	მასალები სასწავლო, სამეცნიერო და სხვა მიზნებისათვის	060
		კვების პროდუქტები	061
		მედიკამენტები და შესახვევი საშუალებები	062
		სამეურნეო მასალები და საკანცელარიო ნივთები	063
		სათბობი, საწვავი და საცხები მასალები	064
		საკვები და ფურაჟი	065
		ტარა	066
		სხვა მასალები	067
		მასალები გზაში	068
		მანქანებისა და მოწყობილობათა სათადარიგო ნაწილები	069

განყოფილება III. მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი ხაგნები

მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი ხაგნები	07	მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი ხაგნები საწყობში	070
		მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი ხაგნები ექსპლოატაციაში	071

განყოფილება IV. დანახარჯები წერმოებაზე და სხვა მიზნებზე

დანახარჯები წარმოებაზე და სხვა მიზნებზე	08	საწარმოო (სასწავლო) სახელოსნოების დანახარჯები	080
		დამხმარე (სასწავლო) სოფლის მეურნეობის დანახარჯები	081
		დანახარჯები სახელმეკრულებო სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე	082
		დანახარჯები ექსპერიმენტულ მოწყობილობათა დამზადებაზე	083
		მასალების დამზადებისა და გადამუშავების დანახარჯები	084

განყოფილება V. ფულადი ხაზსრები

ბიუჯეტით გახსნილი კრედიტები	09	დაწესებულების ხარჯებისათვის გახსნილი კრედიტები	090
		დაქვემდებარებული დაწესებულებისათვის გადასაგზავნად და სხვა ღონისძიებებზე გახსნილი კრედიტები	091

1	2	3	4
		კაპიტალურ რემონტზე გახსნილი კრედიტები	
		კაპიტალურ დაბანდებაზე გახსნილი კრედიტები	092
		სხვა ბიუჯეტების ანგარიშზე გახსნილი კრედიტები	093
მიმდინარე ანგარიშები ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებით და ადგილობრივი ბიუჯეტებით	10	მიმდინარე ანგარიში დაწესებულების ხარჯებისათვის	096
		მიმდინარე ანგარიში დაქვემდებარებულ დაწესებულებებზე გადასაგზავნად და სხვა ღონისძიებებზე	100
		მიმდინარე ანგარიში კაპიტალური რემონტისათვის	101
		მიმდინარე ანგარიში პენსიებისა და დახმარებების გაცემაზე ასსრ რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო ბიუჯეტის ანგარიშში	102
		სასოფლო, საღებო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიში	105
		სასოფლო და საღებო ბიუჯეტების ანგარიშში კაპიტალურ დაბანდებათა მიმდინარე ანგარიში	107
		შემკვეთის სახსრები სპეციალურ ანგარიშზე ბანკში კაპიტალური დაბანდების ხაზით მოიჭარადრესთან ანგარიშსწორებისათვის	108
ბიუჯეტგარეშე სახსრების მიმდინარე ანგარიშები	11	დავალბათა თანხების მიმდინარე ანგარიში	109
		სპეციალური სახსრების მიმდინარე ანგარიში	110
		სხვა ბიუჯეტგარეშე სახსრების მიმდინარე ანგარიში	111
სალარო	12		112
სხვა ფულადი სახსრები	13	სალარო	120
		აკრედიტივები	130
		ლიმიტირებული საჩეკო წიგნაკები	131
		ფულადი საბუთები	132
		ფულადი სახსრები გზაში	133

განყოფილება VII. შიდაუწყებრივი ანგარიშსწორებანი დაფინანსებით

შიდაუწყებრივი ანგარიშსწორებანი დაფინანსებით	14	ანგარიშსწორებანი დაწესებულების ხარჯების ბიუჯეტიდან დაფინანსებაზე და სხვა ღონისძიებები	140
		ანგარიშსწორებანი დაფინანსებით სხვა ბიუჯეტების ანგარიშზე	142

1	2	3	4
		ანგარიშსწორებანი კაპიტალურ დაბანდ- ბათა ბიუჯეტიდან დაფინანსებით	143
		ანგარიშსწორებანი დაფინანსებით ასსრ რესპუბლიკური, სსმხარეო, საოლქო ბიუჯეტის ანგარიშში პენსიების და დახმარებების გაყვით	145
		ანგარიშსწორებანი დაფინანსებით მო- კაეზირე რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშში გაყვითული პენ- სიებით და დახმარებებით	146

განყოფილება VII. ანგარიშსწორებანი

ანგარიშსწორებანი მომწო- დებლებთან, მოიჯარებე- თან და შემკვეთებთან შესრულებული სამუშა- ოებისა და გაწეული მო- მსახურებისათვის	15	ანგარიშსწორებანი მჭიმწოდებლებთან და მოიჯარებთან ანგარიშსწორებანი შეკვეთების ნაწილობ- რივი განაღდებით საცდელ-საკონს- ტრუქტორო დამუშავებაზე ბიუჯეტის თემატიკის მიხედვით	150
		ანგარიშსწორებანი შეკვეთებთან შეს- რულებულ სამუშაოებზე და გაწეულ მომსახურებაზე ბიუჯეტგარეშე სახ- სრებით	152
		ანგარიშსწორებანი შეკვეთებთან გასა- ნაღდებელ სამეცნიერო-კვლევით სამუ- შაოებზე	153
		ანგარიშსწორებანი შეკვეთებთან სამეც- ნიერო-კვლევით სამუშაოებზე ავანსე- ბით	154
		ანგარიშსწორებანი შესასრულებელ სა- მეურნეო სახელშეკრულებო სამუშაო- ებში ჩაბმულ თანამშრომლებლებთან	155
ანგარიშსწორებანი ანგა- რიშვალდებულ პირებთან	16	ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან	160
ანგარიშსწორებანი სხვადა- სხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან	17	ანგარიშსწორებანი დანაკლისებით ანგარიშსწორებანი სოციალური დაზღვე- ვით	170
		ანგარიშსწორებანი გადასახდელთა სპე- ციალური სახეებით	171
		ანგარიშსწორებანი ბიუჯეტში გადასახ- დებებით	172
		ანგარიშსწორებანი დეპოზიტური თანხე- ბით	173
			174

1	2	3	4
		ანგარიშსწორებანი დავალბათა ხარჯებისათვის მიღებული სახსრებით	176
		ანგარიშსწორებანი დეპონენტებთან	177
		ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან	178
		ანგარიშსწორებანი გეგმური გადასახდელებით	179
ანგარიშსწორებანი მუშებთან და მოსამსახურებთან და სტიპენდიანტებთან	18	ანგარიშსწორებანი მუშებთან და მოსამსახურებთან	180
		ანგარიშსწორებანი სტიპენდიანტებთან	181
		ანგარიშსწორებანი მუშებთან და მოსამსახურებთან კრედიტით გაყიდული საქონლისათვის	182
		ანგარიშსწორებანი მუშებთან და მოსამსახურებთან შემნახველ სალაროებში ანაბრების ანგარიშებზე გადარიცხვებით	183
		ანგარიშსწორებანი მუშებთან და მოსამსახურებთან ნებაყოფლობით დაზღვევაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შენატანების უნაღლო გადარიცხვებით	184
		ანგარიშსწორებანი პროფკავშირის წევრებთან პროფკავშირის საწევრო შესატანი თანხების უნაღლო გადარიცხვებით	185
		ანგარიშსწორებანი მუშებთან და მოსამსახურებთან სსრ კავშირის სახბანკის სესხებით	186
		ანგარიშსწორებანი აღმასრულებელი საბუთებით და სხვა დაკავებებით	187
		სხვა ანგარიშსწორებანი შესრულებული სამუშაოებით	189
ანგარიშსწორებები კავშირგაბმულობის საწარმოებთან პენსიებისა და დახმარებების გაცემით	19	ანგარიშსწორებები კავშირგაბმულობის საწარმოებთან პენსიებისა და დახმარებების გაცემით	191
		ანგარიშსწორებანი ზემეტყველებული პენსიებისა და დახმარებების ამოღებით	192

განყოფილება VIII. ხარჯები

1	2	3	4		
ბიუჯეტის ხარჯები	20	ბიუჯეტიდან დაწესებულებების შენახვის ხარჯები და სხვა ღონისძიებები	200		
		ხარჯები სხვა ბიუჯეტების ანგარიშზე	202		
		კაპიტალური დაბანდების ხარჯები ბიუჯეტით	203		
		ხარჯები პენსიებსა და დახმარებებზე მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ანგარიშში	204		
		ხარჯები პენსიებსა და დახმარებებზე ასსრ რესპუბლიკური, სამხარეთო, საოლქო ბიუჯეტის ანგარიშში	205		
		მცირეუზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებზე დახმარების გაცემის ხარჯები	206		
		საკავშირო ბიუჯეტის ანგარიშში	206		
		სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) ბიუჯეტების საკასო ხარჯები	207		
		სხვა ხარჯები	21	გასანაწილებელი ხარჯები	210
				სპეციალური სახსრების ხარჯები	211
სპეციალური სახსრების ხარჯები კაპიტალურ დაბანდებსა და მოწყობილობის შეძენაზე	212				
ხარჯები სხვადასხვა სახსრებით	213				
ხარჯები სამრეწველო საქმიანობის სახსრების ანგარიშში	217				
ხარჯები კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის საკავშირო ცენტრალიზებული ფონდის ანგარიშში	218				
არასრულწლოვან ბავშვებზე დროებითი დახმარების გაცემის ხარჯები	219				

განყოფილება IX. დაფინანსება

დაფინანსება	23	დაწესებულების ხარჯებისა და სხვა ღონისძიებათა ბიუჯეტიდან დაფინანსება	230
		კაპიტალური დაბანდების ბიუჯეტიდან დაფინანსება	231
		დაფინანსება სხვა ბიუჯეტების ანგარიშში	232
		მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით პენსიების, დახმარებებისა და სხვა ღონისძიებათა კრედიტების გაუხსნელად დაფინანსება	234

1	2	3	4
		მშობლების სახსრები საბავშვო დაწესებულების შესანახად	236
		დაფინანსება საკავშირო ბიუჯეტით ნაკლებზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებზე დახმარების გაცემით	237
		დაწესებულების შესანახი სხვა სახსრები	238

განყოფილება X. ფონდები და მიზნობრივი დანიშნულების სახსრები

მიზნობრივი დანიშნულების ფონდები და სახსრები	24	მუშაკთა პრემიების გაცემის, ერთდროული დახმარებისა და სხვა ღონისძიებათა ფონდი	240
		არასრულწლოვან ბავშვებზე ღრობებითი დახმარების გაცემის სახსრები	244
		სსრ კავშირის სახბანკიდან მიღებული სახსრები, დეკემბრის მეორე ნახევრის ხელფასის ვადაზე ადრე გასაცემად	245
		დაწესებულების (ორგანიზაციის) განვითარების ფონდი	246
		კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის სახსრები	247
		სსრკ სახბანკის გრძელვადიანი კრედიტები	248
ფონდი ძირითად საშუალებებში	25	ფონდი ძირითად საშუალებებში	250
ფონდი მცირეფასიან და სწრაფტყვეთად საგნებში	26	ფონდი მცირეფასიან და სწრაფტყვეთად საგნებში	260

განყოფილება XI. პროდუქციის რეალიზაცია

პროდუქციის, ნაკეთობისა და შესრულებულ სამუშაოთა რეალიზაცია	28	საწარმოო (სასწავლო) სახელოსნოების ნაკეთობათა რეალიზაცია	280
		დამხმარე (სასწავლო) სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაცია	281
		სახელმწიკრულებო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეალიზაცია	282

განყოფილება XII. შემოსავლები

შემოსავლები	40	სპეციალური სახსრების შემოსავლები	400
		შემოსავლები პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების საწარმოო საქმიანობიდან	402
		ბიუჯეტის შემოსავლები	407
მოგება და ზარალი	41	მოგება და ზარალი	410

განყოფილება XIII. ბიუჯეტიდან მიღებული მოკლევადიანი სესხები

1	2	3	4
ბიუჯეტიდან მიღებული მოკლევადიანი სესხები	52	ბიუჯეტიდან მიღებული მოკლევადიანი სესხები	520

განყოფილება XIV. გადაცემული და მიღებული სახსრები

გადაცემული და მიღებული სახსრები	73	გადაცემული და მიღებული სახსრები	730
---------------------------------	----	---------------------------------	-----

განყოფილება XV. ბიუჯეტის შესრულების შედეგები

ბიუჯეტის შესრულების შედეგები	90	ბიუჯეტის შესრულების შედეგები	900
------------------------------	----	------------------------------	-----

ბალანსგარეშე ანგარიშები

ფართო აღებული ძირითადი საშუალებები	01		
პასუხსაგებ შესანახად მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი	02		
შეკრებილი ანგარიშგების ბლანკები	04		
გადახდის უნარმოკლებული დებიტორებისაგან ჩამოწერილი დავალიანება	05		
ცენტრალიზებული მომარაგებით განადღებულ მატერიალური ფასეულობანი	06		
მოსწავლეთა და სტუდენტების დავალიანება და უბრუნებელი მატერიალური ფასეულობებით	07		
გარდამავალი სპორტული პრიზები და თასები	08		
საგზურები	09		
ზედმეტად გადახდილი პენსიები და დახმარებები პენსიებისა და დახმარებების შესახებ კანონმდებლობის არასწორად მიყენებისა და შეცდომების შედეგად	10		

1	2	3	4
სამხედრო ტექნიკის სასწავლო საგნები	11		
კოლმეურნობათა გამგეობები ზედმეტად გადახდილი პენსიებითა და დახმარებებით	12		
მებაღეობის ამხანაგობების (კოოპერატივების) წევრ-მუშებზე და მოსამსახურეებზე გაცემული სესხები	13		

თ ა ვ ი

ბახსნილი კრედიტების (ასიგნებების) დაფინანსების, ფულადი სახსრებისა და ხარჯების აღრიცხვა

1. ბიუჯეტური დაწესებულებათა დაფინანსების ძირითადი პრინციპები და მეთოდები

ბიუჯეტური დაწესებულებები მათზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ფულად სახსრებს ლეზულობენ ბიუჯეტიდან.

ბიუჯეტური დაწესებულებები, იმის მიხედვით, თუ რომელი ბიუჯეტიდან ლეზულობენ ფულად სახსრებს, არსებობს: 1. საკავშირო ბიუჯეტზე მყოფი, 2. მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე და 3. ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფი.

ბიუჯეტურ დაწესებულებებს ბიუჯეტიდან ფულადი სახსრების მისაღებად აქვთ სათანადო წესით შედგენილი და დამტკიცებული ხარჯთნუსხები, რომლის მიხედვითაც დასახარჯად განკუთვნილი ფულადი სახსრები საბიუჯეტო კრედიტების (ასიგნებების) სახელით არის ცნობილი.

ასიგნებით გათვალისწინებული სახსრების ბიუჯეტურ დაწესებულებებზე ფაქტიურად მიცემა საბიუჯეტო დაფინანსებას წარმოადგენს.

ბიუჯეტიდან დაფინანსების ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ბიუჯეტური დაწესებულება ფულად სახსრებს ლეზულობს დამტკიცებული ხარჯთნუსხის შესაბამისად. ყოველი ხარჯთნუსხა განგარიშებულია მოცემული დაწესებულების ქსელის, შტატისა და კონტინგენტის შესაბამისად. ამიტომ დაფინანსებისას მხედველობაში მიიღება ქსელის, შტატისა და კონტინგენტის გეგმის ფაქტიური შესრულების მდგომარეობა, მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამისად მცირდება დაფინანსება, ხოლო თუ ხარჯთნუსხაში სათანადო წესით შეტანილი ცვლილების მიხედვით ასიგნება გადიდებულია, ასეთ შემთხვევაში შესაბამისად იზრდება დაფინანსებაც.

ბიუჯეტური დაწესებულების დაფინანსებისას მხედველობაში მიიღება მიმდინარე წლის დასაწყისისათვის არსებული დებიტორული და-

ვალიანება (კრედიტორული დავალიანების გამოკლებით) და მასალებისა და კვების პროდუქტების ზენორმატიული ნაშთები, რომელთა არსებობა იწვევს მათ დაფინანსებაში ჩათვლას. დაფინანსებაში სახსრების ჩათვლა საერთოდ ხდება დასაფინანსებელი თანხის სათანადო შემცირებით, თუ რესპუბლიკაში ჩათვლის სხვა წესი არ არის შემოღებული, ამ წესით დასაფინანსებელი თანხის შემცირებაზე აუნაღმარებელი ვალდებულება არ ხდება.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1970 წლის 18 ივნისის № 76 ბრძანებას თვალისწინებს, რომ ჩასათვლელი თანხით ბიუჯეტურ დაწესებულებას არ შეუშუქდეს დაფინანსება, ე. ი. ჩასათვლელი თანხა მიეცეს როგორც დაფინანსება, ხოლო ბიუჯეტურმა დაწესებულებამ აღნიშნული მიღებული თანხა საგადასახდლო დავალებით გადაურიცხოს დამფინანსებელ საფინანსო ორგანოს ბიუჯეტის შემოსავალში ჩასარიცხად (კარი 12, § 19).

ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა დაფინანსება ხდება კრედიტების გახსნის ან თანხების გადარიცხვის მეთოღით, რის შედეგადაც ბიუჯეტურ დაწესებულებათა ხელმძღვანელები ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების განმკარგულებელნი ხდებიან.

საერთოდ, კრედიტების განმკარგულებლები იყოფიან სამ ჯგუფად: მთავარ, მეორე და მესამე ხარისხის განმკარგულებლებად, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკის და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ორ ჯგუფად: კრედიტების მთავარ და ქვემდგომ განმკარგულებლებად.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებით კრედიტების მთავარი განმკარგულებლები არიან მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრები, ცენტრალურ დაწესებულებათა და უწყებათა ხელმძღვანელები.

კრედიტების მთავარი განმკარგულებლები მოვალენი არიან ბიუჯეტიდან მიღებული სახსრები დანიშნულების შესაბამისად დახარჯონ დაწესებულების ცენტრალური აპარატის შენახვაზე, ცენტრალიზებულ ღონისძიებებზე და აგრეთვე გაუნაწილონ იგი კრედიტების ქვემდგომ განმკარგულებლებს.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებით კრედიტების ქვემდგომი განმკარგულებლები თავის მხრივ იყოფიან ორ ჯგუფად: პირველი, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებად, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი ხარჯთნუსხები და დაფინანსებას ღებულობენ კრედიტების მთავარი განმკარგულებლიდან როგორც დაწესებულების ან ორგანიზაციის აპარატის შესანახად, ისე მიღებული დაფინანსების დაქვემდებარებულ საწარმო-

ებზე, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე გადასაგზავნად. კრედიტების ასეთი განმკარგულებლები ითვლებიან კრედიტების მეორე ხარისხის განმკარგულებლად;

მეორე, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტებით დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებად, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი ხარჯთნუსხები და დაფინანსებას ღებულობენ კრედიტების ზემდგომი (მეორე ხარისხის) განმკარგულებლიდან უშუალოდ დასახარჯად. კრედიტების ასეთი განმკარგულებლები ითვლებიან კრედიტების მესამე ხარისხის განმკარგულებლად.

ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა ხელმძღვანელები იყოფიან კრედიტების მთავარ და მესამე ხარისხის განმკარგულებლად.

ადგილობრივი ბიუჯეტებით კრედიტების მთავარ განმკარგულებლად ითვლებიან სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, რაიონებისა და ქალაქების აღმასკომების განყოფილებების (სამმართველოების) ხელმძღვანელები და რაიონული დაქვემდებარების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები.

ადგილობრივი ბიუჯეტით კრედიტების მესამე ხარისხის განმკარგულებლები არიან ისეთი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, როგორც მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებით.

კრედიტის განმკარგულებელთა ბიუჯეტიდან დაფინანსების ძირითად საფუძველს წარმოადგენს ბიუჯეტის ხარჯების განწერა.

საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებს დაფინანსება ეძლევათ კრედიტების გახსნის წესით. კრედიტების გასახსნელად არსებობს შემდეგი სახის მკაცრი აღრიცხვის ბლანკები: კაპიტალურ დაბანდებათა და სხვა ღონისძიებათა დაფინანსებისათვის „საგასავლო განრიგი — დაფინანსების გეგმა“ (ფორმა № 12), „საგასავლო განრიგი ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა დაფინანსებისათვის“ (ფ. № 13) და „საგასავლო განრიგი სამეურნეო ორგანიზაციების დაფინანსებისათვის“ (ფ. № 15).

საგასავლო განრიგი-დაფინანსების გეგმა (ფ. № 12) შეივსება კარის, თავის, პარაგრაფის, მუხლის, სიმბოლოს, თანხების წლიური ოდენობის მიხედვით და მისი კვარტალური დაყოფით.

სოციალურ-კულტურულ დაწესებულებებს, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს და სხვა ბიუჯეტურ დაწესებულებებს კრედიტები ეხსნებათ № 13 ფორმის საგასავლო განრიგით ხარჯების კვარტალური გეგმების ფარგლებში.

სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს შესაძლებელი ხარჯებისათვის კრედიტები ეხსნებათ № 13 ფორმის საგასაველო განრიგით, თითოეული პარაგრაფისათვის ცალკე, მთლიანად მე-18 მუხლით.

სახალხო მეურნეობის დაფინანსება (ჯარი 100) წარმოებს № 15 ფორმის საგასაველო განრიგით ხარჯების ცალკე თავებისა და მუხლების მიხედვით, ხოლო თუ ფინანსთა სამინისტრო საჭიროდ ცნობს — თავების, პარაგრაფებისა და მუხლების მიხედვით ცალ-ცალკე.

რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები და პენსიების დარიცხვისა და გაცემის ცენტრები მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრებს პენსიებზე და დახმარებებზე გასცემენ კრედიტების გაუხსნელად.


კრედიტების გახსნაზე საგასაველო განრიგებს (ფფ. № 12, 13 და 15) ადგენენ საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე მყოფი კრედიტების მთავარი განმკარგულებლები — სამინისტროები და უწყებები. საგასაველო განრიგები დგება სრულ მანეთებში ოთხ ეგზემპლარად და იგი სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელების მიერ ბლანკზე გათვალისწინებული ხელმოწერებით და ბეჭდის დასმით წარედგინება კუთვნილებისამებრ საკავშირო ან მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამმართველოს (განყოფილებას), რომელიც სათანადო შემოწმებისა და ხელის მოწერის შემდეგ გადასცემს ყველა ეგზემპლარს ბიუჯეტის ბუხვალტერიას.

შემოწმებული საგასაველო განრიგების პირველი ეგზემპლარები ჩაიწერება საგასაველო განრიგების აღწერილობაში (ფ. № 16) და სათანადო ხელის მოწერითა და ბეჭდის დასმით ისინი კაპიტალურ დაზანდებათა ხაზით წარედგინება: სოფლის მეურნეობის დარგის სამინისტროებისა და უწყებებისა — სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებას, ხოლო დანარჩენი სამინისტროებისა და უწყებებისა — სსრ კავშირის მშენებანკის დაწესებულებას. ბანკის დაწესებულება საგასაველო განრიგების მიღებაზე ხელს აწერს აღწერილობას და ამ უკანასკნელს უბრუნებს ფინანსთა სამინისტროს, რომელიც ამის შემდეგ საგასაველო განრიგების დანარჩენ ეგზემპლარებს აძლევს სათანადო მიმართულებას.

რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფი კრედიტების მთავარ და მეორე ხარისხის განმკარგულებლებს შეუძლიათ მიღებული დაფინანსება გადაუგზავნონ (საამისოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში) დაქვემდებარებულ ბიუჯეტურ დაწესებულებებს ფოსტის საშუალებით ბიუჯეტური დავალებით (ფ. № 04018071) ან სადეპეშო ბიუჯეტური დავალებით (ფ. № 04018072). ამასთან, 50 მანეთზე ნაკლებ თანხაზე კრედიტების გახსნა არ შეიძლება.

ბიუჯეტური დავალება ფ. № 04018071 შეივსება ხუთ ეგზემპლარად, რომლიდანაც ოთხი ეგზემპლარი წარედგინება სახბანკის დაწესებულებას. ეს უკანასკნელი დავალების მიღებაზე ხელმოწერით მეოთხე ეგზემპლარს უბრუნებს კრედიტების მთავარ განმკარგულებელს, ხოლო მეორე და მესამე ეგზემპლარს გადაუგზავნის კრედიტის ქვემდგომი განმკარგულებლის მომსახურე სახბანკის იმ დაწესებულებას, რომლიდანაც იგი მესამე ეგზემპლარს უკანვე ღებულობს კრედიტის გახსნის დასტურად. ბიუჯეტური დავალების მეხუთე ეგზემპლარი კრედიტების მთავარი განმკარგულებლის მიერ ეგზავნება კრედიტების ქვემდგომ განმკარგულებელს, რომელსაც გაეხსნა კრედიტი.

კრედიტების განმკარგულებლის მიერ შევსებული ბიუჯეტური დავალების ეგზემპლარების (ფ. № 04018071) მოძრაობა შემდეგი სქემის მიხედვით წარმოგვიდგება:



კრედიტების ღებუთით გადაგზავნა ხდება იშვიათად, განსაკუთრებულ შემთხვევაში. კრედიტების ღებუთით გადაგზავნაზე ბიუჯეტური დავალება (ფ. № 04018072) შეივსება სამ ეგზემპლარად. კრედიტების ღებუთით გადაგზავნისას გადასაგზავნი თანხის რიცხვის ერთეულების თანრიგში უნდა იყოს ნული.

კრედიტების ქვემდგომი განმკარგულებლისათვის გახსნილი კრედიტების ნაწილობრივი ან მთლიანი დაბრუნება შეიძლება სათანადოდ შევსებული იმავე ფორმის ბიუჯეტური დავალების ბანკის შესაბამის დაწესებულებაში წარდგენით.

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფი დაწესებულების დაფინანსება წარმოებს სამ ეგზემპლარად შევსებული საგადასახდლო დავალების

(ფ. № 0401002) სახბანკის დაწესებულებაში წარდგენით. სახბანკის დაწესებულება მესამე ეგზემპლარს დავალების მიღებაზე ხელმოწერით უბრუნებს დამფინანსებელ დაწესებულებას, ხოლო მეორე ეგზემპლარს გადასცემს დაფინანსების მიმღებ დაწესებულებას.

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტზე და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულების კაპიტალური დაბანდების დაფინანსებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით დასაფინანსებელი კრედიტების მთავარი განმკარგულებელი „საგასაელო განრიგს — დაფინანსების გეგმას“ (ფ. № 12) შეადგენს სამ ეგზემპლარად და წარადგენს საფინანსო ორგანოში. საფინანსო ორგანო სათანადოდ შემოწმების და ხელმოწერების შემდეგ პირველ ეგზემპლარს აგზავნის კუთვნილებისამებრ მშენბანკის ან სახბანკის დაწესებულებაში, მეორე ეგზემპლარით რჩება საფინანსო ორგანოს და მესამე უბრუნდება კრედიტის მთავარ განმკარგულებელს.

2. ფულადი სახსრების აღრიცხვა

ბიუჯეტურ დაწესებულებებს მათი შენახვისათვის ხარჯთნუსხით გათვალისწინებული თანხების გამოსაყენებლად სახბანკის დაწესებულებაში ეხსნებათ საბიუჯეტო ან მიმდინარე ანგარიშები. საბიუჯეტო ანგარიშები ეხსნებათ საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებებს, ხოლო მიმდინარე ანგარიშები — ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებებს.

სახბანკის დაწესებულებაში კრედიტების გახსნა აღრიცხულია ცალკე ანგარიშზე, ხოლო ამ კრედიტის ანგარიშში გაწეული ხარჯებისა — ცალკე. დაუხარჯავი სახსრების ნაშთის გამოსაყენად საჭიროა გახსნილი კრედიტების ანგარიშზე არსებულ თანხას გამოვაკლოთ ამავე კრედიტის ანგარიშში გაწეული ხარჯები.

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივ ბიუჯეტების სახსრები (მიღებული სახსრები) და ამ სახსრების ანგარიშში გაწეული ხარჯები სახბანკის დაწესებულებაში აღრიცხულია ერთი და იგივე (მიმდინარე) ანგარიშზე, ამიტომ ასეთი სახსრების დაუხარჯავი ნაშთი სახბანკის დაწესებულებაში ერთ ანგარიშზეა ასახული.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების საბიუჯეტო ან მიმდინარე ანგარიშებიდან სახსრები გაიცემა სახელობითი ჩეკებით.

საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯე-

ტებზე მყოფი დაწესებულებებისათვის გახსნილი კრედიტები აღირიცხება №№ 090—096 სუბანგარიშებზე (იხილეთ ანგარიშების გეგმა).

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებით და ადგილობრივი ბიუჯეტებით მიმდინარე ანგარიშების ოპერაციების მოძრაობა აღირიცხება №№ 100—109 სუბანგარიშებზე.

საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე მყოფი დაწესებულებების საბიუჯეტო ანგარიშიდან სახსრები გაიცემა გახსნილი კრედიტების ფარგლებში, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფი დაწესებულებების მიმდინარე ანგარიშებიდან — არსებული ნაშთის ფარგლებში.

საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებით „კაპიტალური რემონტისათვის გახსნილი კრედიტები“ (სუბანგარიში № 092) და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებით და ადგილობრივი ბიუჯეტებით „მიმდინარე ანგარიში კაპიტალური რემონტისათვის“ (სუბანგარიში № 102) გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შენობა-ნაგებობათა კაპიტალურ რემონტზე (მუხ. 16) წლიური ხარჯთნუსხით დამტკიცებულია 10 ათასი მანეთი და მეტი. ასეთი ცალკე ანგარიშების გახსნა განპირობებულია შენობა-ნაგებობათა კაპიტალური რემონტის სახსრების ხარჯვაზე სახბანკის დაწესებულების მიერ კონტროლის გაძლიერების საჭიროებით.

განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის დაწესებულებებს უფლება აქვთ ხარჯნუსხით გათვალისწინებული თანხები ხარჯონ კვარტალებს შორის მუხლობრივი გადაადგილებით, ამ მუხლებისათვის წლიურად დამტკიცებული თანხების ფარგლებში (ასეთი გადაადგილება არ არის ნებადართული ხელფასში და კაპიტალურ დაბანდებაში). რომელიმე მუხლით თანხების ხარჯვის გადიდება ნებადართულია სხვა მუხლებით გასაწევი ხარჯების შემცირებით, წლიური ასიგნების ფარგლებში, იმ გამოთვლით, რომ არ შეიძლება გადიდდეს ხელფასი, კაპიტალური დაბანდება, სტიპენდია და კვების თანხების ხარჯები სხვა მუხლების შემცირებით (საკავშირო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებს, გარდა ამისა, უფლება არა აქვთ გაადიდონ მოწყობილობისა და ინვენტარის შეძენის ხარჯები). აღნიშნული წესით სახსრების ხარჯვამ არ უნდა გამოიწვიოს ხარჯთნუსხის ყველა მუხლისათვის დამტკიცებული კვარტალური თანხის გადიდება.

სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს უფლება აქვთ ხელფასის ეკონომია (მუხ. 1) გამოიყენონ მოწყობილობათა შეძენაზე (მუხ. 12) და ხარჯების კლასიფიკაციის მე-5 მუხლზე. ამასთან ხელფასის (მუხ. 1) დამტკიცებული თანხა არ მცირდება.

ფულადი სახსრების ამსახველი ყველა ანგარიში აქტიური ანგარიშებია. ამ ანგარიშებზე სახსრების გადიდება ჩაიწერება დებეტში, ხოლო შემცირება — კრედიტში.

ბიუჯეტური ხარჯთუსხებით დამტკიცებული სახსრების მოძრაობის ძირითადი ოპერაციები საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებებში შემდეგნაირად აისახება:

სახბანკში ბიუჯეტურ ანგარიშებზე შემოსული დაფინანსება:

კრედიტების მთავარ განმკარგულებელთან — დებეტი სუბანგარიშები №№ 090—093, 096 და კრედიტი — სუბანგარიშები №№ 230, 231, 232, ხოლო კრედიტების ქვემდგომ განმკარგულებელთან — დებეტი სუბანგარიშები №№ 091—093, 096 და კრედიტი სუბანგარიშები №№ 140, 143, 142;

კრედიტების გადაგზავნა ზემდგომი განმკარგულებლიდან მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებზე — დებეტი სუბანგარიშები №№ 140, 143, 142 და კრედიტი სუბანგარიშები №№ 091—093, 096;

ბიუჯეტური ანგარიშებიდან სახსრების გასვლა გატარდება — კრედიტი სუბანგარიშებისა №№ 090—093, 096, ხოლო დებეტი ოპერაციის შინაარსის მიხედვით შესაბამისი სუბანგარიშებისა №№ 120, 178, 179, 173, 200 და სხვ.

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან სახბანკში ბიუჯეტური დაწესებულების მიმდინარე ანგარიშზე დაწესებულების ხარჯებისათვის შემოსული დაფინანსება გატარდება: კრედიტების მთავარ განმკარგულებელთან — დებეტი სუბანგარიშებისა №№ 100, 101, 102 და კრედიტი სუბანგარიშისა № 230, ხოლო კრედიტების ქვემდგომ განმკარგულებელთან — დებეტი სუბანგარიშებისა №№ 100, 102 და კრედიტი სუბანგარიშისა № 140. მიმდინარე ანგარიშების ოპერაციები კრედიტების ქვემდგომ განმკარგულებელთან აისახება ბიუჯეტური ანგარიშების ოპერაციების ანალოგიურად, იმ განსხვავებით, რომ ნაცვლად კრედიტების მთავარი განმკარგულებლის ბიუჯეტური სუბანგარიშებისა №№ 090, 091 და 092, გამოიყენება სუბანგარიშები №№ 100, 101, 102.

ბუხპალტრული აღრიცხვის მემორიალ-ორდერული ფორმის პირობებში ბიუჯეტური დაწესებულებები საბიუჯეტო და მიმდინარე ანგარიშებზე სახსრების მოძრაობის ოპერაციებს ჩაწერენ მუდმივი ნომრით № 2 მემორიალურ ორდერში საბიუჯეტო (მიმდინარე) ანგარიშზე სახსრების მოძრაობის მავროვებელ უწყისში (ფ. № 381). ამასთან № 2 მემორიალური ორდერი დგება ცალ-ცალკე სახელმწიფო ბანკში გახსნილი თითოეული საბიუჯეტო (მიმდინარე) ანგარიშის მიხედვით. მემორიალური ორდერების ერთმანეთისაგან განსასხვავებლად, როდესაც

ბანკში ბიუჯეტურ დაწესებულებას აქვს რამდენიმე საბიუჯეტო (მიმდინარე) ანგარიში, მემორიალურ ორდერებს მიაკუთვნებენ ნომრებს 2-ა, 2-ბ, 2-გ, 2-დ. აღნიშნული მაგროვებელი უწყისები წარმოადგენენ ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზური აღრიცხვის რეგისტრებს. შედარებით მცირე მოცულობის ბიუჯეტურ დაწესებულებაში, რომელშიაც ოპერაციების სიმცირის გამო ადგენენ არა მუდმივი ნომრის მემორიალურ ორდერებს — მაგროვებელ უწყისებს, არამედ ზოგადი სახის ერთჯერად მემორიალურ ორდერებს, ცალ-ცალკე საბიუჯეტო (მიმდინარე) ანგარიშზე ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზური აღრიცხვას აწარმოებენ № 292 ფორმის დავთარში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ბიუჯეტურ დაწესებულებებში №№ 090, 091, 092 და 093 საბიუჯეტო სუბანგარიშებზე სახსრების მოძრაობა ჩაიწერება № 2 და № 3 უურნალ-ორდერებში და № 2, 3 და 5 მაგროვებელ უწყისებში. თუ ბიუჯეტურ დაწესებულებას სახბანკის დაწესებულებაში აქვს რამდენიმე ანგარიში, ასეთ შემთხვევებში № 2 უურნალ-ორდერი № 2, 3 და 5 მაგროვებელი უწყისი დგება ცალ-ცალკე სახბანკში გახსნილ ყოველი ანგარიშის მიხედვით.

საკავშირო და რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა უფლება გახსნილი კრედიტებიდან სახსრების გამოყენებაზე შეწყდება 31 დეკემბერს (დღის ბოლოს). ბიუჯეტური დაწესებულებებისა და ფინორგანოების ჩაურევლად ხდება გახსნილი კრედიტების აუთვისებელი ნაწილის დახურვა, რაზედაც დგება ბუხჰალტრული გატარება: დებეტი სუბანგარიშებისა №№ 230, 231, 232, ან 140, 142, 143 და კრედიტი სუბანგარიშებისა №№ 091—093, 096.

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფი კრედიტების განმკარგულებლების მიმდინარე ანგარიშებზე დაფინანსების აუთვისებელი ნაშთი წლის ბოლოს არ დაიხურება და ბიუჯეტურ დაწესებულებას ჩაეთვლება შემდეგი წლის პირველ დაფინანსებაში. იგივე ბიუჯეტებზე მყოფი დაწესებულებების შენობებისა და ნაგებობების კაპიტალური რემონტისათვის გადარიცხული სახსრების აუთვისებელი ნაშთი 31 დეკემბრის დღის ბოლოს სახბანკის დაწესებულების მიერ დაიხურება და ჩაირიცხება იმ ბიუჯეტის ძირითად მიმდინარე ანგარიშზე, რომლიდანაც იგი იყო დაფინანსებული.

3. სალაროს ოპერაციების აღრიცხვა ბიუჯეტურ დაწესებულებაში

ბიუჯეტური დაწესებულებები ვალდებული არიან მტკიცედ დაიცვან სალაროს ოპერაციების წარმოების წესები, რომლებიც შემოღე-

ბულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 6 აგვისტოს № 552 დადგენილებით. აღნიშნული დადგენილება გამოცემულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1973 წლის 24 ოქტომბრის № 238 ბრძანებით, როგორც „დებულება სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ სალაროს ოპერაციების წარმოების შესახებ“.

ბიუჯეტურმა დაწესებულებამ თავისი კუთვნილი ფულადი სახსრები, როგორც წესი, უნდა შეინახოს სახბანკის, მშენბანკის ან ნებადართულ შემთხვევაში სსრ კავშირის სხვა საკრედიტო დაწესებულებაში. საკრედიტო დაწესებულებიდან ფულის მიღების, ხარჯვის და საკრედიტო დაწესებულებაში ფულადი სახსრების შეტანის წესების შესრულება ცნობილია საკასო დისციპლინის სახელით.

ბიუჯეტური დაწესებულებისათვის საკასო დისციპლინის დარღვევად ითვლება:

— სალაროში იმაზე მეტი ნაღდი ფულის გაჩერება, რაც დადგენილია ლიმიტით;

— სახბანკიდან ან სხვა საკრედიტო დაწესებულებიდან მიღებული ფულის არადანიშნულებით ხარჯვა;

— ხელფასის, შრომისუნარობის ფურცლით დახმარების, სტიპენდიის, პენსიისა და პრემიების გასაცემად მიღებული თანხიდან გაუცემელი ფულის 3 დღეზე მეტი ხნის დაგვიანებით დაბრუნება სახბანკის დაწესებულებაში;

— საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან და პირებთან ანგარიშსწორების წესის დარღვევა;

— სალაროდან სესხის გაცემა.

საკასო დისციპლინის სისტემატურად დარღვევისათვის დამნაშავენი მიეცემიან პასუხისმგებლობაში.

სალაროს ოპერაციების წარმოების დებულებით გათვალისწინებული წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ დაწესებულების ხელმძღვანელს, მთავარ (უფროს) ბუხჰალტერს და მოლარეს.

სალაროს ოპერაციების (ფულის მიღებისა და გაცემის) საწარმოებლად სალაროს ოთახი დაწესებულების სხვა სამუშაო ოთახებისაგან ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი. მუშაობის დროს სალაროს კარები იკეტება და ფულის მიღება-გაცემა წარმოებს სპეციალური შუკუმიდან.

დაწესებულების ხელმძღვანელი ვალდებულია მიიღოს ზომები ფულის დაცვის უზრუნველსაყოფად, როგორც სალაროს სადგომში, ისე ფულის საკრედიტო დაწესებულებიდან მოტანისა და მის საკრედიტო დაწესებულებაში ჩაბარებისას.

ბიუჯეტური დაწესებულება, რომელსაც საშტატო განრიგით დამტკიცებული აქვს მოლარის თანამდებობა, აწარმოებს ერთ სალაროს დავთარს, როგორც ბიუჯეტური, ისე ბიუჯეტგარეშე სახსრებისათვის.

სალაროს ოპერაციები მოლარის მიერ ჩაიწერება სალაროს დავთარში (ფ. № 440). სალაროს დავთარი იწარმოება ორ ეგზემპლარად, გადასაღები ქაღალდის საშუალებით. სალაროს დავთრის პირველი ეგზემპლარი, რომელზედაც გავლებულია პორიზონტალური ხაზები, რჩება დავთარში, ხოლო გადასაღები ქაღალდის საშუალებით შევსებული მეორე ეგზემპლარი (რომელზედაც არ არის გავლებული პორიზონტალური ხაზები) მოიხევა და საბუთებთან ერთად გადაეცემა ბუხჰალტერს მოლარის ანგარიშის სახით. ბუხჰალტერი ამოწმებს სალაროს დავთრის წარმოების სისწორეს. ამასთან აღნიშნავს თუ რამდენი შემოსავლის და გასავლის საბუთი მიიღო და ხელს აწერს მოლარის ანგარიშის მიღებაზე.

სალაროს დავთარში (ფ. № 440) ოპერაციები იწერება სალაროს შემოსავლის (ფ. № სო-1) და გასავლის (ფ. № სო-2) ორდერების მიხედვით.

სალაროს შემოსავლის ორდერებს თავისი ქვითრებით და გასავლის ორდერებს გამოწერს ბუხჰალტერია. აღნიშნულ ორდერებს ისინი ატარებენ „სალაროს შემოსავლისა და გასავლის საბუთების სარეგისტრაციო ჟურნალში“ (ფ. № სო — ვა).

სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერების შესწორება დაუშვებელია. სალაროს დავთარში (ფ. № 440) ჩანაწერის შესწორება შეიძლება სათანადო აღნიშვნით, კერძოდ მოლარისა და მთავარი (უფროსი) ბუხჰალტრის ან მისი შემცვლელი პირის ხელმოწერით.

სალაროს დავთარში ჩანაწერების დაჯამება და ნაშთის გამოყვანა წარმოებს ყოველდღიურად. მცირე მოცულობის სალაროებში, რომლის ყოველდღიური ოპერაციები 50 მანეთზე ნაკლებია, სალაროს ჩანაწერები შეიძლება დაჯამდეს და ნაშთები იქნეს გამოყვანილი 3—5 დღეში ერთხელ.

სალაროში ფულის ნაშთი არ უნდა აღემატებოდეს ლიმიტით დაწესებული ნაშთის ოდენობას. დაწესებული ლიმიტის ზევით სალაროში ნაშთი შეიძლება იყოს ხელფასის, შრომისუუნარობის ფურცლით დახმარების, სტიპენდიის, პენსიისა და პრემიების გაუცემელი თანხებით და ისიც არაუმეტეს 3 დღისა ბანკიდან ფულის მიღების დღის ჩათვლით.

სალაროს ნაღდი ფულის ლიმიტს ბიუჯეტური დაწესებულებისათვის აწესებს სახბანკის დაწესებულება ბიუჯეტური დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

სალაროდან ფულის გაცემა შეიძლება მხოლოდ იმ პირზე, რომელზედაც გამოწერილია გასაცემი ფული. სხვა პირზე ფულის გაცემა შეიძლება მინდობილობით.

თუ სალაროდან ფულის მიმღებს რაიმე მიზეზის გამო არ შეუძლია ფულის მიღებაზე ხელის მოწერა, ასეთ შემთხვევაში მისი თხოვნით ხელი შეიძლება მოაწეროს სხვა პირმა, რომელიც არ უნდა იყოს ამ დაწესებულების ბუხჰალტერიის ან სალაროს მუშაკი. ფულის მიღებაზე ასეთი ხელმოწერის ვინაობის დამადასტურებელი საბუთი: სათანადო რეკვიზიტები აღნიშნული უნდა იყოს სალაროს გასავლის ორდერზე.

სალაროში ფულადი სახსრების და საქასო დისციპლინის დაცვის კონტროლისათვის დაწესებულების ბრძანებით გამოყოფილი კომისიის მიერ თვეში ერთხელ მაინც ტარდება სალაროს მოულოდნელი რევიზია. რევიზიის შედეგები ფორმდება აქტით.

ბიუჯეტური დაწესებულების ბუხჰალტერიაში სალაროს ოპერაციების აღსარიცხავად გამოიყენება საბალანსო ანგარიში № 120 „სალარო“. სალაროში ფულის შემოსვლა იწერება № 120 სუბანგარიშის დებეტში და შესაბამისი ანგარიშების კრედიტში, ხოლო სალაროდან ფულის გასვლა აღირიცხება „სალაროს“ ანგარიშის კრედიტში და შესაბამისი ანგარიშების დებეტში.

სალაროში ფულის ზედმეტობა გატარდება: დებეტი სუბანგარიში № 120 და კრედიტი სუბანგარიში № 173, ხოლო ფულის დანაკლისზე შედგება ბუხჰალტრული გატარება: დებეტი სუბანგარიში № 170 და კრედიტი სუბანგარიში № 120.

4. გახსნილი კრედიტების (ასიგნებების) და

ხარჯების აღრიცხვა

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დამოუკიდებელი ბუხჰალტრული აღრიცხვის მქონე დაწესებულებებში გახსნილი კრედიტები (ასიგნებები) და მათში სათანადო წესით შეტანილი ცვლილებები აისახება „ასიგნებების და ფაქტიური ხარჯების აღრიცხვის დაეთარში“ (ფ. № 309) ან „კრედიტების (ასიგნებების) და ხარჯების აღრიცხვის დაეთარში“ (ფ. № 294).

მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში გახსნილი კრედიტები აღირიცხება „გახსნილი კრედიტების ანალიზური აღრიცხვის ბარათებზე“ (ფ. № 294-ა). ეს ბარათები იხსნება კარისა და პარაგრაფის მიხედვით ბანკის დაწესებულებაში გახსნილი თითოეული საბიუჯეტო ანგარიშისათვის ცალკე.

ბარათის პირველ სვეტში ჩაიწერება გახსნილი კრედიტების მთლიანი თანხა, რომელიც დაყოფილად აისახება 2—6 სვეტებში იმ მუხ-

ლების ცალკე გამოყოფით, რომლებიც აღნიშნულია კრედიტების მთავარი განმკარგულებლის საგასავლო განრიგებში (ფფ. №№ 12, 13, 15) ან კრედიტების მეორე და მესამე ხარისხის განმკარგულებლების ბიუჯეტურ დავალებებში (ფფ. №№ 830, 831). ბარათის მე-7 და მე-8 სექტებში აღირიცხება კრედიტების გამოთხოვა მუხლისა და თანხის აღნიშვნით.

გახსნილი კრედიტების თანხების დაჯამება ბარათებში ხდება ყოველთვიურად ცალკე სტრიქონზე, ხოლო მის შემდეგ სტრიქონზე იწერება გახსნილი კრედიტების ჯამი წლის დასაწყისიდან შესაბამისი მუხლებით, გამოთხოვილი კრედიტების გამოკლებით.

ბიუჯეტური ხარჯთნუსხების შესრულების ბუხალტრულ აღრიცხვაში არსებობს საკასო და ფაქტიური ხარჯების ცნებები.

ბიუჯეტურ დაწესებულებაში საკასო ხარჯებად ითვლება საბიუჯეტო (მამდინარე) ანგარიშიდან თანხების ყოველგვარი ჩამოწერა, ე. ი. ხარჯთნუსხების შესრულების ოპერაციების №№ 090—096 ან №№ 100—109 სუბანგარიშების კრედიტებზე მიკუთვნებული თანხები, ხოლო ფაქტიურ ხარჯებად — ბიუჯეტური სახსრების ნამდვილი დანახარჯები, როგორცაა საანგარიშსწორებო-საგადასახდელო უწყისებით მუშა-მოსამსახურეებზე ხელფასის დარიცხვა, სხვადასხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ გაწეული მომსახურების მიხედვით მათთვის კუთვნილი თანხების დარიცხვა, კვების პროდუქტების, მედიკამენტებისა და სხვა მისაღების ფაქტიური ხარჯვა და სხვა, ე. ი. ხარჯთნუსხების შესრულების ოპერაციების საბალანსო ანგარიშთა კორესპონდენციის განსაზღვრისას №№ 200—206 სუბანგარიშებზე მიკუთვნებული ხარჯები.

ფაქტიური ხარჯების ამსახველი სუბანგარიშები (№№ 200—206) აქტიური ანგარიშებია, მათი ზრდა ანუ ხარჯების გაწევა ამ ანგარიშების დებეტის მხარეს იწერება, ხოლო შემცირება — ჩამოწერა კრედიტის მხარეს.

ფაქტიური ხარჯების ანალიზური აღრიცხვისათვის გამოიყენება „ასიგნებების და ფაქტიური ხარჯების აღრიცხვის დავთარი“ (ფ. № 309) ან „კრედიტების (ასიგნებების) და ხარჯების აღრიცხვის დავთარი“ (ფ. № 294). ამ დავთრებში ფაქტიური ხარჯები აღირიცხება კარის, თავის, პარაგრაფის, მუხლისა და მისი ლიტერების ჭრილში ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

მონაცემები გახსნილი კრედიტების (ასიგნებების) შესახებ გამოიყენება ბიუჯეტური სახსრების ხარჯვაზე კონტროლის გასაწევად, რათა იმაზე მეტი ხარჯი არ იქნეს გაწეული, ვიდრე გახსნილი კრედიტებით (ასიგნებით) არის გათვალისწინებული.

იმის გამო, რომ ფ. № 309 დავთარი არ ითვალისწინებს ცვლილებებს ცალ-ცალკე სვეტების სახით — გადიდების ან შემცირების მიმართულებით, ასიგნების შეცვლის ამსახველი თანხები გადიდების შემთხვევაში დავთარში ჩაიწერება ჩვეულებრივი ფერის მელნით, ხოლო შემცირებისას წითელი მელნით. დავთრის ჩანაწერების დაჯამებისას ჩვეულებრივი ფერის მელნით ჩაწერილი თანხების ჯამს უნდა გამოაკლდეს წითელი მელნით ჩაწერილი თანხები. ასიგნებათა ჩაწერა ფ. № 309 დავთარში წარმოებს მემორიალური ორდერის შედგენის გარეშე.

ფორმა № 309 დავთარს 200 სუბანგარიშის კრედიტის ჩანაწერებისათვის არა აქვს გამოყოფილი ცალკე სვეტი, რის გამოც კრედიტების ჩანაწერები საჭიროა გაკეთდეს წითელი მელნით საღებეტო ჩანაწერების შესაბამისი მუხლების სვეტებში და სვეტის ჩანაწერების დაჯამების დროს წითელი ჩანაწერები გამოაკლდეს ჩვეულებრივი ფერის მელნით ჩაწერილ ციფრებს.

ფ. № 309 დავთარში ყოველი თვის ბოლოს ცალ-ცალკე სტრიქონებზე გამოიყვანება თვის ჯამი და ჯამი წლის დასაწყისიდან.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის დაწესებულებებში ფაქტიური ხარჯები ანალიზურად აღირიცხება მე-17 უურნალ-ორდერის № 8 მაგროვებელ უწყისში.

ფ. № 294 დავთარში, რომელშიც ბიუჯეტზე მყოფ თითოეულ დაწესებულებას ეხსნება ცალკე გვერდები კარის, თავის, პარაგრაფისა და მუხლის მიხედვით, იწერება:

მეოთხე სვეტში — გახსნილი კრედიტები (გათვალისწინებული ასიგნებები);

მეხუთე სვეტში — აღდგენილი კრედიტები (საკასო ხარჯები). მაგალითად ანგარიშვალდებული პირის მიერ მივლინების ხარჯებისათვის მიღებული ავანსიდან დაუხარჯავი თანხის სახბანკში საბიუჯეტო ანგარიშზე დაბრუნებისას ეძლევა, ბუხჰალტრული გატარება: დებეტი სუბანგარიში №№ 090, 091, 092 ან 100, 101, 102 და კრედიტი სუბანგარიში № 160;

მეექვსე სვეტში — კრედიტების დახურვა (ასიგნებათა შემცირება);

მეშვიდე სვეტში — საკასო ხარჯები; №№ 090, 091, 092 ან 100, 101, 102 სუბანგარიშების საკრედიტო ჩანაწერები (გარდა კრედიტის დახურვის საკრედიტო ჩანაწერისა);

მერვე სვეტში — კრედიტების (ასიგნებების) აუთვისებელი ნაშთი, რომელიც გამოიყვანება შემდეგნაირად: გახსნილი კრედიტების (გათვალისწინებული ასიგნების) თანხას (სვეტი 4) მიემატება აღდგენილი კრედიტების (საკასო ხარჯების) თანხა (სვეტი 5), გამოაკლდება დახუ-

რული კრედიტების (ასიგნებათა შემცირების) თანხა (სვეტი 6) და საკასო ხარჯების თანხა (სვეტი 7).

ყოველი თვის დამთავრებისას ფ. № 294 დავთარში კეთდება თვის ჯამი და ჯამი წლის დასაწყისიდან.

ბიუჯეტური დაწესებულების შენობა-ნაგებობათა საიჯარო წესით ჩატარებული კაპიტალური რემონტის დანახარჯები აღირიცხება მე-16 მუხლზე საერთო თანხით, დანახარჯების ელემენტებაჲ დაყოფის გარეშე, ხოლო სამეურნეო წესით ჩატარებული კაპიტალური რემონტის დანახარჯები აღირიცხება იგივე მუხლზე ხელფასის, სარემონტო მასალების, დანარჩენი პირდაპირი და ზედნადები ხარჯების კრილში.

5. გახსნილი კრედიტების (ასიგნებების), დაფინანსების,
ფულადი სახსრებისა და ხარჯების აღრიცხვა
ცენტრალიზებულ ბუხვალტერიებში

საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებებში გახსნილი კრედიტების აღრიცხვა ცენტრალიზებულ ბუხვალტერიებში წარმოებს „გახსნილი კრედიტების ანალიზური აღრიცხვის ბარათებზე“ (ფ. № 294-ა) ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ ცენტრალიზებულ ბუხვალტერიებში ასიგნებების აღრიცხვა წარმოებს „საკასო და ფაქტიური ხარჯების აღრიცხვის დავთარში“ (ფ. № 309-ბ). ამ დავთარში ასიგნებების აღსაზრუნავად თითოეული პარაგრაფის ცალკეულ მუხლზე იხსნება ცალკე გვერდი კარისა და თავის აღნიშვნით. ასიგნების თანხები ჩაიწერება ხარჯთნუსხებიდან კვარტალური დაყოფით და აგრეთვე წლიური თანხითაც ცალ-ცალკე სტრიქონებზე. ასიგნების საერთო თანხა დაყოფილია მათ შორის მომსახურებაში მყოფი დაწესებულებების კრილში. ასიგნებათა ცვლილებები ისევე აღირიცხება, როგორც ფ. № 309 დავთარში.

ცენტრალიზებულ ბუხვალტერიებში მთავარი ბუხვალტრის გადაწყვეტილებით გამოიყენება „კრედიტების (ასიგნებების) და ხარჯების აღრიცხვის დავთარი“ (ფ. № 294) ნაცვლად ფფ. № 294-ა და 294-ბ ბარათებისა, იმ შემთხვევაში თუ ერთგვაროვან დაწესებულებებზე შედგენილია ერთი ნაერთი ხარჯთნუსხა.

დაფინანსების აღრიცხვა ცენტრალიზებულ ბუხვალტერიებში წარმოებს 230—238 სუბანგარიშებზე ისევე, როგორც არაცენტრალიზებულ ბუხვალტერიებში.

დაფინანსების ოპერაციების აღსარიცხავად ბუნჰალტრული აღრიცხვის ანგარიშების გეგმით გათვალისწინებულია №№ 230, 231, 232, 234, 236, 237 და 238 სუბანგარიშები. ეს საბალანსო ანგარიშები პასიური ანგარიშებია, მათ შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ საკრედიტო ნაშთი. ოპერაციები, რომლებიც ამ ანგარიშებს აღიდებენ, ჩაიწერება კრედიტში, ხოლო ოპერაციები, რომლებიც ამცირებენ — დებეტში.

სახელდობრ, დაფინანსების ანგარიშების კრედიტში ჩაიწერება:

- წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთი;
- გახსნილი კრედიტები (დაფინანსებები);
- ინვენტარიზაციების დროს გამოვლენილი მასალების ზედმეტობა, რომელიც აღებულია შემოსავალში;

- გადახდები, რომლებიც მოხდენილია ცენტრალიზებული წესით კრედიტების ზემდგომი განმკარგულებლის მიერ, დაწესებულების ხარჯთნუსხების ანგარიშში;

- ძირითადი საშუალებებისა და მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების გადატანა მასალების ანგარიშზე და სხვ.

დაფინანსების ანგარიშის დებეტში ჩაიწერება:

- ზედმეტი და გამოუყენებელი მასალების რეალიზაციიდან მიღებული სახსრების ბიუჯეტის ანგარიშსწორებაზე მიკუთვნება (დებეტი სუბანგარიში № 230 ან № 140 და კრედიტი № 173 სუბანგარიში);

- უიმედო დებიტორულ დავალიანებათა დაფინანსების ანგარიშზე ჩამოწერა;

- მასალების დანაკლისი, რომელიც ჩამოწერილია დაწესებულების ანგარიშზე;

- გამოუყენებელი კრედიტების ნაშთები, რომელიც ბანკის მიერ დახურულია 31 დეკემბერს;

- დამთავრებული და ექსპლუატაციაში გადაცემული მშენებლობის ობიექტის დანახარჯების ჩამოწერა;

- საანგარიშგებო წლის დანახარჯების დაფინანსების ანგარიშზე ჩამოწერა და სხვა.

დაფინანსების № 230 სუბანგარიშის ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ფორმა № 283 ბარათებზე იმ მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც მოცემულია ბალანსის (ფ. № 1) დანართ ცნობაში.

№№ 231, 232, 236 და 238 სუბანგარიშების აღრიცხვა წარმოებს ფ. № 292 დავთარში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის დაწესებულებებში № 230 და № 231 სუბანგარიშების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ფ. № 6 მაგროვებელ უწყისში და № 11 უურნალ-ორდერში იმ მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც მოცემულია ხარჯთნუსხების შესრულების ბალანსის (ფ. № 1) დანართში „ცნობა ბიუჯეტიდან დაფინან-

სებული თანხების მოძრაობის შესახებ 230 და 231 (140 და 143) სუბანგარიშების მიხედვით“.

მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში № 236 და № 238 სუბანგარიშების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს № 16 ურნალ-ორდერში.

დაქვემდებარებულ დაწესებულებებში, რომლებიც დაფინანსებას დებულობენ კრედიტების მთავარი ან მეორე ხარისხის განმკარგულებლიდან, №№ 230, 231, 232 სუბანგარიშების ნაცვლად გამოიყენებენ შიდაუწყებრივი დაფინანსებით ანგარიშსწორების შესაბამის №№ 140, 142, 143 სუბანგარიშებს. იმის გამო, რომ ეს სუბანგარიშები ასახვენ შიდაუწყებრივ ანგარიშსწორებას დაფინანსებით, აღნიშნულ სუბანგარიშებს იყენებენ როგორც დაქვემდებარებული დაწესებულებები, ასევე მათი დამფინანსებელი ზემდგომი დაწესებულებები.

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დამფინანსებელ დაწესებულებაში შიდაუწყებრივ ანგარიშსწორებათა (დაფინანსებით) ანალიზური აღრიცხვა წარმოებს „დაქვემდებარებულ დაწესებულებებთან დაფინანსებით ანგარიშსწორებათა აღრიცხვის დავთარში“ (ფ. № 301), ხოლო საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე მყოფ დამფინანსებელ დაწესებულებაში — „დაქვემდებარებულ დაწესებულებებთან დაფინანსებით ანგარიშსწორებათა აღრიცხვის დავთარში“ (ფ. № 302).

ფ. № 301 დავთარში თითოეულ დაქვემდებარებულ დაწესებულებას ყოველ მიმდინარე ანგარიშზე ეხსნება ცალკე ანგარიში. ამ დავთრის მე-4 და მე-5 სვეტებში იწერება ასიგნებით გათვალისწინებული თანხები, მე-6 და მე-7 სვეტებში — ასიგნების ანგარიშში მიცემული თანხები (სუბანგარიშის დებეტი), მე-8 და მე-9 სვეტებში — გამოთხოვილი სახსრები და სხვა ანგარიშსწორებები (სუბანგარიშის კრედიტი), ხოლო მე-10 სვეტში ყოველი ჩანაწერის შემდეგ გამოიყვანება დაფინანსებით დაუფარავი ასიგნების ნაშთი.

ფ. № 302 დავთარში თითოეულ დაწესებულებას ბანკში გახსნილი ანგარიშების მიხედვით ეხსნება ცალკე ანგარიშები კარის, თავისა და პარაგრაფების კრილში. გახსნილი კრედიტები იწერება მე-4 სვეტში (ანგარიშის დებეტი) საერთო თანხით, ხოლო მათ შორის 5—13 სვეტებში იმ მუხლების გამოყოფით, რომლებიც ნაჩვენებია ბიუჯეტურ დავალებაში. მე-14 სვეტში ჩაიწერება ანგარიშის დებეტზე მიკუთვნებული სხვა ოპერაციები.

იმასთან დაკავშირებით, რომ № 302 ფორმის დავთარს არა აქვს ცალკე სვეტები გამოთხოვილი და დახურული კრედიტების აღსარისცხვად, ამ სახის ოპერაციები მასში იწერება წითელი მელნით. დავთრის მე-15 სვეტში (კრედიტში) ჩაიწერება წლის განმავლობაში და-

ფინანსების შემცირებები და წლის ბოლოს — გაწეული ხარჯების წლიური თანხა.

დაქვემდებარებული დაწესებულებები შიდაუწყებრივი დაფინანსებით ანგარიშსწორებათა ოპერაციებს (მიუხედავად იმისა, თუ რომელი ბიუჯეტიდან ფინანსდებიან) ანალიზურად აღრიცხავენ მრავალსვეტიან ბარათებში (ფ. № 283), ხოლო ასეთი ბარათების უქონლობის შემთხვევაში ფ. № 292 დავთარში. ორივე შემთხვევაში ანალიზური აღრიცხვა ეწყობა ხარჯთნუსხების შესრულების ბალანსის (ფ. № 1) დანართის ჭრილში, რომელშიაც ჩამოთვლილია დაფინანსების ანგარიშის დებეტზე და კრედიტზე მიკუთვნებული ოპერაციები ცალ-ცალკე.

დაქვემდებარებულ დაწესებულებებში შიდაუწყებრივი დაფინანსებით მიღებული სახსრები ასახულია ბალანსის პასივში, ხოლო ზემდგომ დამფინანსებელ დაწესებულებაში გაცემული დაფინანსება — ბალანსის აქტივში. ნაერთ ბალანსში ეს (თანაბარი) თანხები — შიდაუწყებრივი ანგარიშსწორებანი დაფინანსებით — გამოირიცხებიან.

ფულადი სახსრების აღრიცხვა ცენტრალიზებულ ბუხჰალტერიებში წარმოებს საერთო წესის მიხედვით, რომელიც ზევით განვიხილეთ.

ბიუჯეტის სახსრების ანგარიშში გაწეული ფაქტიური ხარჯების (სუბანგარიში № 200) ანალიზური აღრიცხვისათვის ცენტრალიზებულ ბუხჰალტერიებში გამოიყენება „ასიგნებების და ფაქტიური ხარჯების აღრიცხვის დავთარი“ (ფ. № 309-ბ). ამ დავთარში ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის მომსახურებაში მყოფ დაწესებულებებს ანგარიშები ეხსნება მუხლების ჭრილში კარისა და თავის შესაბამისი პარაგრაფების მიხედვით საერთო თანხით, მათ შორის თითოეული მომსახურებელი დაწესებულების ცალკე სვეტში გამოყოფით.

აღნიშნული დავთრის ზედა ნაწილში იწერება მოცემული პარაგრაფისათვის ხარჯთნუსხით გათვალისწინებული ასიგნების საერთო თანხა კვარტალების ჭრილში, რომელიც დაყოფილია მათ შორის მომსახურებელი დაწესებულებების მიხედვით.

ასიგნების შემდეგ გამოყოფილია სტრიქონები ასიგნებაში მომხდარი ცვლილებების ჩასაწერად. ცვლილებების თანხები გადიდების შემთხვევაში ჩაიწერება ჩვეულებრივი ფერის მელნით ან პასტით, ხოლო შემცირებისას — წითლით.

ფ. № 309-ბ დავთარში ფაქტიური ხარჯების სადებეტო ჩანაწერები იწერება ჩვეულებრივი ფერის მელნით ან პასტით, ხოლო საკრედიტო ჩანაწერები — წითლით. ყოველი თვის ბოლოს დავთრის თითოეული სვეტის მიხედვით ჯერ გამოიყვანება ჯამი საანგარიშგებო თვის მიხედვით, ხოლო მომდევნო სტრიქონზე — „ჯამი წლის დასაწყისიდან“.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ცენტრალიზებულ ბუხჰალტერიებში ფაქტიური ხარჯების ანალიზური აღრიცხვა

წარმოებს ბიუჯეტის ხარჯებისა და სახელშეკრულებო სამუშაოთა და-
ნახარჯების აღრიცხვის დაეთარში (ფ. № 8) მუხლებისა და პარაგრა-
ფების მიხედვით მთლიანად ყველა მომსახურებული დაწესებულებისა.
და მათ შორის თითოეული დაწესებულების ხარჯების ცალკე სექტში
გამოყოფით.

წლის ბოლოს ბიუჯეტის სახსრების ანგარიშში გაწეული ფაქტი-
ური ხარჯები ჩამოიწერება შესაბამისი დაფინანსების ანგარიშში.

სპეციალური სახსრების ანგარიშში გაწეული ხარჯები წლის ბო-
ლოს ჩამოიწერება სპეციალური სახსრების შემოსავლების ანგარიშში:

დებეტი სუბანგარიში 400

კრედიტი სუბანგარიში 211

დამთავრებელი მშენებლობის ფაქტიური ხარჯები წლის ბოლოს
არ ჩამოიწერება და იგი გადადის მომდევნო წლებში მშენებლობის
დამთავრებასა და ექსპლუატაციაში გადაცემამდე.

დამთავრებული მშენებლობა და ექსპლუატაციაში გადაცემული
ობიექტი გატარდება:

დებეტი სუბანგარიში 231

კრედიტი სუბანგარიში 203

იმავედროულად გატარდება:

დებეტი შესაბამისი სუბანგარიში 010, 011, 012 და ა. შ.

კრედიტი სუბანგარიში 250.

ანგარიშსწორებების აღრიცხვა

7. ანგარიშვალდებულ პირებთან ანგარიშსწორებების აღრიცხვა

ბიუჯეტურ დაწესებულებებში ანგარიშსწორებები საერთოდ უნაღლო ხასიათისაა, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც პრაქტიკულად შეუძლებელია ამ სახით ანგარიშსწორების წარმოება.

ნაღდი სახით ანგარიშსწორებები შეიძლება მოხდეს სალაროს ან ანგარიშვალდებული პირის მეშვეობით ისეთი ხარჯების გასაწევად. როდესაც არსებული პირობების ან წესის მიხედვით უნაღლო ანგარიშსწორება სახბანკის დაწესებულების მეშვეობით მოუხერხებელია.

ბიუჯეტურ დაწესებულებაში ანგარიშვალდებულ პირად ითვლება იმავე დაწესებულების თანამშრომელი, რომელსაც ავანსად (წინასწარ) ეძლევა ფული ნაღდი ანგარიშსწორებისათვის და ვალდებულია წარუდგინოს დაწესებულებას ანგარიში გაწეულ ხარჯებზე.

ავანსები ანგარიშვალდებულ პირებზე შეიძლება გაიცეს საოპერაციო, სამეურნეო და სამივლინებო ხარჯებზე, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეებზე ხელფასების, პენსიისა და დახმარების გასაცემად იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულებაში სამტატო განრიგით არ არის გათვალისწინებული მოლარის თანამდებობა.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1974 წლის 11 იანვრის № 5 წერილის მიხედვით დაწესებულია ბიუჯეტის და სპეცსახსრების ანგარიშში ანგარიშვალდებულ პირზე ავანსის გაცემის შემდეგი ნორმები:

— საოპერაციო და სამეურნეო ხარჯებისათვის საკავშირო და რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში — 50 მანეთამდე, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტზე, სამხარეო, საოლქო, საოკრუგო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში — 30 მანეთამდე, საქალაქო და რაიონულ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში — 20 მანეთამდე და სადაბო და სასოფლო ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებებში — 15 მანეთამდე;

— სამსახურებრივი მივლინებისათვის ავანსი გაიცემა გაანგარიშების საფუძველზე მხოლოდ ამ ხარჯებისათვის ლიმიტის არსებობის პი-

რობებში. გზის, ღამის გასათევის და დღიური ხარჯებისათვის ავანსის მისაღებად ანგარიშვალდებული პირი დაწესებულების ხელმძღვანელის სახელზე წერს განცხადებას, რომელზედაც საანგარიშო დარგის მუშაკმა უნდა გააკეთოს აღნიშვნა იმის შესახებ, რომ წინათ გაცემული ავანსიდან ანგარიშვალდებულ პირზე დავალიანება არ ირიცხება, ამასთან უნდა მიუთითოს ავანსად გაცემული თანხა ბიუჯეტის კლასიფიკაციის რომელ კარს, თავს, პარაგრაფს და მუხლს მიეკუთვნოს. ამის შემდეგ დაწესებულების ხელმძღვანელის განკარგულებით გაიცემა ავანსი.

ავანსად თანხა არ უნდა გაიცეს, თუ ადრე გაცემული ავანსი დაუფარავია, ხარჯთნუსხის შესაბამისი მუხლით თავისუფალი სახსრები არ არის, ავანსად გაცემის ნორმა დარღვეულია ანდა თუ აღნიშნული გასაწევი ხარჯები არ ექვემდებარება ნაღდი ფულით ანგარიშსწორებას.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ზემოთ მითითებული (1974 წლის 11 იანვრის № 5) წერილით დაწესებულია აგრეთვე საავანსო ანგარიშების წარდგენის ვადები. საოპერაციო და სამეურნეო ხარჯებისათვის მიღებულ ავანსზე საავანსო ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ავანსის მიღებიდან 5 დღის განმავლობაში, ხოლო სამიველინებო ხარჯებისათვის მიღებულ ავანსზე — არაუგვიანეს სამი დღისა მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ.

ანგარიშვალდებული პირი მიღებულ თანხას ხარჯავს დანიშნულებისამებრ და ადგენს საავანსო ანგარიშს, რომელსაც ამოწმებს ბუხჰალტერი და აწერს ხელს მის სისწორეზე. ბუხჰალტრის ხელის მოწერის შემდეგ საავანსო ანგარიშს ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი.

ანგარიშვალდებული პირი მოვალეა საავანსო ანგარიშის ჩაბარებიდან არაუგვიანეს სამი დღისა დააბრუნოს საქვეანგარიშოდ მიღებული და დამტკიცებული საავანსო ანგარიშის თანხებს შორის სხვაობა, რომელიც მასზე რჩება დავალიანების სახით საავანსო ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ.

ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან (ანგ. № 160) აქტიური ანგარიშია. გაცემული ავანსი გატარდება: დებეტი № 160 და კრედიტი ფულადი სახსრების შესაბამისი სუბანგარიში.

დამტკიცებული საავანსო ანგარიში გატარდება: კრედიტი სუბანგარიში № 160 და დებეტი ხარჯების ან მატერიალურ ფასეულობათა შესაბამისი სუბანგარიშები.

ანგარიშვალდებული პირის მიერ დავალიანების დაბრუნება გატარდება: კრედიტი № 160 სუბანგარიში, ხოლო დებეტი ფულადი სახსრების შესაბამისი სუბანგარიში.

ანგარიშვალდებულ პირებთან ანგარიშსწორების ანალიზური აღრიცხვა მემორიალურ-ორდერული ფორმით აღრიცხვის მქონე ბიუჯე-

ტურ დაწესებულებაში წარმოებს № 8 მემორიალურ ორდერში — ანგარიშვალდებულ პირებთან ანგარიშსწორების მაგროვებელ უწყისში (ფ. № 386) ან მიმდინარე ანგარიშებისა და ანგარიშსწორებების დაფთარში (ფ. № 292).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ანგარიშვალდებულ პირებთან ანგარიშსწორებების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს № 13 ეურნალ-ორდერში.

2. დებიტორაბთან და კრედიტორაბთან ანგარიშსწორებაების აღრიცხვა

ბიუჯეტური დაწესებულებები თავიანთ საქმიანობასთან დაკავშირებული სამეურნეო ოპერაციებით ურთიერთობას ამყარებენ სხვადასხვა საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან და პირებთან, რაც თავის მხრივ იწვევს ურთიერთანგარიშსწორებების წარმოშობას.

არსებობს ანგარიშსწორებების სხვადასხვა ფორმები: ანგარიშსწორებები საგადასახდლო დავალებით, აქცეპტით, აკრედიტივით, გეგმური გადახდის წესით, ჩეკებით და სხვა.

მომწოდებელისა და მყიდველის ადგილმდებარეობის მიხედვით არსებობს ანგარიშსწორება ერთქალაქოვანი და სხვაქალაქოვანი.

საგადასახდლო დავალებით ანგარიშსწორების დროს მატერიალურ ფასეულობათა ან მომსახურების მიმღები დაწესებულება სახბანკის დაწესებულებაში მომწოდებლის სახელზე აღგენს საგადასახდლო დავალებას, რომლის მიხედვითაც სახბანკის დაწესებულება საგადასახდლო დავალებაში ნაჩვენებ თანხას ჩამოაწერს ბიუჯეტურ დაწესებულებას საბიუჯეტო (მიმდინარე) ანგარიშიდან და ჩაურიცხავს მატერიალურ ფასეულობათა მომწოდებელს ან მომსახურების გამწევ ორგანიზაციას.

აქცეპტით ანგარიშსწორების დროს მომწოდებელი ორგანიზაცია მყიდველის სახელზე სახბანკის დაწესებულებაში წარადგენს საგადასახდლო მოთხოვნას, რომლის განაღდება ბანკს შეუძლია მყიდველის თანხმობით. თანხმობის ვადად ერთქალაქოვანი ანგარიშსწორებისათვის დაწესებულია 2, ხოლო სხვაქალაქოვანი ანგარიშსწორებისათვის — 3 დღე (დღეების გამოთვლაში არასამუშაო დღეები გამოითიშება). ამ ვადების გასვლის მომდევნო დღეს სახბანკის დაწესებულება ანაღდებს საგადასახდლო მოთხოვნას, თუ მყიდველმა დაწესებულ ვადაში არაფერი აცნობა სახბანკს.

საგადასახდლო მოთხოვნაზე (აქცეპტზე) უარის თქმის შემთხვევაში იგი სათანადოდ უნდა იყოს მოტივირებული და დასაბუთებული.

აკრედიტაციით ანგარიშსწორება გამოიყენება სხვაქალაქოვან ანგარიშსწორებათა დროს. ამ შემთხვევაში მატერიალურ ფასეულობათა მყიდველი წარადგენს თავის მომსახურე ბანკში აკრედიტაციის სათანადოდ შევსებულ ბლანკს, რომლის მიხედვითაც სახბანკი წინასწარ — მატერიალურ ფასეულობათა მიღებამდე — ჩამოაწერს მყიდველს აკრედიტაციის ბლანკში აღნიშნულ თანხას და მას გადაგზავნის მატერიალურ ფასეულობათა მომწოდებლის მომსახურე ბანკში. აკრედიტაციის ბლანკში დათქმულია პირობა, რომ თანხა მომწოდებელს შეიძლება ჩაერიცხოს მის მიერ მატერიალურ ფასეულობათა გამოგზავნის საბუთების, მიღება-ჩაბარების აქტის ბანკში წარდგენის ან სხვა პირობების შესრულების საფუძველზე.

აკრედიტაციით თანხის გადაგზავნა ხდება 25 დღის ვადით, რომლის გახანგრძლივება საჭიროების შემთხვევაში შეუძლია ბანკის დაწესებულებას — 45 დღემდე. აკრედიტაციის ვადის გასვლის შემდეგ აკრედიტაციის გამოუყენებელი თანხა უბრუნდება აკრედიტაციის გამგზავნ დაწესებულებას.

ანგარიშსწორება გეგმური გადახდის წესით გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბიუჯეტურ დაწესებულებას ხშირად აქვს საქმე ერთი და იგივე მომწოდებლიდან ან მომსახურე ორგანიზაციიდან მატერიალურ ფასეულობათა მიღებასთან, ან მომსახურების გაწევასთან და ყოველ მოწოდებაზე ან მომსახურებაზე ანგარიშსწორების მოხდენა დაკავშირებულია ზედმეტ მუშაობასთან.

გეგმური გადახდის წესით ანგარიშსწორებისათვის ხელშეკრულება იდება ბიუჯეტურ დაწესებულებასა და მომწოდებელს ან მომსახურების გამწვეს შორის. ამ ხელშეკრულებით იგეგმება ანგარიშსწორებათა გადახდის პერიოდები და გადასახდელი თანხის ოდენობა.

გეგმური გადახდის წესით ანგარიშსწორების დროს ყოველ თვე ამოწმებენ ანგარიშსწორების ფაქტიურ მდგომარეობას და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ახდენენ ანგარიშსწორებას.

ბიუჯეტურ დაწესებულებებში ჩუკებით ანგარიშსწორებისას გამოიყენება „ლიმიტირებული საჩეკო წიგნაკები“, რომლიდანაც ჩეკი მიეცემა მატერიალურ ფასეულობათა მომყიდველ დაწესებულებას ან მომსახურების გამწვე ორგანიზაციას.

ბიუჯეტური დაწესებულება საბიუჯეტო (მიმდინარე) ანგარიშიდან სახსრებს გადარიცხვის გზით ათავსებს სახბანკში სპეციალურად გახსნილ ანგარიშზე ხარჯების მესამე, მეხუთე ან მეთორმეტე მუხლით გასაწევი ხარჯებისათვის. ხარჯთუნსის თითოეული მუხლით გასაწევ ხარჯზე გაიცემა ცალკე ლიმიტირებული საჩეკო წიგნაკი.

ლიმიტირებული საჩეკო წიგნაკებიდან გაცემული ჩეკებით ანგარიშსწორებას აქვს დადებითი მხარეები. იგი აჩქარებს და ამარტივებს

ანგარიშსწორებას, გამორიცხავს დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების წარმოშობას.

ლიმიტირებული საჩეკო წიგნაკებით ანგარიშსწორებას აქვს აგრეთვე უარყოფითი მხარეები, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ამ მიზნით გადარიცხული თანხა გამოუყენებელი ხდება გარკვეული დროის განმავლობაში, გარდა ამისა, ლიმიტირებული საჩეკო წიგნაკისათვის გადარიცხული თანხა გადარიცხვისთანავე საკასო ხარჯებში ტარდება, მაშინ როდესაც ეს თანხა ბიუჯეტური დაწესებულების ფულად სახსრებად ითვლება (სუბანგარიში № 131) და მისი დახარჯვა უფრო გვიან ხდება.

ანგარიშსწორებების ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა ფორმები (გარდა ლიმიტირებული საჩეკო წიგნაკებით ანგარიშსწორებისა) პრაქტიკაში (არც ისე იშვიათად) წარმოშობენ დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებას, რაც საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობაზე უარყოფითად მოქმედებს.

ბიუჯეტურ დაწესებულებათა ბუხპალტრული აღრიცხვის ანგარიშების გეგმის მიხედვით სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორებების აღსარიცხავად გამოიყენება №№ 170—179 სუბანგარიშები.

სუბანგარიში № 170 „ანგარიშსწორებანი დანაკლისებით“ გამოიყენება სხვადასხვა პირებთან ანგარიშსწორებისათვის, რომელიც წარმოიშობა დანაკლისი ფულის ან მატერიალურ ფასეულობათა ღირებულების მატერიალურად პასუხისმგებელ პირებზე გადასახდევიანებად დაკისრებასთან დაკავშირებით.

№ 170 სუბანგარიში აქტიური ანგარიშია, რომლის დებეტში ჩაიწერება ასანაზღაურებლად დაკისრებული ფულადი ან მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისები და დანაკარგები. ამ ანგარიშის დებეტი კრედიტით ეკორესპონდენტება №№ 040, 041, 043, 044, 060—067, 069, 120 სუბანგარიშებს იმის მიხედვით, თუ რა სახის დანაკლისს ან დანაკარგს ჰქონდა ადგილი.

სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის 1983 წლის 12 აპრილის № 308 დადგენილებით დაწესებულია, რომ ხორცისა და რძის პროდუქტების დატაცებითა და დანაკლისებით გამოწვეული ზარალის ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრება სახელმწიფო საცალო ფასით ხორცისა და ხორცის პროდუქტებისათვის კოეფიციენტ 3-ის, ხოლო რძისა და რძის პროდუქტებისათვის კოეფიციენტ 2,5-ის გამოყენებით. სხვა დანარჩენ მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისების ასანაზღაურებელი თანხის განსაზღვრა ხდება მოქმედი სახელმწიფო საცალო ფასებით, თუ კანონმდებლობით ამა თუ იმ მატერიალურ ფასეულო-

ბათა დანაკლისის ასანაზღაურებელი თანხის განსაზღვრის სხვა წესით არ არის შემოღებული.

დანაკლისებით ანგარიშსწორების ანალიზური აღრიცხვა მემორიალურ-ორდერული ფორმის აღრიცხვის მქონე დაწესებულებებში წარმოებს ფ. № 292 დაეთარში ან ფ. № 292-ა ბარათებში, ხოლო სსრ კავშირის აკადემიის სისტემის დაწესებულებებში — № 12 ურნალ-ორდერში.

სუბანგარიში № 171 „ანგარიშსწორებები სოციალური დაზღვევით“ გამოიყენება პროფკავშირის შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტთან სოციალური დაზღვევით ანგარიშსწორებისათვის.

მუშებისა და მოსამსახურეების სოციალური დაზღვევისათვის ხელფასის თანხას ერიცხება სოციალური დაზღვევის შესატანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შესაბამისი პროფესიული კავშირისათვის დაწესებული პროცენტის ოდენობით.

№ 171 სუბანგარიშის კრედიტში ჩაიწერება პროფკავშირის სასარგებლოდ დარიცხული თანხები, რომელიც მიეკუთვნება შესაბამისი ხარჯების 200, 203, 211 ან 212 სუბანგარიშის დებეტს. № 171 სუბანგარიშის კრედიტში ტარდება აგრეთვე პროფესიული კავშირის მიერ დავალიანების დასაფარავად გადმორიცხული თანხა და სხვა.

№ 171 სუბანგარიშის დებეტში იწერება: დროებითი შრომისუუნარობის ფურცლით მუშა-მოსამსახურეებისადმი დარიცხული დახმარება, მომუშავე პენსიონერებზე გაცემული პენსიები, ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებზე გაცემული დახმარება, პროფკავშირისათვის კუთვნილი თანხის გადარიცხვა და სხვა.

ბალანსისადმი დამოკიდებულების მიხედვით № 171 სუბანგარიშში აქტიურ-პასიურია. ამ სუბანგარიშზე ბალანსის აქტივში თანხები ხვდება იმის გამო, რომ მუშა-მოსამსახურეებს სოციალური დაზღვევის თანხები ეძლევათ კანონმდებლობის შესაბამისად და მხედველობაში არ მიიღება პროფესიულ კავშირს აქვს თუ არა იმ დროისათვის შესაბამისი საკრედიტო ნაშთი, ხოლო ბალანსის პასივში ხვდება პროფკავშირისადმი კუთვნილი გადაურიცხავი თანხები.

პროფესიულ კავშირს სოციალური დაზღვევის კუთვნილი თანხები ერიცხება ყოველთვიურად თვიური ხელფასის დარიცხვის დროს. ამასთანავე იმ დაწესებულებაში, რომლის თვიური ხელფასის ფონდი არ აღემატება 3000 მანეთს, პროფკავშირზე სოციალური დაზღვევის კუთვნილი თანხის (ნაშთის) გადარიცხვა წარმოებს კვარტალში ერთხელ.

№ 171 სუბანგარიშის ანალიზური აღრიცხვა წარმოებს № 292 დაეთარში ანდა ფ. № 292-ა, ან ფ. № 283 მრავალსვეტიან ბარათებში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის დაწესებულე-

ბებში პროფკავშირთან სოციალური დაზღვევით ანგარიშსწორებების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს 14 ეურნალ-ორდერში და ფ. № 11 მაგროვებელ უწყისში.

სუბანგარიში № 172 „ანგარიშსწორებანი გადასახდელთა სპეციალური საბუღალტრო“ მოიცავს შემდეგ ოპერაციებს:

საბავშვო ბაღებსა და ბაგებში (საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში) ბავშვთა შენახვისათვის მშობლებთან ანგარიშსწორების ნაწილში: — მშობლებისაგან გადასახდელი თანხის დარიცხვისას.

დებეტი — სუბანგარიში № 172 და კრედიტი — № 236.

— მშობლების მიერ თანხის გადახდისას

დებეტი სუბანგარიში №№ 090, 100, 120 და კრედიტი — № 172;

— მშობლის განცხადების საფუძველზე დასაბრუნებელი თანხის დარიცხვისას

დებეტი — № 236 და კრედიტი — № 172;

— ბავშვის გაყვანის ან ავადმყოფობის გამო სათანადო წესით განგარიშებული კუთვნილი თანხის დაბრუნებისას

დებეტი — № 172 და კრედიტი — № 120, № 090 ან № 100.

ამ ოპერაციების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს მშობლებთან ანგარიშსწორების უწყისში ფ. № 327.

სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელთა შენახვისათვის მშობლებთან ანგარიშსწორების ნაწილში:

— მშობლებისაგან გადასახდელი თანხის დარიცხვისას

დებეტი სუბანგარიში № 172 და კრედიტი — № 173;

— მშობლების მიერ გადასახდელის გადახდისას

დებეტი № 090, 100, 120 და კრედიტი № 172;

— მშობლების მიერ გადახდილი თანხის ბიუჯეტში გადარიცხვისას ან შეტანისას

დებეტი — № 173 და კრედიტი — № 090, № 100, № 120.

მშობლის განცხადების საფუძველზე დასაბრუნებელი თანხის დარიცხვისას

დებეტი — № 173 და კრედიტი — № 172.

ამ ოპერაციების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს მშობლებთან ანგარიშსწორების უწყისში ფ. № 327;

სკოლებთან არსებულ ინტერნატებში ბავშვთა კვებისათვის მშობლებთან ანგარიშსწორების ნაწილში:

— მშობლებისაგან გადასახდელი თანხის დარიცხვისას

დებეტი სუბანგარიში № 172 და კრედიტი — № 400;

— მშობლების მიერ გადახდილი თანხის ან მისი პროდუქტებით გადახდისას

დებეტი № 120, № 111 ან № 061

და კრედიტი — № 172;

ამ ოპერაციების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს მშობლებთან ანგარიშსწორების უწყისში ფ. № 327.

მშობლებმა ბავშვის კვებისათვის გადასახდელი უნდა შეიტანონ ყოველთვიურად, წინასწარ, არაუგვიანეს მოცემული თვის 5 რიცხვისა.

მუსიკალურ სკოლებში — შეიღწლელებში ბავშვთა სწავლებისათვის მშობლებთან ანგარიშსწორების ოპერაციები (ანგარიშთა კორესპონდენციები) და მისი აღრიცხვა ისეთივეა როგორც საბავშვო ბაღებში და ბაგებში (საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში), იმ განსხვავებით, რომ მშობლებისაგან გადახდილი თანხით აღდება ხელფასზე გაწეული საკასო ხარჯი (მუხლი 1), ნაცვლად საბავშვო ბაღში კვების ხარჯების (მუხლი 9) აღდგენისა.

თანამშრომელთა კვებისათვის მუშებთან და მოსამსახურეებთან ანგარიშსწორების ნაწილში:

— გადასახდელის დარიცხვისას (კვების პროექტების ღირებულება)

დებეტი სუბანგარიში № 172 და კრედიტი — № 061;

— დარიცხული თანხის გადახდისას

დებეტი სუბანგარიში № 120 და კრედიტი — № 172.

ამ ოპერაციების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ფ. № 285 ბრუნვათა უწყისში.

ფორმის ტანსაცმლის მიხედვით მუშებთან და მოსამსახურეებთან ანგარიშსწორების ოპერაციების აღრიცხვა (ანგარიშთა კორესპონდენცია) ისევეა, როგორც მუშებთან და მოსამსახურეებთან საშუაოდ აღდგულ მიღებული კვებისათვის ანგარიშსწორების ოპერაციები, იმ განსხვავებით, რომ ფორმის ტანსაცმლის გაცემით დაკრედიტდება № 067 სუბანგარიში, ნაცვლად კვების პროექტების № 061 სუბანგარიშისა.

სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებებში, სკოლა-ინტერნატებში, სკოლებთან არსებულ ინტერნატებში და მუსიკალურ სკოლებში მშობელთა მიერ კვებისა და სწავლების გადასახდელი შეიტანება შეტყობინება-ჭვითით ფ. № 3დ-5.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის დაწესებულებებში ბავშვთა კვების მიხედვით მშობლებთან ანგარიშსწორება აისახება № 12 ყურნალ-ორდერში.

სუბანგარიში № 173 „ანგარიშსწორებანი ბიუჯეტში გადასახდლებით“ გამოიყენება ბიუჯეტის შემოსავალში შესატანი გადასახდლებით ანგარიშსწორებისათვის.

№ 173 სუბანგარიში პასიურია და ბალანსის ცხრილში გვხვდება მხოლოდ პასივში. იგი გვიჩვენებს ბიუჯეტური დაწესებულების დავა-

ლიანებას ბიუჯეტში შესატანი გადასახდელებით. ამ სუბანგარიშის კრედიტში იწერება ბიუჯეტისადმი კუთვნილი თანხები, ხოლო დებეტში ამ თანხების ბიუჯეტში გადარიცხვა ან შეტანა.

ანალიზურ აღრიცხვაში ბიუჯეტში გადასახდელის თითოეული სახისათვის იხსნება ცალკე ანგარიში ფ. № 292 დავთარში ან ფ. № 292-ა ბარათებში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის დაწესებულებების ბუხპალატრულ აღრიცხვაში ბიუჯეტთან გადასახდელებით ანგარიშსწორების ანალიზური აღრიცხვა გადასახდელთა ცალკე სახეების მიხედვით წარმოებს № 14 უფრნალ-ორდერში.

ბიუჯეტზე მყოფი თითქმის ყველა დაწესებულების ანალიზურ აღრიცხვაშია გამოყენებული მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან დაკავებული გადასახადებით ანგარიშსწორება ბიუჯეტთან. კერძოდ, საშემოსავლო გადასახადით ანგარიშსწორება ბიუჯეტთან და სსრკ უცოლო, უქმრო, მარტახელა და მკირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადით ანგარიშსწორება ბიუჯეტთან.

ბიუჯეტში შესატანი დანარჩენი გადასახდელები (გარდა სკოლა-ინტერნატში ბავშვთა შენახვისათვის გადასახდელისა) ატარებენ არასისტემატურ ხასიათს და წარმოიშობიან შესაბამისი პირობების დადგომისას.

№ 174 სუბანგარიში „ანგარიშსწორებანი დეპოზიტური თანხებით“ გამოიყენება დაწესებულების დროებით განკარგულებაში მყოფი სახსრების აღსარიცხავად, რომელიც გარკვეულ პირობათა დადგომისას ექვემდებარება დაბრუნებას.

დეპოზიტური თანხები ინახება სახბანკის დაწესებულებაში ბიუჯეტგარეშე სახსრების მიმდინარე ანგარიშზე და პირობათა დადგომისას გაიცემა ან გადაირიცხება იმ პირებზე ან ორგანიზაციებზე, რომელთაც ეკუთვნით ეს თანხები.

174 ანგარიში პასიური ანგარიშია. მას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ საკრედიტო ნაშთი.

დეპოზიტური თანხების მიღებისას დადებულდება 112 ან 120 სუბანგარიში და დაკრედიტდება 174 სუბანგარიში, ხოლო გადარიცხვისას ან გაცემისას თანხა ჩაიწერება 174 სუბანგარიშის დებეტში და შესაბამისად 112 ან 120 სუბანგარიშის კრედიტში.

დეპოზიტური თანხის შემომტან თითოეულ პირს ან ორგანიზაციას ცალკე ანგარიში ეხსნება ანალიზურად 292-ა ფორმის ბარათზე ან 292 ფორმის დავთარში.

№ 176 სუბანგარიში „ანგარიშსწორებანი დავალებათა ხარჯებისათვის მიღებული სახსრებით“ გამოიყენება იმ საწარმოებთან, ორგანი-

ზაციებთან და დაწესებულებებთან ანგარიშსწორებისათვის, რომელთაგანაც მიღებულია სახსრები დავალებით რაიმე ხარჯების გასაწევად.

№ 176 სუბანგარიში არის პასიური ანგარიში. მის კრედიტში იწერება დავალებათა თანხების მიმდინარე ანგარიშზე (სუბანგარიში № 110) შემოსული სახსრები, ხოლო დებეტში — დავალებათა ხარჯების გაწევა № 110 სუბანგარიშის დაკრედიტებით.

№ 176 სუბანგარიშის ანალიზურ აღრიცხვაში თითოეული დავალების მომცემს ეხსნება ცალკე ანგარიში № 292 დავთარში ან № 292-ა ბარათებზე.

მეცნიერებათა აკადემიის სისტემის დაწესებულებებში № 176 სუბანგარიშის ანალიზური აღრიცხვა წარმოებს № 12 ჟურნალ-ორდერში.

№ 177 სუბანგარიში „ანგარიშსწორებანი დეპონენტებთან“ გამოიყენება შემდეგი ანგარიშსწორებებისათვის:

— მუშა-მოსამსახურეებთან და სტიპენდიატებთან ვადაზე მიუღებელი ხელფასით და სტიპენდიით ანგარიშსწორებისათვის;

— კერძო პირების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სასარგებლოდ ხელფასიდან და სტიპენდიიდან აღმასრულებელი ფურცლებით დაკავებული თანხების მიხედვით ანგარიშსწორებისათვის;

— დაწესებულებაში შემოსული დეპოზიტური თანხების მიხედვით ანგარიშსწორებისათვის და სხვ.

ვადაზე მიუღებელი ხელფასის ან სტიპენდიის დეპონირება, ე. ი. შენახვა ხდება № 177 სუბანგარიშზე შემდეგი გატარებით: დებეტში № 180 ან № 181 სუბანგარიში და კრედიტი № 177 სუბანგარიში.

დეპონირებული ხელფასისა და სტიპენდიის ანალიზური აღრიცხვა წარმოებს „დეპონირებული ხელფასისა და სტიპენდიის ანალიზური აღრიცხვის დავთარში“ (ფ. № 441).

აღმასრულებელი ფურცლებით ხელფასიდან და სტიპენდიიდან დაკავებული თანხები გატარდება დებეტი სუბანგარიში № 180 ან № 181 და კრედიტი — № 177.

აღმასრულებელი ფურცლებით დაკავებული თანხებით ანგარიშსწორების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ფ. № 292 დავთარში ან ფ. № 292-ა ბარათებზე. ანალიზურ აღრიცხვაში ანგარიშები ეხსნებათ ცალ-ცალკე თითოეულ პირს, დაწესებულებას ან ორგანიზაციას, რომელთა სასარგებლოდაც დაკავდა თანხა.

დაწესებულებაში შემოსული დეპოზიტური თანხა (მაგალითად ავადმყოფის მიერ საავადმყოფოს სალაროში შესანახად შეტანილი) გატარდება № 120 სუბანგარიშის დებეტში და № 177 სუბანგარიშის კრედიტში. სალაროში შემოსული დეპოზიტური თანხა შეიტანება სახბანკოს დაწესებულებაში ბიუჯეტგარეშე სახსრების ცალკე მიმდინარე ანგარიშზე, რომელიც გატარდება: დებეტი სუბანგარიში № 112 „მიმ-

დინარე ანგარიში სხვა ბიუჯეტვარემ სახსრებზე“ და კრედიტი სუბანგარიში № 120.

№ 177 სუბანგარიში პასიური ანგარიშია, მის კრედიტში იწერება დეპონენტებისადმი კუთვნილი თანხები, ხოლო დებეტში — დეპონენტებზე გაცემული თანხები, სათანადო ფულადი სახსრების სუბანგარიშს კრედიტზე მიკუთვნებით.

მეცნიერებათა აკადემიის სისტემის დაწესებულებებში № 177 სუბანგარიშის ანალიზური აღრიცხვა წარმოებს № 14 ჟურნალ-ორდერში.

№ 178 სუბანგარიში „ანგარიშსწორებანი დანარჩენ დებიტორებთან და კრედიტორებთან“ გამოიყენება ანგარიშსწორებებზე მისაკუთვნილებელი ისეთი ოპერაციების აღსაზრისადაც, რომლებიც თავისი შინაარსის მიხედვით არ მიეკუთვნებიან №№ 170—177, 179 სუბანგარიშებს.

№ 178 სუბანგარიში აქტიურ-პასიურია. ამ სუბანგარიშის ანალიზური აღრიცხვა წარმოებს № 6 მეჰორიალურ ორდერში — „სხვადასხვა დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ანგარიშსწორების მაგროვებელ უწყისში“ (ფ. № 408). მოქმედი ინსტრუქციის მიხედვით ნებადართულია ანგარიშსწორებების მცირე ოპერაციების მქონე დაწესებულებებში № 178 სუბანგარიშის ანალიზური აღრიცხვა იწარმოოს № 292 დავთარში.

№ 178 სუბანგარიშის დებეტში იწერება დავალიანების ამსახველი ოპერაციები და საკრედიტო ნაშთის დასაფარავად მიცემული თანხები. ხოლო კრედიტში სხვა პირების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სასარგებლოდ დარიცხული და დებიტორული დავალიანების დასაფარავად მიღებული თანხები.

№ 178 სუბანგარიშს შეიძლება ჰქონდეს როგორც საღებეტო, ისე საკრედიტო ნაშთები. ბრუნვათა უწყისის მიხედვით არსებული საღებეტო ნაშთები უნდა ჩაიწეროს ბალანსის აქტივში, ხოლო საკრედიტო — პასივში. აკრძალულია № 178 სუბანგარიშის ნაშთების ბალანსში გასაღდოებულად ჩვენება, საქიროა ნაშთების გაშლილად ჩაწერა, რაც იძლევა დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ნამდვილ სურათს.

მეცნიერებათა აკადემიის სისტემის დაწესებულებებში № 178 სუბანგარიშის ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს № 15 ჟურნალ-ორდერში.

№ 179 სუბანგარიში „ანგარიშსწორებანი გეგმური გადასახდელების წესით“ გამოიყენება ბიუჯეტური დაწესებულების მიერ იმ მომწოდებლებთან ანგარიშსწორებისათვის, რომლებთანაც თანახმად წინასწარ დადებული ხელშეკრულებისა, დაგეგმილია გადახდის ვადები. ასეთი წესით ანგარიშსწორებისათვის თვის დასაწყისში მომწოდებელს

გადარიცხება ავანსი, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ხდება ანგარიშის გასწორება.

გეგმური გადასახდელების წესით ანგარიშსწორებათა ოპერაციები ჩაიწერება № 7 მემორიალურ ორდერში — გეგმური გადასახდელების წესით ანგარიშსწორებათა მაგროვებელ უწყისში (ფ. № 408).

№ 179 სუბანგარიში აქტიურ-პასიურია. ამ სუბანგარიშის დებეტში იწერება მომწოდებელზე გადარიცხული ავანსი, სათანადო საბიუჯეტო (მიმდინარე) ანგარიშების დაკრედიტებით და მომწოდებლის კრედიტორული ნაშთის დასაფარავად გადარიცხული თანხა, ხოლო კრედიტში — მომწოდებლებისგან მიღებულ მატერიალურ ფასეულობათა ღირებულება (სათანადო მატერიალურ ფასეულობათა სუბანგარიშების დადებეტებით) და მომწოდებლის მიერ სადებეტო ნაშთის დასაფარავად გადმორიცხული თანხა.

ანალიზური აღრიცხვა წარმოებს № 292 ფორმის დავთარში ან ფ. № 292-ა ბარათებზე.

3. ანგარიშსწორებანი მუშა-მოსამსახურებთან და სტიპენდიატებთან

ბუხპალტრული აღრიცხვის ანგარიშების გეგმის მიხედვით პირველი რიგის ანგარიში № 18 „ანგარიშსწორებანი მუშა-მოსამსახურებთან და სტიპენდიატებთან“ აერთიანებს შემდეგ მეორე რიგის ანგარიშებს:

№ 180 — ანგარიშსწორებანი მუშებთან და მოსამსახურებთან;

№ 181 — ანგარიშსწორებანი სტიპენდიატებთან;

№ 182 — ანგარიშსწორებანი მუშებთან და მოსამსახურებთან განვადებით მიყიდული საქონლისათვის;

№ 183 — ანგარიშსწორებანი მუშებთან და მოსამსახურებთან შემნახველ სალაროებში ანაბრების ანგარიშებზე უნაღლო გადარიცხვებით;

№ 184 — ანგარიშსწორებანი მუშებთან და მოსამსახურებთან ხელშეკრულებების მიხედვით ნებაყოფლობითი დაზღვევის შენატანების უნაღლო გადარიცხვებით;

№ 185 — ანგარიშსწორებანი პროფკავშირების წევრებთან პროფკავშირული საწევრო შენატანი თანხების უნაღლო გადარიცხვებით;

№ 186 — ანგარიშსწორებანი მუშებთან და მოსამსახურებთან სსრ კავშირის სახბანკის სესხებით;

№ 187 — ანგარიშსწორებანი აღმასრულებელი საბუთებით და სხვა დაკავებებით;

№ 189 — სხვა ანგარიშსწორებანი შესრულებული სამუშაოებისათვის.

№ 18 ანგარიში პასიური ანგარიშია, რის გამო მას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ საკრედიტო ნაშთი, თუ შესაბამისი ანგარიშსწორება არ არის დახურული.

№ 180 სუბანგარიშის კრედიტში იწერება მუშებისა და მოსამსახურეებისადმი კუთვნილი ხელფასის და შრომისუუნარობის ფურცლებით დარიცხული დახმარების თანხები, ხოლო დებეტში — დარიცხული თანხების ანგარიშში წარმოებული ყოველგვარი დაკავება და ხელზე მიღებული თანხა.

ხელფასის და შრომისუუნარობის ფურცლებით კუთვნილი თანხების დარიცხვა წარმოებს თვის უკანასკნელ სამუშაო დღეს „საანგარიშსწორებო-საგადასახდელო უწყისით“ (ფ. № ტ.-49) და ამავე თარიღით აისახება აღრიცხვაში.

ბიუჯეტურ დაწესებულებებში, რომლებშიც თვიური ხელფასი ორ ნაწილად იცემა, თვის პირველ ნახევარში გაიცემა ავანსი „გეგმიური ავანსის გაცემის საგადასახდელო უწყისით“ (ფ. № 389), ხოლო მეორე ნახევრის ხელფასი გაიცემა „საანგარიშსწორებო-საგადასახდელო უწყისით“ (ფ. № ტ.-49).

იქ დაწესებულებებში, რომლებშიაც თვიური ხელფასის გაცემა წარმოებს თვეში ერთხელ, ხელფასის დარიცხვა და გაცემაც წარმოებს „საანგარიშსწორებო-საგადასახდელო უწყისით“ (ფ. № ტ.-49).

ვადაზე მოუკითხავი ხელფასები ხვდება დეპონირებაზე, რომლის ანალიზური აღრიცხვა წარმოებს „დეპონირებული ხელფასისა და სტიპენდიის ანალიზური აღრიცხვის დავთარში“ (ფ. № 441).

ანგარიშსწორებანი მუშებთან და მოსამსახურეებთან ხელფასის და შრომისუუნარობის ფურცლით დარიცხული დახმარების თანხების მიხედვით აისახება № 5 მემორიალურ ორდერში — ხელფასებისა და სტიპენდიების საანგარიშსწორებო უწყისების ნაერთში (ფ. № 405).

მეცნიერებათა აკადემიის სისტემის დაწესებულებებში, სადაც აღრიცხვის ეურნალ-ორდერული ფორმაა გამოყენებული, საანგარიშსწორებო-საგადასახდელო უწყისების საფუძველზე დგება მათი მაგროვებელი უწყისები, რომლის ჩამობრივი მონაცემები შეიტანება № 14 ეურნალ-ორდერში.

ანალიზურ აღრიცხვაში თითოეული მუშა-მოსამსახურისათვის შემოდებულია ბარათ-ცნობა (ფ. № 417), რომელიც მუდმივ შენახვას ექვემდებარება და გამოიყენება საჭიროების შემთხვევაში მუშებისა და მოსამსახურეების მიერ გამომუშავებული (დარიცხული) ხელფასის შესახებ ცნობების გასაცემად.

№ 181 სუბანგარიში გამოიყენება სტიპენდიატებთან სტიპენდიით ანგარიშსწორებისათვის.

სტიპენდიების დარიცხვა ხდება თვეში ერთხელ „საანგარიშსწორებო-საგადასახდლო უწყისით“ (ფ. № ტ-49) და ამავე უწყისით ხდება მისი გაცემა. ამ სუბანგარიშის კრედიტში ჩაიწერება დარიცხული სტიპენდიები, ხოლო დებეტში დაკავებული თანხები და ხელზე გაცემული სტიპენდია.

№ 182 სუბანგარიში „ანგარიშსწორებანი მუშებთან და მოსამსახურეებთან განვადებით მიყიდული საქონლისათვის“ გამოიყენება ხელფასიდან დაკავებული თანხებით სავაჭრო ორგანიზაციებთან ანგარიშსწორებისათვის.

განვადებით მიყიდული საქონლისათვის ხელფასიდან დაკავებულ თანხაზე შედგება გატარება: დებეტი № 180 სუბანგარიში და კრედიტი № 182 სუბანგარიში.

ანალიზურ აღრიცხვაში თითოეულ სავაჭრო ორგანიზაციას გაეხსნება ცალკე ანგარიში ფორმა № 292 დავთარში ან ფ. № 292-ა ბარათზე.

სავაჭრო ორგანიზაციაზე თანხის გადარიცხვა გატარდება: დებეტი № 182 სუბანგარიში და კრედიტი ფულადი სახსრების შესაბამისი სუბანგარიში.

№№ 183, 184 და 185 სუბანგარიშები № 182 სუბანგარიშის ანალოგიურია, იმ განსხვავებით, რომ ანალიზურ აღრიცხვაში № 183 სუბანგარიშისათვის ანგარიშები გაეხსნება შემნახველ სალაროებს, № 184 სუბანგარიშისათვის — სახდაზღვევის შესაბამის თითოეულ ინსპექციას, № 185 სუბანგარიშისათვის თითოეულ შესაბამის პროფკავშირულ ორგანიზაციას, № 186 სუბანგარიშისათვის — სსრ კავშირის სახბანკოს თითოეულ გამსესხებელ დაწესებულებას, № 187 სუბანგარიშისათვის — აღმასრულებელი ფურცლებით და სხვა საბუთებით თითოეულ მიმღებს, ხოლო № 189 სუბანგარიშისათვის — სამუშაოთა შემსრულებლების მიხედვით.

თ ა ვ ი VII

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ნაცნიერებათა აკადემიისა და სხვა საბიუჯეტო დაწესებულებებში

1. ძირითადი საშუალებების დაჯგუფება და აღრიცხვა

საბიუჯეტო დაწესებულებები თავისი საქმიანობის განსახორციელებლად განაგებენ ძირითად საშუალებებს, რომელიც შეადგენს ჩვენი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ნაწილს. ძირითადი საშუალებების სწორი აღრიცხვა და გამოყენება წარმოადგენს დიდი მნიშვნელობის სახალხო-სამეურნეო საქმეს ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური აღმავლობისათვის.

საბიუჯეტო დაწესებულებებში ძირითადი საშუალებების აღრიცხვამ უნდა უზრუნველყოს ძირითადი საშუალებების მიღების სწორი დოკუმენტური გაფორმება და სააღრიცხვო რეგისტრებში დროული ასახვა, დაწესებულებებს შიგნით მათი გადაადგილება, დაწესებულებიდან გასვლა ან სიძველისა თუ მორალური ცვეთის გამო ლიკვიდაცია. აგრეთვე კონტროლი თითოეული ობიექტის (საგნის, კომპლექტის) შენახვაზე და სწორ გამოყენებაზე. საბიუჯეტო დაწესებულებებში ძირითადი საშუალებები იყოფა 3 ჯგუფად.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება საგნები, რომლის ერთეულის ღირებულება შეადგენს 100 მანეთს და ზევით და ემსახურება დაწესებულებას ერთ წელზე მეტ ხანს. მათ მიეკუთვნება შენობები, ნაგებობები, გადამცემი მოწყობილობები, მანქანები და დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები, საწარმოო ინვენტარი და მოწყობილობები, სასადილო და სამზარეულო ინვენტარი (კომპლექტი), მრავალწლიანი ნარგავები და სხვა.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება საგნები მიუხედავად მისი ღირებულებისა და მუშაობის ხანგრძლივობისა. ესენია სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი (წვრილფეხას ჩათვლით), საბიბლიოთეკო ფონდები და სამუზეუმო ფასეულობანი, ცხოველთა სამყაროს ექსპონატები, კინოფილმები, ტიპური და პროექტების დოკუმენტაცია და სხვა.

მესამე ჯგუფს მიეკუთვნება საგნები, რომლის ერთეულის (კომპლექტის) ღირებულება შეადგენს 2 მანეთს და ზევით: თეთრეული, ლოგინის კუთვნილებანი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, სასცენო-დასახელო საშუალებები.

ძირითად საშუალებებს მიეკუთვნება აგრეთვე ნიადაგის გაუმჯობესებაზე კაპიტალური დაბანდებების სახსრებიდან გაწეული ხარჯები, რომელიც არ არის დაკავშირებული ნაგებობების შექმნასთან და კაპიტალური დანახარჯები იჯარით აღებულ ძირითად საშუალებებში.

ძირითად საშუალებებს არ მიეკუთვნება და აღირიცხება მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების შემადგენლობაში:

ა) თეთრეული, ლოგინის კუთვნილებანი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, სასცენო-დადგმითი საშუალებები, რომელთა ერთეულის (კომპლექტის) ღირებულება 2 მანეთზე ნაკლებს შეადგენს;

ბ) მანქანები და მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები, ხელსაწყოები, საწარმოო ინვენტარი და მოწყობილობა, სამეურნეო. სასადილო და სამზარეულო ინვენტარი, რომელთა ერთეულის (კომპლექტის) ღირებულება 100 მანეთზე ნაკლებს შეადგენს;

გ) თევზსაჭერი იარაღები (ტრალები, ბადეები, ხოლინები და სხვა სათევზაო ხელსაწყოები) მათი ღირებულებისა და მოხმარების ხანგრძლივობის მიუხედავად;

დ) ფრინველები, ბოცვერები, ბეწვიანი ნადირები და ფუტკრების ოჯახები მათი ღირებულების მიუხედავად;

ე) მრავალწლიანი ნარგავები, რომლებიც გამოზრდილია სანერგეებში დასარგავი მასალის სახით.

ბოტანიკური ბაღების და სამეცნიერო დაწესებულებების ტროპიკული, სუბტროპიკული და სხვა მრავალწლიანი ნარგავები, რომლებიც წარმოადგენენ მეცნიერული კვლევის და მოსახლეობისათვის მცენარეული სიმდიდრის საჩვენებელ ობიექტს, არ მიეკუთვნება ძირითად საშუალებებს და აღირიცხება შეფასების გარეშე სამეცნიერო განყოფილებებში სპეციალურ კარტოთეკაში, თუ ისინი შექმნილია სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სახსრების ხარჯზე.

სპეციალური დანიშნულების მოწყობილობები, რომლებიც შექმნილია სახელშეკრულებო სამუშაოების შესასრულებლად, სახელშეკრულებო თანხებიდან აღირიცხება № 60-2 სუბანგარიშზე მათი ღირებულების მიუხედავად.

სსრკ სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების (საშუალებების) ტიპური კლასიფიკაცია, დამტკიცებული სსრკ ცსს მიერ 1970 წლის 30 აპრილს № 9—113, შევიდა მოქმედებაში სსრკ ცსს და სსრკ ფინანსთა სამინისტროს 1970 წლის 23 ნოემბრის № 9-17/24-10 წერილით 1971 წლის 1 იანვრიდან.

ტიპური კლასიფიკაციიდან გამომდინარე, საბიუჯეტო დაწესებულებებისათვის ძირითადი ფონდების (საშუალებების) კლასიფიკაცია მოცემულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1987 წლის 10 მარტის № 61 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში, რომელიც აღრიცხვას ორმაგი სისტემით ითვალისწინებს.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვისათვის განკუთვნილია ანგარიში № 01 „ძირითადი საშუალებები“, რომელიც იყოფა შემდეგ სუბანგარიშებად:

№ 010 „შენობები“;

№ 011 „ნაგებობები“;

№ 012 „გადამცემი მოწყობილობები“;

№ 013 „მანქანები და დანადგარები“;

№ 014 „თეთრეული, ლოგინის კუთვნილებანი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი“;

№ 015 „სატრანსპორტო საშუალებები“;

№ 016 „ხელსაწყოები, საწარმოო (კუთვნილებათა ჩათვლით) და სამეურნეო ინვენტარი“;

№ 017 „მუშა და პროდუქტიული პირუტყვი“;

№ 018 „საბიბლიოთეკო ფონდი“;

№ 019 „დანარჩენი ძირითადი საშუალებები“.

№ 010 სუბანგარიშზე „შენობები“ აღიარდება ცალკე ჯგუფებად: ჯგუფი I. საწარმოო-სამეურნეო დანიშნულების შენობები, რომლებიც დაკავებული აქვს მმართველობის ორგანოებს, სოფლის მეურნეობას, სოციალურ-კულტურულ (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიები, სასწავლო დაწესებულებების, საავადმყოფოების, პოლიკლინიკების და ამბულატორიების, მოხუცებისა და ინვალიდებისათვის სახლების, საბავშვო დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, კლუბების, მუზეუმების და სხვა შენობები) და სხვა დაწესებულებებს;

ჯგუფი II. შენობები, რომლებიც მთლიანად ან მისი უმეტესი ნაწილი განკუთვნილია საცხოვრებლად (რომლებშიც საცხოვრებელი საერთო სასარგებლო ფართობი შეადგენს მთლიანი სასარგებლო საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის არანაკლებ 50 პროცენტს).

№ 011 სუბანგარიშზე „ნაგებობანი“ აღიარდება: წყალსადენები, სტადიონები, აუზები, გზები, ხიდები, ძეგლები, პარკები, სკვერები, საზოგადოებრივი ბაღები, ლობეები და სხვა.

№ 012 სუბანგარიშზე — „გადამცემი მოწყობილობები“ აღიარდება: ელექტროგადამცემი ხაზები, ტრანსმისიები და მილგაყვანილობა ყველა თავის მოწყობილობით რაც საჭიროა ენერჯის ტრანსფორ-

მაციისათვის (გარდაქმნისათვის) და გადაცემისათვის, აგრეთვე მიღგაყვანილობით თხევადი და გაზობრივ ნვთიერებათა მომხმარებლამდე გადასაცემად.

შენიშვნა: ელექტროსადგურების შენობები, გაზკომპრესორული, საქაჩავი და სხვა სადგურების შენობები აღირიცხება № 010 სუბანგარიშზე, ხოლო მათში არსებული მოწყობილობები — № 013 სუბანგარიშზე.

№ 013 სუბანგარიშზე „მანქანები და დანადგარები“ აღირიცხება: ძალოვანი მანქანები და მოწყობილობები, მუშა მანქანები და მოწყობილობები, საზომი ხელსაწყოები, მარეგულირებელი ხელსაწყოები და მოწყობილობები, ლაბორატორიული დანადგარები, გამომთვლელი ტექნიკა, სამედიცინო მოწყობილობები, სხვადასხვა მანქანები და დანადგარები. სუბანგარიში იყოფა ჯგუფებად აღირიცხვის ობიექტებისათვის ინვენტარული ნომრების მისაკუთვნებლად:

ჯგუფი I. ძალოვან მანქანებს და დანადგარებს მიეკუთვნება: მანქანა-გენერატორები, რომლებიც აწარმოებენ თბურ და ელექტრულ ენერგიას, მანქანა-ძრავები, რომლებიც გარდაქმნიან სხვადასხვა სახის ენერგიას (წყლის, ქარის, თბურ, ელექტროენერგიას და სხვა) მექანიკურ ენერგიად, ე. ი. მოძრაობის ენერგიად.

ჯგუფი II. მუშა მანქანებს და დანადგარებს მიეკუთვნება: მანქანები, აპარატები და მოწყობილობები, რომლებიც განკუთვნილია შრომის საგნებზე მექანიკური, თერმული და ქიმიური ზემოქმედებისათვის პროდუქტის შექმნის ან საწარმოო სახის მომსახურების პროცესში და გადაადგილებენ შრომის საგნებს წარმოების პროცესში მექანიკური ძრავების, ადამიანისა და ცხოველის ძალის დახმარებით.

ჯგუფი III. საზომ ხელსაწყოებს მიეკუთვნება: დოზატორები, ამპერმეტრები, ბარომეტრები, ვატმეტრები, წყალსაზომები, ვაკუუმმეტრები, ვაპორიმეტრები, ვოლტმეტრები, სიმაღლის მზომები, გალვანომეტრები, კომპასები, მანომეტრები, ქრონომეტრები, სპეციალური სასწორები, საზომები, საკასო აპარატები და სხვა.

ჯგუფი IV. მარეგულირებელ ხელსაწყოებს და მოწყობილობებს მიეკუთვნება: ჟანგბად-სასუნთქი ხელსაწყოები, ელექტრული, პნევმატური და ჰიდრაულიკური მარეგულირებელი ხელსაწყოები, ავტომატური მართვის პულტები, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების აპარატურა, საღისპეტჩერო კონტროლის სახაზო მოწყობილობა და სხვა.

ჯგუფი V. ლაბორატორიულ მოწყობილობებს მიეკუთვნება: პირომეტრები, რეგულატორები, კალორიმეტრები, გამოსახდელი ქვაბები, ლაბორატორიული კოპრები, სინოტივის განმსაზღვრელი ხელსაწყოები, სიმტკიცის გამომცდელი ხელსაწყოები, მიკროსკოპები, თერმოსტატები, სტაბილიზატორები, გამწოვი კარადები და სხვა.

ჯგუფი VI. გამოთვლით ტექნიკას მიეკუთვნება: ელექტრო-გამომთვლელი, მმართავი და ანალოგიური მანქანები, რიცხობრივი გამომთვლელი მანქანები და მოწყობილობები (კლავიშებიანი გამომთვლელი და დამაჯამებელი მანქანები, პერფორაციული გამომთვლელი მანქანები და სხვა).

ჯგუფი VII. სამედიცინო მოწყობილობას მიეკუთვნება: სამედიცინო მოწყობილობა (კბილის საექიმო სავარძლები, საოპერაციო მაგიდები, საწოლები სპეციალური მოწყობილობებით და სხვა), სპეციალური სადენზინფექციო და სადენზინსექციო მოწყობილობა, სარძეო სამზარეულოებისა და სარძეო სადგურების, სისხლის გადასხმის სადგურებისა და სხვათა მოწყობილობები.

ჯგუფი VIII. სხვა მანქანებსა და მოწყობილობებს მიეკუთვნება: მანქანები, აპარატები და სხვა მოწყობილობები, რომლებიც ზევით არ არის ჩამონათვალში მოხსენებული. სხვა მანქანებსა და მოწყობილობებს მიეკუთვნება: სტადიონების, სპორტული მოედნებისა და ნაგებობების მოწყობილობები (მათ შორის სპორტული იარაღები), კაბინეტებისა და სახელოსნოების მოწყობილობები სასწავლო დაწესებულებებში; კინოაპარატურა, გამანათებელი აპარატურა, სცენის მოწყობილობა, მუსიკალური ინსტრუმენტები, ტელევიზორები, რადიოაპარატურა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების და სამეცნიერო საქმიანობით დაკავებული სხვა დაწესებულებების სპეციალური მოწყობილობა, ატს-ის მოწყობილობა, სახანძრო მანქანები ავტომობილისა და ცხენის სვლით, სახანძრო ავტოცისტერნები, მექანიკური, სახანძრო კიბეები, სარეცხი და საკერავი მანქანები, მაცივრები, მტვერსასრუტები და სხვა.

№ 014 სუბანგარიშზე „თეთრეული, ლოგინის კუთვნილებანი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი“ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა დაწესებულებებში აღირიცხება საგნები, რომელთა ერთეულის (კომპლექტის) ღირებულება შეადგენს 2 მანეთს და ზევით, ცალკე ჯგუფებად გამოყოფით:

ჯგუფი I. თეთრეული (ხალათები, პერანგები და ა. შ.);

ჯგუფი II. ლოგინის თეთრეული და მოწყობილობა (ლეიბები, ბალიშები, საბნები, ზეწრები, საბნის გამოსაკრავები, ბალიშის პირები, გადასაფარებლები, საძილე ტომრები და ა. შ.);

ჯგუფი III. ტანსაცმელი და მოწყობილობა სპექტანსაცმლის ჩათვლით (კოსტუმები, პალტოები, ლაბადები, კაბები, შარვლები, ქვედაკაბები, ქურთუკები და ა. შ.);

ჯგუფი IV. ფეხსაცმელი, სპეციალურის ჩათვლით (ყელიანი ფეხსაცმელები, ჩექმები, ფლოსტები, ნაბდის ჩექმები და ა. შ.);

ჩგუფი V. სპორტული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი (კოსტუმები, ყელიანი ფეხსაცმელი და ა. შ.).

№ 015 სუბანგარიშზე „სატრანსპორტო საშუალებები“ აღირიცხება ყველა სახის მიმოსვლის საშუალებები, რომლებიც განკუთვნილია ხალხის გადასაყვანად და ტვირთის გადასაზიდად, გარდა სატრანსპორტო ცხენებისა და სხვა სატრანსპორტო პირუტყვისა, რომლებიც მიეკუთვნებიან „მუშა და პროდუქტიული პირუტყვის ჩგუფს“ (№ 017 სუბანგარიში).

I ჩგუფი: რკინიგზის, წყლის, საავტომობილო ტრანსპორტის ნოძრავი შემადგენლობა (ელმავალი, თბომავალი, ორთქლმავალი, მოტომავალი, მოტოდრეზინა, ვაგონები, ბაქნები, ცისტერნები, გემები, დიზელექტრომავალი, ბუქსირები, კარჭაპები, ორჩხომელები, სასამსახურო დამხმარე და მასველი ნავეები და გემები, ტივტივა ნავმისადგომები, აფრიანი გემები, სატვირთო და მსუბუქი ავტომობილები. მიზამბელები, ავტოთვითმცლები, ავტოცისტერნები, ავტობუსები, გამწევი ტრაქტორები და სხვა);

II ჩგუფი: საპაერო ტრანსპორტის ნოძრავი შემადგენლობა (თვითმფრინავეები, ვერტმფრენები და სხვა);

III ჩგუფი: საქაპანო ტრანსპორტი (ფორანი, მარხილი და სხვა);

IV. ჩგუფი: საწარმოო ტრანსპორტი (ელექტროკარები, მოტოციკლები, მოტოროლერები, ველოსიპედები, ურიკები და სხვა);

V ჩგუფი: სპორტული ტრანსპორტის ყველა სახე.

სატრანსპორტო და სპორტული ცხენები და სხვა სატრანსპორტო ცხოველები აღირიცხება № 017 სუბანგარიშზე, „მუშა და პროდუქტიული პირუტყვი“.

№ 016 სუბანგარიშზე „ხელსაწყობები, საწარმოო (ყუთვნილებათა ჩათვლით) და სამეურნეო ინვენტარი“ აღირიცხება ცალკე ჩგუფების გამოყოფით:

I ჩგუფი. ხელსაწყობები. მიეკუთვნება: მექანიზებული და არამექანიზებული საერთო დანიშნულების შრომის იარაღები, აგრეთვე მანქანებზე მისამაგრებელი საგნები, რომლებიც განკუთვნილია მასალების დასამუშავებლად: მჭრელი, დამრტყმელი, საწნეხი და შემამკვიდროებელი ხელით სამუშაო იარაღები, ხელით სამუშაო მექანიზებული იარაღების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ ელექტროენერჯის, შეკუმშული ჰაერის საშუალებით და ა. შ. (ელექტრობურღები, საღებავპულტები, ელექტროვიბრატორები, ქანჩსაბრუნები და სხვა), აგრეთვე მასალების დასამუშავებლად და სამონტაჟო სამუშაოებისათვის გამოსაყენებელი ყველა სახის მოწყობილობა (გირაგები, მასრები, გამყოფი თავები, ავტომობილებზე ძრავების დასადგმელი და კარდანის ღერძის მოსატრიალებელი მოწყობილობა და სხვა).

II ჯგუფი. საწარმოო ინვენტარი და მოწყობილობა. მიეკუთვნება: საწარმოო დანიშნულების საგნები, რომლებიც ემსახურება მუშაობის დროს საწარმოო ოპერაციების შემსუბუქებას: სამუშაო მაგიდები, დაზგები, კათედრები, მერხები და ა. შ.; მოწყობილობები, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის დაცვას; თხევადი და ფხვნიერი ნივთიერებების შესანახი სათავსოები (ავზები, ფარდულები, ქვევრები და ა. შ.); სავაჭრო კარადები და თაროები; საინვენტარო ტარა; ტექნიკური დანიშნულების საგნები, რომლებიც არ შეიძლება მიეკუთვნოს სამუშაო მანქანებს (მაგალითად უქვადასაღები ჩარჩოები და სხვა).

III ჯგუფი. სამეურნეო ინვენტარი, მიეკუთვნება: კანტორისა და მეურნეობის მოსაწყობი საგნები: კანტორის მოწყობილობა, გადასატანი ბარიერები, საკიდები, გარდერობები, სხვადასხვა კარადები, დივნები, მაგიდები, სავარძლები, ცეცხლგამძლე კარადები და ყუთები, საბეჭდი მანქანები, პეტროგრაფები, შაპროგრაფები და სხვა ხელის გამამრავლებელი და დამნოძრავი აპარატები, გადასატანი კარგები, ფარდულები (გარდა ეანგბადისა), საწოლები (გარდა საწოლებისა სპეციალური მოწყობილობით), ხალიჩები, სურათები და სხვა სამეურნეო ინვენტარი, აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულების ინვენტარი — ჰიდროპულტები, სტენდები, ხელით გადასატანი კიბეები და ა. შ. (გარდა ავტომობილზე და ცხენით სატარებელ სახანძრო მოწყობილობაზე დამაგრებული ტუმბოებისა და მექანიკური სახანძრო კიბეებისა, რომლებიც აღირიცხება № 013 სუბანგარიშზე „მანქანები და მოწყობილობა“).

№ 017 სუბანგარიშზე „მუშა და პროდუქტიული პირუტყვი“ აღირიცხება ცალკე ჯგუფებად გამოყოფით:

I ჯგუფი. მუშა პირუტყვი: ცხენები, ხარები, აქლემები, სახედრები და სხვა მუშა ცხოველები (სატრანსპორტო და სპორტული ცხენების ჩათვლით);

II ჯგუფი. პროდუქტიული და საჯიშე პირუტყვი: ძროხები, ბულა-მწარმოებლები, კამეჩები და იაკები (გარდა მუშებისა), ულამწარმოებლები და ჭიშიანი ფაშატები (არამუშები), ჯოჯურ შენახვაზე გადაყვანილი ფაშატები, აქლემი-მწარმოებლები და დედა აქლემები (არამუშები), დედა ირმები და ხარირმები (რქოსანი), კერატი-მწარმოებლები და დედა ღორები, დედა ცხვრები, თხები, ვერძები და სხვა.

№ 18 სუბანგარიშზე „საბიბლიოთეკო ფონდი“ აღირიცხება საბიბლიოთეკო ფონდი, მიუხედავად წიგნის ერთეულის ფასისა, საბიბლიოთეკო ფონდში შედის: სამეცნიერო, მხატვრული და სასწავლო ლიტერატურა, ლიტერატურის სპეციალური სახეები და სხვა გამოცემები.

№ 19 სუბანგარიშზე „დანარჩენი ძირითადი საშუალებები“ აღირიცხება ცალკეული ჯგუფების გამოყოფით:

I ჯგუფი. მრავალწლიანი ნარგავები. მიეკუთვნება: ხელოვნური მრავალწლიანი ნარგავები მათი ასაკის მიუხედავად: ყველა სახის ხილ-კენკროვანი ნარგავები (ხეები და ბუჩქები); გამწვანებისა და დეკორატიული ნარგავები: ქუჩებში, მოედნებზე, პარკებში, ბაღებში, სკვერებში, დაწესებულებების ტერიტორიაზე, საცხოვრებელი სახლების ეზოებში; ცოცხალი ღობეები, თოვლსაცავი და მინდორსაცავი ზოლები, ქვიშისა და მდინარის ნაპირების გასამაგრებელი ნარგავები; ხრამ-ჭაობის ნარგავებში და ა. შ.; ბოტანიკური ბაღებისა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელოვნური ნარგავები მეცნიერული მიზნებისათვის და სხვა ხელოვნური მრავალწლიანი ნარგავები.

ყველა სახის ახალგაზრდა ნარგავი აღირიცხება ცალკე იმ ნარგავებისაგან, რომლებმაც მიაღწიეს სრულ განვითარებას, ე. ი. ნაყოფის მომცემ ასაკს, ვარჯის შემჭიდროებას და სხვა.

II ჯგუფი. ნიადაგის გაუმჯობესებაზე კაპიტალური დანახარჯები. მიეკუთვნება: არასაინვენტარო ხასიათის დანახარჯები (რომლებიც არ არის დაკავშირებული ნაგებობების მშენებლობასთან) კულტურულ-ტექნიკურ ღონისძიებებზე მიწის ზედაპირული გაუმჯობესების მიზნით სოფლის მეურნეობის სარგებლობისათვის, რომელიც წარმოებს კაპიტალური დაბანდების ხარჯზე (მიწის ნაკვეთების დაგეგმვა, ფართობების ამოძირკვა მოსახნავად, მინდვრების გაწმენდა ქვებისაგან, კოლბოხების მოსწორება, ბარდების გაწმენდა, წყალსატევების გასუფთავება და სხვა).

III ჯგუფი. სამუზეუმო ფასეულობა (მათი ღირებულების მიუხედავად), გარდა სამუზეუმო ექსპონატებისა (ხელოვნებისა და საბუნებისმეტყველო საგნების, ძველი და სახალხო ყოფის, სამეცნიერო ისტორიული და ტექნიკური დანიშნულების ექსპონატები), რომლებიც აღირიცხება სამუზეუმო ფასეულობის აღრიცხვისა და შენახვის ინსტრუქციის შესაბამისად. აღირიცხება სსრკ კულტურის სამინისტროს და სხვა უწყებების სახელმწიფო მუზეუმის სისტემაში სამუზეუმო ფასეულობის აღრიცხვისა და შენახვის ინსტრუქციის შესაბამისად.

IV ჯგუფი. ზოოპარკებში და სხვა ანალოგიურ დაწესებულებებში ცხოველთა სამყაროს ექსპონატები მათი ღირებულების მიუხედავად;

V ჯგუფი. სასცენო-დადგმითი საშუალებები ერთეულის ღირებულებით 2 მანეთი და ზევით (დეკორაციები, ავეჯი და რეკვიზიტები, ბუტაფორიები, თეატრალური და ეროვნული კოსტუმები, თავსახურები, თეთრეული, ფეხსაცმელი და პარკები);

VI ჯგუფი. ტიპური დაპროექტების დოკუმენტაცია ღირებულებებისაგან დამოუკიდებლად;

VII ჯგუფი. ერთეულის (კომპლექტის) 100 მანეთზე ზევით ღირებულების ტექნიკური მატარებლების პროგრამები, სასწავლო კინოფილმი, მაგნიტური დისკები და ლენტები, კასეტები და სხვა;

VIII ჯგუფი. სხვა დანარჩენი ინვენტარი ერთეულის (კომპლექტის) ღირებულებით 100 მანეთი და ზევით (საბავშვო სათამაშოები, სპეციალური თხილამურები და სხვა).

სამუზეუმო ფასეულობა და სამეცნიერო, ისტორიული და ტექნიკური დანიშნულების მქონე ექსპონატები არ ექვემდებარე ღირებულების მიხედვით ბუხპალტრულ აღრიცხვას. ისინი უნდა აღრიცხონ სსრკ კულტურის სამინისტროს 1971 წლის 23 დეკემბრის ინსტრუქციის შესაბამისად.

დაწესებულებებმა, რომელთაც გააჩნიათ სამუზეუმო ფასეულობანი, ლაბორატორიული მოწყობილობა, ხელსაწყოები, ინსტრუმენტები და სხვა საგნები ძვირფასი ლითონისა და ძვირფასი ქვებისაგან, უნდა აღრიცხონ ეს საგნები დამატებით, სსრკ ფინანსთა სამინისტროს 1967 წლის № 228 ინსტრუქციის, სსრკ ორადი მეტალურგიის სამინისტროს 1969 წლის 11 მარტის დებულების (შეთანხმებული სსრკ ფინანსთა სამინისტროსთან 1969 წლის 12 მარტს) და მათ საფუძველზე სსრკ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1971 წლის 30 დეკემბრის № 38 — 1940 განკარგულებით დამტკიცებული ინსტრუქციის „ძვირფასი მეტალებისა და ძვირფასი ქვების მიღების, აღრიცხვის, ხარჯვის და შენახვის, აგრეთვე მათი ჭართისა და ნარჩენების შეკრების წესის“ მიხედვით.

ძირითადი საშუალებები უნდა იმყოფებოდეს იმ თანამდებობის პირთა საპასუხისმგებლო შენახვაზე, რომელთაც ბრძანებით დანიშნავს დაწესებულების ხელმძღვანელი. პირებს, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა ძირითადი საშუალებების შენახვაზე, უნდა აწარმოონ ძირითადი საშუალებების საინვენტარო სიები (ტიპ. ფორმა № დ. ს. — 13), ხოლო თეთრეული, ლოგინის კუთვნილებანი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ასახონ მასალების აღრიცხვის წიგნში ფ. № 17, თვალყური ადევნონ მათ შენახვას და აღრიცხონ ყველა ცვლილება. პასუხისმგებელი პირის შეცვლისას ხდება მისი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია, რაზედაც დგება მიღება-ჩაბარების აქტი. აქტს ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1984 წლის 4 იანვრის № 010116/02 განკარგულებით დაწესებულებების ხელმძღვანელებმა ბრძანებით უნდა დანიშნონ ძირითადი საშუალებების ტექნიკური დოკუმენტაციის შენახვისა და აღრიცხვისათვის პასუხისმგებელი პირი.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, ხოლო ობიექტები (საგნები), რომლებიც გადაფასდნენ 1973 წლის 1 იანვრის მდგომარეობით — აღდგენითი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებების აღირიცხვა წარმოებს სრულ მანეთებში, უკაპიკებოდ, გარდა თეთრეულისა, ლოგინის კუთვნილებათა, ტანსაცმლის და ფეხსაცმლის (სუბანგარიში № 014) და საბიბლიოთეკო ფონდებისა (სუბანგარიში № 018).

დამთავრებული მშენებლობები და ნაგებობები ჩაირთვება ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში მათზე გაწეული დანახარჯების სრული თანხებით, ხოლო ახლად შექმნილი ძირითადი საშუალებები — მათი შექმნის თანხით, დამზადებაზე გაწეული დანახარჯების გარეშე (ფასწანამატი, გადმოტანა).

ბუხპალატრულ ანგარიშებში აღირიცხული პირვანდელი (აღდგენითი) ღირებულება ძირითად საშუალებათა ობიექტებისა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ დაშენების, დამატებითი მოწყობილობების დაყენების ან რეკონსტრუქციის შემთხვევაში, რაც გაადიდებს მათ ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების კაპიტალურ შეკეთებაზე გაწეული დანახარჯებით მათი ღირებულება არ დიდდება.

წიგნები, სახელმძღვანელოები და სხვა გამოცემები, რომლებიც ჩართულია ბიბლიოთეკების საინვენტარო ფონდში, აღირიცხება ნომინალური ფასებით, მათი თავდაპირველი აკინძვის ღირებულების ჩათვლით. წიგნების შეკეთებაზე და რესტავრაციაზე (აღდგენაზე) გაწეული ხარჯები, მათ შორის მეორადი აკინძვა. წიგნების ღირებულებას არ აღიდებს და ჩამოიწერება ხარჯებში დაწესებულების ხარჯთნუსხის მიხედვით.

ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ძირითად საშუალებებს ამორტიზაცია არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების შემოსვლისას დაწესებულებაში (საწყობში ან საკუქნაოში) მატერიალურად პასუხისმგებელი პირი მომწოდებლის საბუთზე ან მიღების აქტზე აწერს ხელს ამ ფასეულობათა მიღების შესახებ.

ძირითადი საშუალებების გაცემა საწყობიდან (საკუქნაოდან) წარმოებს ზედნადებების (მოთხოვნილებათა) ფ. № 434-მეკ. მიხედვით, რომლებსაც ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი.

სხვა საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები ან უსასყიდლოდ სხვა საწარმოებსა და დაწესებულებებზე კანონით დადგენილი წესით გადაცემული, აგრეთვე მწყობრიდან გამოსული ძირითადი საშუალებები, აისახება აღირიცხვაში საბალანსო ღირებულებით.

სამეცნიერო დაწესებულებებში უვარგისი ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ხდება ძირითად საშუალებებში რიცხული ხმარებისათვის უვარგისი მოწყობილობის, სამეურნეო ინვენტარისა და სხვა ქონების ჩამოწერის წესის შესახებ არსებული ინსტრუქციით.

მოწყობილობების, სამეურნეო ინვენტარისა და სხვა ქონების უვარგისობის, გამოუყენებლობის, აღდგენითი შეკეთების არაეფექტურობის განსაზღვრისათვის და ძირითადი საშუალებების ჩამოსაწერად საჭირო დოკუმენტაციის გაფორმებისათვის ხელმძღვანელის ბრძანებით უნდა შეიქმნას მუდმივმოქმედი კომისია დირექტორის მოადგილის საერთო საკითხებში (თავმჯდომარე), მთავარი ბუხჰალტრის და სხვათა მონაწილეობით, ორთქლძალოვანი დანადგარების, ავტომანქანების, სამდინარო ტრანსპორტის და სხვა ძირითადი საშუალებების უვარგისობის დასადგენად, რომლებსაც აკონტროლებს სახელმწიფო ინსპექცია, საჭიროა მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობაში შესაბამისი ინსპექციის წარმომადგენლის მოწვევა. ინსპექციის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეიძლება გაფორმდეს ძირითადი საშუალებების ჩამოწერის აქტი, სადაც უნდა აღინიშნოს მისი გამოუცხადებლობა.

უვარგისი ძირითადი საშუალებების ჩამოწერის გასაფორმებლად გამოიყენება № ძს-4 ფორმის ან სხვა სპეციალური ფორმის აქტი. აქტს ადგენს მუდმივმოქმედი კომისია მატერიალურად პასუხისმგებელი პირის აუცილებელი მონაწილეობით, რომელიც უნდა დაამტკიცოს დაწესებულების ხელმძღვანელმა. ჩამოწერის აქტის გაფორმებამდე ძირითადი საშუალებების დაშლა და დემონტაჟი არ შეიძლება.

საგნები, რომლებმაც დაკარგეს თავისი დანიშნულება, მაგრამ ვარგისია სახალხო მეურნეობაში გამოსაყენებლად, უნდა გაიყიდოს მხარეთა შეთანხმებით შემცირებული შეფასებით ან უნდა გადაეცეს უსასყიდლოდ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხვა დაწესებულებებს.

ზედმეტი და დაწესებულებაში გამოუყენებელი ძირითადი საშუალებები რეალიზებული უნდა იქნეს დადგენილი წესით.

ძირითადი საშუალებების ლიკვიდაციიდან მიღებული მატერიალური ფასეულობები აიღება შემოსავალში მათი შესაძლო გამოყენების ფასით. ზედმეტი ან გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებ თანხას სამეცნიერო დაწესებულებები მიმართავენ „დაწესებულების განვითარების ფონდში“, ხოლო დანარჩენი საბიუჯეტო დაწესებულებები (მეცნიერთა სახლი, სანატორიუმები, პანსიონატები, საავადმყოფოები, პოლიკლინიკები) იმ ბიუჯეტის შემოსავალში, საიდანაც ფინანსდება მოცემული დაწესებულება.

ძირითადი საშუალებების ლიკვიდაციიდან მიღებული მასალების რეალიზაციისას ამონაგები თანხა საბიუჯეტო დაწესებულებებში უნდა შეიტანონ ბიუჯეტით შემოსავალში. იმ შემთხვევაში, როცა ძირითადი საშუალებების ლიკვიდაციიდან მიღებული მასალები (შენობების და ნაგებობის დანგრევა და დაშლა, მოწყობილობების დემონტაჟი და ა. შ.) დატოვებულია დაწესებულებაში შეკეთებისათვის და სხვა სამეურნეო საჭიროებისათვის, მათი ღირებულებით იზრდება საბიუჯეტო დაფინანსება.

საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, შენობათა და ნაგებობათა გადაცემა ერთი დაქვემდებარებიდან მეორეში ხორციელდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 8 დეკემბრის № 840 დადგენილების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა წარმოებს საინვენტარო ობიექტების კრილში შენახვის ადგილისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით.

ცალკე საინვენტარო ობიექტად ითვლება დამთავრებული მოწყობილობა მასზე მიკუთვნებული ხელსაწყოებით და კუთვნილობებით ან კონსტრუქციულად განცალკევებული საგანი, რომელიც განკუთვნილია განსაზღვრული დამოუკიდებელი ფუნქციის შესასრულებლად, ან განცალკევებული კომპლექსი კონსტრუქციულად დანაწევრებული საგნებისა, რომლებიც წარმოადგენს ერთ მთლიანს და ერთობლივად ასრულებენ განსაზღვრულ სამუშაოს.

საინვენტარო ობიექტს სუბანგარიშის № 010 — „შენობები“ წარმოადგენს ყოველი ცალკე მდგარი შენობა. შენობის შემადგენლობაში შედის შენობის შიგნით მოთავსებული ყველა კომუნიკაცია, რაც აუცილებელია მისი ექსპლოატაციისათვის, სახელობრ: შენობის შიგნით გათბობის სისტემა გათბობისათვის საჭირო საქვაბე მოწყობილობის ჩათვლით (თუ ეს უკანასკნელი მოთავსებულია თვით შენობაში), წყალგაყვანილობის და კანალიზაციის შიდა ქსელი ყველა მოწყობილობით, ძალოვანი და გამანათებელი ელექტროგაყვანილობის შიდა ქსელი მთელი გამანათებელი არმატურით, შიდა სატელეფონო და სასიგნალიზაციო ქსელი და საერთო სანიტარული დანიშნულების სავენტილაციო მოწყობილობა, ამწეები (ლიფტები).

თუ შენობები მიერთებულია ერთიმეორესთან და აქვთ საერთო კედელი, მაგრამ თითოეული მათგანი წარმოადგენს დამოუკიდებელ კონსტრუქციულ მთლიანობას, მაშინ ისინი ითვლება ცალკე საინვენტარო ობიექტად.

ეზოში მოთავსებული შენობები, ლობეები და სხვა ნაგებობები რომლებიც ემსახურებიან შენობას (ფარდული, ლობე, კა და სხვა), შეადგენენ მასთან ერთად ერთ საინვენტარო ობიექტს, თუ ეს შენო-

ბები და ნაგებობები ემსახურება ორ და მეტ შენობას, მაშინ ისინი ითვლებიან დამოუკიდებელ საინვენტარო ობიექტებად.

შენობაზე გარედან მინაშენები, რომლებსაც აქვთ დამოუკიდებელი სამეურნეო დანიშნულება, საქვაბეების ცალკე მდგარი შენობები, აგრეთვე ეზოს კაპიტალური შენობები (საწყობები, გარაჟი და ა. შ.) წარმოადგენენ დამოუკიდებელ საინვენტარო ობიექტებს.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვის ორგანიზაციისა და შენახვის კონტროლის უზრუნველსაყოფად ყოველ ობიექტს (საგანს), გარდა თეთრეულისა, ლოგინის კუთვნილებათა, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და საბიბლიოთეკო ფონდებისა, მიეკუთვნება საინვენტარო ნომერი. საინვენტარო ნომერი შედგება რვა ნიშნისაგან. პირველი სამი ნიშანი განსაზღვრავს სუბანგარიშს, მეოთხე — ჯგუფს მოცემული სუბანგარიშის მიხედვით, ხოლო დანარჩენი ოთხი — საგნის რიგით ნომერს ჯგუფში, რომელიც მიეკუთვნება მას დაწესებულებაში შემოსვლის კვალობაზე. იმ სუბანგარიშებს, რომელთათვისაც არ არის შემოღებული ჯგუფები, მეოთხე ნიშანი უნდა აღინიშნოს ნულით. მაგ., საინვენტარო ნომერი 01010001 აღნიშნავს № 010 სუბანგარიშს „შენობები“, ჯგუფი 1 — საწარმოო დანიშნულების შენობა რიგითი ნომერი 0001; საინვენტარო ნომერი 01630005 ნიშნავს № 016 სუბანგარიშს, ჯგუფი 3 — სამეურნეო ინვენტარს, საგნის რიგითი ნომერია 0005.

როცა საინვენტარო ობიექტი რთულია, ე. ი. მოიცავს ამა თუ იმ განცალკევებულ ელემენტებს, რომლებიც მასთან ერთად წარმოადგენენ ერთ მთლიანს, ყოველ ასეთ ელემენტზე უნდა იყოს აღნიშნული იგივე საინვენტარო ნომერი, რაც ძირითად გამაერთიანებელ ობიექტზეა.

საინვენტარო ნომერი კეთდება ლითონის ეტონზე ან მუყაოს ბირკაზე, რომელიც მაგრდება ობიექტზე, ცალკეულ შემთხვევებში საინვენტარო ნომერი აღინიშნება საღებავით (მაგალითად, ხალიჩების უკანა მხარეზე და ა. შ.).

თეთრეულს, ლოგინის კუთვნილებას, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს — საინვენტარო ნომერი მიეკუთვნება თითოეულ დასახელებას ცალ-ცალკე. ამასთან ერთი სახელწოდების, ზომით, მასალის ხარისხით და ფასით მიახლოებულ საგნებზე მაგრდება ერთი საინვენტარო ნომერი. რბილი ინვენტარის საგნები იღამლება სპეციალური შტამპით, მოუშორებელი საღებავით. შტამპი უნდა შეიცავდეს სახელწოდებას, ხოლო საგნების საექსპლოატაციოდ გადაცემისას დამატებით გაცემის წელისა და თვის აღნიშვნას, დასანომრავი შტამპი ისმება ისეთ ადგილზე, რომ მან არ გააფუჭოს საგნის გარეგნული სახე. ნომრის ჩამორეცხვის შემთხვევაში იგი პერიოდულად უნდა განახლდეს.

ძირითადი საშუალებების ობიექტებზე მიკუთვნებული საინვენ-

ტარო ნომერი რჩება მას მოცემულ დაწესებულებაში არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში. საინვენტარო ნომრები იმ ობიექტებისა, რომლებიც გამოვიდნენ მწყობრიდან ან ლიკვიდირებულ იქნენ სიძველის (გაცვეთის) გამო, არ უნდა მიეკუთვნოს სხვა ახლად მიღებულ ძირითად საშუალებებს.

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები აღირიცხება მოიჯარესთან ან ბალანსგარეშე № 1 ანგარიშზე — „იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები“ მოიჯარის მიერ მიკუთვნებული საინვენტარო ნომრით.

ძირითადი საშუალებების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს საინვენტარო ბარათებზე ფფ. №№ ძს-6, ძს-8. ბარათები იწარმოება ყოველი საინვენტარო ობიექტის (საგნის) მიხედვით. ერთგვაროვანი საგნები აღირიცხება ფ. № ძს-9 ბარათებზე.

ბარათები ფფ. №№ ძს-6, ძს-8 და ძს-9 წინასწარ უნდა იქნეს რეგისტრირებული აღწერილობაში (ფ. № ძს-10). აღწერა წარმოებს ერთ ეგზემპლარად. მასში ჩანაწერები კეთდება ძირითად საშუალებათა ჯგუფების ჭრილში ბარათის გახსნის წლის აღნიშვნით. ყოველი ჯგუფისათვის გამოიყოფა გვერდების სათანადო რაოდენობა. დანომვრა წარმოებს ყოველი ჯგუფის მიხედვით № 1-დან. ცენტრალიზებულ ბუხჰალტერიებში აღწერა ხდება ასეთივე წესით მომსახურებაში მყოფი თითოეული დაწესებულების მიხედვით.

საინვენტარო ბარათები ინახება ბუხჰალტერიის კარტოთეკაში, რომელშიც ისინი განლაგდებიან შესაბამისი სუბანგარიშების მატერიალურად პასუხისმგებელი პირების, ხოლო ცენტრალიზებულ ბუხჰალტერიებში — მომსახურებაში მყოფი დაწესებულების მიხედვითაც.

ბარათი ფ. № ძს-6 — განკუთვნილია შენობების, ნაგებობების, გადამცემი მოწყობილობების, ინსტრუმენტების (საწარმოო კუთვნილებათა ჩათვლით) და სამეურნეო ინვენტარის და სატრანსპორტო საშუალებათა აღრიცხვისათვის. ბარათი ივსება ძირითადი საშუალებების მიღების, ექსპლოატაციაში შეყვანის აქტისა და სხვა დოკუმენტების საფუძველზე. ამ ბარათში იჩვენება პასპორტის მიხედვით ობიექტის დამახასიათებელი ნიშნები: ნახაზი, ნომერი, მოდელი, ტიპი, მარკა, ქარხნის ნომერი, გამოშვების (დამზადების) თარიღი, ძირითადი საშუალებების ექსპლოატაციაში შეყვანის აქტის თარიღი და ნომერი. გარდა ამისა, ივსება ობიექტის (საგნის) მოკლე ინდივიდუალური დახასიათება. იმ შემთხვევებში, როცა მოწყობილობების, დანადგარების, გამოთვლითი ტექნიკის და სხვათა შემადგენლობაში იმყოფება ძვირფასი ლითონები, მაშინ ობიექტის მოკლე დახასიათებაში უნდა იყოს დეტალების ჩამონათვალი, რომლებშიც არის ძვირფასი ლითონები. დეტალის დასახელება და მეტალის მასა პასპორტის მიხედვით.

ბარათი ფ. № ძს-8 — განკუთვნილია მუშა, პროდუქტიული და სა-

ჯიშე პირუტყვის, აგრეთვე მრავალწლიანი ნარგავების და ნიადაგის გაუმჯობესებაზე (ნაგებობათა გარეშე) გაწეული დანახარჯების აღრიცხვისათვის.

ბარათში მოცემულია ცხოველის ინდივიდუალური დახასიათება ასაკის, ფერის, დამლის, სახელის და ა. შ. აღნიშვნით. ცხოველთა სრული დახასიათება ხდება შესაბამის ზოოტექნიკურ საბუთებში.

მრავალწლიანი ნარგავები აღირიცხება საინვენტარო ობიექტების მიხედვით, ჯიშის, დარგული ერთეულების რაოდენობის და ფართობის აღნიშვნით. ობიექტის ღირებულებაში შედის ყველა ხარჯის ჯამი, რაც მიეკუთვნება ექსპლოატაციაში მიღებულ ფართობს სამუშაოთა ყველა კომპლექსის დამთავრებისაგან დამოუკიდებლად.

ობიექტის სრული დახასიათება ოქახების სახეობათა და დარგვის წლის აღწერით, შესაბამისი ხე-ტყის დამზადების საბუთებშია მოცემული.

ნიადაგის გაუმჯობესებაზე კაპიტალური დანახარჯების აღრიცხვა წარმოებს ღონისძიებათა კრილში: მიწის ნაკვეთების დაგეგმვა, სახნავი ფართობების ამოძირკვა, ბარდისგან გაწმენდა, წყალსატევების გაწმენდა დაკავებული ფართობისა და შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების აღნიშვნით ყოველი ღონისძიების მიხედვით.

ბარათი ფ. № ძს-9 განკუთვნილია თეთრეულის, ლოგინის კუთვნილებათა, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, საბიბლიოთეკო ფონდების და სასცენო-დადგმით საშუალებათა ჯგუფურად აღრიცხვისათვის.

თეთრეულზე, ლოგინის კუთვნილებაზე, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე ბარათი ჯგუფური აღრიცხვისათვის გაიხსნება მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით ერთი სახელწოდების, ზომით, მასალის ხარისხითა და ფასით მიახლოებულ საგნებზე. ასეთივე წესით გაიხსნება ბარათები სასცენო-საწარმოდგენო საშუალებებზე. ჩანაწერები ბარათებში წარმოებს რაოდენობრივ და თანხობრივ გამოხატულებაში.

საბიბლიოთეკო ფონდებისათვის იხსნება ერთი ბარათი. აღრიცხვა მასში წარმოებს მხოლოდ ფულად გამოსახულებაში საერთო თანხით. საბიბლიოთეკო ფასეულობა დაწერილებით აღირიცხება ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში.

ანგარიში № 02 „ძირითადი საშუალებების ცვეთა“. ამ ანგარიშზე აისახება დაწესებულების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ცვეთის მოძრაობა. ცვეთა განისაზღვრება და აღირიცხება შენობების, ნაგებობების, გადაძევი მოწყობილობების, მანქანებისა და მოწყობილობების, საწარმოო (კუთვნილებათა ჩათვლით) და სამეურნეო ინვენტარის, საექსპლოატაციო ასაკს მიღწეული მრავალწლიანი ნარგავების მიხედვით.

ცვეთა არ განისაზღვრება და არ აღირიცხება იმ შენობებზე და ნაგებობებზე, რომლებიც წარმოადგენენ არქიტექტურისა და ხელოვნების უნიკალურ ძეგლებს; კაბინეტებისა და ლაბორატორიების იმ მოწყობილობებზე, რომლებიც გამოიყენება თვალსაჩინოების სახით სასწავლო დაწესებულებებში და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში მეცნიერული მიზნებისათვის; პროდუქტიულ ცხოველებზე, ხარებზე, ცხოველთა სამყაროს ექსპონატებზე ზოოპარკებში და სხვა ანალოგიურ დაწესებულებებში; მრავალწლიან ნარგავებზე, რომლებსაც არ მიუღწევიათ საექსპლოატაციო ასაკისათვის; საბიბლიოთეკო ფონდებზე, ფილმოტექებზე, სასცენო-დადგმით საშუალებებზე, თეატრულზე, ლოგინის კუთვნილებაზე, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე, ტიპური დაპროექტების დოკუმენტაციაზე და კაპიტალურ დანახარჯებზე (ნაგებობათა გარეშე) ნიადაგის გასაუმჯობესებლად, იმ ძირითად საშუალებებზე, რომლებიც საზღვარგარეთ არის.

ექსპლოატაციაში არსებულ ძირითად საშუალებათა ობიექტების (საგნების) წლიური ცვეთა განისაზღვრება სრული კალენდარული წლისათვის სსრკ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ძირითადი საშუალებების წლიური ცვეთის ნორმების საფუძველზე.

ცვეთის წლიური თანხა ძირითადი საშუალებების ყოველი ობიექტის (საგნის) მიხედვითა ჩაიწერება ფფ. №№ ძს-6, ძს-8 ბარათების შესაბამის სვეტებში. ყოველწლიურად ამ ბარათებიდან ცვეთის თანხა ჩაიწერება მაგროვებელ უწყისში. ცვეთის საერთო თანხაზე დეკემბრის თვის უკანასკნელ სამუშაო დღეს დგება მემორიალური ორდერი № 250 სუბანგარიშის დებეტით და № 020 სუბანგარიშის კრედიტით. ცვეთის თანხა მემორიალური ორდერის მიხედვით ჩაიწერება „ქურონალ-მთავარ“ დავთარში.

ობიექტის (საგნის) გასვლისას, ლიკვიდაციასთან ან უსასყიდლოდ გადაცემასთან დაკავშირებით, შესაბამის ბარათზე განისაზღვრება ცვეთის საერთო თანხა საგნის (ობიექტის) ექსპლოატაციაში ყოფნის პერიოდისათვის და ამ თანხით მცირდება ცვეთა № 02 ანგარიშზე. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა არ შეიძლება აღემატებოდეს 100%. 100% ცვეთა არ არის საფუძველი ძირითადი საშუალებების ჩამოსაწერად თუ იგი ფიზიკურად ვარგისია.

2. ძირითადი საშუალებებისა და ცვეთის აღრიცხვა

დაწესებულებებში ძირითადი საშუალებების შეძენა ხდება ძირითადად ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯზე, ხარჯთუნუსის მე-12, მე-14 და მე-5 მუხლით.

მე-12 მუხლში „მოწყობილობებისა და ინვენტარის შექმნა“ შეიტანება ხარჯები, რომლითაც შეიძინება:

სკოლებისა და სხვა სასწავლო დაწესებულებების კაბინეტებისა და ლაბორატორიებისათვის სასწავლო მოწყობილობები; სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, სასწავლო დაწესებულებებში და საბავშვო დაწესებულებებში სასწავლო და სამეცნიერო მიზნებისათვის სამედიცინო და ვეტერინალური მოწყობილობები და ინსტრუმენტები, აპარატურები, ხელსაწყოები, მანქანები, დაზგები და სხვა სპეციალური მოწყობილობები: საპროექტო-საძიებო სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო დაზგები, გეოდეზიური ინსტრუმენტები (თეოდოლიტები, ნიველირები და სხვა), საბურღავი დანადგარები და ინსტრუმენტები, სპეციალური სახაზავი მაგიდები და სხვა საწარმოო მოწყობილობები; ფიზკულტურული ინვენტარი; ექსპონატები მუზეუმებისა და გამოფენებისათვის.

მე-12 მუხლს არ მიეკუთვნება თითო ცალი 2 მანეთამდე ღირებულები მცირეფასიანი საგნების შექმნის ხარჯები, აგრეთვე ისეთი სწრაფ-ცვეთადი საგნების შექმნის ხარჯები, რომლებიც გამოიყენებებიან ერთ წელზე ნაკლებ დროს, მიუხედავად მათი ღირებულებისა. ამგვარი საგნების შექმნის ხარჯები მიეკუთვნება ხარჯების სათანადო მუხლებს, ასე მაგალითად: სასწავლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებისათვის კოლებებისა და სინჯარების შექმნის ხარჯები მიეკუთვნება მე-5 მუხლს, ხოლო სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიებისათვის — მე-10 მუხლს, პატარუქების, მინებისა და ელექტრონათურების შექმნის ხარჯები მიეკუთვნება მე-3 მუხლს.

ამასთან, ახლად ორგანიზებული ან გაფართოებული დაწესებულებებისათვის ერთგვაროვანი მცირეფასიანი საგნების (თეფშები, სამზარეულოს ჭურჭელი და სხვა) შექმნის ხარჯები უნდა აღირიცხოს მე-12 მუხლით.

მე-12 მუხლს მიეკუთვნება აგრეთვე ინვენტარისა და მოწყობილობის გადმოტანის და მოწყობილობის დადგმის ხარჯები.

მე-14 მუხლში „რბილი ინვენტარისა და ტანსაცმლის შექმნა“ შეიტანება ხარჯები: თეთრეულის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ფორმის ტანსაცმლის და საწოლის კუთვნილებათა, აგრეთვე სპეციალური (დამცველი) ტანსაცმლის შექმნასა და დამზადებაზე, მთავრობის გადაწყვეტილებებში გათვალისწინებული წესით.

მე-5 მუხლში „სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და ბიბლიოთეკებისათვის წიგნების შექმნის ხარჯები“ შეიტანება ხარჯები: საბიბლიოთეკო ფონდის ლიტერატურისა (წიგნები, ჟურნალები).

შენობებისა და ნაგებობების აშენება თითქმის ყოველთვის წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, სპეციალურად გახსნილი კრედიტების ხარჯზე (მე-13 და მე-15 მუხლებით). გამორიცხული არ არის აგრეთვე ასეთივე ობიექტების აშენება სპეციალური (ბიუჯეტ-გარეშე) სახსრებითაც.

ძირითად საშუალებათა აღრიცხვის ანგარიშთა კორესპონდენცია

№№	ობიექტების შინაარსი	ანგარიშების შიღრებს	
		ღებები	კრედიტი
1	2	3	4
1.	ახლად აგებული ან რეკონსტრუქციის შემდეგ შენობათა, ნაგებობათა და ვადამკემი მოწყობილობების ან სამუშაოთა ექსპლოატაციაში მიღება.	010,011,012	250
2.	მანქანების და მოწყობილობების, თეთრულის, ლოჯინის კუთვნილებათა, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, სატრანსპორტო საშუალებების, ინსტრუმენტების, საწარმოო (კუთვნილებათა ჩათვლით) და სამეურნეო ინვენტარის, მუშა და პროდუქტიული პირუტყვის, მრავალწლიანი ნარგავების შეძენა, ნიადაგის გაუმჯობესებაზე კაპიტალური დანახარჯები (ნაგებობების გარეშე) და სხვა ძირითადი საშუალებების შეძენა.	013—019	019,091,093,100; 101,111,130,131, 178,179
	ერთდროულად წარმოებს მეორე ჩაწერა, რომელიც უჩვენებს ძირითად საშუალებებში ფონდების გადიდებას.	200, 211,213	250
3.	ძირითადი საშუალებების უსასყიდლოდ მიღება დადგენილი წესის მიხედვით.	010—019	250,020
4.	სამეურნეო წესით დამზადებული ძირითადი საშუალებების (თეთრეული, ავეჯი და სხვა) შემოსავალში აღება.	014,016,019	084

1	2	3	4
	ერთდროულად წარმოებს ჩაწერა ძირითად საშუალებებში ფონდის გადიდებაზე.	200,211	250
5.	ინვენტარიზაციის დროს გამოვლენილი ზედმეტი ძირითადი საშუალებების შემოსავალში აღება.	010—019	250
6.	შენობების, ნაგებობების, გადამცემი მოწყობილობების, მანქანების და მოწყობილობების, სატრანსპორტო და სხვა ძირითად საშუალებათა ბალანსიდან ბალანსზე უსასყიდლოდ გადაცემა.	250—020	010—019
7.	ზედმეტი, გამოუყენებელი მოწყობილობის, სატრანსპორტო და სხვა საშუალებათა რეალიზაცია. ერთდროულად წარმოებს მეორე ჩაწერა:	250,020	013—016,019
	შემოსულ და ბიუჯეტში ჩასარიცხ თანხებზე.	090,091 101 178	173
	შემოსულ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულების განკარგულებაში დასატოვებელ თანხებზე.	091,178,111	246,140
	შენიშვნა: ისეთ შემთხვევებში, როდესაც ძირითადი საშუალებების რეალიზაციისას წარმოებს მათი ჩამოფასება, ჩამოფასების თანხაზე კეთდება დამატებითი ჩაწერა.	250	013—019
8.	სიძველისა და ცვეთის გამო ხმარებიდან გამოსული ძირითადი საშუალებების ჩამოწერა.	250,020	010—019
	ერთდროულად წარმოებს მეორე ჩაწერა, ლიკვიდაციისას მიღებული მასალების ღირებულების შემოსავალში აღებით:		
	რომელიც ექვემდებარება რეალიზაციას და ბიუჯეტის შემოსავალში ჩარიცხვას	069,064,067	173
	რემონტისათვის და დაწესებულების სხვა საკურობისათვის დატოვებულზე	069,064,067	140 ან 230
9.	ინვენტარიზაციის დროს გამოვლენილი ძირითადი საშუალებების დანაკლისის ჩამოწერა დაწესებულების ანვარიშზე.	250,020	013—019

1	2	3	4
10.	ინვენტარიზაციის დროს დადგენილი ძირითადი საშუალებების დანაკლისის ჩამოწერა დამნაშავე პირთა ანგარიშზე. ერთდროულად კეთდება მეორე ჩაწერა ძირითადი საშუალებების ფონდის შემცირებაზე და ბიუჯეტის შემოსავალში თანხის ჩარიცხვაზე.	250,020 170	013—019 173
11.	საგნების ძირითად საშუალებებიდან სწრაფცვეთად საგნებში გადატანა. ერთდროულად კეთდება ჩანაწერი სწრაფცვეთად საგნებში აღსარიცხვად.	250,020 070,071	013—019 260
12.	ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხის დარიცხვა (31 დეკემბერი).	250	020

ტიპური ინსტრუქცია — „ძირითად ფონდებში (საშუალებებში) რიცხული ხმარებისათვის უვარგისი მოწყობილობის, სამეურნეო ინვენტარისა და სხვა ქონების ჩამოწერის წესის შესახებ“

დამტკიცებულია სსრკ ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომიტეტის მიერ:

1. აღნიშნული ტიპური ინსტრუქცია გამოცემულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალების საფუძველზე, სამინისტროებისა და უწყებების სახელმწიფო კოოპერაციული (კოლმეურნეობების გარდა) და საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების კუთვნილი უვარგისი მოწყობილობის, მეურნეობრივი ინვენტარისა და სხვა ქონების ჩამოწერის ერთნაირი წესის შემოღების მიზნით.

2. საწარმოებისა და სხვა მეურნეობრივი ორგანიზაციების ბალანსებიდან შეიძლება ჩამოიწეროს ძირითადი ფონდების (საშუალებების) შემადგენლობაში რიცხული მორალურად მოძველებული, გაცვეთილი და შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი დანადგარი, სატრანსპორტო საშუალებანი, ინვენტარი და ინსტრუმენტები, როდესაც მათი აღდგენა შეუძლებელია და ეკონომიკურად მიზანშეუწონელი ან მათი უსასყიდლოდ გადაცემა და რეალიზება დაუშვებელია; ახალი მშენებლობის ობიექტებთან დაკავშირებით ასაღები, აგრეთვე სიძველეში შესული შენობები და ნაგებობანი. დამკვეთულია აგრეთვე სტიქიური უბედურების ან ავარიების შედეგად განადგურებული ძირითადი ფონდების (საშუალებების) ჩამოწერა.

13. ბიუჯეტური დაგეგმვის, აღრიცხვისა და...

ბიუჯეტურ დაწესებულებათა (ორგანიზაციათა) ბალანსებიდან ჩამოწერას ექვემდებარება ის მოწყობილობა, სამეურნეო ინვენტარი და სხვა ქონება, რომელმაც გაცვეთის შედეგად მთლიანად დაკარგა თავისი საწარმოო მნიშვნელობა სამსახურის დადგენილი ვადის გავლის შემდეგ, აგრეთვე განადგურებულია სტიქიური უბედურების ან ავარიის შედეგად. საგნები, რომლებმაც დაკარგეს თავიანთი დანიშნულება, მაგრამ ვარგისია სახალხო მეურნეობაში გამოყენებისათვის, დადგენილი წესის მიხედვით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე რეალიზებული უნდა იქნეს დაბალ ფასებში ან უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს იმავე სამინისტროში (უწყებაში) შემავალ სხვა ბიუჯეტურ დაწესებულებასა და ორგანიზაციას.

3. მოწყობილობათა უვარგისობის განსაზღვრის, სამეურნეო ინვენტარისა და სხვა საშუალებებზე შემდგომი გამოყენების, აღდგენითი რემონტის წარმოების შეუძლებლობის ან არაეფექტურობის განსაზღვრისათვის, აგრეთვე ბალანსებიდან აღნიშნული ძირითადი ფონდების ჩამოწერაზე აუცილებელი საბუთების გაფორმებისათვის ბიუჯეტურ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ხელმძღვანელის ბრძანებით იქმნება მუდმივმოქმედი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) დაწესებულების ხელმძღვანელის მოადგილე სამეურნეო ნაწილში;

ბ) მთავარი (უფროსი) ბუხჰალტრები;

გ) საწყობის გამგე (მეკუჭნავე) მატერიალურ ფასეულობათა აღვილმდებარეობის მიხედვით ან სხვა შესაბამისი პირი.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელ შემთხვევაში საჭიროა ჩაებნენ ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წარმომადგენლები.

ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების მიერ მომსახურებულ საწარმოებსა და დაწესებულებებში მთავარ ბუხჰალტრებთან შეთანხმებით კომისიის შემადგენლობაში შეიყვანება აღრიცხვის სათანადო მუშაკი.

4. მუდმივმოქმედი კომისიები საწარმოებში, ორგანიზაციებში და დაწესებულებებში:

ა) ახდენენ იმ ობიექტების უშუალო დათვალიერებას, რომელიც ექვემდებარება ჩამოწერას და აღგენენ მისი აღდგენისა და შემდგომი გამოყენების შეუძლებლობას.

ბ) აღგენენ იმ მიზეზებს, რომლებმაც განაპირობეს ობიექტის ჩამოწერა (გაცვეთა, დროზე ადრე გასვლა ექსპლოატაციის ნორმალური პირობების დარღვევის ან ავარიის შედეგად და სხვა), აუცილებელ შემთხვევაში კი ამაში დამნაშავე პირებს;

გ) განსაზღვრავენ ჩამოსაწერი ობიექტის ცალკეული კვანძების,

დეტალების, მასალების გამოყენების შესაძლებლობას და შესაძლო გამოყენების ფასებიდან გამომდინარე ახდენენ შეფასებას.

დ) აღგენენ აქტს ძირითადი ფონდების (საშუალებების) ლიკვიდაციის შესახებ ტიპური უწყებათაშორისო ფორმით — ქს-4 დამტკიცებულს სსრ ცსს მიერ.

5. ჩამოსაწერი ობიექტების დათვალეობისას და მათ ჩამოწერაზე აქტების შედგენისას კომისია გამოიყენებს აუცილებელ ტექნიკურ დოკუმენტაციას (ტექნიკურ პასპორტს, საერთოლებრივ გეგმას, დეფექტების უწყისებსა და სხვა მასალებს).

6. ჩამოწერა იმ მოწყობილობის, მეურნეობრივი ინვენტარისა და სხვა ქონების, რომლებმაც დაკარგეს თავიანთი საწარმოო დანიშნულება ანდა უვარგისნი გახდნენ, ხდება დადგენილი წესით დამტკიცებული აქტების საფუძველზე.

7. ჩამოწერის აქტებში ნაჩვენები იქნება ის მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ ობიექტს: ობიექტის დამზადების ანდა აშენების წელი, ექსპლუატაციაში შესვლის დრო, ობიექტის პირველდაწყებითი ღირებულება (გადაფასებულათათვის — აღდგენითი), ბუხპალტრულ აღრიცხვის მონაცემების მიხედვით დარიცხული ცვეთის თანხა, ჩატარებული კაპიტალური რემონტების რაოდენობა და სხვა.

აქტებში დაწვრილებით უნდა იქნეს ნაჩვენები ობიექტების გავლის მიზეზები, ძირითადი ნაწილების, დეტალების, კვანძების, კონსტრუქციული ელემენტების მდგომარეობა და დასაბუთებული უნდა იქნეს მათი აღდგენის მიზანშეწონილობა და შეუძლებლობა.

8. საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ბალანსებიდან ავარიების შედეგად მანქანების, მოწყობილობისა და სატრანსპორტო საშუალებების ღირებულების ჩამოსაწერად ჩამოწერის აქტს თან ერთვის ავარიის აქტის ასლი, აგრეთვე იმ მიზეზების განმარტება, რომლებმაც გამოიწვიეს ავარია და ნაჩვენები იქნება ის ზომები, რომლებიც მიღებულია დამნაშავე პირების მიმართ.

9. სახალხო მეურნეობაში ამორტიზაციის ანარიცხების დაგეგმვის დარიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ მოქმედი დებულების შესაბამისად არამთლიანად ამორტიზებული ძირითადი ფონდების, საცხოვრებელი შენობების გარდა, ჩამოწერით (ლიკვიდაციით) მიღებული ზარალი მიეკუთვნება საწარმოთა ან ორგანიზაციათა მეურნეობრივი საქმიანობის შედეგებს. იმ შემთხვევების გარდა, როცა მოწყობილობის შეცვლა წარმოებს ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმის შესაბამისად.

10. მორალურად დაძველებული, გაცვეთილი და შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებ-

ბებისა და ინსტრუმენტის ჩამოწერა ხდება მაშინ, როდესაც შეუძლებელია ამ ქონების აღდგენა და რეალიზაცია.

ა) საწარმოო გაერთიანებების, ასევე დაწესებულებების ორგანიზაციების ბალანსიდან, თუ მათზე ვრცელდება სახელმწიფო, საწარმოო დაწესებულებების შესახებ დადგენილების მოქმედება, ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით.

ბ) საკავშირო და რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანებების ბალანსებიდან, აგრეთვე იმ დაწესებულებების და ორგანიზაციების ბალანსებიდან, რომლებზედაც არ ვრცელდება სოციალისტური სახელმწიფო სამრეწველო საწარმოების დებულება საკავშირო და რესპუბლიკური გაერთიანებების, სამმართველოების ნებართვით.

გ) საწარმოო გაერთიანებების ბალანსიდან, რომელზედაც არ ვრცელდება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებების შესახებ დადგენილების მოქმედება — შესაბამისი სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელების მიერ დადგენილი წესით.

დ) საკავშირო და რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა ბალანსებიდან ერთეულის ღირებულებით 2000 მანეთამდე — დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ, ერთეულის ღირებულებით 2000 მანეთიდან 3000 მან-მდე — ზემდგომი ორგანიზაციის ნებართვით და ერთეულის ღირებულებით 3000 მან-ზე ზევით — სამინისტროებისა და უწყებების ნებართვით.

ე) ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ, ოლქის, ქალაქის, რაიონის, დაბისა და სოფლის ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა ბალანსებიდან ჩამოიწერება სახალხო დეპუტატების საბჭოს შესაბამისი აღმასკომის ნებართვით. სამინისტროების, უწყებების, აღმასკომების და მათი განყოფილებების ბალანსებიდან დ. ს. ჩამოიწერება ერთეულის ღირებულების მიუხედავად.

ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების გაფორმება წარმოებს ტიპური უწყებათაშორისო ფორმით ძს-4.

11. მოწყობილობის დაშლა და დემონტაჟი, აგრეთვე სამეურნეო ინვენტარისა და სხვა ქონების ლიკვიდაცია ჩამოწერის აქტების დამტკიცებამდე არ დაიშვება.

დაშლილი და დემონტირებული მოწყობილობის ყველა ის დეტალი, კვანძი და აგრეგატი, რომლებიც ვარგისია სხვა მანქანების რემონტისათვის, აგრეთვე სხვა მასალები, მიღებული მეურნეობრივი ინვენტარისა და სხვა ქონების ლიკვიდაციიდან, აიღება შემოსავალში იმ შესაბამისი ანგარიშების მიხედვით, რომელზედაც აღირიცხება აღნიშნული ფასეულობანი, ხოლო უვარგისი დეტალები და მასალები კი შემოსავალში აიღება როგორც ჯართი ან როგორც უტილნიღღეული

შესაძლო რეალიზაციის ან გამოყენების ფასებით. ყველა ის დეტალი და კვანძი, დამზადებული ფერადი ლითონებისაგან, რომლებიც უვარგისია სხვა მანქანების რემონტისათვის, ინსტრუმენტებისა და მოწყობილობებისათვის, ექვემდებარება აუცილებლად უტილში ჩაბარებას.

12. მოწყობილობების, მეურნეობრივი ინვენტარისა და ქონების ჩამოწერის ამ ინსტრუქციით დადგენილი წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილია ძირითადი საშუალებების ჩამოწერის სხვა წესი.

13. ძირითადი ფონდების (საშუალებების) ჩამოწერის წესის დარღვევის შემთხვევაში, აგრეთვე მომსახურების ვადაგასული სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობისადმი არამეურნეობრივი დამოკიდებულებისას (განადგურება, დაწვა და ა. შ.) დამნაშავე თანამდებობრივი პირები პასუხს აგებენ დადგენილი წესით.

3. კაპიტალურ დაბანდობათა დაფინანსების აღრიცხვა

კაპიტალურ დაბანდობათა დაფინანსება ხორციელდება კრედიტების გახსნით სავსავლო განრიგი — დაფინანსების გეგმის (ფ. № 12) მიხედვით მშენებლობის ბანკის დაწესებულებებში, გარდა სოფლის მეურნეობის ობიექტებისა, რომლებსაც დაფინანსებენ სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები.

ბიუჯეტის ხარჯების კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების კაპიტალური დაბანდობები გათვალისწინებულია მე-15 ან მე-13 მუხლით. მე-15 მუხლს „სახელმწიფო კაპიტალური დაბანდობები გეგმის მიხედვით“ მიეკუთვნება ისეთი კაპიტალური დაბანდობები, რომლებიც გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით, ხოლო მე-13 მუხლს — „კაპიტალური დაბანდობები სახელმწიფო გეგმის ზევით“ — ისეთი კაპიტალური დაბანდობები, რომლებიც ხორციელდება სსრკ მთავრობის დადგენილებით, სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის ზევით.

ბიუჯეტური დაწესებულებების კაპიტალურ დაბანდობათა დაფინანსება წარმოებს წლიურად გახსნილი კრედიტებისა (კვარტალური დაყოფით) და მშენებლობის გეგმის შესრულების კვალობაზე.

კაპიტალური დაბანდობები შეიძლება წარმოებდეს საიჯარო ან სამეურნეო წესით. კაპიტალურ დაბანდობათა სამუშაოებს საიჯარო წესით აწარმოებს მშენებელი მოიჯარადრე ორგანიზაცია, ხოლო სამეურნეო წესის გამოყენების დროს — ბიუჯეტური დაწესებულება.

კაპიტალურ დაბანდობასთან დაკავშირებული ოპერაციები ბიუჯეტურ დაწესებულებებში აღრიცხება ერთიან ბალანსზე.

სამინისტროებს, უწყებებსა და სახალხო დეპუტატთა აღმასკომე-
ბის სამმართველოებსა და განყოფილებებს უფლება აქვთ თავიანთი
დაქვემდებარებაში მყოფ ბიუჯეტურ დაწესებულებებს ნება დართონ
დამოუკიდებელ ბალანსზე აღრიცხონ კაპიტალური დაბანდებები. ასეთ
შემთხვევებში კაპიტალურ დაბანდებათა ბუხჰალტრულ აღრიცხვას
აწარმოებენ საწარმოების, მშენებლობებისა და სამეურნეო ორგანი-
ზაციების საწარმო-სამეურნეო საქმიანობის ბუხჰალტრული აღრი-
ცვის ანგარიშთა გეგმის შესაბამისად.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ბიუჯეტური და-
წესებულებები მშენბანკის მეშვეობით წარმოებულ კაპიტალურ და-
ბანდებათა ოპერაციებს აღრიცხავენ დამოუკიდებელ ბალანსზე საწარ-
მოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის დადგენილი წესით.

ბუხჰალტრული აღრიცხვის ანგარიშების გეგმის მიხედვით კაპიტა-
ლური დაბანდების დაფინანსების აღსარიცხავად შემოღებულია კრე-
დიტების მთავარი განმკარგულებლებისათვის სუბანგარიში № 231
„კაპიტალური დაბანდებების ბიუჯეტიდან დაფინანსება“, ხოლო და-
ქვემდებარებული დაწესებულებებისათვის — სუბანგარიში № 143
„ანგარიშსწორებანი კაპიტალურ დაბანდებათა ბიუჯეტიდან დაფინან-
სებით“.

ბიუჯეტიდან კაპიტალური დაბანდების დაფინანსებაზე ღებდა შემ-
დეგი ბუხჰალტრული გატარება:

კრედიტების მთავარ განმკარგულებლებთან

ღებეტი სუბანგარიში № 093 და კრედიტი № 231;

კრედიტების ქვემდგომ განმკარგულებლებთან

ღებეტი სუბანგარიში № 093 და კრედიტი № 143.

დაფინანსების ოპერაციების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს კრე-
დიტების მთავარ განმკარგულებელთან ფ. № 292 დავთარში, ხოლო
კრედიტების ქვემდგომ განმკარგულებელთან — ფ. № 283 ბარათებზე
ან ფ. № 292 დავთარში.

4. კაპიტალურ დაბანდებათა დანახარჯების აღრიცხვა

კაპიტალურ დაბანდებათა დანახარჯებს მიეკუთვნება მშენებლობა-
ზე გამოყენებული დასადგმელ მოწყობილობათა და საშენებლო მა-
სალების ღირებულება, ხელფასი და სხვა.

კაპიტალური დაბანდებების სახსრების ანგარიშზე მოწყობილობე-
ბისა და მასალების შექენისას წარმოიშობა ურთიერთანგარიშსწორება
მომწოდებლებთან, რომელიც აღირიცხება № 150 სუბანგარიშზე. ამ
სუბანგარიშის ღებეტში ჩაიწერება მომწოდებლებზე გადარიცხული
თანხები, ხოლო კრედიტში — მათგან მიღებულ დასადგმელ მოწყო-
ბილობათა და მასალების ღირებულება.

კაპიტალური დაბანდების სახსრებით განაღდებულ და მიღებულ მოწყობილობებსა და მასალებზე შედგება შემდეგი ბუხპალტრული გატარება:

1. დებეტი სუბანგარიში № 150, კრედიტი სუბანგარიში № 093, 111.

2. დებეტი სუბანგარიში № 040, 041, კრედიტი სუბანგარიში № 150.

მშენებლობაზე დახარჯული მოწყობილობებისა და მასალების ჩამოწერაზე შედგება შემდეგი გატარება:

დებეტი სუბანგარიში № 203, 212, კრედიტი სუბანგ. № 040, 041.

№ 040 და № 041 სუბანგარიშებზე აღსარიცხავ ფასეულობათა ანალიზური აღრიცხვა მათი სახეების, რაოდენობისა და ღირებულების მიხედვით ხორციელდება ფ. № 296-ა ბარათებზე.

№ 150 სუბანგარიშის ანალიზური აღრიცხვისათვის № 292 ფორმის დავთარში ან № 292-ა ფორმის ბარათებზე თითოეულ მომწოდებელთან ანგარიშსწორებისათვის გაიხსნება ცალკე ანგარიში.

კაპიტალური მშენებლობის საიჯარო წესით წარმოებისას მოიჯარადრესთან წარმოიშობა მშენებლობასთან დაკავშირებული ოპერაციებით ურთიერთანგარიშსწორება, რომელიც აგრეთვე აღსახება № 150 სუბანგარიშზე. ამ სუბანგარიშის დებეტში ჩაიწერება მათზე გადარიცხული თანხები და მშენებლობისათვის გადაცემულ მოწყობილობათა და მასალების ღირებულება, ხოლო კრედიტში — მოიჯარადრის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

მოიჯარადრის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების შუალედური ანგარიშების მიხედვით მოიჯარადრისადმი კუთვნილი თანხა, როდესაც იგი იხარჯება ბიუჯეტური სახსრების ანგარიშში, გატარდება:

დებეტი სუბანგარიში № 203 „ხარჯები ბიუჯეტით ახალ მშენებლობაზე“.

კრედიტი სუბანგარიში № 150 „ანგარიშსწორებები მომწოდებლებთან და მოიჯარებთან“.

№ 150 სუბანგარიშის ანალიზურ აღრიცხვაში თითოეულ მოიჯარადრეს ' გაეხსნება ცალკე ანგარიში ფ. № 292 დავთარში ან ფ. № 292-ა ბარათებზე.

ახალ მშენებლობაზე ბიუჯეტით გაწეული ხარჯების (სუბანგარიში № 203) ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ფ. № 309 დავთარში ცალ-ცალკე თითოეული მშენებარე ობიექტის მიხედვით.

მშენებლობის საიჯარო წესით წარმოების დროს ხარჯები აღირიცხება ცალ-ცალკე სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების დანახარჯების ელემენტებად დაყოფის გარეშე.

სამეურნეო წესით წარმოებული მშენებლობის ხარჯები ანალიზურ

აღრიცხვაში დაიყოფა ხარჯების ელემენტების მიხედვით: ხელფასი, მასალები და სხვა პირდაპირი ხარჯები. ზედნადები ხარჯები.

სპეციალური სახსრების ანგარიშში განხორციელებული კაპიტალური დაბანდების დანახარჯები თავს იყრის № 212 სუბანგარიშზე. ამ ანგარიშის აღრიცხვა № 203 სუბანგარიშის აღრიცხვის ანალოგიურია.

კაპიტალური მშენებლობის დამთავრებული და ექსპლოატაციაში გადაცემული ობიექტი ბუხპალტრულ აღრიცხვაში გატარდება შემდეგნაირად:

ბიუჯეტის სახსრების ანგარიშში განხორციელებული მშენებლობის მიხედვით:

დებეტი სუბანგარიში № 231, კრედიტი — № 203;

იმავედროულად დებეტი სუბანგარიში № 010—012, კრედიტი — № 250;

მშენებლობის სპეციალური სახსრების ანგარიშში განხორციელებიას:

დებეტი სუბანგარიში № 400, კრედიტი — № 212

იმავედროულად დებეტი სუბანგარიში № 010—012, კრედიტი — № 250.

მასალევის, კმევის პროდუქტების და მცირეფასიანი და სწრაფცვმთადი საბნების აღრიცხვა

1. მასალევისა და კმევის პროდუქტების აღრიცხვა

ბიუჯეტური დაწესებულებები თავიანთი მუშაობის თავისებურებებიდან გამომდინარე, იყენებენ სხვადასხვა სახის მასალებსა და კვების პროდუქტებს, აქვთ მასალების გარკვეული მარაგი, როგორცაა: საწარმოო (სასწავლო) სახელოსნოების ნაკეთობები, დამხმარე (სასწავლო) სოფლის მეურნეობის პროდუქცია, კაპიტალური დაბანდებებისათვის საჭირო დასადგმელი მოწყობილობანი და სამშენებლო მასალები, კვების პროდუქტები, სამეურნეო მასალები, სათბობი, საწვავი და სხვა.

მასალების ეკონომიურ და მიზანშეწონილ ხარჯვაზე სათანადო კონტროლის განხორციელება მოითხოვს მასალების მარაგისა და მისი მოძრაობის თავისდროულ და სწორ აღრიცხვას.

მასალების და კვების პროდუქტების ეკონომიურად ხარჯვაზე კონტროლის დასაწესებლად საჭიროა ბიუჯეტურ დაწესებულებას ჰქონდეს მასალებისა და კვების პროდუქტების ხარჯვის დამტკიცებული ნორმები, რომელსაც საკავშირო და რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე მყოფი დაწესებულებებისათვის ამტკიცებს შესაბამისი საკავშირო ან რესპუბლიკური სამინისტროები და უწყებები, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფი დაწესებულებებისათვის — შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და სახალხო დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტი.

ბიუჯეტური სახსრების ეკონომიურად ხარჯვაში დიდი მნიშვნელობა აქვს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგის სწორად განსაზღვრას და მის ჩათვლას დაფინანსებაში. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ზენორმატიული მარაგის განსაზღვრა წარმოებს ხარჯთნუსხების შესრულების წლიური ანგარიშების მიხედვით. დაფინანსებაში ჩათვლას ექვემდებარება აგრეთვე დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებათა შორის სხვაობა.

ბიუჯეტურ დაწესებულებებში მასალებისა და კვების პროდუქტების აღრიცხვა წარმოებს როგორც ბუხჰალტერიაში, ისე საწყობებში და საკუჭნაოებში. ბუხჰალტერიაში მათი აღრიცხვა ხდება სახეების, რაოდენობრივ-თანხობრივ მაჩვენებელთა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით. მასალებსა და კვების პროდუქტებს საწყობებში (საკუჭნაოებში) მათი სახეებისა და რაოდენობის მიხედვით, აღრიცხავს მატერიალურად პასუხისმგებელი პირი მასალების სასაწყობო აღრიცხვის დავთარში (ფ. № მ-17).

მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს ნიშნავს დაწესებულების ხელმძღვანელი ბრძანებით, რაც შეთანხმებული უნდა იყოს დაწესებულების მთავარ (უფროს) ბუხჰალტერთან.

მასალებისა და კვების პროდუქტების სასაწყობო აღრიცხვის სისტორიას სისტემატურად აკონტროლებს დაწესებულების ბუხჰალტერია.

მასალებისა და კვების პროდუქტების მოძრაობა (შემოსავალი და გაცემა) ხორციელდება სათანადო პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე.

დაწესებულების საწყობში მიღებული მასალები და კვების პროდუქტები შემოსავალში აღიბა მომწოდებლის ანგარიშის (ან სხვა საბუთის) საფუძველზე იმ შემთხვევაში, როდესაც მიღებულ მატერიალურ ფასეულობათა რაოდენობა და ხარისხი ზუსტად ემთხვევა მომწოდებლის მიერ შედგენილ საბუთში დასახელებულ მატერიალურ ფასეულობათა რაოდენობასა და ხარისხს. ასეთ შემთხვევაში მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ხელს აწერს მომწოდებლის საბუთში აღნიშნული მასალის მიღებაზე, ხოლო თუ მომწოდებლის საბუთში აღნიშნული მატერიალური ფასეულობის დასახელება, რაოდენობა ან ხარისხი არ შეესაბამება ფაქტიურად მიღებულს, მაშინ მატერიალურ ფასეულობათა მიმღები კომისია ადგენს მიღების აქტს (ფორმა № 429-მექ.) ორ ეგზემპლარად, რომელზედაც ხელს აწერს კომისია, როგორც მატერიალურად პასუხისმგებელი პირი, როგორც მიმღები.

მასალებისა და კვების პროდუქტების გაცემაზე გამოიწერება შემდეგი საბუთები:

ფორმა № 434-მექ. „ზედნადები (მოთხოვნა)“ მასალების ერთჯერად გაცემაზე;

ფორმა № 410 „დაწესებულების საჭიროებაზე მასალების გაცემის უწყისი“, რომელიც იხსნება ცალკე თითოეულ მიმღებ დაწესებულებაზე და წარმოადგენს მასალის გაცემის მთელი თვის მაგროვებელ უწყისს;

ფორმა № 397 „საკვებისა და ფურაჟის გაცემის უწყისი“, გამოიყენება პირუტყვის საკვების გასაცემად თითოეულ დაწესებულებაზე

ცალკე გამოწერით და წარმოადგენს საკვებისა და ფურაჟის გაცემის მთელი თვის მაგროვებელ უწყისს;

ფორმა № 299 ან 299-მექ. „მენიუ-მოთხოვნა კვების პროდუქტების გაცემაზე“, რომელსაც გამოწერს ყოველდღიურად ექიმი ან დიეტდაკვების პროდუქტების დღიური გაცემის ნორმებისა და კმაყოფაზე მყოფთა რაოდენობის გათვალისწინებით. პროდუქტების მიღებაზე ხელს აწერს მზარეული, ხოლო მათ გაცემაზე — მეკუქნავე. მენიუ-მოთხოვნები ბუხპალატერიას გადაეცემა დოკუმენტბრუნვის გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს თვეში სამჯერ;

ფ. № 431-მექ. „სანისიო ბარათი“, რომლითაც მასალები გაიცემა ყოველდღიურად ან პერიოდულად. ყოველდღიური სანისიო ბარათი გაიცემა 15 დღისათვის, ხოლო პერიოდული — ერთი თვისათვის. მასალები ლიმიტის ფარგლებში გაიცემა სანისიო ბარათით, ხოლო ლიმიტის ზევით — ზედნაღებით (მოთხოვნით) — ფ. № 434-მექ.

სათბობის სანისიო ბარათით ან ზედნაღებით (მოთხოვნით) ყოველდღიურად გაცემის შეუძლებლობისას, დახარჯული სათბობი ჩამოიწერება ნაშთის გაზომვის აქტით. ამ შემთხვევაში აუცილებელია დაწესებულებას ჰქონდეს სათბობის ხარჯვის დამტკიცებული ნორმა. სათბობის ნორმის ზევით დახარჯვის შემთხვევებში დაწესებულების ხელმძღვანელი ვალდებულია მიიღოს სათანადო ზომები.

მასალების მარაგის აღსარიცხავად ბუხპალატრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი ანგარიშები: № 03 — „ნაკეთობები და პროდუქცია“, № 04 — „მოწყობილობა და სამშენებლო მასალები და მასალები სამეცნიერო კვლევისათვის“, № 05 — „მოზარდი და გასასუქებლად დაყენებული პირუტყვი“ და № 06 — „მასალები და კვების პროდუქტები“. აღნიშნული ანგარიშები აქტიური ანგარიშებია. მატერიალურ ფასეულობათა მიღება ჩაიწერება შესაბამისი ანგარიშის დებეტში, ხოლო გასვლა — კრედიტში. ამ ანგარიშებს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ სადებეტო ნაშთები.

პირველი რიგის № 06 ანგარიში „მასალები და კვების პროდუქტები“ იყოფა ათ მეორე რიგის ანგარიშად (სუბანგარიშად) №№ 060 — 069.

№ 060 სუბანგარიშზე „მასალები სასწავლო, სამეცნიერო და სხვა მიზნებისათვის“ აღირიცხება რეაქტივები და ქიმიკატები, მინა და ქიმიური ჭურჭელი, ელექტრო და რადიომასალები, ფოტოკუთვნილებანი, ქაღალდი და სხვა მასალები სასწავლო და სამეცნიერო მიზნებისათვის, ძვირფასი ლითონები კბილის პროთეზისათვის.

№ 061 სუბანგარიში — „კვების პროდუქტები“ — გამოიყენება იმ დაწესებულებაში, რომლის შენახვის ხარჯთნუსხაში გათვალისწინებულია კვების ხარჯები ხარჯთნუსხის მე-9 მუხლით. ასეთ დაწესებულე-

ბებს მიეკუთვნებიან სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებები, სკოლა-ინტერნატები, საავადმყოფოები, ინვალიდთა სახლები და სხვა.

კვების პროდუქტების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ფორმა № მ-44 ბრუნვათა უწყისებში. ამ უწყისებში ბრუნვები იწერება თვეში ერთხელ თვის ბოლოს კვების პროდუქტების შემოსვლის და ხარჯვის მაგროვებელი უწყისებიდან.

„კვების პროდუქტების შემოსვლის მაგროვებელი უწყისი“ (ფ. № 300-მეკ.) შედგება ცალ-ცალკე თითოეული მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიხედვით. უწყისში ჩანაწერები წარმოებს მომწოდებლის ანგარიშ-ფაქტურების, მიღების აქტებისა და სხვა საბუთების საფუძველზე. თვის ბოლოს ჯამდება უწყისის მონაცემები და მის საფუძველზე შედგება მემორიალური ორდერი № 11 „კვების პროდუქტების შემოსვლის მაგროვებელი უწყისების ნაერთი“ (ფ. № 398).

„კვების პროდუქტების გასვლის მაგროვებელი უწყისი“ (ფ. № 399-მეკ.) შედგება ასევე ცალ-ცალკე თითოეული მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიხედვით. უწყისში ჩანაწერები კეთდება მენიუმოთხოვნების (ფფ. №№ 299 ან 299-მეკ.) და სხვა საბუთების საფუძველზე. თვის ბოლოს ჯამდება უწყისი და შედგება მემორიალური ორდერი № 12 — „კვების პროდუქტების ხარჯვის მაგროვებელი უწყისების ნაერთი“ (ფ. № 411).

ჯანმრთელობის დაცვის სამეცნიერო-პროფილაქტიკურ და სხვა დაწესებულებებში კვების პროდუქტები აღირიცხება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1983 წლის 5 მაისის 530 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან.

№ 062 სუბანგარიში „მედიკამენტები და შესახვევი საშუალებები“ გამოიყენება იმ დაწესებულებაში, რომლის შენახვის ხარჯთნუსხაში გათვალისწინებულია მედიკამენტებისა და შესახვევი საშუალებების ხარჯები ხარჯთნუსხის მე-10 მუხლით. ასეთ დაწესებულებებს მიეკუთვნებიან საავადმყოფოები, სამკურნალო-პროფილაქტიკური, ვეტერინარული და სხვა დაწესებულებები.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სხვა დაწესებულებებში მედიკამენტები და შესახვევი საშუალებები აღირიცხება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სპეციალური ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან.

№ 063 სუბანგარიში „სამეურნეო მასალები და საკანცელარიო ნივთები“ გამოიყენება დაწესებულების მიმდინარე საქმიანობისათვის გამოსაყენებელი სამეურნეო მასალებისა და საკანცელარიო ნივთების აღსარიცხავად. ამ ანგარიშზე აღირიცხება ელექტრონათურები, საპო-

ნი, ჯაგრისები და სხვა, მიმდინარე და კაპიტალური რემონტებისათვის საჭირო მასალები, სათადარიგო ნაწილები.

დახარჯული სამეურნეო მასალებისა და საკანცელარიო ნივთების ღირებულება მიეკუთვნება საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯებს (მუხლი 3). ამავე მუხლს მიეკუთვნება აგრეთვე მედიკამენტებისა და შესახვევი საშუალებების ხარჯები იმ დაწესებულებაში, რომლის შენახვის ხარჯთნუსხაში მედიკამენტებისა და შესახვევ საშუალებათა ხარჯები გათვალისწინებულია ხარჯთნუსხის მესამე მუხლით.

მცირე ხარჯთნუსხის მქონე დაწესებულებებში შექმნილი საკანცელარიო ნივთები, აგრეთვე მედიკამენტები და მზა წამლები (გარდა სპირტისა, შესახვევი საშუალებებისა და ძვირად ღირებული მედიკამენტებისა) შეიძლება შექმნის საბუთითვე ჩამოიწეროს ფაქტიურ ხარჯებში 063 სუბანგარიშის შემოსავალსა და გასავალში ასახვით. ასეთ შემთხვევაში მასალის შექმნის საბუთზე ხელს უნდა აწერდეს მასალების მიმღები პირი, რომელსაც გადაეცა მასალა დაწესებულებისათვის გამოსაყენებლად.

№ 064 სუბანგარიში „სათბობი, საწვავი და საცხები მასალები“ გამოიყენება ყველა სახის სათბობის, საწვავის და საცხები მასალების აღსარიცხავად, რომელიც იმყოფება ბიუჯეტურ დაწესებულებებში.

№ 065 სუბანგარიში „საკვები და ფურაჟი“ გამოიყენება პირუტყვისა და სხვა ცხოველების საკვების აღსარიცხავად.

№ 066 სუბანგარიში „ტარა“ გამოიყენება როგორც თავისუფალ, ისე იმ ტარის აღსარიცხავად, რომელშიაც იმყოფება მატერიალური ფასეულობანი. ტარას მიეკუთვნება კასრები, ყუთები, ბოთლები, მიწის ქილები და სხვა, რომლებშიაც მოთავსებულია ან შეიძლება მოთავსდეს მატერიალური ფასეულობანი.

№ 067 სუბანგარიში „სხვა მასალები“ გამოიყენება იმ მასალების აღსარიცხავად, რომლებიც თავიანთი სახეობისა და დანიშნულების მიხედვით არ მიეკუთვნებიან 060—066 სუბანგარიშებს.

№№ 060, 063—067 სუბანგარიშებზე მისაკუთვნებელი მასალების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ფორმა № 296 დავთარში ან № 296-ა ფორმის ბარათებზე, ხოლო ცენტრალიზებულ ბუხპალტერიებში მთავარი ბუხპალტრის გადაწყვეტილებით — ფორმა № 296-ბ დავთარში.

მეცნიერებათა აკადემიის სისტემის დაწესებულებებში შექმნილი მასალების ღირებულება ჩაიწერება № 06 ანგარიშის შესაბამისი სუბანგარიშების დებეტში და შესაბამისი სუბანგარიშების №№ 090, 091, 092, 110, 111, 112, 120, 160, 178, 179 კრედიტში. დახარჯული მასალების ღირებულება — 06 ანგარიშის შესაბამისი სუბანგარიშების კრედიტში და 082, 200, 203, 210, 211, 212 შესაბამისი სუბანგარიშების დებეტში.

№ 06 ანგარიშის სუბანგარიშების აღრიცხვისათვის გამოიყენება № 9 ეურნალ-ორდერი.

№ 068 სუბანგარიში „მასალები გზაში“ გამოიყენება ისეთი მასალების აღსარიცხავად, რომლის ღირებულება განაღდებულია, მაგრამ თვის ბოლომდე მასალებმა ვერ მოასწრო საწყობში (საკუჭნაოში) შემოსვლა. ამ ანგარიშებზევე შეიძლება აღირიცხოს მასალები, რომლებიც შექმნილია ცენტრალიზებული მომარაგების წესით და ვერ მოესწრო განაწილება მომსახურებაში მყოფ დაწესებულებებზე.

გზაში მყოფი მასალების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ფ. № 296 დავთარში ცალკე მომწოდებლების ჭრილში. ცენტრალიზებული წესით შექმნილი გზაში მყოფი მასალების აღრიცხვა წარმოებს ფორმა № 296-დავთარში მასალების ცალკე სახეების მიხედვით რაოდენობრივად და თანობრივად.

№ 069 სუბანგარიში „მანქანებისა და მოწყობილობათა სათადარიგო ნაწილები“ გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებების, საანგარიშო, სამედიცინო და სხვა მანქანების რემონტისა და გაცვეთილი ნაწილების შესაცვლელად განკუთვნილი სათადარიგო ნაწილების (საბურავების, კამერების, ძრავების და ა. შ.) აღსარიცხავად.

სათადარიგო ნაწილების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ბარათებში, ფ. № 296-ა ან ფ. № 296 დავთარში სათადარიგო ნაწილების დაახელებით, რაოდენობით, ღირებულებით და სხვა მაჩვენებლებით. მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით. ავტომანქანების ახალი საბურავებისა და კამერების გასაცემად საჭიროა ძველი საბურავებისა და კამერების ჩაბარება. ავტომანქანების საბურავები და კამერები ბუხპალტერიაში აღირიცხება „ექსპლოატაციაში მყოფი მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების მოძრაობის ოპერატიული (რაოდენობრივი) აღრიცხვის უწყისში“ (ფ. № 412), რომელშიც ჩაიწერება მიმღების თანამდებობა და გვარი. ამასთანავე აღინიშნება გაცემული საბურავებისა და კამერების საქარხნო ნომრები, ხოლო სვეტში „აღნიშვნები გასვლის შესახებ“ ჩაიწერება ჩაბარებული უვარგისი საბურავებისა და კამერების საქარხნო ნომრები.

სპეციალური სახსრების ანგარიშში შექმნილი სათადარიგო ნაწილები ჩაიწერება იგივე სააღრიცხვო რეგისტრებში, მხოლოდ ბიუჯეტური სახსრების ანგარიშში შექმნილი ნაწილებისაგან ცალკე გამოყოფით.

2. მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების აღრიცხვა

მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების შემადგენლობაში შედის:

2 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებული ერთეული (კომპლექტი) თეთრეული, ლოგინის კუთვნილებები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სასცენო-დადგმითი საშუალებები.

100 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებული ერთეული (კომპლექტი) მანქანები და მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები, საწარმოო ინვენტარი და მოწყობილობები, სამეურნეო ინვენტარი, სასადილო და სამზარეულო ინვენტარი;

თევზსაჭერი იარაღები და ტელეფონის აპარატები ღირებულების მიუხედავად.

ბუხპალტრული აღრიცხვის ანგარიშების გეგმის მიხედვით მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების აღსარიცხავად შემოღებულია ანგარიში № 07 „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები“, რომელიც იყოფა ორ სუბანგარიშად: № 070 „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები საწყობში“ და № 071 „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები ექსპლოატაციაში“.

მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ანგარიში წარმოადგენს აქტიურ ანგარიშს, რომლის დებეტში ჩაიწერება ამ საგნების შემოსვლა, ხოლო კრედიტში — მათი გასვლა-ჩამოწერა.

მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ამსახველი ანგარიში მიეკუთვნება მასალების ამსახველი ანგარიშების ჯგუფს და მათი შემოსვლისა და გასვლის დოკუმენტური გაფორმების წესი მსგავსია მასალების შემოსვლა-გასვლის დოკუმენტური გაფორმებისა.

მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები, რომლებიც შექმნილია საბიუჯეტო ან სპეციალური სახსრების ანგარიშში, გატარდება № 070 სუბანგარიშის დებეტში და შესაბამისი ფულადი ან ანგარიშსწორებების სუბანგარიშების №№ 090, 091, 100, 101, 111, 120, 160, 178, 179 კრედიტში.

შექმნილი მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები ერთდროულად გატარდება № 200 ან № 211 სუბანგარიშის დებეტში და № 260 სუბანგარიშის („ფონდი მცირეფასიან და სწრაფცვეთად საგნებში“) კრედიტში.

5 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებული ერთეული (კომპლექტი) — სასწავლო და დამხმარე ხელსაწყოები (სკოლებში, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში), აგრეთვე 2 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებული მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები, გარდა თეთრეულის, ლოგინის კუთვნილების, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისა, აგრეთვე სასადილო და სამზარეულო ინვენტარისა, ექსპლუატაციაში გადაცემისას ჩაიწერება № 260 სუბანგარიშის დებეტში და № 070 სუბანგარიშის კრედიტში. ასეთ საგნებს აღრიცხავს

მატერიალურად პასუხისმგებელი პირი „ექსპლოატაციაში მყოფი მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების მოძრაობის ოპერატიული (რაოდენობრივი) აღრიცხვის უწყისში“ (ფორმა № 412) ან „მასალების სასაწყობო აღრიცხვის დავთარში“ (ფ. № მ-17).

2 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებული ერთეული (კომპლექტი) თეთრეული, ლოგინის კუთვნილება, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, აგრეთვე სასადილო და სამზარეულო ინვენტარი (დაწესებულებებში, რომელთაც აქვთ თავის შემადგენლობაში სასადილო და კვების ბლოკები), ექსპლოატაციაში გადაცემისას გატარდება № 071 სუბანგარიშის დებეტში და № 070 სუბანგარიშის კრედიტში. ასევე გატარდება საწყობიდან ექსპლოატაციაში გადაცემული 100 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებული ერთეული (კომპლექტი) მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები.

ინვენტარიზაციის დროს გამოვლენილი მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ზედმეტობა გატარდება: დებეტი სუბანგარიში № 070 ან № 071 და კრედიტი სუბანგარიში № 260; ასევე გატარდება უსასყიდლოდ მიღებული მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები.

უსასყიდლოდ გადაცემული მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები გატარდება დებეტი № 260 სუბანგარიში და კრედიტი № 070 ან № 071 სუბანგარიში.

ძველი და გამოსაყენებლად უვარგისი მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები, რომელთა შეკეთება შეუძლებელია ან მიზანშეუწონელია, ჩამოიწერება ფონდის შემცირებით: დებეტი სუბანგარიში № 260 და კრედიტი სუბანგარიში № 071.

ინვენტარიზაციის დროს გამოვლენილი მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების დანაკლისი, რომელიც უნდა დაეწეროს მატერიალურად პასუხისმგებელ პირს, გატარდება შემდგენიარად: დებეტი სუბანგარიში № 260 და კრედიტი სუბანგარიში № 070 ან № 071. ერთდროულად წარმოებს მეორე გატარება დებეტი სუბანგარიში № 170 და კრედიტი სუბანგარიში № 173.

დაწესებულების ანგარიშზე ჩამოწერილი მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების დანაკლისი გატარდება: დებეტი № 260 სუბანგარიში და კრედიტი № 070 ან № 071 სუბანგარიში.

რეალიზებული მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები აისახება № 070 ან № 071 სუბანგარიშის კრედიტში და შესაბამისი ფულადი სახსრების ან ანგარიშსწორებების სუბანგარიშის №№ 090, 091, 096, 100, 101, 120, 178 დებეტში. ერთდროულად მოხდება გატარება — დებეტი სუბანგარიში № 260 და კრედიტი სუბანგარიში № 173.

მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ხმარებიდან გასვლისა და გადაადგილების ოპერაციები ჩაიწერება მაგროვებელ უწყისში

ფ. № 438. მცირე რაოდენობის ოპერაციების მქონე ბიუჯეტურ დაწესებულებაში ფ. № 438 მემორიალური ორდერის ნაცვლად შედგება № 274 ფორმის მემორიალური ორდერი.

საწყობში არსებული მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების (სუბანგარიში № 070) ანალიზური აღრიცხვა ბუხპალტერიაში წარმოებს „მატერიალურ ფასეულობათა რაოდენობრივ-თანხობრივი აღრიცხვის დაეთარში“ (ფ. № 296) ან ბარათებზე (ფ. № 296-ა).

ექსპლოატაციაში მყოფი მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების (სუბანგარიში № 071) ანალიზური აღრიცხვისათვის გამოიყენება მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის ბარათები (ფ. № 296-ა) ან საინვენტარიზაციო აღწერილობა-შედარებითი უწყისები ფ. № 401. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების მოძრაობის ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ფ. № 402 ჩასართავ ფურცლებში.

მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ანალიზური აღრიცხვა ბუხპალტერიაში წარმოებს როგორც რაოდენობრივად, ისე თანხობრივად ცალკეული მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით, ხოლო საწყობში (საკუჭნაოში) აღრიცხვას აწარმოებს მატერიალურად პასუხისმგებელი პირი საგნების დასახელებისა და რაოდენობის მიხედვით „მასალების სასაწყობო აღრიცხვის დაეთარში“ (ფ. № მ-17).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებებში მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების გასვლისა და გადაადგილების ოპერაციები ჩაიწერება თითოეული საბუთის მიხედვით № 14 მაგროვებელ უწყისში. იმ დაწესებულებებში, სადაც ასეთი ოპერაციები მცირე რაოდენობითაა, ჩაწერა წარმოებს უშუალოდ № 10 ეურნალ-ორდერში.

თ ა ვ ი IX

ბიუჯეტბარეშე სახსრების აღრიცხვა

1. ბიუჯეტბარეშე სახსრები და მათი სახეობი

ბიუჯეტური დაწესებულებები თავიანთ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების გასაწევად საჭირო სახსრებს ღებულობენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტიდან. გარდა აღნიშნული სახსრებისა, ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებს შეიძლება ჰქონდეთ აგრეთვე ბიუჯეტგარეშე სახსრები.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების ბიუჯეტგარეშე სახსრების ღებულების მიხედვით „ბიუჯეტგარეშე სახსრებს წარმოადგენს ის სახსრები, რომლებსაც ბიუჯეტური დაწესებულებები ღებულობენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა. ბიუჯეტგარეშე სახსრები იხარჯება მკაცრად მიზნობრივი დანიშნულებით“.

ბიუჯეტგარეშე სახსრების შემადგენლობაში შედის მისი შემდეგი სახეები: სპეციალური სახსრები, დავალებათა თანხები, დეპოზიტური თანხები და სხვა.

სპეციალური სახსრების თანხების შემოსვლა და ხარჯვა იგეგმება სპეციალური სახსრების შემოსავლებისა და ხარჯების ხარჯთნუსხით.

დავალებათა თანხები და დეპოზიტური თანხები თავიანთი არსის მიხედვით წარმოადგენენ გაუთვალისწინებელ — შემთხვევით შემოსულ თანხებს, რის გამო ისინი არ იგეგმებიან და მათი მოძრაობა ხდება შესრულების წესით, გეგმის გარეშე.

სხვა ბიუჯეტგარეშე სახსრები იგეგმება ცალკეული სახეობის სპეციფიკის გათვალისწინებით და ჩაირთვება დაწესებულების ფინგეგმაში, როგორც ეს საბავშვო დაწესებულებებში მშობელთა გადასახდელებზე გათვალისწინებული ან დაიგეგმება ცალკე ხარჯთნუსხით.

2. სპეციალური სახსრების, დავალებათა თანხებისა და დეპოზიტური თანხების აღრიცხვა

სპეციალური სახსრები წარმოადგენს ბიუჯეტურ დაწესებულებათა იმ შემოსავლებს, რომლებსაც ისინი ღებულობენ საიჯარო ქირისა და

ბინის ქირის, საერთო საცხოვრებლის ქირის, ტრანსპორტის მომსახურებისათვის გადასახდელებისა და სხვა სამუშაოთა სახით, აგრეთვე პროდუქციის რეალიზაციიდან ან სხვა საქმიანობიდან.

სპეციალური სახსრები შეიძლება წარმოიქმნას მხოლოდ მაშინ, როდესაც მასზე არსებობს ნებართვა. საკავშირო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებას ასეთ ნებართვას აძლევს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო, ხოლო დანარჩენ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებებს — შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო ან მათი დავალებით შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო.

სპეციალური სახსრების თითოეულ სახეობაზე ყოველწლიურად შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ცალკე ხარჯთნუსხა. თითოეული სპეციალური სახსრების ხარჯების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს ამავე სახის სპეციალური სახსრების შემოსავლებს. დაუშვებელია ამა თუ იმ სახის სპეციალური სახსრების შემოსავალი მოხმარდეს სხვა სახის სპეციალური სახსრების ხარჯებს.

დარგობრივი დაქვემდებარების სამინისტროების და უწყებების სპეციალური სახსრების ნაერთ ხარჯთნუსხას და აგრეთვე მათ უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხებს ამტკიცებენ შესაბამისი ფინორგანოები, ხოლო დამტკიცებული ნაერთი ხარჯთნუსხის ფარგლებში სამინისტროები, უწყებები და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების განყოფილებები (სამმართველოები) უმტკიცებენ სპეციალური სახსრების ინდივიდუალურ ხარჯთნუსხებს მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებს.

ყველა სახის სპეციალურ სახსრებზე სახბანკის განყოფილებაში ბიუჯეტურ დაწესებულებას ეხსნება სპეცსახსრების ერთი მიმდინარე ანგარიში. ერთი მიმდინარე ანგარიში იხსნება აგრეთვე ცენტრალიზებულ ბუხჩალტერიაში შემავალ ყველა დაწესებულებისათვის. ეს ანგარიში იხსნება იმ დაწესებულების სახელით, ვისთანაც შექმნილია ცენტრალიზებული ბუხჩალტერია.

სპეციალური სახსრების მიმდინარე ანგარიში გაიხსნება დაწესებულების განცხადებისა და სპეციალური სახსრების დამტკიცების შესახებ გაცემული ცნობის საფუძველზე. სახბანკის დაწესებულებაში წარსადგენ ცნობას გასცემს ის დაწესებულება, რომელმაც დაამტკიცა სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხა. იმ შემთხვევაში, როდესაც ხარჯთნუსხით გათვალისწინებულია თანხების ბიუჯეტში შეტანა, ცნობის გამცემი დაწესებულება ცნობის მეორე ეგზემპლარს უგზავნის შესაბამის ფინორგანოს თანხების ბიუჯეტში შეტანაზე სათანადო კონტროლისათვის.

სახბანკის დაწესებულებაში სპეციალური სახსრების დამტკიცების შესახებ ცნობის წარდგენის უკანასკნელი ვადაა 1 აპრილი. სახალხო დემუტატთა სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასკომები სახბანკის დაწესებულებაში არ წარადგენენ ცნობას სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხების დამტკიცების შესახებ. იმ ბიუჯეტური დაწესებულებების სპეციალური სახსრების მიმდინარე ანგარიშები, რომელზედაც 1 აპრილამდე არ იქნება წარდგენილი სახბანკის დაწესებულებაში ცნობა ხარჯთნუსხების დამტკიცების შესახებ, ექვემდებარებიან დახურვას.

სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხებით გათვალისწინებული ბიუჯეტში შესატანი თანხები შეიტანება ბიუჯეტის შემოსავალში 12 კარის 16 პარაგრაფზე კვარტალურად, არაუგვიანეს კვარტალის უკანასკნელი თვის 15 რიცხვისა. ბიუჯეტში შესატანი თანხა შეიტანება სრულად იმ შემთხვევაშიც, როდესაც სპეციალური სახსრების შემოსავლების გეგმა არ სრულდება. ასეთ შემთხვევაში ბიუჯეტურმა დაწესებულებამ უნდა შეამციროს სპეციალური სახსრებით გასაწვევი ხარჯები.

სპეციალური სახსრების გეგმის ზევით შემოსული თანხები შეიძლება დაიხარჯოს იმავე წელს დამატებითი ხარჯთნუსხის დამტკიცების შემთხვევაში; ასეთ პირობებში სახბანკის დაწესებულებას წარედგინება სპეციალური სახსრების დამტკიცებაზე ახალი ცნობა წინათ გაცემული ცნობის შესაცვლელად.

სპეციალური სახსრების ოპერაციების სინთეზური აღრიცხვა წარმოებს იმავე „უურნალ-მთავარ დაეთარში“ (ფ. № 308), რომელშიაც ბიუჯეტური სახსრების აღრიცხვა.

სპეციალური სახსრების ოპერაციების სინთეზური აღრიცხვა წარმოებს „სპეციალური სახსრების აღრიცხვის დაეთარში“ (ფ. № 297-ბ), ფ. № 282 ან ფ. № 283 ბარათებზე.

სპეციალური სახსრების აღრიცხვის ფ. № 297-ბ დაეთარში თითოეული დაწესებულების მიხედვით იხსნება სამი საბალანსო ანგარიში: № 111 „მიმდინარე ანგარიში სპეციალურ სახსრებზე“, № 400 „შემოსავლები სპეციალური სახსრებით“ და № 211 „ხარჯები სპეციალური სახსრებით“. ამ დაეთარში № 400 და № 211 სუბანგარიშები დანაწილებულია სპეციალური სახსრების სახეების მიხედვით.

№ 400 სუბანგარიში „შემოსავლები სპეციალური სახსრებით“ პასიური ანგარიშია. ამ ანგარიშის კრედიტში ჩაიწერება სპეციალური სახსრების დარიცხული ან მიღებული შემოსავლები, ანგარიშსწორების ან ფულადი სახსრების ამსახველი შესაბამისი ანგარიშების დადებებით.

№ 400 სუბანგარიშის დებეტში ჩაიწერება დარიცხული ან მიღებული შემოსავლების შემცირებაზე მიმართული ოპერაციები: ხარჯთ-

ნუსხით გათვალისწინებული შემოსავლის ხარჯებზე გადანამეტი თანხის ბიუჯეტის შემოსავალში № 111 მიმდინარე ანგარიშიდან გადარიცხვა, სხვადასხვა ფონდების შექმნაზე მიმართული შემოსავლები, უიმედო დებიტორული დავალიანების ან დაწესებულების ხარჯზე დანაკლისების ჩამოწერა, წლის განმავლობაში სპეციალური სახსრების ანგარიშში გაწეული დანახარჯების № 211 სუბანგარიშიდან ჩამოწერა და სხვა.

№ 211 სუბანგარიშზე „ხარჯები სპეციალური სახსრებით“ აღირიცხება ბიუჯეტური კლასიფიკაციის ხარჯები სათანადო მუხლებზე მიკუთვნებით. № 211 ანგარიშზე აღირიცხება სპეციალური სახსრების ხარჯები ცალკე სახეების ჭრილში ისეთივე დასახელებით, როგორც ეს მოცემულია № 400 სუბანგარიშზე. № 211 სუბანგარიშზე აღირიცხება აგრეთვე მცირე მოცულობის დამხმარე მეურნეობის ხარჯები.

სპეციალური სახსრების აღრიცხვის დავთარში (ფ. № 297-ბ) ყოველთვიურად გამოიყვანება ცალკე სტრიქონებზე მოცემული თვის ოპერაციების ჯამი და ნაშთი მომდევნო თვის პირველი რიცხვისათვის.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის დაწესებულებებში სპეციალური სახსრების შემოსავლების ანალიზური აღრიცხვა (სუბანგარიში № 400) მისი სახეების მიხედვით წარმოებს № 18 ეურნალ-ორდერში, ხარჯებისა (სუბანგარიში № 211) — № 17 ეურნალ-ორდერის № 7 მაგროვებელ უწყისში, ხოლო სპეციალური სახსრების მიმდინარე ანგარიშის ოპერაციებისა (სუბანგარიში № 111) — № 4 ეურნალ-ორდერის № 4 მაგროვებელ უწყისში.

დავალებათა თანხები წარმოადგენს ბიუჯეტურ დაწესებულებათა იმ შემოსავლებს, რომლებსაც ისინი ღებულობენ წარმოებიდან, ორგანიზაციებიდან და დაწესებულებებიდან მათ მიერვე მიცემული დავალებების შესასრულებლად.

საზბანკის დაწესებულებაში ბიუჯეტურ დაწესებულებას ეხსნება დავალებათა თანხების ოპერაციებისათვის ცალკე მიმდინარე ანგარიში, შესაბამისი ფინორგანოს ნებართვის საფუძველზე, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ფინორგანოს ნებართვა არ არის საჭირო.

დავალებათა თანხების მიმდინარე ანგარიშის გასახსნელად საჭიროა ბიუჯეტური დაწესებულების ზემდგომის შუამდგომლობა ამ სახის ანგარიშის გახსნის შესახებ. ამ შუამდგომლობას ღებულობს შესაბამისი ფინორგანოს სათანადო სამმართველო, განყოფილება (ინსპექცია), რომელიც საკითხის დადებითად გადაჭრის შემთხვევაში ამზადებს სპეციალური ფორმის ნებართვას, რომელსაც იგი გადასცემს ფინორგანოს საბიუჯეტო სამმართველოს (საბიუჯეტო ინსპექციას, განყოფილებას), ეს უკანასკნელი, შემოწმების შემდეგ, ნებართვას დავალებათა თანხე-

ზის მიმდინარე ანგარიშის გახსნის შესახებ წარადგენს სახბანკის შესაბამის დაწესებულებაში.

დავალებათა თანხების მიმდინარე ანგარიშის მოქმედების ვადას საზღვრავს ფინორგანო ამ დროის ხანგრძლივობით, რომელიც საჭიროა მიცემული დავალების შესასრულებლად. თუ ცნობაში ანგარიშის მოქმედების კონკრეტული ვადა არ არის ნაჩვენები, ასეთ შემთხვევაში ნებართვაში უნდა ჩაიწეროს, რომ ანგარიში მოქმედებაშია მის გაუქმებამდე.

დავალებათა თანხების ოპერაციების აღსარიცხავად გამოიყენება პირითადად შემდეგი სუბანგარიშები: № 110 „მიმდინარე ანგარიში დავალებათა თანხებზე“, № 176 „ანგარიშსწორებანი დავალებათა ხარჯებისათვის მიღებული სახსრებით“, № 240 „მუშაკთა პრემიების გაცემისა და ერთდროული დახმარების ფონდი“, აგრეთვე საპროცენტების მიხედვით №№ 120, 160 და სხვა სუბანგარიშები.

დავალებათა თანხების შემოსვლა გატარდება № 110 სუბანგარიშის დებეტში და № 176 სუბანგარიშის კრედიტში. დავალების შესრულებაზე აღნიშნული სახსრების დახარჯვა და აუთვისებელი თანხების უკან დაბრუნება გატარდება № 110 სუბანგარიშის კრედიტში და № 176 სუბანგარიშის დებეტში. პრემიების გასაცემად შემოსულ თანხებზე დადებულდება № 110 სუბანგარიში და დაკრედიტდება სუბანგარიში № 240 „მუშაკთა პრემიების გაცემისა და ერთდროული დახმარების ფონდი“. პრემიებისა და ერთდროული დახმარებების გასაცემად მიმდინარე ანგარიშიდან გამოტანილი თანხა გატარდება კრედიტი № 110 სუბანგარიში და დებეტი № 120 ან № 160 სუბანგარიში, ხოლო დახარჯვა ჩაიწერება შესაბამისად № 120 ან № 160 სუბანგარიშის კრედიტში და № 240 სუბანგარიშის დებეტში.

დავალებათა თანხების ოპერაციების სინთეზური აღრიცხვა წარმოებს იმავე „ეურნალ-მთავარ დაეთარში“ (ფ. № 308), რომელშიაც ბიუჯეტური სახსრების აღრიცხვა.

დავალებათა თანხების № 110 მიმდინარე ანგარიშის ოპერაციების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს № 292 დაეთარში ან ფ. № 292-ა ბარათებზე დავალებათა თანხების თითოეული სახის მიხედვით ცალკე.

მეცნიერებათა აკადემიის სისტემის დაწესებულებებში № 110 სუბანგარიშის ოპერაციების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს № 4 ეურნალ-ორდერის № 4 მაგროვებელ უწყისში.

დეპოზიტური თანხები წარმოადგენენ ბიუჯეტური დაწესებულების დროებით განკარგულებაში მყოფ სახსრებს, რომლებიც ექვემდებარებიან შემომტანზე დაბრუნებას ან დანიშნულებისამებრ გადაცემას.

დეპოზიტური თანხებისათვის ბიუჯეტურ დაწესებულებას სახბანკის დაწესებულებაში ეხსნება ცალკე მიმდინარე ანგარიში.

მოქალაქეებისადმი კუთვნილი დეპოზიტური თანხები ინახება დეპოზიტური თანხების მიმდინარე ანგარიშზე საპი წლის განმავლობაში, ხოლო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების კუთვნილი თანხები — ერთი წლის განმავლობაში. აღნიშნული ვადების გავლის შემდეგ დეპოზიტური თანხები ექვემდებარება შესაბამისი ბიუჯეტის შემოსავალში გადარიცხვას.

დეპოზიტური თანხები აისახება № 112 სუბანგარიშზე „მიმდინარე ანგარიში სხვა ბიუჯეტგარეშე სახსრებზე“ და № 177 სუბანგარიშზე „ანგარიშსწორებანი დეპონენტებთან“.

დეპოზიტური თანხების მიმდინარე ანგარიშზე თანხების შემოსვლა ჩაიწერება № 112 სუბანგარიშის დებეტში და № 177 სუბანგარიშის კრედიტში, ხოლო ამ თანხების დაბრუნება ან ბიუჯეტში გადარიცხვა გატარდება № 112 სუბანგარიშის კრედიტში და № 177 სუბანგარიშის დებეტში.

სხვა ბიუჯეტგარეშე სახსრებს მიეკუთვნება ბიუჯეტურ დაწესებულებაში შემოსული ისეთი სახსრები, რომლებიც თავისი დანიშნულებით არ წარმოადგენს სპეციალურ სახსრებს, დავალებათა ან დეპოზიტურ თანხებს.

სხვა ბიუჯეტგარეშე სახსრები თავისი დანიშნულების მიხედვით შეიტანება (ინახება) სხვადასხვა მიმდინარე ანგარიშებზე:

ჩაირიცხება საბიუჯეტო (მიმდინარე) ანგარიშზე:

— სკოლამდელ დაწესებულებებში მშობელთა გადასახდელი ბავშვთა შენახვისათვის;

— მუსიკალურ შვიდწლიან სკოლებში ბავშვების სწავლებისათვის მშობელთა გადასახდელი;

— სასწავლებლებში საერთო საცხოვრებლით სარგებლობისათვის გადასახდელი.

ინახება სპეციალური სახსრების მიმდინარე ანგარიშებზე:

— საყოველთაო სწავლების ფონდის სახსრები;

— გახანგრძლივებული რეჟიმის დღის სკოლებში და სკოლებთან არსებულ ინტერნატებში ბავშვების კვებისათვის შემოსული სახსრები;

— სასწავლებლების და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და განმტკიცების სახსრები.

ინახება სხვა ბიუჯეტგარეშე სახსრების მიმდინარე ანგარიშზე:

— პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებში მოსწავლეების მიერ შესრულებული სამუშაოებიდან და ხელშეკრულებით

კადრების მომზადებაზე და მუშების კვალიფიკაციის ასამაღლებლად შემოსული სახსრები;

— ნადირობისა და აგრეთვე სამონადირეო პროდუქციის დამზადების წესებისა და ვადების დარღვევისათვის შემოსული სახსრები;

— თევზის მარაგებზე მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად წართმეული თევზის, საცურაო საშუალებების და თევზსაჭერი იარაღების რეალიზაციის შედეგად, აგრეთვე ჭარიმების სახით მიღებული სახსრები;

— ფორმის ტანსაცმელის ანგარიშსწორებისათვის შემოსული სახსრები.

3. აღრიცხვა საწარმოო (სასწავლო) სახელოსნოებსა და წესდების არაქონე დამხმარე სოფლის მეურნეობებში

სკოლებს და სხვა ბიუჯეტურ დაწესებულებებს შეიძლება ჰქონდეთ საწარმოო (სასწავლო) სახელოსნოები და დამხმარე სოფლის მეურნეობა. მცირე მოცულობის დამხმარე საწარმოებს და სოფლის მეურნეობას არა აქვთ წესდება და სახელმწიფო მათ არ უწესებთ საწარმოო ფონდებს. ასეთი სასწავლო სახელოსნოების და დამხმარე სოფლის მეურნეობის საქმიანობასთან დაკავშირებული საბუხპალტრო ოპერაციები, მოქმედი ინსტრუქციების მიხედვით, აღირიცხება სპეციალური სახსრების ამსახველ ანგარიშებზე აღრიცხვის მარტივი მეთოდით (ოპერაციების წარმოებისა და რეალიზაციის ამსახველ ანგარიშებზე გავლის გარეშე) შემდეგნაირად:

სპეციალური სახსრების დარიცხული შემოსავლები: დებეტი სუბანგარიში № 178 და კრედიტი სუბანგარიში № 400;

დამხმარე სახელოსნოებიდან და სოფლის მეურნეობიდან მიღებული ნაკეთობები და პროდუქცია გატარდება შესაბამისად № 030 ან 031 სუბანგარიშების დებეტში და № 400 სუბანგარიშის კრედიტში;

პროდუქციის რეალიზაცია წარმოებს ხარჯთუნსხით გათვალისწინებული გასაცემი (სარეალიზაციო) ფასებით. რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა გატარდება: დებეტი № 111 სუბანგარიში და კრედიტი შესაბამისად № 030 ან № 031 სუბანგარიში. ამასთანავე, რეალიზებული პროდუქციის გასაცემ და ფაქტიურ ან საგეგმო ღირებულებას შორის სხვაობა გატარდება № 400 სუბანგარიშზე. ფაქტიური ან საგეგმო ღირებულება როდესაც ჰარბობს გასაცემ ღირებულებას. მაშინ აღნიშნული სხვაობა გატარდება შესაბამისად № 030 ან № 031 სუბანგარიშის კრედიტში და № 400 სუბანგარიშის დებეტში, ხოლო როდესაც გასაცემი ღირებულება ჰარბობს ფაქტიურ ან საგეგმო ღირებულებას, მაშინ სხვაობა გატარდება შესაბამისად № 030 ან № 031 სუბანგარიშის დებეტში და № 400 სუბანგარიშის კრედიტში;

დამხმარე სახელოსნოებისა და სოფლის მეურნეობის ყველა ხარჯი გატარდება № 211 სუბანგარიშის „ხარჯები სპეციალური სახსრებით“ დებეტში. წლის ბოლოს მიმდინარე წელზე მისაკუთვნებელი ხარჯები № 400 სუბანგარიშის საკრედიტო ნაშთის ფარგლებში გატარდება დებეტი სუბანგარიში № 400 და კრედიტი სუბანგარიში № 211.

სპეციალური სახსრების გეგმით გათვალისწინებული შემოსავლების ხარჯებზე გადანამეტი თანხის ბიუჯეტში შეტანა გატარდება № 400 სუბანგარიშის დებეტში და № 111 სუბანგარიშის კრედიტში.

საწარმოო (სასწავლო) სახელოსნოებისა და დამხმარე სოფლის მეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს სპეციალური სახსრების აღრიცხვის დავთარში (ფ. № 297-ბ) სპეციალური სახსრების ცალკე სახეების მიხედვით. ცენტრალიზებულ ბუხპალატერიებში ფ. № 297-ბ დავთარში ანგარიშები იხსნება ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

№ 030 და № 031 სუბანგარიშების (ნაკეთობებისა და პროდუქციის) ანალიზური აღრიცხვისათვის გამოიყენება ბარათები (ფ. № 296-ა).

დამხმარე სოფლის მეურნეობის ხაზით მოზარდი და გასასუქებლად დაყენებული პირუტყვის აღსარიცხავად გამოიყენება № 050 სუბანგარიში „მოზარდი და გასასუქებლად დაყენებული პირუტყვი“.

მეცხოველეობის დამხმარე მეურნეობასთან დაკავშირებულია შემდეგი ოპერაციები:

მოზარდი და გასასუქებლად დასაყენებელი პირუტყვის ყიდვა გატარდება № 050 სუბანგარიშის დებეტში და № 111 ან 178 სუბანგარიშის კრედიტში.

მოზარდი და გასასუქებლად დაყენებული პირუტყვის წონაში მატება საგეგმო ღირებულებით გატარდება № 050 სუბანგარიშის დებეტში და № 400 სუბანგარიშის კრედიტში;

პირუტყვის დაკვლით მიღებული პროდუქტის (საგეგმო ღირებულებით) მიხედვით დადებებდება № 031 სუბანგარიში და დაკრედიტდება № 050 სუბანგარიში. ამასთან დაკლული პირუტყვის საგეგმო ღირებულებასა და მიღებული პროდუქტის გასაცემ ღირებულებას შორის სხვაობა მიეკუთვნება № 400 სუბანგარიშს. იმ შემთხვევაში, თუ დაკვლის შედეგად მიღებული პროდუქტის გასაცემი ღირებულება აღემატება დაკლული პირუტყვის საგეგმო ღირებულებას, მაშინ სხვაობა გატარდება № 050 სუბანგარიშის დებეტში და № 400 სუბანგარიშის კრედიტში, საპირისპირო შემთხვევაში კი ადგილი ექნება ანგარიშების პირუტყუ (შებრუნებულ) კორესპონდენციას.

პირუტყვის კვებაზე დახარჯული ფურაჟი გატარდება № 211 სუბანგარიშის დებეტში და № 065 სუბანგარიშის კრედიტში. წლის ბო-

•ლოს № 211 სუბანგარიში დაიხურება № 400 სუბანგარიშის საკრედიტო ნაშთის ფარგლებში.

4. სახელშეკრულებო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების
შესრულების და მიხი რეალიზაციის აღრიცხვა სსრ კავშირის
მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებები სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს ძირითადად ასრულებენ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ანგარიშზე, სახალხო სამეურნეო გეგმის ოდენობით. გარდა აღნიშნულისა, ისინი ასრულებენ აგრეთვე საწარმოთა, უწყებათა და დაწესებულებათა შეკვეთით სახელშეკრულებო სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს დამკვეთთა სახსრების ანგარიშზე.

ბიუჯეტური დაფინანსებისაგან განსხვავებით, მიმდინარე წელს დამკვეთიდან შემოსული თანხა შეიძლება არ დაემთხვეს ხელშეკრულების თანხას (თუ სამუშაოს შესრულება განსაზღვრულია რამდენიმე წლის განმავლობაში), მაშინ მიმდინარე წელს შემოსული თანხა განისაზღვრება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს კალენდარული გეგმის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ყოველი ხელშეკრულების აუცილებელ ნაწილს.

ხელშეკრულების დადებად და შემკვეთიდან ავანსის მიღებამდე სახელშეკრულებო სამუშაოს ჩატარება არ შეიძლება.

სახელშეკრულებო სამუშაოების დაგეგმვა, აღრიცხვა, აგრეთვე ფინანსური შედეგის (მოგება, ზარალი) განსაზღვრა ხორციელდება ცალკეული თემების მიხედვით.

ხელშეკრულებებზე, რომელთა შესრულების ვადა არ აღემატება კალენდარულ წელს, ფაქტური ხარჯი სამუშაოს შესრულებაზე მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს მთლიან ხელშეკრულებაზე, ხოლო შამკვეთიდან მიღებული ეტაპების მიხედვით გადასახდელი გათვალისწინებულ იქნეს, როგორც შუალედური, № 175 სუბანგარიშზე — „ანგარიშსწორებანი დამკვეთებთან სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე ავანსებით“.

ფაქტური ხარჯების ჩამოწრა თემაზე № 082 სუბანგარიშიდან — „დანახარჯები სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე ხელშეკრულებით“, № 282 სუბანგარიშზე — „სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეალიზაცია ხელშეკრულებით“, აგრეთვე ფინანსური შედეგების (მოგება ან ზარალი) განსაზღვრა ხდება მხოლოდ შემკვეთზე მთლიანად სამუშაოს ჩატარების შემდეგ, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით, თანაშემსრულებლების სამუშაოს ჩათვლით.

№ 175 სუბანგარიშზე — „ანგარიშსწორებანი დამკვეთებთან სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე ავანსებით“ უნდა გაიხსნას ორი ბარათი. პირველ ბარათზე აღირიცხება დამთავრებული და ჩაბარებული ეტაპისათვის მიღებული თანხები როგორც შუალედური. იმის გამო, რომ № 282 სუბანგარიში „ხელშეკრულებით სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეალიზაცია“ წლის ბოლოს იხურება, საჭიროა წლის ბოლოს მასზე დარჩენილი რეალიზებული დაუთმავრებელი თემების თანხები გადატანილ იქნეს № 175 სუბანგარიშზე „ანგარიშსწორებანი დამკვეთებთან სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე ავანსებით“, რისთვისაც უნდა გაიხსნას მეორე ბარათი.

თუ დამკვეთზე ჩაბარებული სახელშეკრულებო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოდან მიღებული შემოსავალი (მოგება) აღემატება ხარჯებს, მაშინ მიღებული შემოსავლიდან (მოგებიდან) 25% გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო 75% — დაწესებულების განვითარების ფონდში. გადახარჯვა, რომელსაც დაუშვებს დაწესებულება უნდა დაიფაროს განვითარების ფონდის ხარჯზე.

სახელშეკრულებო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულების და მისი რეალიზაციის დროს იწარმოება შემდეგი ბუხჰალტრული კატარებები:

1. მოღებულია შემკვეთიდან ავანსი:

დებეტი სუბანგარიში № 110 „მიმდინარე ანგარიში დავალებათა თანხებზე“.

კრედიტი სუბანგარიში № 175 „ანგარიშსწორებანი დამკვეთებთან სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე ავანსებით“.

2. გაწეულია ხარჯები სახელშეკრულებო თემაზე (სამუშაოზე):

დებეტი სუბანგარიში № 082 „დანახარჯები სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე ხელშეკრულებით“.

კრედიტი შესაბამისი სუბანგარიშები.

3. წარდგენილია ანგარიში აქტით ჩაბარებულ სამუშაოზე:

დებეტი სუბანგარიში № 174 „ანგარიშსწორებანი დამკვეთებთან გასანაღდებელ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე“. კრედიტი სუბანგარიში № 282 „რეალიზაცია სამეცნიერო-კვლევით სახელშეკრულებო სამუშაოებზე“.

4. ჩათვლილია მიღებული ავანსი:

დებეტი სუბანგარიში № 175 „ანგარიშსწორებანი დამკვეთებთან სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე ავანსებით“.

კრედიტი სუბანგარიში № 174 „ანგარიშსწორებანი დამკვეთებთან გასანაღდებელი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები“.

5. შემკვეთის მიერ ანგარიშის საფუძველზე ბანკში ჩარიცხულია თანხა:

დებეტი სუბანგარიში № 110 „მიმდინარე ანგარიში დავალბათა თანხებზე“.

კრედიტი სუბანგარიში № 174 „ანგარიშსწორებები დამკვეთებთან გასანაღდებელი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებით“.

6. ფაქტიური ხარჯების ჩამოწერა დამთავრებულ თემაზე (სამუშაოზე):

დებეტი სუბანგარიში № 282 „სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეალიზაცია ხელშეკრულებით“.

7. წლის ბოლოს რეალიზებული დაუმთავრებელი თემების თანხების გადატანა ავანსების ანგარიშზე:

დებეტი სუბანგარიში № 282 „რეალიზაცია სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებით“.

კრედიტი სუბანგარიში № 175 „ანგარიშსწორებები დამკვეთებთან სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე ავანსებით“.

8. წლის ბოლოს დამთავრებული სახელშეკრულებო თემების შესრულებიდან მდებარე ფინანსური შედეგის ასახვა:

დებეტი სუბანგარიში № 282 „რეალიზაცია სამეცნიერო-კვლევით სახელშეკრულებო სამუშაოებზე“.

კრედიტი სუბანგარიში № 173 „ბიუჯეტში შესატანი თანხები“, სუბანგარიში № 246 „განვითარების ფონდი“.

**ბიუჯეტურ დაწესებულებათა ხარჯთნუსხების
შესრულების ანგარიშზე**

**1. ანგარიშების მინიშნულობა, ფულადი სახსრების, მატერიალურ
ფასეულობათა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაცია**

ბიუჯეტურ დაწესებულებას მასზე დაკისრებულ ფუნქციითა შესასრულებლად იქვს გარკვეული ქსელი, შტატი და კონტინგენტი, რომელთა შესანახად სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა ხარჯთნუსხით გათვალისწინებული სახსრები.

ხარჯთნუსხების შესრულების მიმდინარე აღრიცხვას აწარმოებს ბუხჰალტერია, რომლის მონაცემები განზოგადებული მაჩვენებლების სახით გამოსახულია ბიუჯეტურ დაწესებულებათა ხარჯთნუსხების შესრულების წინასწარ შემუშავებული და სისტემაში მოყვანილი ერთიანი ფორმის თვიურ, კვარტალურ და წლიურ ანგარიშგებაში.

ხარჯთნუსხების შესრულების ანგარიშგებას დიდი მნიშვნელობა აქვს ბიუჯეტური დაწესებულების საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების, ხელშეწყობის ფუნქციის სწორად წარმართვის, მუშაობაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელებისა და მომავალი მუშაობისა და ხარჯთნუსხების სწორად დაგეგმვისათვის.

ანგარიშგების დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარეობს, რომ იგი უნდა იყოს დროული, სრული და უტყუარი. ყოვლად დაუშვებელია ანგარიშგებაში არასწორი, შელამაზებული მონაცემების შეტანა.

იმის დასადგენად, თუ ბუხჰალტრული აღრიცხვის მონაცემები რამდენად გამოსახავენ რეალურ მდგომარეობას, ტარდება ფულადი სახსრების, მატერიალურ ფასეულობათა და ანგარიშსწორებებზე მყოფი სახსრების ინვენტარიზაცია სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების და ორგანიზაციების საბუხჰალტრო ანგარიშებისა და ბალანსების დებულების შესაბამისად.

ინვენტარიზაციის შედეგად სახეზე არსებული ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა ფაქტიური რაოდენობა შეუდარ-

დება ბუხპალტრული აღრიცხვის მონაცემებით არსებულ რაოდენობას და გამოიყვანება ინვენტარიზაციის შედეგები.

იმისათვის, რომ ბუხპალტრული აღრიცხვის მონაცემები გამოსახედნენ რეალურ მდგომარეობას, ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა ზედმეტობა აიღება შემოსავალში და გატარდება შესაბამის ანგარიშებზე, ხოლო ნაკლებობა ჩამოიწერება დაწესებულების ანგარიშზე, თუ ფაქტიური დანაკლისი არ აღემატება ამ სახის მატერიალურ ფასეულობათა ბუნებრივი დანაკლისების ნორმით გათვალისწინებულ რაოდენობას. მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი, რომელიც აღემატება ამ ფასეულობათა ბუნებრივი დანაკლისის ნორმებს, ჩამოიწერება მატერიალურ ფასეულობათა შესაბამისი ანგარიშიდან და ასანაზღაურებლად დაეწერება მატერიალურად პასუხისმგებელ პირს № 170 სუბანგარიშზე.

საღაროს ინვენტარიზაციის შედეგებს ცალკე აქტით აფორმებს საინვენტარიზაციო კომისია.

ანგარიშსწორებებზე მყოფი სახსრების რეალურობის დადგენა გულისხმობს, რომ ამ ანგარიშებზე დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორებები ურთიერთშეთანხმებული იყოს. ურთიერთშეთანხმებულობა დასტურდება შედარების აქტებით ან დებიტორ-კრედიტორების მიერ პირადი ანგარიშების ამონაწერების გაცვლაზე და შედარებაზე დამყარებული დადასტურებით. დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორებების ინვენტარიზაცია წარმოებს წელიწადში ორჯერ მაინც. ანგარიშსწორებების ინვენტარიზაციის მასალები წარედგინება საინვენტარიზაციო კომისიას, რომელიც ამ მასალების საფუძველზე ადგენს დებულებით გათვალისწინებული ფორმის აქტს ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციაზე.

ინვენტარიზაციის დამთავრებიდან 10 დღის განმავლობაში ბუხპალტრულ აღრიცხვაში უნდა აისახოს ინვენტარიზაციის შედეგები, რომლის შემდეგ შედგება წინასწარი ბალანსი 31 დეკემბრისათვის.

წლის ბოლოს წინასწარი ბალანსის მონაცემების მიხედვით ხდება ხარჯების ანგარიშების დასკვნა:

დაწესებულების შენახვის ხარჯების ანგარიშის დახურვისას პირველ რიგში იხურება საბავშვო დაწესებულებებში მშობელთა შენატანების და სხვა სახსრების ანგარიშში გაწეული ხარჯები შემდეგი გატარებით:

დებეტი სუბანგარიში № 236 „მშობლების სახსრები საბავშვო დაწესებულებების შესანახად“;

დებეტი სუბანგარიში № 238 „დაწესებულების შესანახი სხვა ხარჯები“;

კრედიტი სუბანგარიში № 200 „დაწესებულების შენახვის ხარჯები“;

აღნიშნული გატარების შემდეგ იხურება № 200 სუბანგარიშის დანარჩენი თანხა, გარდა დეკემბრის თვის მეორე ნახევრის ხელფასისა, რომლის გაცემა ხდება მომდევნო წლის იანვარში ახალი წლის ხარჯთნუსხის ანგარიშში, რაც გადადის ნაშთად მომავალი წლის ბალანსზე.

ხარჯების დახურვაზე დგება შემდეგი გატარება:

ღებეტი სუბანგარიში № 230 „დაწესებულების ხარჯებისათვის ბიუჯეტიდან დაფინანსება“;

ღებეტი სუბანგარიში № 140 „ანგარიშსწორებანი დაწესებულების ხარჯების ბიუჯეტიდან დაფინანსებით“;

კრედიტი სუბანგარიში № 200 „დაწესებულების შენახვის ხარჯები“;

№ 200 სუბანგარიშის დახურვის დროს მხედველობაშია მისაღები, რომ დასახური ხარჯები (ჩამოსაწერი) არ აღემატებოდეს დაფინანსების ანგარიშის (№ 230, № 140) საკრედიტო ნაშთს. ამრიგად, წლის ბოლოს № 200 სუბანგარიშზე შეიძლება საღებეტო ნაშთად დარჩეს დეკემბრის თვის მეორე ნახევრის გაუცემელი ხელფასი და ის თანხა, რომლითაც № 200 სუბანგარიშის საღებეტო ნაშთი აღემატება დაფინანსების სუბანგარიშის (№ 230, № 140) საკრედიტო ნაშთს.

ახალ მშენებლობაზე ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები წლის ბოლოს დაიხურება იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობა დამთავრებულია და რგი გადაცემულია ექსპლუატაციაში.

ექსპლუატაციაში გადაცემული ახალი მშენებლობის ობიექტის ბიუჯეტიდან გაწეულ ხარჯებზე შედგება შემდეგი ბუხპალტრული გატარება:

ღებეტი სუბანგარიში № 231 „კაპიტალური დაბანდებების ბიუჯეტიდან დაფინანსება“;

ღებეტი სუბანგარიში № 143 „ანგარიშსწორებანი კაპიტალურ დაბანდებათა ბიუჯეტიდან დაფინანსებით“;

კრედიტი სუბანგარიში № 203 „ხარჯები ბიუჯეტით ახალ მშენებლობაზე“;

სპეციალური სახსრების ანგარიშში გაწეული ხარჯები წლის ბოლოს დაიხურება შემდეგი გატარებით:

ღებეტი სუბანგარიში № 400 „შემოსავლები სპეციალური სახსრებით“;

კრედიტი სუბანგარიში № 211 „ხარჯები სპეციალური სახსრებით“;

სპეციალური სახსრების ანგარიშში ახალმშენებლობაზე გაწეული ხარჯები დაიხურება წლის ბოლოს, თუ მშენებლობა დამთავრებულია და ობიექტი გადაცემულია ექსპლუატაციაში.

-ექსპლუატაციაში გადაცემული ახალი მშენებლობის ხარჯები, რომელიც წარმოებულია სპეცსახსრების ანგარიშზე, ჩამოიწერება შემდეგი გატარებით:

ღებეტი სუბანგარიში № 400 „შემოსავლები სპეციალური სახსრებით“;

კრედიტი სუბანგარიში № 212 „ხარჯები სპეციალური სახსრებით ახალ მშენებლობასა და მოწყობილობის შექმნაზე“;

წლის ბოლოს, წლიური ანგარიშების შედგენამდე, გარდა ანგარიშების დახურვისა, განსაზღვრავენ ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვის თანხას, რომელსაც აღრიცხვაში ასახავენ შემდეგი გატარებით:

ღებეტი სუბანგარიში № 250 „ფონდი ძირითად საშუალებებში“;

კრედიტი სუბანგარიში № 020 „ძირითადი საშუალებების ცვეთა“.

2. პერიოდული და წლიური ანგარიშგება

პერიოდულ ანგარიშგებას მიეკუთვნება თვიური და კვარტალური ანგარიშგებები.

ხარჯთნუსხების შესრულების თვიურ ანგარიშგებებს ადგენენ ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფი დაწესებულებები.

საკავშირო ბიუჯეტზე და მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებები ხარჯთნუსხების შესრულების თვიურ ანგარიშგებას არ ადგენენ. საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტის ხარჯების შესრულების თვიურ ანგარიშებს ფინორგანოები ღებულობენ სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის შესაბამისი დაწესებულებებიდან.

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფი დაწესებულებები ადგენენ ბიუჯეტის ხარჯთნუსხების შესრულების თვიურ ანგარიშს (ფ. № 1-ათ).

თვიური ანგარიში (ფ. № 1-ათ) შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში მოცემულია „ხარჯები“ კარის, თავისა და პარაგრაფის მიხედვით. ამასთან პირველ სვეტში ასახულია საანგარიშგებო პერიოდის ასიგნება, ხოლო მეორეში — საკასო ხარჯები წლის დასაწყისიდან. თვიური ანგარიშის მეორე ნაწილში მოცემულია ცნობები მიმდინარე ანგარიშზე მყოფი სახსრების ნაშთებისა და მისი მოძრაობის შესახებ.

საბავშვო ბაღები (ბაგები), სანატორიული-სატყეო სკოლები და ბავშვთა შვიდწლიანი მუსიკალური სკოლები, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი აღრიცხვა და იმყოფებიან ავტონომიური რესპუბლიკების

რესპუბლიკურ ან ადგილობრივ ბიუჯეტზე, ყოველთვიურად, არა-უგვიანეს მომდევნო თვის 3 რიცხვისა, ადგენენ ცნობას ბიუჯეტიდან სახსრების მიღებისა და ნაშთების შესახებ ინსტრუქციით დადგენილი ფორმით.

ხარჯთნუსხების შესრულების კვარტალურ ანგარიშგებას ადგენენ როგორც საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე მყოფი ბიუჯეტური დაწესებულებები, ისე ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფი დაწესებულებები.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების კვარტალური ანგარიშგების მოცულობაში შედის:

ფორმა № 1 — ხარჯთნუსხების შესრულების ბალანსი და ბიუჯეტიდან დაფინანსების ანგარიშზე თანხების მოძრაობის ცნობა;

ფორმა № 2 — ანგარიშგება ბიუჯეტის ხარჯთნუსხების შესრულების შესახებ;

ფორმა № 3 — ანგარიშგება შტატებისა და კონტინგენტების გეგმის შესრულების შესახებ;

ფორმა № 4 — ანგარიშგება სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხების შესრულების შესახებ;

ფორმა № 4-მ — ანგარიშგება სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხების შესრულების შესახებ იმ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე, რომლებიც სრულდება ხელშეკრულებით;

ფორმა № 3-სბ — ანგარიშგება საბავშვო ბაღის (ბაგის) შენახვის ხარჯების შესრულებაზე;

ფორმა № 3-სს/მ ანგარიშგება — სანატორიულ-სატყუო და საბავშვო შეიღწლიანი მუსიკალური სკოლების შენახვის ხარჯების შესრულებაზე;

კვარტალურ ანგარიშგებას 1 ივლისისა და 1 ოქტომბრისათვის საქირთა დაერთოს ახსნა-განმარტებითი ბარათი.

ანგარიშგების ჩამოთვლილი ფორმებიდან 1 აპრილისათვის არ შეიესება: ბალანსის დანართი — ცნობა ბიუჯეტიდან დაფინანსების ანგარიშზე თანხების მოძრაობის შესახებ;

ფორმა № 4 — ანგარიშგება სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხების შესრულების შესახებ და ფორმა № 4-მ — ანგარიშგება სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხების შესრულებაზე იმ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მიხედვით, რომლებიც სრულდება ხელშეკრულებით.

ანგარიშგება ფორმა № 2 სამი სახისაა:

ფორმა № 2-1 „ანგარიშგება სახელმწიფო მმართველობის ორგა-

ნოების, სასამართლოსა და პროკურატურის ხარჯთნუსხების შესრულებაზე“;

ფორმა № 2-2 „ანგარიშგება სოციალურ-კულტურულ და სხვა დაწესებულებათა და ღონისძიებათა ხარჯთნუსხების შესრულებაზე“;

ფორმა № 2-3 „ანგარიშგება კოლმეურნეობისათვის ბიუჯეტიდან გეგმიური დანახარჯების მიხედვით გამოყოფილ სახსრებზე“;

ანგარიშგება ფორმა № 3 მრავალგვარია, რომელთაგანაც კვარტალურ ანგარიშგებაში გამოიყენება შემდეგი ფორმები:

ფორმა № 3-1 „ანგარიშგება სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების შტატებისა და კონტინგენტების გეგმის შესრულების შესახებ“;

ფორმა № 3-2 „ანგარიშგება უმაღლესი სასწავლებლების და უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული მოსამზადებელი განყოფილებების შტატებისა და კონტინგენტების გეგმის შესრულების შესახებ“;

ფორმა № 3-7 „ანგარიშგება საშუალო-სპეციალური სასწავლებლების, სხვა სასწავლებლების (არა სსრკ სახპროექტგანათლების სისტემისა), კვალიფიკაციის ასამაღლებელი ინსტიტუტების და საკურსო ღონისძიებების შტატებისა და კონტინგენტების გეგმის შესრულების შესახებ“;

ფორმა № 3-8 „ანგარიშგება უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში სამეცნიერო კადრების მომზადების გეგმის შესრულების შესახებ“.

ანგარიშგების ფორმების შევსების წესი მოცემულია წლიური ანგარიშგების ფორმების შევსების წესის ინსტრუქციაში.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების წლიური ანგარიშგების მოცულობაში შედის შემდეგი ფორმები:

ფორმა № 1 — ხარჯთნუსხების შესრულების ბალანსი და ბიუჯეტიდან დაფინანსების ანგარიშზე თანხების მოძრაობის ცნობა;

ფორმა № 2 — ანგარიშგება ბიუჯეტის ხარჯთნუსხების შესრულების შესახებ;

ფორმა № 3 — ანგარიშგება შტატებისა და კონტინგენტების გეგმის შესრულების შესახებ;

ფორმა № 4 — ანგარიშგება სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხების შესრულების შესახებ;

ფორმა № 4-მ — ანგარიშგება სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხების შესრულების შესახებ იმ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე, რომლებიც სრულდება ხელშეკრულებებით;

ფორმა № 5 — ანგარიშგება ძირითადი საშუალებების, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების მოძრაობის შესახებ;

ფორმა № 6 — ანგარიშგება მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობის შესახებ.

ფორმა № 15 — ანგარიშგება ბიუჯეტურ დაწესებულებებში ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისებისა და დატაცებების შესახებ;

ფორმა № 3-სბ — ანგარიშგება საბავშვო ბაღის (ბავის) შენახვის ხარჯების შესრულებაზე;

ფორმა № 3-სს/მ — ანგარიშგება სანატორიულ-სატყეო და საბავშვო შვიდწლიანი მუსიკალური სკოლების შენახვის ხარჯების შესრულებაზე;

ფორმა № 4-ბ — ცნობა საყოველთაო სწავლების ფონდის სახსრების შემოსვლისა და ხარჯვის შესახებ;

ფორმა № 11 — მოგება და ზარალი;

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სისტემის დაწესებულებები წლიურ ანგარიშებს ავსებენ სრულ მანეთებში, გამონაკლისს წარმოადგენს ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ცნობა, რომელიც შეიყვანება მანეთებში და კაპიკებში.

მეცნიერებათა აკადემიის სისტემის დაწესებულებებს წლიური ანგარიშების მოცულობაში შედის:

ფორმა № 1 — ბალანსი ხარჯთნუსხების შესრულებისა;

ცნობა ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების თანხების მოძრაობაზე;

ფორმა № 2-2 — ანგარიშგება ბიუჯეტის ხარჯთნუსხების შესრულებაზე;

ცნობა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დანახარჯებზე, რომელიც სრულდება ხელშეკრულებით შემკვეთის სახსრების ანგარიშზე (გარდა ბიუჯეტურისა);

ფორმა № 3-1 — ანგარიშგება სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების შტატებისა და კონტინგენტების გეგმის შესრულებაზე;

ფორმა № 3-4 — ანგარიშგება ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის შტატებისა და კონტინგენტების გეგმის შესრულებაზე;

ფორმა № 3-8 — ანგარიშგება უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში სამეცნიერო კადრების მომზადების გეგმის შესრულებაზე;

ცნობა სპეციალური სახსრების ხაზით შტატებისა და კონტინგენტების გეგმის შესრულების შესახებ;

ფორმა № 3-სბ — ანგარიშგება ქალაქის (სოფლის) საბავშვო ბაღის (ბავის) შენახვის ხარჯების შესრულებაზე;

ფორმა № 4 — ანგარიშგება სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხების შესრულებაზე;

ფორმა № 5 — წლიური ანგარიშგება ძირითადი საშუალებების და მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების მოძრაობაზე;

ფორმა № 6 — წლიური ანგარიშგება მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობაზე;

ცნობა საკავშირო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების შესახებ;

ფორმა № 14 — ანგარიშგება სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯების შესახებ;

ფორმა № 15 — ანგარიშგება საბიუჯეტო დაწესებულებებში ფულადი სახსრების და მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისებისა და დატაცებების შესახებ.

მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები შტატებისა და კონტინგენტების გეგმის შესრულების მაჩვენებლებს წარადგენენ ბიუჯეტის სახსრებზე ცალკე და სახელმეკრულებო სახსრებზე ცალკე. ფორმები №№ 6 და 14 წარდგება ცალკე თითოეული კარისა და პარაგრაფის მიხედვით. ახალი მშენებლობის მქონე დაწესებულებები ბიუჯეტურ ბალანსთან ერთად წარადგენენ კაპიტალური მშენებლობის ანგარიშს შესაბამისად სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 1977 წლის 19 აგვისტოს „კაპიტალური მშენებლობის წლიური ანგარიშის შედგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციით გათვალისწინებული ფორმების მიხედვით.

ხარჯთნუსხების შესრულების ბალანსი (ფ. № 1) შეივსება სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის ნაშთებისა და ბრუნვების ურთიერთშედარებული მაჩვენებლების მიხედვით.

წლიური ბალანსის პირველ სვეტში (წლის დასაწყისისათვის) მოცემული თანხები უნდა უდრიდეს გასული წლის მეორე სვეტის (წლის ბოლოსათვის) ნაჩვენებ თანხებს. შესადაარებელი თანხების შეუსაბამობის შემთხვევის მიზეზი უნდა აისახოს ახსნა-განმარტებით ბარათში ან თვით ბალანსის ბლანკზე შენიშვნის სახით.

ანგარიშსწორებათა ანგარიშების სადებეტო ნაშთები უნდა ჩაიწეროს ბალანსის აქტივის მხარეს, ხოლო საკრედიტო ნაშთები — ბალანსის პასივში. აკრძალულია სადებეტო და საკრედიტო ნაშთების გასაღდობა — დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებათა შემცირებულად ჩვენება.

ურთიერთშედარებისა და კონტროლისათვის, ბალანსის აქტივის №№ 010—019 (ძირითადი საშუალებების) სუბანგარიშების სტრიქონზე ნაჩვენები თანხა უნდა უდრიდეს პასივის № 250 (ფონდი ძირითად

საშუალებებში) და № 020 (ძირითადი საშუალებების ცვეთა) სუბანგარიშების სტრუქტურებზე ჩაწერილი თანხების ჯამს, ხოლო მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების (№ 070 და № 071 სუბანგარიშები) თანხა — პასივში მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ფონდს (№ 260 სუბანგარიში).

წლიური ბალანსის მიხედვით ფულადი სახსრების მიმდინარე ანგარიშებზე ნაჩვენები თანხები უნდა უდრიდეს სსრ კავშირის სახბანკოსა და სსრ კავშირის მშენაბანკის დაწესებულებების შესაბამისი მიმდინარე ანგარიშების ამონაწერებში ნაჩვენებ თანხებს.

ნაერთ ბალანსში დაქვემდებარებულ დაწესებულებებთან დაფინანსებით ანგარიშსწორებათა მიხედვით აქტივში და პასივში ნაჩვენები თანხები ურთიერთგამოირიცხება.

ბიუჯეტიდან დაფინანსების თანხების მოძრაობის შესახებ ბალანსთან დართულ ცნობაში წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის ნაჩვენები დაფინანსების ნაშთები უნდა უდრიდეს ბალანსში ჩაწერილი დაფინანსების შესაბამის ნაშთებს.

დაფინანსების თანხების მოძრაობის ცნობის 1 და 2 სვეტების კრედიტის ჯამი უნდა უდრიდეს ამავე ცნობის შესაბამისი სვეტების დებეტის ჯამს.

ბიუჯეტის ხარჯთესხების შესრულების ანგარიშგებაში (ფფ. №№ 2-1, 2-2 და 2-3) ნაჩვენები უნდა იქნეს ბიუჯეტის ხარჯების კლასიფიკაციის მუხლების კრილში ხარჯთესხებით დამტკიცებული წლიური თანხები (მასში სათანადო წესით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით), საანგარიშგებო პერიოდის ასიგნება (გახსნილი კრედიტები), საკასო და ფაქტიური ხარჯები. ამ ანგარიშის მე-5 სვეტში აისახება საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტით სავსაყლო განრიგების (ბიუჯეტური დავალებების) საფუძველზე გახსნილი კრედიტები, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით კვარტალური ასიგნებები წლის დასაწყისიდან ნაზარდი ჯამით. წლის ბოლოს მე-5 სვეტში ადგილობრივი ბიუჯეტით არაფერი არ ჩაიწერება, რადგანაც წლიური ასიგნებები (სვეტი 5) გაუთანაბრდება ხარჯთესხით წლიურად დამტკიცებულ თანხას, რაც უკვე ჩაწერილია მე-4 სვეტში. ანგარიშის მე-6 სვეტში ნაჩვენები საკასო ხარჯები უნდა უდრიდეს ბანკში გახსნილი მიმდინარე (საბიუჯეტო) ანგარიშიდან გამოტანილი, გადარიცხული და ჩამოწერილი თანხების ჯამს (ამ ანგარიშებზე დაბრუნებული თანხების გამოკლებით), რაც უნდა დასტურდებოდეს ბიუჯეტური სახსრების მიღების შესახებ ბანკის სათანადო ცნობით. ანგარიშის მე-7 სვეტში ჩაიწერება საანგარიშო წელს გაწეული ფაქტიური ხარჯები.

ანგარიში კოლმეურნობათა გეგმურ დანახარჯებზე ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის შესახებ (ფ. № 2-3) შედგება კვარტალურად და წლიურად. ეს ანგარიში შემოღებულია 1983 წლიდან. ასეთი ხარჯების გაწევა ხდება ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან. ამ ანგარიშებს ფინორგანოებს წარუდგენენ აგროსამრეწველო გაერთიანებები, ხოლო ამ უკანასკნელს (აგროსამრეწველო გაერთიანებას) ასეთსავე ანგარიშებს უდგენენ კოლმეურნობები.

ანგარიში ფ. № 2-3 მოიცავს ხარჯებს ბიუჯეტური კლასიფიკაციის 26 მუხლით — „კოლმეურნობათა გეგმით გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდებები“, 31 მუხლით — „საოპერაციო ხარჯები“ და 32 მუხლით — „დანარჩენი ხარჯები“. ფორმა № 2-3 ანგარიშის შედგენის წესი ისეთივეა, როგორც 2-1 და 2-2 ფორმებისა.

შტატებისა და კონტინგენტების გეგმის შესრულების ანგარიშები მრავალგვარია (ფორმები №№ 3-1 — 3-19). აღნიშნული ფორმების შესაბამის მაჩვენებლებს ავსებენ ის დაწესებულებები, რომლებსაც თავიანთი საქმიანობის მიხედვით აქვთ ამ ფორმებში მოცემული მაჩვენებლები.

აღნიშნულ ფორმებში წლის დასაწყისისთვის მოტანილი მაჩვენებლები შტატებისა და კონტინგენტების შესახებ უნდა უდრიდეს გასული წლის ბოლოსათვის არსებულ შესაბამის მაჩვენებლებს. მაჩვენებლების შეუსაბამობის მიზეზი, თუ ასეთს ადგილი ექნება, განმარტებული უნდა იქნეს ახსნა-განმარტებით ბარათში.

შტატებისა და კონტინგენტების გეგმის შესრულების ანგარიშებში (ფ. № 3) მოცემულია შტატებისა და კონტინგენტების საგეგმო მაჩვენებლები, წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის არსებული ფაქტიური რაოდენობები და საშუალო მაჩვენებლები. აღნიშნული ფორმების შესავსებად გამოიყენება სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1978 წლის 14 სექტემბრის № 84 მეთოდური მითითებები შტატებისა და კონტინგენტების გეგმების შესრულების ანგარიშების შევსების შესახებ.

სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხების შესრულების ანგარიში ფ. № 4 დგება 1 ივლისისათვის, 1 ოქტომბრისათვის და 1 იანვრისათვის (წლიური). სპეციალური სახსრების თითოეულ სახეზე დგება ცალკე ანგარიში № 4 ფორმით, ხოლო, თუ დაწესებულებას აქვს სპეცსახსრების მრავალი სახეობა, ასეთ შემთხვევაში დგება ფორმა № 4 — ნაერთი.

ანგარიშის მე-3 სვეტში ჩაიწერება ხარჯთნუსხით დამტკიცებული წლიური თანხები, დადგენილი წესით მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხების შესრულების ანგარიში შეივსება სპეციალური სახსრების აღრიცხვის დავთრიდან (ფ. № 297-ბ). ანგარიშის საშემოსავლო ნაწილი შეივსება № 400 სუბანგარიშის „შემოსავლები სპეციალური სახსრებით“ მიხედვით, ხოლო საგასავლო ნაწილი — № 211 სუბანგარიშის მიხედვით — „ხარჯები სპეციალური სახსრებით“.

სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხების შესრულების ანგარიშები დგება წლის დასაწყისიდან ნაზარდი ჯამებით. სპეციალური სახსრების ანგარიშის „შესრულების“ სექტში წლის დასაწყისისათვის (სტრიქონი 1) და საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არსებულ ნაშთებში (სტრიქონი 18), გარდა ფულადი სახსრებისა, შეიტანება აგრეთვე მასალების ნაშთი და დაწესებულების დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებათა შორის არსებული სხვაობა.

სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხების შესრულების ანგარიში ხელშეკრულებებით შესრულებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე (ფ. № 4-მ) შედგება იგივე პერიოდულობით, როგორც ფ. № 4. ამ ანგარიშს ადგენს ის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომელთა საქმიანობა იგეგმება სსრკ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

ანგარიში შედგება ორი განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში მოცემულია ხარჯთნუსხების შესრულება, დაზუსტებული წლიური გეგმები და მათი ფაქტიური შესრულება, ხოლო მეორე ნაწილში მოცემულია საშტატო მუშაკთა რაოდენობა.

ძირითადი საშუალებების, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების მოძრაობის ანგარიშში (ფ. № 5) შეიტანება ძირითადი საშუალებებისა და მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების საბალანსო ღირებულება წლის დასაწყისსა და წლის ბოლოსათვის, ანგარიშის ფორმაში მოტანილი ძირითადი საშუალებების აღმრიცხველი სუბანგარიშებისა და ჯგუფების კრილში.

ანგარიშის მეორე გვერდზე აისახება მონაცემები ძირითადი საშუალებებისა და მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების მოძრაობის (წლის განმავლობაში შემოსვლა-გასვლის) შესახებ.

ფორმა № 5 ანგარიშში შეიტანება როგორც ბიუჯეტის, ისე ბიუჯეტგარეშე სახსრების ანგარიშში შექმნილი ძირითადი საშუალებები და მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები.

მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობის წლიურ ანგარიშში (ფ. № 6) აისახება №№ 060—069 სუბანგარიშებზე ფასეულობათა მოძრაობა. ანგარიშში შეიტანება როგორც ბიუჯეტის, ისე ბიუჯეტგარეშე სახსრების ანგარიშში შექმნილი მასალების მოძრაობის მაჩვენებლები.

ამ ანგარიშში შეიტანება აგრეთვე წლის განმავლობაში დაწესებულების საქიროებაზე დახარჯული მატერიალური ფასეულობანი.

ფორმა № 5 და ფ. № 6 ანგარიშებში მოტანილი წლის დასაწყისის და წლის ბოლოსათვის არსებული ნაშთები უნდა უდრიდეს ბალანსის (ფ. № 1) შესაბამისი სტრიქონების წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის არსებულ ნაშთებს.

სოციალისტური საკუთრების დაცვაზე კონტროლის გაძლიერების მიზნით ბიუჯეტურ დაწესებულებათა ხარჯთუსხების შესრულების წლიურ ანგარიშგებაში მოცემულია „ანგარიში ბიუჯეტურ დაწესებულებებში ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისებისა და დატაცებების შესახებ“ (ფორმა № 15).

ფორმა № 15 მოიცავს № 170 სუბანგარიშის „ანგარიშსწორებანი დანაკლისებით“ მონაცემებს. ამ ანგარიშის პირველ და მეექვსე სტრიქონებზე აისახება დანაკლისებითა და დატაცებებით წარმოშობილ დავალიანებათა ნაშთები წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის, რაც უნდა უდრიდეს ხარჯთუსხების შესრულების ბალანსის (ფ. № 1) მე-3 და მე-4 სვეტებში № 170 სუბანგარიშზე ნაჩვენებ თანხებს.

ქალაქის (სოფლის) საბავშვო ბაღის (ბაგის), ბაგა-ბაღის შენახვის ანგარიში (ფორმა № 3-სბ) დგება ყოველკვარტალურად და წლიურად. ანგარიში № 3-სბ შედგება ორი განყოფილებისაგან: ა) სახსრების წყაროები და ხარჯები, ბ) შტატებისა და კონტინგენტების მაჩვენებლები.

ამ ანგარიშის პირველ სტრიქონზე მონაცემები „სახსრების ნაშთი წლის დასაწყისისათვის“ გადმოიტანება წინა წლის ანგარიშის მე-15 სტრიქონიდან, ხოლო მე-3 სტრიქონზე „გადახარჯვა წლის დასაწყისისათვის“ წინა წლის ანგარიშის მე-17 სტრიქონიდან. წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის სახსრების ნაშთში შეიტანება ფულადი სახსრების ნაშთები (იმ შემთხვევაში თუ აღვილობრივ ბიუჯეტზე მყოფ საბავშვო ბაღს (ბაგას), ბაგა-ბაღს აქვს სახბანკის დაწესებულებაში დამოუკიდებელი მიმდინარე ანგარიში), მასალებისა და კვების პროდუქტების ნაშთები, აგრეთვე დებიტორული დავალიანებებს თანხები (მშობელთა გადასახდლებით დავალიანებების ჩათვლელად) კრედიტორული დავალიანებების გამოკლებით.

მუდმივი საბავშვო ბაღის (ბაგის) ქსელის ხარჯები (მე-8 სტრიქონი) უნდა უდრიდეს ყველა წყაროს ანგარიშში გაწეულ ფაქტიურ ხარჯებს (№ 200 სუბანგარიშის მიხედვით).

ფორმა № 3-სბ ანგარიშის მე-5 სვეტში შეტანილი მონაცემები უნდა შემოწმდეს შემდგენაირად: წლის დასაწყისისათვის არსებულ ნაშთს (სტრიქონი 1) უნდა გამოაკლდეს წლის დასაწყისისათვის არსებული გადახარჯვა (სტრიქონი 3). მიემატოს სულ მიღებული სახსრები (სტრიქონი 4), გამოაკლდეს მუდმივი საბავშვო ბაღის (ბაგის) მთლიანი ხარ-

ჯები (სტრიქონი 8) და მიემატოს წლის ბოლოსათვის არსებული ვადა-
ხარჯვა (სტრიქონი 17). მიღებული თანხა უნდა უდრიდეს საანგარიშო
წლის ბოლოსათვის არსებული სახსრების მთლიან ნაშთს (სტრიქონი
15).

მაგალითი. სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში შეადგენს 776 მა-
ნეთს, გადახარჯვა წლის დასაწყისში შეადგენდა 104 მანეთს, წლის
განმავლობაში სახსრების შემოსვლა უდრის 11101 მანეთს, ხარჯების
მთლიანი თანხა შეადგენდა 11349 მანეთს და წლის ბოლოსათვის სახ-
სრების გადახარჯვა არის 150 მანეთი.

$$776 - 104 + 11101 - 11349 + 150 = 574$$

სანატორიულ-სატყეო სკოლებისა და ბავშვთა შეიღწლიანი მუსიკა-
ლური სკოლების შენახვის ანგარიში (ფორმა № 3-სს/მ) დგება ყოველ-
კვარტალურად და წლიურად. ანგარიშის შედგენის წესი მსგავსია ფ-
№ 3-სბ ანგარიშისა.

ფ. № 3-სს/მ ანგარიშს ადგენენ სანატორიულ-სატყეო სკოლები და
ბავშვთა შეიღწლიანი მუსიკალური სკოლები.

ცნობას საყოველთაო სწავლების ფონდის სახსრების შემოსვლისა
და ხარჯვის შესახებ (ფორმა № 4-ბ) ადგენენ წელიწადში ერთხელ
(წლის ბოლოს) სახალხო განათლების განყოფილებები და დამოუკი-
დებელი ბუხჰალტრული აღრიცხვის მქონე საყოველთაო სწავლების
სკოლები. ამავე ცნობას ადგენენ ოგრეთვე სახალხო დეპუტატების
სასოფლო და სადაბო საბჭოები.

მოგება-ზარალის შესახებ (ფორმა № 11) დანართს წლიურ ანგარი-
შებთან ერთად ადგენენ ისეთი დაწესებულებები, რომლებსაც აქვთ
წესდებაზე გადაუყვანელი დამხმარე სოფლის მეურნეობა, საწარმოო
(სასწავლო) სახელოსნოები და რომლებიც ხარჯებისა და პროდუქციის
რეალიზაციის აღრიცხვას აწარმოებენ № 08 და № 28 ანგარიშებზე.
მოგება-ზარალის მაჩვენებლები № 11 ფორმაში ჩაიწერება № 410-
სუბანგარიშის „მოგება და ზარალის“ წლის განმავლობაში წარმოებუ-
ლი აღრიცხვის მონაცემებიდან.

შენიშვნა: სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1987 წლის 19 ივლისის № 24—3
წერილით ბიუჯეტურ დაწესებულებათა 1987 წლის წლიურ ანგარიშგებასა და
1988 წლის კვარტალური ანგარიშგებების 1, 2, 3, 4, 5 ფორმებში, ოგრეთვე ბალანსის
ცნობაში შეტანილია რიგი ცვლილებები 1988 წლიდან მოქმედი (ახალ) ანგარიშთა
გეგმის შესაბამისად, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს 1988 წლისა და შემდგო-
მი წლების საანგარიშგებო ფორმების დამუშავებისა და შედგენის დროს:

სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებები ბალანსის და-
ნართს ცნობა 1 „ბიუჯეტიდან დაფინანსების თანხების მოძრაობის შე-
სახებ 230 და 231 (140 და 143) სუბანგარიშების მიხედვით“ შეავსებენ

შელიწადში ორჯერ 1 ოქტომბრისათვის და პირველი იანვრისათვის, ხოლო დანარჩენი კვარტალების ბალანსის დანართ ცნობაში — 1 აპრილისათვის და 1 ივლისისათვის შეავსებენ მხოლოდ 93 სტრიქონს „გახსნილია კრედიტები წლის (კვარტალის) განმავლობაში დახურული და გამოთხოვილი კრედიტების გათვალისწინებით“.

ანგარიშგების № 2 ფორმაში „დაწესებულების ხარჯთნუსხების შესრულების ანგარიში“ მე-5 სვეტს მიეცემა ახალი დასახელება „დამტკიცებულია ხარჯთნუსხით საანგარიშო პერიოდისათვის“. ამ ფორმაში ნაჩვენებია უნდა იქნეს დაწესებულების კვარტალური სახარჯთნუსხო დამტკიცებული დანიშნულება სათანადო წესით გაფორმებული ყველა ცვლილების გათვალისწინებით.

ანგარიშების ფორმები № 3-5 და № 3-5-სი როგორც წლიური, ისე კვარტალური, გაერთიანებულია ერთ ფორმაში № 3-5, რომელსაც ეწოდება „ანგარიში დაწყებითი, არასრული საშუალო (ცხრაწლიანი) და საშუალო, სალამოსცვლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო დაუსწრებელი სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სპეციალური სკოლების შტატებისა და კონტინგენტების გეგმის შესრულების შესახებ“. აღნიშნულთან დაკავშირებით ძველი ანგარიშების ფორმები №№ 3-5 და 3-5-სი ცალ-ცალკე აღარ შეივსება. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 317 დადგენილებით შექმნილი სკოლა-საბავშვო ბაღების ახალი 3-5 ფორმის ანგარიში შედგება ცალკე.

კონტროლი ბიუჯეტურ დაწესებულებათა
ხარჯთნუსხვის შესრულებაზე

1. ბიუჯეტური კონტროლის საფუძვლები

ჩვენს ქვეყანაში კონტროლის დანიშნულებაა სისტემატურად ამოწმოს პარტიისა და მთავრობის დირექტივების, სახელმწიფო გეგმების, ხელმძღვანელ ორგანოთა კანონებისა და გადაწყვეტილებების შესრულება. მისი მთავარი შინაარსი გამოიხატება სოციალისტური საკუთრების დაცვის, მატერიალური, შრომითი, ფინანსური რესურსებისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფაში.

კონტროლის მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს ბიუჯეტური სახსრების შექმნისა და სწორად გამოყენების შემოწმება და რამდენადაც ბიუჯეტები მთელი თავისი შინაარსით ორგანულად დაკავშირებულია საზოგადოებრივ წარმოებასა და განაწილებასთან, ამდენად იგი გამოდის როგორც სახელმწიფო კონტროლის სისტემის ელემენტი.

სკკპ და საბჭოთა მთავრობა სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობის ყველა ეტაპზე ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობენ ბიუჯეტურ-ფინანსურ კონტროლს. ბიუჯეტურ-ფინანსური კონტროლის, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ მარქსისტული მოძღვრებისა და სოციალისტური სახალხო მეურნეობის ორგანიზაციის ნაწილის დახასიათებისას, ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა კონტროლის მნიშვნელობას და მოითხოვდა „უმკაცრეს კონტროლს საზოგადოების მხრივაც და სახელმწიფოს მხრივაც შრომის ზომაზე და მოხმარების ზომაზე“¹. ვ. ი. ლენინი კონტროლის მნიშვნელობას ხედავდა არა მარტო სამეურნეო საქმიანობის შემოწმებაში, არამედ თვით ადამიანთა უნარიანობის გამოვლინებაში: „ჩვენ გვესაქიროება ადამიანთა ვარჯისობის შემოწმება. ფაქტიური შესრულების შემოწმება... ადამიანთა შემოწმება და საქმის ფაქტიური შესრულების შემოწმება — ეს, კიდევ ეს, მხოლოდ ეს არის ამჟამად მთელი მუშაობის, მთელი პოლი-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 585.

ტიკის ღერძი. ეს რამდენიმე თვის, ერთი წლის საქმე კი არ არის, არამედ რამდენიმე წლის საქმეა“².

ბიუჯეტურ-ფინანსური კონტროლი სოციალისტურ საზოგადოებაში მიზნად ისახავს არა მარტო გამოავლინოს ბიუჯეტურ-ფინანსური დისციპლინის ნაკლოვანებანი და დარღვევები, არამედ აღკვეთოს ისინი და ხელი შეუწყოს საწარმოს, გაერთიანების, სამინისტროსა და უწყებების მეურნეობრივი საქმიანობის გაუმჯობესებას, მათი ფინანსური მეურნეობის რაციონალურ ორგანიზაციას.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისადმი კონტროლი ამჟამად ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების საზოგადოებრივ კონტროლთან მჭიდრო კავშირში. ამის საფუძველზე ბიუჯეტის პროექტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშგების განხილვისა და დამტკიცების პროცესში საფინანსო კონტროლის ფუნქციებს ახორციელებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები.

ბიუჯეტის პროექტების შედგენის, მათი განხილვისა და დამტკიცებული ბიუჯეტების შესრულების პროცესში საფინანსო კონტროლის ფუნქციებს ასრულებენ სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

ქროგორც ზემოთ ითქვა, სახელმწიფო კონტროლის ძირითად ორგანოს წრმოადგენს სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტი. მისი ორგანოები ასრულებენ საფინანსო კონტროლის ფუნქციებსაც; მიმდინარე კონტროლს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისადმი, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საფინანსო გეგმებისა და ხარჯთნუსხების შესრულებაზე ახორციელებენ აგრეთვე საფინანსო-საკრედიტო ორგანოები.†

საფინანსო ორგანოები ახორციელებენ კონტროლს საბიუჯეტო სახსრების მიზანშეწონილ და მომჭირნეობით ხარჯვაზე. ატარებენ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა საფინანსო საქმიანობის რევიზიას და ეკონომიკურ ანალიზს.‡

საბიუჯეტო დაწესებულებათა ხარჯთნუსხების შესრულებაში საფინანსო კონტროლთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს შიგაუწყებრივ კონტროლსა და დაქვემდებარებულ დაწესებულება-ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზს, აგრეთვე მათი მთავარი და უფროსი ბუხჰალტრების მუშაობას საფინანსო კონტროლის ფუნქციების შესრულების მხრივ.‡

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, IV გამოც., გვ. 260.

ცენტრალიზებული ბუჯალტერია წინასწარ კონტროლს ახორციელებს ხარჯთნუსხების ყოველდღიურ შესრულებაზე. მან კარგად იცის მომსახურებული დაწესებულებების საქმიანობის მდგომარეობა, უკეთესად ხედავს მათ ნაკლოვანებებსა და მიღწევებს, ხელთ აქვს დოკუმენტაცია წარმოებულ სამეურნეო ოპერაციებზე და ამრიგად, შეუძლია დაიცვას საფინანსო დისციპლინა სახსრების ხარჯვაში.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო ცენტრალიზებული ბუჯალტერიის მომსახურებული დაწესებულებების შესანახი სახსრების ხარჯვაზე რევიზიის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით პირდაპირ ავალებს საფინანსო ორგანოებსა და ცენტრალიზებულ ბუჯალტერიებს საბიუჯეტო დაწესებულებებში დოკუმენტური შემოწმებისა თუ რევიზიების ჩატარებას ყოველწლიურად, მათი მუშაობის ყველა უბნის ღრმა ანალიზის გზით.

ხარჯთნუსხების შესრულების ანალიზის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას ატარებენ ორგანოები, რომლებიც უშუალოდ ზედმძღვანელობენ ან ახორციელებენ მათ დაფინანსებას. აქედან გამომდინარე, ცენტრალიზებული ბუჯალტერიის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის საერთო ანალიზს აწარმოებენ საფინანსო ორგანოები, ხოლო ცენტრალიზებული ბუჯალტერიის მომსახურებული დაწესებულებების ხარჯთნუსხების შესრულებისადმი კონტროლი და შემოწმება ხორციელდება კრედიტების მთავარი განმკარგულებლების მეშვეობით. საბიუჯეტო დაწესებულებათა საფინანსო საქმიანობის ანალიზი ხორციელდება აგრეთვე საუწყებო სარევიზიო აპარატის, სახალხო დეპუტატების საბჭოების შესაბამისი განყოფილებების, მუდმივი კომისიების, ბუჯალტერიისა და თვით დაწესებულების სახალხო კონტროლის (საგუშაგოების) საშუალებით.

ზემდგომი ორგანოების საუწყებო-სარევიზიო აპარატი ცენტრალიზებულ ბუჯალტერიაში გაერთიანებულ დაწესებულებათა საფინანსო საქმიანობას აკონტროლებს წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, ხოლო ხარჯთნუსხების შესრულებას საფინანსო ორგანოები და კრედიტის მთავარი განმკარგულებლები რეგულარულად აანალიზებენ ნებისმიერ საანგარიშგებო მასალების საფუძველზე.

2. კონტროლი ბიუჯეტური ხარჯთნუსხების შესრულებაზე

ბიუჯეტურ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ბუჯალტრული აღრიცხვა და კონტროლი სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს სათანადო ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

თავდაპირველად უნდა შემოწმდეს: პერიოდული და წლიური ანგარიშგების მონაცემები გამომდინარეობს თუ არა აღრიცხვის მონაცემებიდან; ანგარიშგება ხომ არ არის შედგენილი ბანკის მიმდინარე ანგარიშების ამონაწერების მიხედვით და ადგილი ხომ არა აქვს ბუხჰალტრული საბუთების დაუმუშავებლობასა და აღრიცხვიანობის ჩამორჩენას; დაწესებული პერიოდების მიხედვით დგება თუ არა სინთეზური (ფ. № 285) და ანალიზური (ფ. № მ-44) ანგარიშგების მიხედვით ბრუნვათა უწყისები და ხდება თუ არა ყურნალ-მთავარი დავთრის (ფ. № 308) ჩანაწერების შედარება ანალიზური აღრიცხვის დავთრებთან და წარმოებს თუ არა მათი ურთიერთკონტროლი; გამოყენებულია თუ არა აღრიცხვის მექანიზაციის საშუალებები და თუ ასეთი არ არის, რა მიზეზით;

ადგილი ხომ არა აქვს ანგარიშგების დაგვიანებით შედგენისა და წარდგენის შემთხვევებს და თუ ასეთს ჰქონდა ადგილი, უნდა გაირკვეს მისი გამომწვევი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები, ხომ არ ირიცხება დიდი რაოდენობის დებიტორულ-კრედიტული დავალიანება; ხომ არ ჰქონდა ადგილი ხარჯთნუსხის ცალკეული მუხლებით გადახარჯვას ან შეუსრულებლობას. და თუ იყო ასეთი — რა ზომები იყო მიღებული მათ გამოსასწორებლად; ანგარიშგებასთან დართული ახსნა-განმარტებითი ბარათი შედგენილია თუ არა სათანადო ეკონომიკური დასაბუთების საფუძველზე და იძლევა თუ არა ზემოაღნიშნულ და სხვა საკითხებზე დამაჯერებელ პასუხს.

აღრიცხვის მდგომარეობის შემოწმება უნდა შეეხოს ბუხჰალტრული აღრიცხვის საგნის ცალკეულ უბნებს: აღრიცხვის ორგანიზაციას, ქონებრივ-მატერიალურ ფასეულობებს, დანახარჯებს, ფულად სახსრებს, ანგარიშსწორებებს, დაფინანსებას, ფონდებსა და შემოსავლებს.

ბუხჰალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის შემოწმებისას საყურადღებოა:

1. ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის მუშაკებს შორის სამუშაო განაწილებულია თუ არა ფუნქციონალური ნიშნების მიხედვით. ყოველად დაუმუშავებელია აღრიცხვის მუშაკებს შორის მოვალეობათა განაწილება მომსახურებელი ობიექტების მიხედვით. ეს ორგანულ შინაარსს გამოაცლიდა აღრიცხვის ცენტრალიზაციის არსს;

2. შემუშავებული და დამტკიცებულია თუ არა საბუთბრუნვის გრაფიკი, რომელიც რაციონალურად აწესრიგებს პირველადი და ბუხჰალტრული საბუთების მიმოქცევას ცენტრალიზებულ ბუხჰალტერიასა და მომსახურებულ ობიექტებს შორის;

3. დადებულია თუ არა ხელშეკრულება გამომთვლელი მანქანების სადგურთან და შედგენილია თუ არა სააღრიცხვო სამუშაოთა თვითღი-

რებულების კალკულაცია; დანერგილია თუ არა ცენტრალიზებულ ბუხჰალტერიასა და საანგარიშო მანქანების სადგურს შორის საბუთბრუნვის გრაფიკი; როგორია აღრიცხვის მექანიზაციის ხარისხი და ღონე;

4. საჭიროების მიხედვით ადგილებზე მსხვილ მომსახურებულ ობიექტებში ჩამოყალიბებულია თუ არა სააღრიცხვო-საკონტროლო ჯგუფები და სწორად არის თუ არა განსაზღვრული მათი ფუნქციები;

5. ცენტრალიზებულ ბუხჰალტერიაში რეგულარულად მიმდინარეობს თუ არა სწავლება ნორმატიული მასალების სისტემატური ათვისების მიზნით და ხდება თუ არა საინსტრუქციო აქტების კოდიფიცირება;

მეურნეობრივ-ფინანსური საქმიანობის ერთგვაროვან ოპერაციებზე გახსნილია თუ არა ყველა აუცილებელი დავთარი, გადმოტანილია თუ არა მათში დაწყებითი ნაშთები; დადგენილი წესის მიხედვით ხდება თუ არა ამ დავთრებში ოპერაციების ჩაწერა და ანგარიშების დახურვა;

6. თავისდროულად და დანიშნულებისამებრ დგება თუ არა მუდმივი ნომრის მემორიალური ორდერები (პირველიდან თოთხმეტის ჩათვლით) და სწორად ივსება თუ არა შესაბამისი მაგროვებელი უწყისები (ფფ. №№ 380, 381, 323, 405, 408, 386, 438, 439, 398, 411, 396, 409 და 406); ხდება თუ არა ბუხჰალტერიაში გახსნილი ბარათების (გარდა ძირითადი საშუალებების ბარათებისა) რეგისტრაცია ტიპური ფორმის № 279 რეესტრში; ტარდება თუ არა მატერიალურად პასუხისმგებელი პირების ინსტრუქტაჟი და სხვ.

ძირითადი საშუალებების გამოყენებისა და აღრიცხვის შემოწმება. ამ განყოფილებაში აღრიცხება სახეზე მყოფი და იჯარით გაცემული ძირითადი საშუალებები და მათი მოძრაობა. ძირითადი საშუალებების სწორი გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია თითოეული ობიექტი დაიშიფროს სუბანგარიშების მიხედვით და მიეკუთვნოს ინვენტარული ნომერი. მატერიალურად პასუხისმგებელი ან თანამდებობის პირები, რომლებსაც მინდობილი აქვთ ძირითადი საშუალებების მოვლა-პატრონობა, აწარმოებენ ძირითადი საშუალებების ინვენტარულ სიას (ტიპური ფორმა № ძს-13). საწყობიდან ძირითადი საშუალებების გაცემისათვის ფორმდება ზედნადები (მოთხოვნა) ფ. № 434-მეკ., რომელსაც ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი.

სიძველის გამო უვარგისი ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ფორმდება ფ. № ძს-4 აქტით. ძირითადი საშუალებების გასელისა და გადაადგილების ოპერაციებისათვის გამოიყენება მაგროვებელი უწყისი ფ. № 438 (მემორიალური ორდერი № 8).

ძირითადი საშუალების ანალიზური აღრიცხვისათვის განკუთვნილი ბარათები შესაბამისად: შენობა-ნაგებობებზე და გადაცემ მოწყობილობაზე ფ. № ძს-6; მანქანებზე, დანადგარებზე, ინსტრუმენტებზე და ინვენტარზე ფ. № ძს-7; მუშა და პროდუქტიულ, აგრეთვე საჭიშე პირუტყვზე და მრავალწლიან ნარგავებზე — ფ. № ძს-8; თეთრეულის, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის, ბიბლიოთეკის ფონდის და მისთანებისათვის — ფ. № ძს-10 აღწერილობაში, ხოლო ბრუნვების შედარებისათვის შემოღებულია სპეციალიზებული ბრუნვათა უწყისები ფ. № 326, ძირითადი საშუალებების ცვეთა განისაზღვრება წლის ბოლოს და სინთეზურად აისახება ეურნალ-მთავარ დაეთარში, ხოლო ანალიზურად — ბარათებში.

რევიზიის ჩამტარებელი ამოწმებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვა აკმაყოფილებს თუ არა ამ მოთხოვნებს და იძლევა სათანადო დასკვნას იმაზე, რომ ხომ არ არის დაწესებულებაში ზედმეტი არასაკმარის ძირითადი საშუალება, ამასთან იღებს ზომებს მისი რეალიზაციის ან უსასყიდლოდ სხვა დაწესებულებაზე გადაცემის შესახებ. ძირითადი საშუალებების რეალიზაციისას ამონაგები მიიმართება ბიუჯეტის შემოსავალში.

მასალების მარაგის აღრიცხვის შემოწმება მასალების მარაგის შემადგენლობაში აღრიცხება სამშენებლო-სარემონტო მასალები და დასადგმელი მოწყობილობანი, კვების პროდუქტები, სასწავლო, სამეცნიერო და სამეურნეო დანიშნულების მასალები, ტარა, ფურაჟი, სათბობი, საწვავი, დამხმარე მეურნეობისა და სახელოსნოების პროდუქცია და სხვ.

თავდაპირველად უნდა შემოწმდეს სასაწყობო მეურნეობა და ლოკუმენტაცია. მატერიალურად პასუხისმგებელი პირები უნდა აწარმოებდნენ მასალების სასაწყობო აღრიცხვის დავთარს (ფ. № მ-17).

მასალების შემოსავალში აღება ფორმდება თანმხლები საბუთების — ანგარიშვაქტურების, აქტებისა და სხვ. საფუძველზე. მიმწოდებლიდან მიღებულ მასალებსა და გასამართლებელ საბუთებს შორის განსხვავების გამოვლინებისას ფორმდება მიღების აქტი ფ. № 429-მექ.

მასალების გაცემისათვის განკუთვნილია შემდეგი საბუთები: საწყობიდან მასალების გაცემისა და შიგაგადაადგილების ზედნადები ფ. № 434-მექ; კვების პროდუქტების გაცემაზე — ფ. № 299-მექ. მენიუმოთხოვნა; ფურაჟის გაცემაზე — უწყისი ფ. № 397; დაწესებულებათა საკურობისათვის მასალების გაცემაზე — უწყისი ფ. № 410; სათბობისა და საწვავის გაცემაზე სალიმიტო ბარათი ფ. № 431-მექ.

მატერიალურად პასუხისმგებელი პირები დაწესებული გრაფიკის მიხედვით ბუხპალტერიაში ადგენენ საბუთებს ფ. № 442 რეესტრთან

ერთად. ცენტრალიზებული ბუხპალტერია ადგენს მასალების ხარჯვის მაგროვებელ უწყის ფ. № 396 (მემორიალური ორდერი № 12).

დამხმარე და სასწავლო-საცდელი მეურნეობის პროდუქციის, სამშენებლო მასალებისა და დასადგმელი მოწყობილობის ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ფ. № 296-ა ბარათებში, მოზარდი და გასასუქებელი პირუტყვისა — ცხოველთა აღრიცხვის ფ. № 395 დავთარში.

კვების პროდუქტების ანალიზური აღრიცხვისათვის გათვალისწინებულია ბრუნვათა უწყისი ფ. № მ-44 და მაგროვებელი უწყისები; შემოსავალზე ფ. № 300-მექ., გასავალზე ფ. № 399-მექ. დანარჩენი მასალების ანალიზური აღრიცხვისათვის ინსტრუქცია ითვალისწინებს ფ. № 296 დავთარს (ან ფ. № 296-ა ბარათებს).

ცენტრალიზებულ ბუხპალტერიაში კვების პროდუქტების შემოსავლების ოპერაციები ტარდება მაგროვებელი უწყისების ნაერთში ფ. № 389 (მემორიალური ორდერი № 10), ხოლო კვების პროდუქტების ხარჯვის ოპერაციები — მაგროვებელი უწყისების ნაერთში ფ. № 411 (მემორიალური ორდერი № 11).

რევიზორმა დაწვრილებით უნდა შეამოწმოს მასალების აღრიცხვის ზემოთ ჩამოთვლილი რეგისტრების გამოყენება და მათში ჩანაწერების სისწორე. ამ წესიდან გადახრების გამოვლინებისას უნდა მიუთითოს მიზეზები.

მ ც ი რ ე ფ ა ს ი ა ნ ი და ს წ რ ა ფ ც ვ ე თ ა დ ი ს ა გ ნ ე ბ ი ს აღ რ ი ც ხ ვ ი ს შ ე მ ო წ მ ე ბ ა. პირველ რიგში მოწმდება სწორადაა თუ არა მიკუთვნებული ამ სუბანგარიშზე საგნები. შემდეგ ისრუდება თვით რეგისტრები. 2 მანეთამდე ღირებული ექსპლოატაციაში მყოფი მცირეფასიანი საგნები აღრიცხული უნდა იყოს ოპერატიულად პასუხისმგებელი პირების მიერ ფ. 412 უწყისში, ხოლო დანარჩენი მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები — ფ. № მ-17 დავთარში. ცენტრალიზებულ ბუხპალტერიაში ამ საგნების ანალიზური აღრიცხვისათვის გამოყენებული უნდა იყოს № 296 დავთარი (ან ფ. № 296-ა ბარათი), საწყობიდან გაცემა ფორმდება ფ. № 434-მექ. ზედნადებით (მოთხოვნა).

გატეხილი ჭურჭლეულის ჩამოწერის მიზნით დაწესებულებაში უნდა ივსებოდეს ჭურჭლის მსხვერვის რეგისტრაციის ურნალი ფ. № 325. ცენტრალიზებული ბუხპალტერია ადგენს მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების გასავლისა და გადაადგილების მაგროვებელ უწყის ფ. № 439 (მემორიალური ორდერი № 9).

წ ა რ მ ო ე ბ ი ს და ნ ა ხ ა რ ჯ ე ბ ი ს აღ რ ი ც ხ ვ ი ს შ ე მ ო წ მ ე ბ ა. ამ განყოფილებაში აღირიცხება სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხით დაგეგმილი ხარჯები საწარმოო (სასწავლო) სახელოსნოების ნაწარმის და დამხმარე მეურნეობათა პროდუქციის დამზადე-

ბაზე, ბექდვითი პროდუქციის გამოცემაზე და მომსახურების გაწევაზე, აგრეთვე დანახარჯები სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულებაზე ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით.

ამ დანახარჯების ანალიზური აღრიცხვა უნდა წარმოებდეს ფ. № 282 ან № 283 მრავალსვეტიან ბარათებში ნაწარმთა სახეებისა და დანახარჯთა მუხლების, ასევე სოფლის მეურნეობის თითოეული კულტურის ან პირუტყვთა თითოეული ჯგუფის მიხედვით.

ფულადი სახსრების აღრიცხვის შემოწმება ამ განყოფილებაში დაწესებულებები და ცენტრალიზებული ბუხპალტერიები აღრიცხავენ ბიუჯეტით გახსნილ კრედიტებს, ფულადი სახსრების მოძრაობას ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე და სალაროში, აკრედიტივებს, ლიმიტირებული ჩეკის წიგნაკებსა და დანარჩენ ფულად საბუთებს.

ცენტრალიზებული ბუხპალტერიის სალაროდან სანდო პირებზე ნაღდი ფულის გაცემა აღრიცხება ხელფასის გადასახდელად ფულის დამრიგებლებზე თანხის გაცემის დავთარში ფ. № 320. ბიუჯეტურ დაწესებულებებში სალაროს ოპერაციების აღსარიცხავად განკუთვნილია ფ. № სო-4 სალაროს დავთარი, ხოლო ცენტრალიზებულ ბუხპალტერიებში — ფ. № 440 სალაროს დავთარი.

ჩამოთვლილ რეგისტრების გამოუყენებლობის ან არასწორად შევსების შემთხვევაში რევიზიის ჩამტარებელი ამის შესახებ კონკრეტულად უთითებს სარევიზიო აქტში და უჩვენებს მის გამომწვევ მიზეზებს. იქნება ეს სათანადო დავთრებითა და ბალანსებით დროულად მოუმარაგებლობით თუ აღრიცხვის მუშაის მიზეზით გამოწვეული.

დაფინანსებით შიგაუწყებრივ ანგარიშსწორებათა აღრიცხვის შემოწმება ამ განყოფილებაში აღრიცხება ანგარიშსწორებანი ბიუჯეტიდან დაფინანსებით, რომელიც წარმოიშობა ხარჯთნუსხის შესრულების პროცესში კრედიტების ზემდგომ განმკარგულებებსა და დაქვემდებარებულ დაწესებულებებს შორის. რევიზიის ჩამტარებელმა უნდა შეამოწმოს კრედიტების მთავარი განმკარგულების მიერ საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებთან დაფინანსებით ანგარიშსწორებათა ანალიზური აღრიცხვა წარმოებს თუ არა ფ. № 302 დავთარში თითოეული დაწესებულების, პარაგრაფისა და მუხლების გამოყოფით, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფი კრედიტების მთავარი განმკარგულებლების მიერ ფ. № 292 დავთარში, იმ მაჩვენებლების გამოყოფით, რასაც ითვალისწინებს ბალანსთან დართული „ცნობა ბიუჯეტიდან დაფინანსების თანხების მოძრაობის შესახებ“.

ანგარიშსწორებათა აღრიცხვის შემოწმება. ამ განყოფილებაში აღრიცხება ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან, ბიუჯეტთან, პროფკავშირების ორგანიზაციებთან, ანგარიშვალდებულ პირებთან, მუშა-მოსამსახურეებთან, სტიპენდიატებთან, დეპონენტებთან, მშობლებთან საბავშვო დაწესებულებებსა და სკოლა-ინტერნატებში ბავშვთა შენახვის გადასახდელებზე, დანარჩენ დებიტორებთან და კრედიტორებთან და სხვ.

რევიზორი ამოწმებს: დაწესებულებებში ამ ოპერაციებით აღრიცხვა წარმოებს თუ არა ინსტრუქციით გათვალისწინებულ დავთრებსა და ბარათებში: მიმწოდებლებთან და მოიჯარებთან, ანგარიშვალდებულ პირებთან სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორებებისა — ფ. № 292 დავთარში (ფ. № 292-ა ბარათებში). ცენტრალიზებულ ბუხპალტერიებში ანგარიშვალდებულ პირებთან ანგარიშსწორებათა ოპერაციები უნდა აისახოს მაგროვებელ უწყისში, ფ. № 386 (მემორიალური ორდერი № 7) და ანგარიშსწორება სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან — მაგროვებელ უწყისში ფ. № 408 (მემორიალური ორდერი № 6).

საბავშვო დაწესებულებებში ბავშვთა შენახვისათვის გადასახდელებით მშობლებთან ანგარიშსწორებათა ანალიზური აღრიცხვა უნდა წარმოებდეს ფ. № 327 უწყისში, ბავშვთა გამოცხადების ტაბელების ფ. № 305-ტ საფუძველზე. ამ უწყისების მიხედვით კი ცენტრალიზებულ ბუხპალტერიებში უნდა დგებოდეს ნაერთი ფ. № 406 (მემორიალური ორდერი № 14). იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლები გადასახდელს იხდიან შემნახველ სალაროებში — გამოიყენება შეტყობინება-ქვითარი ფ. № 330-მეჭ. და ფ. № 330-კომ/სპ, ხოლო როდესაც გადახდა წარმოებს უშუალოდ საბავშვო დაწესებულებაში — ფ. № 330.

კონტროლიორს მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს საკასო ხარჯების აღრიცხვის ბარათის ფ. № 294-ა შემოწმება, სადაც მშობლების მიერ გადახდილი თანხით შემცირებული უნდა იყოს შესაბამისი დაწესებულების საკასო ხარჯები კვებაზე (მე-9 მუხლი).

დეპონირებული ხელფასისა და სტიპენდიების ანალიზური აღრიცხვა უნდა წარმოებდეს ფ. № 441 დავთარში, რომელშიც თითოეულ დეპონენტს ცალ-ცალკე ეხსნება ანგარიში. ნისიად შექმნილი საქონლისათვის მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან დაკავებებით ანგარიშსწორებათა ანალიზური აღრიცხვა, მუშა-მოსამსახურეთა მნიშვნელოვანი რაოდენობისას, რეკომენდებულია ფ. № 407 რეესტრში, ხოლო მცირე რაოდენობისას — ფ. № 292 დავთარში (ფ. № 292-ა ბარათებში). დეპონიტური თანხებით ანგარიშსწორებათა ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ფ. № 292 დავთარში.

უფრო დაწვრილებით უნდა გაისინჯოს: მუშა-მოსამსახურეებთან ხელფასით ანგარიშსწორების ოპერაციების კანონიერი და თავისდრო-

ული გაფორმება ამისათვის გათვალისწინებულ ფორმებში: მომსახურებელი დაწესებულებები ადგენენ თუ არა ცენტრალიზებულ ბუხ-პალტერიისში თვის პირველი ნახევრის გეგმური ავანსისათვის ცნობებს ფ. № 420 და ამის საფუძველზე სწორად ივსება თუ არა საგადასახდელო უწყისი ფ. № 389; თვის ბოლოს საანგარიშსწორებო-საგადასახდელო უწყისი ფ. № შ-49 დგება თუ არა სწორად შევსებული და გაფორმებული ტაბულების საფუძველზე; როდესაც მუშაკთა განთავისუფლების ან შევსებაში წასვლის თარიღი არ ემთხვევა ხელფასის გაცემის დროს, დგება თუ არა ამ დანიშნულებით შემოღებული ფ. № 425-მეკ. ჩანაწერი-ანგარიშსწორება; მუშა-მოსამსახურეებზე ივსება თუ არა ფ. № 417 ბარათ-ცნობები; თვის ბოლოს ადგენენ თუ არა ხელფასის დარიცხვის უწყისების ნაერთს ფ. № 405 (მემორიალური ორდერი № 5).

✶ ხ ა რ ჯ ე ბ ი ს ა ღ რ ი ც ხ ვ ა - შ ე მ ო წ მ ე ბ ა . ამ განყოფილებაში აღრიცხება ბიუჯეტურ და ბიუჯეტგარეშე სახსრების ხარჯთნუსხებით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე გაწეული ფაქტიური ხარჯები. დაწესებულებებში ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ასიგნებისა და ფაქტიური ხარჯების აღრიცხვის დაეთარში ფ. № 309, ხოლო ცენტრალიზებულ ბუხპალტერიებში ფ. 309-ა დაეთარში, სადაც ანგარიში ეხსნება ხარჯთნუსხის თითოეულ მუხლს მთლიანად მომსახურებულ დაწესებულებებზე და მათ შორის ცალკეული დაწესებულებების გამოყოფით.

სპეციალური სახსრების ფაქტიური ხარჯების ანალიზური აღრიცხვისათვის გათვალისწინებულია დაწესებულებებში სპეციალური სახსრების აღრიცხვის დაეთარი ფ. № 297, ხოლო ცენტრალიზებულ ბუხპალტერიებში ფ. № 297-ა დაეთარი, სადაც თითოეულ მომსახურებულ დაწესებულებას ეხსნება ცალკე ანგარიში. აუცილებლობისას დაშვებულია აგრეთვე აღრიცხვა აწარმოონ ფ. № 282 ან ფ. № 283 ბარათებში.

რევიზორი ამოწმებს დაცულია თუ არა ხარჯების აღრიცხვის ზემოთ მოცემული წესი.

და ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ა თ ა ა ღ რ ი ც ხ ვ ი ს შ ე მ ო წ მ ე ბ ა . ამ განყოფილებაში შედის დაფინანსება ბიუჯეტიდან დაწესებულებათა შენახვაზე, კაპიტალურ დაბანდებაზე, დაფინანსება სხვა ბიუჯეტების ანგარიშში, პენსიებისა და დახმარებათა დაფინანსება მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან კრედიტების გახსნის გარეშე, პენსიებისა და დახმარებათა დაფინანსება რაიონული (ქალაქის) ბიუჯეტის ანგარიშში, მშობელთა სახსრები საბავშვო დაწესებულებათა შესანახად და დანარჩენი სახსრების დაწესებულებათა შესანახად.

კონტროლიორმა უნდა შეამოწმოს დაწესებულებათა შესანახად

ბიუჯეტიდან დაფინანსების ოპერაციები გატარებულია თუ არა ფ. № 283 ბარათებში; კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ოპერაციები, დანარჩენი ბიუჯეტის ანგარიშში განხორციელებული დაფინანსება, მშობელთა მიერ შემოტანილი სახსრები და დანარჩენი სახსრები დაწესებულებათა შესანახი ჩაწერილია თუ არა ფ. № 292 დაეთარში.

ფონდებისა და მიზნობრივი სახსრების აღრიცხვის შემოწმება. ეს განყოფილება აერთიანებს მუშაკთა პრემიებისა და ერთდროული დახმარების გაწევის ფონდს, კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდის სახსრებს, ძირითადი საშუალებების ფონდს, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ფონდს. აქედან პირველის აღსარიცხავად განკუთვნილია ფ. № 272 დაეთარი (ფ. № 292-ა ბარათები), ხოლო დანარჩენი ფონდების ანალიზური აღრიცხვა უნდა წარმოებდეს ფ. № 283 ბარათებში.

რეალიზაციის აღრიცხვის შემოწმება. ბიუჯეტურ დაწესებულებაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს საწარმოო (სასწავლო) სახელოსნოებისა და დამხმარე სასწავლო-საცდელი მეურნეობის მზა ნაწარმისა და პროდუქციის, აგრეთვე მზა ბეჭდვითი პროდუქციის და გაწეული მომსახურების რეალიზაციას. რეალიზაციის ოპერაციების აღრიცხვა უნდა წარმოებდეს ფ. № 282 ან ფ. № 283 ბარათებში.

შემოსავლების აღრიცხვის შემოწმება. შემოსავლებში აღირიცხება სპეციალური სახსრები, როგორცაა საიჯარო და ბინის ქირა, შემოსავალი ტრანსპორტის ექსპლოატაციიდან, მუზეუმებისა და გამოფენების შენატანები, შემოსავლები დამხმარე მეურნეობათა საწარმოო საქმიანობიდან და სხვ. სპეცსახსრებს მიეკუთვნება აგრეთვე შემოსავლები ხელშეკრულებით შესრულებული სამეცნიერო კვლევითი სამუშაოებიდან.

შემოწმებელმა უნდა გასინჯოს: სპეცსახსრების შემოსავლების აღრიცხვის თავისდროულობა და სისწორე; სპეცსახსრების შემოსავლების მიღება წარმოებს თუ არა ფ. № 315 ტიპური ფორმის ქვითრებით, ხოლო ანალიზური აღრიცხვა დაწესებულებებში ფ. № 297 დაეთარში, ცენტრალიზებულ ბუხჰალტერიაში კი — ფ. № 297-ა დაეთარში; აუცილებლობისას დასაშვებია აგრეთვე ამ სახსრების ანალიზური აღრიცხვა წარმოებდეს ფ. № 282 ან ფ. № 283 ბარათებში. ცენტრალიზებულ ბუხჰალტერიაში სპეცსახსრების შემოსავლების დარიცხვა ფორმდება ფ. № 409 მაგროვებელი უწყისით (მემორიალური ორდერი № 13)³.

ბიუჯეტური დაწესებულების საფინანსო საქმიანობის შესწავლა ყოველმხრივი უნდა იყოს. ანგა-

³ ბუხჰალტერია, ანალიზი და კონტროლი, ტ. 11, 1978, გვ. 668—674.

ჩიშვების მაჩვენებელთა ანალიზური დამუშავების საშუალებით უნდა დადგინდეს გეგმის შესრულებაზე დადებითად ან უარყოფითად მოქმედი ფაქტორების მიზეზობრივი კავშირი და გაიზომოს მათი გავლენა ამა თუ იმ სინთეზურ მაჩვენებელზე. აქედან გამომდინარე, ანალიზის მთავარი ამოცანა ითვალისწინებს: გეგმის შესრულების შედეგების გამოვლენას, ხარჯთნუსხებთან მათი შესაბამისობის დადგენას, გეგმიდან გადახრების განსაზღვრას ფულად, ნატურალურ და პროცენტულ გამოსახულებაში.

ანალიზის პრაქტიკაში ასეთი სამუშაოები სრულდება აღრიცხვის მონაცემთა სტატისტიკური დაჯგუფების, გაანგარიშებებისა და სხვადასხვა სტატისტიკური ცხრილების შედგენის გზით. მაგალითად, ანალიზის დროს თვისებრივად ერთგვაროვანი მასობრივი საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოვლენების რაოდენობრივი მხარის მის თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში შესწავლის და მათი განვითარების შინაგანი კანონზომიერების გამოვლინების მიზნით იყენებენ მასობრივი დაკვირვების ბაზაზე მიღებულ საშუალო სიდიდეს, არკვევენ შრომის საშუალო ნაყოფიერების ცვალებადობას გარკვეულ პერიოდში (წარმოების საშუალო მოცულობას, ფასების ცვალებადობას, ხელფასის ფონდს, ერთი მუშაკის საშუალო ხელფასს და ა. შ.), აღრიცხვის მონაცემები საბიუჯეტო დაწესებულებებში, ცენტრალიზებულ ბუხჰალტერისა და სხვა ორგანიზაციებში ჯგუფდება, ჯამდება, ერთიანდება. დაჯგუფების მეთოდი ასრულებს მეტად მნიშვნელოვან როლს აღრიცხვის მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის პროცესში. საშუალოების, შეფარდებითი და სხვა ნაკრები მაჩვენებლების გამოთვლა ეკონომიკური ანალიზის მიზნით შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, როცა მასალა დანაწილებულია ერთგვაროვან ჯგუფებად. ამავდროს თვით დაჯგუფების მეთოდს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აღრიცხვის მონაცემთა დამუშავებაში.

დაჯგუფების დახმარებით გადაიკრება შემდეგი ძირითადი ამოცანები: სოციალურ-ეკონომიკური ტიპების გამოყოფა და შესწავლა; სტრუქტურისა და სტრუქტურული გამოვლინება; შესასწავლ მოვლენათა და მათ დამახასიათებელ ნიშნებს შორის კავშირის დადგენა.

დაჯგუფებისა და თავმოყრის შედეგები ჩვეულებრივ ფორმდება სტატისტიკური ცხრილების სახით. გარეგნულად ცხრილები წარმოადგენს ვერტიკალური სვეტებისა და ჰორიზონტალური სტრიქონების კომბინაციას. ასეთი ცხრილის შინაარსს განსაზღვრავს ორი ძირითადი ელემენტი, რომლებსაც გრამატიკული წინადადების წევრების ანალოგიურად ქვემდებარე და შემასმენელი ეწოდება.

ცხრილის ქვემდებარეს შეადგენენ ის ობიექტები (ან მათი ნაწილები, ჯგუფები), რომლებიც ხასიათდებიან რიგი ციფრობრივი მაჩვენებლებით.

ნებლებით. შემასმენელი რიცხობრივი მაჩვენებელია, რომელიც ახასიათებს ქვემდებარეს. სტატისტიკური და ბუხპალტრული მონაცემების ანალიზის მნიშვნლოვანი მეთოდია საშუალო სიდიდეების გამოყვანა. თუ უნდათ, მაგალითად, შეადარონ მუშაკების ხელფასი სხვადასხვა დაწესებულებაში ან დროის სხვადასხვა პერიოდის მიხედვით, საზღვრავენ საშუალო ხელფასს. საშუალოები მეტად ფართოდაა გავრცელებული. საშუალო მაჩვენებლები მოყვანილია სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმაში. დგინდება მუშაკების საშუალო ხელფასის მაჩვენებლები, რკინიგზის ტრანსპორტზე საშუალო სადღელამისო დატვირთვა, ერთეული პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მაჩვენებელი, საშუალო გამოწეშვების მაჩვენებელი და ა. შ.

საშუალო სიდიდეების ყველაზე გავრცელებული ფორმაა არითმეტიკული საშუალო ანუ მაჩვენებლების შეჯამებისა და ამ ჯამების შესაქრებთა რიცხვზე გაყოფის გზით მიღებული ნიშანი. მაგალითად, თუ დავუშვებთ, რომ ცენტრალიზებული ბუხპალტერიის მუშაკთა თვიური ხელფასი შეადგენს 1 მუშაკისა — 192 მანეთს, მე-2 მუშაკისა — 195, მე-3 მუშაკისა — 190, მე-4 მუშაკისა — 200 და მე-5 მუშაკისა — 198 მანეთს, ამ შემთხვევაში ერთი მუშაკის საშუალო თვიური ხელფასი გამოირკვევა მუშაკთა საერთო რიცხვზე ხელფასის საერთო ფონდის გაყოფის გზით.

$$\frac{192+195+190+200+198}{5} = \frac{975}{5} = 195 \text{ მან.}$$

ეკონომიკური ანალიზის პროცესში საშუალო სიდიდეებთან ერთად გამოითვლება აგრეთვე შეფარდებითი სიდიდე გეგმების შესრულების დონის დასახასიათებლად, საზოგადოებრივ მოვლენათა გავრცელების ინტენსიურობისა და განვითარების ტემპების გასაზომად, მათი სტრუქტურის გამოსავლინებლად და სხვ.

გეგმის შესრულების შეფარდებითი სიდიდე წარმოადგენს საფინანსო-სამეურნეო გეგმების შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლის ერთ-ერთ იარაღს.

შეფარდებით სიდიდეს ვლებულობთ საანგარიშო მაჩვენებლების გაყოფით საგეგმო მაჩვენებლებზე. ამ გზით მიღებული შეფარდებითი სიდიდე ჩვეულებრივ გამოიხატება პროცენტებში. თუ მაგალითად, ქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოში 1983 წელს გეგმით გათვალისწინებული იყო 360 საწოლი, ფაქტიურად კი წლის განმავლობაში იშლებოდა 394 საწოლი, მაშინ გეგმა გადაჭარბებულია 11929 საწოლდღით, ანუ შესრულება უდრის:

მიღებული შედეგის საფუძველზე შემდგომი ანალიზით შეიძლება დადგინდეს, რომ საავადმყოფოს ასეთი დატვირთვა გამოიწვია მის მიკრორაიონში მოსახლეობის მკვეთრმა ზრდამ ახალი საცხოვრებელი ბინების ექსპლუატაციაში გადაცემის გამო და ა. შ.

ანალიზის წყაროები. ბიუჯეტური დაწესებულების საფინანსო საქმიანობის ანალიზისათვის მონაცემების პირველ წყაროს წარმოადგენს ბიუჯეტური ხარჯთნუსხები, სპეციალური სახსრების შემოსავალ-გასავლის გეგმა, აგრეთვე მასალებისა და სათბობის ხარჯვის ნორმები, შტატგარეშე მუშაკთა ხელფასის ფონდის გაშიფვრა, ტარიფიკაციის ცხრილები, საშტატო განრიგები და სხვ.

მონაცემთა მეორე წყაროა წლიური ანგარიშგება;

როგორც წინა თავებშია აღნიშნული, სსრკ ფინანსთა სამინისტროს 1972 წლის 7 ივლისის № 112 წერილით სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულება-ორგანიზაციებისათვის დადგენილია წლიური ბუჯალტრული ანგარიშგება შემდეგი ფორმებით:

ფორმა № 1 ხარჯთნუსხის შესრულების ბალანსი;

ფორმა № 1-ი ცნობები ანგარიშების მიხედვით ნაშთების შესახებ;

ფორმა № 2 — ანგარიშგება ხარჯთნუსხის შესრულების შესახებ;

ფორმა № 3 — ანგარიშგება კონტინგენტისა და შტატების გეგმის შესრულების შესახებ;

ფორმა № 4 — ანგარიშგება ხარჯთნუსხის შესრულების შესახებ სპეციალური სახსრების მიხედვით;

ფორმა № 5 — ანგარიშგება ძირითადი საშუალებების მოძრაობის შესახებ;

ფორმა № 6 — ანგარიშგება მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობის შესახებ;

ცნობა № 1 — ბიუჯეტიდან დაფინანსების სახსრების მოძრაობის შესახებ.

ხარჯთნუსხების შესრულების ბალანსი შედგება აქტივის 9 და პასივის ექვსი განყოფილებისაგან.

ბალანსის აქტივში აისახება: ძირითადი საშუალებები, მატერიალური მარაგი, დანახარჯები წარმოებაზე, ფულადი სახსრები, ანგარიშსწორება ანგარიშვალდებულ პირებთან, სოცუზრუნველყოფა, დაწესებულებათა შენახვის ხარჯები, ზარალი, საბიუჯეტო და სპეცსახსრების ხარჯები კაპიტალურ მშენებლობაზე.

ბალანსის პასივში აისახება: დაწესებულების ხარჯების დაფინანსება ბიუჯეტიდან, ძირითადი საშუალებების ფონდები, დაწესებულების განვითარების ფონდები, ანგარიშსწორებანი კრედიტორებთან, რეალიზაცია და შემოსავლები, საწარმოო სახელოსნოების ნაკეთობათა რეალიზაცია, მოგება, კაპდაბანდებათა დაფინანსებანი.

ბიუჯეტური დაწესებულების საფინანსო საქმიანობის ანალიზის ერთ-ერთი წყაროა აღრიცხვის რეგისტრები, ე. ი. სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის დავთრები, ბარათები, ჟურნალორდერები, მაგროვებელი უწყისები, გაშიფვრის ფურცლები, ტაბულაგრამები, მაშინოგრამები და სხვ.

დაწესებულებათა ხარჯთნუსხების შესრულების ანალიზისათვის აღრიცხვის რეგისტრების გამოყენების აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ ისინი ხსნიან ანგარიშგების სინთეზურ მაჩვენებლებს და ამით მნიშვნელოვნად აადვილებენ იმ მიზეზების დადგენას, რომლებმაც გამოიწვიეს საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევა ან გვეგმიდან სხვა გადახრა.

დაწესებულების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზის სხვა წყაროს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაცია: სალაროს შემოსავალ-გასავლის ორდერები თანდართული საბუთებით, ხელფასის საგადასახდლო უწყისი ზედდებულები, საავანსო ანგარიშები, აქტები და სხვ. პირველადი საბუთების საფუძველზე დადგინდება გადახარჯვის, ეკონომიის ან სხვა გადახრების მიზეზები, აგრეთვე შესრულებული ოპერაციების კანონიერება, მიზანშეწონილობა და ა. შ.

აქედან ჩანს, რომ საბიუჯეტო დაწესებულებათა ხარჯთნუსხების შესრულების ანალიზი მკვიდროდაა დაკავშირებული სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბუხპალტრულ ანგარიშწარმოებასთან, მის ორგანიზაციასთან, აღრიცხვის რეგისტრებთან და ბუხპალტრულ ანგარიშგებასთან.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება სხვადასხვა დანიშნულებისა და ფუნქციების მქონე დაწესებულებათა მიხედვით დგება, ამიტომ ზოგიერთი ფორმა მოცულობითა და შინაარსობრივად სხვადასხვაგვარია. მაგალითად, სამკურნალო დაწესებულებათა ანგარიშგებაში (ფ. № 3) ასახულია ხარჯები ავადმყოფთა კვებაზე, მედიკამენტებისა და რბილი ინვენტარის შეძენაზე; კადრების მომზადების დაწესებულებათა ანგარიშგებაში ასეთი ხარჯების მაგიერ აისახება სტიპენდიის, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის, პედაგოგიური პერსონალის ხელფასისა და სხვა ხარჯების მაჩვენებლები; თუ სამკურნალო დაწესებულებათა ქსელის კონტინგენტისა და შტატის გეგმის შესრულების ანგა-

რიში ფ. № 3 გვაწვდის ცნობებს ავადმყოფთა გამტარიანობისა და საწოლთა გეგმის შესრულებაზე, კადრების მომზადების დაწესებულებათა ასეთი ანგარიშგება იძლევა მონაცემებს მოსწავლეთა კონტინგენტის მოძრაობის — მიღების, გამოშვების, საშუალო წლიური რაოდენობის შესახებ. ასევე განსხვავდება სახელმწიფო დაწესებულებათა შტატისა და კონტინგენტის გეგმის შესრულების მონაცემები.

3. ბიუჯეტური ხარჯთნუსხების შესრულების ანგარიშგების საანგარიშო შემოწმება

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ანალიზის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ხარჯთნუსხების შესრულების ანგარიშგების საანგარიშო შემოწმება: ანალიზის პირველ ეტაპზე საჭიროა შემოწმდეს ანგარიშგების წარდგენის დრო, ანგარიშგებაში ასახული მაჩვენებლების სიზუსტე, ანგარიშგების სისრულე, აღრიცხვის წარმოებისა და ანგარიშგების შედგენის წესების დაცვის სიზუსტე; საანგარიშგებო მასალების გაფორმების სისწორე, ყველა ციფრობრივი მონაცემის არითმეტიკული სისწორე, საანგარიშგებო ცხრილებსა და ფორმებს შორის ურთიერთკავშირის სისწორე, ინვენტარიზაციის სისრულე და ხარისხი, ანგარიშგების ცალკეული ცხრილების მონაცემთა შესაბამისობა ბალანსის მუხლებთან და სხვ.

ამასთან საჭიროა შემოწმდეს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მითითებათა დაცვის მდგომარეობა აღრიცხვასა და ანგარიშგებაში. აქედან გამომდინარე, ბალანსების შედგენის წესი მოწმდება მისი მუხლების შეფასების თვალსაზრისით, საშუალებებისა და მათი წყაროების შესაბამის ანგარიშზე მიკუთვნების სისწორის თვალსაზრისით და ა. შ.

ბალანსში ნაჩვენები ძირითადი საშუალებების, მასალების, ფულადი სახსრებისა და ანგარიშსწორებათა მაჩვენებლები ზუსტად უნდა უდრიდეს ინვენტარიზაციის მონაცემებს. ბალანსისა და ანგარიშგების სხვა ფორმების მაჩვენებელთა რეალობა ბევრადაა დამოკიდებული საბიუჯეტო დაწესებულების მატერიალურ ფასეულობათა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის სისრულესა და სიზუსტეზე. ამიტომ ბალანსის ანალიზამდე აუცილებელია გულმოდგინედ შემოწმდეს დაწესებულებებში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგები (რამდენად სრულად და ხარისხიანად ჩატარდა ინვენტარიზაცია და სწორად არის თუ არა გაფორმებული მისი შედეგები).

ინვენტარიზაციის შედეგების შემოწმებისას ყურადღება უნდა მიექცეს მისი ჩატარების ვადებს. საბიუჯეტო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ბუხალტრული ანგარიშგებისა და ბალანსების შესახებ

დებულების თანახმად ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია უნდა ჩატარდეს არა უადრეს საანგარიშგებო წლის პირველი ნოემბრისა, კაპიტალური სამუშაოების — არა უადრეს 1 დეკემბრისა. მზა ნაკეთობის, სასწავლო, სამეცნიერო და სხვა დანიშნულების მასალების, რეაქტივების, საკვებისა და ფურაჟის საკანცელარიო სამშენებლო და სხვა მატერიალურ-ფასეულობათა ინვენტარიზაცია იწყება 1 ოქტომბრის შემდეგ.

კვების პროდუქტების ნაშთების, ფულად სახსრების, მკაცრი აღრიცხვის ბლანკების (დოკუმენტების) ინვენტარიზაცია ტარდება ყოველთვიურად. დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორებათა შემოწმება წარმოებს წელიწადში რამდენჯერმე და აუცილებლად წლის ბოლოსაც.

საანგარიშგებო მონაცემები წლის დასაწყისისათვის უნდა ეთანხმებოდეს წინა წლის ანგარიშგების მაჩვენებლებს. თუ ნაშთები წლის დასაწყისსა და წლის ბოლოსათვის, აგრეთვე სახარჯთნუსხო დანიშნულებანი და საგეგმო მაჩვენებლები არასწორად აისახა ანგარიშგებაში, ანალიზით ველარ უზრუნველყოფთ ზუსტი დასკვნების გამოტანას და დაწესებულების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე სწორი სურათის დადგენას. საბიუჯეტო დაწესებულებების ქონებრივ-მატერიალურ, ფულად საშუალებათა და ანგარიშსწორებათა ნაშთების მდგომარეობა და მათი შექმნის წყაროები ბალანსში მოცემულია, როგორც საანგარიშგებო წლის დასაწყისისათვის, ისე წლის ბოლოსათვის. ბალანსში ასეთი ორი სხვადასხვა თარიღისათვის ურთიერთდაპირისპირებული მონაცემების მოტანა განაპირობებს სწორ ანალიზს და ზუსტი დასკვნების გამოტანას.

ბალანსში სალაროს ანგარიშზე 1 იანვრისათვის ნაშთი არ უნდა იყოს, ვინაიდან ფულადი სახსრების ნაშთი, მიუხედავად მათი შემოსავლის წყაროებისა, უნდა ჩაბარდეს ბანკში არაუგვიანეს 31 დეკემბრისა.

ანგარიშსწორებანი 178 სუბანგარიშის მიხედვით ბალანსში აისახება გაშლილად, აქტივში — დებიტორული, პასივში — კრედიტორული დავალიანება.

ბალანსის პასივში 230, 231 და 233 (ან 140, 141 და 143) სუბანგარიშების მიხედვით ნაჩვენები ნაშთები უნდა ეთანხმებოდეს „ბიუჯეტიდან დაფინანსების თანხების მოძრაობის შესახებ“ № 1 ცნობაში გაშიფრულ თანხებს. ამ ცნობის დანიშნულებაა საბიუჯეტო დაწესებულების ბალანსზე ნაჩვენები დაფინანსების თანხების ნაშთების სისწორის შემოწმება და შედარება ზემდგომი ორგანოების მონაცემებთან.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ხარჯთნუსხის შესრულების — ფორმა № 2-ის შემოწმებას. ამ ანგარიშგების ანალიზის

დროს პირველ რიგში უნდა გაირკვეს, თავისდროულად და სრულად ხდებოდა თუ არა ყოველ კვარტალში დადგენილი ასიგნების შესაბამისად კრედიტის გახსნა ანდა ფულადი თანხის დროული გადარიცხვა, ადგილი ხომ არ ჰქონდა ზედმეტ ან ნაკლებ დაფინანსებას. ამისათვის უნდა დადგინდეს სახსრებზე ნამდვილი წოთხოვნა დროის შესაბამისი პერიოდისათვის ხელფასის გაცემის ვადებისა და სხვა ხარჯების გათვალისწინებით და შეეფარდოს ეს მოთხოვნა ფაქტიურად გახსნილ კრედიტებს და გადარიცხულ ფულად სახსრებს. აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ საერთო თანხაში, რომელიც იმყოფება დაწესებულების განკარგულებაში, ჩაითვალოს მიმდინარე ანგარიშის ნაშთიც.

ფულად სახსრებზე მოთხოვნის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ თითქმის ყოველ დაწესებულება-ორგანიზაციას წლის დასაწყისისათვის გააჩნია მასალების ნამატი მარაგები და დებიტორული დავალიანება, რა თანხითაც წლიურ ანგარიშზე დასკვნის თანახმად მცირდება მიმდინარე დაფინანსება.

აღსანიშნავია, რომ ანგარიშგება ფორმა № 2 შეიცავს ცნობებს იმის შესახებ, თუ საანგარიშგებო პერიოდში საბიუჯეტო კლასიფიკაციის ხარჯთა მუხლების მიხედვით რა რაოდენობის თანხა გამოიყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ფაქტიურად როგორ დაიხარჯა. ეს ანგარიშგება იძლევა საჭირო მონაცემებს საბიუჯეტო დაწესებულებათა მუშაობის დასახასიათებლად, სამეურნეო-საფინანსო მუშაობის პროცესში მოქმედი დადებითი და უარყოფითი ფაქტორების გამოსავლენებლად, მიღებული ეკონომიისა და დაშვებული გადახარჯვების მიზეზების დასადგენად და, ბოლოს ამ ფორმის მონაცემების დაპირისპირებით გეგმის შესრულების მონაცემებთან გაირკვა თუ რამდენად შეესაბამებოდა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა შტატისა და კონტინგენტის გეგმის შესრულებას. დადგენილია, რომ დაწესებულების ნორმალური მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ზუსტად გამოანგარიშებულ და სწორად შედგენილ ხარჯთნუსხას. დაწესებულების მუშაობაზე უარყოფით გავლენას ახდენს როგორც ნაკლები, ისე ზედმეტი თანხით დაფინანსება: თუ საბიუჯეტო დაწესებულება დაფინანსებულია არასრულად, იგი ვერ შეასრულებს გათვალისწინებულ სამუშაო პროგრამას, ზედმეტი დაფინანსება კი იწვევს უკანონო ხარჯებს, ქონებრივ-მატერიალურ ფასეულობათა ზედმეტი მარაგის შექმნასა და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების უმოქმედოდ დაბანდებას. ხარჯთნუსხების შესრულების ანგარიშგებაში მოცემულია შედარება დაწესებულებების მიერ წლის დასაწყისიდან წარმოებულ ფაქტიური ხარჯებისა საკასო ხარჯებთან და გახსნილ კრედიტებთან. ანგარიშგების პირველ სექტში

აღნიშნულია საანგარიშგებო წლისათვის ხარჯთნუსხით დამტკიცებულ თანხა, საანგარიშგებო პერიოდში შეტანილი ცვლილებების მხედველობაში მიღებით. მეორე სვეტში მოტანილია წლის განმავლობაში გახსნილი კრედიტების თანხა, კრედიტების ზემდგომი განმკარგულების მიერ დახურული კრედიტების გამოკლებით. მესამე სვეტში ნაჩვენებია საკასო ე. ი. საბიუჯეტო ან მიმდინარე ანგარიშიდან ჩეკებით, საგადასახდლო დავალებებით ან სხვა საბუთებით ჩამოწერილი თანხები (კრედიტების აღსადგეხად ბაზკში შეტანილი თანხის გამოკლებით), ხოლო მეოთხე სვეტში — საანგარიშგებო პერიოდში გაწეული ფაქტიური ხარჯები.

ფორმა № 2 ანგარიშგების მეორე სვეტის (გახსნილია კრედიტები) ჯამი უნდა უდრიდეს 090 და 091 სუბანგარიშების დებეტის ბრუნვას დახურული კრედიტების გამოკლებით, ხოლო მესამე სვეტი „საკასო ხარჯები“ უნდა უდრიდეს იმავე ანგარიშების საკრედიტო თანხას აღდგენილი კრედიტის გამოკლებით; მე-4 სვეტი — „ფაქტიური ხარჯები“ უნდა უდრიდეს 200 და 201 სუბანგარიშების ჯამს ამ ანგარიშების საკრედიტო ჩანაწერების გამოკლებით ანგარიშების წლიური დასკვნის შემდეგ, ფ. № 2 ანგარიშგების „ხარჯების“ სვეტის ჯამი, გასული წლიდან გადმოსული ხარჯების ნაშთის მხედველობაში მიღებით, უნდა უდრიდეს ცნობა № 1-ში ნაჩვენები ჩამოწერილი ხარჯების თანხას.

სხვაობა გახსნილი კრედიტების ჯამსა და საკასო ხარჯების ჯამებს შორის შეადგენს საანგარიშო პერიოდში აუთვისებელი კრედიტების თანხას, რომელიც ბალანსის აქტივში 090—093 სუბანგარიშებზე ნაჩვენებ თანხას უნდა ემთხვეოდეს.

ფორმა № 2 დგება საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკე პარაგრაფების მიხედვით, ე. ი. ყოველ ცალკეულ ღონისძიებაზე.

პირველ მუხლში ხელფასის საკასო და ფაქტიურ ხარჯებს შორის სხვაობას შეიძლება ადგილი ექნეს იმ შემთხვევაში, როდესაც ბალანსის მუხლებში იცვლება სადებონენტო დავალიანებათა და საფინანსო ორგანოებთან ანგარიშსწორების ნაშთები (ხელფასიდან დაკავებული გადასახდლები), თუ ეს ნაშთები წლის ბოლოს გაიზარდა წლის დასაწყისთან შედარებით, მაშინ ფაქტიური ხარჯები მეტი იქნება საკასო ხარჯებზე იმ თანხით, რა თანხითაც შეიცვალა (გაიზარდა) ზემოაღნიშნულ დავალიანებათა ნაშთები, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში (ე. ი. როდესაც დებონენტური დავალიანებისა და საფინანსო ორგანოებთან ანგარიშსწორების ნაშთი შემცირდება) ხელფასის საკასო ხარჯები ფაქტიურ ხარჯებზე (ე. ი. დარიცხულ ხელფასზე) მეტი იქნება.

მე-2 მუხლში — „დარიცხვა ხელფასზე“ საკასო და ფაქტიურ ხარჯებს შორის სხვაობა ზუსტად უნდა ემთხვეოდეს ბალანსში 171 სუბანგარიშზე წლის დასაწყისსა და წლის ბოლოსათვის არსებული ნაშ-

თების სხვაობას. მე-4 მუხლში — „მივლინება და სამსახურებრივი მიმოსვლა“ — საკასო და ფაქტიურ ხარჯებს შორის გადახრაზე გავლენას ახდენს სამსახურებრივი მივლინების ხარჯებისათვის მუშაკებზე გაცემული საქვეანგარიშო თანხების ნაშთის ცვლილება საანგარიშგებო წლის დასაწყისსა და ბოლოსათვის. მე-9 მუხლში — „ხარჯები კვებაზე“ საკასო და ფაქტიურ ხარჯებს შორის სხვაობას იწვევს კვების პროდუქტების ნაშთებისა და კვების პროდუქტების შექმნასთან დაკავშირებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ცვლილება.

წლიურ ანგარიშგებაში ფორმა № 2-ით საკასო ხარჯების საერთო თანხა და ცნობა № 1-ში ნაჩვენები 31 დეკემბერს დახურული აუთენტიკური კრედიტების თანხა, ერთად აღებული, უნდა უდრიდეს წლის განმავლობაში გახსნილი კრედიტების თანხას. ამავე ფორმის მე-3 სვეტის ჯამს, აგრეთვე ცნობა № 1-ის კრედიტში მეორე სტრიქონის სათანადო სვეტებში ნაჩვენებ თანხას.

ფორმა № 2 ანგარიშგების მე-4 სვეტის ფაქტიური ხარჯების ჯამი წლიურ ანგარიშგებაში უნდა შეესაბამებოდეს ცნობა № 1 დებეტში ნაჩვენებ შესაბამისი სტრიქონის თანხას, ხოლო კვარტალურ ანგარიშგებაში — 200 სუბანგარიშზე ბალანსში აღნიშნულ თანხას.

შტატებისა და კონტინგენტის გეგმის შესრულების ანგარიშგებაში ფორმა № 3-ით გათვალისწინებული მაჩვენებლები ახასიათებს დაწესებულების ოპერატიული გეგმის შესრულებას. აღნიშნული ანგარიშგების ფორმები და მაჩვენებლები შეესაბამება დაწესებულებების საწარმოო გეგმის შესრულებას.

უმადლეს სასწავლებელთა შტატისა და კონტინგენტის გეგმის შესრულების მაჩვენებლები გათვალისწინებულია ანგარიშგების ფორმაში, რომელსაც მიკუთვნებული აქვს № 3-2, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ანალოგიური ანგარიშგების ფორმას მიკუთვნებული აქვს № 3-3; ჯანმრთელობისა და სოცუზრუნველყოფის დაწესებულებებისათვის გათვალისწინებულია № 3-4 ფორმა, დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ანგარიშგებისათვის განკუთვნილია № 3-5 ფორმა და ა. შ. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო რიცხვი ანგარიშგებაში მოწმდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლო რიცხვისათვის მომუშავეთა ფაქტიური რაოდენობის ჯამის საკრებთა რიცხვზე გაყოფის გზით.

ასეთივე წესით მოწმდება ანგარიშგებაში ნაჩვენები სტიპენდიანტი სტუდენტების, ასპირანტების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებათა მუშაკებისა და მეცნიერ მუშაკთა საშუალო კონტინგენტი, აგრეთვე ბავშვთა საშუალო რიცხვის სისწორე საბავშვო ბაღებში, ბავშვთა და ბავშვთა სახლებში. უმადლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებ-

ლების შტატებისა და კონტინგენტების გეგმის შესრულების ანგარიშ-გების (ფ.ფ. 3-2 და 3-7) შემოწმებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ (ფ. № 3-2 ან ანგარიშგების) სტრიქონზე — „მიღება“ აღნიშნული იყოს სამინისტროს ან უწყების მიერ სახალხო მეურნეობის გეგმის შესაბამისად დადგენილი მისაღები კონტინგენტის ანგარიშში მიღებულ მოსწავლეთა ფაქტიური რიცხვი როგორც პირველ, ისე სხვა კურსებზე. სტრიქონზე „განთესვა“ აღინიშნება სასწავლებლიდან სხვადასხვა მიზეზით საანგარიშგებო წლის განმავლობაში ფაქტიურად ამორიცხულ მოსწავლეთა რიცხვი.

მოსწავლეთა საშუალო კონტინგენტი, სტიპენდიანტების, პედაგოგიური, ადმინისტრაციულ-სამეურნეო და სხვა საშტატო პერსონალის კონტინგენტი გამოიანგარიშება ყოველი თვის დასაწყისისათვის და წლის ბოლოსათვის ფაქტიური რაოდენობის შეკრებისა და მიღებული ჯამის 13-ზე გაყოფის გზით. ჯანმრთელობის დაცვისა და სოცუზრუნველყოფის დაწესებულებათა შტატებისა და კონტინგენტის გეგმის შესრულების ანგარიშგების (ფორმა № 3-4) შემოწმებისას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაშლილი საწოლების საშუალო რიცხვი გამოიანგარიშება წლის დასაწყისიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე ყოველი თვის 1 რიცხვისა და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის გაშლილი საწოლების რაოდენობის შეჯამებისა და მიღებული ნაკრების გაყოფით 13-ზე, მაგრამ თუ დაწესებულებაში საანგარიშგებო პერიოდის რომელიმე თვის შუა რიცხვებში შეიცავდა (ე. ი. მიემატა ან მოაკლდა) საწოლების რაოდენობა, მაშინ საწოლთა საშუალო რაოდენობა გამოითვლება ყოველდღიურად გაშლილი საწოლების შეჯამებისა და მიღებული ნაკრების გაყოფით საანგარიშგებო პერიოდის დღეთა რაოდენობაზე.

გაშლილ საწოლად ითვლება ყველა საწოლი, რომელიც ფაქტიურად გაწყობილი და მომზადებულია ავადმყოფის მისაღებად, მიუხედავად იმისა, დაკავებულია ავადმყოფის მიერ თუ არა. საწოლები, რომლებიც დეზინფექციის, კარანტინის ან შენობის რემონტის გამოდროებით აკეცილია, მიეკუთვნება ფაქტიურად გაშლილ საწოლთა რიცხვს. დროებით ჩადგმული საწოლები არ ჩაითვლება გაშლილი საწოლების რიცხვში, მაგრამ ავადმყოფთა მიერ ამ საწოლებში გატარებული დღეები შეიტანება „საწოლდღეთა რაოდენობის“ მაჩვენებლებში.

საწოლდღეთა რაოდენობა მოწმდება წლის დასაწყისიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე ყოველდღიურად გაშლილი საწოლების რაოდენობის შეჯამების გზით.

საექიმო თანამდებობათა საშუალო რიცხვი მოწმდება ისე, როგორც საშტატო მუშაკთა საშუალო რიცხვი. საექიმო თანამდებობად იგულის-

ხმება ხარჯთნუსხაში გათვალისწინებული თანამდებობა მთლიანი განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია მთელ სამუშაო დღეზე, არასრული საექიმო თანამდებობის არსებობის შემთხვევაში შეჯამდება არასრულ თანამდებობაზე მომუშავე ექიმთა სამუშაო საათების რაოდენობა და მიღებული საერთო საათების რიცხვი გაიყოფა მოცემული დაწესებულების სრული სამუშაო დღისათვის დადგენილი საათების რიცხვზე. სკოლა-ინტერნატების შტატებისა და კონტინგენტის გეგმის შესრულების ანგარიშგებაში (ფორმა № 3-5) სკოლა-ინტერნატებში მცხოვრები მოსწავლეებისა და ბავშვთა დასწრების დღეების რიცხვი (ბავშვთდღეთა რაოდენობა) შემოწმდება სკოლა-ინტერნატებში მცხოვრებ, კვებაზე მყოფ მოსწავლეთა ყოველდღიური დასწრების დღეების შეჯამებით წლის დასაწყისიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე.

ტექნიკუმების, კადრების მომზადების, საკურსო ღონისძიებების სკოლების და სასწავლებლების, შტატებისა და კონტინგენტების გეგმის შესრულების ანგარიშში (ფორმა № 3-7) უნდა შემოწმდეს მოსწავლეთა სამუშაო წლიური რაოდენობა კადრების მომზადების სკოლების მიხედვით, ხოლო კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტების მიხედვით წარმოდგენილი კატეგეების რიცხვი მიიღება მოსწავლეთა ყოველდღიური რაოდენობის შეჯამებით.

პედაგოგიური განაკვეთების შესამოწმებლად საანგარიშგებო პერიოდში ანაზღაურებული პედაგოგიური საათების რაოდენობა უნდა გაიყოს ერთი პედაგოგიური განაკვეთის წლიური საათების რაოდენობაზე (720-ზე).

გამოანგარიშების ანალოგიური წესები გამოიყენება სხვა პარაგრაფებით გაწეულ ხარჯებზე შედგენილი შტატებისა და კონტინგენტის გეგმის შერულების ანგარიშგების (ფორმა № 3-8, 3-10, 3-12 და ა. შ.) შემოწმების დროს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იმავე პარაგრაფით რამდენიმე სხვადასხვა დაწესებულება ფინანსდება, რაც დამახასიათებელია ბუხჰალტერიის ცენტრალიზაციის პირობებში, შტატისა და კონტინგენტის გეგმის შესრულების ანგარიშგება დგება № 3-19 ფორმაში მონაცემების ჩაწერით ცალ-ცალკე (თითოეული) დაწესებულების მიხედვით. ამიტომ ამ ფორმაში შემოწმდება არა მხოლოდ საერთო გეგმის შესრულების მონაცემების სიზუსტე, არამედ თითოეული დაწესებულების მიხედვით წარმოდგენილი მაჩვენებლების შესაბამისობაც სართო გეგმურ მონაცემებთან და ბალანსთან.

სპეციალისტების ხარჯთნუსხის შესრულების ანგარიშგებაში № 4 ნაშთი საანგარიშგებო წლის დასაწყისისათვის უნდა უდრიდეს წინა საანგარიშგებო წლის ბოლოს ნაშთს. სხვაობას შეიძლება ადგილი ექნეს იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება ან სპეციალური სახსრების

წყარო თავის ნაშთიანად გადაეცა სხვა დაწესებულებას ან, პირიქით, გადმოვიდა სხვა დაწესებულებიდან. სპეციალური შემოსავლის ნაშთი წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს უნდა უდრიდეს ბალანსში 400 სუბანგარიშის პირველ და მეორე სვეტებში აღნიშნულ თანხებს, ხოლო ფულადი სახსრები — 111 სუბანგარიშის ჩანაწერებს შესაბამისად წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის.

მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობის ანგარიშგება (ფორმა № 6), ისე როგორც ძირითად საშუალებათა მოძრაობის ანგარიშგება (ფორმა № 5), ასახავს მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობას საანგარიშგებო პერიოდში. ეს ანგარიშგება შედგება სამი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი უჩვენებს მასალებისა და კვების პროდუქტების ნაშთებს წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის, აგრეთვე წლის განმავლობაში დაწესებულების საჭიროებაზე დახარჯული მასალებისა და კვების პროდუქტების მთლიან ღირებულებას, მათ შორის ცალკეული სახეების მიხედვით, მეორე ნაწილი ასახავს ცნობებს წლის განმავლობაში დაწესებულების საჭიროებაზე დახარჯული მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების შესახებ, მათ შორის ორ მანეთამდე ღირებულის საგნების ცალკე გამოყოფით; მესამე ნაწილი ასახავს მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობას ორ განყოფილებაში — ა) მასალები და კვების პროდუქტები და ბ) მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები.

ამ ანგარიშგების პირველი ნაწილის მონაცემები („სულ მასალები და კვების პროდუქტები“) ზუსტად უნდა ემთხვეოდეს ბალანსის სათანადო სტრიქონზე ნაჩვენებ შესაბამისი სვეტების თანხებს.

მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობის ანგარიშგების სისწორის შესამოწმებლად საჭიროა მასალებისა და კვების პროდუქტების ნაშთს წლის დასაწყისისათვის მიემატოს საანგარიშგებო წლის შემოსავალი და გამოაკლდეს საანგარიშგებო წლის განმავლობაში წარმოებული ჩამოწერები. მიღებული თანხა უნდა დაემთხვეს ბალანსის შესაბამისი სტრიქონის მეორე სვეტის თანხას. № 6 ფორმის I ნაწილში დაწესებულების საჭიროებისათვის დახარჯული მასალებისა და კვების პროდუქტების ჯამი შეიძლება არ უდრიდეს III ნაწილის შესაბამის სტრიქონზე ნაჩვენები ჩამოწერილი მასალებისა და კვების პროდუქტების თანხას, ვინაიდან მასში შეიძლება შედიოდეს, გარდა დაწესებულების საჭიროებისათვის დახარჯულისა, დანარჩენი სხვა ჩამოწერებიც, მაგალითად: სათანადოდ გაფორმებული ნებართვის საფუძველზე უსასყიდლო გაცემები; მასალებისა და კვების პროდუქტების გაფუჭების, სტრიქონური უბედურებით გამოწვეული დანაკლისის ან გატაცების გამო ჩამოწერები და სხვა.

ანგარიშგებაში მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ნაშთების ასახვის სისწორის შესამოწმებლად საჭიროა ფორმა № 1-ის შე-

საბაშის სტრიქონზე ნაჩვენებ „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები ექსპლუატაციაში“ (070 სუბანგარიში) და „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები მარაგში“ (071 სუბანგარიში) — ერთად აღებული ნაშთებს დაემატოს ფორმა № 6-ის III ნაწილის მეორე განყოფილების პირველი სტრიქონი — „სულ შემოსულია“ და გამოაკლდეს ამავე განყოფილების მე-3 სტრიქონი — „სულ გამოაკლდა“, შედეგით უნდა უდრიდეს წლის ბოლოსათვის ბალანსში ნაჩვენებ ნაშთს და მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ფონდს.

ანგარიშგების საანგარიშო შემოწმების შემდეგ საჭიროა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ანალიზის გაღრმავება, აღმოჩენილ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად წინადადებათა და ღონისძიებათა შემუშავება და მთელი რიგი სხვა ანალიზური სამუშაოების ჩატარება.

ნაწილი მესამე

სოფლის ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა და კონტროლის ორგანიზაცია

თ ა ვ ი XII

სოფლის ბიუჯეტის აღრიცხვის ცენტრალიზაცია

1. ცენტრალიზებული აღრიცხვა ორგანიზაციის სისტემით

სასოფლო საბჭოს მინიჭებული აქვს დიდი საბიუჯეტო უფლებები. იგი ძირულებს სხვადასხვა ფუნქციას საფინანსო-საბიუჯეტო მუშაობის დარგში, მონაწილეობს სოფლის ბიუჯეტურ დაწესებულებათა ხარჯთ-ნუსხების შესრულებაში, კონტროლს უწევს კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ გადასახადებისა და გადასახდელების დრო-ულად შეტანას, მოსახლეობისაგან გადასახადებისა და სხვა გადასახდე-ლების მიღებას, ფულადი სახსრების დაცულობას და სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში მათს თავის დროზე ჩაბარებას და ა. შ.

ყველა ამ საქმიანობის აღრიცხვასა და ანგარიშგებას უზრუნველ-ყოფს სასოფლო, სადაბო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების), საქალაქო სახალხო დეპუტატების საბჭოების ცენტრალიზებული ბუხ-პალტერიების აღრიცხვა-ანგარიშგებისათვის გათვალისწინებული სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1985 წლის 3 აპრილის № 95 ბრძა-ნებულებასთან დართული ინსტრუქცია. სახალხო დეპუტატების სა-სოფლო საბჭოებში, სადაც არ არის დაარსებული ცენტრალიზებული ბუხპალტერია, სოფლის ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო სახსრების აღ-რიცხვა ეწყობა მარტივი სისტემით.

სასოფლო საბჭოებთან შექმნილ ცენტრალიზებულ ბუხპალტერიას. სათავეში უდგას მთავარი ბუხპალტერი, ხოლო საერთო ხელმძღვანე-ლობას ახორციელებს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც სარგებლობს საბუთებზე პირველი ხელმოწერის უფლებით. მეორე

ხელმოწერის უფლება მიკუთვნებული აქვს მთავარ ბუხპალტერს. ცენტრალიზებული ბუხპალტერიის მთავარი ბუხპალტერი თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1980 წლის 24 იანვარს დამტკიცებული № 59 დებულებით მთავარი ბუხპალტრების შესახებ. ცენტრალიზებულ ბუხპალტერიას აღრიცხვის წარმოების მეთოდების შესახებ მითითებებს აძლევს რაიონული საბჭოს საფინანსო განყოფილება.

სახალხო დეპუტატების სასოფლო, სადაბო (რაიონული დაქვემდებარების), საქალაქო საბჭოებთან არსებული ცენტრალიზებული ბუხპალტერიების აღრიცხვა-ანგარიშგების ინსტრუქცია ითვალისწინებს სამეურნეო-საფინანსო ოპერაციების აღრიცხვის ანგარიშთა გეგმას, რომელიც ქვემოთ მოყვანილი 25 მთავარი ანგარიშის, 70 სუბანგარიშისა და 6 ბალანსგარეშე ანგარიშისაგან შედგება:

სოფლის ბიუჯეტისა და ხარჯთნუსხების შესრულების ბუხპალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა

ანგარიშის დასახელება	№	სუბანგარიშის №№
ი	2	3
ძირითადი საშუალებები	01	010, 011, 012
	—	013, 014, 015
	—	016, 017, 018, 019
ძირითადი საშუალებების ცვეთა	02	020
ნაწარმი და პროდუქცია	03	030, 031
მოწყობილობა და სამშენებლო მასალები	04	040
შოხარდი ცხოველები და ცხოველები კვებაზე	05	051
მასალები და კვების პროდუქტები	06	060 061
	—	062, 063, 064
	—	065, 066, 067
	—	068, 069
შტირეთასიანი და სწრაფცვეთადი საგნები	07	070, 071
დანახარჯები წარმოებაზე და სხვა მიზნებზე	08	
მიმდინარე ანგარიშები ადგილობრივი ბიუჯეტებით	10	107, 108, 109
ბიუჯეტგარეშე სახსრების მიმდინარე ანგარიშები	11	110, 111
ზალარო	12	120
დანარჩენი ფულადი სახსრები	13	130, 131, 132, 133
ანგარიშსწორება მიმწოდებლებთან, მო-		

1	2	3
იჯარებთან და შემკვეთებთან შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურებისათვის	15	150
ანგარიშსწორება ანგარიშვალდებულ პირებთან	16	160
ანგარიშსწორება დანაკლისებით და დებიტორულ-კრედიტორული ოპერაციებით	17	170, 171, 172
	—	173, 174, 176
ანგარიშსწორება მუშებთან და მოსამსახურებებთან	18	177, 178, 179
	—	180, 182, 183
	—	184, 185, 186, 187
ხარჯები ბიუჯეტით	20	200, 203, 207
დანარჩენი ხარჯები	21	211
დაფინანსება	23	230, 231, 236, 238
ფონდი ძირითად საშუალებებში	25	250
მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ფონდი	26	260
შემოსაქვები	40	400, 407
მოკლევადიანი სესხები ბიუჯეტიდან	52	520
გადაცემული და მიღებული სახსრები	73	730
ბიუჯეტის შესრულების შედეგები	90	900

ბ ა ლ ა ნ ს გ ა რ ე შ ე ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ა

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები	01
პასუხსაგებ შენახვაზე აღებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	02
მკაცრი აღრიცხვის ბლანკები	04
გადასახადისუუნარო დებიტორების ჩამოწერა	05
გარდამავალი სპორტული ჭილდოები და თასები	08
სამხედრო ტექნიკის სასწავლო საგნები	011

ზემოაღნიშნული ანგარიშგების მიხედვით ოპერაციების დასამუშავებლად იყენებენ მემორიალურ-ორდერ მაგროვებელ უწყისებს, რომელთაც მუდმივი ნომრები აქვთ მიკუთვნებული 1-დან 15-მდე.

აღსანიშნავია, რომ №№ 1—15 მემორიალური ორდერები თავისი სახელწოდებითა და შინაარსით არ განსხვავდებიან საბიუჯეტო დაწესებულებათა ცენტრალიზებულ ბუხჰალტერებში მოქმედი მემორიალური ორდერებისაგან. ამასთან, ზოგიერთი დავთარი და აღრიცხვის რეგისტრიც ურთიერთანალოგიურია.

მემორიალურ ორდერში ყველა ჩაწერა წარმოებს ცალკეული სა-

ბუთის ან ერთგვაროვან საბუთთა ჯგუფების საფუძველზე. ოპერაცია ხასიათის მიხედვით ანგარიშების კორესპონდენცია მემორიალურ ორდერში ჩაიწერება ერთი ანგარიშის დებეტში და მეორე ანგარიშის კრედიტში ან ერთი ანგარიშის დებეტში და რამდენიმე ანგარიშის კრედიტში, ან პირიქით. ერთი ანგარიშის კრედიტში და რამდენიმე ანგარიშის დებეტში.

მემორიალურ ორდერებს ხელს აწერენ შემდგენელი და მთავარი ბუხპალტერი.

ყველა მემორიალური ორდერი ტარდება ფ. № 308 ეურნალ-მთავარ დავთარში. ეურნალ-მთავარ დავთარში აღრიცხვა წარმოებს მეორე რიგის ანგარიშების მიხედვით ან ცენტრალიზებული ბუხპალტერიის მთავარი ბუხპალტრის გადაწყვეტილებით — პირველი რიგის ანგარიშების მიხედვით.

ეურნალ-მთავარი დავთარი იხსნება გასული წლის დასკვნითი ბალანსის შესაბამისად, წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთების თანხების ჩაწერით. მემორიალური ორდერების შესაბამისი მაგროვებელი უწყისებით შედგენისას ეურნალ-მთავარ დავთარში ჩაწერა ხდება თვეში ერთჯერ, ხოლო ცალკეული მემორიალური ორდერის შედგენისას — არა უგვიანეს მეორე დღისა. მემორიალური ორდერის თანხა ჯერ ჩაიწერება სვეტში „თანხა ორდერით“, ხოლო შემდეგ შესაბამისი ანგარიშების დებეტსა და კრედიტში. თვიური ბრუნვების ჯამი ყველა ანგარიშის მიხედვით, როგორც დებეტით, ისე კრედიტით, უნდა უდრიდეს სვეტის „თანხა ორდერით“ ჯამს.

თვიური ბრუნვების შემდეგ მეორე სტრიქონით გამოიყვანება ყოველი ანგარიშის ნაშთი მომდევნო თვის დასაწყისისათვის.

სოფლის ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის ცენტრალიზაციის პირობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ანალიზურ აღრიცხვას. ცენტრალიზებულ ბუხპალტერიაში თავმოყრილია მრავალი დამოუკიდებელი დაწესებულების ანგარიშწარმოება და ვინაიდან თითოეული დაწესებულების ხარჯთნუსხის შესრულებაში ცალკეულ ხელმძღვანელს შენარჩუნებული აქვს კრედიტების განმკარგულებლის მესამე ხარისხის უფლებები, ისინი პასუხისმგებელი არიან დაქვემდებარებული დაწესებულების ქონებაზე. ამიტომ მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა ეწყობა დაწესებულებებისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით.

2. ბიუჯეტის უსრულების ოპერაციების აღრიცხვა

მოქმედი ანგარიშთა გეგმით, რომელიც ძალაში შევიდა 1988 წლის 1 იანვრიდან, სოფლის ბიუჯეტის შესრულების ოპერაციების აღსარისკავად გათვალისწინებულია შემდეგი სუბანგარიშები:

- 107 „სოფლის, დაბის (რაიონული დაქვემდებარების), ქალაქის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიში“;
- 108 „სოფლის, დაბის ბიუჯეტის სახსრებით დასაფინანსებელი კაპიტალური დაბანდების მიმდინარე ანგარიში“;
- 133 „ფულადი სახსრები გზაში“;
- 207 „საკასო ხარჯები სოფლის, დაბის (რაიონული დაქვემდებარების), ქალაქის ბიუჯეტებით“;
- 407 „ბიუჯეტის შემოსავლები“;
- 520 „მოკლევადიანი სესხი ბიუჯეტიდან“;
- 730 „გადაცემული და მიღებული სახსრები“;
- 900 „ბიუჯეტის შესრულების შედეგები“;

თითოეული სოფლისა და დაბის საბჭოს ეხსნება შემდეგი ანგარიშები: სოფლისა ან დაბის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიში;

თვითდაბეგვრის (მხოლოდ სოფლის საბჭოებისათვის) სპეციალური და სხვა ბიუჯეტგარეშე სახსრების მიმდინარე ანგარიში;

მიმდინარე ანგარიში „თანხები დაეალებით“.

სოფლის, დაბის საბჭოებს, რომლებიც ახორციელებენ კაპიტალურ დაბანდებას, ეხსნებათ მიმდინარე ანგარიში სსრკ სახბანკში ან სამშენებლო ბანკში (იხ. თავი XXV, § 3).

ქალაქის საბჭოებს ეხსნებათ იგივე მიმდინარე ანგარიშები სსრკ კავშირის სახელმწიფო ბანკში ან სსრკ კავშირის სამშენებლო ბანკში (გარდა ანგარიშისა „თანხები გზაში“).

სსრკ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული ანგარიშწარმოების წესების საფუძველზე ცენტრალიზებულ ბუხპალტერიას ცალკე მიმდინარე ანგარიში არ ეხსნება, ყველა საჭირო თანხას იგი ღებულობს სოფლის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშიდან. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს ბუხპალტერიას, თვალყურს ადევნებს სახსრების ხარჯვის აღრიცხვის ორგანიზაციას და ანგარიშწარმოებას.

იმ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომლებსაც ცენტრალიზებული ბუხპალტერია ემსახურება, უნარჩუნდებთ კრედიტების მესამე ხარისხის განმკარგულებელთა უფლებები, სახელდობრ: აფორმებენ ხელშეკრულებას საქონლის მიწოდებასა და მომსახურების გაწევაზე სამეურნეო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და შრომის შეთანხმებას მოქალაქეებთან სამუშაოთა შესრულებაზე; ღებულობენ ავანსებს სამეურნეო, სამიწვლეობო, სასწავლო და სხვა ხარჯებზე; ცენტრალიზებულ ბუხპალტერიას ნებას რთავენ თავისი ხარჯების ანაზღაურებაზე დამტკიცებული ხარჯთნუსხების ფარგლებში; დაწესებულების მუშაობის სწორი ორგანიზაციის მიზნით ღებულობენ საჭირო ცნობებს თავიანთი ხარჯთნუსხების შესრულების შე-

სახებ; დაწესებულების საჭიროებისათვის დამოუკიდებლად ხარჯავენ კვების პროდუქტებს, მასალებს, სათბობსა და სხვა მატერიალურ ფასეულობებს ცენტრალიზებულ ბუხპალატერიაში გამამართლებელი საბუთების წარდგენით და ა. შ.

სასოფლო საბჭოს ცენტრალიზებული ბუხპალატერია მომსახურებულ დაწესებულებათა მუშაკებს ხელფასს აძლევს დაწესებულების ხელმძღვანელის ან მის მიერ გამოყოფილი რწმუნებული პირის მეშვეობით, რომლებიც ხელფასის გასაცემად მიღებულ საგადასახდლო უწყისებსა და გაუცემელი ხელფასის ნაშთს 2—3 დღის შემდეგ უბრუნებენ ცენტრალიზებულ ბუხპალატერიას.

სოფლის ბიუჯეტების შესრულების აღრიცხვის ცენტრალიზაციის შესახებ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ზემოთ დასახელებული ინსტრუქციის თანახმად, ყველა მომსახურებული დაწესებულების მუშაკთა ხელფასი დაერიცხება და საგადასახდლო უწყისები შედგება ცენტრალიზებულ ბუხპალატერიაში დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი ტაბელ-ცნობისა და სხვა საბუთების საფუძველზე. ფულის მისაღებად იწერება ჩეკი. ჩეკთან ერთად, სახელმწიფო ბანკში ან შემნახველ სალაროში იგზავნება საგადასახდლო დავალებები ხელფასებიდან დაკავებული გადასახადების ბიუჯეტში ჩარიცხვაზე და სახელმწიფო სოციალისტური დაზღვევის შესატანების გადარიცხვაზე.

სალაროდან ფული გაიცემა საგასავლო დოკუმენტების საფუძველზე. ასეთი დოკუმენტებია: ანგარიშები შესრულებულ სამუშაოებზე ანგარიშვალდებული პირების სააღმოსაფარებლად ანგარიშებით, ხელფასის გასაცემი უწყისები, პენსიის გასაცემი უწყისები და ა. შ.

შეძენილ ინვენტარზე, მასალებზე, შესრულებულ სამუშაოებსა და გაწეულ მომსახურებაზე სახელმწიფო ორგანიზაციების ანგარიშები უნდა შეიცავდნენ: ორგანიზაციის დასახელებასა და მისამართს, მისი ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერს. ანგარიშის შედგენის დროს (წელი, თვე და რიცხვი), მასალებისა და საგნების დასახელებას (მათი რაოდენობის აღნიშვნით), ფასსა და თანხას ან შესრულებული სამუშაოების დასახელებას, ხელმოწერას და ანგარიშის გამცემი ორგანიზაციის ბეჭდის ანაბეჭდს.

შესრულებული სამუშაოებისათვის კერძო პირებზე ფულის გაცემის დროს ამ პირების მიერ შედგენილ ანგარიშებში ნაჩვენები უნდა იქნეს სახელი, მამის სახელი, გვარი და მისამართი სამუშაოს შემსრულებელი პირისა, პასპორტის ნომერი და ვის მიერ არის გაცემული, შესრულებული სამუშაოების ვრცელი ჩამოთვლა, ანგარიშის შედგენის წელი, თვე და რიცხვი, ანგარიშის თანხა და სამუშაოთა შემსრუ-

ლებელი პირის ხელმოწერა. ცენტრალიზებული ბუხპალტერიის მომსახურებული დაწესებულებებისათვის მასალების, ინვენტარისა და სხვა ფასეულობათა შეძენის შემთხვევაში, შემოსავლის საბუთზე უნდა იყოს დაწესებულების ან სასოფლო საბჭოს მატერიალურად პასუხისმგებელი მუშაკის ხელმოწერა, იმის დასტურად, რომ მიიღო შეძენილი ინვენტარი ან მასალები შესანახად.

შესრულებული სამუშაოების ანგარიშებს ერთვის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული აქტები სამუშაოთა შიღებაზე, ხოლო წერილი ხასიათის სამუშაოებზე (იატაკის გარეცხვა, მიღების გაწმენდა და სხვა) იმ პირების ცნობები, რომლებმაც შესრულებული სამუშაოები ჩაიბარეს.

ცენტრალიზებულ ბუხპალტერიაში შემოსული საბუთებით ხარჯების ანაზღაურება სალაროდან ხდება ნაღდი ფულით ან, შესაბამისად, საგადასახდელო დავალებით, მიმდინარე ანგარიშიდან თანხის გადარიცხვის საშუალებით. არის შემთხვევები, როდესაც თანხა ავანსად გაიცემა მიახლოებითი გაანგარიშების მიხედვით. სოფლის ბიუჯეტის საბუთების ანგარიშში დაუშვებელია ავანსების მიცემა იმ დაწესებულებათა მუშაკებისათვის, რომლებიც არ იმყოფებიან მოცემულ ბიუჯეტზე. ახალი ავანსი გაიცემა მას შემდეგ, როცა მუშაკი წინა ავანსზე საავანსო ანგარიშს წარმოადგენს და ამ ანგარიშს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ან სათანადო დაწესებულების კრედიტს განმკარგულებელი დაამტკიცებს.

სოფლის ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის ცენტრალიზაციის პირობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ანალიზურ აღრიცხვას. ცენტრალიზებულ ბუხპალტერიაში თავმოყრილია მრავალი დამოუკიდებელი დაწესებულების ანგარიშწარმოება და ვინაიდან თითოეული დაწესებულების ხარჯთნუსხის შესრულებაში ცალკეულ ხელმძღვანელს შენარჩუნებული აქვს კრედიტების განმკარგულების მესამე ხარისხის უფლებები, ისინი პასუხისმგებელნი არიან დაქვემდებარებული დაწესებულების ქონებაზე. ამიტომ მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა ეწყობა დაწესებულებებისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით.

ამჟამად დიდი მუშაობა მიმდინარეობს არა მხოლოდ ცენტრალიზებული აღრიცხვის გავრცელების, არამედ მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვისაც. გაერთიანებული ანგარიშწარმოების განვითარების მიზნით, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის ცენტრალურმა ბუხპალტერიამ ცვლილებები შეიტანა მოქმედ მეთოდურ მითითებებში და დაამუშავა საბიუჯეტო აღრიცხვის ახალი გაუმჯობესებული ანგარიშთა გეგმა და ინსტრუქცია, რომელიც მაღალ დონეზე უზრუნველყოფს ბიუჯეტურ

დაწესებულებათა ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ აღრიცხვას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცენტრალიზებული აღრიცხვის პრაქტიკა ნათლად გვიჩვენებს ქადრაკისებრ პრინციპზე აგებული რეგისტრების, მაგროვებელ-მაკროფებელი უწყისების გამოყენების უპირატესობას. ამასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება პირველადი დოკუმენტაციის სწორად გაფორმებას, მის თავის დროზე მიღება-დამუშავებას. ამაზე ბევრადაა დამოკიდებული ბუხჰალტრული აღრიცხვის მონაცემების ხარისხი და ანგარიშგების მაჩვენებლების სიზუსტე.

ცენტრალიზებული ბუხჰალტერიისათვის საერთოდ და კერძოდ, სოფლის საბჭოების ბუხჰალტერიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დოკუმენტაციის რაციონალურ სისტემას, უნიფიცირებული და სტანდარტული საბუთების გამოყენებას.

ძირითადი საშუალებების (ფონდების), მატერიალური ფასეულობის, ხელფასისა და სხვა პირველადი საბუთები, როგორც წესი, ერთიანი უნდა იყოს სოფლის ყველა საბიუჯეტო დაწესებულებისათვის. ამის აუცილებლობა იქიდან გამომდინარეობს, რომ ზოგიერთი ცენტრალიზებული ბუხჰალტერია ცალკეულ შემთხვევაში თვითნებურად ამარტივებს საბუთებისა და რეგისტრების ფორმებს ან უსაფუძვლოდ უცვლის რეკვიზიტებს, რაც ყოვლად დაუშვებელია.

აზიტომ სოფლის საბჭოების ცენტრალიზებულ ბუხჰალტერიაში გამოიყენება მოქმედი ინსტრუქციებით გათვალისწინებული სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის შემდეგი რეგისტრები და საბუთები დაეთრების, ბარათების, ყურნალების, უწყისებისა და სხვათა სახით:

ბუხჰალტრული დავთრები. ყურნალ-მთავარი დავთარი ფ. № 303

მიმდინარე ანგარიშებისა და ანგარიშსწორებათა დავთარი ფ. № 292

ასიგნების, საკასო და ფაქტიური ხარჯების აღრიცხვის დავთარი ფ. № 309-ს

შემოსულების დავთარი ფ. № 15

სალაროს დავთარი ფ. № 440

მატერიალურ ფასეულობათა რაოდენობრივ-თანხობრივი აღრიცხვის დავთარი ფ. № 296 და ფ. № 296-ბ

სპეცსასრების აღრიცხვის დავთარი ფ. № 297-ბ

მასალების სასაწყობო აღრიცხვის დავთარი ფ. № გ-17

შრომის წიგნაკების აღრიცხვის დავთარი ფ. № 449

ცხოველების აღრიცხვის დავთარი ფ. № 395

დეკონირებული ხელფასის ანალიზური აღრიცხვის დავთარი № 441

ბრუნვათა უწყისები:

ფ. № 2-44

ფ. № 285

ფ. № 326

ჩაოდენობრივ-თანხობრი-
ვი ბრუნვათა უწყისი ანა-
ლიზური ანგარიშებისათვის
დგება ყოველთვიურად

თანხობრივი ბრუნვათა
უწყისი საბალანსო ანგარი-
შებისათვის დგება ყოველ-
თვიურად

ბრუნვათა უწყისი ძირი-
თადი საშუალებებისა და
მცირეფასიანი საგნებისა-
თვის დგება ყოველკვარტა-
ლურად

ბუღალტრული ჟურნალები და მათი შემცველი უწყისები

1. მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიერ ძირითადი სა-
შუალებების აღრიცხვის საინვენტარო სია ფ. № მს-13.
2. ექსპლუატაციაში მყოფი მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგ-
ნების მოძრაობის ოპერატიული (ჩაოდენობრივი) აღრიცხვის უწყისი
ფ. № 412.
3. კერკლის მტვრევის რეგისტრაციის ჟურნალი ფ. № 325.
4. მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან კრედიტით ნაყიდი საქონ-
ლისათვის დაკავების რეესტრი ფ. № 402.
5. ძირითადი საშუალებების აღრიცხვის საინვენტარო ბარათების
აღწერა ფ. № მს-10.
6. კვების პროდუქტების შემოსავლის მაგროვებელი უწყისი
ფ. № 300-მეკ.
7. ბავშვთა შენახვისათვის მშობლებთან ანგარიშსწორების უწყისი
ფ. № 327.
8. კვების პროდუქტების ხარჯვის მაგროვებელი უწყისი ფ. № 399
მეკ.

ბუღალტრული ბარათები
ძირითადი საშუალებების აღრიცხვის ბარათები

სუბანგარიშები	ბარათები
010 შენობები	
011 ნაგებობები	ფ. № მს-6
012 გადამცემი მოწყობილობანი	
013 მანქანები და დანადგარები	
015 სატრანსპორტო საშუალებანი	ფ. № მს-7
016 ინსტრუმენტები, საწარმოო და სა- მეურნეო ინვენტარი	
014 თეთრეული, ლოგინის კუთვნილება- ნი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	ფ. № მს-9
019 სხვა ძირითადი საშუალებანი	
017 მუშა და პროდუქტული პირუტყვი	ფ. № მს-8
018 მრავალწლიანი ნარგავები	

კრედიტების განმკარგულებელთა მიმდინარე ანგარიშებისა და საკასო ხარჯების ბარათი ფ. № 3-ს.

პირველადი საბუთები

1. მომუშავე პენსიონერებზე სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ანგარიშში პენსიების გაცემის უწყისი ფ. № 9.
2. ქვითარი არასაგადასახდლო გადასახადების მიღებაზე ფ. № 10.
3. ბიუჯეტის სახსრების ანგარიშზე დახმარების გაცემის უწყისი ფ. № 12.
4. საანგარიშსწორებო-საგადასახდლო უწყისი ფ. № 49.
5. მენიუ-მოთხოვნა კვების პროდუქტების გაცემაზე ფ. № 299.
6. ბავშვების დასწრების აღრიცხვის ტაბელი ფ. № 305-გ.
7. შეტყობინება-ქვითარი ფ. № 330 (ი-341).
8. გეგმიური ავანსის გაცემის საგადასახდლო უწყისი ფ. № 389.
9. საკვებისა და ფურაჟის გაცემის უწყისი ფ. № 397.
10. საინვენტარიზაციო აღწერილობა შედარებითი უწყისი ფ. № 401.
11. დაწესებულებათა საჭიროებისათვის მასივების გაცემის უწყისი ფ. № 410.
12. ბარათი-ცნობა ფ. № 417.
13. ცნობა გეგმიური ავანსის ცვლილებაზე ფ. № 420.
14. ბარათი-გაანგარიშება წებულების (განთავისუფლების) მიცემის შესახებ ფ. № 425-მექ.
15. მიღების აქტი ფ. № 429-მექ.
16. ზედდებული (მოთხოვნა) ფ. № 434-მექ.
17. რეესტრი დოკუმენტების ჩაბარებაზე ფ. № 442.
18. ნაკლებზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებზე დახმარების გაცემის უწყისი ფ. № 450.
19. აქტი ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციისათვის.

სოფლის ბიუჯეტურ დაწესებულებათა მატერიალური
ფასაშულოების აღრიცხვა ორმაგი სისტემით

1. ძირითად საშუალებათა აღრიცხვა

სოფლის საბიუჯეტო დაწესებულებების ძირითად საშუალებებს შეიკუთვნება შრომის იარაღები — მანქანები, აპარატები, გადამცემი მოწყობილობა და სხვა.

სასწავლო, სამკურნალო, პროფილაქტიკურ, საბავშვო და სხვა დაწესებულებებში სპეციალური ავეჯი, ბიბლიოთეკა, ლოგინის მოწყობილობა, სპექტანსაცემელი და მსგავსი საგნები სამსახურის ვადის დამოუკიდებლად აღირიცხება ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში.

ძირითად საშუალებათა აღრიცხვის ორგანიზაციისა და დაცვის კონტროლის უზრუნველსაყოფად, თითოეულ ინვენტარულ ობიექტს, გარდა რბილი ინვენტარისა, მიეკუთვნება შესაბამისი რვა ნიშნიანი ინვენტარული ნომერი. რბილი ინვენტარი დაიდამლება წარუხოცელი საღებავით.

ძირითად საშუალებათა ობიექტის ნომერი მიეკუთვნება ნივთს მოცემულ დაწესებულებაში არსებობის მთელ პერიოდში და აღინიშნება ძირითადი საშუალებების მოძრაობის იმ პირველად საბუთებში (მიღება-გადაცემის აქტი, ლიკვიდაციის აქტი და სხვა), რომლებიც საინვენტარო ობიექტების მოძრაობის აღრიცხვის საფუძველს წარმოადგენს. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა წარმოებს № 01 ძირითადი საშუალებების ანგარიშის შემდეგ სუბანგარიშებში:

№ 010 — შენობები, № 011 — ნაგებობანი, № 012 — გადამცემი მოწყობილობა, № 013 — მანქანები და მოწყობილობა, № 014 —

¹ პირველი სამი ნიშანი განსაზღვრავს სუბანგარიშს, მეოთხე ნიშანი — ჯგუფს მოცემული ანგარიშის მიხედვით, ხოლო დანარჩენი ოთხი ნიშანი — რიგით ნომერს. მაგალითად, ინვენტარული ნომერი 01010001 აღნიშნავს 010 სუბანგარიშს „შენობები“, ჯგუფი I საწარმოო დანიშნულების შენობა, ხოლო ობიექტის რიგითი ნომერია 0001.

თეთრეული, ლოგინის მოწყობილობანი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, № 015 — სატრანსპორტო საშუალებანი, № 016 — ინსტრუმენტები, საწარმოო (მოწყობილობის ჩათვლით) და სამეურნეო ინვენტარი, № 017 — მუშა და პროდუქტიული პირუტყვი, № 018 — ბიბლიოთეკის ფონდი, № 019 — დანარჩენი ძირითადი საშუალებანი, № 01 ანგარიშის შესაბამისი სუბანგარიშის დებეტში და № 250 ძირითადი საშუალებების ფონდის სუბანგარიშის კრედიტში იწერება ძირითადი საშუალებების მოძრაობა, ხოლო შექმნილი ძირითადი საშუალებების ღირებულება დამატებით აისახება ხარჯების ანგარიშის №№ 200, 211, 216 დებეტსა და ფულადი სახსრების შესაბამისი სუბანგარიშის კრედიტში. გასული ძირითადი საშუალებები იწერება № 01 ანგარიშის შესაბამისი სუბანგარიშის კრედიტისა და 250 სუბანგარიშის დებეტში.

მოქმედი ინსტრუქცია ძირითადი საშუალებების ანალიზურ აღრიცხვას ითვალისწინებს № ძს-6, № ძს-7, № ძს-9 ფორმების ინვენტარულ ბარათებში, რომლებიც იხსნება თითოეულ საინვენტარო ობიექტზე ან ერთგვაროვანი საგნების ჯგუფზე. კერძოდ, საინვენტარო ბარათები გამოიყენება: ფორმა № ძს-6 შენობების ნაგებობებისა და გადაცემი დანადგარების აღსარიცხავად, ფორმა № ძს-7 — მანქანების, მოწყობილობის, სატრანსპორტო საშუალებების, ინსტრუმენტების. საწარმოო სამეურნეო ინვენტარების და სხვ. აღსარიცხავად, ბარათი № ძს-8 მუშა და პროდუქტიული პირუტყვის, მრავალწლიანი ნარგავებისა და სხვ. აღსარიცხავად. ამ ბარათში პროდუქტიული პირუტყვის აღრიცხვენ მთლიანად ცხოველების ჯგუფების მიხედვით, ხოლო ჭიშიან და მუშა პირუტყვს ეხსნება ცალკე ბარათი. ცალკე ბარათი ფორმა № ძს-8 იხსნება მრავალწლიანი ნარგავების ადგილმდებარეობის მიხედვით. განყოფილებებსა და ლაბორატორიებში ამ ბარათებში წარმოებს რაოდენობრივი აღრიცხვა, სახეობის, ჯურისა და ჭიშების აღნიშვნით.

ბიუჯეტურ დაწესებულებათა დამხმარე სოფლის მეურნეობებში მრავალწლიანი ნარგავების აღრიცხვა № ძს-8 ფორმის ბარათებში ხორციელდება დანახარჯების პირველ სტადიაზე მთლიანად ცალკეული უბნის ფართობის, ხეხილის რაოდენობისა და ჭიშის ჩვენებით.

ბარათი № ძს-9 გათვალისწინებულია — თეთრეულის, საწოლი მოწყობილობის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ბიბლიოთეკის ფონდების, მუზეუმის მხატვრული ფონდების და სხვ. აღსარიცხავად. ბარათების რეგისტრაციისათვის გამოიყენება ფ. ძს-10.

აღსანიშნავია, რომ ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის საბიუჯეტო დაწესებულებებში არ აღრიცხვენ, მაგრამ ყოველი წლის ბოლოს განსაზღვრავენ მათი ცვეთის თანხას, ძირითად საშუალებათა საექსპლუატაციო ვადების მიხედვით.

ცვეთის აღსარიცხავად ანგარიშთა გეგმაში გათვალისწინებულია № 020 სუბანგარიში „ძირითადი საშუალებების ცვეთა“, ცვეთის წლიური თანხა ძირითადი საშუალებების ყოველი ობიექტის (საგნის) მიხედვით ჩაიწერება ფფ. № ძს-6, ძს-7, ძს-8 და ძს-9 ბარათების შესაბამის სვეტებში. ყოველწლიურად ამ ბარათებიდან ცვეთის თანხა იწერება უწყისში. უწყისების მიხედვით ცვეთის საერთო თანხაზე დეკემბრის თვის უკანასკნელ სამუშაო დღეს დგება მემორიალური ორდერი (№ 250 სუბანგარიშის დებეტი და № 020 სუბანგარიშის კრედიტი). ცვეთის თანხა მემორიალური ორდერის მიხედვით ჩაიწერება მხოლოდ „უქურნალ-მთავარ“ დაფთარში².

ობიექტის (საგნების) გასვლისას მათ ლიკვიდაციასთან ან უსასყიდლოდ გადაცემასთან დაკავშირებით, განისაზღვრება ცვეთის საერთო თანხა და ამ თანხით მცირდება ნაშთი № 020 სუბანგარიშზე.

2. მასალების, კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების აღრიცხვა

მასალებისა და კვების პროდუქტების აღრიცხვა წარმოებს ამავე დასახელების ანგარიშზე № 06.

ანგარიში № 06 „მასალები და კვების პროდუქტები“ იყოფა შემდეგ სუბანგარიშებად:

№ 060 „მასალები სასწავლო, სამეცნიერო და სხვა მიზნებისათვის“;

№ 061 „კვების პროდუქტები“;

№ 062 „მედიკამენტები და შესახვევი საშუალებები“;

№ 063 „სამეურნეო მასალები და საკანცელარიო ნივთები“;

№ 064 „სათბობი, საწვავი და საცხები მასალები“;

№ 065 „საკვები და ფურაჟი“;

№ 066 „ტარა“;

№ 067 „სხვა მასალები“;

№ 068 „მასალები გზაში“;

№ 069 „მანქანებისა და მოწყობილობის სათადარიგო ნაწილები“;

² ცვეთა არ განისაზღვრება და არ აღირიცხება: იმ შენობების და ნაგებობებისა, რომლებიც წარმოადგენენ არქიტექტურისა და ხელოვნების უნიკალურ ძეგლებს; იმ მოქმედი და უმოქმედო მოწყობილობებისა, ექსპონატებისა, ნიმუშებისა, მოდელებისა, მაკეტებისა და სხვა თვალსაჩინო ჭელსაწყოებისა, რომლებიც იმყოფებიან სკოლების კაბინეტებში და გამოიყენება სასწავლო მიზნებისათვის; პროდუქტიულ ცხოველებისა, კამეჩებისა, ხარებისა და ირმებისა; მრავალწლიანი ნარგავებისა, რომლებსაც არ მიუღწევიათ საექსპლუატაციო ასაკისათვის; საბიზლოთეთკო ფონდებისა, ფილმოფონებისა, სასცენო-დადგმითი საშუალებებისა, სამუზეუმო და სამხატვრო ფასეულობებისა; თეთრეულის, ლოგინის კუთვნილებების, ტანსაცმლისა და ფეხსაცმელებისა.

№ 060 სუბანგარიშზე „მასალები სასწავლო, საპეცნიერო და სხვა მიზნებისათვის“ აღირიცხება რეაქტივები და ქიმიკატები, მინა და ქიმიური კურკელი, ლითონი, ელექტრომასალები და რადიომასალები, რადიოლამპები, ფოტოკუთვნილებანი და სხვა მასალები სასწავლო მიზნებისათვის.

ამ სუბანგარიშზე აღირიცხება სადაზგო მოწყობილობის, ტრაქტორის, კომბაინის და სხვა მანქანების ის სათადარიგო ნაწილები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო მიზნით.

სუბანგარიშზე № 061 „კვების პროდუქტები“ აღირიცხება კვების პროდუქტები იმ დაწესებულებებში, რომელთა ხარჯთაღრიცხვებშიც გათვალისწინებულია ასიგნებანი მე-9 მუხლით „კვების ხარჯები სამკურნალო, საბავშვო, და სხვა სოციალურ-კულტურულ დაწესებულებებში“. ინსტრუქციის მიხედვით, კვების პროდუქტების შემოსავლის აღრიცხვა წარმოებს კვების პროდუქტების მიღების მაგროვებელ უწყისში ფ. № 300-მეკ. უწყისი დგება თითოეულ მატერიალურად პასუხისმგებელ პირზე ცალკე. ჩანაწერები უწყისში წარმოებს პირველადი დოკუმენტების საფუძველზე რაოდენობრივ და თანხობრივ მაჩვენებლებში. თვის დამთავრებისას უწყისში ჩამოითვლება ჯამები. № 10 მემორიალური ორდერის შედგენის საფუძველს წარმოადგენს მაგროვებელი უწყისი ფ. № 300-მეკ. ან მაგროვებელი უწყისების ნაერთი კვების პროდუქტების შემოსავალზე ფ. № 398.

კვების პროდუქტების ხარჯვის აღრიცხვა წარმოებს კვების პროდუქტების ხარჯვის მაგროვებელ უწყისში ფ. № 399-მეკ. ან პროდუქტების ხარჯვის ნაერთ მაგროვებელ უწყისში ფ. № 411 ცალკეული დაწესებულებისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით.

სუბანგარიშზე № 062 „მედიკამენტები და შესახვევი საშუალებები“ აღირიცხება მედიკამენტების კომპონენტები, ბაქტერიული პრეპარატები, შრატები, ვაქცინები, სისხლი და შესახვევი საშუალებები საავადმყოფოებში, სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სამკურნალო-ვეტერინარულ და სხვა დაწესებულებებში, სადაც ხარჯთნუსხით გათვალისწინებულია ასიგნებები მე-10 მუხლით „მედიკამენტებისა და შესახვევი საშუალებათა შეძენა“.

მედიკამენტებისა და შესახვევი საშუალებების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს შესაბამისი სამინისტროების მიერ გამოცემული ცალკეული ინსტრუქციების საფუძველზე.

სუბანგარიშში № 063 — „სამეურნეო მასალები და საკანცელარიო ნივთები“ აღირიცხება ელექტრონათურები, საპონი, ჯაგარისი და სხვა სამეურნეო მასალები, აგრეთვე სარემონტო-სამშენებლო მასალები დაწესებულების საჭიროებისათვის.

სუბანგარიშში № 064 — „სათბობი, საწვავი და საცხები მასალები“ აღირიცხება ყველა სახის სათბობი, საწვავი და საცხები მასალები (შეშა, ნახშირი, ტორფი, ბენზინი, ნავთი, მაზუთი, ავტოლი და ა. შ.).

სუბანგარიშში № 065 — „საკვები და ფურაჟი“ აღირიცხება თივა, ქერი, ფურაჟი და სხვა საკვები მუშა პირუტყვისა და დანარჩენი ცხოველებისათვის.

სუბანგარიშში № 066 — „ტარა“ აღირიცხება დასაბრუნებელი ან საცვლელი ტარა (კასრები, ყუთები და ა. შ.), როგორც გათავისუფლებული (ცარიელი), ისე მატერიალური ფასეულობის ქვეშ მყოფი;

სუბანგარიშში № 067 — „სხვა მასალები“ აღირიცხება მასალები, რომლებიც ნაჩვენები არ არის 050—056 სუბანგარიშებში;

სუბანგარიშში № 068 — „მასალები გზაში და ცენტრალიზებული მომარაგების საწყობებში“ აღირიცხება მატერიალური ფასეულობა, რომლებიც თვის ბოლოსათვის საწყობში არ ყოფილა მიღებული ან იმყოფება ცენტრალიზებული მომარაგების საწყობებში.

სუბანგარიშში № 069 „სათადარიგო ნაწილები მანქანებისა და მოწყობილობისათვის“ აღირიცხება სათადარიგო ნაწილები გამოთვლითი ტექნიკის, ავტომანქანებისა თუ ტრაქტორების და ა. შ. გაცვეთილი ნაწილების შესაცვლელად გათვალისწინებული. ამ სუბანგარიშების ოპერაციები აღირიცხება ფ. № 296 დავთარში ან ფ. № 296-ა ბარათებში.

აღნიშნული სუბანგარიშები, როგორც აღვნიშნეთ, ერთიანდება № 06 „მასალებისა და კვების პროდუქტების“ პირველი რიგის აქტიურ ანგარიშში, ამ ანგარიშის დებეტში იწერება შემოსული მასალები (მიმწოდებლების მიხედვით), ხოლო კრედიტში — დახარჯული, გაყიდული ან უფასოდ გაცემული მასალები. აღირიცხვა წარმოებს შექმნის ფასებით, ანგარიშების, აქტების, ზედღებულებისა და სხვა საშემოსავლო საბუთების საფუძველზე; მასალებისა და სხვა მატერიალური ფასეულობის დატვირთვა-გადმოტვირთვის, სატრანსპორტო გადმოზიდვის ხარჯები უშუალოდ მიეკუთვნება ხარჯების შესაბამის მუხლებს.

დახარჯული მასალების ჩამოწერისას, სხვადასხვა ფასში შექმნილი ერთგვაროვანი მასალები ჩამოიწერება საშუალო ფასებით.

მატერიალურად პასუხისმგებელი პირები, რომელნიც დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით ინიშნებიან, მასალებსა და სხვა მატერიალურ ფასეულობას ღებულობენ სავაჭრო-მომმარაგებელი ორგანიზაციებიდან (ცენტრალიზებული) ბუხხალტერიის მიერ გაცემული მინდობილობით.

მინდობილობა იწერება თანხის გადარიცხვის დროს სავაჭრო და მომმარაგებელი ორგანიზაციის ანგარიშფაქტურის ან სხვა შესაბამისი საბუთის საფუძველზე. ცენტრალიზებული ბუხხალტერია გაცემულ

მინდობილობებს აღრიცხავს მინდობილობათა რეგისტრაციის ტიპურ ჟურნალში ფ. № 322 და თვალყურს ადევნებს მის დაფარვას.

მასალებისა და კვების პროდუქტების აღრიცხვის ამჟამად მოქმედი წესი ითვალისწინებს კვების პროდუქტების ყოველდღიური მენიუ-მოთხოვნილების ფასებში გადაყვანას და დახარჯული პროდუქტის გაანგარიშებას ათ დღეში ერთხელ. აღრიცხვის ცენტრალიზაციის პირობებში ცალკეულ სამკურნალო დაწესებულებათა ყოველდღიური მენიუ-მოთხოვნილების შედგენაში აღრიცხვის მუშაკები არ მონაწილეობენ. ეს საქმე ეკისრებათ სხვადასხვა სპეციალობის მუშაკებს, რომლებიც ვალდებული არიან განსაზღვრონ საწყობიდან გასაცემი კვების პროდუქტების რაოდენობა ავადმყოფთა სხვადასხვა ჯგუფისათვის დადგენილი ნორმების მიხედვით. კვების პროდუქტების საგასავლო საბუთს წარმოადგენს № 299 ფორმის მენიუ-მოთხოვნილება და № 399-მექ. ფორმის მაგროვებელი უწყისი, რომელშიც მენიუ-მოთხოვნილებიდან ყოველდღიურად იწერება დახარჯული პროდუქტები. კვების პროდუქტები შემოსავალში ტარდება ზედდებულის, ანგარიშფაქტურის, აქტისა და სხვა შესაბამისი საბუთების საფუძველზე № 300-მექ. ფორმის მაგროვებელ უწყისში ცალკეული დაწესებულების მიხედვით, კვების პროდუქტების ყოველდღიურ აღრიცხვასთან ერთად. თვიური ფ. № 411 მაგროვებელი უწყისები გამოიყენება და მათი ჯამობრივი მონაცემები შეიტანება თვეში ერთხელ № 296-ბ ფორმის დაეთარში. ამასთან, კვების პროდუქტების ანალიზური აღრიცხვა სახეების, ხარისხის, რაოდენობისა და ღირებულების მიხედვით წარმოებს 44-მ ფორმის ბრუნვათა უწყისებში.

მასალებისა და კვების პროდუქტების ანალიზური აღრიცხვის მეორე ხერხით, ცალკეული დაწესებულებების მიხედვით, ბრუნვებისა და ნაშთების მისაღებად კვების პროდუქტების სახეების მიხედვით დგება 44-მ ფორმის ბრუნვათა უწყისი. შემოსული და დახარჯული პროდუქტების ჯამები ბრუნვათა უწყისებში იწერება: შემოსავალი — № 300-მექ. ფ. მაგროვებელი უწყისებიდან, ხარჯები — № 399-მექ. ფორმის უწყისიდან და ბოლოს, ბრუნვათა უწყისებიდან მონაცემები ფულად გამოსახულებაში დაწესებულებათა მიხედვით შეიტანება № 296 ფორმის დაეთარში.

სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში და სამკურნალო-ვეტერინარულ დაწესებულებებში მედიკამენტებისა და შესახვევი საშუალებების აღრიცხვა წარმოებს სპეციალური ინსტრუქციის მიხედვით, რომლებიც გამოცემულია შესაბამისი სამინისტროების მიერ, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

ცენტრალიზებულ ბუხპალტერიაში მედიკამენტებისა და შესახვევი საშუალებათა აღრიცხვის ორგანიზაცია დამოკიდებულია მედიკამენ-

ტების დამზადება-შექენის ორგანიზაციაზე, ე. ი. იმაზე, აქვთ თუ არა თავისი აფთიაქი გაერთიანებაში შემავალ სამკურნალო დაწესებულებებს.

დებულების თანხმად, აფთიაქში წამლების დასამზადებელი მედიკამენტების, დამზადებული წამლებისა და სხვა საშუალებათა შემოსვლის დროულად ასახვა, მათი მიზნობრივი გამოყენება და პასუხისმგებლობა აფთიაქში არსებულ ყოველგვარ ქონებაზე ეკისრება მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს (კერძოდ, აფთიაქის გამგესა და მის მოადგილეებს).

ცენტრალიზებული ბუხპალტერიის მომსახურებელი დაწესებულების აფთიაქში მედიკამენტებისა და შესახვევი საშუალებების მარაგი აღირიცხება ფულად გამოსახულებაში, მაგრამ დეფიციტური და ძვირფასი მედიკამენტების, აგრეთვე დენატურატისა და სპირტის, მედიკამენტების ღირებულებაში შეუტანელი საბრუნავი ტარის აღრიცხვა აფთიაქში წარმოებს რაოდენობრივადაც, ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით.

სააფთიაქო საწყობიდან შემოსული ფასეულობის შემოწმებისა და მიღებული საქონლის სისწორის ხელწერით დასტურის შემდეგ აფთიაქის გამგე საშემოსავლო საბუთებს ატარებს „რეგისტრაციის დავთარში“ და გასანაღებლად აბარებს ცენტრალიზებულ ბუხპალტერიას.

მედიკამენტებს, დამზადებულ წამლებსა და შესახვევ მასალებს აფთიაქის გამგე (მოადგილე) გასცემს შესაბამის განყოფილებებზე, სხვადასხვა ფორმის ორ ეგზემპლარად გამოწერილ „მოთხოვნათა“ საფუძველზე, საიდანაც ერთი ეგზემპლარი მედიკამენტების მიღების შესახებ ხელმოწერილი რჩება აფთიაქში, მეორე კი უბრუნდება განყოფილებას და წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის მედიკამენტების მოძრაობის რეგულაბში ჩაწერის საფუძველს. აფთიაქის გამგე პერიოდულად ამოწმებს განყოფილებაში მედიკამენტების აღრიცხვისა და ხარჯვის მდგომარეობას.

დღის განმავლობაში აფთიაქის მიერ შესრულებულ შეკვეთებზე „მოთხოვნები“, რომლებიც ფულად და რაოდენობრივ აღრიცხვას ექვემდებარება, ინომრება წლის დასაწყისიდან, ინიხრება მედიკამენტების შექენის საცალო-საპრეისკურანტო ფასებით, ჯამდება და დასტურდება აფთიაქის გამგის ხელმოწერით, დანიხრული „მოთხოვნები ყოველდღიურად შეიტანება ტიპური ფორმის დანიხრულ მოთხოვნათა უწყისში. ამ უწყისში თანხები ჯამდება, დასტურდება აფთიაქის გამგის ხელმოწერით და საერთო თანხა აისახება აფთიაქისა და სააფთიაქო მარაგის შემოსავალ-გასავლის ანგარიშგებაში³.

³ С. И. Смирнов, Бухгалтерский учет и отчетность в бюджетных учреждениях и организациях, Росвузиздат, с. 120—121, 1978.

დანახრულ მოთხოვნათა უწყისის გარდა, საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის დაქვემდებარების (დეფ-ციტური და ძვირფასი მედიკამენტები, სპირტი, დენტურატი) მედიკამენტების მოთხოვნათა საფუძველზე დგება დახარჯული მედიკამენტების „საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის კრებისთი უწყისი“, რომელშიც ჩანაწერები წარმოებს ცალკეული დასახელების მედიკამენტების მიხედვით. დღის განმავლობაში გაცემული ცალკეული დასახელების მედიკამენტების საერთო რაოდენობა გადაიტანება „სააფთიაქო მარაგის საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის დავთარში“.

აფთიაქის გამგე ცენტრალიზებულ ბუხპალტერიაში ყოველთვიურად ადგენს ანგარიშგებას „სააფთიაქო ფასეულობათა შემოსავალ-გასავლის შესახებ“ ფულად გამოსახულებაში. ანგარიშგებაში სააფთიაქო ფასეულობანი აისახება ცალკეული მედიკამენტების, შესახვევი საშუალებების, დამხმარე მასალებისა და ტარის განყოფილებებში.

ამ განყოფილებათა მიხედვით, ანგარიშგებაში შეიტანება: ნაშთები თვის დასაწყისისათვის, თვის განმავლობაში შემოსული მედიკამენტები, შესახვევი საშუალებანი და შომწოდებლებისაგან მიღებული სხვა სააფთიაქო მატერიალური ფასეულობა. ანგარიშგების შემოსავალში მონაცემები აისახება ცალკეული საშემოსავლო საბუთებიდან, ხოლო ხარჯები იწერება საერთო თანხებით „დანახრულ მოთხოვნათა უწყისის“ და სხვა საგასავლო საბუთების თანახმად.

სააფთიაქო ანგარიშგება ივსება ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი, რომელსაც ხელს აწერს აფთიაქის გამგე, იგზავნება ცენტრალიზებულ ბუხპალტერიაში, არა უგვიანეს მომდევნო თვის 5 რიცხვისა, რომელიც შემოწმებისა და ხელმძღვანელის მიერ დამტკიცების შემდეგ წარმოადგენს სააფთიაქო ფასეულობათა ხარჯების ჩამოწერის საფუძველს.

ცენტრალიზებული ბუხპალტერიის მიერ მომსახურებულ დაწესებულებებს ზოგჯერ თავისი აფთიაქი არა აქვთ, მაგრამ ხარჯთნუსხის მე-10 მუხლით გათვალისწინებული აქვთ ასიგნება მედიკამენტების ხარჯებზე. ასეთ შემთხვევაში დაწესებულებები მარაგდებიან უახლოესი აფთიაქებიდან, მხოლოდ მზა წამლებით, აგრეთვე შესახვევი საშუალებებითა და სხვა მედიკამენტებით, საჭიროების მიხედვით.

მედიკამენტების ხარჯვისადმი კონტროლის გაძლიერებისა და აღრიცხვის გამარტივების მიზნით, ცენტრალიზებული ბუხპალტერია აფთიაქს ყოველი თვის დამდეგს ურიცხავს თანხას მომსახურებულ დაწესებულებათა ხარჯთნუსხის ფარგლებში და უგზავნის თითოეულ დაწესებულებაზე გასაცემი მედიკამენტების ღირებულების ლიმიტს.

აფთიაქიდან მედიკამენტებისა და შესახვევი საშუალებების მიღება წარმოებს დაწესებულების ხელმძღვანელის მოთხოვნით, მატერიალუ-

რად პასუხისმგებელი პირის ან სათანადო სპეციალისტის (ექთანი, მედ-
ლა) მეშვეობით.

აფთიაქიდან გამოტანილი მედიკამენტები მიღებისთანავე გადაეცე-
მა დაწესებულების განყოფილებებს (ლაბორატორიებს, კაბინეტებს)
და ექვემდებარება ხარჯებში ჩამოწერას ამ ფასეულობათა ფულადი და
რაოდენობრივი აღრიცხვის გარეშე.

„გამონაკლისს შეადგენს სპირტი, შესახვევი საშუალებანი, შხამის
შემცველი წამლები, რომლებიც სახელწოდებისა და რაოდენობის მი-
ხედვით აღირიცხება სამკურნალო დაწესებულებების განყოფილებაში
(ლაბორატორიაში, კაბინეტში), მედიკამენტების შენახვის, მიღებისა
და გაცემის მოქმედი წესების შესაბამისად.

სპირტი და შესახვევი საშუალებანი დაწესებულებაში ინახება მა-
ტერიალურად პასუხისმგებელ პირთან, რომელიც აუცილებლად უნდა
იყოს ექიმი, ექთანი ან მედლა¹.

მატერიალურად პასუხისმგებელი პირი სპირტის, შესახვევი საშუა-
ლებებისა და სხვა მსგავს ფასეულობათა მიღებას ადასტურებს მო-
თხოვნაზე ან აფთიაქის საგასაღო ზედდებულზე ხელმოწერით და
აღრიცხავს შემოსავალ-გასავლის რეგულში, რომელიც დანომრილი
და დამოწმებულია დაწესებულების ხელმძღვანელისა და ცენტრალი-
ზებული ბუხჰალტერიის მთავარი ბუხჰალტრის მიერ.

სპირტი და შესახვევი საშუალებები განყოფილებას (ლაბორატო-
რიას ან კაბინეტს) მიეცემა მოთხოვნათა ფურცლების საფუძველზე,
დაწესებულების ხელმძღვანელის ან მისი მოადგილის განკარგულებით.
თვის ბოლოს მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ადგენს ანგარიშ-
გებას სპირტისა და შესახვევი საშუალებების ხარჯვის შესახებ, რო-
მელშიც აღინიშნება: სპირტისა და შესახვევი საშუალებების დასახე-
ლება, ნაშთი თვის დასაწყისისათვის, შემოსავალი თვის განმავლობა-
ში, გასავალი და ნაშთი თვის ბოლოსათვის (რაოდენობრივად). ერთ-
დროულად, მომსახურებული დაწესებულება აბარებს ცენტრალიზე-
ბულ ბუხჰალტერიას აფთიაქიდან მიღებული ფასეულობის საშემო-
სავლო საბუთებსა და ანგარიშგებას, სპირტისა და შესახვევი საშუა-
ლებების ხარჯვაზე მომხმარებელთა მიერ (მიღებაზე) ხელმოწერილ
მოთხოვნებთან ერთად, ცენტრალიზებული ბუხჰალტერია ამ საბუთე-
ბის შემოწმებისა და დაჯამების შემდეგ საერთო თანხას ატარებს ხარ-
ჯებში.

სუბანგარიშებზე №№ 063, 067 მასალების მოძრაობის აღრიცხვა
ხორციელდება მასალების მიღებისა და ხარჯვის საბუთებით.

¹ С. И. Смирнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 122.

მატერიალურად პასუხისმგებელი პირები მასალების შემოსავლისა და გასავლის საბუთებს უდგენენ (ცენტრალიზებულ) ბუხხალტერიას, აქ საბუთები ჯამობრივად მოწმდება, ისინჯება და სათანადოდ მუშავდება. ე. ი. მინდობილობათა რეგისტრაციის უურნალის სათანადო სვეტებში იწერება საშემოსავლო საბუთის ნომერი და მასალების მიღების თარიღი, და ერთდროულად შეერთდება მასალების აღრიცხვის დავთარში ან მაგროვებელი უწყისის შესაბამის სვეტებში.

მასალებს თვის განმავლობაში გასცემენ მატერიალურად პასუხისმგებელი პირები ტიპობრივი უწყისის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს თვიურ ანგარიშგებას მასალების ხარჯვაზე. ამ უწყისში მატერიალურად პასუხისმგებელმა პირებმა უნდა აღნიშნონ: თარიღი, მასალების (ნომენკლატურა) დასახელება, საზომი ერთეული, რაოდენობა, გაცემული მასალის მიზნობრიობა, ვის მიეცა და ხელმოწერა მიღებაზე.

საწყობიდან (საკუჭნაოდან) მატერიალურ ფასეულობათა თითოეული გაცემა ფორმდება სათანადო საგასავლო საბუთით, კერძოდ:

— ისეთ საბიუჯეტო დაწესებულებებში, რომლებშიც ყოველდღიურად წარმოებს მატერიალურ ფასეულობათა გაცემა მრავალჯერ, იყენებენ ერთჯერად მოთხოვნილებებს გაცემაზე.

პატარა დაწესებულებებში სამეურნეო მასალების, სასწავლო და საპეციალური დანიშნულების მასალებისა და შესახვევ საშუალებების გაცემა წარმოებს მასალების ხარჯვის უწყისით, რომელიც თვის დამთავრების შემდეგ მტკიცდება დაწესებულებების სათანადო ხელმძღვანელების მიერ და გადაეცემა (ცენტრალიზებულ) ბუხხალტერიას აღსარიცხავად.

საკანცელარიო ნივთები (ქაღალდი, ფანქარი, მელანი, კალმები და სხვა), რომელიც შექმნილია მიმდინარე მოხმარებისათვის და აგრეთვე მედიკამენტები და მზა წამლები (სპირტისა და შესახვევი საშუალებების გარდა) შეიძლება ჩამოიწეროს ფაქტიურ ხარჯებში შექმნისთანავე, ერთდროულად, მათი საერთო თანხის შესაბამისად № 062 ან № 063 სუბანგარიშის შემოსავალში და გასავალში ასახვით.

ამ ფასეულობათა შექმნის დამადასტურებელ საბუთზე უნდა იყოს მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა.

სათბობის გაზომვის აქტები, რომლებსაც სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ამტკიცებს, წარმოადგენს სათბობის ჩამოწერის საფუძველს.

მუშასაქონლისა და, საერთოდ, პირუტყვის გამოსაკვებად საკვებისა და ფურაჟის ხარჯვა ფორმდება გასავლის ყოველთვიური უწყისით.

სამშენებლო, სასწავლო და სამეურნეო მიზნისათვის განკუთვნილი მასალების, საწვავ-საცხების, სათბობის, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების აღრიცხვა წარმოებს მატერიალურ ფასეულობათა ანალიზური აღრიცხვის № 926-ბ დავთარში მთლიანად ყველა დაქვე-

ბულების, ცალკეული დაწესებულებისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით, სუბანგარიშების კრილიში.

საწყობში (საკუქნაოში) მასალებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიერ წარმოებს მასალების აღრიცხვის სასაწყობო წიგნში ფ. № 17, მასალების ზარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

მასალების მარაგის შემადგენლობაში ცალკე გამოიყოფა სამშენებლო-სამონტაჟო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა. მოქმედი ინსტრუქციით სამშენებლო-სარემონტო მასალებისა და დასადგმელი მოწყობილობის აღსარიცხავად გათვალისწინებულია № 04 ანგარიში „მოწყობილობები და სამშენებლო მასალები“, რომელიც იყოფა № 040 და № 041 სუბანგარიშებად. აქედან 040 სუბანგარიშზე „დასადგმელი მოწყობილობა“ აღირიცხება დასადგმელად გამზადებული სამშენებლო კონსტრუქციები და დეტალები როგორცაა: რკინაბეტონის ბლოკები, ხის კონსტრუქციები, ცენტრალური გათბობის, სანიტარულ-ტექნიკური სისტემის მოწყობილობანი და სხვა.

სუბანგარიშზე № 041 „კაპიტალური მშენებლობის სამშენებლო მასალები“ აღირიცხება კაპიტალური დაბანდების დაფინანსების ანგარიშში შექნილი სამშენებლო მასალები: აგური, ცემენტი, ქვიშა, ხრეში, კირი, დახერხილი და დაუხერხავი ხე-ტყის მასალა, ელექტრო და სანიტარულ-ტექნიკური მასალა (კაბელო, ონკანები, იზოლატორები, საღებავები, ოლიფა) და სხვა.

სამშენებლო მასალების, დეტალებისა და კონსტრუქციების ანალიზური აღრიცხვის წესი მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის ზემოთ განხილული წესის ანალოგიურია.

ინსტრუქციის თანახმად „მოზარდი და გასასუქებელი პირუტყვი“ აღირიცხება № 05 ანგარიშზე. სახელდობრ: ყველა სახის მოზარდი და გასასუქებელი პირუტყვი, ფრინველი, ბოცვერები, ბეწვიანი მხეცები, ფუტკრის ოჯახები მათი ღირებულებისაგან დამოუკიდებლად. ეს ანგარიში გამოიყენება მხოლოდ დამხმარე სოფლის მეურნეობებში.

მოზარდი და გასასუქებელი პირუტყვის ყიდვისას ჩაწერა ხდება № 05 ანგარიშის დებეტში და № 111 ან № 178 სუბანგარიშის კრედიტში.

საკუთარ მეურნეობაში გამრავლების შედეგად მიღებული მოზარდი პირუტყვი შემოსავალში აიღება „განაყოფიერების აქტის“ საფუძველზე, გეგმური ფასებით და მიღებული ნამრავლის ღირებულებაზე წარმოებს ჩაწერა № 05 ანგარიშის დებეტში და № 400 სუბანგარიშის კრედიტში. წონაში ნამატის ღირებულება განისაზღვრება საანგარიშო თვეში პირუტყვის ფაქტიური წონობრივი ნამატისა და წონობრივი ნამატის ერთეულის საგეგმო ღირებულების მიხედვით.

მიღებული წონობრივი ნამატის ან სულადობრივი ნაზარდის ღირებულების ჩაწერა წარმოებს № 05 ანგარიშის დებეტში და № 400 სუბანგარიშის კრედიტში.

მ ც ი რ ე ფ ა ს ი ა ნ ი და ს წ რ ა ფ ც ვ ე თ ა დ ი ს ა გ ნ ე ბ ი. როგორც ზემოთ ითქვა, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადად ითვლება ისეთი საგანი, რომლის გამძლეობის ან სამსახურის ვადა ერთ წელზე ნაკლებია, მიუხედავად მისი ღირებულებისა, აგრეთვე საგანი, რომლის ღირებულება ნაკლებია იმ ლიმიტზე, რასაც ცენტრალური უწყებები აწესებენ ასი მანეთის ფარგლებში.

გამონაკლისს შეადგენს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, ბიბლიოთეკა, პროდუქტიული პირუტყვი, მუშაპირუტყვი და სხვა, რომლებიც ძირითად საშუალებებს მიეკუთვნებიან.

მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები თავისი დანიშნულებით თუმცა ემსგავსება ძირითად საშუალებებს, მაგრამ ამასთანავე განსხვავდებიან იმ მხრივ, რომ მათი შექმნა წარმოებს მასალების შექმნის ანალოგიურად. ძირითად საშუალებათა შექმნის წყარო კი კაპიტალური დაბანდებაა.

სოფლის ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულება-ორგანიზაციებში მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები აღირიცხება № 07 ანგარიშზე „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები“. ანგარიშს აქვს შემდეგი სუბანგარიშები: № 70 „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები საწყობში“, № 071 „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები ექსპლუატაციაში“.

მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები მათი შექმნის მიხედვით აისახება № 070 სუბანგარიშის დებეტში და № 178 და 179 შესაბამისო სუბანგარიშების კრედიტში. ერთდროულად ჩაწერა წარმოებს შესაბამისად № 200 ან 211 სუბანგარიშის დებეტში და № 260 სუბანგარიშის კრედიტში. ორ მანეთამდე ღირებული მცირეფასიანი საგნები ხარჯებში ტარდება მათი ექსპლუატაციაში გადაცემის დროს. ასეთი საგნების ოპერატიული (რაოდენობრივი) აღრიცხვა ეკისრებათ შატერიალურად პასუხისმგებელ პირებს (ფ. № 412 უწყისებში). დანარჩენი მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები 2-დან 100 მანეთამდე ღირებულებისა, ხარჯებში იწერება სრული გაცვეთის შემდეგ, დაწესებულების ხელმძღვანელის ან სოფლის საბჭოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული სალიკვიდაციო აქტის საფუძველზე ხარჯთნუსხის შესაბამის მუხლების მიკუთვნებით⁵.

⁵ დამტკიცებული კურკლის ჩამოწერისათვის არსებობს კურკლის მტკრევის რეგისტრაციის ეურნალი ფ. № 325. ეურნალში ჩაწერას აწარმოებენ შესაბამისი თანამდებობის პირები. მუდმივმოქმედი კომისია აღვენებს თვალყურს ეურნალის სწო-

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ მცირეფასიან და სწრაფცვეთად საგნებზე გათვალისწინებულია № 26 „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ფონდის“ ანგარიში.

ინსტრუქცია ცენტრალიზებულ ბუხპალტერიაში მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ანალიზური აღრიცხვისათვის, № 296-ბ ფორმის დაეთარს ითვალისწინებს.

საწყობში (საკუქნაოში) არსებული მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების აღრიცხვა მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოებს საგნების დასახელებისა და რაოდენობის მიხედვით მასალების სასაწყობო აღრიცხვის დაეთარში ფ. № მ-17. საწყობიდან (საკუქნაოდან) ამ საგნების გაცემა წარმოებს ზედღებული (მოთხოვნის) ფ. № 434-მექ. მიხედვით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფლის ბიუჯეტის შესრულების ცენტრალიზებული აღრიცხვის პრაქტიკამ დააყენა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც საჭიროებს მოგვარებას. მათ რიცხვს მიეკუთვნება: მატერიალურ ფასეულობათა ანალიზური აღრიცხვის რაციონალური ორგანიზაცია, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის აღრიცხვისა და ტარიფიკაციის სრულყოფა, ყურნალ-ორდერული ფორმის რეგისტრების ან მსგავსი ჰადრაკისებრი მაგროვებელი უწყისების პრაქტიკაში დანერგვა, სააღრიცხვო სამუშაოთა მექანიზაცია და სხვ.

ზრომის, ხელფასისა და საანგარიშსწორებო
ოპერაციების აღრიცხვა

1. ზრომისა და ხელფასის აღრიცხვა

კომუნისტურ განაწილებაზე თანდათანობით გადასვლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ზრომის მიხედვით განაწილება, მაგრამ, ამასთან ერთად, მოქმედებს განაწილების ისეთი ეკონომიკური ფორმა, რომელიც უფრო ახლო დგას კომუნისტურ განაწილებასთან და უშუალოდ მას შეესაბამება, ეს ფორმაა სულ უფრო მზარდი ეროვნული შემოსავლის უფასო გადანაწილება მოსახლეობაში სოციალურ-კულტურული და სხვა ღონისძიებების გატარების საშუალებით.

სახალხო მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სოციალურ-კულტურული დაწესებულების მუშაკთა ხელფასი განისაზღვრება ზრომის დიფერენციული ანაზღაურების პრინციპით.

განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთათვის კანონი ითვალისწინებს მათი ხელფასის განაკვეთების დადგენას მუშაობის სტაჟის, განათლების ცენზისა და სხვა სატარიფიკაციო ცნობების მიხედვით.

აქედან გამომდინარე, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მუშაკთა: ექიმების, ექთნების, სამედიცინო დებისა და სხვ. ხელფასი განისაზღვრება დაკავებული თანამდებობის, განათლების ცენზისა და სპეციალობის მიხედვით მუშაობის სტაჟის საფუძველზე, მთავრობის მიერ დამტკიცებული ტიპობრივი საშტატო განრიგების თანახმად.

სამკურნალო დაწესებულებათა ხელმძღვანელი მუშაკების (მთავარი ექიმებისა და მათი მოადგილეების) თანამდებობრივი განაკვეთების ოდენობა დამოკიდებულია დაწესებულებების მუშაობის მოცულობაზე და საექიმო თანამდებობათა რაოდენობაზე.

საყოველთაო სწავლების სკოლების ხარჯების სტრუქტურაში ძირითადია მასწავლებელთა ხელფასი, რომელიც განისაზღვრება სასწავლო დატვირთვის პროპორციულად გამოთვლილი განაკვეთების საფუძველზე, სასწავლო გეგმის შესაბამისად.

თითოეული მასწავლებლის ხელფასის განაკვეთი დგინდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, მისი დატვირთვის მოცულობის, განათლების ცენზის, პედაგოგიური მუშაობის სტაქისა და სხვა სატარიფიკაციო ცნობების მიხედვით. ნათქვამიდან ცხადია, რომ საყოველთაო სწავლების სკოლებში ყოველთვიური ხელფასის განსაზღვრას და დარიცხვას საფუძვლად უდევს მასწავლებელთა ხელფასების ტარიფიკაცია.

სატარიფიკაციო ბარათების მიხედვით გეგმით გათვალისწინებული სასწავლო დატვირთვის კვალობაზე, ცენტრალიზებულ ბუჯპალტერიაში გამოიყენება ჯერ თითოეული მასწავლებლის ხელფასი, შემდეგ კი ცალკეული დაწესებულების მიხედვით შედგება „სატარიფიკაციო სიები“, რომლებშიც დიფერენცირებულად ჩაიწერება მასწავლებელთა თვიური ხელფასი და გამოითვლება ხელფასის ფონდი განაკვეთებისა და კლასების ჭრილში.

საყოველთაო სწავლების სკოლებისა და სხვა სასწავლო დაწესებულებათა ადმინისტრაციული, სასწავლო-დამხმარე და მომსახურე პერსონალის ხელფასი დგინდება ტიპურ საშტატო განრიგებში ცალკეული თანამდებობის მუშაკათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი ხელფასის განაკვეთების საფუძველზე.

აღრიცხვის ცენტრალიზაციის პირობებში ხელფასის მიხედვით მუშა-მოსამსახურეებთან ზუსტი ანგარიშსწორებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სატაბელო აღრიცხვას. ამიტომ, ცხადია, მომსახურებული დაწესებულებების მუშაკთა ხელფასის ზუსტი განსაზღვრისათვის ძირითად პირობას სატაბელო აღრიცხვის კარგი ორგანიზაცია წარმოადგენს.

ბანკში გახსნილი მიმდინარე ანგარიშიდან მოლარე ან ანგარიშვალდებული პირი ღებულობს შრომის ხელფასისა და შრომის უუნარობის ფურცლებით დარიცხული დახმარების ხელზე გასაცემ თანხას. დაწესებულებათა მიერ გამოყოფილი (ბრძანებით დანიშნული) ანგარიშვალდებული პირები ხელმოწერით სალაროდან ღებულობენ ხელფასის საგადასახდლო უწყისებს და ხელფასის თანხას დასარიგებლად.

ანგარიშვალდებული პირები განაღებულ საგადასახდლო უწყისებს და გაუცემელ თანხას დადგენილ ვადაში უკანვე აბარებენ ცენტრალიზებულ ბუჯპალტერიას. ინსტრუქციით ხელფასით ანგარიშსწორებისათვის გათვალისწინებულია № 180 სუბანგარიში „ანგარიშსწორება მუშებთან და მოსამსახურეებთან“.

ამ სუბანგარიშის კრედიტში იწერება დარიცხული ხელფასი №№ 200 და 211 სუბანგარიშების ღებეტთან კორესპონდენციით, გარდა ამისა, „მუშებთან და მოსამსახურეებთან ანგარიშსწორების“ № 180 სუბანგარიშის კრედიტში ტარდება საავადმყოფო ფურცლებით

გამოანგარიშებული დახმარება შრომის დროებითი უუნარობისათვის სოციალური დაზღვევის ორგანოებთან ანგარიშსწორების № 171 სუბანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით.

ხელფასიდან დაკავებული გადასახადების თანხები ტარდება „მუშებთან და მოსამსახურებთან ანგარიშსწორების“ № 180 სუბანგარიშის დებეტში და „ბიუჯეტთან ანგარიშსწორების“ № 173 სუბანგარიშის კრედიტში.

მუშებისა და მოსამსახურებისაგან სასამართლო აღმასრულებელი ფურცლით დაკავებული თანხები, დროზე გაუცემელი ხელფასი და განვადებით გაცემული საქონლისათვის სავაჭრო ორგანიზაციების სპარაგებლო დაქვითვები ტარდება № 180 სუბანგარიშის დებეტსა და „დეპონენტების“ № 177 და შესაბამისად № 182 სუბანგარიშის კრედიტში. შემნახველ სალაროში ანაბარზე უნაღლო ანგარიშსწორებით გადარიცხული მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი ტარდება № 183 სადაზღვევო ხელშეკრულებით დაკავებული გადასახდელი № 184, პროფკავშირის წევრთაგან დაკავებული საწევრო შესატანები № 185 სუბანგარიშების კრედიტში № 180 სუბანგარიშის დებეტთან კორესპონდენციით. დაკავებებისა და დაქვითვების შემდეგ, № 180 სუბანგარიშის კრედიტის ბრუნვის ჩამს გამოაკლდება დებეტის ჩამი; კრედიტში მიღებული სხვაობა იქნება ხელფასის ის თანხა, რაც ხელზე გასაცემად ეკუთვნით მუშებსა და მოსამსახურებს. გაცემული ხელფასის თანხა ჩაიწერება № 180 სუბანგარიშის დებეტში „სალაროს № 120 სუბანგარიშთან ან ანგარიშვალდებული პირების“ № 160 სუბანგარიშთან კორესპონდენციით.

მუშა-მოსამსახურებთან ხელფასით ანგარიშსწორების ანალიზური აღრიცხვა ხორციელდება ტიპურ ბარათ-ცნობებში — ფ. № 417.

ანგარიშვალდებულ პირებთან ანგარიშსწორების № 16 ანგარიშის ამავე სახელწოდების № 160 სუბანგარიშზე აღრიცხება ანგარიშსწორებანი იმ ანგარიშვალდებულ პირებთან, რომელთაც მიღებული აქვთ ავანსები წერილი საკანცელარიო და სამეურნეო და მივლინებაში გასამგზავრებელი ხარჯებისათვის.

ავანსები ანგარიშქვეშ გაიცემა დაწესებულების ხელმძღვანელის ან სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით მიმღების წერილობითი განცხადების საფუძველზე, ავანსების დანიშნულების აღნიშვნით. ანგარიშქვეშ თანხის გაცემის შესახებ განცხადებაზე საანგარიშო დარგის მუშაკის მიერ აღინიშნება ხარჯთნუსხის ის ქვედანაყოფი (პარაგრაფი, მუხლი), რომელზედაც მიკუთვნებული უნდა იქნეს ხარჯი და კეთდება აღნიშვნა, რომ ანგარიშვალდებულ პირზე დავალიანება წინათ მიღებული ავანსიდან არ ირიცხება.

ანგარიშქვეშ გაცემული ფული შეუძლიათ დახარჯონ იმ მიზნებისათვის, რომლებსათვისაც იყო განკუთვნილი გაცემის დროს. სააენსო თანხების ხარჯვის შესახებ ანგარიშვალდებული პირები ადგენენ სააენსო ანგარიშს იმ საბუთების დართვით, რომლებიც ადასტურებენ გაწეულ ხარჯებს.

ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული აენსი იწერება № 160 სუბანგარიშის დებეტში, სააენსო ანგარიშით გაწეული ხარჯები — კრედიტში.

ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ფ. № 292 დავთარში.

2. სხვა ფიზიკორები და კრედიტორები

სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორებათა ოპერაციები აღირიცხება № 17 ანგარიშზე, რომელიც იყოფა სუბანგარიშებად; № 170 „ანგარიშსწორება დანაკლისებით“, № 171 „ანგარიშსწორება სოციალურ დაზღვევაზე“, № 172 „ანგარიშსწორება სპეციალური სახსრების გადასახდელებით“, № 173 „ანგარიშსწორება ბიუჯეტში გადასახდელებით“, № 176 „ანგარიშსწორება დავალებით ხარჯების გასაწევად მიღებული სახსრებით“, № 177 „ანგარიშსწორება დეპონენტებთან“, № 178 „ანგარიშსწორება სხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან“ და № 179 „ანგარიშსწორება გეგმიური გადასახდელების წესით“ და სხვ.

დეპონენტებთან ანგარიშსწორების სუბანგარიშზე აისახება მუშებისა და მოსამსახურეების მიერ დადგენილ ვადაში მიუღებელი ხელფასი, აგრეთვე მათი ხელფასიდან აღმასრულებელი საბუთებით სხვადასხვა ორგანიზაციისა და პირთა სასარგებლოდ დაკავებული თანხები. გარდა ამისა, საავადმყოფოებში ამ სუბანგარიშზე აისახება ავადმყოფებისაგან დროებით შესანახად მიღებული ფული: დებეტში გაცემული ან გადარიცხული თანხები, კრედიტში — დაკავებული ან შესანახად მიღებული თანხები.

სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორების ანგარიშზე (№ 17) აისახება ბიუჯეტთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან ანგარიშსწორების ოპერაციები: დებეტში — მიღებული მატერიალური ფასეულობის, შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურების გასანაღდებლად დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე გადარიცხული თანხები; პროფკავშირისათვის გადარიცხული სოციალური დაზღვევის შესატანები; მუშებსა და მოსამსახურეებზე სოციალური დაზღვევის სახსრების ანგარიშში გაცემული დროებითი შრომის უუნარობის დახმარებები; გაცემული პენსიები და სხვა დახმარებები; საბავშვო დაწესებულებებში ბავშვთა შენახვისათვის მშობლებისაგან მისაღები გადასახდელები,

გამოვლენილი დანაკლისები და დატაცებები, რომლებიც მიეკუთვნება მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს; მუშებისა და მოსამსახურეებისაგან დაკავებული გადასახადები და ბიუჯეტში სხვა შესატანების გადარიცხული თანხები.

კრედიტში აისახება დაწესებულებათა და ორგანიზაციათა კუთვნილი თანხები მიღებული მატერიალური ფასეულობისათვის, შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურებისათვის; პროფკავშირის სასარგებლოდ დარიცხული სოციალური დაზღვევის შესატანი თანხები; საბავშვო დაწესებულებებში ბავშვთა შენახვისათვის მშობლებისაგან მიღებული გადასახდლები; სხვადასხვა პირებისა და ორგანიზაციების მიერ დავალიანების დასაფარავად შეტანილი თანხები და მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასიდან დაკავებული გადასახადები და ა. შ., სუბანგარიშების დანიშნულების მიხედვით.

სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორების ოპერაციები აისახება გაშლილად, ე. ი. ცალკე დებიტორებისა და ცალკე კრედიტორების მიხედვით.

სავაჭრო ორგანიზაციებთან ოპერაციები მიზანშეწონილია დაჯგუფდეს და ცალკეული მომმარაგებელი ობიექტების ანგარიშების განაღდება ერთი საგადასახდლო დავალებით მოხდეს. მაგალითად, ყველა მომსახურებული დაწესებულებისათვის სათბობისა და კვების პროდუქტების შესაძენად ერთიანად გადაირიცხოს თანხა სავაჭრო ან მომმარაგებელი ორგანიზაციის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

სავაჭრო და მომმარაგებელ ორგანიზაციებთან ანგარიშსწორების ასეთი წესი ფართოდაა გამოყენებული მრავალ ცენტრალიზებულ ბუხჰალტერიაში, რაც საგრძნობლად ამცირებს სამეურნეო ოპერაციების ჩანაწერებისა და საანგარიშსწორებო საბუთების რაოდენობას. ცენტრალიზებული აღრიცხვის სპეციალისტთა განმარტებით, „საბავშვო ბაგებისა და ბაღებისათვის კვების პროდუქტებისა და ბოსტნეულის შესაძენი თანხა ერთი საგადასახდლო დავალებით ირიცხება რაიგასტრონომვაჭრობისა და რაიბოსტნეულვაჭრობის ანგარიშსწორების ანგარიშზე“. ასეთი წესი საგრძნობლად ამცირებს საანგარიშსწორებო ოპერაციებს და ბუხჰალტრულ საბუთებს. ცენტრალიზებულ აღრიცხვაზე გადასვლით საგადასახდლო დავალებათა რიცხვი განათებაზე, წყალზე, გათბობაზე, ტრანსპორტზე, ანგარიშსწორებათა მიხედვით შემცირდა 30-ჯერ.

საანგარიშსწორებო ოპერაციათა ანალიზური აღრიცხვა ინსტრუქციით რეკომენდებულია № 292 ფორმის დავთარში. ამ დავთარში დაწესებულებათა ჭრილში ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისათვის იხსნება ცალკე ანგარიშები, გადასახადების სახეობის მიხედვით, სახელდობრ: მოსახლეობიდან საშემოსავლო გადასახადი, სსრ კავშირის უცოლო-

უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადი და ა. შ. (ანგ. № 173).

ღებიტორული და კრედიტორული ხასიათის საანგარიშსწორებო ოპერაციებზე იხსნება ცალკე ანგარიში თითოეულ დაწესებულებაზე, ორგანიზაციაზე ან ცალკე პირზე (ანგ. № 178).

მუშებთან და პოსამსახურებთან ხელფასის და დროებითი შრომის უუნარობისას დახმარებაზე ანგარიშსწორების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ცალკე ანგარიშზე, ამასთან შტატგარეშე მუშაკებთან ხელფასის ერთდროული გაცემის ანგარიშსწორებისათვის თითოეულ მომსახურებულ დაწესებულებას ეხსნება საერთო ანგარიში (ანგ. № 180).

მუშაკების სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შესატანზე სათანადო პროფკავშირებს ეხსნებათ ერთი საერთო ანგარიში ყველა დაწესებულების ანგარიშსწორებისათვის (ანგ. № 171).

სადეპონენტო თანხებზე თითოეულ დაწესებულებას, ორგანიზაციას ან ცალკე პირს, რომელთაც ერგებათ მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასიდან სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლებით დაკავებული თანხები, ეხსნება ცალკე ანგარიში (ანგ. № 177). მუშებისა და მოსამსახურეების მიერ დროზე მიღებულ ხელფასზე იხსნება ერთი საერთო ანგარიში და ამა თუ იმ პიროვნებაზე გასაცემი თანხა ცალ-ცალკე იწერება.

დანაკლისსა და გაფლანგვაზე, აგრეთვე მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისის ღირებულებაზე იხსნება ცალკე ანგარიში (ანგ. № 170).

ფულადი სახსრების, ხარჯებისა და დაფინანსების
აღრიცხვა

1. ფულადი სახსრების აღრიცხვა

სოფლის, დაბისა და ქალაქის (რაიონის დაქვემდებარების) საბჭოს ბიუჯეტის ფულადი სახსრების აღსარიცხავად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოიყენება რამდენიმე სუბანგარიში (№№ 102, 106, 107, 108, 109, 111, და 117).

ამ სუბანგარიშების დებეტში აისახება ფულადი სახსრების შემოსვლა სახბანკოში, ხოლო კრედიტში — იმავე ანგარიშებიდან სახსრების გასვლა.

№ 107 სუბანგარიშის დებეტთან კრედიტით კორესპონდენციაშია ძირითადად სუბანგარიში № 407 — „ბიუჯეტის შემოსავლები“, აგრეთვე სუბანგარიში № 520 — „რაიონული ბიუჯეტიდან მიღებული მოკლევადიანი სესხები“ და სუბანგარიში № 730 — „გადაცემული და მიღებული სახსრები“.

№ 107 სუბანგარიშის დაკრედიტებისას შეიძლება დადებეტდეს: სუბანგარიში № 108, როდესაც სახსრები გადაერიცხებათ სოფლის საბჭოს ბიუჯეტზე მყოფი დამოუკიდებელი აღრიცხვა-ანგარიშების მქონე ბიუჯეტურ დაწესებულებას; სუბანგარიში № 120 — „სალარო“, როდესაც ფულს გამოიტანენ ჩეკით; სუბანგარიში № 178 — „ანგარიშსწორება სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან“ — როცა ფულს გადაურიცხავენ სხვადასხვა ორგანიზაციებს მატერიალური ფასეულობის შესაძენად; სუბანგარიში № 173 — „ანგარიშსწორება ბიუჯეტში შესატანებით“ — როცა ფული ჩაერიცხება სახელმწიფო ბიუჯეტს; სუბანგარიში № 130 — „აკრედიტივები“, სუბანგარიში № 131 — „ლიმიტირებული ჩეკის წიგნაკები“, სუბანგარიში № 132 — „ფულადი საბუთები“ (საფოსტო ნიშნების, საწვავის ტალონებისა, სახელმწიფო ბაჟის ნიშნებისა და სხვ. შექენისას); „სუბანგარიში № 150 — „ანგარიშსწორება მომწოდებლებთან და მოიჭარებებთან“ — კაპიტალური მშენებლობის სამუშაოების შესრულებისას, № 179 — „ანგარიშსწორება გეგმიური გადასახდელების წესით“ —

აღნიშნული წესით ანგარიშსწორების პირობებში თანხების გადარიცხვისას; სუბანგარიში № 200 — „დაწესებულების შენახვის ხარჯები“ — წყლის, ელექტროენერჯის, დასუფთავებისა და სხვა მომსახურებათა ხარჯების განაღდებისას და ა. შ.

სუბანგარიში № 108 წარმოადგენს სოფლის, დაბის ბიუჯეტის ხარჯზე გასაწევი კაპიტალური დაბანდების დაფინანსების მიმდინარე ანგარიშს.

„ბიუჯეტის ხარჯზე კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების მიმდინარე ანგარიშზე“ სახსრები ჩაირიცხება „სოფლის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშიდან“, ამიტომაც ეს ოპერაცია აისახება მუხლით: დებეტი, სუბანგარიში № 108 და კრედიტი სუბანგარიში № 107. უკან დაბრუნებული თანხები გატარდება აღნიშნულის შებრუნებული მუხლით.

კაპიტალურ დაბანდებაზე სახსრების დახარჯვის შესახებ ბანკის მიერ საბუკოში წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე № 108 სუბანგარიშიდან ჩამოწერილი თანხები იწერება № 203 სუბანგარიშის „ბიუჯეტის ხარჯები ახალ მშენებლობაზე“ — დებეტში № 108 სუბანგარიშის კრედიტიდან. რაც შეეხება № 110 სუბანგარიშს, მას იყენებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საბუკოს ტერიტორიაზე შენდება ისეთი ობიექტი, რომლის მშენებლობა ბიუჯეტის სახსრების გარდა ხორციელდება კოლმეურნეობებიდან, საბუკოთა მეურნეობებიდან, სხვა საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან მოზიდული სახსრებითაც.

თუ წილობრივი მშენებლობის წლიური მოცულობა არ აღემატება კაპიტალურ მშენებლობაზე 20 ათას მანეთს და დასახელებული პუნქტის კეთილმოწყობის თითოეული ობიექტის ხარჯები კაპდაბანდებაზე 5 ათას მანეთს, ამ შემთხვევაში მოზიდული თანხები იხარჯება უშუალოდ „დავალებათა თანხების მიმდინარე ანგარიშიდან“, რაზედაც შედგება ბუხპალტრული მუხლი დებეტი №№ 12, 17, 04 და სხვა ანგარიშები, კრედიტი სუბანგარიში № 110, №№ 12, 17, 04 და სხვა ანგარიშებიდან. დავალებათა თანხების ანგარიშში გაწეულ ხარჯებზე დადებულდება № 176 სუბანგარიში და დაკრედიტდება №№ 12, 17, 04 და სხვა ანგარიშები (შესაბამისად). თუ წილობრივი მშენებლობის ხარჯების წლიური მოცულობა აღემატება კაპიტალურ მშენებლობაზე 20 ათას მანეთს და დასახელებული პუნქტის კეთილმოწყობის თითოეული ობიექტის ხარჯები კაპდაბანდებაზე — 5 ათას მანეთს, ამ შემთხვევაში კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება ხორციელდება ცალკე მიმდინარე ანგარიშიდან. ბუხპალტრულ ოპერაციებზე მუდმივი ნომრის მემორიალური ორდერების გამოყენებისას № 381 ფორმის მაგროვებელი უწყისი ამავე დროს „დავალებათა თანხების მიმდინარე ანგარიშის“ ანალიზურ აღრიცხვასაც წარმოადგენს. თუ ბუხპალტრუ-

ლი ოპერაციების მოცულობის მიხედვით არ არის საჭირო მაგროვე-ბელი უწყისების (მუდმივი ნომრის მემორიალური ორდერების) შედგენა და „უურნალ-მთავარ“ დავთარში ჩანაწერები წარმოებს პირველი რიგის ანგარიშების მიხედვით, ამ შემთხვევაში № 110 სუბანგარიშის ოპერაციების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს „მიმდინარე ანგარიშებისა და ანგარიშსწორებათა დავთარში“ (ფორმა № 292).

სინთეზური აღრიცხვის ანალიზურ აღრიცხვასთან შეთავსების ერთ-ერთი გავრცელებული ხერხია ის, რომ აღრიცხვის რეგისტრში საბუთებიდან ჩაწერილი თანხების დაჯგუფება ანგარიშებში წარმოებს ამ თანხების ერთდროული ქვედაჯგუფებით, სინთეზური და ანალიზური ანგარიშების პოზიციით. ასეთი აღრიცხვა შეიძლება განხორციელდეს აღრიცხვის მოცემულ რეგისტრთან დამატებით მაჯგუფებელი უწყისის გამოყენებით.

დეცენტრალიზებული აღრიცხვის პირობებში, თუ ანალიზური აღრიცხვის ანგარიშების ბრუნვათა უწყისი შეთავსებულია მოცემულ რეგისტრში, ჩანაწერების დამატებითი დაჯგუფება ანალიზური აღრიცხვის პოზიციით წარმოებს იმავე რეგისტრში. აქ თანხები პირდაპირ იწერება ანალიზური აღრიცხვის ბრუნვათა უწყისში, შუალედური ჩანაწერების გარეშე, რაც ცენტრალიზებულ ბუხპალტერიაში მოუხერხებელია და, როგორც აღვნიშნეთ, ცალკე მაგროვებელი უწყისების წარმოებას მოითხოვს. შესაბამისი ანგარიშების დებეტში ჩასაწერი თანხები ჯერ დაწესებულების მიხედვით გაიშიფრება, დაჯგუფდება და შემდეგ შეიტანება ძირითად რეგისტრში სუბანგარიშებისა და ანალიზური აღრიცხვის მუხლების მიხედვით. ამ პრინციპით აგებული რეგისტრების ნაირსახეობას წარმოადგენს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ზემომითითებული ინსტრუქციებით გათვალისწინებული მუდმივმოქმედი მაგროვებელი უწყისები.

2. ბიუჯეტის შემოსავლების აღრიცხვა

სოფლის ბიუჯეტის შემოსავალს მიეკუთვნება ის თანხები, რომელიც შემოდის საბჭოსათვის სახელმწიფო ბანკში გახსნილი „სოფლის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშზე“ სხვადასხვა გადასახადებისა და გადასახდელების ანარიცხებიდან.

ბიუჯეტის შემოსავლებში მიღებული სახსრები, ჩაირიცხება რა ზემოხსენებულ მიმდინარე ანგარიშზე, აისახება № 107 სუბანგარიშის დებეტსა და № 407 („ბიუჯეტის შემოსავლები“) სუბანგარიშის კრედიტში.

სოფლის ბიუჯეტის შემოსავლებში ირიცხება სოფლის საბჭოს ტერიტორიაზე შეგროვილი და უტილნედლეულის მეორადი გადამუ-

შავების საწარმოებში ჩაბარებული ჯართისათვის მიღებული სახსრებიც.

ჩაბარებული ჯართის ღირებულებაზე, რომელიც ფიქსირებული იქნება ჩაბარების ფაქტურაში, შედგება ბუხალტრული მუხლი: დებეტი, სუბანგარიში № 178 („ანგარიშსწორება სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან“) და კრედიტი, სუბანგარიში № 173 („ანგარიშსწორება ბიუჯეტში შესატანებით“).

უტილენდელულის მეორადი გადაშეშავების საწარმოს მიერ სოფლის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშზე გადმორიცხული თანხა აისახება № 107 სუბანგარიშის დებეტსა და № 178 სუბანგარიშის კრედიტში. ერთდროულად უნდა შედგეს მეორე ბუხალტრული მუხლიც: დებეტი, სუბანგარიში № 173 და კრედიტი, სუბანგარიში № 407.

ამგვარად, აღნიშნული ოპერაციებით როგორც № 173, ასევე № 178 სუბანგარიშების ჩანაწერები დაიხურება და საბოლოოდ ეს თანხა აღრიცხული იქნება № 107 სუბანგარიშის დებეტსა და № 407 სუბანგარიშის კრედიტში.

სოფლის ბიუჯეტის შემოსავლებში ზოგჯერ შენოდის თანხები დაწესებულების ძირითადი საშუალებების ლიკვიდაციის შედეგად მიღებული მასალების რეალიზაციიდან. ასეთი სახსრების სოფლის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშზე ჩარიცხვისას დებეტდება სუბანგარიში № 107 და კრედიტდება მასალების ამსახველი სუბანგარიშები №№ 063, 054 ან 067. ერთდროულად ეს ოპერაცია ჩაიწერება № 173 სუბანგარიშის დებეტსა და № 407 სუბანგარიშის კრედიტში. ცხადია, ძირითადი საშუალებების ჩამოწერისას № 173 სუბანგარიში დაკრედიტდებოდა მასალების მიღების კვალობაზე, მასალების ამსახველ სუბანგარიშების დებეტთან კორესპონდენციით.

ბიუჯეტის შემოსავლებს არ წარმოადგენს, მაგრამ სოფლის ბიუჯეტის შემოსავლის მსგავსად, მოცემული საბჭოს კუთვნილებაში რჩება აგრეთვე რაიონული ბიუჯეტიდან ურთიერთანგარიშსწორების შედეგად გადმოცემული სახსრებიც. ეს ოპერაცია იწერება მუხლით: დებეტი, სუბანგარიში № 107, და კრედიტი სუბანგარიში № 730 („გადაცემული და მიღებული სახსრებით“).

სოფლის საბჭოს ბიუჯეტის შემოსავლებს მიეკუთვნება ისეთი თანხებიც, როგორცაა:

1. საბჭოს ტერიტორიაზე არსებული სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთაგან შემოტანილი გადასახდელი. ამ თანხის დარიცხვა ტარდება მუხლით: დებეტი, სუბანგარიში № 172 („ანგარიშსწორება გადასახდელთა სპეციალური სახეებით“) და კრედიტი, სუბანგარიში № 173. გადასახდელის მიღება გადამხდელთაგან აისახება სალაროს სუბანგარიშის № 120 დებეტსა და № 172 სუბანგარიშის კრედიტში. სალარო-

დან აღნიშნული თანხის ბანკში შეტანის ოპერაცია ჩაიწერება რა № 107 სუბანგარიშის დებეტსა და № 120 სუბანგარიშის კრედიტში, ერთდროულად ამ ოპერაციაზე საჭიროა შედგეს მეორე ბუხპალტრული მუხლიც: დებეტი, სუბანგარიში № 173 და კრედიტი, სუბანგარიში № 407.

2. რაიონის ბიუჯეტიდან მიღებული დოტაცია. ეს ოპერაცია იწერება № 107 სუბანგარიშის დებეტსა და № 407 სუბანგარიშის კრედიტში.

3. ბიუჯეტური სახსრების თავისუფალი ნაშთის საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ცალკეულ ღონისძიებებზე მიმართვა. ამ ოპერაციაზე აღგენენ ბუხპალტრულ მუხლს: დებეტი, სუბანგარიში № 900 („ბიუჯეტის შესრულების შედეგები“) და კრედიტი, სუბანგარიში № 407;

4. დანაკლისებით წარმოშობილი დებიტორული დავალიანების დასაფარავად შემოტანილი თანხის მიმდინარე ანგარიშზე ჩარიცხვა. ეს ოპერაცია საჭიროებს ერთდროულად რამდენიმე მუხლის შედგენას: კერძოდ, ა) დავალიანების დასაფარავად თანხის შემოტანაზე შედგება მუხლი: დებეტი, სუბანგარიში № 107 ან № 120 და კრედიტი, სუბანგარიში № 170 („ანგარიშსწორება დანაკლისებით“), ბ) სალაროდან თანხის ბანკში შეტანის ოპერაციაზე — დებეტი, სუბანგარიში № 107 და კრედიტი, სუბანგარიში № 120, გ) საკასო ხარჯების შესამცირებლად აღნიშნული პროდუქტების ან მასალების შექმნაზე გადახდილი თანხით, დებეტი, სუბანგარიში № 230 („დაწესებულების ხარჯების დაფინანსება ბიუჯეტიდან“) და კრედიტი, სუბანგარიში № 207 („ბიუჯეტის საკასო ხარჯები“) თუ ეს პროდუქტები ან მასალები შექმნილი იყო მიმდინარე წელს, თუ ისინი შექმნილი იყო გასულ წელს, მაშინ „გ“ პუნქტში მოცემული მუხლის ნაცვლად უნდა შედგეს ასეთი ბუხპალტრული მუხლი: დებეტი, სუბანგარიში № 230 და კრედიტი, სუბანგარიში № 173. სწორედ ამ შემთხვევაში ფორმდება დამატებითი მუხლი აღნიშნული თანხების ბიუჯეტის შემოსავლებზე მისაკუთვნებლად: დებეტი, სუბანგარიში № 173 და კრედიტი, სუბანგარიში № 407.

ბიუჯეტის შემოსავლების ანალიზური აღრიცხვა ხორციელდება „შემოსავლების დავთარში“ (ფ. № 16), სადაც ყოველი ცალკეული საბის შემოსავლისათვის გამოიყოფა ერთი სვეტი (გრადვა). ხსენებულ სვეტში ნაჩვენებია უნდა იყოს: შემოსავლის დასახელება, ბიუჯეტის კლასიფიკაციის ქვედანაყოფი (კარი, თავი, პარაგრაფი), შემოსავლის დანიშნულება მოცემული წლისათვის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, აგრეთვე ბიუჯეტის შესრულების პროცესში დაგეგმვაში შეტანილი ცვლილებები. შემოსავლების ანალიზური აღრიცხვისათვის მოცემულ დავთარში გამოყოფილია 20 სვეტი (სვეტები — 3—22),

აქედან მე-20 სვეტი განკუთვნილია ჯამისათვის, ხოლო 21-ე და 22-ე სვეტებში იწერება გადახდვლებზე უკან დაბრუნებული შემოსავალი (21-ში ბიუჯეტის ქვეგანყოფი; 22-ში კი — თანხა). ყოველი თვის ბოლოს ყოველი ცალკეული სახის შემოსავალზე გამოიყვანება ნაშთი წლის დასაწყისიდან, ცხადია, უკან დაბრუნებული თანხების გამოკლებით. ბიუჯეტის შემოსავლების ანალიზური აღრიცხვის საქმეში სიზუსტის დაცვის მიზნით, როგორც სახბანკის განყოფილებიდან მიღებული ბიუჯეტის შემოსავლების, ასევე ადგილზე (საბჭოში) სალაროში მიღებული შემოსავლების საბუთები ყოველდღიურად ლაგდება ბიუჯეტის შემოსავლების სახეების მიხედვით.

საჭიროა აქვე აღვნიშნოთ ისიც, რომ ბიუჯეტის შემოსავლების დავთარში შემოსავლების ცალკეული სახის ანალიზური აღრიცხვისათვის განკუთვნილი სვეტებიდან, როგორც წესი, მე-16 სვეტი უნდა დაეთმოს წლის დასაწყისისათვის არსებული საბიუჯეტო ნაშთიდან გარკვეულ ღონისძიებებზე მიმართულ თანხას (გავიხსენოთ მუხლი: დ-ტი, სუბანგარიში № 900, კ-ტი, სუბანგარიში № 407), მე-17 სვეტი — ბიუჯეტის შესრულების შედეგების № 900 სუბანგარიშს — წლის ბოლოს შემოსავლების დასკვნის მუხლისათვის; მე-18 სვეტი — სხვადასხვა არხებიდან მიღებულ შემთხვევით შემოსავლებს (გავიხსენოთ მუხლები: დ-ტი, სუბანგარიში № 173, კ-ტი, სუბანგარიში № 407; დ-ტი, სუბანგარიში № 207 და კ-ტი, სუბანგარიში № 407), მე-19 სვეტი კი მიღებული და გადაცემული სახსრების № 730 სუბანგარიშს.

3. ბიუჯეტის საკასო ხარჯების აღრიცხვა

სოფლის საბჭოს ბიუჯეტის საკასო ხარჯად ითვლება ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშიდან და სალაროდან გაცემული თანხები, გარდა ისეთი განაცემებისა, რაც გამოწვეულია ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშებსა და სალაროს შორის თანხების გადაადგილებით, რაიონის (ქალაქის) ბიუჯეტისადმი სესხის დაფარვით და გაცემული სახსრებით, ბიუჯეტის შემოსავლების დაბრუნებით, კაპიტალური დაბანდების დაფინანსების ანგარიშზე თანხების გადარიცხვით და საბჭოს ბიუჯეტზე მყოფი დამოუკიდებელი აღრიცხვის მქონე დაწესებულების მიმდინარე ანგარიშზე დაფინანსების სახით თანხების გადარიცხვით.

ბიუჯეტის საკასო ხარჯად ითვლება აგრეთვე ბანკის ცნობის საფუძველზე კაპდაბანდების ხარჯების და სოფლის საბჭოს ბიუჯეტზე მყოფი დამოუკიდებელი აღრიცხვის მქონე დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით გაწეული ხარჯების ჩამოწერა.

ბიუჯეტის საკასო ხარჯების აღრიცხვა ხორციელდება № 207 სუბანგარიშში. ამ სუბანგარიშის დადებულებისას შეიძლება დაკრედიტდეს

შემდეგი სუბანგარიშები: № 107 — დამტკიცებული ბიუჯეტის თანახმად ბიუჯეტიდან ამოსაღებად განკუთვნილი ჭარბი შემოსავლების რაიონის ბიუჯეტში გადარიცხვისას; № 107 — სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოებისა და ორგანიზაციების ანგარიშსწორების ანგარიშებზე თანხების (დოტაციის, საბრუნავი სახსრების ნორმატივების მატების ან მისი დანაკლისის შევსების და სხვ.) გადარიცხვის შემთხვევაში; № 107 — კაპიტალურ მშენებლობაზე წილობრივი მონაწილეობისათვის მოიჯარის ანგარიშსწორების ანგარიშზე ბიუჯეტის სახსრების გადარიცხვისას; № 108 — სოფლის, დაბის, ბიუჯეტის ხარჯზე კაპიტალური დაბანდების დაფინანსების მიმდინარე ანგარიშიდან გაწეული საკასო ხარჯებზე წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით.

№ 107 — სპეციალური სახსრების მიმდინარე ანგარიშზე იმ თანხების გადარიცხვის შემთხვევაში, რომლებიც განკუთვნილია მოსწავლეებზე დახმარებების გასაცემად საყოველთაო სწავლების ფონდის ანგარიშში, აგრეთვე სკოლებთან არსებული ინტერნატების მოსწავლეთა კვების ხარჯებისათვის. აღნიშნულ ოპერაციაზე ერთდროულად ფორმდება მეორე ბუხჰალტრული მუხლიც: დ-ტი, სუბანგარიში № 111 („სპეციალური სახსრების მიმდინარე ანგარიში“) და კ-ტი, სუბანგარიში № 400 („სპეციალური სახსრების შემოსავლები“);

№ 120 — არასაგადასახდლო შემოსავლების ანგარიშში სალაროში აღმოჩენილი დანაკლისის ჩამოწერისას. ეს ოპერაცია აქვე საჭიროება მეორე მუხლსაც დანაკლისის დამნაშავე პირზე დასაწერად; დ-ტი, სუბანგარიში № 170 და კ-ტი, სუბანგარიში № 173; 231 — მშენებლობისათვის საჭირო მოწყობილობებისა და სამშენებლო მასალების შეძენის შემთხვევაში. ცხადია, ამ დროს პირველი ბუხჰალტრული მუხლი ასეთი იქნება: დ-ტი სუბანგარიშები №№ 040 ან 041 და კ-ტი, სუბანგარიში № 107;

—

№ 230 — ბიუჯეტის სახსრებით საბჭოს ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის მომსახურებელი დაწესებულებებისათვის საჭირო მასალებისა და კვების პროდუქტების შეძენისას. აქაც პირველი ბუხჰალტრული მუხლით გაფორმდებოდა ამ მასალების ან პროდუქტების მიღების ოპერაციები — № 060—068, სუბანგარიშების დებეტი — №№ 107, 178, 120 ან 179 სუბანგარიშების კრედიტიდან;

№ 230 — ბიუჯეტის სახსრებით ძირითადი საშუალებებისა და მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების შეძენის შემთხვევაში. ამ ოპერაციას წინ უძღვის ხსენებული ობიექტებისა და საგნების მიღების ბუხჰალტრული მუხლები: დ-ტი, სუბანგარიში №№ 012—019 და კ-ტი, სუბანგარიშები №№ 178 ან 107 და სხვ. აგრეთვე დ-ტი, სუბანგარიშები №№ 070—071 და კ-ტი, სუბანგარიშები № 178 ან № 107 და სხვ. ერთდროულად, მათ შეძენაზე გაწეული ფაქტიური

ხარჯების ასასახავად დ-ტი სუბანგარიში № 200 და კ-ტი, სუბანგარიშები №№ 250 ან 260 (შესაბამისად);

№ 230 — ელექტროენერჯის, წყლის და სხვა კომუნალური მომსახურებისათვის, აგრეთვე მასალებისა და კვების პროდუქტების გადმოზიდვაზე დაქირავებული ტრანსპორტისათვის თანხების გადარიცხვისას აქაც პირველი მუხლი იქნება: დ-ტი, სუბანგარიში № 200 და კ-ტი. სუბანგარიში № 107;

№ 230 — მუშა-მოსამსახურეებზე ხელფასის გაცემის შემთხვევაში. ავ ოპერაციასაც წინ უძღვის ხელფასის დარიცხვის მუხლი: დ-ტი, სუბანგარიში № 200, კ-ტი, სუბანგარიში № 180;

№ 230 — მუშა-მოსამსახურეთა ხელფასებიდან დაკავებული გადასახადების თანხის ბიუჯეტში ჩარიცხვის შემთხვევაში.

№ 230 — ანგარიშვალდებულ პირებზე საქვეანგარიშოდ და სოცდაზღვევის ანგარიშში გაცემულ თანხებზე. აქ პირველი ოპერაციით ჩანაწერები იქნება №№ 160 და 171 სუბანგარიშების დებეტსა და № 120 სუბანგარიშის კრედიტში;

№ 230 — აკრედიტივების გაგზავნის, ლიმიტირებული ჩეკის წიგნაკებისა და ფულადი საბუთების (საწვავის ტალონები, საფოსტო ნიშნები და სხვ.) შექმნის შემთხვევაში. მოცემულ მაგალითზე პირველი მუხლით აისახება №№ 130, 131, და 132 სუბანგარიშების დებეტი და № 107 სუბანგარიშის კრედიტი;

№ 231 — მოიჯარე ორგანიზაციაზე მშენებლობის წარმოებისათვის თანხის გადარიცხვისას. პირველი მუხლით აქაც ჩანაწერები იქნება № 150 სუბანგარიშის დებეტსა და № 107 სუბანგარიშის კრედიტში.

ბიუჯეტის საკასო და ფაქტიური ხარჯების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს „ასიგნებების, საკასო და ფაქტიური ხარჯების აღრიცხვის დავთარში“ (ფ. № 309-ს) ბიუჯეტის კლასიფიკაციის მუხლების კრილში ცალკეულ დაწესებულებათა (დამტკიცებულ ხარჯთუნუსათა) მიხედვით. ხსენებულ დავთარში მარცხენა მხარეს მოცემულ სვეტებში (4—16) იწერება ბიუჯეტის საკასო ხარჯების დებეტის ოპერაციები, ხოლო მე-17 და მე-18 სვეტებში კი — კრედიტის (მე-17 სვეტში საკრედიტებელი ხარჯის მუხლი, მე-18-ში კი — თანხა). დავთრის მარჯვენა მხარეს მე-19-დან 33-ე სტრიქონებში აღირიცხება ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯები (№ 200 სუბანგარიშით), ხოლო 34-ე სვეტში — მისივე საკრედიტებელი ოპერაციების თანხები. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ინსტრუქციის თანახმად, საჭიროა 32-ე სვეტში აღირიცხოს სოფლის სკოლის მასწავლებლებსა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებზე ბინისა და კომუნალური მომსახურებისათვის გაცემული თანხე-

ბის ხარჯი, ხოლო 33-ე სვეტში — შტატგარეშე მუშაკებზე გაცემული ხელფასის ხარჯი.

ფორმა № 309-ს დავთარში ყოველთვიური ოპერაციების ჩაწერის დამთავრების შემდეგ უნდა გაკეთდეს საანგარიშგებო თვის ხარჯების ჩამი. მის მომდევნო სტრიქონზე კი გამოიყვანება ჩამი წლის დასაწყისიდან, რომლის გამოანგარიშებისას დებეტის ბრუნვებს აუცილებლად უნდა გამოაკლდეს კრედიტში ჩაწერილი თანხები.

ამავე დავთრის პირველ ნაწილში აისახება საანგარიშგებო წლისათვის ბიუჯეტის კლასიფიკაციის მუხლებისა და ცალკეული ხარჯთნუსხების მიხედვით დამტკიცებული ასიგნებები, აგრეთვე წლის განმავლობაში სათანადო წესით შეტანილი ცვლილებები.

სპეციალური სახსრებისა და თვითდაბეგვრის
სახსრების აღრიცხვა

1. თვითდაბეგვრის სახსრების აღრიცხვა

სოფლის საბჭოს სპეციალურ სახსრებად ითვლება: ბიუჯეტური დაწესებულებების განკარგულებაში მყოფი სხვადასხვა ბიუჯეტგარე-
შე სახსრები, რომელიც შემოდის საბჭოში და იხარჯება დამტკიცებუ-
ლი ხარჯთნუსხების შესაბამისად; საყოველთაო სწავლების ფონდის
შესაქმნელად; სხვადასხვა წყაროებიდან შემოსული სახსრები და სკო-
ლებთან არსებული ინტერნატების ბავშვთა მშობლებისაგან ბავშვთა
კვებისათვის შემოსული სახსრები.

სპეციალური სახსრების შემოსავალი იწერება № 400 სუბანგარი-
შის კრედიტში ფულადი, სახსრების შესაბამისი სუბანგარიშების
(№№ 111, 120) დებეტთან კორესპონდენციაში, ხარჯებისათვის კი გან-
კუთვნილია სუბანგარიში № 211.

სპეციალური სახსრების ანალიზური აღრიცხვისათვის გამოიყენება:
„სპეციალური სახსრების აღრიცხვის დაეთარი“ (ფ. № 297-ბ). მასში
ჩანაწერები შეიტანება როგორც № 111, ასევე № 400 და № 211 სუბ-
ანგარიშების მიხედვით. სპეციალური სახსრების მქონე თითოეულ და-
წესებულებას ამ დავთარში ცალკე ეხსნება ანგარიში. ამავე დავთარში
ცალკე გვერდებზე წარმოებს თვითდაბეგვრის სახსრების ანალიზური
აღრიცხვა, დამტკიცებული ხარჯთნუსხის შესაბამისად ღონისძიებათა
მიხედვით ცალ-ცალკე!

წლის დამთავრებისას, გასულ წელზე მისაკუთნებელი ყველა:
ოპერაციის აღრიცხვის დავთრებში ასახვის შემდეგ, ხდება საკასო
ხარჯების ჩამოწერა. შემოსავლებისა და საკასო ხარჯებს შორის სხვა-
ობა გვიჩვენებს ბიუჯეტის სახსრების ნაშთს მომდევნო წლის დასაწყი-
სისათვის, რომელიც უნდა უდრიდეს სოფლის საბჭოს მიმდინარე ან-
გარიშზე და სალაროში არსებული თანხების ჯამს.

1 ბუხალტერია, ანალიზი და კონტროლი, ტ. II, გვ. 618—625.

სოფლის საბჭოს სალაროში ბიუჯეტგარეშე სახსრების ფულის მიღებისა და სალაროდან ფულის გაცემის აღრიცხვა წარმოებს მოლარე-მონაგარიშის მიერ სალაროს დავთარში ფორმა № 440.

სალაროს დავთარი წარმოებს ორ ეგზემპლარად, ბურთულიანი კაღით ან ქიმიური ფანქრით გადასაღები ქაღალდის საშუალებით. ფურცლების პირველი ეგზემპლარები რჩება სალაროს დავთარში, ხოლო მეორე (მოსახვევი ფურცლები) საბუთებთან ერთად გადაეცემა ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის მთავარ (უფროს) ბუხჰალტერს, როგორც სალაროს ანგარიში. სალაროს დავთარში ჩანაწერები წარმოებს ყოველდღიურად, ოპერაციების წარმოქმნის კვალობაზე.

სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს ფულის დაცვა სალაროში, აგრეთვე ბანკის დაწესებულებიდან მოტანისას და ბანკის დაწესებულებაში ჩაბარებისას.

მოლარის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს ამოწმებს ცენტრალიზებული ბუხჰალტერია და მის საფუძველზე ხდება ჩაწერა სალაროს ოპერაციების მაგროვებელ უწყისში ფ. № 380 (მემორიალური ორდერი № 1) და ანალიზური აღრიცხვის სხვა რეგისტრებში. № 1 მემორიალური ორდერით ერთი თვის ბრუნვების საერთო თანხიდან გამოაკლდება ბრუნვები მიმდინარე ანგარიშის მიხედვით.

თუ სალაროს შემოწმებისას ფულის დანაკლისი ან ნამეტი აღმოჩნდა, დგება აქტი, რომლის ასლი დაუყოვნებლივ ეგზავნება რაიონულ საფინანსო განყოფილებას. ფულის ნამეტი აიღება სალაროს დავთრის შემოსავალში, აგრეთვე შემოსავლების დავთრის, „დანარჩენი შემოსავლების“ სვეტში, ხოლო დანაკლისი ტარდება გასავალში; ერთდროულად, დანაკლისის თანხები იწერება ანგარიშსწორების დავთარში, დამნაშავე პირის ანგარიშზე (ანგ. № 170).

კ ა პ ი ტ ა ლ უ რ დ ა ბ ა ნ დ ე ბ ა თ ა აღ რ ი ც ხ ვ ა . დამოუკიდებელ ბიუჯეტურ დაწესებულებებში ბიუჯეტურ დაწესებულებებს კაპიტალურ დაბანდებაზე სახსრები ეძლევათ ახალი შენობების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობაზე. აგრეთვე დაწესებულების გაფართოებასა და მისი სათავსების რეკონსტრუქციაზე და სხვ. კაპიტალური დაბანდების ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს ცენტრალური ბუხჰალტერიის საერთო ბალანსზე (ან დამოუკიდებელ ბალანსზე, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის დადგენილი აღრიცხვის წესით).

კაპიტალურ დაბანდებათა ოპერაციების აღრიცხვა ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის საერთო ბალანსზე ხორციელდება ანგარიშთა გეგმით გათვალისწინებულ შემდეგ სუბანგარიშებზე;

№ 040 — „სამშენებლო მასალები და დასადგმელი მოწყობილობა“; № 150 — „ანგარიშსწორება მიმწოდებლებთან და მოიჯარებებთან“;

№ 203 „ბიუჯეტის ხარჯები ახალ მშენებლობაზე“; № 210 — „გასანაწილებელი ხარჯები“; № 212 — „ახალ მშენებლობასა და რეკონსტრუქციაზე სპეციალური სახსრებიდან გაწეული ხარჯები“.

კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება ბიუჯეტიდან ხორციელდება კრედიტების გახსნის წესით საგასავლო განრიგი ფ. № 12 მიხედვით. გახსნილი კრედიტების მიხედვით ბანკის დაწესებულებებში ჩარიცხული ფულადი სახსრები აისახება შემდეგი გატარებით:

დებეტი სუბანგარიში № 093 „გახსნილი კრედიტები კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად“;

კრედიტი — სუბანგარიში № 231 „კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება ბიუჯეტიდან“.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მეთოდურ მითითებებში კაპიტალურ დაბანდებაზე ანგარიშსწორების განსაზღვრული წესით გახსნილი კრედიტები და დანახარჯები ახალმშენებლობასა და რეკონსტრუქციაზე აღირიცხება № 309-ბ ფორმის ტიპურ დავთარში, სადაც კაპიტალური დაბანდების თითოეულ ობიექტს ეხსნება ცალკე ანგარიში.

საპროექტო ორგანიზაციისაგან მიღებული საპროექტო-სახარჯთნუსხო დოკუმენტაცია აღირიცხება მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის დავთარში, სადაც საპროექტო-სახარჯთნუსხო დოკუმენტაციას მშენებლობის თითოეული ობიექტების მიხედვით ეხსნება ცალკე ანგარიში, მშენებლობის ობიექტის დამთავრებისა და კომისიის შიერ მისი მიღების შემდეგ საპროექტო-სახარჯთნუსხო დოკუმენტაციის ღირებულება შეიტანება ობიექტის საერთო ღირებულებაში და ჩამოიწერება საპროექტო-სახარჯთნუსხო დოკუმენტაციის აღრიცხვის ანგარიშიდან.

დასადგმელი მოწყობილობა, სამშენებლო მასალები და კონსტრუქციები აღირიცხება მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის დავთარებში, სადაც თითოეული სახის ფასეულობისათვის იხსნება ანგარიში თითოეული ობიექტის, აგრეთვე საწყობისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიხედვით.

ანგარიშსწორება მიმწოდებლებთან, მოიჭარებთან და მშენებლობასთან აღირიცხება № 292 ფორმის ტიპურ დავთარში, სადაც ყოველ ცალკეულ საწარმოს ან ორგანიზაციას ეხსნება ანგარიში, ამავე დავთარში აღირიცხება კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება და საპროექტო-სახარჯთნუსხო დოკუმენტაციის ფონდი, რომელიც იქმნება საპროექტო ორგანიზაციებიდან მიღებულ საპროექტო-სახარჯთნუსხო დოკუმენტაციის ანგარიშში და რომელზეც ერთი საერთო ანგარიში იხსნება.

2. სპეციალური სახსრების აღრიცხვა დამოუკიდებელ
ბიუჯეტურ დაწესებულებაში

საბიუჯეტო დაწესებულებებს, როგორც ითქვა, აქვთ სპეციალურ სახსრებად წოდებული ისეთი შემოსავლები, რომლებიც ბიუჯეტის გარეშე წყაროებიდან არის მიღებული. ამის გამო სპეციალური სახსრები არ შეიტანება ბიუჯეტის შემოსავლებში, მათ საბიუჯეტო დაწესებულებათა ხელმძღვანელები ხარჯავენ დამტკიცებული ხარჯთუნსების მიხედვით, მთავრობის დადგენილებებში მითითებულ სპეციალურ ღონისძიებაზე, ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში ასახვის გარეშე. ცენტრალიზებული ბუხპალტერიის მომსახურებულ დაწესებულებებს მოქმედი დებულების თანახმად შეიძლება ჰქონდეთ შემდეგი სახის სპეციალური სახსრები:

1. დაწესებულების განკარგულებაში არსებული შენობებიდან საიჯარო და საბინაო ქირა, აგრეთვე სხვა სახის შემოსავლები (მაგალითად, კურსების სამეცადინოდ, არდადეგების დროს სასკოლო შენობის იჯარის ქირა). ეს სახსრები იხარჯება შენობის შენახვასა და რემონტზე;

2. დაწესებულების კუთვნილი ტრანსპორტის სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე მიქირავების შედეგად მიღებული შემოსავალი. ეს სახსრები გამოიყენება მოცემული დაწესებულების ტრანსპორტის შევსებაზე, რემონტსა და შენახვაზე;

3. სამკითხველოში მკითხველებისაგან შემოსული თანხები გაფუჭებული და დაკარგული წიგნების ასანაზღაურებლად. ეს თანხები გამოიყენება სამკითხველოსათვის წიგნების შესაძენად;

4. შემოსავალი დამხმარე მეურნეობებისა და სასწავლო-დამხმარე საწარმოების საწარმოო საქმიანობიდან. ეს შემოსავლები იხარჯება სასწავლო-დამხმარე საწარმოებისა და დამხმარე მეურნეობების ორგანიზაციაზე, შენახვასა და გაფართოებაზე, აგრეთვე შესაბამისი დაწესებულებების სამეურნეო და საოპერაციო საჭიროებაზე.

5. შემოსავლები ლექციებიდან, კონცერტებიდან, წარმოდგენებიდან და სხვა ღონისძიებებიდან. ამოგებული თანხები გამოიყენება ლექციების, კონცერტების, წარმოდგენების მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად.

სპეციალური სახსრების შემოსავლებსა და ხარჯებზე დგება სპეციალური სახსრების შემოსავლებისა და ხარჯების ხარჯთუნსები ყოველ ცალკეულ დაწესებულებაზე.

მომსახურებულ დაწესებულებათა სპეციალური სახსრების ხარჯთუნსების საფუძველზე ცენტრალიზებული ბუხპალტერია აკეთებს ერთ ნაკრებ ხარჯთუნსას და ბიუჯეტურ ხარჯთუნსებთან ერთად უდგენს საფინანსო ორგანოს.

საფინანსო ორგანოს ნებადაურთველად ხარჯთნუსხების შეცვლა დაუშვებელია. თუ საანგარიშო წლის განმავლობაში გამოირკვა, რომ შემოსავლების მიღება მოსალოდნელია ხარჯთნუსხის ზევით, მაშინ დამატებითი ხარჯთნუსხა დგება საფინანსო ორგანოებთან შეთანხმებით. თუ სპეციალური სახსრები არ შემოვიდა სრული მოცულობით, მაშინ ცენტრალიზებული ბუხპალტერია ვალდებულია შესაბამის მომსახურებულ დაწესებულებას პროპორციულად შეუმციროს ხარჯები ხარჯთნუსხის შეუცვლელად.

სპეციალური სახსრები ინახება სახბანკოს დაწესებულებაში ბიუჯეტური სახსრებიდან გამოყოფილად ერთ მიმდინარე ანგარიშზე, რომელსაც ცენტრალიზებული ბუხპალტერია ხსნის ყველა მომსახურებელი დაწესებულებისათვის.

სპეციალური სახსრების შემოსავლებისა და მისი მიმდინარე ანგარიშის ოპერაციების ანალიზური აღრიცხვა, აგრეთვე სპეციალური სახსრების ანგარიშში გაწეული ხარჯების აღრიცხვა წარმოებს № 297-ბ ფორმის დაეთარში, სადაც ცალკე ანგარიში იხსნება სპეცსახსრების სახესა და წყაროზე.

სპეციალური სახსრების შემოსავლები გადამხდლებისაგან შეიძლება შემოვიდეს უნაღდო ანგარიშსწორებით ან ნაღდი ფულით.

უნაღდო ანგარიშსწორების მისაღები სპეციალური სახსრების და-რიცხვის შემთხვევაში ხელშეკრულებისა და სხვა საბუთების საფუძველზე მისაღები თანხა იწერება „სხვა დებიტორებისა და კრედიტორების ანგარიშის“ № 178 სუბანგარიშის დებეტში და „სპეციალური შემოსავლების“ № 400 სუბანგარიშის კრედიტში. სახსრების მიმდინარე ანგარიშზე დებიტორების მიერ ჩარიცხული თანხები აისახება № 111 სუბანგარიშის დებეტსა და № 178 სუბანგარიშის კრედიტში. სპეციალური სახსრების ნაღდი ფულით მიღების დროს გადამხდელს უნდა მიეცეს ტიპობრივი ფორმის ქვითარი, რომელიც ივსება ქიმიური ფანქრით, ორ ეგზემპლარად, გადასაღები ქაღალდით. ცენტრალიზებული ბუხპალტერიის სალაროში ნაღდი ფულით მიღებული სპეციალური სახსრები აისახება № 120 სუბანგარიშის დებეტში, № 400 სუბანგარიშის კრედიტთან კორესპონდენციით სალაროში მიღებული სპეციალური სახსრების შემოსავლები დაუყოვნებლივ უნდა შეიტანონ ბანკში. ნაღდი ფულის სპეცსახსრების მიმდინარე ანგარიშზე შეტანილი თანხები ჩამოიწერება სალაროს სუბანგარიშიდან და დაეწერება სპეციალური სახსრების მიმდინარე ანგარიშს.

სპეციალური სახსრების ანგარიშში წარმოებული ხარჯები აისახება „სპეციალური სახსრების ხარჯების“ № 211 სუბანგარიშის დებეტში, რომელიც წლის ბოლოს იხურება მისი ჯამის № 400 სუბანგარიშის დებეტში ჩაწერით.

ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის მომსახურებულ დაწესებულებებში სპეციალური სახსრების გარდა შეიძლება ჰქონდეთ სხვა ბიუჯეტგარეშე სახსრები: „თანხები დავალებით“ და „დეპოზიტური თანხები“. აქედან პირველი („თანხები დავალებით“) დაკავშირებულია სხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დავალებების შესრულებასთან; მეორე („დეპოზიტური თანხები“) იქმნება დაწესებულებათა განკარგულებაში დროებით შემოსული ისეთი სახსრებით, რომლებიც ექვემდებარება შემომტანებისათვის დაბრუნებას მოთხოვნისთანავე ან კუთვნილებისამებრ გადაცემას განსაზღვრულ დროში.

ბიუჯეტგარეშე სახსრების სინთეზური აღრიცხვა წარმოებს „უურნალ-მთავარ“ დავთარში, ბიუჯეტის სახსრების ოპერაციებთან ერთად.

ანალიზური აღრიცხვა ხორციელდება ბიუჯეტის ხარჯთნუსხის შესრულების ოპერაციებისაგან განცალკევებით, ტიპობრივი ფორმის ერთსა და იმავე დავთრებში საერთო წესით.

ისევე როგორც ბიუჯეტური დაწესებულებების, საერთოდ სოფლების, დაბებისა და ქალაქების (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებებსაც, საბიუჯეტო სახსრების გარდა, შეიძლება ჰქონდეთ თავიანთ განკარგულებაში სპეციალური სახსრები, რომლებიც, მოქმედი დებულების თანახმად, შეიძლება დახარჯონ გარკვეული მიზნებისათვის ბიუჯეტიდან, ასიგნების ზევით.

ყველა სახის სპეციალურ სახსრებზე შედგენილი და დადგენილი წესით უნდა დამტკიცდეს შემოსავლებისა და გასავლების ხარჯთნუსხები ისეთივე ფორმით, როგორც წინა პარაგრაფებშია განმარტებული.

სპეციალური სახსრების ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს სოფლის ბიუჯეტებისა და ბიუჯეტურ დაწესებულებათა საგასავლო ხარჯთნუსხების შესრულების აღრიცხვისათვის დადგენილი წესით.

სოფლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება

1. მოსაგზადებელი საფუძოვები

ცენტრალიზებული ბუხპალტერია თავის სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის ხარჯთნუსხას თვითონ ადგენს ისეთივე წესითა და იმავე ფორმებში, რაც მიღებულია მათი მომსახურების დაწესებულებისათვის. გარდა ამისა, გაერთიანებაში შემავეალი დაწესებულებებისადმი ოპერატიული ხელმძღვანელობისა და მათი სახსრების ხარჯვაზე აქტიური კონტროლის განხორციელებისათვის, ცენტრალიზებულმა ბუხპალტერიამ ცალკეულ დაწესებულებათა დამტკიცებული ხარჯთნუსხების მონაცემების საფუძველზე უნდა ააგოს გაერთიანებული ხარჯთნუსხა ხარჯების მუხლების მიხედვით, მაგრამ ისეთი ფორმით, რომელიც უზრუნველყოფს ანგარიშგების სათანადო მაჩვენებლებს, და, სადაც თვალსაჩინოდ იქნება წარმოდგენილი ხარჯების წლიური დანიშნულება და კვარტალური განაწილება მუხლობრივად.

ბიუჯეტურ დაწესებულებათა ხარჯთნუსხების შესრულების ანგარიშგებას საფუძვლად უდევს ზემოთ განხილული ხარჯთა მუხლები, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშგება დგება საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, რომელიც ასახავს შემოსავლებს და ხარჯებს: კარების, პარაგრაფებისა და მუხლების კრილში. ამ ნიშნით სოფლის საბჭოები რაიონულ საფინანსო განყოფილებებს უდგენენ ბიუჯეტისა და თვითდაბეგერის ანგარიშგებას.

ანგარიშგებათა შედგენისათვის საჭიროა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. სოფლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებათა შედგენამდე, ბიუჯეტის შესრულების შედეგების გამოყვანის შემდეგ, უნდა დაიხუროს „დაწესებულების შესანახი ხარჯების“ № 200 და „სპეციალური სახსრების ხარჯების“ № 211 სუბანგარიშები. ხსენებული სუბანგარიშების დებეტის მთელი წლის ბრუნვების ჯამი უნდა ჩამოიწეროს შემდეგი მუხლებით:

ა) ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯები: — დებეტი, სუბანგარიში № 230 „დაწესებულების ხარჯების დაფინანსება ბიუჯეტიდან“. კ-ტი სუბანგარიში № 200 „დაწესებულების შესანახი ხარჯები“.

ბ) სპეციალური სახსრების ფაქტიური ხარჯები: დებეტი, სუბანგარიში № 400 „სპეციალური სახსრების შემოსავლები“.

კრედიტი, სუბანგარიში № 211 „ხარჯები სპეციალური სახსრებით“ ანგარიშების დახურვის (დასკვნის) შემდეგ დაჯამდება როგორც სინთეზური, ასევე ანალიზური აღრიცხვის ჩანაწერები, საჭიროა მათი ურთიერთთან შედარებაც.

წლიური ანგარიშგების შედგენისათვის საჭირო მოსამზადებელ სამუშაოებს მიეკუთვნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება — წლიური ინვენტარიზაცია, რომელიც ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში ტარდება მოქმედი დებულების შესაბამისად.

დებულების თანახმად ინვენტარიზაცია უნდა ჩატარდეს: შენობების, ნაგებობებისა და გადაძვები მოწყობილობებისა ორ წელიწადში ერთხელ მაინც; ბიბლიოთეკის ფონდებისა ამ ბიბლიოთეკის ზემდგომი ორგანიზაციის მიერ დადგენილ ვადებში; სხვა ძირითადი საშუალებების, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნებისა — წელიწადში ერთხელ მაინც, მაგრამ არა უადრეს საანგარიშგებო წლის 1 ნოემბრისა, ცენტრალიზებულ ბუხჰალტერიებში ინვენტარიზაციის დაწყება დაშვებულია 1 სექტემბრიდან.

ინვენტარიზაციის ჩასატარებლად სოფლის საბჭოებში იქმნება ცენტრალური საინვენტარიზაციო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე. ცენტრალური საინვენტარიზაციო კომისია ატარებს სოფლის საბჭოს და საბჭოს ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის მატერიალურ, ფულად და ანგარიშსწორებებში მყოფი სახსრების ინვენტარიზაციას. ცენტრალური საინვენტარიზაციო კომისიის ბრძანების საფუძველზე, მომსახურებული ბიუჯეტური დაწესებულებების ხელმძღვანელები ქმნიან ადგილობრივ საინვენტარიზაციო კომისიებს, რომლის ხელმძღვანელობაც ეკისრებათ მოცემული დაწესებულებების ხელმძღვანელს ან მის მოადგილეს. საინვენტარიზაციო კომისიებში (როგორც ცენტრალურში, ისე ადგილობრივში) საჭიროა მონაწილეობდეს ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის წარმომადგენელი. საინვენტარიზაციო კომისია თავისი მუშაობის შედეგებს, წინადადებებს და დასკვნებს

აფორკვებს ოქმით. ადგილობრივი საინვენტარიზაციო კომისიის ოქმს ამტკიცებს მოცემული დაწესებულების ხელმძღვანელი, ხოლო ცენტრალური საინვენტარიზაციო კომისიის ოქმს — სოფლის საბჭოს თავმჯდომარე.

ინვენტარიზაციის შედეგები (ზედმეტობა ან დანაკლისი) საჭიროა აისახოს ბუხპალტრულ აღრიცხვაში ინვენტარიზაციის დამთავრებიდან 10 დღის განმავლობაში.

ინვენტარიზაციის შედეგებზე საჭიროების მიხედვით დგება შემდეგი ბუხპალტრული მუხლები: კვების პროდუქტების და მასალების ზედმეტობაზე — დებეტი, სუბანგარიშები № 060—069, კრედიტი, სუბანგარიში № 230.

კვების პროდუქტებისა და მასალების დანაკლისზე, თუ ეს დანაკლისი მიღებულია დაწესებულების ხარჯზე — დებეტი, სუბანგარიში № 230, კრედიტი სუბანგარიშები №№ 060—069, ხოლო თუ დანაკლისი უნდა დაეწეროს მატერიალურად პასუხისმგებელ პირს, მაშინ: დებეტი, სუბანგარიში № 170, კრედიტი, სუბანგარიშები №№ 060—069; მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ზედმეტობაზე — დებეტი, სუბანგარიშები № 070 ან 071 და კრედიტი, სუბანგარიში № 260.

მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების დანაკლისზე (დაწესებულების ხარჯზე) — დებეტი, სუბანგარიში № 260 და კრედიტი, სუბანგარიში № 070 ან № 071 (შესაბამისად).

მატერიალურად პასუხისმგებელ პირზე მიკუთვნებული მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების დანაკლისზე — დებეტი, სუბანგარიში № 170 და კრედიტი, სუბანგარიში № 070 ან 071. ერთდროულად შედგება მეორე მუხლიც: დებეტი, სუბანგარიში № 260 და კრედიტი სუბანგარიში № 173.

ძირითადი საშუალებების ზედმეტობაზე — დებეტი, სუბანგარიშები № 013—019, კრედიტი, სუბანგარიში № 250 და სუბანგარიში № 020;

ძირითადი საშუალებების დანაკლისზე, როცა დანაკლისი უნდა ჩამოიწეროს დაწესებულების ანგარიშზე — დებეტი, სუბანგარიში № 250 და № 020 და — კრედიტი, სუბანგარიში № 013—019, ხოლო როცა დანაკლისი უნდა გადახდეს მატერიალურად პასუხისმგებელ პირს, მაშინ დებეტი, სუბანგარიში № 250 და სუბანგარიში № 020, კრედიტი სუბანგარიში № 013—019. ერთდროულად შედგება მეორე მუხლიც. დებეტი, სუბანგარიში № 170 და კრედიტი სუბანგარიში № 173 (გადასახდევინებელ თანხაზე);

სალაროს ზედმეტობაზე — დებეტი, სუბანგარიში № 120 და კრედიტი, სუბანგარიში № 407, ხოლო დანაკლისზე: დებეტი, სუბანგარიში № 170 და კრედიტი, სუბანგარიში № 120. ერთდროულად ამ ობე-

რაციაზე უნდა შედგეს მეორე მუხლიც: დებეტი, სუბანგარიში № 407 და კრედიტი, სუბანგარიში № 173.

2. ანგარიშების შიგნითადადგენა

სასოფლო საბჭოები რაიონულ საფინანსო განყოფილებებს უდგენენ ბიუჯეტისა და თვითდაბეგვრის სახსრების შესრულების შემდეგ ანგარიშგებას:

ფორმა № 1 — ბიუჯეტის შესრულების ბალანსი;

ფორმა № 2 — ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება (შემოკლებული);

ფორმა № 2 — ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება (კვარტალური);

ფორმა № 3 — ანგარიშგება თვითდაბეგვრის გაანგარიშების შედეგების შესახებ;

ფორმა № 4 — ანგარიშგება სპეციალური სახსრების შემოსავალგასავლის ნუსხების შესრულების შესახებ;

ფორმა № 4-ბ — ცნობა საყოველთაო სწავლების ფონდის სახსრების შემოსავლისა და ხარჯვის შესახებ;

ფორმა № 4-თ — ანგარიშგება თვითდაბეგვრის შემოსავლისა და ხარჯვის შესახებ;

ფორმა № 5 ცნობები ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების სახსრების ნაშთების შესახებ ანგარიშსწორებებსა და მასალებში, და ძირითადი საშუალებების შესახებ;

ფორმა № 15 — ანგარიშგება ფულადი სახსრების და მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისებისა და დატაცებების შესახებ საბიუჯეტო დაწესებულებებში;

ცნობა მიზნობრივი სახსრების ანგარიშში ხარჯებზე მიმართული თანხების შესახებ.

1-ლი იანვრისათვის სასოფლო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგებას თან უნდა ახლდეს ბანკების დაწესებულებებისა და შემნახველი სალაროების მიერ დადასტურებული ცნობები საბიუჯეტო სახსრების იმ ნაშთების შესახებ წლის ბოლოსათვის, რომლებიც იმყოფებიან მიმდინარე ანგარიშებზე ბანკებში და შემნახველ სალაროებში¹.

შედგენის ვადების მიხედვით ანგარიშგება იყოფა თვიურ, კვარტალურ და წლიურ ანგარიშგებად.

¹ დანართი სსრკ ფინანსთა სამინისტროს 1975 წ. 24 დეკემბრის № 118 ინსტრუქციისა.

ანგარიშგების მონაცემები უნდა იყოს ზუსტი და რეალური, რისთვისაც ანგარიშგების შედგენამდე შესაძლებელი უზუსტობებისა და შეცდომების გამოსავლინებლად და გამოსასწორებლად აწარმოებენ სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის მონაცემების ურთიერთშედარებას, სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის მონაცემების ურთიერთშედარების შედეგად გამოვლინებული სხვაობა რეგულირდება სათანადო გასწორებით.

სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის სათანადო მონაცემების ურთიერთშედარების შემდეგ დგება „თვიური ანგარიშგება ბიუჯეტის შესრულებაზე“ (ფ. № 2). ამ ანგარიშგების საშემოსავლო ნაწილში მონაცემები გადაიტანება „შემოსავლების დავთრიდან“ (ფ. № 16), ხოლო საგასავლო ნაწილში „ასიგნებების, საკასო და ფაქტიური ხარჯების აღრიცხვის დავთრიდან“ (ფ. № 309-ს).

თვიური ანგარიშგების (ფ. № 2) როგორც საშემოსავლო, ისე საგასავლო ნაწილში მონაცემები შეიტანება საბიუჯეტო კლასიფიკაციის კარებისა და პარაგრაფების მიხედვით.

ბიუჯეტის შესრულების თვიურ ანგარიშგებაში (ფ. № 2) „სულ ხარჯების ჯამის“ შემდეგ საბიუჯეტო სახსრების ნაშთი ნაჩვენები უნდა იქნეს „შემოსავლების ხარჯებზე გადაშვების“ და „სალაროს საბრუნავი ნაღდი ფულის“ სტრიქონებზე. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის თვიურ და კვარტალურ ანგარიშგებაში მოცემულია ცნობა არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთზე, რომელშიც ცალ-ცალკე უნდა უჩვენონ: ნაშთი სახბანკში მიმდინარე ანგარიშზე, კაპდაბანდების ანგარიშსა და საბჭოს სალაროში. აღნიშნული ნაშთების ცნობის შემდეგ შეიტანება „სოფლის საბჭოს დავალიანება გაუცემელი ხელფასით“.

ბიუჯეტის შესრულების ფორმა № 2 ანგარიშგებები დგება წლის დასაწყისიდან ნაზარდი ჯამებით, აქედან გამომდინარე, დეკემბრის თვის ანგარიშგება წარმოადგენს წლიურ ანგარიშგებას, ხოლო მარტის, ივნისისა და სექტემბრის თვეების ანგარიშგებები — კვარტალურს.

ბიუჯეტის შესრულების თვიური და კვარტალური ანგარიშგების (ფ. № 2) საშემოსავლო ნაწილში „წლის დასაწყისისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთი, ხარჯების დასაფარავად მიმართული თანხების გამოკლებით“ სტრიქონზე ნაჩვენები თანხა უნდა უდრდეს ამავე ანგარიშგების „სალაროს საბრუნავი ნაღდი ფულის“ სტრიქონზე ნაჩვენებ თანხას, რომელშიც შეტანილია აგრეთვე საბიუჯეტო სახსრების თავისუფალი ნაშთი.

კვარტალური ანგარიშგება ფ. № 2 ოთხი ნაწილისაგან შედგება: I. შემოსავლები; II. ხარჯები; III. დანარჩენი მაჩვენებლები და IV. ცნობები დაწესებულებათა ქსელზე შტატებისა და კონტინგენტ-

ბის შესახებ. ბიუჯეტით მიღებული წლიური დანიშნულებისა და შესრულების შესახებ მონაცემები აისახება საბიუჯეტო კლასიფიკაციის ყველა კარის მიხედვით. პირველ ნაწილში შემოსავლებზე — თითოეული კარის, თავის და პარაგრაფის მიხედვით, მეორე ნაწილში ხარჯებზე — თითოეული კარის, თავის, პარაგრაფის და მუხლის მიხედვით. ამასთანავე ფ. № 2 ანგარიშგების შემოსავალში თანხები აისახება შემოსავლების ცალკეული სახეების მიხედვით (გადამხდელებზე დაბრუნებული თანხების გამოკლებით), ხოლო ხარჯებში — საკასო ხარჯების თანხები, აღრე გაცემულიდან დაბრუნებული თანხების გამოკლებით.

თვითური და კვარტალური ანგარიშგების მეორე ნაწილის ბოლოს ცნობაში უჩვენებენ საბიუჯეტო სახსრებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის:

ა) მიმდინარე ანგარიშზე სახბანკში (შემსალაროში);

ბ) სასოფლო საბჭოს სალაროში. ამას გარდა, სასოფლო (სადაბო) საბჭოებში, რომლებსაც აქვთ ასიგნებანი კაპიტალური დაბანდებების დაფინანსებისათვის, რაც ხორციელდება სათანადო ბანკებში გახსნილი ანგარიშებიდან, ცნობაში ცალკე სტრიქონით აჩვენებენ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამ მიზნებისათვის გამოუყენებელი სახსრების ნაშთს.

კვარტალური ანგარიშგების (ფ. № 2) მეორე ნაწილში „სულ ხარჯების ჯამის შემდეგ“, გამოიყოფა მაჩვენებლები, მათ შორის:

ა) არასაშტატო მუშაკთა ხელფასი; ბ) უფასოდ გაცემული ბინების და კომუნალური მომსახურების ხარჯები. წლიურ ანგარიშგებაში აისახება ცალკე ხელფასის ხარჯები ცალკე სტრიქონებზე (ხარჯების ჯამის ქვეშ) კარების მიხედვით, ასევე შესაბამისი პარაგრაფებისა და კარების მე-3 მუხლის „საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯების“ შემდეგ ცალკეული სტრიქონებით, მათ შორის აისახება „ხარჯები უფასოდ გაცემული ბინებისა და კომუნალური მომსახურებისათვის“. ამ ანგარიშის მესამე ნაწილში „სხვა მაჩვენებლები“, აისახება „ა“ ლიტერით სოფლის საბჭოს დავალიანება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის: 1) გაუცემელი ხელფასებით; 2) გაუცემელი პენსიებით და დახმარებებით და 3) დაწესებულებისა ორგანიზაციისადმი. ამ მაჩვენებლების შევსების საფუძველს წარმოადგენს პენსიებისა და დახმარებების გაცემის უწყისები და აგრეთვე საანგარიშსწორებო დავთრის ჩანაწერები;

„ბ“ ლიტერით — „თვითდაბეგვრის გადასახდელების თანხები, რომლებიც შემოსულია წლის დასაწყისიდან. ეს მონაცემები შეიტანება შემოსავლების დავთრიდან და დახარჯული თვითდაბეგვრის სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

ანგარიშგების (ფ. № 2) მეოთხე ნაწილში უჩვენებენ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის: სოფლის ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ფაქტიურ რაოდენობას, საშტატო ერთეულების რაოდენობას, კლასების რაოდენობას, სკოლებში და სკოლა-ინტერნატებში მოსწავლეთა რაოდენობას და სხვა მაჩვენებლებს ქსელის, შტატებისა და კონტინგენტების გეგმის შესრულებაზე.

გარდა განხილული ანგარიშგებებისა, სოფლის ბიუჯეტის შესრულებაზე ადგენენ დანართ ანგარიშგებებს: 1. „ძირითადი საშუალებების მოძრაობის ანგარიშგება“ და 2. „ბიუჯეტის ხარჯებზე მიმართული თანხების ცნობა“, რომელიც წარედგინება საფინანსო ორგანოს 1 იანვრისათვის, წლიურ ანგარიშგებასთან (ფ. № 2) ერთად.

ბიუჯეტის აღრიცხვის მექანიზმის საფუძვლები

ბიუჯეტისა და ხარჯთნუსხების შესრულების აღრიცხვის მექანიზმის გაფართოების მიზნით სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ განსაზღვრა გამომთვლელ მანქანებზე შესასრულებელი სამუშაოები შემდეგი შემადგენლობით: „ბიუჯეტების (ადგილობრივი ბიუჯეტების, მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის) შესრულების ნაკრებისა და მათთან ანალიზური ცხრილების შედგენა, ბიუჯეტის შესრულების ბუხჰალტრული და ოპერატიული აღრიცხვის მონაცემების (შემოსავლების, ფულადი სახსრების, ხარჯებისა და სხვა) გაანგარიშება, ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშგების შედგენა და მასთან დაკავშირებული ცენტრალიზებული აღრიცხვის მაჩვენებლების დეტალიზაცია და სხვა.

ბიუჯეტისა და ხარჯთნუსხების შესრულების აღრიცხვის ცენტრალიზაცია მოითხოვს აღრიცხვის მექანიზმის სხვადასხვა ფორმას. მაგალითად, ქალაქებსა და ცალკეულ რაიონულ ცენტრებში შესაძლებელია შრომატევადი სამუშაოების შესრულება სტატისტიკური სამმართველოს გამომთვლელი მანქანების დანადგარებისა და სხვა ორგანიზაციების ჩვეულებრივ გამოთვლით ცენტრებში, ურთიერთშეთანხმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ხარჯთნუსხების შესრულების ცენტრალიზებული აღრიცხვისა და მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების დაპროექტების სპეციალურმა ბიურომ დიდი ხანია შეიმუშავა აღრიცხვის მექანიზმის პროექტები განათლების და ჯანმრთელობის დაცვის ქსელის ცენტრალიზებული ბუხჰალტერიებისათვის. ამჟამად რაიონული დაქვემდებარების ქალაქებში არსებული ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების შრომატევადი სააღრიცხვო სამუშაოების მექანიზმის დასახელებული პროექტების შესაბამისად მიმდინარეობს. იქმნება აგრეთვე აღრიცხვის მექანიზმის ახალი პროექტები საჭიროების შემთხვევებში.

ამ პროექტს მიხედვით ხელფასის, კვების პროდუქტების, საბავშვო დაწესებულებებში ბავშვების შენახვისათვის მშობელთა გადასახდელების გამოანგარიშება და სხვა სახის შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია ხორციელდება რაიონულ გამომთვლელ მანქანათა დანადგარებში თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით.

აღრიცხვის მექანიზაცია მოითხოვს გამოთვლითი დანადგარების პერსონალისა და ცენტრალიზებული ბუხპალტერიების მუშაკთა შეთანხმებულ საქმიანობას, რამდენადაც ოპერატიული და ბუხპალტრული აღრიცხვის მოსამზადებელი და დასკვნითი სამუშაოები ცენტრალიზებულ ბუხპალტერიებში წარმოებს.

ცენტრალიზებულ ბუხპალტერიაში შედგენილი საბუთები, რომელიც ექვემდებარება მექანიზაციას შემოწმებისა და სათანადო დამუშავების შემდეგ, ჯგუფდება დაფინანსების წყაროების მიხედვით, ეწყობა საქალაქში და საბუთების მოძრაობის გრაფიკის მიხედვით იგზავნება გამომთვლელ მანქანათა დანადგარში.

ცენტრალიზებული აღრიცხვის მექანიზაციის პროექტი ცენტრალიზებული ბუხპალტერიის მუშაკებს აკისრებს გარკვეულ ვალდებულებას ფუნქციონალური ნიშნის მიხედვით. მაგალითად, ხელფასის აღრიცხვის მექანიზაციის საქროებისათვის ცენტრალიზებული ბუხპალტერიის მუშაკებს ევალებათ:

პირველადი საბუთების მღება, შემოწმება და კონტროლი საბუთების რეკვიზიტების შეესებებასა და გაფორმებაზე;

ეროგვაროვანი საბუთების დაჯომპლექტება ცალკეულ დაწესებულებათა მიხედვით და მათი ჩაბარება გამოთვლელ მანქანათა დანადგარში.

საანგარიშსწორებო-საგადასახდელო დოკუმენტაციის შესადგენად არსებული (ნაწილობრივი) მექანიზაციის შემთხვევაში მათვე ევალებათ მორიგი და დამატებითი შევებულების გამოანგარიშება დადგენილი კოეფიციენტების საშუალებით, შევებულების დღეებისა და დარიცხული ხელფასის აღნიშვნა მუშაკების ბარათ-ცნობებში; შრომისუუნარობის ფორცლების მომზადება და გაგზავნა გამომთვლელ მანქანათა დანადგარში. დამუშავების შემდეგ დაბრუნებული შრომისუუნარობის ფურცლებიდან ავადმყოფობის დღეების მიხედვით გამოანგარიშებული თანხების შტტანა მუშაკების ბარათ-ცნობებში, პირველ ნახევარში გაემგლი ავანსის თანხების კორექტირება უწყისებში და შესწორებული საანგარიშსწორებო უწყისების გაგზავნა გამომთვლელ მანქანათა დანადგარში.

აღსანიშნავია, რომ მუშა-მოსამსახურეების ხელფასისა და ავანსის გამოანგარიშება და დარიცხვა წარმოებს ერთი და იმავე საანგარიშო პერიოდისათვის, ე. ი. თვის 15 და 30—31 რიცხვისათვის. კომპლექ-

სური აღრიცხვის მექანიზაციის შემთხვევაში ყველა კატეგორიის მუშაკის ცნობა-ბარათები იბეჭდება გმდ-ში სამ ეგზემპლარად საანგარიშსწორებო-საგადასახდლო და ნაკრებ უწყისებთან ერთად. მათგან გამოთვლითი მანქანათა დანადგარი ცენტრალიზებულ ბუხპალტერიას უგზავნის მხოლოდ ორ ეგზემპლარს.

ცნობა-ბარათების მეორე ეგზემპლარს იყენებენ მუშაკების გამო-მუშავებაში მომხდარი ცვლილებების, აგრეთვე მათ შორის მოძრაობით (მიღება, გათავისუფლება) გამოწვეული ცვლილებების ასახვად.

ხელფასის კომპლექსური მექანიზაციის პირობებში ცენტრალიზებული ბუხპალტერიის მუშაკებთან ხელფასით ანგარიშსწორებაზე მიიღება საანგარიშგებო მაჩვენებლები შემდეგი საბუთებისა და რეგისტრების სახით: ავანსის საგადასახდლო უწყისი ცალკეულად დაფინანსების წყაროების, დაწესებულებებისა და მუშაკთა კატეგორიების მიხედვით ორ ეგზემპლარად. აქედან პირველი ეგზემპლარი გამოიყენება მუშაკებზე ავანსის გასაცემად, ხოლო მეორე — მომდევნო თვის ავანსის თანხის კორექტირებისათვის.

ცენტრალიზებული ბუხპალტერიის საანგარიშსწორებო ელემენტების მუშაკებს საგადასახდლო უწყისების მეორე ეგზემპლარში შეაქვთ ცვლილებები შემდეგი წესით:

ა) თუ მუშაკის ავანსი შეიცვალა, უწყისში მისი სატაბელო ნომრების გასწვრივ იწერება ავანსის ახალი თანხა, ძველი კი უქმდება;

ბ) ახლად მიღებულ მუშაკზე შეიტანება მიკუთვნებული სატაბელო ნომერი და ავანსის თანხა.

ავანსის შეწყვეტის შემთხვევაში მუშაკის ტაბელის ნომერი და ავანსის თანხა უქმდება (იშლება)¹.

საანგარიშსწორებო ფურცელი დგება გამომთვლელ მანქანათა დანადგარში თვეში ერთხელ სამ ეგზემპლარად და უგზავნება ცენტრალიზებულ ბუხპალტერიას. საანგარიშსწორებო ფურცლის პირველ ეგზემპლარს უკეთდება ყდა და ინახება ბუხპალტერიის საანგარიშსწორებო განყოფილებაში, იგი გამოიყენება შრომისუუნარობის ფურცლებზე თანხების გამოსაანგარიშებლად, შევებულების თანხების გამოსათვლელად, გადასახადების თანხების გადასაანგარიშებლად და სხვ.

საანგარიშსწორებო-საგადასახდლო უწყისი ფ. № 49 იწერება თვეში ერთხელ ერთ ცალად, ცალკეულ დაწესებულებაზე და შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი — საანგარიშსწორებო უწყისი — წარმოადგენს ანალიზური აღრიცხვის რეგისტრს და განკუთვნილია

¹ ასეთივე ცვლილებები აისახება მუშაკების ცნობა-ბარათების მეორე ეგზემპლარზეც.

მუშებთან და მოსამსახურებთან ანგარიშსწორების 180 სუბანგარიშის მიხედვით მიღებული ბრუნვების შესაპოვნებლად.

მეორე ნაწილი — საგადასახდლო უწყისი — ცალკეედება (იკრება) საანგარიშსწორებო უწყისისაგან, დასტურდება ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის ხელმძღვანელის, აგრეთვე მთავარი ბუხჰალტრის ხელმოწერით და სალაროს მეშვეობით ფულთან ერთად ეძლევათ ანგარიშვალდებულ პირებს ხელფასების დასარიგებლად.

ზემოთ დასახელებული უწყისებისა და რეკისტრების გარდა, გამოთვლით მანქანათა დანადგარში ადგენენ: „დაწესებულებების მიხედვით მუშაკთა კატეგორიების, ანაზღაურების სახეებისა და დაკავებულის გადასახადების განაწილების უწყისს“. ეს უწყისი დგება ყოველი თვის ბოლოს ერთ ცალად თითოეული დაწესებულებისა და დაფინანსების წყაროს მიხედვით. იგი გამოიყენება ხელფასის ფონდის ანალიზისათვის მუშაკთა კატეგორიებისა და ხარჯთა მუხლების მიხედვით.

„დაწესებულების მიხედვით ხელფასის ანაზღაურების სახეებისა და დაკავებების განაწილების უწყისი“ დგება ყოველთვიურად ცალკეულ დაწესებულებასა და დაფინანსების წყაროზე ერთ ეგზემპლარად. იგი გამოიყენება ბუხჰალტრული გატარებებისა და ხელფასის ფონდის ანალიზის საწარმოებლად, აგრეთვე სოციალისტური დაზღვევის შესატანების დასარიცხავად.

ნაკრები უწყისი „ცენტრალიზებულ ბუხჰალტერიაში ხელფასის ანაზღაურების დაფინანსების წყაროებისა და დაკავებების მიხედვით“ დგება თვეში ერთხელ ერთ ცალად და გამოიყენება ბუხჰალტრული გატარებებისა და სახელმწიფო ბანკისათვის ცნობების შესადგენად.

შრომისა და ხელფასის აღრიცხვის მექანიზაციასთან დაკავშირებით გამოძთვლელ მანქანათა დანადგარებში იყენებენ სპეციალურ შიფრს, რომელიც აგებულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის ხარჯებისათვის დადგენილი განყოფილებების, პარაგრაფებისა და მუხლების გათვალისწინებით. მაგალითად: ხელფასი — შიფრი 01; სოციალური დაზღვევის დანარიცხები — შიფრი 02;

საკანცელარო და სამეურნეო ხარჯები — შიფრი 03 და ა. შ.

პერსონალის კატეგორიებისათვის დაწესებულია ერთნიშნაანი შიფრი.

სამნიშნაანი შიფრი გათვალისწინებულია გამოყენებული სამუშაო დროის ტაბელის ნომრებისათვის. მაგალითად, ძირითადი მუშაკებისათვის დადგენილია ტაბელის ნომერი 001-დან 799-მდე, შემთავსებელთათვის — 800-დან 899-მდე და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ ტაბელის ნომერი მიეკუთვნება თითოეულ მუშაკს მომსახურებულ დაწესებულებაში მათი მიღების დღიდან მუშაობის მთელი პერიოდისათვის. მუშაკების ტაბელის ნომერი აღინიშ-

ნება ხელფასის აღრიცხვის ყველა საბუთზე. სამსახურიდან მუშაკის გათავისუფლების შემთხვევაში ტაბელის ნომერი ექვს თვეს რჩება თავისუფალი, შემდეგ კი შეიძლება მიეკუთვნოს სხვა მუშაკს.

ერთი ან ორნიშნის შიფრი გათვალისწინებულია აგრეთვე ანაზღაურებისა და დაკავებისათვის, გადასახადის გადამხდელთა კატეგორიებისათვის და ა. შ.

ცენტრალიზებული ბუხპალტერიის მომსახურებელ დაწესებულებათა მუშაკების ხელფასების აღრიცხვის მექანიზაციის ხანმოკლე პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ აუცილებელია ბუხპალტერიისა და მუშაკებისა და გამოთვლითი მანქანების დანადგარის პერსონალის ურთიერთშეთანხმებული მუშაობა. ამიტომ აღრიცხვის მექანიზაციასთან დაკავშირებული საბუთებისა და რეგისტრების ფორმებს, მათი დამუშავების წესებს, აგრეთვე შიფრისა და ცალკეული ნომენკლატურული ნომრის დანიშნულებას კარგად უნდა იცნობდნენ როგორც ცენტრალიზებული ბუხპალტერიის, ასევე გამომთვლელი მანქანების დანადგარის მუშაკები.

ნაწილი მეოთხე

ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების აღრიცხვის ორგანიზაცია საფინანსო ორგანოებსა და ბანკის დაწესებულებებში

თ ა ვ ი XIX

ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენის პრინციპები

1. სახელმწიფო ბიუჯეტის კლასიფიკაცია

სახელმწიფო ბიუჯეტისა და მისი შესრულების ძირითად ობიექტებს წარმოადგენენ საკავშირო, მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების ფაქტიური და საკასო შემოსავლები და ხარჯები. ამიტომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ორგანიზაცია დავალებული აქვთ საფინანსო ორგანოებს. ისინი პასუხისმგებელი არიან ბიუჯეტის შემოსავლების გეგმის შესრულებისა და ბიუჯეტური დაწესებულებების შეუფერხებელი დაფინანსებისათვის. სადაც არ არის საფინანსო ორგანოები, ბიუჯეტის შესრულებას უზრუნველყოფენ სახალხო დეპუტატების შესაბამისი საბჭოების აღმასკომები. სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის შესრულებას ახორციელებენ სსრკ პროფესიონალური კავშირების შესაბამისი ორგანოები.

ბიუჯეტის შესრულებაში დიდ როლს ასრულებენ აგრეთვე სსრკ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და მშენბანკის¹ დაწესებულებები, კერძოდ, სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები ახორციელებენ სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულებას. სახელმწიფო ბანკი თავს უყრის ბიუჯეტის სახსრებს და ანაწილებს მათ შესაბამის ბიუჯეტებს შორის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ კანონით დაწესებული პროცენტული შეფარდებით, აგრეთვე აწარმოებს სახსრების გაცემას საკავშირო, მოკავშირე რესპუბლიკების, რესპუბლიკური და ადგილობ-

¹ მშენბანკის ფუნქციებს ამჟამად ასრულებს ახალი სახელწოდების ბანკი (იხ. თავი XXV, § 3).

რევი ბიუჯეტებით გათვალისწინებული ხარჯების დასაფარავად. ამასთანავე, სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები ახორციელებენ შიდა საბანკო კონტროლს საბიუჯეტო ოპერაციების შესრულებაზე, ხელფასის ფონდისა და სხვა ფულადი სახსრების თითოეული საბიუჯეტო დაწესებულებების ხარჯთნუსხის ფარგლებში გამოყენებაზე. ფინანსურ ორგანოებთან ერთად უზრუნველყოფენ ბიუჯეტის შემოსავლის და გასავლის ოპერაციების სათანადო გაფორმებას საბუთებით, თვალყურს ადევნებენ კრედიტის განმკარგულებელთა ანგარიშებზე ნაშთების მდგომარეობას და აწარმოებენ ბიუჯეტის საკასო შესრულების აღრიცხვა-ანგარიშგებას ბიუჯეტური კლასიფიკაციით.

ბიუჯეტის შემოსავლების მიღებას მოსახლეობიდან აწარმოებენ თვით სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები, შემნახველი სალაროები, სპეციალური საშემოსავლო სალაროები, საფოსტო განყოფილებები და საზალხო დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასკომების სათანადო განყოფილებები.

ბიუჯეტით გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ოპერაციებს უმთავრესად აწარმოებენ მშენებანკის დაწესებულებები, რომლებიც ბიუჯეტის სახსრებს ამ დანიშნულებისათვის გასცემენ კადაბანდებათა დამტკიცებული სატიტულო სიებისა და ხარჯთნუსხის შესაბამისად.

რამდენადაც დაფინანსება ბიუჯეტიდან ცენტრალიზებული წესით ხდება, სამინისტროებს, უწყებებს და სახალხო დეპუტატების შესაბამისი საბჭოების აღმასკომებს დავალებული აქვთ ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების განაწილება დაქვემდებარებულ რგოლებს შორის, აგრეთვე ამ სახსრების ხარჯვის აღრიცხვა-ანგარიშგება და კონტროლი მათ დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე.

რამდენადაც სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბუხპალტრული აღრიცხვის ძირითად ობიექტებს წარმოადგენენ ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები, კონტროლი სახელმწიფო სახსრების დანიშნულებისამებრ და მომპირნეობით გამოყენებაზე აღრიცხვის მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს. უაღრესად დიდია აღრიცხვის როლი მართვის ორგანოების შესანახი ხარჯების გეგმაზომიერ შემეცირებაში. სწორედ საბიუჯეტო აღრიცხვის მონაცემები გვაძლევს სრულ და ზუსტ სურათს ბიუჯეტის შესრულების, ფინანსური საქმიანობის შედეგების, ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობის სწორად და ეფექტიანად გამოყენების შესახებ. ამავე დროს უზრუნველყოფს კონტროლს მათ დაცვაზე.

აღრიცხვის როლი განუზომლად იზრდება, როდესაც იგი მისთვის დამახასიათებელი სიზუსტით მაქსიმალურად ოპერატიულია და აღ-

რიცხვის მონაცემები დროულად გამოიყენება ფინანსების მარჯვისა და ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის კონტროლისათვის.

ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვაში დიდ როლს თამაშობს ბიუჯეტის კლასიფიკაცია, რომელიც ბიუჯეტის ჩამოყალიბების ფორმას წარმოადგენს და განსაზღვრავს მისი შესრულების აღრიცხვის სტრუქტურას და ანგარიშთა სისტემას.

ბიუჯეტის კლასიფიკაცია ასახავს შემოსავლებისა და ხარჯების სოციალურ-ეკონომიკურ შინაარსს, უზრუნველყოფს ბიუჯეტის ზუსტად დაგეგმვისა და შესრულების სისტემაში მოყვანას. მისა საშუალებით დგინდება საკავშირო, მოკავშირე რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯების სტაბილური ნომენკლატურა და ხორციელდება ერთგვაროვანი შემოსავლებისა და ხარჯების დაჯგუფება ბიუჯეტსა და ყველა საბიუჯეტო დოკუმენტში, ხარჯთუნხხაში, შემოსავალ-გასავლის ბალანსში, შემოსავლისა და გასავლის გაანგარიშებაში. გარდა ამისა, ბიუჯეტის კლასიფიკაცია ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზის, წინა წლების ბიუჯეტების მონაცემთა ურთიერთმედარების, საანგარიშგებო წელს ბიუჯეტის შემოსავლების თანაფარდობის გამორკვევის საფუძველს წარმოადგენს. ბიუჯეტის კლასიფიკაციის მეშვეობით ხორციელდება კონტროლი ბიუჯეტისა და ხარჯთუნხხების შესრულებაზე უმაღლესი საბჭოს სესიისა და სახელმწიფო მმართველობის სათანადო ორგანოების მიერ.

ამჟამად პრაქტიკაში მოქმედებს ერთი და იგივე დანიშნულების საბიუჯეტო კლასიფიკაცია: საკავშირო ბიუჯეტისა და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისათვის და ასს რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის.

კლასიფიკაციაში შემოსავლის ძირითადი დანაყოფები წარმოდგენილია ცალკეულ განყოფილებად, რომლებშიც შემოსავლები ჯგუფდება მათი სახეობისა და ამოღების ფორმების მიხედვით. ასე მაგალითად, პირველ განყოფში მოცემულია ბრუნვის გადასახადი, მე-2 განყოფში — მოგების ანარიცხები, მე-3-ში — საშემოსავლო გადასახადი საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან, მე-4-ში — სახელმწიფო გადასახადები მოსახლეობიდან და ა. შ. განაყოფის შიგნით შემოსავლები იყოფა თავებად და პარაგრაფებად.

კლასიფიკაციებში ხარჯები იყოფა ჯგუფებად სახსრების მიმართულების ნიშნის მიხედვით. ასეთებია: სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, სასამართლოსა და პროკურატურის ხარჯები და სხვა. ცალკე ჯგუფებად გამოყოფილია თავდაცვის სამინისტროს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშ-

როების კომიტეტის ხარჯები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების სარეზერვო ფონდები და სხვა. თითოეულ ჯგუფში თავმოყრილია ხარჯები უწყებების მიხედვით, რომლებსაც დათმობილი აქვთ ცალკეული განაყოფები. განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები დაყოფილია ქვეჯგუფებად, ქვეჯგუფი კი პარაგრაფებად, რომლებიც აერთიანებენ საერთო მიმართულების მქონე სხვადასხვა ტიპის დაწესებულებათა ხარჯებს. ასეთ ქვეჯგუფებს ეკუთვნის:

1. განათლება, რომელშიც შედის: ბავშვთა და მოზარდთა საერთო განათლება, აღზრდა და საერთო-საგანმანათლებლო მუშაობა მოზარდითა შორის, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, კადრების მომზადება, მეცნიერება, ბექდევითი სიტყვა, ხელოვნება, რადიომუწყებლობა და სხვა.

2. ჯანმრთელობის დაცვა, რომელშიც შედის: სამკურნალო პროფილაქტიკური და სანიტარულ-პროფილაქტიკური დაწესებულებები. ამრიგად, ხარჯები ჩვეულებრივად ჯგუფდება ან დარგობრივი, ან უწყებრივი ნიშნის მიხედვით. პირველ შემთხვევაში კლასიფიკაციის საფუძველია მეურნეობის ან კულტურის დარგი, მეორე შემთხვევაში კი ხარჯები ჯგუფდება სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის მოქმედ კლასიფიკაციაში ხარჯების დაჯგუფება (განაყოფებად) წარმოებს ძირითადი დარგების მიხედვით უწყებრივ ნიშანთან შეხამებით.

ხარჯების კლასიფიკაციის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს: განაყოფი, რომელშიც ხარჯები ძირითადად გაერთიანებულია დარგობრივი ნიშნის მიხედვით, რაც ზოგჯერ საუწყებოს ემთხვევა.

განაყოფების თავებად დაყოფა დაწესებულია მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში, კერძოდ: 1. სახალხო დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებზე დაქვემდებარებული მრეწველობის დაფინანსების ხარჯების ცალკეულ დარგებს შორის დაჯგუფებისათვის; 2. ასსრ სამინისტროებისა და აღმასკომების განყოფილებათა მიხედვით (ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტით განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხარჯების განაწილებისათვის) და 3. სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და მათი რგოლების შენახვის ხარჯებისათვის (ასევე მხოლოდ ასს რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით).

უმეტეს შემთხვევაში ხარჯები კარების შიგნით იყოფა პარაგრაფებად, რომლებშიც, როგორც წესი, ჯგუფდება დაწესებულებების, უწყებების, საწარმოებისა და ლონისძიებების სახეების მიხედვით. პარაგრაფების შიგნით ხარჯები იყოფა მუხლებად, რომლებიც განსაზღვრავენ სახსრების მიზნობრივ მიმართულებას. ხარჯების მუხლე-

ბი დაწესებულია ცალ-ცალკე, როგორც ბიუჯეტებზე მყოფი დაწესებულებების და ორგანიზაციების, ისე სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოების დასაფინანსებლად.

ბიუჯეტის კლასიფიკაციით ბიუჯეტური დაწესებულებებისათვის დადგენილია ხარჯთა შემდეგი მუხლები: 1. ხელფასი, 2. დანარიცხები ხელფასზე, 3. საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯები, 4. მივლინებები და სამსახურებრივი მიმოსვლა, 5. სასწავლო ხარჯები, მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და ბიბლიოთეკებისათვის წიგნების შეძენის ხარჯები, 8. სტიპენდიები, 9. ხარჯები კვებაზე (სამკურნალო, საბავშვო და სხვა სოციალურ-კულტურულ დაწესებულებებში), 10. მედიკამენტებისა და შესახვევ საშუალებათა შეძენა, 12. მოწყობილობებისა და ინვენტარის შეძენა, 13. კაპიტალური დაბანდებანი, რომლებიც ხორციელდება კაპიტალური სამუშაოების სახელმწიფო გეგმის გარეშე, 14. რბილი ინვენტარისა და ტანსაცმლის შეძენა. 15. კაპიტალური დაბანდებანი, რომლებიც ხორციელდება სახელმწიფო გეგმით, 16. შენობებისა და ნაგებობათა კაპიტალური რემონტი, 18. დანარჩენი ხარჯები.

ადგილობრივი ბიუჯეტებს შესრულების ანგარიშგებაში, ხარჯების კლასიფიკაციის გარეშე, გათვალისწინებულია აგრეთვე მე-19 მუხლი ქალაქების ბიუჯეტების მიმდინარე ხარჯები კეთილმოწყობაზე და 35-ე მუხლი — სესხების გადახდისათვის. ამ მუხლში ტარდება ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯები საბინაო და კომუნალურ მეურნეობათა მიერ მიღებულ სესხთა დასაფარავად, რომელიც თავის დროზე არ გადაიხადეს სესხების მიმღებმა ორგანიზაციებმა.

სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოებისა და ორგანიზაციების დაფინანსების ხარჯების აღსარიცხავად დაწესებულია განსაკუთრებული მუხლები — 24-ე მუხლი — სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ორგანიზაციებისა და საწარმოების კაპიტალური დაბანდებისათვის, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო გეგმით, 25-ე მუხლი — კაპიტალური დაბანდებისათვის, რომელიც ხორციელდება კაპიტალურ სამუშაოთა სახელმწიფო გეგმის გარეშე, 28-ე მუხლი — საკუთარი საბრუნავი საშუალებების (ნორმატივების) მატების დაფინანსებისათვის, 29-ე მუხლი — ასიგნებები საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივებთან შედარებით დანაკლისის შესავსებად, 30-ე მუხლი — სახელმწიფო დოტაცია, 31 მუხლი — საოპერაციო ხარჯები. 35-ე მუხლი — ასიგნებები მუშა და პროდუქტული პირუტყვის ძირითადი ჯოგის ფორმირებაზე, 42-ე მუხლი — კაპიტალური რემონტი.

გარდა ამ მუხლებისა, რომლებიც საერთოა ყველა სამეურნეო ორგანიზაციისათვის, დაწესებულია 26-ე და 27-ე მუხლები საპროექტო ორგანიზაციების დაფინანსებისათვის, 37-ე და 44-ე მუხლები სოფ-

ლის მეურნეობის სპეციალიზებული სადგურებისათვის, 34-ე მუხლი ჯილდოებისათვის და 53-ე მუხლი — საწარმოთა და ორგანიზაციათა საბინაო მეურნეობის გეგმიური ზარალის დაფარვისათვის.

სასოფლო ბიუჯეტების შესრულებისა და ანგარიშგებისათვის გამოიყენება ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოკლებული კლასიფიკაცია, კერძოდ, შემოსავლის ნაწილში კლასიფიკაციით დადგენილია 10 კარი შემოსავლის უმნიშვნელოვანესი წყაროებისათვის. მაგალითად, მე-2 კარში მოცემულია მოგების ანარიცხები, მე-3 კარში — საშემოსავლო გადასახადი საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან და ა. შ.

მეორე კარს „მოგების ანარიცხები“ აქვს მხოლოდ ერთი თავი — „საბინაო-კომუნალური მეურნეობა“. დანარჩენ კარებში შინაგანი სტრუქტურა იგივეა, როგორც ბიუჯეტის ძირითად კლასიფიკაციაში.

ხარჯები გაერთიანებულია შემდეგ ცხრა კარში: კარი 151 — „სოფლის მეურნეობა“, 180 — „ვაჭრობა“, 190 — „საბინაო-კომუნალური მეურნეობა“, 199 — „სახალხო მეურნეობის დანარჩენი ხარჯები“, 200 — „განათლება“, 203 — „ჯანმრთელობის დაცვა“, 207 — „სოციალური უზრუნველყოფა“, 214 — „სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ხარჯები“, 219 — „ქარბი შემოსავლები, რომელიც უნდა გადაეცეს ზემდგომ ბიუჯეტებს“.

კარები პარაგრაფებად იყოფა მხოლოდ იმ დაწესებულებებისათვის, რომლებიც ფინანსდებიან სოფლის ბიუჯეტებიდან. მაგალითად, № 200 კარით „განათლება“ დაწესებულია შვიდი პარაგრაფი, № 203 კარით — „ჯანმრთელობის დაცვა“ — ხუთი პარაგრაფი. მმართველობის ხარჯებზე 214-ე კარში დაწესებულია მხოლოდ ერთი თავი 156 — „სახალხო დეპუტატების სასოფლო საბჭოები და მათი აღმასკომები“.

ხარჯების მუხლების ცხრილი იგივეა, რაც ბიუჯეტის ძირითად კლასიფიკაციაში; გამორიცხულია მხოლოდ ის ხარჯები, რომლებიც არ გვხვდება სოფლის ბიუჯეტებში (მუხლი 8 — „სტიპენდიები“ და მუხლები 13 და 15 „კაპიტალური დაბანდებანი მშენებლობაზე“).

სახელმწიფო ბიუჯეტის კლასიფიკაციის გათვალისწინებით ხორციელდება ბიუჯეტების პროექტების შედგენა მის ყველა რგოლში. ქვემოთ განმარტებულია რაიონის ბიუჯეტის შედგენის ორგანიზაციული საკითხები სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მეთოდური მითითებების საფუძველზე.

2. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მეთოდური მითითებანი გოუკვატბგის პროექტის შედგენისათვის

ა) რაიონის ბიუჯეტის შედგენა მოითხოვს რაიონის ეკონომიკის, მეურნეობის ცალკე უბნების მუშაობის თავისებურებათა კარგად

ცოდნას, მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების პერსპექტივათა სწორად შეფასებას. ბიუჯეტის შედგენაზე მუშაობის ორგანიზაციას ახორციელებს საფინანსო ორგანო. მან უნდა შეადგინოს ამ სამუშაოთა გატარების ერთიანი გეგმა რაიონის ბიუჯეტების ყველა რგოლისა და აღმასკომის განყოფილებების მიხედვით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რაიონის ბიუჯეტის შედგენაზე მუშაობაში მონაწილეობას იღებს რაიონის ყველა ორგანიზაცია და საბიუჯეტო დაწესებულება, საქალაქო, სადაბო და სოფლის საბჭოები, რეინსტრუქციის აღმასკომის განყოფილებები, რაიონული საფინანსო განყოფილებების მთელი აპარატი.

რაიონის ბიუჯეტის შედგენა ხორციელდება შემდეგი წესით. თავდაპირველად რაიონის მეურნეობის განვითარების გეგმის მაჩვენებელთა საფუძველზე დგება რაიონის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც წარედგინება განსახილველად ზემდგომ ორგანოებს და წარედგინება შესაბამის საბჭოს სესიას დასამტკიცებლად.

„სახალხო დეპუტატთა საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ მიღებულ დადგენილებაში (პუნქტი 24) აღნიშნულია:

ა) გაადიდონ საბჭოების სესიათა ეფექტიანობა, სისტემატურად განიხილონ სესიების დროს რეგიონების განვითარების საკითხები, უფრო აქტიურად განიხილონ და უფრო კრიტიკულად შეაფასონ მართვის ორგანოების ანგარიშები, მეურნეობის ცალკეულ დარგებში არსებული მდგომარეობა, მოისმინონ ზემდგომი დაქვემდებარების გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების, აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა ინფორმაციები ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე, რეგულარულად მოახსენონ დეპუტატებს გეგმების, მათი შენიშვნებისა და წინადადებების, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების შესახებ;

ბ) გააძლიერონ მუდმივი კომისიების საანალიზო და საკონტროლო საქმიანობა, წინასწარი განხილვისათვის გადასცენ მათ სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ძირითადი საკითხები, უფრო ფართოდ ჩააბან ისინი იმ გადაწყვეტილებებისა და საკითხების პროექტების მომზადებაში, რომლებიც აღმასრულებელი კომიტეტების სესიებსა და სხდომებზე განიხილება;

რაიფინგანის მუშაობა რაიონის ბიუჯეტის პროექტის შედგენაზე ისე უნდა იქნეს ორგანიზებული, რომ მან უზრუნველყოს ბიუჯეტის პროექტის შედგენისა და შემდგომი მისი დაზუსტებისათვის საჭირო ნაკრები საფინანსო გეგმების, შემოსავლებისა და ხარჯების გეგმები-

¹ „კომუნისტი“, 1986, № 175.

სა და მათი დაანგარიშებების და აგრეთვე რაიონის ბიუჯეტის შემადგენლობაში შემავალი ცალკე ბიუჯეტების პროექტების მიღება.

რაიონის ბიუჯეტის პროექტის შედგენაზე მუშაობა იწყება რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილების პროექტის მომზადებით და საორგანიზაციო გეგმის შედგენით. ბიუჯეტის პროექტის შედგენის წესისა და ვადების შესაბამისად, რაც მტკიცდება ოლქის (მხარის) აღმასკომის, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ან მოკავშირე რესპუბლიკის (რომელთაც საოლქო დაყოფა არა აქვს) მინისტრთა საბჭოს მიერ, რაიონიდან ამუშავენ რაიონის ბიუჯეტის შედგენაზე მუშაობის საორგანიზაციო გეგმას, რომელსაც დასამტკიცებლად უდგენს რაიონული საბჭოს აღმასკომს, ბიუჯეტის შედგენის წესისა და ვადების შესახებ აღმასკომის გადაწყვეტილების პროექტთან ერთად.

გადაწყვეტილების პროექტში ბიუჯეტის შედგენის შესახებ გათვალისწინებულია რაიონის აღმასკომის განყოფილებათა და კრედიტის სხვა მთავარ განმკარგულებელთა, აგრეთვე რაიონის სამეურნეო ორგანიზაციების მიერ მომავალი წლის საფინანსო გეგმების, შემოსავლისა და გასავლის გეგმების პროექტების და მათი დაანგარიშებების წარდგენის ვადები, აგრეთვე რაიონიდან მიერ ბიუჯეტის პროექტის აღმასკომში წარდგენის ვადები.

რაიონის ბიუჯეტის პროექტისათვის საფინანსო გეგმების, შემოსავლებისა და გასავლის გეგმების პროექტებსა და მათ დაანგარიშებათა ფორმებს აწესებს მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი საფინანსო ორგანოების წინადადებათა მხედველობაში მიღებით. რაიონულმა საფინანსო განყოფილებამ საორგანიზაციო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უნდა აცნობოს აღმასკომის განყოფილებებს და კრედიტის სხვა მთავარ განმკარგულებლებს და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთ ბიუჯეტის პროექტისათვის დასაანგარიშებელი ცხრილების დაწესებული ფორმები.

რაიონის ბიუჯეტის პროექტის შედგენაზე მუშაობა მიზანშეწონილია წარიმართოს შემდეგი წესით:

მიმდინარე წლის საბიუჯეტო დანიშნულებათა დაზუსტებისათვის რაიონიდან უნდა იყოს ორგანიზებული იმ ცვლილებათა სისტემატური აღრიცხვა მთელი წლის განმავლობაში, რაც შეაქვთ ბიუჯეტში სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებათა და, აგრეთვე ზემდგომი ორგანოების (ოლქის, მხარის) აღმასკომის ან ავტონომიური, ან მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

რაიონის ბიუჯეტის წლიურ დანიშნულებათა დაზუსტების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ დაზუსტებული ბიუჯე-

ტის შემოსავლები და ხარჯები აუცილებლად უნდა იყოს დაბალანსებული. შემოსავლების გადაშეტება ხარჯებზე დაზუსტებული ბიუჯეტით არ არის დასაშვები.

დაზუსტებულ საბიუჯეტო დანიშნულებებში აღრიცხული უნდა იყოს ბიუჯეტით მომხდარი ყველა ცვლილება, შეტანილი ზემდგომ ბიუჯეტთან ურთიერთანგარიშსწორების წესით; — ცვლილებები აღმასკომის გადაწყვეტილებათა საფუძველზე წლიურ დანიშნულებათა კრედიტების დაჯგუფების შესახებ, აგრეთვე წლის დასაწყისისათვის არსებული თავისუფალი საბიუჯეტო სახსრების ნაშთების ანგარიშზე ხარჯების გადიდების შესახებ.

დაზუსტებულ გეგმაში არ უნდა იქნეს შეტანილი დამატებითი ხარჯები, რაც ხორციელდება ბიუჯეტის შესრულების პროცესში დამატებით გამოვლენილი და მიღებული შემოსავლების ანგარიშში.

რაიონის ბიუჯეტის დაზუსტებისას გათვალისწინებული უნდა იყოს რაიონული საბჭოს აღმასკომისა და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებები როგორც უშუალოდ რაიონულ ბიუჯეტში შეტანილ ცვლილებათა, ასევე რაიონის ბიუჯეტში შემავალ ყველა დანარჩენ ბიუჯეტში შეტანილ ცვლილებათა შესახებაც.

ბიუჯეტის შემოსავლისა და ხარჯების მოსალოდნელი შესრულების განსაზღვრას განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს, რამდენადაც ცალკეულ ღონისძიებათა მოსალოდნელი შესრულების მონაცემები, ხშირ შემთხვევაში, წარმოადგენდნენ მომავალი წლის დაგეგმვის გამოსავალ ბაზას. გარდა ამისა, მოსალოდნელი შესრულების შეფასება განსაზღვრავს მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების წინასწარ შედეგებს და იგი გამოიყენება მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შემუშავების დროს.

ბიუჯეტის მოსალოდნელი შესრულების განსაზღვრისათვის მიზანშეწონილია შემდეგი მონაცემების გამოყენება: ანგარიშგებები რაიონის ბიუჯეტისა და მის შემადგენლობაში შემავალი ბიუჯეტების შესრულების შესახებ, ოპერატიული მონაცემები სახელმწიფო შემოსავლებისა და გადასახადების გეგმის შესრულების შესახებ, სახალხო მეურნეობის მაჩვენებელთა, საფინანსო გეგმების, ბიუჯეტურ დაწესებულებათა ხარჯთუნსხების შესრულებისა და ქსელისა და კონტინგენტების ფაქტიური მდგომარეობის შესახებ მონაცემები, აგრეთვე საბიუჯეტო სახსრების ნაშთების მდგომარეობა უკანასკნელი თარიღისათვის. ამასთან ერთად მოსალოდნელი შესრულების განსაზღვრის დროს გამოიყენებული უნდა იქნეს ცალკეულ დაწესებულებებსა და საწარმო-

ებში ჩატარებული შემოწმებების, რევიზიებისა და გამოკვლევების მასალები.

საბიუჯეტო წლის ბოლომდე (წლის მეორე ნახევრის ან 4 კვარტალის) ცალკეული შემოსავლებისა და ხარჯების მოსალოდნელი შესრულების განსაზღვრა წარმოებს წლის დარჩენილი პერიოდისათვის დაწესებული გეგმიდან გამომდინარე, განვლილი საანგარიშგებო პერიოდის (პირველი ნახევარი წლის ან 9 თვის) გეგმის შესრულების შედეგების მიხედვით, გეგმიდან მოსალოდნელ გადახრათა გათვალისწინებით.

მიმდინარე წლის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების მოსალოდნელი შესრულების შეფასების შედეგად ისაზღვრება წლის ბოლოსათვის მოსალოდნელი საბიუჯეტო სახსრების ნაშთები.

სახელმწიფო და ადგილობრივი შემოსავლები და გადასახადების გეგმების პროექტები დგება რაიფინგანში გადახედულ საწარმოთა მიერ წარმოდგენილი საანგარიშგებო მონაცემების საფუძველზე, წარსული წლების შემოსავალთა დინამიკის გათვალისწინებით. გარდა ამისა, ამ მიზნით შეიძლება სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოთა მონაცემების გამოყენება საწარმოო გეგმების, საქონეობრუნვის გეგმების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის და სხვა გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ამასთან, სახელმწიფო შემოსავლებისა და გადასახადების, ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებების და სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების სხვა გადასახდელების გეგმები უნდა შედგეს ყველა გადახედულ საწარმოთა მიხედვით, დამოუკიდებლად მათი დაქვემდებარებისა.

გამონაკლისის დაშვება ამ ნაწილში შეიძლება მხოლოდ ბრუნვის გადასახადში, რამდენადაც რაიონის ბიუჯეტის პროექტის შედგენის პერიოდში ბრუნვის გადასახადის გეგმა, როგორც წესი, დგება მხოლოდ რაიონული დაქვემდებარების საწარმოების მიხედვით.

შემოსავლებისა და გადასახადების გეგმებთან ერთად რაიფინგანის აპარატი ანგარიშობს აგრეთვე სახელმწიფო ქონების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების, საბიუჯეტო დაწესებულებების სპეციალური სახსრების და ბიუჯეტის შემოსავალში შემავალი სხვა გადასახდელების თანხებს. შემოსავლების დაპროექტებული თანხები განხილვის შემდეგ აისახება რაიონის ბიუჯეტის პროექტში.

საფინანსო გეგმების, ხარჯების გეგმებისა და მათ დაანგარიშებათა პროექტებს რაიფინგანი იხილავს აღმასკომის განყოფილებებისა და კრედიტის სხვა მთა-

ვარ განმკარგულელებლთა, აგრეთვე სათანადო სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობით. განხილვის დროს საჭიროა შემოწმდეს საფინანსო გეგმებისა და ხარჯების გეგმებში გათვალისწინებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესაბამისობა რაიონის მომავალი წლის მეურნეობის განვითარების გეგმის პროექტის მაჩვენებლებთან, დაპროექტებულ ღონისძიებათა რეალობა მათი მატერიალური ბაზით უზრუნველყოფის თვალსაზრისით (შენობის, მოწყობილობის, მატერიალური ფონდების არსებობა), გასაშლელი ქსელის სპეციალისტებით დაკომპლექტების შესაძლებლობა, აგრეთვე დასაგეგმი წლის ბიუჯეტში მათი შეტანის მიზანშეწონილობა და საჭიროება.

რაიფინგანის ხელმძღვანელობის მიერ ცალკე გეგმების განხილვის შემდეგ საბიუჯეტო ინსპექცია ყველა მიღებული მასალის საფუძველზე ადგენს მომავალი წლის ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების ნაერთს, ერთდროულად მზადდება განმარტებითი ბარათი, რაილმასკომის გადაწყვეტილების პროექტი ბიუჯეტის პროექტის მიღების შესახებ და ხდება ყველა დაანგარიშების გაფორმება დაწესებული ფორმების მიხედვით.

რაიონის ბიუჯეტის პროექტი, განხილული და მიღებული საბჭოს (სუსიის) მიერ, განმარტებითი ბარათით და დაანგარიშებებით წარედგინება სახალხო დეპუტატების ოლქის (მხარის) აღმასკომს ან ავტონომიური, ან მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

3. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მეთოდური მითითებანი სოფლის ბიუჯეტის პროექტის შედგენისათვის

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების მიერ დამტკიცებული სახალხო დეპუტატების სოფლის საბჭოების დებულების შესაბამისად, სოფლის საბჭოები იხილავენ და ამტკიცებენ სოფლის ბიუჯეტებსა და სოფლის ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა ხარჯთნუსხებს.

სოფლის ბიუჯეტების პროექტებს სოფლის საბჭოს აღმასკომები ადგენენ სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომების მიერ დადგენილი წესითა და ვადებში.

სოფლის საბჭოს ბიუჯეტების განსახილველად წარდგენის ვადები წესდება რაიონის ბიუჯეტის პროექტის ოლქში (მხარეში, რესპუბლიკაში) განხილვის ვადების გათვალისწინებით.

ბიუჯეტის შედგენის შესახებ მითითებებსა და ვადებთან ერთად მიზანშეწონილია სოფლის საბჭოებს ეცნობოს:

წესი იმ ნავარაუდები შემოსავლებისა და თანხების შენატანების გამომანგარიშების შესახებ, რომელთაც დაიანგარიშებს რაიფინგანი;

დაწესებულებათა ქსელში, მათ შტატებში, ხელფასის განაკვეთებში, სამეურნეო და საოპერაციო ხარჯების ნორმებში გათვალისწინებული ცვლილებების შესახებ.

სოფლის ბიუჯეტების დაგეგმვის სათანადო ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილია სოფლის საბჭოს მუშაკთათვის საინსტრუქტაჟო თათბირების ჩატარება, რომლებზედაც განხილული იქნება ბიუჯეტის პროექტის შედგენასთან დაკავშირებული საკითხები, როგორცაა: მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების შეფასების მეთოდები, მომავალი წლის ბიუჯეტის შემოსავლისა და ხარჯების განსაზღვრის წესი, ხარჯთუსხებისა და საფინანსო გეგმების შედგენისა და განხილვის წესი და ბიუჯეტის შედგენასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

რაიადმასკომის მითითებათა საფუძველზე, სოფლის საბჭოს აღმასკომები სოფლის ბიუჯეტიდან ფინანსებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციების ხარჯთუსხებისა და საფინანსო გეგმების პროექტების საფუძველზე ადგენენ ბიუჯეტის პროექტებს. ამასთან, სოფლის საბჭოს აღმასკომებს უფლება აქვთ, გამომდინარე საანგარიშო მონაცემებიდან და წარმოდგენილი ხარჯთუსხებით, პროექტებისა და საფინანსო გეგმებიდან დაახუსტონ მათთვის დაშვებული ცალკე შემოსავლებისა და შენატანების თანხები და საბიუჯეტო დაწესებულებების ქსელსა და შტატში ნავარაუდები ცვლილებები.

სოფლის საბჭოს აღმასკომის მიერ მოწონებული სოფლის ბიუჯეტის პროექტი (კვარტალური დაყოფის გარეშე) წარდგენილი უნდა იქნეს განსახილველად რაიონული საბჭოს აღმასკომში. სოფლის საბჭოს ბიუჯეტის პროექტებს სოფლის საბჭოს წარმომადგენელთა მონაწილეობით წინასწარ იხილავს რაიფინგანი.

სოფლის ბიუჯეტების წარდგენილი პროექტების განხილვის შემდეგ, იმ თანხების გათვალისწინებით, რაც მიღებული იყო რაიონის ბიუჯეტით ოლქის (მხარის) აღმასკომის ან რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ, რაიონული საფინანსო განყოფილება აზუსტებს ყოველი სოფლის საბჭოს ბიუჯეტის შემოსავლისა და ხარჯების მოცულობებს და წარუდგენს მათ განსახილველად რაიონული საბჭოს აღმასკომს.

შეუთანხმებლობები, რომლებიც აქვთ სოფლის საბჭოებს სოფლის ბიუჯეტების მოცულობათა დაზუსტებისას რაიფინგანის მიერ მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების თანხაზე, იხილება რაიადმასკომზე.

არსებულ კანონმდებლობიდან გამომდინარე, და ყოველი საბჭოს მიერ ბიუჯეტის დამოუკიდებლად დამტკიცების შესახებ უფლებათა

მხედველობაში მიღებით, რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი აწესებს თითოეული საბჭოს ბიუჯეტისათვის მხოლოდ შემოსავლებისა და ხარჯების საერთო თანხებს, სოფლის საბჭოს დაქვემდებარების მეურნეობის დაფინანსებაზე ასიგნებათა გამოყოფით, აგრეთვე სახელმწიფო გადასახდელებიდან და შემოსავლებიდან ანარიცხების (პროცენტების) ოდენობებს, და საჭირო შემთხვევებში, რაიონული ბიუჯეტიდან დოტაციისა და რაიონულ ბიუჯეტში შემოსავლის გარდაშენის ამოღების თანხებს მათი კვარტალური დანაწილებით, აგრეთვე საბრუნავი საკასო ნაღდი ფულის ოდენობებს.

ამასთან ერთად რაიონალურმა კომიტეტებმა ყოველი სოფლის საბჭოს ბიუჯეტით ასიგნებებს სოფლის საბჭოს აღმასკომის შენახვაზე და საშტატო და ცალკე შტატგარეშე მუშაკთა შემადგენლობის ხელფასის ფონდს. რაიონალურ კომიტეტის მიერ მიღებული სოფლის საბჭოს ბიუჯეტების პროექტები რაიონის ბიუჯეტის შემადგენლობაში შეაქვთ განსახილველად სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს სესიაზე.

სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს სესია აწესებს ყოველი სოფლის საბჭოს ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების საერთო თანხებს, ამტკიცებს სახელმწიფო შემოსავლებიდან და გადასახადებიდან სოფლის ბიუჯეტში ანარიცხების პროცენტებს, დოტაციებსა და ამოღებათა თანხებს და საბრუნავი საკასო ნაღდი ფულის ოდენობებს.

მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ რაიონული საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილების შესაბამისად სოფლის საბჭოები იხილვენ დაწესებულებებისა და საწარმოების მიერ წარმოდგენილი ხარჯთნუსხებისა და საფინანსო გეგმების პროექტებს გასული წლის საწარმოო და საფინანსო მაჩვენებლების ფაქტიური შესრულების მხედველობაში მიღებით. ამასთან, უნდა შემოწმდეს ხარჯთნუსხისა და საფინანსო გეგმის თითოეული მუხლის დასაბუთებულობა, დაანგარიშებათა სისწორე და ხარჯთნუსხის გაფორმება. ხარჯთნუსხისა და საფინანსო გეგმების განხილვა უნდა წარმოებდეს საწარმოებისა და დაწესებულებების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ხარჯთნუსხას სოფლის საბჭოს აპარატის შენახვაზე ადგენს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი ან უფროსი ბუხჰალტერი სოფლის საბჭოს აპარატის შენახვაზე რაიონალურ კომიტეტის მიერ დამტკიცებული ლიმიტების ფარგლებში, დაწესებული შტატების, ხელფასის განაკვეთებისა და სამეურნეო ხარჯების ნორმებიდან გამომდინარე.

ბიუჯეტის ხარჯთნუსხებთან ერთად ხდება სპეციალური სახსრების ხარჯთა თანხების განხილვა.

განხილული ხარჯთნუსხებისა და საფინანსო გეგმების საფუძველზე დგება ბიუჯეტის ნაერთი და დაანგარიშებები შემოსავლის თითოეული წყაროსა და ხარჯების თითოეული სახეობის მიხედვით, რის

შემდეგ სოფლის საბჭოს აღმასკომი მიიღებს სოფლის ბიუჯეტს შემოსავლის თითოეული წყაროს და ხარჯების, ძირითადი დანაყოფების, ე. ი. კარების მიხედვით. უმნიშვნელოვანესი პარაგრაფებისა და მუხლების გამოყოფით კვარტალურ კრილში; ამასთან, მტკიცდება საბრუნავი საკასო ნაღდი ფულის ოდენობები და სოფლის ბიუჯეტებზე მყოფი დაწესებულებების სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხების ნაერთი.

აღმასკომის მიერ მიღებული ბიუჯეტი წარედგინება განსახილველად საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას, ხოლო შემდეგ საბჭოს სესიას დასამტკიცებლად. საბიუჯეტო-საფინანსო კომისია წინასწარ იხილავს სოფლის საბჭოს ბიუჯეტის პროექტს და თავის დასკვნას ბიუჯეტის შესახებ წარუდგენს საბჭოს სესიას.

სოფლის საბჭოს სესია იხილავს და ამტკიცებს ბიუჯეტს აღმასკომის თავმჯდომარის მოხსენებებისა და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თანამოხსენების საფუძველზე.

სოფლის საბჭოს შეუძლია გაზარდოს სოფლის ბიუჯეტის მოცულობა იმ თანხებთან შედარებით, რაც რაილმასკომმა დააწესა ბიუჯეტის შედგენის დროს დამატებით გამოვლინებული შემოსავლების ხარჯზე, თუ ასეთი უფლება სოფლის საბჭოებს მინიჭებული აქვს მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით.

სოფლის საბჭოს სესიის მიერ ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, სოფლის საბჭოს აღმასკომი ამტკიცებს ცალკეული დაწესებულებების ხარჯთნუსხებს და საწარმოების საფინანსო გეგმებს და ამ გეგმების ერთ ეგზემპლარს უბრუნებს დაწესებულებასა და საწარმოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

სოფლის საბჭოს სესიის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი უნდა წარედგინოს რაიფინგანს რაილმასკომის მიერ დადგენილ ვადებში.

რაიფინგანი, სოფლის ბიუჯეტების რაიონის ბიუჯეტის შენაერთში შეტანამდე, ამოწმებს თითოეული სოფლის საბჭოს შემოსავლების განსაზღვრის სისწორეს, გათვალისწინებულ ასიგნებათა კანონიერებასა და დასაბუთებულობას და ხელფასისა და სოფლის საბჭოს აპარატის შენახვაზე დაწესებული ლიმიტების დაცვას, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის გამოყენების სისწორეს. ზემოთ მოყვანილი წესით წარმოებს აგრეთვე მუშაობა სადაბო ბიუჯეტებისა და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტების შედგენასა და დამტკიცებაზე.

ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები

1. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

წარმოების კონცენტრაციისა და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესის დაჩქარების პირობებში, სხვადასხვა მიმართულების საწარმოო-გაერთიანებათა და კომპლექსების საქმიანობასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო მტკიცდება ურთიერთობა მეურნეობრივ და ფინანსურ საქმიანობებს შორის, რაც თავის მხრივ მოითხოვს საფინანსო-საკრედიტო ორგანოების საფინანსო გეგმებზე დამყარებულ ურთიერთკავშირს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის გაერთიანებასა თუ დამოუკიდებელ საწარმოო ორგანიზაციებს შორის. ბიუჯეტთან ურთიერთკავშირი გაპირობებულა საწარმოთა მოგებიდან ბიუჯეტში გადასახდელებით ან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯების დაფინანსებით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 90 პროცენტზე მეტს შეადგენს სოციალისტურ საწარმოთა და ორგანიზაციათა გადასახდელები. ეს გადასახდელები წარმოადგენენ სოციალისტური მეურნეობის წმინდა შემოსავლის ნაწილს, რომლიდანაც იქმნება სახელმწიფოს ფულადი სახსრების ცენტრალიზებული ფონდი ბიუჯეტის შემოსავლების სახით. სოციალისტურ საწარმოთა წმინდა შემოსავლის — მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიყენება თვით საწარმოთა მიერ წარმოების გაფართოების, ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შექმნისა და სხვა მიზნებისათვის, ხოლო მოგების ნაწილი ჩაირიცხება ბიუჯეტში.

ბრუნვის გადასახადი წარმოადგენს საზოგადოების წმინდა შემოსავლის ნაწილს, რომელიც მთლიანად ირიცხება ბიუჯეტში. ამრიგად, სახელმწიფოს ცენტრალიზებული წმინდა შემოსავალი ძირითადად შედგება სოციალისტური მეურნეობის მოგებიდან გადასახდელებისა და ბრუნვის გადასახადისაგან. ბიუჯეტში ამ შემოსავლების ცენტრალიზაცია ხელს უწყობს საწარმოთა რენტაბელობის ღონის რეგულირებას, მეურნეობრივი ანგარიშიანობის და საფინანსო დისციპლინის განმტკიცებას; აგრეთვე შიგა სამეურნეო დაგროვების გადიდებას.

კოლმეურნეობებისა და კოოპერაციული ორგანიზაციების წმინდა შემოსავალი მათი საკუთრებაა. ამიტომ სახელმწიფო ამ შემოსავლის ნაწილს იღებს ბიუჯეტში გადასახადების სახით. კოლმეურნეობები და სხვა კოოპერაციული საზოგადოებრივ-სამეურნეო ორგანიზაციები იხდიან საშემოსავლო გადასახადს. კოოპერაციული ორგანიზაციები ზოგიერთ შემთხვევაში იხდიან, აგრეთვე, ზრუნვის გადასახადსაც.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების დარჩენილ ნაწილს მოსახლეობის გადასახდელები შეადგენს, რაც გადასახდელების წესით და ნებაყოფლობითი შენატანების სახით შედის ბიუჯეტში.

სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან მიღებული შემოსავლები, როგორც აღვნიშნეთ, შეადგენენ სსრკ სახელმწიფო ბიუჯეტის უდიდეს ნაწილს, მოსახლეობის გადასახდელები კი თანდათან მცირდება.

ეროვნული შემოსავლის ზრდას ჩვენს ქვეყანაში საფუძვლად უდევს წარმოების გადიდება საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით, ძირითადი და საბრუნავი საშუალებების რაციონალური გამოყენება, რენტაბელობის გადიდება და სოციალისტური დაგროვების გაფართოება. იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები წარმოადგენენ ეროვნული შემოსავლის ნაწილს, აღნიშნული ფაქტორებიც განაპირობებენ ბიუჯეტის შემოსავლის გეგმაზომიერ გადიდებას.

„...თვითდაფინანსების პირობებში არსებითად იცვლება ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის როლი. წარსულს ბარდება აუნაზღაურებელი დაფინანსების სისტემა. სახელმწიფო თავს მოუყრის ბიუჯეტის სახსრებს უპირატესად ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნაზე, კომპლექსური მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებაზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროტენციის ზრდაზე, სოციალური განვითარების დაჩქარებაზე, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე. მკვეთრად იცვლება ბიუჯეტის შემოსავლის სტრუქტურაც. იგი სულ უფრო მეტად დაეყრდნობა რეალური დაგროვებისა და სარესურსო გადასახდელების ზრდას. ყოველწვე ეს ბიუჯეტს სათანადო სიმტკიცეს მიანიჭებს და გააწონასწორებს...“

...ახლებურად უნდა ჩამოვყალიბოთ ადგილობრივი ბიუჯეტი, რეგიონის ყველა საწარმო, ვისაც უნდა ექვემდებარებოდნენ ისინი, ამიერიდან ვალდებულია ადგილობრივ ბიუჯეტში შეიტანოს საფასური შრომითი და ბუნებრივი რესურსების გამოყენებისათვის, აგრეთვე თავისი მოგების გარკვეული ნაწილი და ეს სოციალური სამართლიანობის ობიექტური მოთხოვნაა, ყველა შრომითი კოლექტივი ხომ განუყრელად დაკავშირებულია რეგიონების იმ ეკონომიკურ და სო-

ციალურ გარემოსთან, რომელშიც ისინი ცხოვრობენ და შრომობენ. ისეთი ფინანსური უზრთველობა. რომელიც ეკონომიკურ საფუძველს ემყარება, მეურნეობის ეფექტიანი გაძლიერების ქმედითი სტრატეგია...

...ბიუჯეტში შესატანი გადასახდლებების გამოანგარიშებას აწარმოებენ თვით საწარმოში და დაწესებულებებში, მათვე ეკისრებათ უშუალო პასუხისმგებლობა ამ გადასახდელთა ბიუჯეტში სრულად დადგენილ ვადებში ჩარიცხვისათვის. საფინანსო ორგანოები ამოწმებენ თითოეული საწარმოს მიერ ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა შესრულებას და მათ საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობას. ამისათვის საფინანსო ორგანოები ახორციელებენ იმ ორგანიზაციების აღრიცხვას, რომლებსაც სახსრები შეაქვთ ბიუჯეტში და ღებულობენ ზომებს ამ ორგანიზაციების მიერ საგადასახდლო გეგმის შესრულებისათვის...

...ფინანსებისადმი ახლებური მიდგომის არსი ის არის, რომ, ერთი მხრივ, გაძლიერდეს მისი გავლენა ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შეწონასწორებაზე, ეკონომიკის დიდი სტრუქტურული ძვრების განსახორციელებლად რესურსების მობილიზაციაზე. და, მეორე მხრივ, შეიქმნას პირობები, რათა გაფართოვდეს საწარმოებისა და ადგილობრივი ორგანოების სამეურნეო ინიციატივა, გაიზარდოს მათი პასუხისმგებლობა მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის. და ეს უნდა გაკეთდეს გრძელვადიანი ნორმატივებისა და საფინანსო ნორმების ისეთი სისტემის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოთა ფულადი და მატერიალური რესურსების ზუსტ შეწონასწორებას...¹.

ბიუჯეტის ახლებური ორგანიზაცია ახლო მომავლის საქმეა. ამჟამად კი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების მოქმედი კლასიფიკაციით რაიონული ბიუჯეტის შემადგენლობა და შემოსავლების განაწილება ცალკეული სახეების ბიუჯეტებს შორის განსაზღვრულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ მეთოდური სახელმძღვანელო მითითებებით, რომელიც რაიონის ბიუჯეტის შემადგენლობაში ითვალისწინებს „რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ სასოფლო (სადაბო) საბჭოების და რაიონული დაქვემდებარების ქალაქების საქალაქო საბჭოს ბიუჯეტებს“.

საკვც ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ერთობლივად მიღებული დადგენილება „საკვც XXVII ყრილობის გადაწყვე-

¹ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის მეშვიდე სესიაზე დეპუტატ ნ. ი. რიეკოვის მოხსენებიდან, „კომუნისტი“, 1987, № 176.

ტილებათა შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ დადგენილების მუხლი 19 და 20 მიუთითებს:

შემოიღონ 1988—1989 წლებში საკავშირო დაქვემდებარების სამრეწველო გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მოგების ნაწილის ადგილობრივ ბიუჯეტებში გადაცემის წესი, აგრეთვე გააფართოონ ამ ბიუჯეტებში რესპუბლიკური დაქვემდებარების გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგების გადასახდელთა ნაწილის გადაცემის პრაქტიკა;

შემოიღონ 1988 წლის დამდგვიდან ბრუნვის გადასახადის გადარიცხვა ადგილობრივ ბიუჯეტებში ფიქსირებული ოდენობით (პროცენტობით) სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობასთან შედარებით.

დადგინდეს, რომ 1987 წლის 1 იანვრიდან მოყოლებული, მატერიალური რესურსების არარაციონალური მოხმარებისათვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების გამოყენებისაგან მიღებული თანხები ირიცხება შესაბამისი ბიუჯეტის შემოსავალში გაერთიანების, საწარმოსა და ორგანიზაციების დაქვემდებარების მიხედვით².

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ამჟამად შოქმედი მეთოდური მითითებების თანახმად რაიონის ბიუჯეტის შემოსავლებში ჩაირიცხება აგრეთვე თანხები, მიღებული სახელმწიფო ქონების რეალიზაციიდან, ბიუჯეტში დაწესებულებათა სპეციალური სახსრების შენატანები, ხარჯთნუსხით გათვალისწინებული შემოსავლების გადამეტება ხარჯებზე და მოქმედი კანონმდებლობით დაწესებული სხვა შემოსავლები.

რაიონის ბიუჯეტის ხარჯებში გაითვალისწინება ასიგნებები რაიონული, სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოს აღმასკომების დაქვემდებარების სამეურნეო ანგარიშიანობაზე მყოფი საწარმოებისა და ორგანიზაციების სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და დაწესებულებათა დაფინანსებაზე, მმართველობის ორგანოების შენახვაზე — რაიონული, სასოფლო, სადაბო და საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოებისა და რაიონის ბიუჯეტით დასაფინანსებელ დანარჩენ ღონისძიებებზე.

შემოსავლებისა და ხარჯების რაიონის ბიუჯეტში შემავალი ცალკეული სახეობის ბიუჯეტებს შორის განსაზღვრას აწარმოებენ სახალ-

² „კომუნისტი“, 1986, № 175.

ხო დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

რაიონის ბიუჯეტებს შორის 'შეშოსავლებისა და ხარჯების განსახლვრის შესახებ წინადადებათა' შემუშავების დროს რაიონული საფინანსო ორგანოები მხედველობაში ღებულობენ იმ გარემოებას, რომ ცალკეული ბიუჯეტების შემოსავლის წყაროებმა უნდა დაფარონ ამ ბიუჯეტებიდან გასაწევი ხარჯები. ამავე დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს წლის განმავლობაში შემოსავლების თანაბარი ოდენობით მიღება ბიუჯეტის შესრულების პროცესში საკასო გარღვევის თავიდან აცილების მიზნით.

შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განსახლვრის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ სახელმწიფო ბაჟი და ადგილობრივი ვადასახადები და გამოსაღებები, მათ შორის: ვადასახადი შენობებზე, გამოსაღები სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელთაგან, ერთჯერადი გამოსაღები საკოლმეურნეო ბაზრებზე, რომლებიც მიიღება საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე, ჩაირიცხება შესაბამის საქალაქო ბიუჯეტებში, ხოლო სადაბო და სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე მიღებული შემოსავლები — შესაბამის სადაბო და სასოფლო ბიუჯეტებში.

რაიონის ტერიტორიაზე შემოსული ვადასახადი სანახაობაზე სტაციონალური კინოდანადგარებისა და სანახაობათა სხვა ობიექტებიდან ჩაირიცხება საქალაქო, სადაბო და სოფლის ბიუჯეტებში კინოდანადგარებისა და სანახაობათა ობიექტების ადგილმდებარეობის მიხედვით. სოფლის მოძრავი კინოს ვადასახადი სანახაობაზე ჩაირიცხება რაიონულ ან სასოფლო ბიუჯეტებში, ამ საკითხს წყვეტს რაიონული საბჭოს აღმასკომი კონკრეტული პირობების მხედველობაში მიღებით.

ადგილობრივი დაქვემდებარების კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების საშემოსავლო ვადასახადი, როგორც წესი, ჩაირიცხება ბიუჯეტში საწარმოებისა და ორგანიზაციების დაქვემდებარების მიხედვით. მოკავშირე რესპუბლიკების სათანადო კანონმდებლობით ამ ვადასახადის შემოსავლის ნაწილი შესაძლებელია რეგულირების წესით გადაეცეს სხვა ბიუჯეტებს.

ბაგაბაღებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში ბავშვთა შენახვის ვადასახდელი უნდა ჩაირიცხოს იმ ბიუჯეტის შემოსავალში, საიდანაც ხდება მათი დაფინანსება.

სხვადასხვა არასავადასახადო შემოსავლები ადგილობრივი მეურნეობიდან, აგრეთვე შემოსავალი სახელმწიფო ქონების გაყიდვიდან და ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსრებიდან, ჩაირიცხება რაიონულ, საქალაქო, სადაბო და სოფლის ბიუჯეტებში

საწარმოებისა და ორგანიზაციების დაქვემდებარების ან სარეალიზაციო ქონების კუთვნილების მიხედვით.

შემოსავლების ადგილობრივი წყაროებისა და ადგილობრივ ბიუჯეტზე მიმაგრებული სახელმწიფო შემოსავლებისა და გადასახადის გარდა რაიონის ბიუჯეტებს გადაეცემა სათანადო რაიონის ტერიტორიაზე მიღებული სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ნაწილი ანარიცხების სახით იმ ოდენობით, რაც დაწესებულია ოლქის (მხარის) ან რესპუბლიკის ბიუჯეტის დამტკიცების დროს.

სახელმწიფო გადასახადისა და შემოსავლების ნაწილის ანარიცხების სახით გადაეცემა უზრუნველყოფს ცალკეული ბიუჯეტების დაბალანსებას (რეგულირებას) და მასთან ერთად ადგილობრივი ორგანოების დაინტერესებას სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების გეგმების შესრულებასა და გადაჭარბებით შესრულებაში.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში დარიცხულ შემოსავლებს განასხვავებენ საკასო შემოსავლებისაგან. საკასო შემოსავლებია სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში შეტანილი ბიუჯეტის სახსრები.

სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში ლებულობენ სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა შემოსავალს და ავსებენ შესაბამისი ბიუჯეტების ფულადი სახსრების ანგარიშზე. ახალი საბიუჯეტო წლის დასაწყისში საფინანსო ორგანოები სახელმწიფო ბანკს აცნობებენ სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სიებს რაიონის ან ქალაქის მიხედვით, მათგან ამოსაღები გადასახდელების რაოდენობის, საბიუჯეტო კლასიფიკაციის დანაყოფებისა და იმის ჩვენებით, თუ რომელ ბიუჯეტში უნდა ჩაირიცხოს შემოსავლები. ასევე ადგილობრივ გადასახდელებზე ეძლევათ შემოსავლების ჩამონათვალი და მითითებანი, თუ რომელ ბიუჯეტზე უნდა იქნეს მიკუთვნებული შემოსავლები ან ანარიცხები სახელმწიფო გადასახდელებიდან. ბიუჯეტის შემოსავლებს სახელმწიფო ბანკი ანაწილებს საკავშირო ბიუჯეტისა და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებს შორის, ადგილობრივ ბიუჯეტებს აკუთვნებს გათვალისწინებულ გადასახდელებს და ერთდროულად სახელმწიფო შემოსავლებიდან და გადასახადებიდან უკეთებს ანარიცხებს დადგენილი პროცენტის მიხედვით.

არის შემთხვევები, როდესაც გაურკვეველია თუ რომელ ბიუჯეტს უნდა მიეკუთვნოს სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში მიღებული შემოსავლები — საკავშიროს, მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკურ, თუ ადგილობრივ ბიუჯეტებს. სახბანკის დაწესებულებები ასეთ თანხებს კუთვნილების გამორკვევამდე ჩარიცხავენ შესაბამის ბიუჯეტში ანგარიშზე „გაურკვეველი შემოსავლები“, სხვა შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს ბიუჯეტის კუთვნილება, მაგრამ სახბანკის დაწესებულებებმა ვერ გაარკვიონ საბიუჯეტო კლასიფიკაციის ქვეგანა-

ყოფები; ასეთი თანხები ჩაირიცხება შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე, როგორც გაურკვეველი შემოსავლები.

ანგარიშზე „გაურკვეველი შემოსავლები“ თანხები შეიძლება ირიცხებოდეს სამ თვემდე. თუ ამ ხნის განმავლობაში არ დადგინდა შემოსავლების კუთვნილება, ბანკი მათ ჩაირიცხავს იმ ბიუჯეტის შემოსავალში, რომლებზეც ეს თანხები გამორკვევამდე იყო მიკუთვნებული.

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების ჩანაწერების საფუძველს წარმოადგენს საგადასახდელო საბუთების პირები მათს შესრულებაზე სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა აღნიშვნით, სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტსა და ადგილობრივ ბიუჯეტებში ანარიცხების უწყისები, რომლებიც ეგზავნებათ საფინანსო ორგანოებს ყოველდღიურად მიმდინარე ანგარიშებიდან ამონაწერთან ერთად, აგრეთვე სამშენებლო (ანუ მისი შემცველი) ბანკის ანგარიშგებები.

სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებიდან ამონაწერების მიღებისას საფინანსო ორგანო ვალდებულია გულმოდგინედ შეამოწმოს ამონაწერებზე დართული საბუთები, დაადგინოს შემოსული თანხების მოცემულ ბიუჯეტში ჩაირიცხვის სისწორე და განსაზღვროს შემოსავლების კლასიფიკაციის განაყოფი, რომელსაც შემოსული თანხა უნდა მიეკუთვნოს; თუ მიღებული საგადასახდელო საბუთის გაურკვეველობის გამო შეუძლებელია ბიუჯეტისადმი თანხის კუთვნილების ანდა საბიუჯეტო კლასიფიკაციის იმ განაყოფის დადგენა, რომელსაც უნდა მიეკუთვნოს შემოსული თანხა, როგორც აღინიშნა, მას დროებით „გაურკვეველი შემოსავლების“ ანგარიშში ასახავენ.

პრაქტიკაში არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ცალკეული გადამხდელები აღძრავენ შუამდგომლობას გადასახდელების შემცირების ან მოხსნის შესახებ. ეს გარემოება არ ათავისუფლებს მათ გადასახდელად დარიცხული თანხების კანონით გათვალისწინებულ ვადებში შეტანისაგან.

არასწორად ან ზედმეტად მიღებული შემოსავლების გადამხდელთათვის დაბრუნება ხორციელდება საფინანსო ორგანოს სათანადო კომისიის გადაწყვეტილებით და ხელმძღვანელის დასტურით გაფორმებული დასკვნის ან განკარგულების საფუძველზე.

ზედმეტად მიღებული შემოსავლების დაბრუნების ან ჩათვლის შესახებ დასკვნა და განკარგულება საბუთებთან ერთად გადაეცემა ბიუჯეტის ბუჯპალტერიას, რომელიც შეამოწმებს საბუთების გაფორმების სისწორეს და გამოწერს ჩეკს ბიუჯეტში ზედმეტად შემოსული თანხების დაბრუნებაზე.

ა) საბჭოთა სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებით აწარმოებს ეროვნული შემოსავლის დიდი ნაწილის განაწილებას და გადანაწილებას. სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად თავს იყრის ფულადი შემოსავლების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომელიც წარიმართება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის დარგების დასაფინანსებლად და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯების დასაფარავად.

ბიუჯეტის ნაწილი ჯერ კიდევ გამოიყენება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, საბინაო კომუნალური მეურნეობისა და სხვა დარგების დაფინანსებისათვის. ხარჯები სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე ბიუჯეტში წლითწლივით იზრდება. სახალხო განათლებაზე, კადრების მომზადებაზე, მეცნიერებასა და კულტურაზე, ჯანმრთელობის, დაცვისა და ფიზიკურ კულტურაზე, სოციალურ დაზღვევასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე ხარჯები შეადგენენ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯთა დიდ ნაწილს.

საბჭოთა სახელმწიფო იძულებულია ეროვნული შემოსავლის ნაწილი გამოიყენოს შეიარაღებული ძალების შენახვაზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან შრომასა და უშიშროებას იცავს.

სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების, სასამართლოს და პროკურატურის შენახვისა და სხვ. შესავსი ხარჯები სახელმწიფო მმართველობის აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესების მეოხებით თანდათანობით მცირდება.

საწარმო-ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, რომელშიც მმართველობის ხარჯებს ფარავენ თავიანთი საქმიანობიდან შემოსავლებით, საბიუჯეტო დაწესებულებათა შენახვის ხარჯები მთლიანად იფარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათთვის დამტკიცებული ხარჯთნუსხების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტიდან გაცემული სახსრები შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ ხარჯთნუსხაში ნაჩვენებ დანიშნულებაზე. აკრძალულია სახსრების ხარჯვა დანიშნულების გარეშე და ხარჯთნუსხებში გაუთვალისწინებელ ღონისძიებაზე. ხარჯების რაოდენობა საბიუჯეტო დაწესებულებების ხარჯთნუსხებით ისაზღვრება მათი საქმიანობის მოცულობისა და მათთვის დამტკიცებული ოპერატიული გეგმის შესაბამისად. ამ გეგმებს ამტკიცებენ სამინისტროები, საბჭოების აღმასკომთა განყოფილებები. ხარჯთნუსხების შესრულების პროცესში ერთიმეორისაგან განსხვავებენ საკასო და ფაქტიურ ხარჯებს.

საკასო ხარჯები ეწოდება იმ თანხებს, რომლებსაც სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები ბიუჯეტის ასიგნებათა ფარგლებში გასცემენ.

ფაქტიური ხარჯები ეწოდება იმ სახსრებს, რომლებსაც ორგანიზაცია-დაწესებულებები ფაქტიურად გამოიყენებენ.

ფაქტიურ ხარჯებს მიეკუთვნება კონსტანტირებული (დარიცხული) ხარჯები, რომლებიც ფაქტიურად უკვე წარმოებული, მაგრამ ჯერ კიდევ გაუნაღდებელია.

ბ) ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ხდება: რაიონული საბჭოების გამგებლობაში მყოფი სამრეწველო საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების დაფინანსება; რაიონული მნიშვნელობის სოფლის მეურნეობის დაწესებულებების შენახვის ხარჯების დაფარვა (ზოოტექნიკური-სავეტერინარო უბნები და პუნქტები, სარაიონო ვეტერინარული სამკურნალოები. საკონტროლო სათესლე და აგროქიმიური ლაბორატორიები); კომუნალური და საბინაო მეურნეობის დაფინანსება (საცხოვრებელი ბინების კომუნალური საწარმოების. სასტუმროების, ელექტროსადგურების და სხვა მშენებლობა); რაიონული მნიშვნელობის გზების მშენებლობა, რემონტი და შენახვა; კავშირგაბმულობის ძირეული ქსელის მშენებლობა და შენახვა და სხვა ღონისძიებათა დაფინანსება.

განათლების ქსელის დაფინანსებაზე რაიონულ ბიუჯეტს მიეკუთვნება ხარჯები რაიონული დაქვემდებარების საწარმოებთან არსებული საბავშვო ბაღების, საყოველთაო სწავლების საშუალო სკოლების (გარდა იმ სკოლებისა, რომელთა დაფინანსება ხდება საქალაქო და მუშათა დაბების ბიუჯეტებიდან), სკოლებთან არსებული ინტერნატების და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების შენახვის ხარჯები, სკოლის გარეშე, მოზრდილთა შორის საერთო-საგანმანათლებლო მუშაობის ღონისძიებათა და რაიონული ბიბლიოთეკებისა და კულტურის სახლების შენახვის ხარჯები, რაიონული მუზეუმების და გამოფენების და სხვა ღონისძიებების ხარჯები. რაიონული ბიუჯეტების სახსრებიდან შესაძლებელია აგრეთვე წარმოებდეს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ხარჯების, სოფლის სკოლების მშენებლობისა და რაიონული დაქვემდებარების სხვა დაწესებულებების მშენებლობის, აგრეთვე რაიონული გაზეთებისა და გამოცემლობების ხარჯების დაფინანსება.

ჯანმრთელობის დაცვის ქსელის დაფინანსებაზე რაიონულ ბიუჯეტებს მიეკუთვნება ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა შენახვაზე, რემონტსა და მოწყობაზე, როგორცაა: რაიონული და სოფლის საავადმყოფოები და დისპანსერები, სოფელადგილებში განლაგებულ საწარმოებთან არსებული საექიმო პუნქტები.

ბი, რაიონული მნიშვნელობის ბავშვთა სახლების, რაიონული სანატორიუმ-ებიდემიოლოგიური სადგურები და ჯანმრთელობის დაცვის რაიონული ორგანოების მიერ განხორციელებული ჯანმრთელობის დაცვის სხვა ღონისძიებები.

სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებების დაფინანსებაზე რაიონულ ბიუჯეტს ძირითადად მიეკუთვნება: სამამულო ომის ინვალიდების, მათი ოჯახებისა და ომში დაღუპულთა ოჯახების პენსიებისა და დახმარებების გაცემაზე გაწეული ხარჯები, აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილებების საექიმო შრომითი საექსპერტო კომისიების შენახვის ხარჯები.

რაიონული დაქვემდებარების ქალაქებში ბიუჯეტებსა და მუშათა დაბების ბიუჯეტებს შეიძლება მიეკუთვნოს ხარჯები: ქალაქისა ან სადაბო საბჭოების გამგეობაში მყოფი სამრეწველო საწარმოების დაფინანსებაზე, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უბნებისა და პუნქტების, ქალაქის ვეტერინარული სამკურნალოების, პოლიკლინიკებისა და ქალაქისა ან მუშათა დაბის მომსახურე სოფლის მეურნეობის სხვა დაწესებულებათა შენახვაზე, რემონტსა და მოწყობაზე, კომუნალური საწარმოების (სასტუმროების, აბანოების და ა. შ.) სახანძრო დაცვის, ქალაქის კეთილმოწყობის, ქალაქისა და სადაბო საბჭოს საბინაო ფონდის დაფინანსებაზე, ხარჯები ბაზრების ექსპლუატაციასა და კეთილმოწყობაზე და სხვ.

რაიონული დაქვემდებარების ქალაქების ბიუჯეტებსა და მუშათა დაბების ბიუჯეტებს მიეკუთვნება ხარჯები ქალაქის ან მუშათა დაბის ტერიტორიაზე მყოფი სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა დაფინანსებაზე, როგორცაა: სახალხო განათლების განყოფილების საბავშვო ბაღები, საყოველთაო სწავლების დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლები, სკოლებთან არსებული ინტერნატები, ქალაქებისა და დაბების მუშა ახალგაზრდობის სკოლები, ბავშვებთან სკოლის გარეშე მუშაობის, მოზრდილთა შორის საერთო-საგანმანათლებლო მუშაობის დაწესებულებები და ღონისძიებები, ქალაქებისა და დაბების ბიბლიოთეკები, მუზეუმები და გამოფენები, გარდა იმ დაწესებულებებისა, რომლებიც რაიონული მნიშვნელობის არიან და ფინანსდებიან რაიონული ბიუჯეტებიდან.

ქალაქებისა და მუშათა დაბების ბიუჯეტებით გაითვალისწინება აგრეთვე ასიგნებები ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებსა და ღონისძიებებზე, როგორცაა: საავადმყოფოები და დისპანსერები, საწარმოებთან არსებული საექიმო და საფერშლო ჯანაუნქტები, საბავშვო ბაგები და ბაღები, პენსიებისა და დახმარებების გაცემა ომის ინვალიდებზე, მათ ოჯახებსა და ომში

დაღუპულთა ოჯახებზე, და სხვა ღონისძიებები, რომლებსაც ახორციელებენ ქალაქისა და სადაბო საბჭოს აღმასკომები.

სოფლის საბჭოების ბიუჯეტზეა მიკუთვნებული სოფლის საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული სახალხო განათლების განყოფილების საბავშვო ბაღების, სოფლის არასრული საშუალო და საშუალო სკოლების, არასრულ საშუალო სკოლებთან არსებული ინტერნატების, სოფლის ბიბლიოთეკების; სამკითხველოებისა და სოფლის კლუბების, აგრეთვე სოფლის კულტურის სახლების, საფერშლოსაბებო პუნქტების, საწარმოსთან არსებული საფერშლო პუნქტების, საბავშვო ბაგების ხარჯები, საკოლმეურნეო სამშობიარო სახლების ბებია-ქალების შენახვის ხარჯები და სხვ.

სოფლის საბჭოს ბიუჯეტებიდან ხდება სოფლის საბჭოს გამგებლობაში მყოფი საბინაო ფონდისა და კომუნალური საწარმოების შენახვის, სოფლის კეთილმოწყობის, ბაზრების ექსპლუატაციისა და კეთილმოწყობის ხარჯების დაფარვა. სოფლის საბჭოს ბიუჯეტებს მიეკუთვნება, აგრეთვე, ხარჯები ვეტერინარული უბნებისა და პუნქტების შენახვაზე და რაიონული ბიუჯეტებიდან გასაწევი სხვა ხარჯები. საკითხი საწარმოების, დაწესებულებისა და ორგანიზაციების დაფინანსების ხარჯების სოფლის ბიუჯეტზე გადაცემის შესახებ, წყდება სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომისა ან ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებით.

რაიონული ბიუჯეტის შედგენის დროს თანამედროვე პირობებში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და განვითარების დაჩქარებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც მიუთითებს საბიუჯეტო რესურსების უკეთ გამოყენების ღონისძიებებზე, სახელდობრ:

„ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა გააერთიანონ შრომითი კოლექტივების თანხმობით შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების — მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად — სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდების სახსრები, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოების სახსრები წილობრივ საწყისებზე საცხოვრებელი სახლების, სამედიცინო და სკოლამდელი დაწესებულებების, დასასვენებელი ბაზების, პიონერული ბანაკებისა და არასაწარმოო დანიშნულების სხვა ობიექტების

ასაშენებლად. პრაქტიკაში დანერგონ საბიუჯეტო რესურსებისა და აღნიშნული სახსრების ერთობლივი გამოყენება სოციალური სფეროს განვითარებისათვის. განახორციელონ კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის, აგრეთვე მომავალ ახალმოსახლეთა შრომითი მონაწილეობით ახალგაზრდული საცხოვრებელი კომპლექსების აგების გაფართოების ღონისძიებანი.

აღნიშნული დადგენილება „სახალხო დემუტატთა საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“, ეროვნული შემოსავლის ზრდასთან ერთად ითვალისწინებს მის ისეთ განაწილებას, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს ადგილობრივი წარმოების შემდგომ ზრდას, შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და ხალხის ცხოვრების ღონის ამაღლებას.

ადგილობრივი მრეწველობის მძლავრი განვითარება საფუძველს უქმნის სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებას. ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ტემპების დაჩქარება წარმოადგენს ეროვნული შემოსავლის ყოველდღიური გადიდებისა და ხალხის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ერთ-ერთ ძირითად პირობათაგანს. ამიტომ, სწორედ ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას უწყობდა ხელს ადრე შესაბამისი ბიუჯეტებით გათვალისწინებული „ადგილობრივი მრეწველობის მოგების გადანაწილების ფონდი“. ეს ფონდი იქმნებოდა იმ რაიონებში, რომელთაც არა ჰქონდათ საკმარისი ოდენობის საკუთარი წყაროები.

ადგილობრივი მრეწველობის მოგების გადანაწილების ფონდიდან სახსრები წარიმართებოდა ადგილობრივი მრეწველობის მშენებლობისა და გაფართოების ღონისძიებათა ჩასატარებლად რაიონული ბიუჯეტის მეშვეობით. ახლა ეს სახსრები შესაბამისი ბიუჯეტების მეტვალყურეობის გარეშე, უშუალოდ იხარჯება ადგილობრივი მრეწველობის საფინანსო სამსახურების მითითებათა საფუძველზე, რაც საგრძნობლად ასუსტებს საბჭოების საკონტროლო ფუნქციებს მოგების გადანაწილების ნაწილში.

კომუნისტური პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ საბინაო პრობლემას. ყოველწლიურად უმჯობესდება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის საბინაო პირობები, მაგრამ ბინებზე მოთხოვნილება ჯერ კიდევ ძალიან დიდია, ამიტომ არსებული საბინაო ფონდის შენარჩუნებას კაპიტალური რემონტის გზით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ მიზნით ქალაქის საბინაო მეურნეობის კაპიტალური რემონტის დასაფინანსებლად იქმნებოდა სპეციალური ფონდი — „ქალაქის საბინაო მეურნეობის კაპიტალური რემონტის დაფინანსების ფონდი“ — სახლმმართველობათა შემადგენლობაში შემავა-

ლი სავაჭრო, სასაწყობო და სხვა არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის თანხების 95% შემოსავლისა და კომუნალური მეურნეობის სხვა განყოფილებათა მიერ საიჯაროდ გაცემული არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის ყველა შემოსავლის მთელი თანხებისაგან. ასეთი შემოსავლები გათვალისწინებული იყო ქალაქის საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის ადგილობრივი ბიუჯეტების მეშვეობით.

სამშენებლო და სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში მიღებული საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის სახსრები აკუმულირდებოდა „ქალაქის საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის დაფინანსების“ მიმდინარე ანგარიშზე.

რაიონული საფინანსო განყოფილებები და სახალხო დეპუტატების სადაბო საბჭოები საჭიროების მიხედვით ამ ფონდს (გადანაწილების წესით) ურიცხვადნენ სახლმმართველობებს, რაც აღნიშნული სახსრების მიზნობრივად გამოყენებისა და დროულად ათვისების კონტროლის საქმეს უწყობდა ხელს.

ამჟამად ასეთი სახსრები უშუალოდ ირიცხება სახლმმართველობათა ანგარიშებზე და მათ მიზნობრივად გამოყენებაზე ადგილობრივი საბჭოების თუ საფინანსო ორგანოების კონტროლი გამოიციხულია. იყო აგრეთვე სხვა სპეციალური დანიშნულების ფონდები, რომლებიც ამჟამად გაუქმებულია, რაც მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს ადგილობრივი ბიუჯეტების განმტკიცების პირობებში.

ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა საფინანსო
ორგანოებში

1. აღრიცხვის ორგანიზაციის საფუძველზე

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა-ანგარიშგების ორგანიზაციას ახორციელებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ცენტრალური ბუხჰალტერიის მეშვეობით. ეს უკანასკნელი ადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის ბუხჰალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმებს, საბუთწარმოების წესებს, საბუხჰალტრო დავთრებსა და ანგარიშების ფორმებს ბიუჯეტის კლასიფიკაციის საფუძველზე.

მასვე ევალება სამინისტროებისა და ცენტრალური დაწესებულებების ბიუჯეტებისა და ხარჯთუსხების შესრულების აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობის შემოწმება, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას შესახებ მოკავშირე რესპუბლიკებიდან ანგარიშგების მიღება და ინსტრუქციების შედგენა აღრიცხვა-ანგარიშგების საკითხებზე.

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმეში მსგავსი ფუნქციები აკისრიათ მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროების ცენტრალურ ბუხჰალტერიებს.

ადგილობრივი საფინანსო ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების ზუსტი აღრიცხვა-ანგარიშგება, ხელი შეუწყონ საბიუჯეტო დაწესებულება-ორგანიზაციებს აღრიცხვა-ანგარიშგების გაუმჯობესებაში, კონტროლი გაუწიონ და დასახონ ღონისძიებები ანგარიშწარმოებაში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საფინანსო ორგანოების როლი და მათზე დაკისრებული ფუნქციები ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა და ანგარიშგება ხორციელდება ფინანსთა სამინისტროებისა და ადგილობრივი საფინანსო ორგანოების მეშვეობით.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულების ბუხჰალტრულ აღრიცხვას სახელმწიფო ბანკი ახორციელებს საბიუჯეტო

კლასიფიკაციის საფუძველზე და აღდგენს პერიოდულ და წლიურ ანგარიშგებას სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულების შესახებ.

ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების აღრიცხვას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით სახბანკის დაწესებულებები არ აწარმოებენ. ამ ბიუჯეტების შემოსავლებსა და ხარჯების მოძრაობა აისახება სახსრების მიმდინარე ანგარიშზე.

სამშენებლო (ან ამ ფუნქციების შემსრულებელი სხვა) ბანკი კაპიტალურ დაბანდებებზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაცემული სახსრების აღრიცხვას აწარმოებს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ყოველთვიურ ანგარიშგებას წარუდგენს საფინანსო ორგანოებს.

საბიუჯეტო ორგანიზაცია-დაწესებულებანი სახსრებს ხარჯავენ ხარჯთნუსხების ფარგლებში, უზრუნველყოფენ ბუხჰალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგებას და ხარჯთნუსხების შესახებ ანგარიშგებას წარუდგენენ საფინანსო ორგანოებს.

ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა და ანგარიშგება ეკისრებათ საფინანსო ორგანოების მთავარ ბუხჰალტრებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 24 იანვრის № 59 დადგენილებით მათ მინიჭებული აქვთ სათანადო უფლებები და მოვალეობანი. ისინი პასუხისმგებელნი არიან აღრიცხვა-ანგარიშგების ზუსტი წარმოებისათვის როგორც თავიანთ უწყებებში, ისე დაქვემდებარებულ საბიუჯეტო დაწესებულება-ორგანიზაციებში. ამ დადგენილების მიხედვით, მთავარი (უფროსი) ბუხჰალტრები აღრიცხვის მაქსიმალური ცენტრალიზაციის საფუძველზე უზრუნველყოფენ ბუხჰალტრული საბუთბრუნვის რაციონალურ ორგანიზაციას, აღრიცხვა-ანგარიშგების სწორად დაყენებას, აღრიცხვისათვის დამტკიცებული ფორმების დაცვას, ანგარიშგების ზუსტად შედგენას და ხელმძღვანელ ორგანოებში დაწესებულ ვადებში წარდგენას. მათვე ევალებათ ნაერთი ანგარიშგების შედგენა და ზემდგომ ორგანოებში დროულად წარდგენა, აგრეთვე მისი მაჩვენებლების ღრმა ეკონომიკური ანალიზი.

საფინანსო ორგანოების მთავარი ბუხჰალტრები ვალდებული არიან უზრუნველყონ ზუსტი აღრიცხვა-ანგარიშგება არა მარტო საფინანსო ორგანოებში, არამედ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულება-ორგანიზაციებში. სისტემატურად გაუწიონ მათ კონტროლი და დასახონ ღონისძიებები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ამრიგად, საკავშირო ბიუჯეტის შესრულებას აღრიცხავს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო. მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური

ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების აღრიცხვას აწარმოებენ შესაბამისი ფინანსთა სამინისტროები და საფინანსო განყოფილებები.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულების აღრიცხვას აწარმოებს სახელმწიფო ბანკი, ბიუჯეტის კლასიფიკაციის ყველა დანაყოფების მიხედვით.

ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივ ბიუჯეტების შესრულების ანალიზურ აღრიცხვას საბბანკის დაწესებულებები არ აწარმოებენ. ამ ბიუჯეტების შემოსავლები და ხარჯები აღრიცხება სახსრების მიმდინარე ანგარიშებზე საერთო თანხებში.

სამშენებლო ბანკი მის მიერ გაცემული და მიღებული სახსრების აღრიცხვას აწარმოებს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით და ყოველთვიურ ანგარიშგებას ბიუჯეტის შესრულების შესახებ წარუდგენს საფინანსო ორგანოებს.

ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაცია-დაწესებულებები აწარმოებენ სახსრების ხარჯვას ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში და ახორციელებენ აღრიცხვა-ანგარიშგებას.

სოფლისა და დაბის სახალხო დეპუტატების აღმასკომები აღრიცხავენ სასოფლო და სადაბო ბიუჯეტების შესრულებას ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის მეშვეობით და ყოველთვიურ ანგარიშგებას უდგენენ საფინანსო ორგანოებს.

ისევე როგორც სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებში, საფინანსო ორგანოებშიც ყოველგვარი ბუხჰალტრული ოპერაცია ფორმდება საბუთებით და იწერება შესაბამის აღრიცხვის რეგისტრებში (დაეთრებში).

საფინანსო ორგანოებში ბუხჰალტრულ საბუთებს ფულადი სახსრების გადარიცხვაზე, გადაგზავნაზე და გაცემაზე, აგრეთვე ანგარიშსწორების და საკრედიტო ხასიათის საბუთებს ხელს აწერენ საფინანსო ორგანოს ხელმძღვანელი, მისი მოადგილე და მთავარი ბუხჰალტერი; მათი ხელმოწერის გარეშე ბუხჰალტრულ საბუთს ძალა არა აქვს.

საფინანსო ორგანოებში ბიუჯეტის შესრულების ოპერაციების ბუხჰალტრული ჩანაწერების საფუძვლად ითვლება სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1975 წლის 16 მაისის № 44 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით — „საფინანსო ორგანოებში ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების ბუხჰალტრული აღრიცხვის შესახებ“ — დაწესებული და სათანადოდ გაფორმებული შემდეგი საბუთები:

ბიუჯეტის წლიური განაწესი კვარტალური დაყოფით ან მისი ამონაწერი:

ცნობა — შეტყობინება სახარჯთაღრიცხვო დანიშნულების — დაფინანსების ოდენობის (ფ. № 2) შეცვლის შესახებ;

ცნობა ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე (ძირითადი) ანგარიშზე მიღებული შემოსავლების შესახებ (ფორმა № 3);

განკარგულება ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე (ძირითადი) ანგარიშიდან სახსრების გადარიცხვაზე (ფ. № 5);

შეტყობინება ურთიერთანგარიშსწორებაზე (ფ. № 11);

საგასავლო განრიგი — დაფინანსების გეგმა (ფ. № 12);

დასკვნა შემოსავლების დაბრუნებაზე (ფ. № 21);

საგადასახადო დავალებები ადგილობრივი ბიუჯეტიდან კრედიტების განმკარგულებლებისადმი სახსრების გადარიცხვაზე (ფ.ფ. №№ 0401002, 0401003);

ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვების შესრულების პერიოდული და წლიური ანგარიშგება;

სსრ კავშირის მშენბანკის და სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებათა თვიური ანგარიშგებები ბიუჯეტის სახსრების ანგარიშში კაპიტალურ დაბანდებათა და სხვა ღონისძიებათა დაფინანსებაზე (ფ. № 14). ან სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებათა ცნობები რაიონის (ქალაქის) ბიუჯეტის სახსრების ანგარიშში სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებათა დავალებების შესრულების წესით კაპიტალურ დაბანდებათა და სხვა ღონისძიებათა დაფინანსებაზე შემოსული და გაცემული თანხების შესახებ;

მემორიალური ორდერი (ფ. № 274-მექ.); —

სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებათა ამონაწერები ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე (ძირითადი) ანგარიშიდან, სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებათა ანგარიშები ადგილობრივი ბიუჯეტების მიმდინარე ანგარიშებზე სახსრების ნაშთების შესახებ. ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული ჩეკები და სხვა საბუთები.

საბუთები დამუშავების, ე. ი. შემოწმებისა და ბუხჰალტრული მუხლების შედგენის შემდეგ ჩაიწერება აღრიცხვის რეგისტრებში.

სინთეზური აღრიცხვის რეგისტრებში ჩანაწერები წარმოებს მთავარი ანგარიშების მიხედვით, ხოლო ანალიზური აღრიცხვის რეგისტრებში — ქვეანგარიშებისა და ანალიზური ანგარიშების მიხედვით, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ზემოაღნიშნულ ინსტრუქციით ბიუჯეტის შესრულების ბუხჰალტრული აღრიცხვა ძირითადად ხორციელდება სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის შემდეგ რეგისტრებში (იხ. გვ. 347).

ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის ოპერაციების ჩაწერა საანგარიშო მანქანის „ასკოტა“-ს გამოყენების შემთხვევაში წარმოებს რეგისტრებში:

დავთრების (რეგისტრების) დასახელება	რომელ საფინანსო ორგანოებში გამოიყენება		
	მოკავშირე რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო	ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სა- მინისტრო	დანარჩენი საფინანსო ორგანოები
ფ. № 1—ფ ევრნალ-მთავარი დავთარი	X	X	X
ფ. № 3—ფ კრედიტების განმკარგულებელთა მიმდინარე ანგარიშებისა და საკასო ხარჯების დავთარი	—	X	X
ფ. № 4—ფ ბიუჯეტთან ურთიერთანგარიშსწორ ბის აღრიცხვის დავთარი	X	X	X
ფ. № 5—ფ შემოსავლების დავთარი	X	X	"

- სინთეზური ანგარიშგების ბრუნვათა უწყისი (ფ. № 1-მექ.);
- ბიუჯეტის ფულადი სახსრების ბარათი (ფ. № 2-მექ.);
- კრედიტების განმკარგულებელთა მიმდინარე ანგარიშგებისა და საკასო ხარჯების ბარათი (ფ. № 3-მექ.);
- ბიუჯეტებთან ურთიერთანგარიშსწორების აღრიცხვის ბარათი (ფ. № 4-მექ.);

— შემოსავლების ანალიზური აღრიცხვის უწყისი (ფ. № 5-მექ.).

დავთრები იხსნება წლის დასაწყისისათვის ნაშთების გადმოტანით. ოპერაციების ჩაწერა წარმოებს მემორიალური ორდერებისა და მასთან დართული საბუთების საფუძველზე. თუ დაშვებული იქნება შეცდომები, რომელთა შესწორება არ მოითხოვს მემორიალური ორდერის შეცვლას, არასწორად ჩაწერილი უნდა წაიშალოს მკრთალი ხაზის გადასმით, ხოლო ზევით დაეწეროს სწორი ციფრები ან ტექსტი და შემოწმდეს მთავარი ბუხჰალტრის ხელმოწერით სათანადო გვერდის არეზე წარწერით „გასწორებულია“.

თუ ბუხჰალტრული ბალანსის წარდგენამდე აღმოჩნდა მცდარი ჩანაწერი, რომელიც გამოწვეულია მემორიალურ ორდერში დაშვებული შეცდომებით, მაშინ ეს მცდარი ჩანაწერი, მისი ხასიათის მიხედვით, გასწორდება დამატებითი ბუხჰალტრული მუხლით „წითელი სტრონოს“ ხერხით: სწორედ ასე სწორდება შეცდომები, ყველა იმ შემთხვევაში, როცა იგი აღმოჩნდება ბუხჰალტრული აღრიცხვის ჩანაწერებში იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდისთვისაც ბალანსი უკვე წარდგენილია.

„წითელი სტრონოს“ ხერხით შეცდომების გასწორებისას დგება ორი ბუხჰალტრული მუხლი: 1. მცდარი მუხლი მეორდება წითელი მელნით და 2. სწორი მუხლი ჩაიწერება შავი მელნით. თანხების და-

ჯამებისას წითელი მელნით დაწერილი თანხები გამოაკლდება შავი მელნით დაწერილ თანხებს.

საანგარიშგებო წლის დამთავრებისა და დასკვნითი ბალანსის შედგენის შემდეგ, ბუხპალტრული აღრიცხვის დაეთრები დაიხურება თითოეული მთავარი ანგარიშის და სუბანგარიშის თანხების დაჯამების გზით. თითოეულ სუბანგარიშზე სათანადო დაეთრებში გამოიყვანება ნაშთი, რომელიც ჩაიწერება მის მოპირდაპირე მხარეს: სადებეტო — კრედიტში, ხოლო საკრედიტო დებეტში. შემდეგ ყველა დაეთარში გაისმება ორმაგი ხაზი, რაც იმას ნიშნავს, რომ დაეთრები დასკვნითი ანუ დახურულია.

ახალი წლიდან ბუხპალტრული დაეთრები იხსნება ნაშთების თანხების გადმოტანით დასკვნითი ბალანსიდან.

თუ ზემდგომმა საფინანსო ორგანომ წლიური ანგარიშის განხილვისას შესწორება შეიტანა დასკვნით ბალანსში, მაშინ წერილობითი მითითების საფუძველზე ეს შესწორება შეიტანება როგორც გასული წლის, ისე მიმდინარე წლის ბუხპალტრულ დაეთრებში.

ბ ი უ ჯ ე ტ ი ს შ ე ს რ უ ლ ე ბ ი ს ბ ა ლ ა ნ ს ი. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბუხპალტრული აღრიცხვის ძირითად ამოცანებს საფინანსო ორგანოებში შეადგენს ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული ოპერაციების სწორი დოკუმენტური გაფორმება და მათი თავისდროული და სრული ასახვა აღრიცხვის რეგისტრებში: კონტროლის განხორციელება საბიუჯეტო დისციპლინის დაცვაზე, შემოსავლების ბიუჯეტებს შორის სწორად განაწილებაზე, ბიუჯეტის სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე კრედიტების განმკარგულებელთა მიერ. გარდა ამისა, აღრიცხვამ უნდა უზრუნველყოს აუცილებელი მონაცემები თვითური, კვარტალური და წლიური ანგარიშგების შესადგენად. აღრიცხვამ საფინანსო ორგანოებში, როგორც აღვნიშნეთ, უნდა ასახოს ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია. ასეთ ოპერაციებს მიეკუთვნება სახელმწიფო ბანკისა და მშენებლობის ბანკის დაწესებულებებში მყოფი ბიუჯეტის სახსრების მოძრაობა, ბიუჯეტის შემოსავლების მიღება და ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების გაწევა, ანგარიშსწორებანი მიღებული და გაცემული სესხების მიხედვით, ბიუჯეტის შესრულების პროცესში აღმოცენებული ანგარიშსწორებანი ბიუჯეტებს შორის და სხვა. ბიუჯეტის შესრულების ბალანსი აგებულია სწორედ ამ ოპერაციების შესაბამისად. ბალანსის აგებულება განპირობებულია საბიუჯეტო ოპერაციების ხასიათითა და თავისებურებით.

ბალანსის აქტივში მოთავსებულია ბიუჯეტის სახსრები, ბიუჯეტის ხარჯები, გაცემული მოკლევადიანი სესხები, სხვა ბიუჯეტებზე გაცემული სახსრები და ბიუჯეტებს შორის ანგარიშსწორებანი.

ბალანსის პასივი უჩვენებს ბიუჯეტის სახსრების შექმნისა და ხარჯების წარმოების წყაროებს, მიღებულ სახსრებსა და სესხებს, სხვა ბიუჯეტებთან ანგარიშსწორებებს, ფონდებსა და ბიუჯეტის შესრულების შედეგებს.

ბალანსის სტრუქტურა, ანუ აგებულება, სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, ამიტომ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში საწარმოთა ბალანსის სტრუქტურა ერთმანეთისაგან განსხვავდება, რასაკვირველია დიდად განსხვავდება სამეურნეო ორგანიზაციების ბალანსის სტრუქტურა ბიუჯეტის შესრულების ბალანსის სტრუქტურისაგან.

სამეურნეო ორგანიზაციის ბალანსში, პირველ რიგში, აისახება სამეურნეო საქმიანობის საწარმოო პროცესები: მომარაგება, წარმოება, რეალიზაცია და მათთან დაკავშირებული სხვა მოვლენები.

საფინანსო ორგანოს ბალანსი ძირითადად ასახავს ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების გეგმის შესრულებას. ამის გამო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი არ ითვალისწინებს ისეთ ანგარიშებს, როგორცაა: ძირითადი საშუალებები, ანგარიშსწორებანი დებიტორებთან და კრედიტორებთან და სხვა. ასეთი მუხლების საჭიროება საფინანსო ორგანოების ბალანსის სტრუქტურაში საჭიროა მხოლოდ მისი აპარატის შენახვის ხარჯებთან დაკავშირებით და მათი ასახვა წარმოებს ცალკე ხარჯთნუსხის შესრულების ბალანსზე.

2. ბიუჯეტის შესრულების გუხვალბრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა

ბიუჯეტის შესრულების მიმდინარე აღრიცხვა წარმოებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული (ერთიანი) ანგარიშთა გეგმების საფუძველზე. საფინანსო ორგანოები აწარმოებენ ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვას, ამასთან თვითონ წარმოადგენენ ბიუჯეტზე მყოფ ორგანიზაციას და აღრიცხავენ თავისი ხარჯთნუსხის შესრულების ოპერაციებს, ამიტომ საფინანსო ორგანოებში ანგარიშწარმოება ხორციელდება ერთიმეორისაგან განსხვავებული ორი ერთიანი ანგარიშთა გეგმის საფუძველზე. ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა პირველი რიგის 8 ანგარიშისაგან შედგება, რომელიც 28 მეორე რიგისა და 4 ბალანსგარეშე ანგარიშს შეიცავს, ხოლო საბიუჯეტო დაწესებულებების ხარჯთნუსხის შესრულების ანგარიშთა გეგმაში პირველი რიგის 30 ანგარიში იყოფა 109 მეორე რიგის ანგარიშად და მას კიდევ ემატება 11 ბალანსგარეშე ანგარიში.

ჩვენს ქვეყანაში აღრიცხვა-ანგარიშების ერთიანობის პრინციპი მოითხოვს ანგარიშთა ერთიანობასაც. ამის შესაბამისად, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებულია ბუხალტრული აღრიცხვის ანგარიშთა ერთიანი გეგმები სახელმწიფო ბიუჯეტისა და საბიუჯეტო დაწესებულება-ორგანიზაციების საფინანსო მეურნეობრივი საქმიანობის აღსარიცხავად.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარე აღრიცხვის ანგარიშთა გეგმები, როგორც წესი, ერთიმეორესთან უშუალო კავშირშია და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის ერთ მთლიან ანგარიშთა გეგმას ქმნის.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაში მონაწილე ცალკეული სისტემის ორგანოების ანგარიშთა გეგმა მტკიცე მეცნიერულ საფუძველზეა აგებული და ასახავს მათ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას.

თვალსაჩინოებისათვის ვუჩვენებთ ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის ანგარიშთა გეგმით გათვალისწინებულ პირველი რიგის ანგარიშებს.

ბიუჯეტის შესრულების ბუხალტრული
აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა

I	I რიგის ანგარიშები
შიფრი	სახელწოდება
01	ფულადი სახსრები
02	ბიუჯეტის ხარჯები
04	ბიუჯეტის შემოსაულები
05	გაცემული და მიღებული სესხები
06	ანგარიშსწორებანი ბიუჯეტებთან
07	მიღებული და გაცემული სახსრები
08	ფონდები
09	შედევები

ბიუჯეტურ ანგარიშთა გეგმებში წარმოდგენილმა ანგარიშებმა უნდა უზრუნველყონ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პროცესებთან დაკავშირებული საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების სისტემური აღრიცხვა. იმის გამო, რომ ანგარიშთა გეგმები ათწილადების პრინციპზეა აგებული, ზემოთ აღნიშნული ყოველი პირველი რიგის ანგარიში მომდევნო ათეულით იწყება და შეიცავს რამდენიმე სუბ-ანგარიშს, რომლებსაც ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის პროცესში შესაბამის თავებში გავეცნობით.

ბიუჯეტის შემოსავლებისა და ფულადი სახსრების
აღრიცხვა

1. ბიუჯეტის შემოსავლების აღრიცხვა¹

სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები ღებულობენ ბიუჯეტის ყველა შემოსავალს და ანაღდებენ ბიუჯეტით გათვალისწინებულ ყოველგვარ ხარჯებს.

სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში შემოსული ბიუჯეტის სახსრები ჩაირიცხება შესაბამისი ბიუჯეტების ფულადი სახსრების ანგარიშზე.

ბიუჯეტის შემოსავლების უდიდესი ნაწილი ორგანიზაცია-დაწესებულებებისაგან მიიღება მათი მიმდინარე და ანგარიშსწორების ანგარიშებიდან თანხების გადახდის დავალებებით გადარიცხვის გზით. გადახდის დავალებები ივსება 3 ან 4 ცალად და, დადგენილი რეკვიზიტების გარდა, იწერება ის ბიუჯეტი, რომელშიც თანხა უნდა ჩაირიცხოს და, აგრეთვე, გადასახადის სახელწოდება.

ბიუჯეტის შემოსავლები მოსახლეობისაგან ნაღდ ფულად მიიღება საშემოსავლო სალაროებში, შემსალაროებში, კავშირგაბმულობის დაწესებულებებში, გადამხდელის მიერ წარმოდგენილი საგადასახდელო უწყების ან სიტყვიერი განცხადების მიხედვით, რაზედაც ფორმდება სათანადო საბუთი.

კავშირგაბმულობის დაწესებულებების მიერ მიღებული ბიუჯეტის გადასახდელები ფორმდება საფოსტო ქვითრებით, რომლებსაც საფოსტო განყოფილება გადაგზავნის სახბანკის დაწესებულებაში. ეს უკანასკნელი, შემოსავლების შესაბამის ბიუჯეტებში ჩაირიცხვის შემდეგ, გადაუგზავნის საფინანსო ორგანოს, მიმდინარე ანგარიშების ამონაწერთან ერთად, გადამხდელების პირად ბარათებში გასატარებლად.

საშემოსავლო სალაროები, შემსალაროები, კავშირგაბმულობის

¹ ბუხჰალტერია, ანალიზი და კონტროლი, ტ. II, გვ. 337—340.

დაწესებულებები მიღებული ბიუჯეტის გადასახდელებს დაწესებულ ვადებში გადარიცხავენ სახბანკის დაწესებულებებში.

საკავშირო ბიუჯეტისა და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების შემოსავლების აღრიცხვა შესაბამის საფინანსო ორგანოებში ხორციელდება სახელმწიფო ბანკის მიერ წარმოდგენილი თვიური ანგარიშების თანახმად (ბიუჯეტის საკასო შესრულების შესახებ). შემოსავლების ბუხჩალტრული მუხლი დგება № 5-ფს უწყისის საფუძველზე, რომელშიც ბანკების თვიური ანგარიშებიდან წინასწარიწერება მოცემული ბიუჯეტის საკასო შემოსავლები ნამატი ჯამებით, წლის დასაწყისიდან ბანკის საანგარიშგებო ჩიბბოლოების მიხედვით.

არის შემთხვევები, როდესაც გაურკვეველია სახბანკის დაწესებულებებში მიღებული შემოსავალი რომელ ბიუჯეტს მიეკუთვნოს — საკავშირო, მოკავშირე-რესპუბლიკურ, თუ ადგილობრივს, ასეთ თანხებს, კუთვნილების გამორკვევამდე (სახბანკის დაწესებულებები) ჩარიცხავენ საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში ანგარიშზე „გაურკვეველი შემოსავლები“, გარდა ამისა, შეიძლება დადგენილი იყოს ბიუჯეტის კუთვნილება, მაგრამ სახბანკის დაწესებულებებმა ვერ გაარკვიონ საბიუჯეტო კლასიფიკაციის ქვეგანყოფილება, ასეთი თანხებიც ჩაირიცხება შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე როგორც გაურკვეველი შემოსავლები, საფინანსო ორგანოებში სახბანკის თითოეულ ანგარიშებში აღნიშნული ასეთი გაურკვეველი შემოსავლების აღსარიცხავად გათვალისწინებულია მეორე რიგის № 041 „გაურკვეველი შემოსავლების“ ანგარიში².

ანგარიშში „გაურკვეველი შემოსავლები“ თანხები შეიძლება ირიცხებოდეს არა უმეტეს სამი თვისა, დღიდან მათი ჩარიცხვისა. თუ ამ ხნის განმავლობაში არ დადგინდა მათი კუთვნილება, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ გამოურკვეველ შემოსავლებს ბანკი ჩარიცხავს იმ ბიუჯეტის შემოსავლებში, რომელზედაც ეს თანხები ირიცხებოდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ანგარიშთა გეგმის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების აღსარიცხავად დადგენილია „ბიუჯეტის შემოსავლების“ № 040 ანგარიში, ხოლო ბიუჯეტის სახსრების აღსარიცხავად № 010 ანგარიში, ამის მიხედვით, სახბანკო შემოსული მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები გატარდება № 010 ანგარიშის დებეტსა და № 040 ანგარიშის კრედიტში. ასევე, მშენებლობის ბანკში შემოსული შემოსავლები გატარდება № 013 ანგარიშის დებეტსა და № 040 ანგარიშის კრედიტში. ჩარიცხული გამოურკვეველი შემოსავლები აისახე-

² ყველა სამნიშნაანი ციფრით (შიფრით) აღნიშნული ანგარიში წარმოადგენს სუბანგარიშს, წერის გამარტივების მიზნით მას ტექსტში ზოგან ანგარიშს ვუწოდებთ.

ბა № 010 ანგარიშის დებეტსა და № 041 ანგარიშის კრედიტში. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები იწერება № 011 ანგარიშის დებეტსა და № 040 ანგარიშის კრედიტში (გაურკვეველი შემოსავლები კი № 041 ანგარიშის კრედიტში).

პრაქტიკაში ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ცალკეული გადამხდლები აღძრავენ შუამდგომლობას შემცირების ან მოხსნის შესახებ. ეს გარემოება არ ათავისუფლებთ მათ გადასახდელად დარიცხული თანხების კანონით გათვალისწინებულ ვადებში შემოტანისაგან.

არასწორად ან ზედმეტად მიღებული შემოსავლების გადამხდელთათვის დაბრუნება ხორციელდება (მოქმედი დებულების შესაბამისად) კომისიის გადაწყვეტილებით და საფინანსო ორგანოს ხელმძღვანელის დასტურით, რომელიც გაფორმდება (ფ. 21) დასკვნის ან განკარგულების საფუძველზე.

ზედმეტად მიღებული შემოსავლების დაბრუნების ან ჩათვლის შესახებ დასკვნა და აგრეთვე განკარგულება სხვა დაწესებულებათა მიერ ადმინისტრირებული შემოსავლების დაბრუნების შესახებ, საქმის ყველა საბუთთან ერთად, გადაეცემა ბიუჯეტის ბუხპალტერიას, რომელიც საბუთების გაფორმების სისწორის შემოწმების შემდეგ გამოწერს ჩეკს ბიუჯეტში ზედმეტად შემოსული თანხების დაბრუნებაზე ან ჩათვლაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოწერილ სახელობით საანგარიშსწორებო ჩეკებში ბანკის საერთო რეკვიზიტების გარდა ნაჩვენები უნდა იყოს შემოსავლის მიღების თარიღი, ბიუჯეტი-ჩადმი კუთვნილება და ბიუჯეტის კლასიფიკაციის დანაყოფი, საიდანაც უნდა დაბრუნდეს თანხა. ამის შემდეგ ბიუჯეტის ბუხპალტერია თვითონ იტოვებს დასკვნის პირველ და მეორე ეგზემპლარს. დაფარულ საბუთთან ერთად, ჩეკის ნომრის, თანხისა და თარიღის აღნიშვნით, დაუბრუნებს სახშემოსავლების ბუხპალტერიას ამ ოპერაციის გადამხდელთა პირად ანგარიშებში გასატარებლად.

ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე დროებით მიკუთვნებული სახსრების აღსარიცხავად გათვალისწინებულია 042 ანგარიში. მისი ანალიზური აღრიცხვა ეწყობა 041 ანგარიშის მსგავსად № 5-ფ. დავთრის ბოლოს წინა ორ სტრიქონზე.

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების ყველა შემოსავალი, რომელიც შემოსულია ბანკების დაწესებულებებში, აგრეთვე (ბიუჯეტის შემოსავალში) ზედმეტად ჩარიცხული თანხების დაბრუნების ოპერაციები, შესაბამისი შემოწმებული საბუთების საფუძველზე ჯგუფდება შემოსავლების სახეების მიხედვით. დაჯგუფება წარმოებს ყოველდღიურად,

ბიუჯეტის კლასიფიკაციის თითოეული დანაყოფის მიხედვით საერთო თანხებში შემდეგი ფორმის ცნობაში:

ც ნ რ ბ ა

ბიუჯეტის მიმდინარე (ძირითად) ანგარიშზე მიღებული შემოსავლების შესახებ

ბიუჯეტური კლასიფიკაციის დანაყოფები	საბუთების რაოდენობა	თანხა	ხელმოწერა საბუთების მიღებაზე
კარი, თავი			

სულ შემოვიდა _____

ჯაურკვეველი შემოსავლები _____

მთავარი ბუხალტერი _____

ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე (ძირითად) ანგარიშზე დღის განმავლობაში მიღებული შემოსავლების შესახებ ცნობის შედგენის შემდეგ საბუთები გადაეცემა ხელწერილის ქვეშ სახშემოსავლების ბუხალტერიას, შემოსული თანხების გადამხდელთა პირად ანგარიშებში ჩასაწერად.

შემოსავლების ყოველდღიური ასახვა საბალანსო ანგარიშებში მეტად შრომატევადი სამუშაოა, რაც საფინანსო ორგანოს ანგარიშსწორების მუშაყისაგან მეტად დიდ დროს მოითხოვს, ამიტომ ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ოპერაციების აღსარიცხავად ამჟამად გამოიყენება მაგროვებელი უწყისის მსგავსი ანალიზური აღრიცხვის დავთარი, რომელსაც ქვემოთ გავეცნობით, ხოლო აღრიცხვის მექანიზაციის პირობებში იყენებენ შემოსავლების აღრიცხვის უწყისის ფორმა № 5-მექ.

მთავარი ანგარიშების დავთარში ჩანაწერები კეთდება ყრველდღიურად, ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე (ძირითად) ანგარიშზე სახბაყის ამონაწერისა და მასთან დართული საბუთების საფუძველზე.

მიღებული შემოსავლები სინთეზურად ჩიწერება 01 ანგარიშის დებეტსა და 04 ანგარიშის კრედიტში, ხოლო უკან დაბრუნებული თანხები შებრუნებით — 04 ანგარიშის დებეტსა და 01 ანგარიშის კრედიტში. ერთდროულად, როგორც შემოსავლები, ისე უკან დაბრუნებული თანხები და გაურკვეველი შემოსავლები აისახება ანალიზური აღრიცხვის ფორმა № 5-ფ. დავთარში, აღრიცხვის მექანიზაციის პირობებში კი შემოსავლების ანალიზური აღრიცხვის უწყისში ფ. № 5-მექ.

2. ფულადი სახსრების აღრიცხვა

სახელმწიფო ბიუჯეტის ფულადი სახსრები, რომლებიც ინახება სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებსა და მშენებლობის ბანკში, აგრეთვე თანხები გზაში, აისახება ანგარიშთა გეგმაში წარმოდგენილი პირველი განყოფილების — ფულადი სახსრების 01 ანგარიშის შესაბამის სუბანგარიშებში.

სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში შემოსული საკავშირო ბიუჯეტისა და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების ყოველგვარი შემოსავლები, სახელდობრ, ბიუჯეტის შემოსავლები, მოკლევადიანი სესხების დასაფარავად მიღებული, ურთიერთ-ანგარიშსწორებით შემოსული და სხვა თანხები, აისახება 010 სუბანგარიშის დებეტში. ამ სუბანგარიშის კრედიტში იწერება საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროების საგასავლო განრიგების საფუძველზე სახბანკის მიერ ანაზღაურებული საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების საკასო ხარჯები, ბიუჯეტებს შორის ურთიერთანგარიშსწორებით გაცემული სახსრები, გაცემული მოკლევადიანი სესხები და სხვა.

ადგილობრივი ბიუჯეტის ყველა შემოსავალი, გაურკვეველი შემოსავლების ჩათვლით, აისახება № 011 სუბანგარიშის დებეტში.

გარდა ამისა, ამ სუბანგარიშის დებეტში აისახება ზემდგომი ბიუჯეტებიდან და ბანკებიდან მიღებული მოკლევადიანი სესხები, მოკლევადიანი სესხების დავალიანების დასაფარავად და ბიუჯეტებს შორის ურთიერთანგარიშსწორებით შემოსული თანხები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებსა და ბიუჯეტურ დაწესებულებათა დანარჩენ მუშაკებზე ხელფასის გასაცემად ბიუჯეტურ-მიზნობრივი რეზერვიდან ნასესხები სახსრები, მშენებლობის ბანკიდან და კრედიტების განმკარგულებელთა მიმდინარე ანგარიშებიდან საფინანსო ორგანოების მიერ გამოთხოვილი ბიუჯეტის სახსრები და სხვა.

ამ სუბანგარიშის კრედიტში ტარდება: კრედიტების მთავარ განმკარგულებელთა მიმდინარე ანგარიშებზე გადარიცხული თანხები, ბიუჯეტის სახსრების ანგარიშში მშენებლობის ბანკში გადარიცხული თანხები (კაპიტალური დაბანდებისა და სხვა ღონისძიებათა დასაფინანსებლად), ქვემდგომ ბიუჯეტებზე გაცემული მოკლევადიანი სესხები, ზემდგომ ბიუჯეტებში გადარიცხული ჰარბი სახსრები, მოკლევადიანი სესხებისა და ურთიერთანგარიშსწორების დავალიანებათა დასაფარავად გადარიცხული თანხები, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების მიერ სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან ზედმეტად მიღებული ანარიცხების დაბრუნებული თანხები, მოკავშირე რესპუბ-

ლიცის რესპუბლიკური ბიუჯეტის დავალიანების დასაფარავად გადარიცხული თანხები. ბიუჯეტში ზედმეტად ჩარიცხული შემოსავლების დაბრუნებული თანხები და სხვა.

ადგილობრივი ბიუჯეტის ფულადი სახსრების მოძრაობა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, რაც განპირობებულია ფულადი სახსრების ერთი სუბანგარიშიდან მეორეზე გადარიცხვით. ეს მდგომარეობა ფულადი სახსრების ანგარიშის დებეტსა და კრედიტში ერთსა და იმავე თანხის ერთდროულად ჩაწერას იწვევს.

ფულადი სახსრების მიმდინარე ანგარიშებს შორის სუბანგარიშო № 011 წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების ძირითად მიმდინარე ანგარიშს. ამ ანგარიშიდან სახსრები გადაერიცხებათ კრედიტების მთავარ განმკარგულებელსა და მშენებლობის ბანკს.

კაპიტალურ დაბანდებებსა და სხვა ღონისძიებებზე გახსნილი კრედიტების ფარგლებში მშენებლობის ან სახელმწიფო ბანკში გადარიცხული თანხები აღსახება № 013 სუბანგარიშის დებეტსა და № 011 სუბანგარიშის კრედიტში.

ამავე ანგარიშში აღირიცხება მშენებლობის ბანკში მიღებულ ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლები (კაპიტალური დაბანდებების კრედიტების ანგარიშით გასულ წელს წარდგენილი აკრედიტივების გამოუყენებელი ნაშთები და სხვა თანხები), ამ ობერაქციების ჩაწერის საფუძველს წარმოადგენს ბანკის თვიური ანგარიშგება.

ბიუჯეტის ანგარიშში მშენბანკის (ან სახბანკის) მიერ განაღდებული საკასო ხარჯები ჩამოიწერება № 013 ანგარიშიდან ბიუჯეტის ხარჯებში, აგრეთვე ბანკების თვიური ანგარიშების (ფ. № 14) საფუძველზე.

№ 014 ანგარიშზე აღირიცხება კრედიტების მთავარ განმკარგულებელთა მიმდინარე ანგარიშებზე ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებათა შესაბამისად ჩარიცხული სახსრები, აგრეთვე სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახდელების ანარიცხების ანგარიშში ხანძრის, პირუტყვის დაცემის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დღეუბისა და დაზიანების გამაფრთხილებელ ღონისძიებათა ხარჯების გასანაღდებლად № 011 ანგარიშიდან გადარიცხული სახსრები. თანხების ჩარიცხვა ხდება №№ 0401002 ან 0401003 ფორმის სახბანკისადმი დავალებებით, რომლებიც გამოიწერება საბიუჯეტო განყოფილების მიერ შედგენილ ფორმა № 15 გაანგარიშების საფუძველზე (რაიონულ და საქალაქო საფინანსო განყოფილებებში — ბიუჯეტის უფროსი ინსპექტორის მიერ).

აღსანიშნავია, რომ კრედიტების მთავარი განმკარგულებლებისათვის პირველი კვარტლის დაფინანსების ანგარიშში სახსრების გადა-

რიცხვისას წარმოებს კრედიტების განმკარგულებელთა მიმდინარე ანგარიშებზე წლის დასაწყისისათვის დარჩენილი თანხების ჩათვლა.

№ 014 ანგარიშიდან ყოველთვიურად ჩამოიწერება საკასო ხარჯები კრედიტების მთავარ განმკარგულებელთა თვიური ანგარიშების (ფ. № 1-ათ) საფუძველზე.

კრედიტების განმკარგულებელთა მიმდინარე ანგარიშებზე სახსრების გამოუყენებელი ნაშთი 31 დეკემბერს არ იხურება და გადადის ახალი წლისათვის გახსნილ № 014 ანგარიშზე, მაგრამ მას აკლდება შენობებისა და ნაგებობათა კაპიტალური რემონტის დაფინანსებისათვის კრედიტების განმკარგულებლებზე გახსნილი მიმდინარე ანგარიშების ნაშთები, აგრეთვე სამეურნეო ორგანიზაციების მიმდინარე ანგარიშების ნაშთები, რომლებიც გახსნილია სახელმწიფო დოტაციისა და კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯების გასაცემად. ეს თანხები წლის ბოლოს გადაირიცხება № 011 — ადგილობრივი ბიუჯეტის (ძირითად) მიმდინარე ანგარიშზე.

№ 015 ანგარიშს რაიონის საფინანსო განყოფილებებში იყენებენ ბიუჯეტის მიზნობრივი რეზერვის სახსრების აღსარიცხავად. მიზნობრივი რეზერვის სახსრების დანიშნულებაა სოფლის სკოლების მასწავლებლებზე, სამედიცინო მუშაკებზე, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებსა და ბიუჯეტურ დაწესებულებათა დანარჩენ მუშაკებზე ხელფასის თავის დროზე გაცემის უზრუნველყოფა.

ბიუჯეტის მიზნობრივი რეზერვის შექმნა და გამოყენება, აგრეთვე ხელფასის გასაცემად სახსრების დაჯავშნა წარმოებს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილი წესით. ამ ანგარიშიდან გაიცემა სესხი № 011 ანგარიშის შესავსებად მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი სახსრების ნაკლებობას განიცდის. ბიუჯეტის მიზნობრივი რეზერვის მიმდინარე ანგარიშიდან გაცემული სესხი აისახება № 015 ანგარიშის კრედიტსა და № 011 ანგარიშის დებეტში, სესხის დაფარვა ფორმდება შებრუნებული მუხლით — დ ე ბ ე ტ ი ანგარიში № 015, კ რ ე დ ი ტ ი ანგ. № 011.

№ 016 ანგარიშში აღირიცხება რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროში, მხარის, ოლქის და ქალაქის (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის) საფინანსო განყოფილებაში ასასახავი ადგილობრივი დაქვემდებარების მრეწველობის საწარმოთა სახსრები, რომლებიც ჩარიცხული ან მიღებულია სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში ადგილობრივი დაქვემდებარების მრეწველობის საწარმოთა მოგების გაწელების მიმდინარე ანგარიშზე.

ჩარიცხული სახსრები იწერება № 016 „ადგილობრივი დაქვემდებარების მრეწველობის მოგების გადანაწილების მიმდინარე ანგარიშის“ დებეტსა და № 080 „ადგილობრივი დაქვემდებარების მრეწვე-

ლობის საწარმოთა მოგების გადაწილების სახსრების“ ანგარიშის კრედიტში. ამ ანგარიშიდან ჩამოწერილი თანხები № 080 ანგარიშის დებეტში და № 016 ანგარიშის კრედიტში გატარდება.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ფულადი სახსრების მოძრაობა დაკავშირებულია ბიუჯეტის შემოსავლებთან, ხარჯებთან, ბიუჯეტებს შორის ურთიერთანგარიშსწორებით სახსრების გაცემასა და მიღებასთან, ბიუჯეტიდან მოკლევადიანი სესხების გაცემასა და დაფარვასთან და ა. შ.

აღრიცხვის მექანიზაციის პირობებში ფულადი სახსრების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ფორმა № 2 მექ. ბარათებში, სადაც ზემოთ დახასიათებულ თითოეულ მეორე რიგის ანგარიშს ეხსნება ცალკე ანგარიში.

3. კრედიტებისა და ანიგნებათა აღრიცხვა

ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებაზე. კაპიტალურ დაბანდებათა ოდენობის ზრდასთან ერთად ხარჯები სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე ბიუჯეტში წლითიწლობით იზრდება. სახალხო განათლებაზე, კადრების მომზადებაზე, მეცნიერებასა და კულტურაზე, ჯანმრთელობის დაცვასა და ფიზიკურ კულტურაზე სოციალურ დაზღვევაზე და სოციალურ უზრუნველყოფაზე ხარჯები შეადგენენ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯთა დიდ ნაწილს.

საწარმო-ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, რომლებიც მმართველობის ხარჯებს ფარავენ თავიანთი საქმიანობიდან შემოსავლებით, ბიუჯეტურ დაწესებულებათა შენახვის ხარჯები მთლიანად იფარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მათთვის დამტკიცებული ხარჯთნუსხების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტიდან გაცემული სახსრები შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ ხარჯთნუსხაში ნაჩვენებ დანიშნულებაზე. აკრძალულია სახსრების ხარჯვა დანიშნულების გარეშე და ხარჯთნუსხებში გაუთვალისწინებელ ღონისძიებაზე.

საკავშირო ბიუჯეტსა და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტზე დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების გამოსაყენებლად, რომელიც წალდდება სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებათა მეშვეობით, კრედიტები ეხსნებათ ორი სხვადასხვა ფორმის საგასავლო განრიგით. ფორმა № 13 — „საგასავლო განრიგი ბიუჯეტზე მყოფ დაწე-

სებულებათა დაფინანსებაზე“ და ფორმა № 15 „საგასავლო განრიგი სამეურნეო ორგანიზაციების დაფინანსებაზე“. კრედიტები იხსნება უწყებათა ხელმძღვანელების განკარგულებით, რომლებსაც კრედიტების მთავარი განმკარგულებლები ეწოდებათ.

კრედიტის განმკარგულებლები, მათთვის მინიჭებული უფლების მიხედვით, იყოფიან მთავარ, მეორე და მესამე ხარისხის განმკარგულებლად.

საკავშირო ბიუჯეტსა და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე მყოფ მთავარ განმკარგულებლებს სახბანკის მეშვეობით ასანაზღაურებელ ხარჯებზე საგასავლო განრიგით კრედიტები ეხსნებათ ორ ანგარიშზე: — ერთი დაწესებულების ხარჯებისათვის და მეორე — დაქვემდებარებულ დაწესებულებებზე გადასაგზავნად.

საგასავლო განრიგში აღინიშნება სახბანკის დაწესებულება, კრედიტის მთავარი განმკარგულებელი, კრედიტის თანხა და ის, თუ რომელი სამინისტროს ან უწყების ხარჯთნუსხებით იხსნება კრედიტი.

საგასავლო განრიგს 4 ცალად ადგენს კრედიტის მთავარი განმკარგულებელი და წარადგენს საკავშირო ან მოკავშირე რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დარგობრივი დაფინანსების სამმართველოში (განყოფილებაში), სადაც ამოწმებენ მოთხოვნილი თანხების შესაბამისობას მოცემულ კვარტალში ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებასთან, გეგმების შესრულების მონაცემებთან, საგასავლო განრიგის შედგენის სისწორეს და გადასცემენ საბიუჯეტო სამმართველოს. ეს უკანასკნელი, კვლავ შემოწმებისა და სათანადო გაფორმების შემდეგ, საგასავლო განრიგის პირველ ეგზემპლარს უგზავნის სახბანკის რესპუბლიკურ კანტორას (როგორც დავალებას) კრედიტის გასახსნელად.

საგასავლო განრიგის ერთი ეგზემპლარი უბრუნდება კრედიტების მთავარ განმკარგულებელს, როგორც შეტყობინება კრედიტის გახსნის შესახებ.

კრედიტების მთავარი განმკარგულებელი საბიუჯეტო დავალებით კრედიტებს უხსნის დაქვემდებარებულ დაწესებულებებს, რომლებიც ითვლებიან მეორე (მესამე) ხარისხის კრედიტების განმკარგულებლად.

ცვლილებებს გახსნილ კრედიტებში და ხარჯთნუსხებში კრედიტების გადაჯგუფებას აფორმებს ფინანსთა სამინისტრო, კრედიტების მთავარი განმკარგულებლისათვის შესაბამისი შეტყობინების უგზავნის საფუძველზე. ხოლო როდესაც იქმნება წლის განმავლობაში გახსნილი კრედიტების დახურვის საჭიროება, ფინანსთა სამინისტრო სახბანკის რესპუბლიკურ კანტორას უგზავნის საგასავლო განრიგს კრედიტების დახურვაზე.

მშენებლობის ბანკის მეშვეობით გასანაღდებელი ხარჯებისათვის კრედიტები იხსნება ფორმა № 12 საგასაველო განრიგ-დაფინანსების გეგმით. კაპიტალური დაბანდებისა და სხვა ღონისძიებათა ხარჯებისათვის კრედიტები იხსნება საკავშირო ბიუჯეტით, მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებით, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით. ამ მხრივ ყველა ბიუჯეტისათვის ბანკებში კრედიტების გახსნის ერთიანი წესია დადგენილი.

კრედიტების მთავარი განმკარგულელებელი ადგილობრივი ბიუჯეტით საგასაველო განრიგ-დაფინანსების გეგმას შეაქვს 3 ცალად და წარუდგენს საფინანსო ორგანოს. პირველი ეგზემპლარი, საფინანსო ორგანოში სათანადო შემოწმებისა და გაფორმების შემდეგ, ეგზავნება ბანკს; მეორე ეგზემპლარი რჩება საფინანსო ორგანოს, ხოლო მესამე უბრუნდება კრედიტების მთავარ განმკარგულელებელს, როგორც შეტყობინება კრედიტის გახსნის შესახებ.

საგასაველო განრიგ-დაფინანსების გეგმას, საკავშირო ბიუჯეტითა და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებით, ასეთივე წესით. ოღონდ ოთხ ეგზემპლარად შეაქვს კრედიტების მთავარი განმკარგულელებელი და წარადგენს შესაბამის ფინანსთა სამინისტროებში, დაქვემდებარების მიხედვით.

საგასაველო განრიგებით (ფ. 15, № 13) გახსნილი კრედიტებისაგან განსხვავებით, საგასაველო განრიგ-დაფინანსების გეგმით მშენებლობის ბანკში გახსნილი კრედიტების დასაფარავად საფინანსო ორგანოები რიცხავენ სახსრებს გახსნილი კრედიტების საერთო თანხის ფარგლებში ყოველთვიურად, სახსრების ათვისების მხედველობაში მიღებით. გახსნილი კრედიტების ფარგლებში სამშენებლო ბანკში გადარიცხული სახსრები არის გახსნილი „ბიუჯეტის სახსრები სამშენებლო ბანკის დაწესებულებებში“ № 013 სუბანგარიშის დებეტში და „ბიუჯეტის სახსრების“ № 010 სუბანგარიშის კრედიტში.

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე და ადგილობრივი ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებებს სახელმწიფო ბანკის მეშვეობით ასანაზღაურებელ ხარჯებზე (გარდა კაპიტალური დაბანდებისა) კრედიტები არ ეხსნებათ; კრედიტების მთავარ განმკარგულელებელს, დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში, სახბანკში გახსნილ მიმდინარე ანგარიშზე ერიცხებათ სახსრები საბიუჯეტო დავალებით ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე (ძირითადი) ანგარიშებიდან. კრედიტების მთავარი განმკარგულელებელი ბიუჯეტიდან მიღებულ სახსრებს ანაწილებენ მესამე ხარისხის კრედიტების განმკარგულელებელთა შორის. საფინანსო ორგანოები სახსრების გადარიცხვას აწარმოებენ წლიურ ნუსხაში დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში,

დადგენილი წესით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით და მათი კვარტალური დაყოფის შესაბამისად, დაწესებულებათა საწარმოო და საფინანსო გეგმების შესრულების მდგომარეობის მიხედვით.

კრედიტების მთავარ განმკარგულებელთა ანგარიშებზე ფულადი სახსრების გადასარიცხავად საფინანსო ორგანოს ბუხჰალტერიას გადაეცემა დაწესებულების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მიმდინარე (ანგარიშსწორების) ანგარიშებზე სახსრების გადარიცხვის გაანგარიშება (ფ. № 5), რომელსაც აღგენს საბიუჯეტო განყოფილება (ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროში) ან ბიუჯეტის უფროსი ინსპექტორი (რაიონულ და საქალაქო საფინანსო ორგანოებში).

გაანგარიშების საფუძველზე საფინანსო ორგანოს ბუხჰალტერია აღგენს სახბანკისადმი დავალებას (ფ. № 0401002 ან ფ. 0401003) სამ ეგზემპლარად და უგზავნის სახელმწიფო ბანკის (ამჟამად შესაბამისი ბანკის განყოფილებას) დაწესებულებას; პირველი ეგზემპლარი რჩება სახბანკის დაწესებულებაში, მეორე ეგზემპლარს სახბანკი უგზავნის კრედიტების განმკარგულებელს, როგორც შეტყობინებას სახსრების ჩარიცხვის შესახებ, ხოლო მესამე უბრუნდება საფინანსო ორგანოს, ბანკის აღნიშვნით, დავალების შესრულების შესახებ.

კრედიტების რამდენიმე განმკარგულებლისათვის ერთდროულად სახსრების გადარიცხვის შემთხვევაში ივსება საერთო-საგადასახდელო დავალება (ფ. № 0401002).

ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ან სახალხო დეპუტატების აღგილობრივი საბჭოების აღმასკომის მიერ კრედიტების განმკარგულებელთა ხარჯთნუსხებში შეტანილი ცვლილებების შესახებ ეცნობებათ კრედიტების მთავარ განმკარგულებლებს, ისინი კი თავის მხრივ, აცნობებენ კრედიტების მესამე ხარისხის განმკარგულებლებს № 11 ფორმის შეტყობინებით, რომელიც ოთხ ცალად ივსება, პირველი ეგზემპლარი ეგზავნება შესაბამის საფინანსო ორგანოს, მეორე რჩება ბუხჰალტერიაში; მესამე უბრუნდება შესაბამის განყოფილებას — დარგობრივი დაფინანსების ეკონომისტებს, მეოთხე გადაეცემა საბიუჯეტო განყოფილებას (ბიუჯეტის უფროს ინსპექტორს აღგილობრივი ბიუჯეტით).

ხარჯებისა და ბიუჯეტისა შორის
ურთიერთანგარიშსწორებათა აღრიცხვა

1. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების აღრიცხვა

საკავშირო ბიუჯეტისა და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებით წარმოებული საკასო ხარჯები აღირიცხება ანგარიშთა გეგმის მეორე განყოფილების სუბანგარიშებში 020 „ბიუჯეტის ხარჯები“ და 021 „მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებზე დროებით მიკუთვნებული თანხები“. ამ ანგარიშებზე ოპერაციების გატარების საფუძველს წარმოადგენს სახბანკის თვიური ანგარიშგება ბიუჯეტის საკასო შესრულებაზე და სამშენებლო ბანკის თვიური ანგარიშგება კაპიტალურ დაბანდებათა და სხვა ღონისძიებების დაფინანსებაზე.

ხარჯების ანგარიშს მიაკუთვნებენ აგრეთვე ბიუჯეტებს შორის ურთიერთანგარიშსწორებაზე შეტყობინების თანახმად ადგილობრივი დაქვემდებარების დაწესებულებების, საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საკასო ხარჯებს, მათი საკავშირო ან მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტზე გადაცემამდე, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებით გაწეული ხარჯების ოდენობით (როდესაც შესრულების პროცესში დაწესებულება ერთი ბიუჯეტის დაქვემდებარებიდან გადაეცემა მეორეს).

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების საკასო ხარჯები, ამასთან დაკავშირებით, თუ რომელი ანგარიშებიდან იქნება გაწეული, იყოფა სამ ჯგუფად¹.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ადგილობრივი ბიუჯეტით კრედიტების განმკარგულებელთა მიმდინარე ანგარიშებიდან სახბანკის მეშვეობით გაწეული საკასო ხარჯები. ცნობებს ამ ხარჯების შესახებ საფინანსო ორგანოები ღებულობენ კრედიტების მთავარ განმკარგულებელთა ხარჯთნუსხების შესრულების თვიური ანგარიშგებიდან,

¹ ხარჯების ჯგუფებად დაყოფა და ბანკების სახელწოდება პირობითია.

რომლებიც ასახვენ ბიუჯეტის საკასო და ფაქტიურ ხარჯებს, ბიუჯეტის კლასიფიკაციის შესაბამისად (კარების, თავების, პარაგრაფების და მუხლებით).

ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფი კრედიტების მთავარი განმკარგულებლები საფინანსო ორგანოებს ყოველთვიურად უდგენენ ნაკრებ ანგარიშგებას ხარჯთნუსხების შესრულებაზე. ამ ანგარიშების საფუძველზე საკასო ხარჯებს მიაკუთვნებენ № 020 „ბიუჯეტის ხარჯების“ დებეტს და აკრედიტებენ ადგილობრივი ბიუჯეტებით კრედიტების განმკარგულებელთა მიმდინარე ანგარიშის № 014 სუბანგარიშს. ამ ხარჯების დეტალიზებული აღრიცხვა საფინანსო ორგანოებში არ წარმოებს. კვარტალური და წლიური ბიუჯეტის შესრულების შესადგენად გამოიყენება კრედიტების მთავარ განმკარგულებელთა მიერ წარგზავნილი ანგარიშგება.

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებით და ადგილობრივი ბიუჯეტებით კრედიტების ცალკეულ განმკარგულებელთა მიმდინარე ანგარიშებიდან განაღდებული საკასო ხარჯების აღრიცხვა წარმოებს კრედიტების თითოეული მთავარი განმკარგულებლის მიხედვით, სახელმწიფო ბანკში გახსნილ მიმდინარე ანგარიშების კვალობაზე (კრედიტების განმკარგულებელთა მიმდინარე ანგარიშებისა და საკასო ხარჯების ფორმა № 3 დავთარში).

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ის საკასო ხარჯები, რომლებიც ხორციელდება მშენებლობის ბანკის მეშვეობით. ამ ჯგუფის ხარჯები აისახება მშენებლობის ბანკის კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების თვიური ანგარიშგების ან სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა ცნობების საფუძველზე. კაპიტალური მშენებლობის დასაფინანსებლად მიღებული და გაცემული სახსრების შესახებ აღნიშნული საბუთების საფუძველზე ხარჯებს აკუთვნებენ „ბიუჯეტის ხარჯების“ № 020 ანგარიშის დებეტს და „კაპიტალურ დაბანდებათა და სხვა ღონისძიებათა დაფინანსებაზე მშენბანკში და სახბანკში ბიუჯეტის სახსრების“ № 013 ანგარიშის კრედიტს.

პირველი ჯგუფის ხარჯების მსგავსად, ამ ჯგუფის ხარჯების დეტალიზებული აღრიცხვა საფინანსო ორგანოებში არ წარმოებს. მშენებლობის ბანკის მიერ განაღდებული საკასო ხარჯების ჯგუფური აღრიცხვა კრედიტების ცალკეული განმკარგულებლების მიხედვით ხორციელდება ფორმა № 3 დავთარში.

მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ხარჯები, რომლებიც უშუალოდ საფინანსო ორგანოების მიმდინარე ანგარიშებიდან ნაღდება. მაგალითად, საფინანსო ორგანიზაციების ანგარიშებზე საკუთარი საბრუნავე საშუალებების შესავსებად გადარიცხული თანხები, ბანკების გრძელვადიანი სესხების დასაფარავად გადარიცხული თან-

ხები, გრძელვადიანი სესხებისათვის გადახდილი პროცენტები და სხვა.

ადგილობრივი ბიუჯეტის (ძირითადი) მიმდინარე ანგარიშიდან საფინანსო ორგანოს დავალებით უშუალოდ წარმოებულ ხარჯებს აკუთვნებენ „ბიუჯეტის ხარჯების“ № 020 ანგარიშის დებეტსა და „ადგილობრივი ბიუჯეტის (ძირითადი) მიმდინარე ანგარიშის“ № 011 ანგარიშის კრედიტს, ამ ჯგუფის ხარჯების აღსარიცხავად ფორმა № 3-ფ დავთარში იხსნება ცალკე ანგარიშები ბიუჯეტის კლასიფიკაციის თითოეული განაყოფის მიხედვით (იხ. დავთარი ფორმა № 3-ფ).

მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გაწეული ხარჯების ანალიზური აღრიცხვა წარმოებს № 5-ფს უწყისსა ან ხარჯების აღრიცხვის ფ. № 5-ფს დავთარში.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისას საკასო შემოსავლებსა და ხარჯებს განასხვავებენ ფაქტიური შემოსავლებისა და ხარჯებისაგან. საკასო შემოსავლებია სახბანკში ბიუჯეტის ანგარიშზე ჩარიცხული სახსრები, რომლებიც უკან დაბრუნებული თანხის გამოკლებით წარმოადგენენ წმინდა საკასო შემოსავალს.

დარიცხული, ანუ კონსტანტირებული შემოსავლებია გადამხდელებზე დარიცხული თანხები, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული სახბანკის დაწესებულებების მიერ. დარიცხულს, მაგრამ დაწესებულ ვადაზე ბანკში შეუტანელ თანხებს, ეწოდება ნარჩენები.

საკასო ხარჯებია ბანკის დაწესებულებების მიერ ბიუჯეტის ასიგნებათა ფარგლებში შესაბამის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე გაემართლი თანხები, რომლებიც აუთვისებელი და ბანკში უკან დაბრუნებული თანხების გამოკლებით, შეადგენენ წმინდა საკასო ხარჯებს.

ფაქტიური ხარჯებია ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ ფაქტიურად გამოყენებული ბიუჯეტის სახსრები. ფაქტიურ ხარჯებს მიეკუთვნება კონსტანტირებული (დარიცხული) ხარჯები, რომლებიც ფაქტიურად დარიცხულია გასაცემად, მაგრამ ჯერ კიდევ გაუნაღდებულია.

2. ბიუჯეტის შორის შრთიერთანხარისჯორებათა აღრიცხვა

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პროცესში საკავშირო ბიუჯეტს, მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებს, ასსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის წარმოიქმნება ურთიერთანგარიშსწორებანი იმ ცვლილებების შედეგად, რომელიც შეიტანება ბიუჯეტებში შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ მთავრობის ცალკეული გადაწყვეტილებებით, აგრეთვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შეცვლისთან, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დაქვემდებარების

შეცვლასთან, კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების სხვადასხვა დაქვე-
მდებარების ბიუჯეტებს შორის გადანაწილებასთან დაკავშირებით და
სხვა.

ურთიერთანგარიშსწორებათა წარმოქმნას საფუძვლად უდევს სსრ
კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მოკავშირე და ავტონო-
მიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძა-
ნებულებანი, აგრეთვე მინისტრთა საბჭოების გადაწყვეტილებანი.

ბიუჯეტებს შორის ურთიერთანგარიშსწორება წარმოიშვება ბიუ-
ჯეტის შესრულების პროცესში. როგორც აღვნიშნეთ, ყველა ეს ანგა-
რიშსწორება დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების
შემდეგ ერთი ბიუჯეტის დაქვემდებარებიდან შემოსავლების ან ხარ-
ჯების მეორეზე გადაცემასთან.

ბიუჯეტებს შორის ურთიერთანგარიშსწორებათა აღსარიცხავად
გათვალისწინებულია სუბანგარიშების ორი ჯგუფი. პირველი ჯგუფის
სუბანგარიშებს მიეკუთვნება: № 060 — „საკავშირო ბიუჯეტთან ურ-
თიერთანგარიშსწორება“, 061 — „მოკავშირე რესპუბლიკების რეს-
პუბლიკურ ბიუჯეტთან ურთიერთანგარიშსწორება“, 062 — „ურთი-
ერთანგარიშსწორებანი ადგილობრივ ბიუჯეტებთან“; მეორე ჯგუ-
ფის სუბანგარიშების შემადგენლობაშია: 070 — „საკავშირო ბიუჯე-
ტიდან გადაცემული და მიღებული სახსრები“, № 071 — „მოკავშირე
რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადაცემული და მი-
ღებული სახსრები“, № 072 — „ადგილობრივ ბიუჯეტებზე გადაცემუ-
ლი და მათგან მიღებული სახსრები“, № 073 „სოფლის ბიუჯეტების
მიერ გადაცემული და მიღებული სახსრები“.

დასახელებული სუბანგარიშები წარმოადგენენ აქტიურ-პასიურ
ანგარიშებს და მათი ნაშთები აღსახება: დებეტისა — აქტივი, კრე-
დიტისა — პასივი. პირველი ჯგუფის №№ 060, 061 და 062 სუბან-
გარიშებში იწერება მოცემულ ბიუჯეტში სხვა ბიუჯეტებიდან მისა-
ღები და სხვა ბიუჯეტებზე გადასაცემი თანხები.

ანგარიშსწორებათა მდგომარეობის მიხედვით ამ ანგარიშებს შე-
იძლება ჰქონდეთ როგორც სადებეტო, ისე საკრედიტო ნაშთები. სა-
დებეტო ნაშთი აჩვენებს სხვა ბიუჯეტების დავალიანების თანხას
მოცემული ბიუჯეტისადმი, ხოლო საკრედიტო ნაშთი — მოცემული
ბიუჯეტის დავალიანების თანხას სხვა ბიუჯეტისადმი.

მეორე ჯგუფის №№ 070, 071, 072 და 073 სუბანგარიშები მაჩვენ-
ებელია სხვა ბიუჯეტებზე გადაცემული და სხვა ბიუჯეტებიდან მი-
ღებული თანხებისა.

როდესაც დაწესებულებების, საწარმოებისა და სამეურნეო ორგა-
ნიზაციების დაფინანსება ერთი ბიუჯეტიდან მეორეს გადაეცემა, ამ

დაწესებულებების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ წლის დასაწყისიდან გაწეული ხარჯები, აგრეთვე მათ მიერ მიღებული შემოსავლები, მთლიანად აისახება იმ ბიუჯეტში, რომელსაც ისინი გადაეცენ.

ხარჯების ერთი ბიუჯეტიდან მეორეზე გადაცემისას, როდესაც დაფინანსება წარმოებს სახბანკის საშუალებებით, ურთიერთანგარიშსწორებაზე ტარდება გადაცემული დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის დასაფინანსებლად ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებათა მთლიანი თანხა.

საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ერთი დაქვემდებარებიდან მეორეზე გადაცემისას ბიუჯეტებს შორის ურთიერთანგარიშსწორებაზე აღირიცხება მოცემული საწარმოს ან სამეურნეო ორგანიზაციის მიერ ბიუჯეტში შესატანი გადასახდელების მთლიანი წლიური თანხა, რაც გათვალისწინებულია დამტკიცებული ბიუჯეტით.

სესხების აღრიცხვა

ბიუჯეტური სესხები, გაცემის ვადების მიხედვით, იყოფა გრძელვადიან და მოკლევადიან სესხებად.

გრძელვადიანი ეწოდება ისეთ სესხს, რომელიც ერთ წელზე მეტი ვადით გაიცემა.

მოკლევადიანია ისეთი სესხი, რომელიც იმავე საბიუჯეტო წელს ითარება.

პრაქტიკაში მეტწილად მოკლევადიანი სესხების ოპერაციები ხორციელდება. როდესაც ზემდგომი ბიუჯეტი ქვემდგომ ბიუჯეტს დროებით აძლევს სესხს მისი სახსრების ნაკლებობის დასაფარავად. ეს მდგომარეობა ზოგიერთი სახის შემოსავლების სეზონურობით აიხსნება.

გაცემული და მიღებული მოკლევადიანი სესხების აღსარიცხავად გათვალისწინებულია შემდეგი ანგარიშები: № 050 „საკავშირო ბიუჯეტიდან გაცემული და მიღებული მოკლევადიანი სესხები“, № 051 „მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაცემული და მიღებული მოკლევადიანი სესხები“, № 052 „ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაცემული და მიღებული მოკლევადიანი სესხები“.

აქედან № 050 და № 051 ანგარიში გამოიყენება სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროში, ხოლო № 050, 051, 052 ანგარიშები — მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებსა და ადგილობრივ საფინანსო ორგანოებში.

მიღებული მოკლევადიანი სესხების თანხები შესაბამისად აისახება № 011 ან № 010 ანგარიშების დებეტში და № 050, № 051 ან № 052 ანგარიშების კრედიტში.

მოკლევადიანი სესხის დაფარვისას თანხები გატარდება, კუთვნი-
ლებისამებრ, №№ 050, 051, 052 ანგარიშების დებეტში და № 011 ან
№ 010 ანგარიშის კრედიტში.

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხები აღრიცხება ბალანს-
გარეშე № 120 ანგარიშის დებეტში, ხოლო დაფარვა კრედიტში.

მიღებული და გაცემული სესხების ოპერაციების ანალიზური აღ-
რიცხვა ზორციელდება დავთარში ფ. № 4-ფ. სესხის დაფარვის ვადე-
ბის მიხედვით თითოეული ოპერაცია იწერება ცალკე სტრიქონზე სეს-
ხების აღსარიცხავად გათვალისწინებულ სვეტებში. აღრიცხვის მექა-
ნიზაციის პირობებში იცემა ბიუჯეტთან ურთიერთანგარიშსწორების
ბარათი ფორმა № 4-მექ., სადაც სესხების ანალიზური აღრიცხვისა-
თვის გათვალისწინებულია ცალკე სტრიქონები და სვეტები.

ფონდებისა და რეზერვების აღრიცხვა. კომუ-
ნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ
საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას. სსრ
კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ
მიიღო კანონი მასწავლებელთა, ექიმთა და იმ დარგების მუშაკთა
ხელფასის მომატების შესახებ, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან
მოსახლეობას, სწორედ ასეთი კატეგორიის მუშაკების ხელფასით
დროულად უზრუნველყოფის ამოცანას ასრულებს ბიუჯეტის მიზნობ-
რივი რეზერვი სოფლად.

ბიუჯეტის მიზნობრივი რეზერვის სახსრები ინახება სახელმწიფო
ბანკის დაწესებულებებში ცალკე მიმდინარე ანგარიშზე. ამ ანგარი-
შიდან სახსრების გასესხება ხდება მხოლოდ სახალხო დებუტატების
საბჭოების აღმასკომების განკარგულებით. მიზნობრივი რეზერვიდან
ნასესხები თანხების აღდგენა იწყება სესხის აღების მეორე დღიდან-
ვე. ადგილობრივი ბიუჯეტის (ძირითადი) მიმდინარე ანგარიშის ყო-
ველგვარი შემოსავლიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ
ანგარიშიდან გასაცემია სახსრები საბავშვო და სამკურნალო დაწესე-
ბულებებზე ბავშვთა და ავადმყოფთა კვების ხარჯების დასაფარავად.

ბიუჯეტის მიზნობრივი რეზერვის შექმნა-გამოყენება, აგრეთვე
ხელფასის გასაცემად თანხების დაჯავშნა წარმოებს მოკავშირე რეს-
პუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილი წესის შესაბა-
მისად.

ბიუჯეტის მიზნობრივი რეზერვის თანხების აღსარიცხავად გათვა-
ლისწინებულია № 015 „ბიუჯეტის მიზნობრივი რეზერვის მიმდინარე
ანგარიში“ და ბალანსგარეშე № 010 ანგარიში „ბიუჯეტის მიზნობრი-
ვი რეზერვი“. ბიუჯეტის მიზნობრივი რეზერვის მიმდინარე ანგარიშზე
რიცხული თანხები მაჩვენებელია ფაქტიურად არსებული სახსრებისა,
ხოლო № 10 — ბიუჯეტის მიზნობრივი რეზერვის ბალანსგარეშე ანგა-

რისი — დამტკიცებული რეზერვის ოდენობისა. ამ ორ ანგარიშს შორის სხვაობა უჩვენებს აღუღვენელი (დაუფარავი) ნასესხები თანხის სიდიდეს.

ამავე ანგარიშებში აღირიცხება ბიუჯეტის მიზნობრივი რეზერვების ოდენობის გადიდება ან შემცირება.

3. მიზნობრივი დანიშნულების ფონდების აღრიცხვა

ადგილობრივი დაქვემდებარების მრეწველობის საწარმოთა მოგების გადანაწილების სახსრები, ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ფონდიდან გადანაწილებული სახსრები, ქალაქის საბინაო მეურნეობის კაპიტალური რემონტის დაფინანსების ფონდი, აგრეთვე დაფინანსების სახსრები საავტომობილო გზების მშენებლობისა, რომელიც განხორციელებულია საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლოატაციიდან შემოსავლების ორპროცენტიანი ანარცხების ანგარიშში, აღირიცხება ანგარიშთა გეგმით გათვალისწინებული პირველი რიგის № 08 ანგარიშის № 080 სუბანგარიშზე „ადგილობრივი დაქვემდებარების მრეწველობის საწარმოთა მოგების გადანაწილების სახსრები“. ეს ანგარიში გამოიყენება ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებში, სამხარეო, საოლქო და ქალაქების, რესპუბლიკური ადგილობრივი დაქვემდებარების მრეწველობის საწარმოთა მოგების გადანაწილების სახსრების აღსარიცხავად.

ადგილობრივი დაქვემდებარების მრეწველობის (საშენ მასალათა, ხორცისა და რძის, კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვა) საწარმოთა მოგების გადანაწილების სახსრების შემოსავალი ტარდება № 016 ანგარიშის დებეტში და № 080 ანგარიშის კრედიტში. სახსრების ხარჯვა (თანხების ჩამოწერა) ადგილობრივი მრეწველობის გაფართოების ღონისძიებების ჩასატარებლად აისახება „ადგილობრივი მრეწველობის მოგების გადანაწილების სახსრების“ № 080 ანგარიშის დებეტსა და № 016 ანგარიშის კრედიტში.

შ ე ნ ი შ ე ნ ა :

სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების გაცრელება ახლა ყველგან ძირეულად ცვლის ეკონომიკური კავშირებისა და ურთიერთობის ხასიათს, ქმნის სამეურნეო დემოკრატიის ყოველმხრივი გაღრმავების პირობებს.

საფინანსო ორგანოები აღარ ერევიან საწარმოთა ოპერატიულ ფინანსურ საქმიანობაში. აკრძალულია საწარმოთა მოგების ან სხვა ფინანსური რესურსების გადანაწილება სხვა საწარმოების ან ბიუჯეტის სასარგებლოდ, დაწესებული ნორმატივების გადამეტებით.

ამიტომ საფინანსო ორგანოების მიზანი საწარმოებთან ურთიერთობაში, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვახდეს სამეურნეო საქმიანობის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებაში ქმედითი დახმარების აღმოჩენა, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების დანახარჯების შემცირებაში ხელის შეწყობა და ამ გზით მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშგება
და მისი საანგარიშო შემოწმება

1. ანგარიშგების შემადგენლობა და შინაარსი

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგების ამოცანაა სწორად უჩვენოს მისი შედეგის თარიღისათვის ბიუჯეტის შესრულების შედეგები ბიუჯეტის კლასიფიკაციის ყველა მაჩვენებლის მიხედვით. ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშგება მოიცავს ისეთ მაჩვენებლებს, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობენ საბიუჯეტო და სახარჯთნუსხო აღრიცხვის საანგარიშგებო მონაცემების ერთობლიობიდან, რამდენადაც ისინი ერთიმეორესთან დაკავშირებული არიან, ერთიმეორეს ავსებენ და საერთო ჯამში წარმოადგენენ ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის ერთიან ანგარიშგებას.

იმის მიხედვით თუ რა მოცულობით მოიცავს ბიუჯეტის შესრულების ეკონომიკურ, ბიუჯეტურ თუ სახარჯთნუსხო მაჩვენებლებს, მოქმედი ინსტრუქცია ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების წლიური ანგარიშგებების შედეგის შესახებ ითვალისწინებს საანგარიშგებო ფორმებისა და ცნობარების შემდეგ შემადგენლობას:

ფორმა № 1 — ბიუჯეტის შესრულების ბალანსი;

ფორმა № 2 — ანგარიშგება ბიუჯეტის შესრულებაზე (შემდეგი სტრუქტურით):

I შემოსავლები,

II ხარჯები,

III ხარჯების დანაწილება საბიუჯეტო კლასიფიკაციის განყოფილებების მიხედვით.

ფორმა № 4 — ანგარიშგება სპეციალური სახსრების ხარჯთნუსხების შესრულებაზე;

ფორმა № 4-ბ — ცნობა საყოველთაო სწავლების ფონდის სახსრების შემოსავალსა და ხარჯვაზე;

ფორმა № 4-ს — ანგარიშგება თვითდაბეგვრის შემოსავალსა და ხარჯვაზე;

ფორმა № 5 — მონაცემები ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების სახსრების ნაშთების შესახებ ანგარიშსწორებებში, მასალებში და ძირითად საშუალებებში;

ფორმა № 15-სვ — ნაერთი ანგარიშგება ფულადი საშუალებებისა და მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისებისა და დატაცებების შესახებ ბიუჯეტურ დაწესებულებებში;

ფორმა № 6 — ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების შტატგარეშე (არასიობრივი) შემადგენლობის მუშაკთა ხელფასის ფონდის ხარჯები;

ცნობა — მიზნობრივი სახსრების ანგარიშში ხარჯებზე მიმართული თანხების შესახებ;

ცნობა — მუშაკებზე უფასოდ მიცემული ბინისა და კომუნალური მომსახურების ხარჯების გადახდაზე; წლიურ ანგარიშგებას ზემოაღნიშნულის გარდა დაერთვის;

სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებებისა და შემნახველი სალაროების მიერ დამოწმებული ცნობები ბანკებსა და შემსალაროებში მიმდინარე ანგარიშზე წლის ბოლოსათვის არსებული ბიუჯეტის ფულადი სახსრების ნაშთების შესახებ, აგრეთვე სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებების შესახებ, აგრეთვე სსრ კავშირის სახბანკის დაწესებულებების მიერ დამოწმებული ცნობა სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩარიცხული თანხების შესახებ; ბანკის მიერ დამოწმებული ცნობა წლის ბოლოსათვის გრძელვადიანი სესხებით ბიუჯეტის დავალიანების შესახებ;

განმარტებითი ბარათი წლიურ ანგარიშგებასთან.

ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშგების ზემოთ დასახელებული ფორმების შედგენას წინ უსწრებს მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, ანუ ანგარიშების წლიური დასკვნა და სახელმწიფო ბიუჯეტის შედგეგების გამოვლენა, ამისათვის აღრიცხვის რეგისტრებში ჩანაწერების სიზუსტის შემოწმების შემდეგ კრედიტების განმკარგულებელთა ანგარიშგებისა და ბანკების ანგარიშების საფუძველზე ყველა ხარჯი იწერება № 020 ანგარიშის დებეტში. გაურკვეველი შემოსავლები გაურკვეველი შემოსავლების № 041 ანგარიშიდან გადაიტანება ბიუჯეტის შემოსავლების № 040 ანგარიშის კრედიტში როგორც „სხვადასხვა წერილი და შემთხვევითი შემოსავლები“.

ასეთი ჩანაწერების შემდეგ წარმოებს ანგარიშების დასკვნა და ბიუჯეტის შესრულების განსაზღვრა № 90 „ბიუჯეტის შესრულების შედეგების“ ანგარიშზე. ამ ანგარიშის დებეტში ჩაიწერება ხარჯების, ხოლო კრედიტში — შემოსავლების ანგარიშების ნაშთები შემდეგი გატარებით:

1. დებეტი — ანგარიში № 040 „ბიუჯეტის შემოსავლები“;
კრედიტი — ანგარიში № 090 „ბიუჯეტის შესრულების შედეგები“;
2. დებეტი — ანგარიში № 090 „ბიუჯეტის შესრულების შედეგები“;
კრედიტი — №№ 070, 071, 073 ანგარიშების (შესაბამისად) „ბიუჯეტზე გადაცემული და მიღებული სახსრებისა“ ანგარიშებზე რიცხული საღებეტო ნაშთების თანხებით.

4. დებეტი — №№ 070, 071, 072, 073 ანგარიშები (შესაბამისად);

5. კრედიტი — № 090 ანგარიში „ბიუჯეტებზე გადაცემული და მიღებული სახსრების“ ანგარიშებზე რიცხული საკრედიტო ნაშთების თანხებით.

როგორც ამ გატარებებიდან ჩანს, ბიუჯეტის შედეგების № 090 ანგარიშში თავს იყრის ბიუჯეტით წლის განმავლობაში წარმოებული ყოველგვარი შემოსავლებისა და ხარჯების ნაშთები, გარდა მოკაეშირე რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტების მიმართ (ადგილობრივ ბიუჯეტებში სახელმწიფო შემოსავლებიდან და გადასახდლებიდან ზედმეტად ჩარიცხული ანარიცხების თანხების) დავალიანებისა, რომელიც № 042 ანგარიშზე რჩება.

ბიუჯეტის შესრულების შედეგების ანგარიშზე მიღებული საკრედიტო ნაშთი წარმოადგენს ბიუჯეტის შესრულების შედეგს, რომელიც ნაწილდება წარმოშობის წყაროების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაში მონაწილე ორგანოების ანგარიშგება ძირითადად უნიფიცირებულია, ისინი თავისი შინაარსითა და მოცულობით გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება. ეს სპეციფიკურობა გაპირობებულია ბიუჯეტისა და ხარჯთნუსხების შესრულების აღრიცხვა-ანგარიშგების თავისებურებებით, რომელიც თავის ასახვას პოულობს ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების წლიური ანგარიშგების ფორმებსა და საცნობარო ცხრილებში. წლიური ანგარიშის ფორმებში დამატებითი მაჩვენებლების დადგენა ხდება სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ ყოველწლიურად ბლანკების დაბეჭდვისას. ინსტრუქციით გათვალისწინებულ ფორმებში დამატებითი მაჩვენებლების შეტანა, მაჩვენებლების გაერთიანება და მათი შეცვლა არ დაიშვება.

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული ბიუჯეტების შესრულების წლიური ანგარიშგება დგება მანეთებში, ხოლო ნაერთი წლიური ანგარიშგება ათას მანეთებში და წარედგინება ზემდგომ საფინანსო ორგანოს.

2. ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშგების
საანგარიშო შემოწმება

ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული საფინანსო განყოფილებები ბიუჯეტის შესრულების ნაერთი ანგარიშის შედგენამდე აწარმოებენ მიღებული ქვემდებარე ბიუჯეტების შესრულების წლიური ანგარიშგების საანგარიშო შემოწმებას.

ანგარიშგების საანგარიშო შემოწმების დროს დგინდება:

ა) საფინანსო ორგანოს ნაერთ ანგარიშში არის თუ არა მთლიანად ჩართული ქვემდებარე ბიუჯეტების შესრულების ყველა ანგარიშგება. კერძოდ, შემოწმებას ექვემდებარება: ყველა საანგარიშგებო ფორმის არსებობა; ცალკეულ ფორმებში მოცემული ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლების შეთანხმებულობა ერთიმეორესთან და ბალანსთან, აგრეთვე არითმეტიკული ჯამების სისწორე, საფინანსო ორგანოების ანგარიშგებათა მიხედვით ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში და ადგილობრივ ბიუჯეტებში სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან ანარიცხების თანხების შესაბამისობა სახბანკის მონაცემებთან. ქვემდგომი ორგანოების ანგარიშგებებში ნაჩვენები ზემდგომი ბიუჯეტებიდან მიღებული სახსრების, ზემდგომ ბიუჯეტზე გადაცემული სახსრების, აგრეთვე ზემდგომ ბიუჯეტში გადარიცხული ჭარბი შემოსავლების მონაცემების შესაბამისობა ზემდგომი საფინანსო ორგანოს ბუხპალტრული ანგარიშგების მონაცემებთან; წლიური ანგარიშგების ფორმებში წლის დასაწყისისათვის ნაჩვენები ნაშთების შესაბამისობა გასული წლის ანგარიშგების მიხედვით წლის ბოლოსათვის არსებულ ნაშთებთან.

წლის დასაწყისისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთები შეიძლება შეიცვალოს:

ა) საანგარიშგებო წელს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შეცვლასთან დაკავშირებით, რაც იწვევს ერთი დაქვემდებარების ბიუჯეტიდან შემოსავლებისა და ხარჯების გადაცემას მეორე დაქვემდებარების ბიუჯეტზე.

ბ) საწარმოებისა და დაწესებულებების უწყებრივი დაქვემდებარების შეცვლასთან დაკავშირებით;

ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროების, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული საფინანსო განყოფილებები აწარმოებენ ბიუჯეტების შესრულებისა და კრედიტების მთავარი განმკარგულებლების მიერ წარდგენილი ხარჯთნუსხების შესრულების წლიური ანგარიშგებების, აგრეთვე ქვემდგომი ბიუჯეტების შესრულების წლიური ანგარიშგებების ანალიზს.

ანალიზის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბიუჯეტში

შემოსავლების შემოსვლის გეგმის შესრულებას ცილკულტურ წყაროების მიხედვით და იმ მიზეზების გამოვლენას, რომლებმაც გამოიწვიეს დადგენილი გეგმიდან ფაქტიური შემოსავლის გადახრა.

ბრუნვის გადასახადის, მოგებიდან საწარმოთა და ორგანიზაციათა გადასახდელების გეგმის შესრულების განხილვისას დგინდება ფაქტორები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ამ გადასახადებისა და გადასახდელების შემოსავლის დონეზე: პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, მომსახურებისა და საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაზე, თვითღირებულებისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირების დაევალებათა და საერთოდ დაგროვების გეგმების შესრულებაზე და ა. შ.

ამ მიზნით ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ბუხპალტრული და სტატისტიკური ანგარიშგება და სხვა არსებული მასალები, რომლებიც ახასიათებენ საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ფინანსურ საქმიანობას. ყურადღება უნდა მიექცეს გეგმის შესრულებას გადასახადების ცალკეული სახეების მიხედვით, ბიუჯეტში გადასახდელების შემოსვლის თავისდროულობას, ამასთან, საქიროა დადგინდეს გეგმიდან ფაქტიური შემოსავლის გადახრის მიზეზები.

გარდა აღნიშნულისა, ბიუჯეტის გადასახდელებისა და გადასახადების ანალიზის დროს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული შემდეგი:

1. ბრუნვის გადასახადი წარმოადგენს ბიუჯეტის ყველაზე მყარ და რეგულარულ შემოსავალს. ამ გადასახადის აღნიშნული თვისებები იმით არის განპირობებული, რომ მისი შემოსვლა დამოკიდებულია პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმების შესრულებაზე და არ არის დაკავშირებული საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ისეთ მაჩვენებლებთან, როგორცაა პროდუქციის თვითღირებულება, მოგება, წარმოების რენტაბელობა და ა. შ.

ბრუნვის გადასახადის განაკვეთები დაწესებულია საქონლის ცალკეულ სახეობათა და ჯგუფების მიხედვით. მრეწველობის ცალკე დარგებისა და საქონლის ჯგუფისათვის ბრუნვის გადასახადი გამოიანგარიშება შემდეგი საში მეთოდით: ფასთა სხვაობის სახით; მტკიცე, აბსოლუტურ თანხებში დაწესებული და ბრუნვასთან პროცენტულად დაწესებული განაკვეთებით.

ბრუნვის გადასახადის ფასთა სხვაობის წესით გამოანგარიშებისას გადასახადის თანხა განისაზღვრება როგორც სხვაობა საქონლის საცალო ან მრეწველობის საბითუმო ფასსა (სავაჭრო დათმობის, ხოლო შესაბამის შემთხვევებში გასაღების დანამატის გამორიცხვით) და საწარმოს საბითუმო ფასს შორის.

ბრუნვის გადასახადის გამოანგარიშება ფასთა სხვაობის წესით აქვამად წარმოადგენს ყველაზე გავრცელებულ მეთოდს. იგი მოიცავს ქვეყნის მასშტაბით გამოანგარიშებული გადასახადის 80%-ზე მეტს. ამ წესით გადასახადი გამოანგარიშება უმთავრესად მსუბუქი და კვების მრეწველობის მიერ გამომუშავებულ პროდუქტიაზე, აგრეთვე კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელზე, მიუხედავად იმისა, თუ რომელი სისტემის საწარმოთა მიერ არის გამომუშავებული ეს საქონელი.

ბრუნვის გადასახადს ანგარიშობენ თვით გადამხდელეები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან გადასახადის გამოანგარიშების სისწორისა და მისი ბიუჯეტში თავისდროულად ჩარიცხვისათვის.

ბრუნვის გადასახადის გადამხდელ საწარმოებს ევალებათ დადგენილ ვადებში წარუდგინონ საფინანსო ორგანოებს კვარტალური და თვიური საგადასახადო ანგარიშები, ყოველდღეკადური გაანგარიშებანი და ხუთდღიური ცნობები, იმის მიხედვით თუ რა წესით შეიტანება ბიუჯეტში ბრუნვის გადასახადი მოცემული საწარმოს მიერ.

საფინანსო ორგანოები საწარმოებიდან მიღებული საგადასახადო ანგარიშების მიხედვით ამოწმებენ გადასახადის გამოანგარიშების, აგრეთვე, დიფერენცირებული განაკვეთების გამოყენების სისწორეს და შეაქვთ სათანადო შესწორებები გადამხდელთა პირად ანგარიშებში, რაზედაც გადამხდელებს გაეგზავნებათ სათანადო შეტყობინება. შემოწმების შედეგად დამატებით დარიცხულ თანხას საწარმოები გადაიხდიან 5 დღის ვადაში, დღიდან შეტყობინების მიღებისა, ხოლო ზედმეტად გადახდილი თანხა ჩაითვლება მოშავალი გადასახდელის ანგარიშში ან დაუბრუნდება გადამხდელს მისი განცხადებით.

გარდა ამისა, საფინანსო ორგანოები დოკუმენტურად ამოწმებენ მიღებულ ანგარიშგებას უშუალოდ საწარმოებში, ბუხჰალტრული აღრიცხვის მონაცემებისა და პირველადი საბუთების მიხედვით. კერძოდ, მოწმდება საქონლის რეალიზაციის საერთო ბრუნვა საქონლის თითოეული სახეობის მიხედვით, დასაბეგრი და დაუბეგრავი ბრუნვა, საცალო და საბითუმო ფასების გადასახადის განაკვეთების სავაჭრო დათმობის, და საქონლის გასაღების მონაკლები, აგრეთვე შეღავათების განსაზღვრის სისწორე, შეღავათების მინიჭების საფუძველი და ა. შ.

ბრუნვის გადასახადის ბიუჯეტის შემოსავალში დაგეგმვა წარმოებს ორ ეტაპად: ა) გადასახადის გეგმის პროექტების შედგენა ადგილობრივ საფინანსო ორგანოებში და მათი ზემდგომი ორგანოებისათვის წარდგენა; ბ) ზემდგომი საფინანსო ორგანოების მიერ ბრუნვის გადასახადის დამტკიცებული წლიური გეგმების დაშვება ადგილობრივ საფინანსო ორგანოებამდე მისი კვარტალური დაყოფით.

პირველ ეტაპზე ბრუნვის გადასახადის გეგმების პროექტებს აღგენენ:

ა) რაიონული (საქალაქო) საფინანსო განყოფილებები — მათი დაქვემდებარების საწარმოთა მიხედვით, ხოლო ზემდგომი საფინანსო ორგანოების მოთხოვნით მათ ტერიტორიაზე განლაგებული სხვა საწარმოთა მიმართაც.

ბ) მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები, სამხარეო, საოლქო, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საფინანსო განყოფილებები შესაბამისი დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციების მიხედვით;

გ) მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები — მრეწველობის ყველა დარგის მიხედვით (მათ შორის საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა მიმართაც);

დ) სსრკ ფინანსთა სამინისტრო სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით;

ბრუნვის გადასახადის გეგმის პროექტები დგება საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმების, საწარმოთა, სამეურნეო ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების გეგმიური გაანგარიშებებისა და საფინანსო ორგანოების სათანადო გაანგარიშებათა საფუძველზე.

მეორე ეტაპზე ბრუნვის გადასახადის გეგმების ზემდგომ ინსტანციებში დამტკიცების შემდეგ, გადასახადის წლიური გეგმა კვარტალური დაყოფით საფინანსო ორგანოების მიერ ეცნობება შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს. ბოლოს საფინანსო ორგანოები ამოწმებენ იმასაც, დაყვანილია თუ არა ეს გეგმები ბრუნვის გადასახადის გადახდელ საწარმოებსა და ორგანიზაციებამდე.

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი ს შ ე მ ო წ მ ე ბ ა . 1. გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი ს ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა და ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი ს მ ო გ ე ბ ი დ ა ნ ბ ი უ ჯ ე ტ ი ს შ ე მ ო ს ა ე ლ ე ბ ი ს ე რ თ მ ე ს ა მ ე დ ნ ა წ ი ლ ს შ ე ა დ გ ე ნ დ ა .

აღრე მოქმედი წესით გათვალისწინებული იყო სამი სხვადასხვა სახის გადასახდელი: ძირითადი საწარმოო ფონდებისა და ნორმირებული საბრუნავი საშუალებების გადასახდელი; ფიქსირებული (სარენტო) გადასახდლები; მოგების თავისუფალი ნაშთი, რომელსაც ჭერ კიდევ იხდიან თვითდაფინანსებაზე გადაუყვანელი საწარმოები.

2. ძირითადი საწარმოო ფონდებისა და ნორმირებული საბრუნავი საშუალებების გადასახდელს იხდიან გეგმიურ-მომგებიანი საწარმოები ან მათი საწარმოო გაერთიანებები. გადასახდლების თანხას თითოეული საწარმოს მიხედვით აწესებენ სამინისტროები და უწყებები და აისახება საწარმოს შემოსავალ-გასავლის საფინანსო გეგმებში. გადასახდლების ოდენობა დამოკიდებულია ძირითადი საწარმოს ფონდებისა და ნორმირებული საბრუნავი საშუალებების სიდიდესა და გადასახდლის განაკვეთზე. გადასახდელთა განაკვეთები დაწესებულია პროცენტულად ფონდების ღირებულებასთან. ფონდების შეფასება წარმოებს მათი საბალანსო ღირებულებით (ცვეთის გამოუკლებლად).

გადასახდლების გამოსაანგარიშებლად ფონდების შემადგენლობაში შეიტანება აგრეთვე ბანკის მიერ დაუკრედიტებელი საქონლურ-მატერიალურ ფასეულობათა ნორმირებული მარაგი საბრუნავი საწარმოო სახსრებისა და სარეალიზაციოდ განკუთვნილი მზა პროდუქციის სახით. აღნიშნულ ფასეულობათა ღირებულებიდან გამოირიცხება: მკირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ცვეთა; დავალიანება ბანკის სესხების მიხედვით; დავალიანება მომწოდებელთა მიმართ (იმ აქტეპტებული ანგარიშების მიხედვით, რომელთა განაღდების ვადა ჯერ არ დამდგარა); აგრეთვე სხვადასხვა სახის სარეზერვო თანხები.

ფონდების გადასახდლების გამოსაანგარიშებლად გათვალისწინებულია გადასახდლის ნორმატივი, რომელიც, როგორც წესი, წესდება სტაბილურად რამდენიმე წლისათვის. საწარმოთა უმეტესობისათვის ძირითადი საწარმოო ფონდების გადასახდლების ნორმატივი დაწესებულია ფონდების ღირებულების 6% ოდენობით. იმ საწარმოებისათვის, რომელთა რენტაბელობის დონე დარგის საშუალო რენტაბელობის დონესთან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლებია, გადასახდლის ნორმა განისაზღვრება 3% ოდენობით.

ფონდების გადასახდელს საწარმოები გამოიანგარიშებენ და ყოველი თვის 10—20 და 28 რიცხვებში გადარიცხავენ ბიუჯეტში მოგების გეგმის შესრულებიდან დამოუკიდებლად. ბიუჯეტში ჩარიცხული გადასახდლის გეგმიური თანხები გადაიანგარიშება ძირითადი საწარმოო ფონდებისა და ნორმირებული საბრუნავი საშუალებების ფაქტიური საშუალო წლიური ღირებულების მიხედვით.

3. ფიქსირებული გადასახდლები ბიუჯეტში წარმოადგენს საზოგადოების წმინდა შემოსავლის განაწილების ელემენტს. იგი ძირითადად დაწესებულია მომპოვებელი და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებისათვის, კერძოდ ნავთობის, ნავთობქიმიური, გაზის მრეწველობის, შავი და ფერადი მეტალურგიის, სამშენებლო მასალების, და რიგი სხვა საწარმოებისათვის, რომლებიც იმყოფებიან შედარებით

უფრო ხელსაყრელ საწარმოო პირობებში და ამის გამო ღებულობენ მეტ მოგებას და აქვთ მაღალი რენტაბელობა.

ფიქსირებული გადასახდელების ოდენობა განისაზღვრება რეალიზებული პროდუქციის მოცულობიდან (ნატურალურ გამოსახულებაში) ან საბითუმო ფასებში საბალანსო მოგებისა და პროდუქციის ერთეულზე გადასახდელის განაკვეთებით, ანდა პროცენტულად საბითუმო ფასებში რეალიზებული პროდუქციის ღირებულების ან საბალანსო მოგების თანხასთან შეფარდებით. მომპოვებელი საწარმოებისათვის ფიქსირებული გადასახდელების განაკვეთები დაწესებულია მტკიცე თანხებში პროდუქციის ერთეულზე (დამმუშავებელ და გადამმუშავებელ დარგებში — პროცენტულად საწარმოს საბითუმო ფასებით რეალიზებული პროდუქციის ღირებულებასთან ან საბალანსო მოგებასთან);

ფიქსირებული გადასახდელების გამოანგარიშებისა და გადახდვინების ორგანიზაცია დავალებული აქვთ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებს, რომლებიც შეიმუშავენ და ამტკიცებენ გადასახდელების ოდენობას დამმუშავებელი მრეწველობის დარგების საწარმოებისათვის. ადგილობრივი საფინანსო ორგანოები აკონტროლებენ გადასახდელების გამოანგარიშების სისწორეს და გადახდის თავისდროულობას. შემოწმებები ტარდება როგორც წარმოდგენილი ანგარიშგებების, ასევე ადგილებზე ბუნპალტრული აღრიცხვისა და პირველადი საბუთების საფუძველზე. შემოწმებათა შედეგად დამატებით დარიცხულ თანხებს საწარმო გადაიხდის შეტყობინების მიღების დღიდან 5 დღის ვადაში.

4. მოგების თავისუფალი ნაშთი წარმოადგენს ნაციონალური შემოსავლის განაწილების ერთ-ერთ ფორმას, რომელშიც გამოიხატება ფინანსური ურთიერთობა ცალკეულ საწარმოთა და სახელმწიფოს შორის განსაზღვრული პერიოდისათვის მოგებიდან გადასახდელების სახით. მოგების ნაშთი ბიუჯეტის მეშვეობით განაწილდება სხვადასხვა დარგებსა და რაიონებს შორის. მისი ეკონომიკური მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გეგმიური წესით გამოიყენება საერთო სახელმწიფოებრივ საჭიროებებზე. მოგების თავისუფალი ნაშთი შეადგენს მოგების ნაწილს, რომელიც რჩება მოგების საერთო თანხიდან საწარმოო ფონდების გადასახდელის, ფიქსირებული გადასახდელებისა და იმ თანხების გამოკლების შემდეგ, რომლებიც განკუთვნილია წარმოების გაფართოებისა და ეკონომიკური სტიმულირების ფონდებისათვის.

მოგების თავისუფალი ნაშთის გეგმიურ თანხებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროები და უწყებები აცნო-

ბენ სათანადო სამმართველოებსა და გაერთიანებებს, რომლებიც თავის მხრივ ამ მაჩვენებლებს დაიყვანენ დაქვემდებარებულ საწარმოებში. იმავდროულად მოგებისა და ბიუჯეტში გადასახდელების გეგმიური თანხები ეცნობება შესაბამის საფინანსო ორგანოებს.

გადაანგარიშებათა საანგარიშო და დოკუმენტურ შემოწმებას ახდენენ საფინანსო ორგანოები, რომლებიც ჩატარებულ შემოწმებათა მიხედვით ლეზულობენ ზომებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად და ბიუჯეტის კუთვნილი თანხების სრულიად და დაწესებულ ვადებში შემოსვლის უზრუნველსაყოფად.

5. ს ა ნ ა ხ ა ო ბ ა თ ა გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი თ ი ბ ე გ რ ე ბ ა ს ა ნ ა ხ ა ო ბ ა თ ა დაწესებულებების ბრუნვა. გადასახადს იხდიან სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც მართავენ ფასიან კინოსეანსებს, საციკო წარმოდგენებს, სპორტულ შეჯიბრებებს, დოლს, საესტრადო წარმოდგენებს და სხვა სანახაობით ღონისძიებებს. სანახაობათა გადასახადი გამოიანგარიშება განაკვეთების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია პროცენტულად ბილეთების გაყიდვიდან მიღებული საერთო შემოსავლის ჯამთან სანახაობათა ცალკეული სახეობების მიხედვით.

სანახაობათა გადასახადის შემოსვლის გეგმების პროექტებს ადგენენ საფინანსო ორგანოები გადასახდელთა გეგმიური განგარიშების საფუძველზე, გეგმიურ განგარიშებას საფუძვლად უდევს მონაცემები სანახაობათა საწარმოებისა და ღონისძიებების რაოდენობის შესახებ, თითოეულ საწარმოში ადგილების რაოდენობისა და მათი შევსების (დამსწრეთა რიცხვის) გათვალისწინებით, სანახაობათა გადასახადი მთლიანად ირიცხება შესაბამის ადგილობრივ ბიუჯეტებში.

საშემოსავლო გადასახადს იხდიან კოოპერაციული საწარმონი, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების (პროფკავშირები, სპორტული და სხვა ნებაყოფლობითი საზოგადოების) სამეურნეო ობიექტები.

სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმონი საშემოსავლო გადასახადს იხდიან მათი საბალანსო მოგების 35%, ხოლო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეურნეობრივი ობიექტები — 25%-ის ოდენობით.

გადასახადს გამოიანგარიშებენ (და შეიტანენ) თვით გადასახდელეები, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა გადასახადის სწორად გამოანგარიშებისა და თავისდროული გადახდისათვის, საფინანსო ორგანოები ამოწმებენ გადასახადის გამოანგარიშების სისწორეს და ახორციელებენ კონტროლს კოოპერაციული ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაზე.

ს ს რ კ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ბ ი უ ჯ ე ტ ი ს შ ე მ ო ს ა ვ ლ ე ბ ი ს ც ა ლ კ ე ჯ გ უ ფ ს შ ე ა დ გ ე ნ ს შ ე მ ო ს ა ვ ლ ე ბ ი ს ა ხ ე ლ

მწიფო ქონებიდან. ამ ჯგუფს მიეკუთვნება სატყეო შემოსავალი, საიჯარო შემოსავლები და სხვა არასაგადასახადო შემოსავლები. ტყეები შეადგენს ერთიან სახელმწიფო ფონდს, რომელიც იყოფა სახელმწიფო მნიშვნელობისა და საკომერსო ტყეებად. ბიუჯეტში ირიცხება შემოსავლები სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეებიდან, რომლებიც ძირითადად სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამგებლობაშია.

საფინანსო ორგანოები აღგენენ სატყეო შემოსავლების გეგმას და კონტროლს უწევენ მის შესრულებას, აღრიცხავენ ამ შემოსავლების მიღებას და ამოწმებენ სატყეო მეურნეობის ორგანიზაციების საქმიანობას.

სატყეო შემოსავლის გარდა, სახელმწიფო ქონებიდან შემოსავლების შედგენილობაში ჩაითვლება საიჯარო შემოსავლები, საიჯარო ქირა არასაცხოვრებელი შენობებისაგან, ქალაქის მიწის ნაკვეთებიდან, აგრეთვე შემოსავლები სახელმწიფო ქონების რეალიზაციიდან და სხვადასხვა არასაგადასახდლო შემოსავლები. საკავშირო ბიუჯეტში, ამის გარდა, შედის სამონეტო შემოსავალი, სასწორებისა და საწომ ხელსაწყოთა შემოწმებისა და დადაღვისაგან მიღებული გამოსაღებები, საავტომობილო ინსპექციის მიერ მიღებული გამოსაღებები და სხვ.

საშემოსავლო გადასახადს მოსახლეობიდან იხდიან მუშები, მოსამსახურეები, ლიტერატორები და ხელოვნების მუშაკები, კერძო პრაქტიკის მქონე ექიმები, ადვოკატები და სხვ. აგრეთვე შინამრეწველები, ხელოსნები და სხვა მოქალაქენი, რომელთაც აქვთ შემოსავლის დამოუკიდებელი წყარო, გარდა იმ შემოსავლებისა, რომლებიც იბეგრებიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა პროგრესულია. გადასახადის გამოსაანგარიშებლად გადამხდელთა ჯგუფის მიხედვით დაწესებულია ოთხი სკალა.

მუშებისა და მოსამსახურეთა ხელფასიდან გადასახადების დაკავების წესი. მუშები და მოსამსახურენი წარმოადგენენ საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრ მოქალაქეთა ძირითად კონტინენტს. მათთვის დაწესებულია გადასახადით დაუბეგრავი ხელფასის მინიმუმი, შემცირებული განაკვეთები და სხვა შეღავათები. სსრკ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქციის შესაბამისად, მუშებისა და მოსამსახურეთა ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადის (გამოანგარიშება და) დაკავება დავალებული აქვთ დაწარმოებსა და ორგანიზაციებს, სადაც ისინი მუშაობენ შემდეგი წესების დაცვით:

საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, სადაც ხელფასის გაცემა წარმოებს თვეში ორჯერ, გადასახადი გამოიანგარიშება გასული თვის გასამრჯელოს მიხედვით და დაკავდება მიმდინარე თვის პირველი ნახევრის ხელფასის გაცემისას.

ორგანიზაციებში, სადაც ხელფასი გაიცემა თვეში ერთხელ, გადასახადი გამოიანგარიშება მიმდინარე თვის ხელფასიდან და დაკავდება ამ ხელფასის გაცემისას. თუ მოცემული თვის გასამრჯელოს თანხა შემდეგ შეიცვლება, გადასახადი გამოიანგარიშება ამ თვეში ფაქტიურად გასაცემი თანხის მიხედვით და დაკავდება მისი გაცემისას.

გადასახადი გამოიანგარიშება კანონით დაწესებული პროგრესული განაკვეთებით. ეს იმას ნიშნავს, რომ გადასახადის ოდენობა დამოკიდებულია გასამრჯელოს თანხაზე. რაც უფრო მეტია ეს თანხა, მით მეტია გადასახადის პროცენტი. მაგალითად, 15 მანეთამდე გასამრჯელოს თანხიდან (შეთავსებით ან შემთხვევითი სამუშაოების შესრულებისათვის) გადასახადის განაკვეთი შეადგენს 1,5 პროცენტს, 100 მან. გასამრჯელოს თანხიდან 8,2 პროცენტს, ხოლო 100 მან. მეტი თანხიდან გადასახადი გამოიანგარიშება 13 პროცენტის ოდენობით. ეს განაკვეთი მაქსიმალურია და გამოიყენება ყველა შემთხვევაში, როდესაც გასამრჯელო თანხა თვეში აღემატება 100 მანეთს.

მუშებისა და მოსამსახურეთა ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით დაწესებულია გადასახადით დაუბეგრავი ხელფასის მინიმუმი 70 მან. თვეში. ხოლო 71-დან 90 მანეთამდე ხელფასზე დაწესებულია გადასახადის შეღავათიანი განაკვეთები.

გადასახადის გამოიანგარიშებისას ხელფასის თანხა განისაზღვრება სრულ მანეთებში, ე. ი. კაპიკები მხედველობაში არ მიიღება. მაგალითად, თუ მოცემულ თვეში მუშაკის ხელფასის თანხა შეადგენს 70 მან. და 90 კაპ. ის გადასახადით არ დაიბეგრება, რადგან სრულ მანეთებში ეს თანხა არ აღემატება დაუბეგრავ მინიმუმს — 70 მან. როდესაც ხელფასის თანხა შეადგენს 135 მან. და 96 კაპ. გადასახადი გამოიანგარიშება 135 მანეთიდან და ა. შ.¹

3. ხარჯების შემოწმება

როგორც ზემოთ აღენიშნეთ, ხარჯები წლიური ანგარიშგების № 2 ფორმაში აისახება კლასიფიკაციით გათვალისწინებული განყოფილებების მიხედვით: 100 — სახალხო მეურნეობა; 200 — განათლება; 203 — ჯანმრთელობის დაცვა; 204 — ფიზიკური კულტურა; 207 — სოციალური უზრუნველყოფა; 214 — სახელმწიფო ხელისუფლების

¹ ბუხხალტერია, ანალიზი და კონტროლი, ტ. II, გვ. 433—447.

ორგანოებისა და მმართველობის შენახვის ხარჯები; 286 — ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების სარეზერვო ფონდები; სამხარეო აღმასკომების, საოლქო აღმასკომებისა და საქალაქო აღმასკომების გაუთვალისწინებელი ხარჯების ფონდები; 222 — დანარჩენი ხარჯები. ამასთან დაკავშირებით ეკონომიკური ანალიზის საშუალებით უნდა დადგინდეს იყო თუ არა დაცული ეკონომიის რეჟიმი და გეგმის შესრულების მიხედვით დაფინანსების ძირითადი პრინციპი; უნდა დადგინდეს აგრეთვე დასაფინანსებლად მიღებული დამატებითი ღონისძიებების საფუძვლიანობა და დაფინანსების წყაროებით მათი უზრუნველყოფა.

შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებათა მიხედვით აუცილებელია გაანალიზდეს ქსელისა და კონტინგენტების გეგმის შესრულება საბიუჯეტო სახსრების ათვისების ღონესთან შეფარდებით, კვების, მედიკამენტებისა და სხვა ხარჯების დადგენილი ნორმების დაცვა, საშტატო სახარჯთაღრიცხვო დისციპლინისა და საბიუჯეტო დაწესებულებების საშტატო და შტატგარეშე მუშაკთა ხელფასის ფონდის ხარჯვის დაცვა, მასწავლებლებზე, მედიკნის მუშაკებზე და საბიუჯეტო დაწესებულებების სხვა მუშაკებზე ხელფასის გაცემის თავისდროულობა.

გულმოდგინედ უნდა იქნეს განხილული კაპიტალურ დაბანდებებზე გამოყოფილი სახსრების ათვისების მონაცემები. ამისათვის აუცილებელია დადგინდეს ცალკეული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიხედვით საბიუჯეტო ასიგნებათა ათვისების ოდენობა, აგრეთვე საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ამ მიზნით საკუთარი სახსრების შეტანის გეგმის შესრულება და მიღებული მონაცემები უნდა შეედაროს კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის შესრულების ღონეს.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვისას საჭიროა ყურადღება მიექცეს ბიუჯეტებს შორის მოკლევადიანი სესხებითა და ურთიერთანგარიშსწორებით დავალიანების მთლიანად დაფარვას, საფინანსო ორგანოების მიერ საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის განხორციელებას, აგრეთვე საბიუჯეტო დაწესებულებების მიერ ხარჯთნუსხის შესრულებისადმი კონტროლს.

კრედიტების მთავარ განმკარგულებელთა წლიური ანგარიშების ანალიზის დროს აუცილებელია ყურადღება მიექცეს ფაქტიური ხარჯების დამტკიცებულ ხარჯთნუსხასთან შესაბამისობას და სოციალურ-კულტურულ და სხვა დაწესებულებებში შტატებისა და კონტინგენტების გეგმების შესრულებას, საბიუჯეტო დაწესებულებების საშტატო და შტატგარეშე მუშაკთა ხელფასისათვის ხარჯთნუსხით გათვა-

ლისწინებული ასიგნებების გამოყენების სისწორეს, კვების, მედიკამენტებისა და სხვა ხარჯების დადგენილი ნორმის დაცვას, საშტატო-სახარჯთუნუსხო დისციპლინის, დაქვემდებარებული დაწესებულებების მუშაკთა ხელფასის გაცემის თავისდროულობას.

გარდა ამისა, აუცილებელია ყურადღება მიექცეს (ანგარიშსწორების) მდგომარეობას ანგარიშვალდებულ პირებთან, ბიუჯეტთან, დებიტორებთან და კრედიტორებთან, დებიტორული დავალიანების წარმოშობის კანონიერებას, მატერიალურ ფასეულობათა მარაგის მდგომარეობას და სხვ.

ანგარიშების ანალიზის პროცესში უნდა გამოვლინდეს მასალებისა და კვების პროდუქტების ზენორმატიულ მარაგთა თანხები, აგრეთვე ის დებიტორული დავალიანება, რომელიც ექვემდებარება მომავალი წლის დაფინანსებაში ჩათვლას.

აუცილებელია აგრეთვე შემოწმდეს საბიუჯეტო დაწესებულებებისა და დაქვემდებარებული საფინანსო ორგანოების მიერ წინა წლის ანგარიშებზე მიცემულ წინადადებათა შესრულება.

გასათვალისწინებელია, რომ წლიურ ანგარიშგებებში რაიმე შესწორების შეტანის შემთხვევაში უნდა გაკეთდეს შესაბამისი შენიშვნა, რომელსაც ხელის მოწერით დაადასტურებენ ის პირები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ანგარიშგებას.

თუ ანგარიშგების საანგარიშო შემოწმების დროს გამოვლინდა არითმეტიკული შეცდომები, ანგარიშგების ფორმების არასწორი შევსების ან აღრიცხვის წარმოებაში უზუსტობის ფაქტები და სხვა დარღვევა, მაშინ შეიტანება წინადადება შესწორებების შესახებ ბალანსში და ანგარიშის შესაბამის ფორმებში და ანგარიშგებაში შეტანილი ყველა შესწორება დაუყოვნებლივ ეცნობება ანგარიშგებების წარმომდგენ ორგანოებს. წლიური ანგარიშგების საანგარიშო შემოწმებისა და ანალიზის საფუძველზე საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში ხარჯთუნუსხებისა თუ ბიუჯეტის შესრულებაში ან ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების დამტკიცებული დანიშნულებებისაგან დიდი გადახრების გამოვლენისას ანალიზის შედეგების მიხედვით უნდა გაკეთდეს დასკვნები და შემუშავდეს წინადადებები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, საბიუჯეტო მუშაობის გასაუმჯობესებლად, საბიუჯეტო დისციპლინის გასამტკიცებლად, აღრიცხვისა და ანგარიშგების ხარისხის ასამაღლებლად.

**ბიუჯეტის საკასო შესრულების აღრიცხვისა და
სახელმწიფო ბანკის ბარდაქმნის საკითხები**

1. ბიუჯეტის საკასო შესრულების აღრიცხვის ორგანიზაცია

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი ასრულებს მრავალფეროვან ოპერაციებს. მის უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს შორის ერთ-ერთს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულების აღრიცხვა და ანგარიშგება. ამ მიმართულებით სახბანკის დაწესებულებანი ასრულებენ შემდეგ ოპერაციებს: მიიღებენ შემოსავლებს და ჩარიცხავენ კუთვნილების მიხედვით საკავშირო ბიუჯეტისა, მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების ანგარიშებზე; ანაწილებენ შემოსავლებს საკავშირო ბიუჯეტსა და მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებს შორის და აწარმოებენ ანარიცხებს ადგილობრივ ბიუჯეტებში; აღრიცხავენ საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებით გახსნილ კრედიტებს და გასცემენ ორგანიზაცია-დაწესებულებებზე სახსრებს გახსნილი კრედიტების ფარგლებში ან მიმდინარე ანგარიშებზე რიცხული ნაშთების ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტებით; აღრიცხავენ საკავშირო, მოკავშირე რესპუბლიკების და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლებს და ხარჯებს, ადგენენ თვიურ ანგარიშგებას საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების საკასო შესრულების შესახებ; ღებულობენ, ინახავენ და გასცემენ არასაბიუჯეტო (სპეციალურ) და დეპოზიტურ თანხებს და ა. შ.

როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში, ასევე სახბანკშიც ბუხპალტრული აღრიცხვისათვის დადგენილია ერთიანი ანგარიშთა გეგმა, რომელშიც ბიუჯეტის საკასო შესრულების ოპერაციების აღსარიცხავად გათვალისწინებულია მე-6 განყოფილება „ანგარიშსწორებანი სახელმწიფო ბიუჯეტთან და საბიუჯეტო დაწესებულებებთან“, შემდეგი საბალანსო ანგარიშებით:

ანგარიში № 080 „ბიუჯეტებს შორის გასანაწილებელი შემოსავლები“;

ანგარიში № 090 „საკავშირო ბიუჯეტის შემოსავლები“;
ანგარიში № 100 „მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები“;

ანგარიში № 110 „საკავშირო ბიუჯეტის ხარჯები“;
ანგარიში № 120 „მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები“;

ანგარიში № 130 „ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები“;
ანგარიში № 140 „საკავშირო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიმდინარე ანგარიშები“;

ანგარიში № 141 „მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიმდინარე ანგარიშები“;

ანგარიში № 142 „ადგილობრივი ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიმდინარე ანგარიშები“;

ანგარიში № 144 „დეპოზიტები“.

საკავშირო ბიუჯეტით გახსნილი კრედიტები აღირიცხება ბალანსგარეშე ანგარიშზე „კრედიტები საკავშირო ბიუჯეტით“.

მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებით გახსნილი კრედიტები აღირიცხება აგრეთვე ბალანსგარეშე ანგარიშზე „კრედიტები მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით“.

ზემოთ ითქვა, რომ სახბანკში შემოსული ბიუჯეტის ზოგიერთი სახის შემოსავალი მიმაგრებულია ერთ ბიუჯეტზე და ჩაირიცხება ამ ბიუჯეტში, ზოგიერთი სახის შემოსავალი კი ბიუჯეტში ჩაირიცხება სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან ანარიცხების სახით.

ბიუჯეტის შემოსავლების განაწილების ასეთი წესი, ერთი მხრივ, დიდ როლს აძრულებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მობილიზების საქმეში. იწვევს მათ დაინტერესებას გადასახადების ამოღების გეგმების თავისდროულად შესრულებისათვის, მეორე მხრივ, იგი გამოიყენება ზოგიერთი სახის ბიუჯეტის დასაბალანსებლად. ბიუჯეტის შემოსავლებიდან ანარიცხების ორი მეთოდი არსებობს: 1. როდესაც გადასახადები დაწესებული პროცენტის მიხედვით ჩაირიცხება პირდაპირ შესაბამის ბიუჯეტებში; 2. შემოსავლები ჯერ ჩაირიცხება ზემდგომ ბიუჯეტში, შემდეგ დადგენილი ოდენობით ანარიცხების სახით გადაეცემა ქვემდგომ ბიუჯეტებს და ერთდროულად გატარდება ზემდგომი ბიუჯეტის ხარჯებში.

მაგალითად, საშემოსავლო გადასახადი (მოქმედი კანონის საფუძველზე) ნაწილდება საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებს შორის, ამასთან ამ უკანასკნელიდან გარკვეული ნაწილი ჩაირიცხება ადგილობრივი ბიუჯეტში დადგენილი პრო-

ცენტის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, დავუშვათ, რომ სახბანკის რესპუბლიკურ კანტორაში შემოვიდა საშემოსავლო გადასახადი მოსახლეობიდან 200 მან. ოდენობით, ეს თანხა განაწილდება ანარიცხების ორივე მეთოდით. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მიხედვით შემოსული თანხიდან 50% ეკუთვნის საკავშირო ბიუჯეტს, ხოლო 50% მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტს ჩაერიცხება. იმ ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის, რომელსაც მომსახურებას უწევს სახბანკის მოცემული კანტორა, დადგენილია ანარიცხები 50% ოდენობით. მაშასადამე, განაწილების მეთოდით საკავშირო ბიუჯეტის შემოსავლებში ჩაირიცხება 100 მან., მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტის შემოსავლებში — 100 მან. და ერთდროულად ანარიცხების მეთოდით 50 მან. ჩამოიწერება მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ამ ბიუჯეტის ხარჯებში გატარებით და ჩაირიცხება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებში.

საკავშირო ბიუჯეტისა და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებს შორის გადასახადებისა და შემოსავლების განაწილების პროცენტებს აცნობებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებს და სახბანკის რესპუბლიკურ კანტორებს, ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტში ანარიცხების პროცენტს მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროები და სახბანკის რესპუბლიკური კანტორები აცნობებენ ბანკის განყოფილებებს ერთობლივი წერილით. საკავშირო ბიუჯეტსა და მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტებს შორის გასანაწილებელი გადასახადები და შემოსავლები, როგორც აღვნიშნეთ, აისახება საბალანსო ანგარიშზე „ბიუჯეტებს შორის გასანაწილებელი შემოსავლები“. ამ ანგარიშიდან, ყოველი თვის 1 და 16 რიცხვების მდგომარეობით სახბანკის დაწესებულებები დადგენილი პროცენტის მიხედვით აწარმოებენ შემოსავლების შესაბამის ბიუჯეტებში განაწილებას.

შემოსული გადასახადებისა და შემოსავლების ბიუჯეტებს შორის გასანაწილებლად სახბანკის დაწესებულებები ადგენენ (თითოეული საფინანსო ორგანოს მიხედვით) შემოსავლების განაწილების უწყისს ორ ცალად.

უწყისის პირველი ეგზემპლარი რჩება სახბანკის დაწესებულებებში, ხოლო მეორე ეგზემპლარი, დამოწმებული შემსრულებელი ოპერატიული მუშაკისა და უფროსი კონტროლიორის მიერ, პირადი ანგარიშებიდან ამონაწერებთან ერთად, ეგზავნება შესაბამის საფინანსო ორგანოს.

განაწილებული გადასახადებისა და შემოსავლების ანალიზური აღრიცხვისას საკავშირო ბიუჯეტში და მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში გადარიცხული თანხები აღირიცხება ცალ-

კე აქტიურ პირად ანგარიშში „ბიუჯეტსა და მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტებს შორის განაწილებული თანხები“. ამ პირადი ანგარიშის დებეტში იწერება საკავშირო ბიუჯეტსა და რესპუბლიკურ ბიუჯეტებს შორის განაწილებული თანხების საერთო ჯამები ცალკეული უწყისებიდან. შემოსავლების განაწილების უწყისი შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს:

(შემოკლებული ნიმუში)

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი
განყოფილება

სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების საკავშირო ბიუჯეტსა და მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებს შორის განაწილების

უწყისი „ „ 198 წ. მდგომარეობით

(საფინანსო ორგანოს რასახელება)

გადასახადებისა და შემოსავლების რასახელება	სტრუქტურული კოდები	შემოსავლების თანხა უკან დაბრუნების მოკლებით 1-დან 15-მდე 198 წ.	ანარიცხები			
			სსრ კავშირის ბიუჯეტში		მოკავშირე რესპ. ბიუჯეტში	
			ანგ. კრედ.	თანხა	ანგ. კრედ.	თანხა
ბრუნვის გადასახადი 80% საშემოსავლო გადასახადი მოსახლეობიდან 50% ს უ ლ	8001	99300 68900 89200	90011 9053 —	69510 34450 103960	10001 10053 —	29790 34450 64240

გატარებულია 15 198 წ.

კონტროლორი: ბუხჰალტერი:

მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებსა და ადგილობრივ ბიუჯეტებში ანარიცხების ჩარიცხვა სახბანკის დაწესებულებების მიერ წარმოებს დადგენილი პროცენტების მიხედვით ყოველდღიურად, დღის განმავლობაში შემოსული ყოველი სახის გადასახადიდან და შემოსავლიდან, კუთვნილებისამებრ. ამა თუ იმ გადასახადიდან ან შემოსავლიდან დღის განმავლობაში თანხების უკან დაბრუნების შემთხვევაში, სათანადო ბიუჯეტებში ჩასარიცხი ანარიცხების თანხა მცირდება შესაბამისად.

რაიონულ საფინანსო განყოფილებებთან და სოფლის საბჭოებთან შეთანხმებით, რაიონულ და სოფლის ბიუჯეტებში ანარიცხების გადაცემა შეიძლება წარმოებდეს 3—5 დღეში ერთხელ იმ პირობით, რომ

ანარიცხებმა ვადაზე უზრუნველყოს სახსრების გადარიცხვა ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაკების ხელფასების ასანაზღაურებლად.

ზემოთ აღნიშნეთ, რომ გადასახადებიდან და შემოსავლებიდან ადგილობრივ ბიუჯეტებში ანარიცხები ტარდება მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებში და შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლებში, ამიტომ ანარიცხების უწყისის პირველი ეგზემპლარი გამოიყენება ჩანაწერებისათვის მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების პირადი ანგარიშების დებეტში და შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტების ძირითადი ანგარიშების კრედიტში და რჩება სახბანკის დაწესებულებების დღიურ საბუთებთან; მეორე ეგზემპლარი გადაეცემა შესაბამის საფინანსო ორგანოს მისი ძირითადი მიმდინარე ანგარიშიდან ამონაწერით, ხოლო მესამე ეგზემპლარი დაიყოფა (დანაწილდება) და გადაეცემა სახალხო დეპუტატების ქალაქის, დაბისა და სოფლის საბჭოებს.

არის შემთხვევები, როდესაც ყველა ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან მიღებული ანარიცხების თანხა არ შეეფარდება ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის დადგენილ საშუალო პროცენტით გამოანგარიშებულ თანხებს. ასეთი შეუფარდებლობა იმაში გამოიხატება, რომ ერთ შემთხვევაში ადგილობრივი ბიუჯეტები ღებულობენ ანარიცხებს იმაზე მეტს, რაც მათ ეკუთვნით, მეორე შემთხვევაში კი ნაკლებს. ეს აისახება ცალკეულ ადგილებში ზოგიერთი გადასახადების და შემოსავლების გეგმიური კონტინგენტების არათანაბარი შესრულებით, ზოგჯერ კი ბიუჯეტების დაგეგმვისა და რეგულირების არასიზუსტით. აღნიშნული პერიოდულად სწორდება.

2. ბანკების მოკლე ისტორიისა და როლის შესახებ

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები კ. მარქსი და ფ. ენგელსი აღნიშნავდნენ, რომ კაპიტალიზმის დროს ბანკების არსებობა უდავოდ ხელს უწყობს საზოგადოების მწარმოებლური ძალების განვითარებას, მაგრამ იმის გამო, რომ კაპიტალიზმის საკრედიტო სისტემა კაპიტალიზმის წარმოების წესს ეყრდნობა, ამდენად იგი იწვევს კარბწარმოებას, აძლიერებს წარმოების ანარქიას და ამწვავებს ყველა წინააღმდეგობას.

მათივე აზრით, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასასვლელად აუცილებელი იყო ბანკების ნაციონალიზაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ განხორციელდებოდა საზოგადოების გარდაქმნის ის რევო-

ლუციური ღონისძიებები, რომლითაც უნდა შექმნილიყო ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის ეკონომიკის საფუძველი.

კ. მარქსსა და ფ. ენგელსს ყველაზე მოწინავე ქვეყნებში აუცილებლად მიაჩნდათ კიდევ დამატებითი ღონისძიებების გატარება, რომელთა შორის იყო კრედიტის ცენტრალიზაცია სახელმწიფოს ხელში — სახელმწიფოს კაპიტალისა და განსაკუთრებული მონოპოლიის მქონე ნაციონალური ბანკის მეშვეობით.

თავის მხრივ კიდევ მკაცრად აკრიტიკებდა რა ფ. ენგელსი პარიზის კომუნარების შეცდომას ბანკების საკითხში, აღნიშნავდა, რომ „ეკონომიკის დარგში კომუნამ ბევრი რამ უყურადღებოდ დატოვა, რაც ჩვენი ახლანდელი შეხედულების მიხედვით მას უნდა გაეკეთებინა. მაგრამ ყველაზე ძნელი გასაგებია ის მოკრძალება. რომლითაც კომუნის მეთაურები საფრანგეთის ბანკის კარიბჭესთან შეჩერდნენ. ეს მძიმე პოლიტიკური შეცდომა იყო“¹.

ერთიანი სახელმწიფო ბანკის საჭიროების შესახებ მარქსი და ენგელსი მიუთითებდნენ აგრეთვე ნაშრომში „კომუნისტური პარტიის მოთხოვნები გერმანიაში“. ამასთან თვით ფ. ენგელსი ცალკე თავის „კომუნის პრინციპებში“ აღნიშნავდა, რომ გარდამავალ პერიოდში უთუოდ დარჩება კრედიტი და ბანკები.

განავითარა რა ვ. ი. ლენინმა მარქსიზმის თეორია — ფინანსების დარგში დიდი შეფასება მისცა ბანკების და საერთოდ საკრედიტო სისტემის გამოყენებას სოციალისტურ მშენებლობაში. მანვე ნაშრომებში „შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალაუფლებას?“ და აპრილის თეზისებში თეორიულად დაასაბუთა, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოს პოლიტიკური აპარატის დანგრევასთან ერთად საჭირო და აუცილებელია ბურჟუაზიული ეკონომიური აპარატის ხელში ჩაგდება, რომელშიც მთავარია საკრედიტო სისტემა. იგი წერდა, რომ „მსხვილი ბანკები არის ის სახელმწიფო აპარატი, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება სოციალიზმის განსახორციელებლად და რომელსაც ჩვენ მზამზარეულად ვიღებთ კაპიტალიზმისაგან, ამასთანავე ჩვენი ამოცანა აქ ის არის მხოლოდ, რომ მოვკვეთოთ ის, რაც კაპიტალისტურად ამახინჯებს ამ საუცხოო აპარატს. გავხადოთ იგი კიდევ უფრო მსხვილი, უფრო დემოკრატიული და უფრო ყოვლის მომცველი“².

ამასთან იქვე დასძენდა, რომ ეს აპარატი ქვეყნის თითქმის ცხრა მეათედს მოიცავდა, რომლითაც უკეთ წარიმართებოდა საერთო სახელმწიფო ანგარიშსწორება და აღრიცხვა პროდუქტების წარმოებასა

¹ კ. მარქსი, სამოქალაქო ომი საფრანგეთში (ფ. ენგელსის შესავალი); კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩ. ნაწერები, ტ. I, თბ., 1963, გვ. 555.

² ვ. ი. ლენინი, შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალაუფლებას?, თბზ., ტ. 26, მეოთხე გამოცემა, 1952, გვ. 109.

და განაწილებაზე, და ამდენად სავალდებულოდ ჩათვალა რა ბანკების ნაციონალიზაცია, მოგვიწოდებდა: „ეკონომიური ცხოვრების პოწეს-რიგებაზე რომ ილაპარაკო და თან გვერდი აუარო ბანკების ნაციონალიზაციის საკითხს ეს იმას ნიშნავს, რომ ან გამოიჩინო სრული უშეცრება, ან ატყუო „მდაბიო ხალხი“ ლამაზი სიტყვებით და მაღალფარდოვანი დაპირებებით და ამავე დროს წინასწარ მოფიქრებული გადაწყვეტილება გქონდეს არ შეასრულო ეს დაპირებანი“³.

ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა მთელი ფულადი სავაჭრო ბრუნვის თავმოყრა და შენახვა ბანკებში და მათი გადაგზავნა მხოლოდ ბანკების მეშვეობით!

საბჭოთა ხელისუფლებამ, ხელმძღვანელობდა რა ვ. ი. ლენინის მითითებებით, დაუყოვნებლივ თავის განკარგულების ქვეშ მოაქცია სახელმწიფო ბანკი⁴.

1917 წლის 27 (14) დეკემბერს გამოიცა საბჭოთა მთავრობის დეკრეტო კერძო ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ. შემდეგ თვეებში ყველა ბანკის გაერთიანების საფუძველზე შეიქმნა ერთიანი სახალხო ბანკი. 1917 წლის 8 დეკემბრის დეკრეტით ლიკვიდირებულ იქნა რუსეთის მთავარი საიპოთეკო ბანკები — სათავადაზნაურო და საგლეხო საადგილმამულო ბანკები. კერძო ბანკების ნაციონალიზაციის დამამთავრებელ ეტაპს წარმოადგენდა სახალხო კომისართა საბჭოს 1918 წლის 26 იანვრის დეკრეტი აქციონერთა კაპიტალების ექსპროპრიაციისა და მათი სახელმწიფო ბანკისათვის გადაცემის შესახებ. 1918 წლის დეკემბერში მოისპო აქციონერული საადგილმამულო და ქალაქების საზოგადოებრივი ბანკები, ხოლო 1919 წლის 17 მაისის დეკრეტით კი ქალაქებისა და საგუბერნიო საკრედიტო საზოგადოებები.

ბანკების ნაციონალიზაცია და საბანკო საქმის მონოპოლია არ გავრცელებულა საკრედიტო კოოპერაციაზე. იგი დარჩა და სარგებლობდა სახელმწიფოს ორგანიზაციული და ფინანსური დანმარებით.

სამოქალაქო ომმა, უცხოელთა ინტერვენციამ, მეურნეობის ნატურალიზაციამ და ფულის გაუფასურებამ მკვეთრად შეკვეცა სახალხო ბანკის საკრედიტო ოპერაციები. 1920 წლის იანვარში სახალხო ბანკი ლიკვიდირებულ იქნა და მისი ფუნქციები გადაეცა ფინანსთა სახალხო კომისარიატის ახლად დაარსებულ ცენტრალურ საბიუჯეტო-საანგარიშსწორებო სამმართველოს.

ვ. ი. ლენინის ინიციატივით საკავშირო ცაკის მე-4 სესიამ 1921 წლის 12 ოქტომბერს მიიღო დადგენილება სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ.

³ ვ. ი. ლენინი, კატასტროფის მექარა და რაგორ ვებრძოლოთ მას, თხზ., ტ. 25, მეოთხე გამოცემა, 1952, გვ. 399.

⁴ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, მეოთხე გამოცემა, 1952, გვ. 272.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1922 წლის 20 ივლისის დადგენილებაში ხაზგასმული იყო რაც შეიძლება მოკლე დროში შექმნილიყო სამრეწველო ბანკი, რომლის მთავარი და მზარდი ფუნქცია იქნებოდა გრძელვადიანი კრედიტი.

საგულისხმოა აღინიშნოს რომ შრომისა და თავდაცვის საბჭომ 1922 წ. 1 სექტემბერს დაამტკიცა სამრეწველო ბანკის წესდება, ხოლო იმავე წლის 28 ოქტომბრიდან იგი შეუდგა თავის ოპერაციებს. ზემოთ აღნიშნული ღონისძიებები სახელმძღვანელო გახდა ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტისათვის საქართველოში არსებობდა კერძო ბანკები, რომელთა რიცხვი ფილიალებით 40 ერთეულს შეადგენდა. 1921 წელს საბჭოთა სახელმწიფომ მოახდინა ამ ბანკების ნაციონალიზაცია, რითაც საფუძველი დაედო ჩვენს რესპუბლიკაში ერთიან საბჭოთა საკრედიტო სისტემას⁵.

საქართველოს ფინანსთა კომისარიატის განკარგულებით 1921 წლის ივნისში განაახლა თავისი ოპერაციები საქართველოს კოოპერაციულმა ბანკმა, ამავე წლის სექტემბერში გაიხსნა სახალხო ბანკი. ორივე ეს ბანკი 1924 წლის მარტში გაერთიანდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკად.

1922 წლის ნოემბერში განაახლა თავისი ოპერაციები „სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ“. 1923 წლის დეკემბერში ორგანიზებული იყო თბილისის ქალაქის (კომუნალური) ბანკი და შემდეგ კი მისი განყოფილებები ქუთაისსა, ბათუმსა, ფოთსა, გორსა, სიღნაღსა, ცხინვალსა და ახალსენაკში. 1924 წლის ნოემბერში ჩამოყალიბდა აფხაზეთის (სოხუმში) და 1925 წლის ოქტომბერში აჭარის (ბათუმში) სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებები⁶.

რესპუბლიკური საკრედიტო დაწესებულებების ჩამოყალიბებასთან ერთად საქართველოში იხსნება საკავშირო ბანკების განყოფილებები და ფილიალები.

1922 წლის სექტემბერში თბილისში გაიხსნა რსფსრ-ს სახელმწიფო ბანკის კანტორა და შემდეგ კი მისი ფილიალები ქუთაისსა, ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა და ჭიათურაში; 1924 წლის მაისში—საეაქრო-სამრეწველო ბანკის კანტორა, 1924 წლის ნოემბერში საგარეო ვაჭრობის ბანკის განყოფილება და 1925 წლის მაისში ელექტრობანკის კანტორა.

⁵ გ. ხელიაია, საბინაო მშენებლობა და მისი დაფინანსება-დაკრედიტება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, თბ., 1967, გვ. 22.

⁶ Н. Гамрекели, Диссертационная работа «Кредитная система Грузии накануне установления Советской власти и в период перехода на мирную работу по восстановлению народного хозяйства». Тбилиси, 1953, с. 95.

1930-31 წლებში გატარდა საკრედიტო რეფორმა, რის შედეგადაც გაუქმდა კომერციული კრედიტის სისტემა და შემოღებულ იქნა პირდაპირი საბანკო დაკრედიტება. მოკლევადიანი დაკრედიტება კონცენტრირებულ იქნა სახელმწიფო ბანკში, რამაც იგი სახალხო მეურნეობის მოკლევადიანი დაკრედიტების და ანგარიშსწორების ცენტრად აქცია.

საკრედიტო რეფორმის დროს, როგორც ცნობილია, დაშვებულ იქნა სერიოზული დარღვევები, რაც გამოიხატებოდა ანგარიშსწორებისა და დაკრედიტების ავტომატიზაციაში, ანუ მიმწოდებლის მიერ ფაქტურის საფუძველზე ბანკიდან თანხების ჩამოწერაში.

ამ გარემოებამ დაარღვია სახელმწიფო სისტემა, შეასუსტა სამეურნეო ანგარიშობა, შეაჩერა ფულადი სახსრების დაგროვების ზრდა. ძირი გამოუთხარა მანეთით კონტროლს და ფულადი საკრედიტო სისტემის შემდგომი განმტკიცების ხელშემშლელ ფაქტორად იქცა. ყოველივე აქ ჩამოთვლილი ხარვეზების აღმოფხვრის, მშენებლობაში წარმართული სახელმწიფო სახსრების დანიშნულებისამებრ გამოყენებისა და მისი ღირებულების შემცირებაზე საქმიანი კონტროლის განხორციელების მიზნით ცაკ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1932 წლის 5 მაისის დადგენილების („გრძელვადიან დაბანდებათა სპეციალური ბანკების ორგანიზაციის შესახებ“) შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა შემდეგი სახის სპეციალური ბანკები: მრეწველობის ბანკი, სოფლის მეურნეობის ბანკი, კომუნალური მეურნეობისა და საბინაო მშენებლობის ბანკი და ვაჭრობის ბანკი. ყველა რესპუბლიკაში შეიქმნა ხსენებულ ბანკთა ფილიალები.

ამ გრძელვადიან დაბანდებათა ბანკების კონტროლის ორგანიზაციის საკითხს სპეციალურად მიეძღვნა ცაკ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1933 წლის 27 აპრილის დადგენილება, რომლითაც ამ ბანკებს დაევალით სისტემატური მეთვალყურეობა გაეწიათ სახსრების წარმართვაზე მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრებისა და ღირებულების ნუსხური ღირებულების ფარგლებში მიზნობრივი გამოყენებისათვის. ამასთან, არ დაეშვათ უგეგმო მშენებლობანი, დაეცვათ ფასების საბჭოთა პოლიტიკა და ეწარმოებინათ ხელფასის ფონდის სწორი რეგულირება.

მომდევნო წლებში საერთოდ საფინანსო კონტროლის სრულყოფილად განხორციელებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების მიზნით კვლავ გატარდა ჩვენს ქვეყანაში გრძელვადიან დაბანდებათა ბანკების რეორგანიზაცია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის ბრძანებულებით 1959 წელს გააუქმა კომუნალური მეურნეობისა და სოფლის მეურნეობის ბანკები და სამრეწველო ბანკის ბაზაზე შექმნა მშენებლობის ბანკი. მანამდე არსებული სამი ბანკის ფუნქციები განაწილდა

სახელმწიფო ბანკსა (ძირითადად სოფლის მეურნეობის ბანკის ფუნქციები) და მშენებლობის ბანკს შორის (კომუნალური ბანკის ფუნქციები). ანალოგიური ღონისძიებანი გატარდა ყველა რესპუბლიკაში.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების თითოეულ ეტაპზე სახელმწიფო სახსრების ეკონომიკურ ხარჯვასა და სათანადო საფინანსო კონტროლის განხორციელების საქმეში უდიდესი როლი მიუძღვის ბანკის დაწესებულებებს. ყოველი ნებისმიერი წელი უტყუარი თავდება საფინანსო ორგანოებისა და ბანკების დაწესებულებათა იმ დიდი დამსახურებისა. რომელიც მათ მიუძღვით სახალხო მეურნეობის დარგთა დაფინანსება-დაკრედიტებისა და მათი საპურნეო-საფინანსო საქმიანობის შემოწმების შედეგად, სახელმწიფო სახსრების დაზოგვისა და სოციალისტური ქონების დაცვის საქმეში.

სახბანკის და მშენბანკის დაწესებულებები ყოველწლიურად აფინანსებდნენ ასეულობით სამშენებლო ობიექტს, რომელთა კაპიტალურ დაბანდებათა წლიური მოცულობა მილიონობით მანეთს აღემატებოდა. ამასთან კონტროლს ახორციელებენ მთელ რიგ საიჯარო და ქვემოიჯარე ორგანიზაციებზე, საპროექტო და გეოლოგიურ ორგანიზაციებზე, რომელთა საიმპემლო პროგრამა ასევე დიდი მოცულობის თანხებს მოიცავენ.

კაპიტალური მშენებლობის გეგმებისა და სატიტულო სიების შემოწმების შედეგად, ავლენდნენ ისეთი ახალი ობიექტების გეგმაში ჩართვას, რომლებსაც აკლია შესაბამისი ასიგნება და, ამავე დროს, გარდამავალი მშენებლობა არ არის უზრუნველყოფილი სათანადო სახსრებით. ბანკების უშუალო ინიციატივით კაპიტალური მშენებლობის გეგმიდან ამოღებული ხდება ათეულობით ახლად დასაწყები მშენებლობა, რომელთა საერთო მოცულობა საკმაოდ დიდ თანხებს უდრის და ეს სახსრები წარიმართება გარდამავალ და დამამთავრებელ ობიექტებზე და რითაც შესაძლებლობა იქმნება გადიდდეს აგრეთვე ძირითადი ფონდების ექსპლუატაციაში გადაცემის გეგმა მთელ რიგ მშენებარე ობიექტებზე.

რაც შეეხება სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას, შემოწმების შედეგად წინასწარ ხდება ათეულ ათასობით სახელმწიფო სახსრების გაფლანგვა-განიავებისაგან თავიდან აცილება.

აი ასეთია მოკლე მიმოხილვა და მოკრძალებული ნუსხა იმ ამოცანებისა, რასაც ასრულებენ ბანკის დაწესებულებები.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს გააჩნია აგრეთვე საკასო გეგმა, რომლის საშუალებით წესდება სახელმწიფო ბანკის სალაროში ნაღდი ფულის შესვლის ოდენობა, წყაროები და მისი ბანკიდან გაცემის მიზნობრივი მიმართულება, აგრეთვე მიმოქცევიდან ფულის ამოღების ან გაშვების ოდენობა.

საკასო გეგმას აღგენს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი სახალხო-მეურნეობრივი გეგმის მაჩვენებლებისა და მეურნეობის ცალკეულ დარგთა გეგმების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს მთავრობა.

ამჟამად, როდესაც მნიშვნელოვნად იზრდება კრედიტის როლი, შესაბამისად დიდდება საკრედიტო დაგეგმვის მნიშვნელობაც ქვეყნის მეურნეობრივ ცხოვრებაში. ფართოვდება კრედიტის გამოყენების სფერო და სახეები, იზრდება დაკრედიტების ვადები. კრედიტი სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრება ძირითადი ფონდების აღწარმოებაში. ყოველივე ეს განაპირობებს და დღის წესრიგში აყენებს საკითხს კრედიტის საქმის უკეთ ორგანიზაციისა და დაგეგმვის სრულყოფისათვის, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში ფულის მიმოქცევას მოკლევადიანი კრედიტის გაცემის გზით. როგორც ცნობილია, ფულის რაოდენობასა და საქონელბრუნვის და ფასიანი მომსახურების მოცულობას შორის დისპროპორციას დროულად გამოავლენს სახელმწიფო ბანკის საკასო გეგმა, რომელსაც რესპუბლიკის მთავრობა ამტკიცებს ყოველკვარტალურად. ბანკის დაწესებულებები უფლებამოსილი არიან საკასო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შემოწმებაში, ისინი არა მარტო აღრიცხავენ ცალკეულ ხარვეზებს, არამედ თავიანთ წინადადებებსაც კი აყენებენ ფულის მასის უკეთ რეგულირებისა და მისი სწორი მიმოქცევისათვის. მათ ევალებათ, აგრეთვე, დაამყარონ საქმიანი კონტაქტები მართვის რეგიონალურ ორგანოებთან, შეეცადონ გამოავლინონ ფულადი მიმოქცევის, დაჩქარების, მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და გასავლის უფრო სრულად შეწონასწორების ეფექტიანი წყაროები, მიაღწიონ რეალურ საკასო დაგეგმვას.

მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და გასავლის ბალანსში ბოლო წლების მანძილზე სისტემატურად მცირდება საქონელბრუნვის მოცულობა, რომლის მიზეზია საქონლის ზენორმატიული ნაშთების არსებობა, ანუ პროდუქტია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნას, რადგან წლობით უმოძრაოდ ძევს და მისი გასაღების იმედი არ არსებობს. მეორე მიზეზია აგრეთვე, შეცდომები ფასწარმოქმნაშიც, ის რომ, სამწუხაროდ, ფასები არ ემყარება საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებს. არ უნდა დავეუშვათ იმის ფაქტები, რომ სამეურნეო ხელმძღვანელებმა თავიანთ ნაწარმს რაც შეიძლება მეტი ტარიფები და ფასები დაადონ და ამით შექმნან მოჩვენებითი კეთილდღეობა.

პარტია და მთავრობა ამხვილებს საქართველოს სსრ ფასების კომიტეტის, რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ყურადღებას, რომ მათ უფრო გაბედულად გამოხატონ თავიანთი თვალსაზრისი ნაწარმთა ზუსტი შეფასების საკითხში

და მეტი პასუხისმგებლობით ამოწმებდნენ და ამტკიცებდნენ საწარმოების, გაერთიანებების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა მიერ წარმოდგენილი ფასების პროექტებს, რომლებიც ჩვეულებრივ მნიშვნელოვნად მომატებულია.

ფასების სახელმწიფო კომიტეტს მართებს უფრო მოქნილად რეაგირებდეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის პირობების შეცვლაზე, აღწევდეს ფასების მექანიზმის ეფექტიან ზემოქმედებას წარმოებაზე და სამეურნეო საქმიანობის ძირითადი პარამეტრების გაუმჯობესებაზე. წარმოების რენტაბელობის უზრუნველყოფა უნდა ხდებოდეს არა ფასების მომატების, არამედ გაწეული დანახარჯების, თვითღირებულების შემცირების, წარმოების ორგანიზაციის მოწინავე ფორმებისა და მეთოდების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის გზით და ა. შ. ამ ბოლო ხანებში უნდა ვირწმუნოთ, რომ სწორედ ასეთ პოზიციას ადგანან ფასების სახელმწიფო კომიტეტი და შესაბამისი ორგანოები, რომლებიც ფასწარმოქმნის პროცესში მონაწილეობენ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ პარალელურად იმ ორგანოებისა, რომლებსაც ევალუბათ ფასწარმოქმნაზე გარკვეული კონტროლის გაწევა, ბანკების დაწესებულებებსაც მიენიჭოთ ასეთის უფლება და წინასწარ დაფინანსების თუ დაკრედიტების დროს მიღებული საბუთების გასინჯვისას შეამოწმონ ექსპლოატაციაში გადასაცემი საწარმოთა მიერ გამოსაშვები პროდუქციის ფასთა სისწორე და პროდუქციის თვითღირებულებასთან მისი შეუსაბამობის შემთხვევაში თავი შეიკავონ ანგარიშსწორებისაგან, ან ასეთი ობიექტები საერთოდ არ დააფინანსონ.

სახბანკის დაწესებულებები ახდენენ შემოსავლების მიღებასა და განაწილებას საკავშირო ბიუჯეტსა და მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებს შორის. აწარმოებენ აგრეთვე, ანარიცხებს ადგილობრივ ბიუჯეტში; აღრიცხავენ საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებით გახსნილ კრედიტებს და საწარმოებსა და ორგანიზაცია-დაწესებულებებზე ახდენენ სახსრების გაცემას დაშვებული კრედიტის ფარგლებში, ან მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთების შესაბამისად ადგილობრივი ბიუჯეტებით და ახორციელებენ მათზე კონტროლს.

ბანკების დაწესებულებათა როლი და მომსახურებითი ფუნქცია სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულების აღრიცხვასა და კონტროლში უფრო მნიშვნელოვანი ხდება დღეს, როდესაც განვლილი 7 (შვიდი) ათეული წლის მანძილზე არნახულ წარმატებებს მივაღწიეთ კაპიტალურ დაბანდებათა ესოდენ დიდი მასშტაბებით ზრდის შედეგად.

ამჟამად, უკვე მომწიფებული სოციალიზმის თანამედროვე ეტაპზე, საბჭოთა ქვეყანა გადაიქცა კაპიტალური დაბანდების უდიდესი მასშტაბების ქვეყნად, საბჭოთა ხელისუფლების მთელ პერიოდში კაპიტალურმა დაბანდებამ ორ ტრილიონ მანეთს გადააჭარბა და მისი ბოლო სამი ხუთწლედის წამი ბევრად აღემატება წინა პერიოდების 9 (ცხრა) ხუთწლედის კაპიტალურ დაბანდებათა წამს.

სოციალიზმის უპირატესობათა წარმატების გამოყენების მეოხებით მიღწეულია ისტორიაში განუმეორებელი სამრეწველო განვითარების ტემპი, რომლის შენარჩუნებისა და მისი შემდგომი წინსვლისათვის საჭიროა საფინანსო და საკრედიტო ბერკეტების სრულყოფილად გამოყენება.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ წარმოებრივი სიმძლავრეების გადიდება მოქმედი საწარმოების გაფართოებისა და რეკონსტრუქციის გზით უფრო მეტად უზრუნველყოფს წარმოების სწრაფ ზრდას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და ისიც შედარებით ნაკლები კაპიტალური დაბანდებით, ვიდრე ახალი მშენებლობა. ასეთი შედეგი განპირობებულია მნიშვნელოვანი ზომით, იმით, რომ საწარმოს გაფართოებისა და რეკონსტრუქციის დროს, როგორც წესი, უმჯობესდება კაპიტალური დაბანდების სტრუქტურა: მოწყობილობათა დანახარჯების წილი მატულობს, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების კლებულობს, რაც ხელს უწყობს კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობის ამაღლებას. პარტიისა და ხელისუფლების პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ კაპიტალურ დაბანდებათა ყოველ დახარჯულ მანეთზე მივალწიოთ პროდუქციის უდიდესი მატების უზრუნველყოფას და ფონდუკუგების ვადების შემცირებას. ამიტომ ბანკების დაწესებულებებმა უნდა იხელმძღვანელონ აღნიშნული დებულებით და იმ შემთხვევაში უნდა დააფინანსონ და დააკრედიტონ ახალი საწარმოო სიმძლავრეები, თუ მოქმედი საწარმოები ვერ უზრუნველყოფენ მოცემული სახეობის პროდუქციაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მაშასადამე, სახბანკის და მშენბანკის დაწესებულებათა მიერ აქცენტი გადატანილ უნდა იქნეს მოქმედი საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების რეკონსტრუქცია-გაფართოებაზე და არა ახლის მშენებლობაზე, რათა შედარებით მოკლე დროში და ნაკლები კაპიტალდაბანდებით მივალწიოთ მეტ ეკონომიკურ ეფექტიანობას.

ამასთან ერთად, მათვე უნდა გამოიყენონ მოქმედი კანონით მინიჭებული უფლებები და შემოწმების შედეგად გამოვლინებულ ხარვეზებზე გაკეთებული რეაგირება მიიყვანონ ლოგიკურ დაბოლოებაამდე, კერძოდ ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებისადმი მათ მიერ წარდგენილი მოთხოვნა-გაფრთხილება ფინანსირების შეწყვეტის, არა-

სწორად განადგებულ თანხების ჩამოწერის თუ სხვა საანქციების გატარების საქმეში ნამდვილად აღასრულოს, თუ ზემდგომი საკავშირო გამგეობიდან განკარგულება არ ექნებათ შეჩერებაზე ან ვიდრე ეს დარღვევა არ აღმოიფხვრება.

როგორც დავრწმუნდით, სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა ეტაპზე შესაბამისად იცვლებოდა საფინანსო და საკრედიტო სისტემა. ამჟერადაც ქვეყანაში დაწყებულმა რადიკალურმა ეკონომიკურმა რეფორმამ და ყველა სფეროში წარმოებულმა სტრუქტურულმა ძვრებმა დღის წესრიგში დააყენა ბანკების მორიგი რეორგანიზაციის და დამატებით სპეცბანკების შექმნის საკითხები.

3. ძველის საბანკო სისტემის ბარდაქმნის აპტხალური საკითხები

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ეკონომიკური სისტემის საფუძველს შეადგენს წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრება სახელმწიფოებრივი (საერთო-სახალხო) და საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების ფორმით.

მიწასთან, მის წიაღთან, წყლებთან და ტყეებთან ერთად, სახელმწიფოებრივ საკუთრებად ითვლება ბანკები და სხვა საკრედიტო დაწესებულებები. ჩვენს ქვეყანაში ისინი გვევლინებიან ფულადი და საკრედიტო ურთიერთობის მატარებლად და მუდმივად ვითარდებიან სოციალისტური წყობილების ობიექტური კანონების ზემოქმედებით.

საბჭოთა კავშირის საბანკო სისტემა წარმოადგენს საკრედიტო დაწესებულებების ერთობლიობას, რომელიც ახორციელებს ფულის მიმოქცევის, კრედიტის, უნაღდო ანგარიშსწორებისა და შრომითი ანაბრების ორგანიზაციასა და დაგეგმვას. ამავე დროს აკონტროლებს წარმოებასა და მიმოქცევაში საკრედიტო რესურსების გამოყენების ეფექტიანობას.

სსრ კავშირის ეკონომიკაში, რომელიც ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსს წარმოადგენს და საზოგადოებრივი წარმოების, განაწილებისა და გაცვლის ყველა რგოლს მოიცავს, საზოგადოებრივი წარმოების მთავარი ამოცანის განხორციელების საქმეში ბანკები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ისინი წარმოადგენენ გვეგმური ცენტრალიზებული მართვის ორგანოებს, რომლებიც აქტიურად იყენებენ ეკონომიკურ ბერკეტებსა და სტიმულებს: სამეურნეო ანგარიშს, მოგებას, თვითღირებულებას, ფინანსებსა და კრედიტს.

საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკას შემდგომი ზრდისა და წარმატებით წინსვლის უაღრესად დიდი შესაძლებლობები აქვს. ამას ხელს უწყობს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა

საბჭოს მიერ შემუშავებული კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც ეხება დაგეგმვასა და მთლიანად სამეურნეო მექანიზმის გაუმჯობესებას. ეს ღონისძიებები მმართველობითსა და გეგმურ საქმიანობას მაღალი საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მისაღწევად, მზარდი საზოგადოებრივი მოთხოვნების უფრო სრულად დასაკმაყოფილებლად წარმატავენ.

სახელმწიფო ბანკის განვითარების ისტორია სოციალიზმის პირობებში ფულის, კრედიტისა და ბანკების თაობაზე, ლენინის იდეების პრაქტიკაში განხორციელების ისტორიაა. მარქსისტულ-ლენინურმა ეკონომიკურმა თეორიამ მეცნიერულად დაამტკიცა, ხოლო ყველა სოციალისტური ქვეყნის პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ფული, კრედიტი და ბანკები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოციალიზმის მშენებლობაში და მის განვითარებაში.

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინ წამოაყენა ბანკის შენარჩუნებისა და სოციალისტური მეურნეობის მართვაში მისი გამოყენების იდეა. მიუთითებდა რა ძველი სახელმწიფო მანქანის მსხვრევის აუცილებლობაზე, ბანკის აპარატისათვის ვ. ი. ლენინი გამონაკლისს უშვებდა:

„ამ აპარატის დამსხვრევა არ შეიძლება და არც არის ეს საჭირო...“⁷

სახალხო მეურნეობის ყველა დარგთან სახელმწიფო ბანკის მრავალრიცხოვანი ორგანიზაციების მჭიდრო ურთიერთკავშირი საშუალებას იძლევა განხორციელდეს ვ. ი. ლენინის მითითებები სოციალისტური მეურნეობის რეგულირების აპარატად ბანკის გადაქცევისთან დაკავშირებით.

ვ. ი. ლენინი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელებისა და სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის აუცილებელ პირობად მიიჩნევდა სამეურნეო ანგარიშის დანერგვას. სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებასა და საწარმოს რენტაბელურ მუშაობაზე კონტროლს უნდა ახორციელებდნენ საფინანსო ორგანოები და სახელმწიფო ბანკი. საბანკო კონტროლი, საწარმოს მუშაობაზე ზემდგომი სამეურნეო ორგანოების ხაზით განხორციელებული კონტროლისაგან განსხვავებით, უფრო ობიექტურია, რადგან იგი არ ატარებს ვიწრო უწყებრივ ხასიათს.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მისი ორგანიზაციისთვის ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული პრინციპებით, უპირველეს ყოვლისა, საბანკო პოლიტიკის ერთიანობის პრინციპით:

⁷ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 109—110.

„...სახალხო ბანკის ყველა განყოფილება თავისი საქმიანობის დროს ზუსტად ხელმძღვანელობს ცენტრალური სამმართველოს ინსტრუქციებით და დირექტივებით და უფლება არა აქვს შემოიღოს რაიმე ადგილობრივი წესები და შეზღუდვები“⁸./

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქმიანობაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბანკო კონტროლს. ამ კონტროლის საფუძველია ის გარემოება, რომ ბანკი თავს უყრის მთელ ფულად ბრუნვას. აწარმოებს რა ფულად ოპერაციებს, სახელმწიფო ბანკს აქვს მთელი სამეურნეო ბრუნვის ფართო კონტროლის მრავალმხრივი შესაძლებლობანი.

სახელმწიფო ბანკის ფუნქციების რეალიზაცია ხდება კონკრეტულ ფულად ოპერაციებში, რომელთა შესრულებაც მოითხოვს ყველაზე გულდაჯერებულ შემოწმებას. დარწმუნდება რა ოპერაციის მოხდენის კანონიერებაში და შესაძლებლობაში, ბანკი არა მხოლოდ ახორციელებს თავის ფუნქციას, არამედ იგი უზრუნველყოფს მის შესრულებას.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკები თავისი წესდების შესაბამისად დაკრედიტების, დაფინანსების, ანგარიშსწორების განხორციელების, ფულის მიმოქცევის რეგულირებისა და ორგანიზაციის დროს მანეთით კონტროლს ახორციელებენ ქვეყანაში საწარმოო გეგმების შესრულებაზე და საქონელბრუნვაზე, საფინანსო გეგმებზე, სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, არამწარმოებლური დანახარჯების შემცირებაზე, ხელფასის ფონდის ხარჯვაზე.

სახელმწიფო ბანკი ღრმად დაინტერესებული ქმედითი კონტროლი აწარმოოს სამეურნეო საქმიანობისა და მისი შედეგიანობის ასამაღლებლად. სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შესრულება, წარმოების გაფართოება, თითოეული სამეურნეო ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის განმტკიცება უზრუნველყოფენ ფულის მიმოქცევის მდგრადობას, საბრუნავ საშუალებათა ბრუნვადობის დაჩქარებას, ბანკის სესხების დროულად და მთლიანად დაფარვას. სახელმწიფო ბანკის ინტერესები ზუსტად და საერთო-სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს.

სახელმწიფო ბანკის კონტროლის საფუძველია მანეთით კონტროლი, რომელიც ხორციელდება არა მხოლოდ საწარმოების, ორგანიზაციების, დარგების საქმიანობაზე. არამედ კვლავწარმოების მთელ პროცესზე. მანეთით კონტროლის არსი მდგომარეობს საწარმოების, ორგანიზაციების, დარგების, ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებების, სახალხო მეურნეობის გეგმებისა და, აქედან გამომდინარე,

⁸ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 42, გვ. 62—69.

დავლებების, სახელმწიფო დისციპლინის დაცვის, ყველა ფულადი ოპერაციის მოხდენის კანონიერების, ასევე მთლიანად საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესის შესრულების შემოწმებაში.

სახელმწიფო ბანკი თავის საკონტროლო ფუნქციებს ახორციელებს სპეციალურად შემუშავებული მექანიზმების საშუალებით, როგორცაა დაკრედიტების ორგანიზაცია, დაფინანსება და ანგარიშსწორება, საემისიო და საბიუჯეტო ოპერაციები, ხელფასის ფონდისა და სხვა ფულადი სახსრების ხარჯვის კონტროლი. ასეთი კონტროლის ეფექტურობის მიზნით ბანკი ახორციელებს საწარმოების, ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ანალიზს.

საბანკო კონტროლი წინაპირობაა იმისა, რომ დახმარება აღმოუჩინოს საწარმოებს და ორგანიზაციებს, გამოავლინოს ხარვეზები მათს მუშაობაში და დაადგინოს მათი წარმოქმნის მიზეზები, სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად გაატაროს ღონისძიებები ხარვეზების აღმოსაფხვრელად, გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში ან სამეურნეო პროცესებისა და ოპერაციების შესრულებაში დაშვებული დარღვევებისას ეკონომიკური ზემოქმედება მოახდინოს სანქციების გამოყენებით. ბანკის მხრივ დახმარებასაც და სანქციებსაც ერთი მიზანი აქვს — გავლენა იქონიოს სამეურნეო ორგანიზაციის მუშაობის საბოლოო შედეგების გაუმჯობესებაზე.

მეურნეობის მუშაობაზე სახელმწიფო ბანკის კონტროლის ფორმები და მეთოდები მრავალფეროვანია და მისი შინაარსი დამოკიდებულია განსახორციელებელი ღონისძიებების ხასიათზე და ორგანიზაციის წინაშე დასახულ ამოცანებზე. სახელმწიფო ბანკი არის ეკონომიკური ორგანო და იგი თავის საკონტროლო ფუნქციებს ახორციელებს უმთავრესად ეკონომიკური მეთოდებით. ამასთან ერთად იგი, როგორც სახელმწიფო ორგანო, რომელსაც აქვს მკვიდრო კავშირი პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან, კონტროლის განსახორციელებლად იყენებს აგრეთვე ორგანიზაციულ მეთოდებს; ხშირ შემთხვევაში საწარმოებზე და ორგანიზაციებზე ზემოქმედებას ახდენს სამინისტროების, უწყებების, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით.

საბანკო დაწესებულებათა მუშაობის დიდმნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ფულის მიმოქცევის სიმტკიცის უზრუნველყოფა. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ფულისა და მისი ბრუნვის გეგმაზომიერი გამოყენება ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაზე კონტროლის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. იგი ამბობდა:

„...ფულის ბრუნვა ეს ისეთი რამეა, რაც მშვენივრად ამოწებს ქვეყნის ბრუნვის დამაკმაყოფილებლობას, და როცა ეს ბრუნვა სწორობა არ არის, მაშინ ფული იქცევა უბრალო ქაღალდად“⁹.

პარტია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქვეყანაში ფულის მიმოქცევის შემდგომი განმტკიცება და საბჭოთა მანეთის მყიდველობითი ძალის მდგრადობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების, საქონელბრუნვის ზრდისა და სახალხო მოხმარების მნიშვნელოვან საგნებზე ფასების სტაბილურობის საფუძველზე.

გარკვეულ წლებში ქვეყნის ეკონომიკაში რაოდენობრივი მაჩვენებლების წინა პლანზე წამოწევის ნეგატიურმა ტენდენციამ დააყენა საბოლოო ფინანსური შედეგები, დაეცა ძირითადი ეკონომიკური კატეგორიის — მოგების როლი და მნიშვნელობა. გაუარესდა საგადასახადო დისციპლინა, რამაც ძალიან შეასუსტა სამეურნეო ორგანიზაციების პასუხისმგებლობა პარტნიორების ბანკებისა და თვით საკუთარ მუშა-მოსამსახურეთა წინაშე. ამიტომ სკკ XXVII ყრილობის, სკკ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის, ამ საკითხებთან დაკავშირებული პარტიისა და მთავრობის და სხვა დადგენილებების მოთხოვნათა შესაბამისად აუცილებელი გახდა მთელი საკრედიტო სისტემის გარდაქმნა, რადიკალური რეფორმა.

არსებულმა საბანკო სისტემამ დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების მოქმედმა წესებმა, მანეთით კონტროლის საკრედიტო-საანგარიშსწორებო მექანიზმმა არათუ ვერ შეძლო არასასურველი ტენდენციების აღკვეთა, უყაირათობის ალაგმვა და პროგრესული, დადებითი ფინანსური შედეგებით გარანტირებული ღონისძიებების საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფა, არამედ ფაქტობრივად მეურნეობის გაუმართლებელი ფინანსური გარღვევების ჭარბი საკრედიტო რესურსებით ამოვსების მანკიერი პრაქტიკა წარმოშვა. წინა ხუთწლედში ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დაბანდებული მოკლევადიანი კრედიტების ზრდის საშუალო წლიური ტემპი სამჯერ აღემატებოდა მეურნეობის ძირითადი შეფასებითი მაჩვენებლების ზრდის ტემპს. შესაბამისად, მნიშვნელოვნად შემცირდა საკრედიტო დაბანდებათა ეფექტიანობა, ჩრდილში მოექცა კრედიტის, როგორც სოციალისტური ეკონომიკური კატეგორიის, ძირითადი პრინციპები — უზრუნველყოფადობა და დაბრუნებადობა. სახბანკოს სესხებით ვადაგადაცილებულმა დავალიანებამ ცალკეულ პერიოდში 1,5 მილიარდ მანეთს მიაღწია. საკრედიტო ზემოქმედების ზომების გამოყენებამ

⁹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 270.

უკიდურესად ფორმალური ხასიათი მიიღო. კრედიტმა პრაქტიკულად დაკარგა თავისი არსი და დანიშნულება.

საკრედიტო რესურსების შეუზღუდაობის ილუზიამ კიდევ უფრო განავითარა სხვისი მოიმედება, ფულადი ბრუნვის არხების ზედმეტი საგადასამხდლო საშუალებებით გადატვირთვამ გაართულა ეკონომიკის მატერიალურ-ნივთობრივი და ფინანსური დაბალანსება, სერიოზული პრობლემები შეიქმნა ქვეყნის ფულის მიმოქცევაში.

თვით საბანკო სისტემა მეტად მოუქნელი გახდა, სრულიად ვერ ითვალისწინებდა უზარმაზარი და მეტად მრავალმხრივი სახალხო მეურნეობის დარგებისა და სფეროების თავისებურებებს. საკრედიტო ბერკეტები და სტიმულები ფაქტობრივად ვეღარ ასრულებდა გაფართოებული კვლავწარმოების რესურსებისა და საწარმოო პოტენციალის რაციონალური გამოყენების მართვის ინსტრუმენტის ფუნქციას.

იმ პირობებში, როდესაც ძირითადი სამეურნეო საქმიანობა და გაერთიანებების, საწარმოების, სხვა ორგანიზაციების ინვენსტიცია ორგანულ ურთიერთკავშირშია, მათი სხვადასხვა ბანკების მეშვეობით დაკრედიტება და დაფინანსება ზღუდავს ახალი სამეურნეო მექანიზმის ეფექტიანობას.

სსრ კავშირის სახბანკოსა და შემნახველი სალონების მუშაობა ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს, საკმარისად არ გამოიყენებოდა მოქალაქეთა საკრედიტო და საკასო მომსახურების პროგრესული ფორმები და მეთოდები.

და კიდევ ერთი: ბანკის მუშაკთა შრომის ანაზღაურება არ შეესაბამება დაკისრებული მოვალეობისა თუ პასუხისმგებლობის ზომას. რაც მთავარია, პრაქტიკულად არ არსებობს რაიმე მასტიმულირებელი ურთიერთკავშირი მათს ძირითად საქმიანობასა და სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგებისა თუ საწარმოების საბოლოო შედეგებს შორის.

ყოველივე ამან წამოჭრა მთელი საბანკო სისტემის ძირეული რეორგანიზაციის ობიექტური აუცილებლობა და ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი გადაიჭრა კიდევ საკანონმდებლო დონეზე — სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „ქვეყანაში ბანკების სრულყოფისა და ეკონომიკის ეფექტიანობაზე მათი ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“.

ამ დადგენილებით უნდა გაიზარდოს კრედიტისა და ფულის მიმოქცევის როლი პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელებაში. გაძლიერდეს მათი ზემოქმედება სახალხო მეურნეობის დინამიკური და პროპორციული განვითარებისა და ეფექტიანობის ზრდაში.

იცვლება ბანკების საქმიანობის მიმართულება და ფორმები, ძლიერდება მათი პასუხისმგებლობა. იქმნება ყველა პირობა იმისათვის, რომ ბანკები ეკონომიკის მართვის დაჩქარებული გარდაქმნის დაინტერესებული და აქტიური მონაწილეები გახდნენ.

სახალხო მეურნეობის დარგებისა და კომპლექსების ერთ ბანკში მომსახურების, აგრეთვე საბანკო მუშაობის სპეციალიზაციისა და მისი შემდგომი გაღრმავების მიზნით მიზანშეწონილად არის მიჩნეული მოქმედი საკრედიტო სისტემის რეორგანიზაციის ბაზაზე ბანკების ახალი სისტემის შექმნა შემდეგი შემადგენლობით, ფუნქციებითა და მომსახურების სფეროებით: ეფექტიანი საკრედიტო პოლიტიკის გატარების, ფულად-საკრედიტო სისტემის მართვის, სსრკ სპეციალიზებული ბანკების საქმიანობის კოორდინაციის მიზნით სახელმწიფო ბანკს ევალება სსრკ სპეციალიზებული ბანკების მონაწილეობით შეიმუშაოს ნაერთი საკრედიტო გეგმების და სსრკ ბანკებზე საკრედიტო დაბანდებების განაწილების გეგმების პროექტები, აქტიური მონაწილეობა მიიღოს სსრკ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის, სსრკ სახელმწიფო ბიუჯეტის, მოსახლეობის ფულადი შემოსავლების და გასავლების ბალანსის, ქვეყნის ნაერთი საგალობლო გეგმის პროექტების შედგენაში.

სსრკ სახელმწიფო ბანკი სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრკ ფინანსთა სამინისტროსთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად ადგენს სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების საკასო გეგმების პროექტებს;

სისტემატურ ანალიზს უკეთებს სახალხო მეურნეობაში საკრედიტო და საკასო გეგმების შესრულების მიმდინარეობას და მის საფუძველზე ამზადებს წინადადებებს რესურსების გამოყენების ეფექტურობის ამაღლების თაობაზე;

სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრკ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, სსრკ სპეციალიზებული ბანკების მონაწილეობით შეიმუშავებს და განახორციელებს ქვეყანაში ფულის მიმოქცევის განმტკიცების და საბჭოთა მანეთის მსყიდველობითი უნარის ამაღლების ღონისძიებებს;

სსრკ სპეციალიზებულ ბანკებთან ერთად ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე შეიმუშავებს დაკრედიტების პირობებს, კრედიტის მიმღებებზე ეკონომიკური ზემოქმედების, სახალხო მეურნეობაში ანგარიშსწორების და სალაროს ოპერაციების ჩატარების წესებს, ბანკებში აღრიცხვისა და ანგარიშგების წესს;

სპეციალიზებული ბანკების მონაწილეობით და სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრკ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმე-

ბით აღგენს სესხებით სარგებლობის საპროცენტო განაკვეთების ოდენობას;

სსრკ სპეციალიზებულ ბანკებთან ერთად ატარებს საბანკო ოპერაციების ავტომატიზაციის და მექანიზაციის სამუშაოებს იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოს 1988—1989 წლებში სსრკ ყველა ბანკის ცენტრალიზებული მომსახურება ერთიანი გამომთვლელი სისტემის საშუალებით;

ახორციელებს ცენტრალიზებული წესით ფულის მიმოქცევის რეგულირებას, სსრკ ტერიტორიაზე სსრკ სახელმწიფო ბანკის ბილეთების, სსრკ სახელმწიფო სახაზინო ბილეთების და ლითონის მონეტების ბრუნვაში გაშვების მონოპოლურ უფლებას, აგრეთვე მათი დამზადების, გადაზიდვის და შენახვის ორგანიზაციას;

სსრკ სპეციალიზებულ ბანკებში ქმნის სსრკ სახელმწიფო ბანკის ბილეთების, სახაზინო ბილეთების და ლითონის მონეტების სარეზერვო ფონდებს. სარეზერვო ფონდებში და სალაროებში არსებული ყველა ფასეულობის სრულ შენახვაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ სსრკ ბანკების შესაბამისი დაწესებულებების ხელმძღვანელებს.

ორგანიზაციას უკეთებს და ახორციელებს ნაღდი ფულის ინკასაციას ბანკების სისტემაში.

ორგანიზაციას უკეთებს სსრკ ბანკებს შორის ანგარიშსწორებას. რაიონებში და ქალაქებში ასეთ ანგარიშსწორებას ასრულებენ სპეციალიზებული ბანკები.

თავისი რესპუბლიკური ბანკების და საოლქო (სამხარეო) სამმართველოების, ხოლო ქალაქებსა და რაიონებში სპეციალიზებული ბანკების განყოფილებების მეშვეობით ახორციელებს სსრკ სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულებას.

ახორციელებს სპეციალიზებული ბანკების საქმიანობას ყველა ძირითადი მიმართულების მიხედვით, ანალოზს უკეთებს ბანკებისა და მისი დაწესებულებების მუშაობის გარდაქმნის ღონისძიებებს მეურნეობრიობის ახალ პირობებში.

სსრკ სახელმწიფო ბანკი სსრკ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით აღგენს იმ ანგარიშგების ჩამონათვალს, რომლებსაც სპეციალიზებული ბანკები უდგენენ ცენტრში და ადგილებზე სსრკ სახბანკს.

სსრკ სპეციალიზებული ბანკები, როგორც სახელმწიფო ბანკები, სრული პასუხისმგებლები არიან პროგრესული საკრედიტო პოლიტიკის გატარებაზე, საკრედიტო-საანგარიშსწორებო მექანიზმის გაფართოებული კვლავწარმოების საბოლოო შედეგებზე ზემოქმედების ეფექტიანობაზე, სახალხო მეურნეობის დარგებში საგადამხდელო დის-

ციპლინის განმტკიცებაზე, შესაბამის ტერიტორიებზე ფულის მიმოქცევაზე და სსრკ სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო შესრულებაზე.

სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკი უზრუნველყოფს ექსპორტ-იმპორტთან და არასავაჭრო ოპერაციებთან დაკავშირებული ანგარიშსწორების ორგანიზაციას და იმ გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების დაკრედიტებას, რომლებსაც აქვთ საგარეო-ეკონომიკური კავშირები, კონტროლს უწევენ კრებისითი სავალუტო გეგმის შედგენას, ქვეყნის სავალუტო რესურსების რაციონალურ და ეკონომიურ გამოყენებას, საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ბაზრებზე ოპერაციების შესრულებას.

სსრ კავშირის სამრეწველო-სამშენებლო ბანკი ახორციელებს მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, სსრკ სახმომარაგების, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სისტემების მოკლევადიან დაკრედიტებას, დაფინანსებას, გრძელვადიან დაკრედიტებასა და ანგარიშსწორებას.

რაც შეეხება სსრკ აგროსამრეწველო ბანკს, იგი ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში სსრკ მრეწვემშენბანკის ანალოგიურად იმოქმედებს. აღნიშნული ბანკი ემსახურება აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს.

სსრ კავშირის საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სოციალური განვითარების ბანკი ახორციელებს საბინაო-კომუნალური მეურნეობის, სახელმწიფო ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სოციალურ-კულტურული მშენებლობის, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს დაქვემდებარებული მეურნეობების, აგრეთვე კოოპერატიული და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სფეროს დაკრედიტებას, დაფინანსებას და ანგარიშსწორებას.

სსრ კავშირის მოსახლეობის შრომითი დანაზოგებისა და დაკრედიტების ბანკი უზრუნველყოფს საშემნახველო საქმის ორგანიზაციას, მოსახლეობის, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ორგანიზაციებისა და დაწესებულებების უნაღდო ანგარიშსწორებასა და დაკრედიტებას, სახელმწიფო სესხების ობლიგაციების გავრცელებასა და დაფარვას, მოქალაქეთა სამომხმარებლო საჭიროებათა დაკრედიტებას, მომსახურებას უწევს პენსიონერების ყველა კატეგორიას; შემნახველი ბანკების საქმიანობა მიმართული უნდა იყოს მოსახლეობის მომსახურების ძირფესვიანი გაუმჯობესებისაკენ როგორც სამუშაო ადგილებზე, აგრეთვე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სსრკ სპეციალიზებული ბანკები იქმნებიან მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში. მხარეებსა და ოლქებში იქმნება ბანკების სამმართველოები. ამასთან, ქალაქებსა და რაიონებში, სადაც არ შეიქმნება რომელიმე სპეციალიზებული ბანკი, შესაბამისი სფეროს სა-

კრედიტო-საანგარიშსწორებო მომსახურება განხორციელდება მოქმედ სპეციალიზებულ ბანკში საკორესპონდენტო ურთიერთობების საფუძველზე ან რწმუნებულების მეშვეობით.

როგორც რესპუბლიკური სახელმწიფო ბანკი, ასევე სპეციალიზებული ბანკები სარგებლობენ რესპუბლიკური სამინისტროების უფლებებით.

მეურნეობასთან საკრედიტო ურთიერთობის დამყარებისას ბანკებმა ზუსტად უნდა დაიცვან საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები, ფართოდ გამოიყენონ საკრედიტო ურთიერთობათა პრინციპულად ახალი ფორმები, ამასთან განუხრელად მისდიონ დაკრედიტების პრინციპებს: გეგმიან-მიზნობრიობა, უზრუნველყოფილობა, ვადიანობა, დაბრუნებადობა და ფასიანობა.

მიმდინარეობს დაკრედიტების წესების უნიფიცირება და გამართივება, გაცილებით ოპერატიული ხდება დაკრედიტების პროცესი, მეურნეობასთან საკრედიტო ურთიერთობა ყველა შემთხვევაში დამყარდება ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ორივე მხარის ურთიერთვალდებულება და ეკონომიკური პასუხისმგებლობა.

სკკბ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაუშვებლად მიაჩნია კრედიტის გამოყენება მეურნეობის ხანგრძლივი ფინანსური გარღვევების გადასაფარავად, ბანკები შეწყვეტენ იმ სამეურნეო ორგანიზაციათა დაკრედიტებას, რომლებიც სისტემატურად არღვევენ სესხის დაბრუნების ვადებს./იმასთან დაკავშირებით, რომ 1988 წელს ამოქმედდება კანონი სოციალისტური საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, ბანკის დაწესებულებები უფლებამოსილი არიან გადაიყვანონ დაკრედიტების განსაკუთრებულ რეჟიმზე სამეურნეო ორგანიზაციები, რომლებიც ზარალით მუშაობენ, სისტემატურად არღვევენ ბიუჯეტთან, ბანკებთან და მომწოდებლებთან ანგარიშსწორების ვადებს. საჭიროების შემთხვევაში ბანკი სსრკ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად სვამს გაერთიანებებისა და საწარმოების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის საკითხს.

იზრდება საპროცენტო პოლიტიკის მნიშვნელობა, რაც იმით გამოიხატება, რომ ბანკების დაწესებულებათა მმართველებს უფლება მიეცათ გაუზარდონ ან შეუმცირონ საპროცენტო განაკვეთები სესხით სარგებლობისათვის იმის მიხედვით, თუ როგორ იცავს სამეურნეო ორგანიზაცია სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა საგეგმო მარაგს, რამდენად აჩქარებს და ინარჩუნებს საბრუნავ სახსრებს, როგორ ასრულებს სესხის დაბრუნებასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

იმისათვის, რომ სრულად განხორციელდეს სოციალური სამართლიანობის პრინციპი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ბანკის მუშაკთა მატერიალური დაინტერესება და გააძლიერდეს პასუხისმგებლობა საბოლოო შედეგების მისაღწევად, ბანკები სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადადიან. ამასთან დაკავშირებით ბანკების საქმიანობის შეფასების ძირითადი მაჩვენებელი ხდება მოგება, რომლიდანაც გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების საფუძველზე შეიქმნება საწარმოო, სოციალური განვითარებისა და მატერიალური წახალისების ფონდები.

მოსახლეობის შემოსავალ-გასავლის დაბალანსების და ამ ბაზაზე ფულის მიმოქცევის განმტკიცების უზრუნველსაყოფად მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შემადგენლობაში დამტკიცდება მოსახლეობის შემოსავალ-გასავლის ბალანსები და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქებისა და რაიონების საკასო გეგმები. აღნიშნული გადაწყვეტილება უფრო საგნობრივს და მიზნობრივს გახდის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, შესაბამისი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობას.

სსრკ სახელმწიფო ბანკს უფლება აქვს აუცილებლობის შემთხვევაში სპეციალიზებული ბანკების საქალაქო და რაიონულ განყოფილებებში შექმნას სსრკ სახელმწიფო ბანკის რწმუნებულის თანამდებობები, რომლებსაც ეკისრებათ კონტროლი დააწესონ სათანადო ტერიტორიაზე ფულის მიმოქცევის დავალებების და საკასო გეგმის შესრულებაზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ 1988 წლიდან ბანკები უნდა გადავიდნენ სრული სამეურნეო ანგარიშის და თვითდაფინანსების პრინციპებზე. ამასთან სამეურნეო ანგარიშის ძირითად რგოლად სსრკ ბანკების სისტემაში მიჩნეულია ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის სამმართველო, ხოლო სსრკ შემნახველ ბანკში — აღნიშნული ბანკის განყოფილება.

ბანკების სამმართველოების და განყოფილების სამეურნეო ანგარიშით საქმიანობის საფუძველად ჩადებულია მოგება, როგორც საწარმოო და სოციალური განვითარების და მატერიალური წახალისების მთავარი წყარო.

საკრედიტო რესურსების გამოყენების ეფექტურობის ამაღლების და გავრთიანების, საწარმოების და ორგანიზაციების მუშაობის საბოლოო შედეგებზე საკრედიტო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების მიზნით საბანკო დაწესებულებები ადგილებზე თავის ურთიერთობას მათთან აყალიბებენ საკრედიტო შეთანხმების საფუძველზე,

რომლებიც განსაზღვრავენ მხარეების ურთიერთვალდებულებებს და პასუხისმგებლობას.

ამასთან დაუშვებელია ყოველგვარი ფორმალიზმი, ცოცხალი საქმის შეცვლა ზედმეტი ქალაღებით, გაერთიანებების, საწარმოების და ორგანიზაციების საქმიანობაში წვრილმანი ჩარევა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ სსრკ ბანკების და მათი ადგილობრივი დაწესებულებების ურთიერთ-დამოკიდებულება საკრედიტო რესურსების გამოყენების საკითხებში აგებულია ვადახდის პრინციპებზე. სხვა ბანკებიდან მოზიდული რესურსებისათვის შეტანილი უნდა იქნას გადასახდელი იმ ზომით, რომელიც დადგენილია სსრკ სახბანკოს მიერ სსრკ სპეციალიზებულ ბანკებთან ერთად. საკრედიტო გეგმით გათვალისწინებულ ოდენობაზე ზევით მოზიდულ რესურსებზე ბანკები იხდიან გადიდებულ პროცენტს.

— ბანკები მოწოდებული არიან მაქსიმალურად გააუმჯობესონ დაკრედიტების, დაფინანსების და ანგარიშსწორების სისტემა, გახადონ იგი უფრო მეტად მობილური და მოქნილი, მნიშვნელოვნად გაზარდონ ოპერატიულობა ასეთი საკითხების გადაწყვეტის დროს.

ფულის მიმოქცევის და კრედიტის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების და ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე ბანკების საქმიანობის სრულყოფის ამოცანის გადაწყვეტის მიზნით, შექმნილია სსრკ ბანკების საბჭო. აღნიშნული საბჭო არის საკოორდინაციო ორგანო, რომელიც იხილავს საკრედიტო გეგმის პროექტებს და შესრულების მიმდინარეობას, აგრეთვე ფულის მიმოქცევის და სახალხო მეურნეობაში საკრედიტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობის განმტკიცების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს.

სსრკ ბანკების საბჭოს მეთაურობს სსრკ სახბანკოს გამგეობის თავმჯდომარე. საბჭოში შედიან სსრკ სპეციალიზებული ბანკების გამგეობის თავმჯდომარეები. მასში შეიძლება შევიდნენ აგრეთვე სხვა ცენტრალური ეკონომიკური უწყებების წარმომადგენლები.

საკრედიტო ფულადი პოლიტიკის საკვანძო საკითხების გადასაწყვეტად და საბანკო სისტემის ქვედა რგოლებში მათ განხორციელებაზე კონტროლის განსახორციელებლად რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო დონეზე იქმნება ბანკების საბჭოები.

აღნიშნული საბჭოები იხილვენ ფულის მიმოქცევის და საკრედიტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობათა სრულყოფის საკითხებს, ბანკების საკრედიტო გეგმებს და შესაბამისი რეგონების სალაროს გეგმებს, განსაზღვრავენ მათი შესრულების გზებს, განაზოგადებენ საბანკო საქმიანობის პრაქტიკას და შეიმუშავენ მისი გაუმჯობესების წინადადებებს.

ბანკების საბჭოები არიან საკოორდინაციო ორგანოები, რომლებსაც მეთაურობს სსრკ სახელმწიფო ბანკის შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი, ხოლო შემადგენლობაში შედიან სპეციალიზებული ბანკების დაწესებულებების ხელმძღვანელები.

ნაწილი მესამე

ბიუჯეტური ხარჯთნუსხებისა და აღვილოზრივი ბიუჯეტების შესრულების აღრიცხვის სრულყოფის საშუალებები

თ ა ვ ი I X V I

ბიუჯეტებისა და ხარჯთნუსხების შესრულების აღრიცხვის სრულყოფის ზეგები

1. ბიუჯეტის შესრულებისა და აღრიცხვის სრულყოფის ძირითადი მიზართულებანი

სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის სრულყოფამ საბჭოთა ეკონომიკის განვითარების შესაბამისად მოითხოვა სახალხო მეურნეობრივი აღრიცხვისა და მათ შორის საბიუჯეტო აღრიცხვისა და კონტროლის გაუმჯობესება.

საზოგადოებრივი წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და ტექნიკური პროგრესის პირობებში ბიუჯეტის დაგეგმვის, აღრიცხვისა და კონტროლის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდები მმართველობის აპარატის ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს, რამდენადაც სახალხო მეურნეობრივი აღრიცხვის სრულყოფის პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების ახალი ორგანიზაციული ფორმების შემოღებისა და აღრიცხვის ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის გატარების საფუძველზე.

აღრიცხვის მაქსიმალური კონცენტრაცია, გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება სააღრიცხვო-საბიუჯეტო ინფორმაციის დამუშავებაში წარმოადგენს ფინანსების მართვის მეცნიერული ორგანიზაციის შემადგენელ ნაწილს. „ყოველი უშუალოდ საზოგადოებრივი, ანუ კოლექტიური შრომა, რომელიც დიდი მასშტაბით წარმოებს, მეტად თუ ნაკლებად მმართველობას საჭიროებს; ეს უკანასკნელი ამყარებს ინდივიდუალურ მოქმედებათა ჰარმონიას და ასრულებს საერთო ფუნქციებს, რომლებიც მთელი საწარმოო სხეულის მოძრაობიდან გამომდინ-

ნარეობენ მისი დამოუკიდებელი ორგანოების მოძრაობისაგან განსხვავებით¹.

რაც უფრო დიდი მასშტაბით არის განზოგადებული წარმოება, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება აღრიცხვისა და კონტროლის სრულყოფის საკითხი. თანამედროვე წარმოებამ, შრომის რთული დანაწილებით სახალხო მეურნეობის დარგებს, საწარმოებსა და საწარმოთა (გაერთიანებათა) შიგნით რგოლებს შორის გაართულა მეურნეობრივ-ფინანსური საქმიანობის დაგეგმვა, აღრიცხვა და კონტროლი. ამიტომ ასეთი ინფორმაციის მანქანური დამუშავება გადაიქცა ობიექტურ აუცილებლობად.

სააღრიცხვო-ფინანსური ინფორმაციების მექანიზებული დამუშავების სრულყოფისა და ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლების სადღეისო გადაუდებელი ამოცანაა აღრიცხვა-ანგარიშგების მაქსიმალური კონცენტრაციის ბაზაზე კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვა. გაერთიანებული აღრიცხვის მექანიზაცია-ავტომატიზაციამ უნდა მოიცვას ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების მთელი პროცესი. საკუთრივ ბიუჯეტის შესრულების ბუხჰალტრული აღრიცხვის ცენტრალიზაცია და მექანიზაცია უნდა უზრუნველყოფდეს მთელი სააღრიცხვო პროცესის (დაწყებული პირველადი ინფორმაციით და დამთავრებული ბუხჰალტრული ბალანსით და ყველა საანგარიშო დანართით) კომპლექსურ მექანიზაციას და ნაწილობრივ ავტომატიზაციას.

თანამედროვე პირობებში ფინანსების მართვის სრულყოფა, პერსპექტიული საფინანსო დაგეგმვის ახლებური ორგანიზაცია მიჩნეულია პირველი რიგის აქტუალურ პრობლემად, რამდენადაც იგი ქვეყნის ეკონომიკის გარდაქმნის მთავარ ღონისძიებას წარმოადგენს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეთორმეტე მოწვევის მეშვიდე სესიის მიერ საფინანსო საკრედიტო სისტემის სრულყოფის ნაწილში გათვალისწინებული ღონისძიებები მთავარ ამოცანად ითვალისწინებს:

სახელმწიფო ბიუჯეტის გარდაქმნა-განმტკიცებას, პერსპექტიული საფინანსო დაგეგმვის სრულყოფას ერთიანი ნორმატივების საფუძველზე; სახალხო მეურნეობის დარგთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე კომპლექსური ანალიზის გაფართოებას მოკავშირე რესპუბლიკებისა და მთლიანად სსრ კავშირის დონეზე; სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მეცნიერულად დასაბუთებულ პროგნოზირებასთან ერთად ფუნდამენტური კვლევა-ძიების გაღრმავებას ფინანსებისადმი ახლებური მიდგომის მიზნით. ამ სფეროში ფუნდამენტურმა კვლევა-ძიებამ უნდა უზრუნველყოს ფინანსების გაძლიერება ეკონომიკური

¹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 420.

და სოციალური გეგმების შეწონასწორებაზე, ეკონომიკაში დადებითი სტრუქტურული ძვრების განხორციელებაზე, რესურსების მობილიზაცია და განაწილებაზე, სახელმწიფო ბიუჯეტის პერსპექტიულ დაგეგმვასა და შემოსავლების პერსპექტიული გეგმების შედგენაზე.

ბრუნვის გადასახადის გამოთვლის ამჟამად არსებული მეთოდიკა მისი პერსპექტიული დაგეგმვისათვის მიუღებელია იმის გამო, რომ უამრავ საქონელზე მოთხოვნათა მკვეთრი ცვალებადობა, გაუთვალისწინებელი ფაქტორები და სხვა მრავალი მიზეზი ხელს უშლის ბიუჯეტის შემოსავლის ამ უდიდესი წყაროს გაანგარიშებას პერსპექტივაში. სახელმწიფოს საფინანსო გეგმის — სახელმწიფო ბიუჯეტის ხანგრძლივი პერსპექტიული დაგეგმვის დროს შეუძლებელია ყველა მარჯვენა გათვალისწინება, რომელიც მის საშემოსავლო ნაწილებზე მოქმედებს, თუ არ შედგა ცალკეული გადასახადის პერსპექტიული საფინანსო გეგმა ბრუნვის გადასახადის, მოგებიდან გადასახდელებისა თუ ბიუჯეტის სხვა შემოსავლების პროგნოზირების საფუძველზე. ამასთან ერთად მიჩნეულია, რომ გადასახადების შემდგომი მოწესრიგების პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს ბრუნვის გადასახადიდან და მოგების გადასახდელებიდან ბიუჯეტში შემოსავლების გათვლის პროგრესული ნორმატივების (მეთოდიკის) შექმნა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში გაფართოვდა ულექტრონული გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში. ამასთან დაკავშირებით გაიზარდა ეკონომიკური პროგნოზირების როლი და მნიშვნელობა, უფრო რეალური გახდა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ყველაზე დიდი წყაროს — ბრუნვის გადასახადის პერსპექტიული დაგეგმვის საკითხის გადაწყვეტა. სკკპ XXVII ყრილობაზე ამა. მ. ს. გორბაჩოვმა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესახებ აღნიშნა: „როგორც ჩანს, მომწიფდა საკითხი, რომ სრულყოფილ ბიუჯეტში ბრუნვის გადასახადის, მოგების გადასახდელებისა და სხვა შემოსულობათა გადახდევინების პრაქტიკა, მათი ოდენობა და გადახდის წესი უფრო აქტიურად უნდა ახდენდეს შემოქმედებას წარმოების დანახარჯების შემცირებაზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და რეალიზაციის დაჩქარებაზე“.

ამ მითითებების შესრულება, ისე როგორც ფინანსების მართვის სრულყოფისათვის წარმოებული ყოველგვარი მეცნიერულ კვლევადიების უდიდესი ნაწილი, ისეთ ფინანსურ გამოანგარიშებათა ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით უნდა ტარდებოდეს, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკური საშუალებებით.

ფინანსების მართვის ავტომატიზებული სისტემა წარმოადგენს სსრკავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების ფინანსურ გაანგარიშებათა კომპლექსურ სისტემას, რომელიც მოქმე-

დებს ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკის ფართო გამოყენების, სათანადო ტექნოლოგიის დანერგვისა და სამუშაოთა რაციონალური ორგანიზაციის საფუძველზე.

აქედან ცხადია, რომ ფინანსურ: ვაანგარიშებათა ავტომატიზებულანასისტემამ — ფგას-მა უნდა უზრუნველყოს ყველა საფინანსო გამოანგარიშება და გადაწყვეტილება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების შედგენისა და შესრულების შესახებ ალგორითმების, მანქანური პროგრამების, საფინანსო სისტემაში მოქმედი საბუთბრუნვის გრაფიკებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით.

აქედან გამომდინარე, ფგას ძირითადი თეორიული და პრაქტიკული ამოცანებია უზრუნველყოს²:

ფინანსების მართვის ხარისხის ამაღლება, გეგმების შესრულებაზე კონტროლის გაძლიერება ფინანსურ ვაანგარიშებათა შრომატევადობის შემცირებისა და სამუშაოთა შესრულების ვადების შემოკლების გზით.

საფინანსო ორგანოების მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლება ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი და ორგტექნიკის გამოყენების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის საფუძველზე, რაც ვაანპირობებს ფინანსების უფრო აქტიურ ზემოქმედებას საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის სისტემატურ ზრდაზე;

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების ეკონომიკურად დასაბუთებული დაგეგმვა და ფინანსური რესურსების ვაანწილება; საფინანსო ორგანოების ზემოქმედების გაძლიერება საფინანსო გეგმებისა და ბიუჯეტისადმი ვალდებულებათა შესრულებაზე ოპერატიული კონტროლის გაძლიერების გზით;

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პროცესში შიგარეზერვების თავისდროული გამოვლენა და მათი მაღალეფექტიანი გამოყენება; რესპუბლიკის ბიუჯეტის უფრო სრული შეთანხმება ეკონომიკური და სოციალური ვანვითარების სახელმწიფო გეგმასთან.

ზემოაღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ სახალხო მეურნეობის სოციალისტური მართვის სრულყოფის პროცესში უაღრესად მტკიცდება კავშირი ბიუჯეტურ-ფინანსურ და სააღრიცხვო-საკონტროლო მუშაობას შორის, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს საფინანსო ორგანოების, სახელმწიფო და მშენებლობის, აგრეთვე სხვა ბანკების საფინან-

² Дембаускас А. П. Финансовая информатика, «Финансы и статистика», М., 1987, с. 10—11.

სო გეგმებზე დამყარებულ ფართო ურთიერთკავშირს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოებთან და ბიუჯეტურ ორგანიზაცია-დაწესებულებებთან.

ასეთი ურთიერთკავშირი წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის მაქსიმალური ცენტრალიზაციის და კომპლექსური მექანიზაციის საფუძველს, რომელიც მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე ფგას შემადგენლობაში ფინანსების მართვის ავტომატიზებული აღრიცხვისა და კონტროლის დამოუკიდებელი ქვესისტემების დაარსების ბაზაზე უნდა განხორციელდეს.

ფინანსების მართვის ავტომატიზებული აღრიცხვისა და კონტროლის დამოუკიდებელი ქვესისტემების მთავარი ამოცანაა სახელმწიფო ბიუჯეტის საკასო და ფაქტიური შესრულების უზრუნველყოფა ბიუჯეტის შესრულებაში მონაწილე ძირითად რგოლებში.

ნებისმიერი დონის ფინანსურ გამოანგარიშებათა ავტომატიზებული სისტემა იქმნება ეტაპობრივად.

პირველ ეტაპზე ყალიბდება მონაცემთა დამუშავების კომპლექსური სისტემა ფგას ფუნქციონალურ დამოუკიდებელ ქვესისტემათა დონეზე, რომელიც ემყარება საფინანსო ორგანოების და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფი ცენტრალიზებული ბუხპალტერიების ფინანსური ბიუჯეტური და სააღრიცხვო-საკონტროლო მუშაობის არსებულ მეთოდებს.

ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების პროცესების შინაარსი და დადგენილი წესები განსაზღვრავენ საფინანსო ორგანოების ფინანსურ გამოანგარიშებათა ავტომატიზებული სისტემისა და კერძოდ მისი ფუნქციონალური ქვესისტემის ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს „მართვის ავტომატიზებული სისტემა — ფინორგანო“.

ადგილობრივი საფინანსო ორგანოების დონის მართვის ავტომატიზებული სისტემა „ფინორგანოს“, რომელსაც აქვს თავისი ობიექტები, მიზნები, ამოცანები, ფუნქციები და განსაზღვრული სტრუქტურა, ისევე როგორც ყველა მრავალფუნქციონალური მართვის ავტომატიზებული სისტემა, უნდა შეიცავდეს დამოუკიდებელ ფუნქციონალურ ქვესისტემებს. ერთ-ერთი ასეთი ქვესისტემათაგანი შეიძლება იყოს ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების მართვის ავტომატიზებული აღრიცხვისა და კონტროლის ქვესისტემა, რომელიც უნდა დამყაროს ინფორმაციის დამუშავების ქვემოთ ნაჩვენებ წესებს.

ინფორმაცია მართვის ყოველგვარი სისტემის აუცილებელი და უცვლელი კომპონენტია. მართვის ობიექტების მოცულობა განსაზღვრავს ინფორმაციის სხვადასხვა სახეობას.

დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის დაყოფას მუდმივ და ცვალებად ინფორმაციად, რომელიც ხორციელდება უშუალოდ ან მარეგულირებელი კოეფიციენტებით. ამისათვის არსებობს ამ კოეფიციენტთა გაანგარიშების სპეციალური მეთოდოლოგია. მუდმივი და ცვალებადი ინფორმაციის შესწავლა იძლევა ისეთ ფართო მასალას, რომლის საფუძველზეც დადებითად წყდება ინფორმაციის მექანიზმული დამუშავების რთული საკითხები.

რამდენადაც მართვის ავტომატიზებული ქვესისტემის ყველა სტრუქტურული ელემენტი მეტნაკლებად დაკავშირებულია ინფორმაციის დამუშავებასთან ან წარმოადგენს მონაცემთა მასივებს, ისინი გვევლინება დამუშავების პროცესის სტრუქტურულ ელემენტებად.

საქუშაო პროცესის დაპროექტებისა და აღწერის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია მათი დაყოფა ოთხ მსხვილ კომპლექსად:

1. მონაცემთა ხელით დამუშავება ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანისათვის ინფორმაციის მომზადების ჩათვლით.

2. ფინანსურ-დირექტიული, განკარგულებითი, საკონტროლო-სააღრიცხვო დოკუმენტაციის სისტემატიზაცია და ავტომატიზებული დამუშავების სისტემაზე გადაცემა.

3. მონაცემთა დამუშავების ავტომატიზებული სისტემა ინფორმაციის მომზადებისა და ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებზე დამუშავების ჩათვლით.

4. მონაცემთა ავტომატიზებული დამუშავებით მანქანური დოკუმენტების (მაშინოგრაფების, ტაბულაგრაფების და სხვ.) გამომუშავება ცალკეულ (მოსამსახურებელ) ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეულებისათვის მართვითი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით.

მართვის ავტომატიზებული სისტემის მჭიდრო კავშირი თავის დაქვემდებარების ორგანიზაციულ სტრუქტურულ ერთეულებთან, ზემდგომი და ქვემდგომი საფინანსო ორგანოების დამახასიათებელი მართვითი ინფორმაციის მიზნობრივი გამოყენების მაღალ დონესა და ოპერატიული კონტროლის რაციონალურ ორგანიზაციას უზრუნველყოფს.

გადაწყვეტილების შერჩევა და მიღება წარმოადგენს ფინანსური საქმიანობის შემადგენელ ნაწილს ხარჯთნუსხებისა და ბიუჯეტების შესრულების სფეროში, რომელიც ხორციელდება განსაკუთრებული ხერხებითა და მეთოდებით. აღრიცხვა და კონტროლი, როგორც მეურნეობრივი საქმიანობის მართვითი ფუნქციები, ემყარებიან გარკვეულ საცნობარო ინფორმაციას, რომლის კრიტერიუმსაც წარმოადგენს ისეთი ოპერატიულ-მეურნეობრივი ოპერაციები, დირექტიული და ნორმატიული მასალა და მითითებანი, რომლებიც განსაზღვრავენ სწორი გადაწყვეტილების მიღებას. შემდგომი სწორი გადაწყვეტილე-

ბის მიღება შესაძლებელია მხოლოდ ფაქტიური დოკუმენტების შემოწმებისა და აღრე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მაჩვენებლების აღრიცხვისა და ანალიზის საფუძველზე, რაც ბიუჯეტისა და ხარჯთუნუსების შესრულების აღრიცხვის კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პირობებში გამომთვლელი მანქანებით შეიძლება განხორციელდეს.

ბუხჰალტრული აღრიცხვის პრაქტიკაში არსებული ნაკლოვანებანი გაპირობებულია აღრიცხვის თეორიის დაბალი დონითაც. თანამედროვე ანგარიშწარმოების თეორიის ჩამორჩენა პრაქტიკისაგან აიხსნება იმით, რომ ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში გამოთვლითი ტექნიკისა და ორგანიზაციის პრობლემებს ჭეროვან ყურადღებას არ აქცევენ. სამინისტროებისა და უწყებების ცენტრალური ბუხჰალტერიები არ ანზოგადებენ და არ ავრცელებენ იმ საწარმოთა გამოცდილებას, სადაც სანიმუშოდ არის დაყენებული აღრიცხვა.

ცენტრალიზებული და მექანიზებული აღრიცხვის მოწყობა დიდად არის დამოკიდებული მათ სწორ ორგანიზაციაზე. საკავშირო ბიუჯეტზე მყოფ ორგანიზაცია-დაწესებულებათა ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის შექმნის პრობლემის წარმატებით გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების ერთიანი ძალებით, მართვის ავტომატიზებული საშუალებების მოწინავე პრაქტიკის საფუძველზე.

ცენტრალიზებული დარგობრივი ბუხჰალტერია აღრიცხვის ორგანიზაციის პრინციპულად ახალი, პროგრესული ფორმაა, რომელიც ქმნის პირობებს იმ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტისათვის, რასაც ბუხჰალტრული აღრიცხვის წინაშე აყენებს სახალხო მეურნეობის განვითარების თანამედროვე დონე. ზოგიერთ დარგობრივ ცენტრალიზებულ ბუხჰალტერიას მინიჭებული აქვს სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დამოუკიდებელი უფლებები. მათ განკარგულებაშია საჭირო ძირითადი და საბრუნავი საშუალებები მანქანური ტექნიკის, შრომის საგნების, ფულადი და სხვა საშუალებების სახით. მათ მიერ მომსახურებულ საწარმოებში დამოუკიდებელი ბუხჰალტერიები გაუქმებულია და აღრიცხვა მაქსიმალურად ცენტრალიზებულია.

აღრიცხვის პროცესის მეცნიერული ორგანიზაცია უწყვეტად დაკავშირებულია ორ მნიშვნელოვან მომენტთან, შრომის დანაწილებასა და აღრიცხვის კონცენტრაციასთან. ასეთივე უნდა იყოს მიდგომა რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულება-ორგანიზაციების ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების სააღრიცხვო პროცესისადმი.

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების საქმიანობისა და მოწინავე პრაქტიკის შესწავლა და ანალიზი გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფ საბიუჯეტო

დაწესებულება-ორგანიზაციების აღრიცხვის ცენტრალიზაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც ერთ ადმინისტრაციულ რაიონში გადაგილებულ სხვადასხვა სპეციალიზაციის დაწესებულებათა აღრიცხვა-ანგარიშგების გაერთიანებით, ასევე ერთნაირი სპეციალიზაციის დაწესებულებათა აღრიცხვისა და ანგარიშგების ცენტრალიზაციით.

სხვადასხვა სპეციალიზაციის დაწესებულებათა აღრიცხვის ცენტრალიზაციის პირობებში ცენტრალიზებულ ბუხჰალტერიასა და დაწესებულებებს შორის სატრანსპორტო მიმოსვლის რადიუსი შედარებით მცირეა. ამშია ასეთი ფორმის ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების ერთ-ერთი უპირატესობა, მაგრამ ადგილი აქვს სხვადასხვა სპეციალიზაციის და დაწესებულებათა პირველადი აღრიცხვის განსხვავებულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ სიძნელეებს, თუმცა ეს სიძნელეები ადვილი დასაძლევია მათი უნიფიკაციის საშუალებით.

ერთნაირი სპეციალიზაციის დაწესებულებათა ცენტრალიზაცია საერთოდ გამორიცხავს ასეთ სიძნელეებს, მაგრამ აღიძებს ცბ-ის მიერ მომსახურებულ დაწესებულებებთან სატრანსპორტო მიმოსვლის რადიუსს; ზრდის საბუთბრუნვასთან დაკავშირებულ სატრანსპორტო ხარჯებს. ამ შემთხვევაშიც, რასაკვირველია, თანამედროვე დისტანციური კავშირების გამოყენება საგრძნობლად შეამცირებს სატრანსპორტო ხარჯებს.

ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის დასაარსებლად ზემდგომმა ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ დებულებები, რომელშიც ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების ტიპური დებულებების შესაბამისად გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი განაყოფები:

პირველ განყოფში „საერთო დებულებები“ უნდა განისაზღვროს ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის მიზანი, ამოცანები და ფუნქციები, მის მიერ მოსამსახურებელი დაწესებულებები და ზემდგომი ორგანიზაცია, რომელსაც დაეკავშირება ცენტრალიზებული ბუხჰალტერია, აგრეთვე აღრიცხვის საქმიანობასთან დაკავშირებული კონკრეტული ფუნქციები, რომლებიც მას ეკისრება.

მეორე განყოფში „ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის სტრუქტურა“ განისაზღვრება ბუხჰალტერიის შემადგენლობა, სტრუქტურა — სექტორი (განყოფილება), საშტატო ერთეულები და რაოდენობა. აქვე უნდა დადგინდეს საკონტროლო ჯგუფების რაოდენობა, მათი ამოცანები და ფუნქციები.

მესამე განყოფში — „ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების მთავარი (უფროსი) ბუხჰალტრების და სააღრიცხვო-საკონტროლო ჯგუფის ხელმძღვანელთა მოვალეობანი და უფლებები“.

მეოთხე განყოფში უნდა აისახოს „ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის ურთიერთდამოკიდებულება დაწესებულებებთან“.

ცბ-ში სექტორისა და მუშაკთა ფუნქციების დადგენისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სააღრიცხვო ჯგუფების უფლება-მოვალეობისა და მუშაკებს შორის ფუნქციების განაწილების საკითხს. ცენტრალიზებული ბუხპალტერიების ტიპური დებულების შესაბამისად, ეს ჯგუფები უნდა იქმნებოდეს ცალკეული დაწესებულებების მომსახურებისათვის. მათ ვეალებათ ადგილზე კონტროლი სამეურნეო ოპერაციებისა და დოკუმენტების გაფორმებაზე, მათ მიერ მომსახურებული საწარმოთა მატერიალური ფასეულობის დაცვაზე და სხვ.

სააღრიცხვო-საკონტროლო ჯგუფების მუშაკთა რაოდენობა დამოკიდებულია დაწესებულებაში შესასრულებელ სააღრიცხვო სამუშაოთა მოცულობასა და მათზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებზე, აგრეთვე აღრიცხვის ცენტრალიზაციის დონესა და ორგანიზაციულ ფორმებზე.

სააღრიცხვო-საკონტროლო ჯგუფები ახორციელებენ წინასწარ და შემდგომ კონტროლს სამეურნეო ოპერაციების შესრულებაზე, მათ დოკუმენტურ გაფორმებაზე; დაწესებულების განყოფილებიდან, ლაბორატორიებიდან, სახელოსნოებიდან და სხვ. დებულებებს პირველადი აღრიცხვის საბუთებს, სინჯავენ, ახარისხებენ, ატარებენ რეგისტრებში და რეესტრების თანხლებით გზავნიან ცენტრალიზებულ ბუხპალტერიაში დასამუშაველად.

ცენტრალიზებული ბუხპალტერია დამუშავეებისა და ანგარიშგების შედგენის შემდეგ ყოველთვიურად, იმავე რეესტრებით, რომლითაც მიღებული იყო, უბრუნებს ამ საბუთებს მომსახურებულ დაწესებულებებში მოქმედ სააღრიცხვო-საკონტროლო ჯგუფებს შესანახად. დამუშავებულ სააღრიცხვო რეგისტრებთან ერთად სააღრიცხვო რეგისტრები წლის განმავლობაში იმყოფება ცენტრალიზებული ბუხპალტერიის სათანადო სექტორში, ხოლო წლიური ანგარიშგების შედგენის შემდეგ გადაეცემა დაწესებულებებში მოქმედ საკონტროლო-სააღრიცხვო ჯგუფებს შესანახად.

ცენტრალიზებული ბუხპალტერიების მუშაობის რაციონალური ორგანიზაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს თითოეული შემსრულებლის კონკრეტულ უფლება-მოვალეობათა განსაზღვრა. მთავარი ბუხპალტრის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება მოქმედი დებულებით და ამტკიცებს სამინისტრო. ცენტრალიზებული ბუხპალტერიის ხელმძღვანელი (მთავარი ბუხპალტერი) უზრუნველყოფს საბუთბრუნვის ვადების დაცვას, მის ზუსტ დამუშავებას, ბუხპალტრული აღრიცხვის რაციონალურ ორგანიზაციას, უტყუარობას და ა. შ.

აღრიცხვის ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის პირობებში პირველადი დოკუმენტაციის უნიფიცირებული ფორმები დიდ გავლენას ახდენენ ბუხჰალტრული აღრიცხვის სწორ ორგანიზაციაზე: სტანდარტული, უნიფიცირებული დოკუმენტაცია ოპერატიული აღრიცხვის საშუალებას იძლევა, ამასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაწესებულებათა მეურნეობრივ-ფინანსური საქმიანობის ოპერატიული ანალიზისა და წარმოების პროცესებზე დაკვირვებას.

ოპერაციების დაჯგუფება ანგარიშებში, ანუ სისტემური აღრიცხვა წარმოადგენს დოკუმენტურად დასაბუთებულ ლოგიკურ-არითმეტიკულ მოქმედებასა და მათი შედეგების ასახვას შესაბამის სააღრიცხვო რეგისტრებში საჭირო მონაცემების მისაღებად. სააღრიცხვო პროცესის ორგანიზაცია დიდად არის დამოკიდებული მეურნეობრივი ოპერაციების სწორ სისტემატიზაციაზე. ანგარიშწარმოების ხელით შრომის პირობებში სისტემური აღრიცხვის რეგისტრების ფორმები განსაზღვრავენ ბუხჰალტერიის მუშაკთა შრომის ორგანიზაციას, ხოლო მექანიზებული აღრიცხვის პირობებში სისტემური აღრიცხვის რეგისტრების ფორმებისაგან დამოკიდებულია გამოთვლითი ტექნიკის ურთიერთმოქმედი ბლოკების კომპლუტაციის სქემის შედგენა.

სისტემური აღრიცხვის, ანუ ოპერაციების დაჯგუფების საფუძველს წარმოადგენს სამეურნეო ოპერაციების შინაარსი. თავის მხრივ, სააღრიცხვო ოპერაციების გაფორმების საფუძველს წარმოადგენს დოკუმენტები, ამიტომ კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის ხელმძღვანელი შეისწავლის მომსახურებულ საწარმოს სტრუქტურას, ძირითადი, დამხმარე და სხვა საწარმოების ორგანიზაციას, ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის მუშაკთა ფუნქციებს და კვალიფიკაციას და მოქმედი საბუთების ფორმებიდან შეარჩევს ყველაზე უფრო მისაღებ ვარიანტს.

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის მუშაობის ხანგრძლივმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ ამ სახელმწიფოებრივმა ღონისძიებამ მკვეთრად გააუმჯობესა ბუხჰალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია და ტექნოლოგია, უზრუნველყო პირველადი დოკუმენტაციის უშუალო დამუშავება მანქანური ტექნიკით და განამტკიცა ქვედა რგოლებთან ყოველდღიური კონტაქტი.

ზემდგომი ორგანოების დაახლოებას თავის დაქვემდებარებულ დაწესებულება-ორგანიზაციებთან ხელი შეუწყო აგრეთვე მომსახურებულ საწარმოთა ანგარიშგების შედგენამ აღრიცხვის ერთ ცენტრში და საკონტროლო-სააღრიცხვო ჯგუფების ოპერატიულმა მუშაობამ.

აღრიცხვის კონცენტრაცია წარმოადგენს სახალხო მეურნეობაში აღრიცხვის ორგანიზაციის პროგრესულ ფორმას. იგი უშუალოდ გამომდინარეობს სოციალისტური წარმოების ბუნებიდან, როგორც

მაღალგანვითარებული, მაღალორგანიზებული, სრულყოფილი თანამედროვე მეურნეობის დამახასიათებელი ნიშან-თვისება. იგი პირდაპირ პასუხობს სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის მოთხოვნებს, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივი კოლექტივიზმის ურთიერთობას, ე. ი. კოლექტიურ შრომას, დაფუძნებულს წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებაზე მთელი საზოგადოების მასშტაბით.

აღრიცხვის კონცენტრაცია ფართო ცნებაა და ნიშნავს სააღრიცხვო-ეკონომიკურ სამუშაოთა, უმთავრესად, ბუხჰალტრული აღრიცხვის, ეკონომიკური სამსახურების მუშაკებისა და აღრიცხვის საშუალებათა თავმოყრას, გაერთიანებას ამა თუ იმ ფორმით ერთ ცენტრალურ ორგანიზაციაში რამდენიმე საწარმოს, დაწესებულება-ორგანიზაციის მომსახურებისათვის აღრიცხვა-ანგარიშგებისა და საერთოდ ყოველგვარი სააღრიცხვო-ეკონომიკური და საკონტროლო-ანალიზური ინფორმაციის დამუშავების ნაწილში. თვით ცნება აღრიცხვის კონცენტრაცია შეიძლება გავიგოთ როგორც ცენტრალიზებული აღრიცხვა, მაგრამ ამასთან, აღრიცხვის ცენტრალიზაციასთან მისი გაიგივება დაუშვებელია, რამდენადაც აღრიცხვის ცენტრალიზაცია აღრიცხვის კონცენტრაციის ერთ-ერთი ფორმაა, მისი შემადგენელი ნაწილია.

სახალხო მეურნეობის დარგებში აღრიცხვის კონცენტრაციას, ანუ ცენტრალიზებულ აღრიცხვას აქვს დიდი სახელმწიფოებრივი და სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა. იგი ქმნის აღრიცხვის მაღალ კულტურას, აჩქარებს საშედეგო ინფორმაციის მიღების პროცესს, ამცირებს ოპერატიულ ცნობათა მიმოქცევის პერიოდს და ამრიგად, აქტიურად ზემოქმედებს მეურნეობრივი გეგმების შესრულებისა და ასიგნებული სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომ საწარმოებისა და დაწესებულება-ორგანიზაციების ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების დაარსებისა და აღრიცხვის ცენტრალიზაციის შედეგად მიღებულია მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი. მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოთავისუფლებულია 61251 მუშაკი 44885 ათასი მანეთის ხელფასის ფონდის წლიური ეკონომიით. მათ შორის, ჩვენს რესპუბლიკაში გამოთავისუფლებულია 599 საშტატო ერთეული 375,3 ათასი მანეთის ხელფასის ფონდის ეკონომიით ერთ წელზე გაანგარიშებით³.

საქართველოს სსრ-ში ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფი დაწესებულებების ხარჯთუნუსების შესრულების აღრიცხვის ცენტრალიზაცია 1960 წლიდან დაიწყო. იგი სწრაფად გავრცელდა სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, სოცუზრუნველყოფის სამინისტ-

³ «Бухгалтерский учет», 1980, № 3.

ტროების და სხვა რაიონულ, საქალაქო და სასოფლო დაწესებულებებში.

დადევნილია, რომ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში შემავალ დაწესებულება-ორგანიზაციათა ხარჯთნუსხების შესრულების ცენტრალიზებული აღრიცხვის დონე, სხვებთან შედარებით გაცილებით მაღალია.

სახალხო დეპუტატების სასოფლო და საქალაქო საბჭოებთან ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების დასაარსებლად ჩატარებული ინტენსიური მუშაობის შედეგად რაიონულ და საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოებთან გეგმა 100%-ით შესრულდა.

ცენტრალიზებული აღრიცხვა, რომელიც სცილდება ცალკეულ საწარმოს ფარგლებს და ყალიბდება დამოუკიდებელ ერთეულად, კონტროლის გაძლიერების უტყუარი დასაყრდენია.

ცენტრალიზებული აღრიცხვა იძლევა არა მარტო ხარისხობრივო მაჩვენებლების გაუმჯობესების საშუალებას, არამედ პირდაპირი ეკონომიკური ეფექტის მიღების წყაროცაა: მცირდება აღრიცხვის მუშაკთა რიცხვი, საგრძნობლად კლებულობს აღრიცხვის აპარატის შენახვისა და მომსახურების ხარჯები; აღრიცხვის ცენტრალიზაციაში გაერთიანებული ობიექტების რაოდენობის პროპორციულად მცირდება სააღრიცხვო რეგისტრებისა და ბანკებში გახსნილი ანგარიშების რაოდენობა და სხვა. ყოველივე ეს აიაფებს სააღრიცხვო სამუშაოთა ღირებულებას.

აღრიცხვის კონცენტრაციას საფუძვლად ედება სამი ძირითადი პირობა: საერთო ხელმძღვანელობა, ტერიტორიული სიახლოვე და საიმედო კავშირგაბმულობა.

საერთო ხელმძღვანელობა ამ შემთხვევაში ნიშნავს უწყებრივ დაქვემდებარებას. ცენტრალიზებული აღრიცხვის მოწყობისათვის მნიშვნელოვანია წარმოებრივი იერარქიის სტრუქტურა. იერარქიული წყობის წრფივი საფეხურები, ე. ი. ორგანიზაციული დაქვემდებარების პირდაპირი და უშუალო ზემდგომითი კავშირები უფრო მოხერხებულია აღრიცხვის კონცენტრაციის გასატარებლად, ვიდრე სხვადასხვა უწყებრივი დაქვემდებარების ობიექტების ცენტრალიზაცია.

ტერიტორიული სიახლოვე განმსაზღვრელი ფაქტორია აღრიცხვის კონცენტრაციაში. ცენტრალიზებული აღრიცხვა ისე უნდა მოეწყოს, რომ მოსამსახურებელი ობიექტები ტერიტორიულად მოხერხებულად იყვნენ დაკავშირებული ცენტრთან. თუ ეს შესაძლებელია, ფაქტიურად, ეს უკანასკნელი ტერიტორიული ცენტრიც უნდა იყოს.

ამასთან, ტერიტორიული ცენტრი მაინც არ არის გადამწყვეტი. აღრიცხვის ცენტრალიზაცია დასაშვებია თუნდაც მნიშვნელოვნად დაშორებული ობიექტებისა, თუ მათ აღრიცხვის ცენტრთან აკავში-

რებს საიმედო და უტყუარი სატელეფონო (სატელეტიპო და სხვა დისტანციური გადაცემათა) კავშირი, საზოგადოებრივი ან სპეციალიზებული ტრანსპორტი, რომელიც უზრუნველყოფს პირველადი და საშუალო ინფორმაციის შეუფერხებელ მიმოქცევას. ბიუჯეტზე მყოფი მსხვილი დაწესებულება-ორგანიზაციების ცენტრალიზებულ ბუხ-ჰალტერიას ემსახურება მაღალი წარმადობის გამოთვლითი მანქანებით აღჭურვილი დანადგარი ან გამოთვლითი ცენტრი, რომლებსაც დასამუშავებელი სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის ისეთი რაოდენობა სჭირდება, რაც უზრუნველყოფს საანგარიშო პერფორაციული და ელექტრონული გამოთვლელი მანქანების სრულად დატვირთვას. დასამუშავებელი, ანუ პირველადი ინფორმაციის ასეთი სიუხვე მხოლოდ აღრიცხვის მაქსიმალური ცენტრალიზაციის პირობებში იქმნება, მაგრამ, თავის მხრივ, მოქმედ ცენტრალიზებულ ბუხ-ჰალტერიაში სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების ხარისხის გაუმჯობესება და მისი ეფექტურობის ამაღლება დამოკიდებულია აღრიცხვის მექანიზაციის დონეზე, აღრიცხვის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების შემოღებაზე, უფრო მეტად კი გამოთვლელი მანქანებისა და გამოთვლითი დანადგარების რაციონალურ გამოყენებაზე.

2. ხარჯთნუსხების უნარშეღების აღრიცხვის მექანიზაციის განვითარების დამოკიდებულება ანგარიშსწარმოების ფორმებზე

ბუხჰალტრული აღრიცხვის განვითარება კომპლექსური მექანიზაციის გატარების გზით ბევრად არის დამოკიდებული ამჟამად მოქმედი ანგარიშსწარმოების (მემორიალ-ორდერული, ეურნალ-ორდერული, პერფობარათული) ფორმების სრულყოფაზე, რამდენადაც ყველა მათგანს გააჩნია განმასხვავებელი ნიშნები, აღრიცხვის თავისებური რეგისტრები, ქრონოლოგიური და სისტემური აღრიცხვის თავისებურების წესები, რომლებიც განსაზღვრავენ აღრიცხვის მექანიზაციის ტექნოლოგიის პრინციპებს. მაგალითად, მემორიალურ-ორდერული ფორმით ანგარიშსწარმოების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ არც რეგისტრების აგებულებით და არც აღრიცხვის წარმოების წესებით იგი არ შეესაბამება აღრიცხვის მექანიზაციის ტექნოლოგიურ მოთხოვნებს. ამ ფორმის სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის ყველა რეგისტრი განკუთვნილია ხელით შრომისათვის, ამიტომ ამ ფორმის შეცვლა ანგარიშსწარმოების უფრო პროგრესული ფორმით ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს.

ანგარიშსწარმოების ეურნალ-ორდერული ფორმა, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკის ბიუჯეტებზე მყოფი დაწესებულება-ორგანიზაცი-

ებისათვის არის შემოღებული, დიდად განსხვავდება მემორიალ-ორდერული ფორმისაგან. იგი ბევრად ამცირებს ხელით შესასრულებელ სააღრიცხვო სამუშაოთა მოცულობას, აუმჯობესებს მის ორგანიზაციას. ანგარიშწარმოების ჟურნალ-ორდერული ფორმა ემყარება პირველადი საბუთების მონაცემთა დაგროვების პრინციპს სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის კრილში.

სააღრიცხვო მონაცემთა დაგროვება და სისტემატიზაცია წარმოებს რეგისტრებში, სადაც ბრუნვების ქრონოლოგიური და სისტემური ჩაწერა ხორციელდება როგორც ერთიანი სამუშაო პროცესი. ბრუნვების ქრონოლოგიური რეგისტრაციის ჟურნალი არ წარმოებს, მემორიალური ორდერები არ დგება.

მაგროვებელ რეგისტრებში ჩაწერა წარმოებს იმ მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც აუცილებელია საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კონტროლისათვის, აგრეთვე თვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშგების შედგენისათვის.

ზოგიერთ ანგარიშში სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა შეთავსებულია მაგროვებელ რეგისტრებში. ბარათები წარმოებს მხოლოდ მატერიალურ ფასეულობათა აღსაღრიცხვად და აგრეთვე ისეთი ანგარიშსწორებისათვის, რომლის ანალიზური აღრიცხვა ხორციელდება პირად ბარათებში. შენარჩუნებულია ინვენტარული ბარათები ძირითადი საშუალებების (ფონდების), კაპიტალური დაბანდების ობიექტების აღსაღრიცხვად და ბარათები ან უწყისები დანახარჯების მუხლების მიხედვით აღსაღრიცხვად.

ბრუნვათა უწყისები დგება მხოლოდ იმ ანგარიშებისათვის, რომელთა ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ბარათებში; შენარჩუნებულია ხარისხობრივ-ნაშთობრივი უწყისი მასალების აღსაღრიცხვად და ხარისხობრივი (ნაშთობრივი ან ბრუნვათა) უწყისები მზა პროდუქციის აღსაღრიცხვად.

აღრიცხვის მონაცემთა დაგროვებისა და სისტემატიზაციისათვის გათვალისწინებულია რეგისტრების ორი სახე: ჟურნალ-ორდერები და დამხმარე უწყისები.

ძირითადად მაგროვებელ რეგისტრებად ითვლება ჟურნალ-ორდერები. დამხმარე უწყისები გამოიყენება აღრიცხვის იმ ნაწილში, რომლის მიხედვით ტექნიკურად რთულია ჟურნალში საჭირო ანალიზური მაჩვენებლების მიღება. ასეთ შემთხვევაში პირველადი საბუთების მონაცემთა დაგროვება წინასწარ ხორციელდება უწყისებში, საიდანაც ჯამები გადაიტანება ჟურნალ-ორდერებში.

ჟურნალები, რომლებშიც თვის განმავლობაში აისახება ყველა ბუხჩალტრული ოპერაცია, წარმოადგენს თვიურ მემორიალურ ორდერებს, ამიტომ ეწოდება მათ ჟურნალ-ორდერები.

ეურნალების ჯამობრივი მონაცემები თვის ბოლოს გადაიტანება მთავარ დავთარში.

კადრაკისებრი საკონტროლო უწყისი, ანუ კადრაკული ბალანსი არ წარმოებს, არც ბრუნვათა ბალანსი დგება. ნაშთობრივი ბალანსი დგება მთავარი დავთრის მონაცემთა მიხედვით, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში — ცალკეული ეურნალ-ორდერების გამოყენებით.

ეურნალ-ორდერები აგებულია საკრედიტო ნიშნის მიხედვით, მათში პირველადი საბუთების მონაცემთა მიხედვით იწერება საკრედიტო ბრუნვები სადებეტო ანგარიშებთან კორესპონდენციით.

სალაროს, მიმდინარე (ანგარიშსწორების) ანგარიშისა და სხვა უწყისებში ტარდება სადებეტო ბრუნვებიც ოპერაციების დუბლირების თავიდან აცილების მიზნით.

ეურნალ-ორდერების საკრედიტო ნიშნით აგების პრინციპთან დაკავშირებით, თითოეული სინთეზური ანგარიშის საკრედიტო ბრუნვები (სადებეტო ანგარიშთან კორესპონდენციით) მთლიანად აისახება ერთ რომელიმე ეურნალ-ორდერში.

ანგარიშების სადებეტო ბრუნვები, რომელთა სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა წარმოებს ერთიან რეგისტრებში, აისახება აგრეთვე იმ ეურნალ-ორდერებში, რომლებშიც ამ ანგარიშების საკრედიტო ბრუნვების რეგისტრაცია ხდება.

ეურნალ-ორდერები, რომლებშიც საკრედიტო ბრუნვების რეგისტრაციასთან ერთად ანალიზური აღრიცხვაც წარმოებს, შეიცავს ორ დამოუკიდებელ განაყოფს: ერთს — საკრედიტო ბრუნვების ჩასაწერად, მეორეს — სადებეტო ბრუნვებისა და ანალიზური აღრიცხვის მაჩვენებლების ასასახავად.

ეურნალ-ორდერები სპეციალიზებულია ეკონომიკურად ერთგვაროვანი აღრიცხვის ურთიერთდაკავშირებული ოპერაციების მიხედვით, ამიტომ ზოგიერთი მათგანი განკუთვნილია რამდენიმე სინთეზური ანგარიშის ბრუნვების ასასახავად. ასეთ ეურნალ-ორდერში თითოეული ანგარიშისათვის განკუთვნილია ცალკე განაყოფი ან სვეტი. პირველადი საბუთების მონაცემთა სწორი სისტემატიზაციის მიზნით ჟველა ეურნალ-ორდერში გათვალისწინებულია ტიპური კორესპონდენცია ანგარიშთა კრედიტის მიხედვით და საჭირო მაჩვენებლებით, თვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშების შესადგენად. ეურნალ-ორდერებში, რომლებიც განკუთვნილია როგორც სინთეზური, ასევე ანალიზური აღრიცხვისათვის, მოცემულია აგრეთვე ანალიზური აღრიცხვის მუხლების ნომენკლატურა.

ანგარიშწარმოების ეურნალ-ორდერული ფორმის მნიშვნელოვანი თავისებურებაა პირველადი საბუთების მონაცემთა თანდათანობითი დაგროვების პრინციპი.

მაგროვებელი უწყისები უკეთესად შეესაბამება საანგარიშო მანქანების საექსპლოატაციო თვისებებს. ჟურნალ-ორდერული ფორმით ანგარიშწარმოების პირობებში ჩანაწერების ხელით წარმოებისათვის გათვალისწინებული რეგისტრები უფრო მეტად ეწყობა საანგარიშო-კლავიშიან, ბუხპალტრულ და ფაქტურულ მანქანებს. ბუხპალტრული და ფაქტურული მანქანების გამოყენებისას შესაძლებელი ხდება მონაცემთა ჩაწერა და ჯამების გამოთვლა აღრიცხვის რეგისტრებში როგორც პორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურად.

მიუხედავად ამისა, საანგარიშო-კლავიშიანი, ბუხპალტრული და ფაქტურული და სხვა მსგავსი მანქანების საექსპლოატაციო თვისებები და მწარმოებლურობა სააღრიცხვო სამუშაოთა სრული მექანიზაციის პირობებში მოითხოვს ანგარიშწარმოების ჟურნალ-ორდერული ფორმის შეცვლას უფრო პროგრესულით, მაგრამ ეს მომავლის საქმეა, ამჟამად კი საჭიროა ზოგიერთი ცვლილების შეტანა რეგისტრებში.

ჟურნალ-ორდერები და მაგროვებელი უწყისები ზოგიერთ შემთხვევაში ფიქსირებულ ოპერაციათა სიმრავლის გამო რვეულების სახით გვევლინება. საანგარიშო-კლავიშიებიანი მანქანების სრული დატვირთვის მიზნით, აუცილებელია აღრიცხვის ასეთი რეგისტრების დაშლა ცალკე ფურცლებად. მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფი ცენტრალიზებული ბუხპალტერიის ანგარიშწარმოებისათვის, სადაც აღრიცხვის ჟურნალ-ორდერული ფორმა უნდა დაინერგოს, აღრიცხვის რეგისტრების აგების დროს საჭიროა გაითვალისწინონ ეს მდგომარეობა. ცალკე ფურცლებზე აგებული სპეციალიზებული რეგისტრები უზრუნველყოფს ყველა უბნის აღრიცხვის რეგისტრების ურთიერთდაკავშირებას, ანგარიშწარმოების სისტემის მთლიანობას, „ასკოტას“ კლასის ბუხპალტრული მანქანების მაქსიმალური დატვირთვით გამოყენებას ფინანსების მართვის ავტომატიზებული სისტემის ამოქმედების პროცესში.

ეკონომიკური მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკურ-ფინანსური ინფორმაციის რაციონალურ ორგანიზაციას, რაც ანგარიშწარმოების ფორმის შემდგომ სრულყოფაზეა დამოკიდებული. ფინანსური ინფორმაცია ამჟამად საკმაოდ სრულყოფილი და მრავალმხრივია. რაციონალურად ორგანიზებული ეკონომიკურ-ფინანსური ინფორმაციის სისტემა გულისხმობს ამოსავალი მონაცემების ისეთ მინიმუმს და ანგარიშწარმოების ისეთ ფორმას, რომელიც მაღალ დონეზე უზრუნველყოფს ბიუჯეტის შესრულების ოპერატიულ, სტატისტიკურ და ბუხპალტრულ მონაცემებს. ანგარიშწარმოების ასეთ ფორმად მიჩნეულია ამჟამად ბუხპალტრული აღრიცხვის მექანიზაციის პერფორაციული ფორმა, რომ-

ლის რაციონალური ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის საკითხებს ქვე-
მოთ შევხებით.

ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის პრაქტიკა მოწმობს, რომ იმ
ოპერატიული მონაცემების შედგენები, რომელიც მიღებულია შემო-
სავლების გეგმის შესრულების შესახებ ყოველთვიურად, ყოველკვი-
რეულად და დეკადურად, შედარებით უფრო უტყუარია. ამასთან, მთა-
ვარია მიღებული ინფორმაციის სისრულე, სააღრიცხვო მონაცემების
ოპერატიულობა და სისწილე, რაც ანგარიშწარმოების პერფორმანსულ-
ლი ფორმის შემოღების საშუალებას იძლევა.

ბიუჯეტის შესრულების ოპერატიული აღრიცხვის ორგანიზაციისას
მნიშვნელოვანია პირველადი სააღრიცხვო ინფორმაციის მიღება-და-
მუშავების ვადების განსაზღვრა, ანუ ინფორმაციათა გავლის გრაფიკის
დადგენა. ოპერატიული ინფორმაცია უნდა შემოიფარგლოს ბიუჯეტის
შესრულების მონაცემებს იმ მინიმალური ოდენობით, რაც ნამდვი-
ლად საჭიროა ოპერატიული ხელმძღვანელობისა და ბიუჯეტური
ხარჯთუნსხების შესრულების აღრიცხვისათვის.

პირველადი ინფორმაციის წყაროს, როგორც წესი, უნდა წარმო-
ადგენდეს პირველადი დოკუმენტები, რომლებსაც იყენებენ ბიუჯე-
ტური ხარჯთუნსხების შესრულების აღრიცხვაში ოპერაციების სათა-
ნადო რეგისტრებში ასასახავად.

ტელეფონოგრაფების, დისტანციური ცნობების და ინფორმაციის
სხვა მეორადი წყაროების გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვე-
ვაში, როცა ბიუჯეტის შესრულებაში მონაწილე ორგანოები ტერიტო-
რიულად ერთმეორესთან დაცილებული არიან და მათ შორის ინფორ-
მაციათა გაცვლა-გამოცვლა (კავშირი და უკუკავშირი) ხორციელდება
ტელეფონის, ტელეგრაფის ანდა ტელეგრაფის საშუალებებით.

ამასთან, დისტანციურ ინფორმაციაში ყველაზე მისაღებია ის ცნო-
ბები, რომლებიც საბუთებზეა დამყარებული. მაგალითად, სხვადასხვა-
გვარი გაანგარიშებითი ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. რო-
გორც ზემოთ ითქვა, ბიუჯეტური ხარჯთუნსხების შესრულების აღრი-
ცხვისა და კონტროლის გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარების
მნიშვნელოვან რეზერვს აღრიცხვის მაქსიმალური კონცენტრაცია და
კომპლექსური მექანიზაცია წარმოადგენს. აღრიცხვის კომპლექსური
მექანიზაციის გასაფრთხილებლად აუცილებელია შემუშავდეს და თან-
მიმდევრულად განხორციელდეს აღრიცხვის კომპლექსური მექანიზა-
ციის დონის ამაღლების, პერფორაციული გამოთვლითი ტექნიკით
მსხვილბიუჯეტურ დაწესებულებათა, საწარმოებისა და ორგანიზაციე-
ბის აღჭურვის, ეკონომიკური ინფორმაციის ცენტრალიზებული სის-
ტემისა და ბოლოს, მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნის რეა-
ლური გეგმა. ამასთან, ანგარიშწარმოების განვითარების მოცემულ

ეტაპზე მაქსიმალურად უნდა გაიზარდოს კრედიტების განმკარგულებელთა პერსონალური პასუხისმგებლობა მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულება-ორგანიზაციებში საფინანსო-საკრედიტო დისციპლინის განმტკიცებისა და სააღრიცხვო მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფისათვის კომპლექსური მექანიზაციის გასატარებლად ანგარიშწარმოების პერფორმანსული ფორმის დანერგვის ბაზაზე.

აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფ მსხვილ ორგანიზაცია-დაწესებულებებშიც კი ნელა იწერება ბუხპალტრული აღრიცხვის პერფორმანსული ფორმა. ამ ფორმის უპირატესობა ბუხპალტრული აღრიცხვის სხვა მოქმედ ფორმებთან შედარებით ის არის, რომ იგი ემყარება აღრიცხვის მექანიზაციის თანამედროვე საშუალებებს, უმთავრესად პერფორაციული გამომთვლელი მანქანების დანადგარებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ბუხპალტრული ანგარიშების მიხედვით სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის კომპლექსურ მექანიზაციას, ოპერაციების დუბლირებული ჩაწერის შემსუბუქებას და სხვ.

თანამედროვე პერფორაციული გამომთვლელი მანქანების გამოყენება აღრიცხვის მექანიზაციისათვის გაცილებით ეფექტურია ბუხპალტრული აღრიცხვის მაქსიმალური ცენტრალიზაციის დროს. კერძოდ, ცენტრალიზებულ ბუხპალტერიაში, რაც დამახასიათებელია ბიუჯეტებზე მყოფი დაწესებულება-ორგანიზაციებისათვის.

თანამედროვე ელექტრონული და პერფორაციული გამომთვლელი მანქანებით სააღრიცხვო სამუშაოთა ცენტრალიზაციამ და მექანიზაციამ მოითხოვა სააღრიცხვო პროცესის მთლიანად შეცვლა. ამ პროცესს აღარ შეესაბამება აღრე მოქმედი აღრიცხვის რეგისტრები. მათი გამოყენების შედეგებს ანალიზით დადგენილია, რომ ანგარიშწარმოების ერთიანი ეურნალ-მთავრული და ეურნალ-ორდერული ფორმები ფინანსების მართვის ავტომატიზებული სისტემების განვითარების პირველ საფეხურზევე მოითხოვს აღრიცხვის ცალკეული რეგისტრებისა და ეურნალ-ორდერების გადაკეთებას, ხოლო მეორე საფეხურზე ანგარიშწარმოების აღნიშნული ფორმები უქმდება.

ამჟამად, საქართველოში არსებულ გამოთვლითი ტექნიკის შემადგენლობაში მეორე, მესამე თაობის ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებთან ერთად მრავლადაა შედარებით უბრალო — ნაკლებეფექტური კლავიშიანი საანგარიშო მანქანები: შემაჯამებელი, გამოთვლითი, ფაქტურული და საბუხპალტრო. ამ მანქანების სახელწოდება გვიჩვენებს მათი გამოყენების სფეროს. ბუხპალტრულ აღრიცხვაში საერთოდ და კერძოდ, ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვაში ყველაზე მასობრივი ოპერაციების: მონაცემების შეჯამების, სხვადასხვა ფინანსურ-ეკონომიკური გამოთვლის, საგადასახადო დავალებების, საგასავლო გარეგებისა და ბიუჯეტური დავალებების დასამუშავებლად მექანიზაციის

წესით იყენებენ ზემოთ აღნიშნულ მანქანებს. ამ მანქანების სრული და კვალიფიციური ექსპლოატაცია იძლევა იმის საშუალებას, რომ ორ-სამჯერ დაჩქარდეს ეკონომისტების, ფინანსისტების და სხვა კატეგორიის მუშაკთა შრომის აღრიცხვა (სამეურნეო ოპერაციების დამუშავება). მაგრამ კლავიშოანი საანგარიშო-გამომთვლელი მანქანების გამოყენებას, მთელი მათი ღირსების მიუხედავად, არსებითი ნაკლიც აქვს. ამ მხრივ მთავარია ის, რომ მათი საშუალებით შეუძლებელია ისეთი შრომატევადი ოპერაციების მექანიზაცია, როგორცაა მაჩვენებლების დაჯგუფება ბუხჰალტრული კონტრების (მუხლების) შესადგენად სინთეზური და ანალიზური ანგარიშების კრილში.

ფინანსურ-ეკონომიკური ინფორმაციის, მათ შორის ბუხჰალტრული აღრიცხვის მონაცემების, მექანიზებულ დამუშავებაში დიდ ეფექტს იძლევა თანამედროვე სწრაფმოქმედი ელექტრონულ-ციფრებიანი და ანბანურ-ციფრებიანი გამოთვლელი მანქანები. ამჟამად, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების მასობრივი გამოყენება საბიუჯეტო აღრიცხვაში შეუძლებელია ისე, თუ ძირეულად არ გარდაიქმნა მონაცემების გაანგარიშებისა და რეგისტრაციის მეთოდები და უზრუნველყოფილი არ იქნა ინფორმაციის ნაკადების ავტომატური მიწოდება ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებში. შექმნილ რეალურ პირობებში ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის სრულყოფა კომპლექსური მექანიზაციის გატარებით შეიძლება მიღწეულ იქნეს უკვე მოქმედ კლავიშოან საანგარიშო გამოთვლელ მანქანებთან ერთად მესამე თაობის ელექტრონული და პერფორაციული გამოთვლელი მანქანების ეფექტიანი გამოყენებით. ასეთი მანქანები როდესაც თავმოყრილია გამოთვლით დანადგარში, გამოთვლით ცენტრებში ან მექანიზებული აღრიცხვის ფაბრიკასა თუ სხვა სახეობის მანქანათა დანადგარებში, იძლევა იმის საშუალებას, რომ მიღწეულ იქნეს არა მარტო ბუხჰალტრული, არამედ გეგმიური, სტატისტიკური, ოპერატიული აღრიცხვისა და ფინანსურ გაანგარიშებათა გამოთვლითი სამუშაოების კომპლექსური მექანიზაცია და ნაწილობრივი ავტომატიზაცია, ხოლო მართვის ავტომატიზებული სისტემის რაციონალური ორგანიზაციის პირობებში სრული ავტომატიზაცია.

ცენტრალიზებული აღრიცხვის შემდგომი სრულყოფა ფინანსების მართვის ავტომატიზებული სისტემის პირობებში დამოკიდებულია მოქმედი ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების, აგრეთვე ცენტრალური ბუხჰალტერიების სტრუქტურული ორგანიზაციისა და მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაზე. ამასთან, ფინანსების ავტომატიზებული მართვის „ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის“ ქვესისტემის ეფექტურობის ამაღლებისათვის, უწინარეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს ბიუჯეტური აღრიცხვის სრულყოფის სამი ძირითადი ფაქ-

ტორი: დოკუმენტაციის შემდგომი სტანდარტიზაცია და უნიფიკაცია, ანგარიშების, სუბანგარიშებისა და ანალიზური ანგარიშების რაციონალური კოდფიკაცია; კომპლექსური მექანიზაცია ბიუჯეტური ორგანოებისა და დაწესებულებების მაქსიმალური ცენტრალიზაციის საფუძველზე.

მართვის ავტომატიზებული სისტემის ტექნიკური საშუალებები, მისი ძირითადი ბაზა — ელექტრონული-გამომთვლელი მანქანები ბიუჯეტური აღრიცხვის შემდგომი განვითარების საშუალებას იძლევიან, მაგრამ ამას აფერხებს ცენტრალიზებული აღრიცხვის ამჟამად არსებული ორგანიზაცია, რომელიც სხვადასხვა უწყებისა და სამინისტროს სისტემების ბიუჯეტურ დაწესებულებათა ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების სახით მთლიანად ვერ უზრუნველყოფენ სოციალ-კულტურულ ღონისძიებებზე ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების აღრიცხვის კონცენტრაციას, ჯერ კიდევ დიდი ადგილი უჭირავს დეცენტრალიზებულ აღრიცხვას მოკავშირე რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულება-ორგანიზაციებში, რომლებიც უამრავ სხვადასხვა სახის სააღრიცხვო ოპერაციების დამუშავებაში ხელით შრომას იყენებენ.

გამოთვლითი ტექნიკის განვითარების დღევანდელი დონე დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების უფრო პროგრესულ ტექნოლოგიასა და ორგანიზაციის მოითხოვს. სახალხო მეურნეობის განვითარების დაჩქარებული ტემპი ობიექტურად აყენებს საკითხს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს არა მარტო თანდათანობითი გადასვლა ეკონომიკურ-ფინანსურ ინფორმაციათა დამუშავების სრულ მექანიზაციაზე, არამედ პირველადი სააღრიცხვო-საგეგმო ინფორმაციის ნაწილობრივ ავტომატიზაციის გატარებასაც მოითხოვს, რაც ელექტრონული მანქანების ფართო და საყოველთაო გამოყენებით უნდა განხორციელდეს.

3. ცენტრალიზებული აღრიცხვის რაციონალური ორგანიზაცია

აღრიცხვის ცენტრალიზაციის პირობებში გაუმჯობესდა აღრიცხვის მუშაკებს შორის უფლება-მოვალეობათა განაწილება, სააღრიცხვო სამუშაოების სპეციალიზაცია, რის შედეგად ამაღლდა მუშაკთა შრომის ნაყოფიერების დონე; გაფართოვდა გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება, გაიზარდა სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების სისწრაფე, აღრიცხვის საკონტროლო ფუნქციები, მისი უტყუარობა და ეფექტურობა.

საბიუჯეტო დაწესებულებათა ცენტრალიზებული ბუხჰალტერია აღრიცხვის კონცენტრაციის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა, რომელიც

ფართოდაა გავრცელებული ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულება-ორგანიზაციებში. ამჟამად სსრ კავშირში მოქმედებს 62800 ცენტრალიზებული ბუხპალტერია, რომლებიც 607700 ბიუჯეტურ დაწესებულება-ორგანიზაციას უწევს მომსახურებას. საქართველოს სსრ-ში ფუნქციონირებს 1494 ცენტრალიზებული ბუხპალტერია, რომელიც მომსახურებას უწევს 23643 საწარმოს, ორგანიზაციასა და საბიუჯეტო დაწესებულებას⁴.

ცენტრალიზებული ბუხპალტერიების ორგანიზაციული ფორმებიდან აღსანიშნავია დარგობრივი, დარგთაშორისი, საუწყებო, ჯგუფური და ტერიტორიული ცენტრალიზებული ბუხპალტერია.

დარგობრივი ცენტრალიზებული ბუხპალტერია ემსახურება ერთგვაროვან საწარმოებს და ორგანიზაციებს. იგი უფრო ხშირად იქმნება სპეციალიზებულ საწარმოო გაერთიანებებში. დარგობრივი ცენტრალიზებული ბუხპალტერია ადგენს ბალანსებსა და ანგარიშგებებს სრულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოებისათვის, ხოლო შიგა სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოებისათვის — ანგარიშგებას მათი მუშაობის შედეგების შესახებ.

დარგობრივი ცენტრალიზებული ბუხპალტერია უზრუნველყოფს მოცემული დარგის გარკვეული ჯგუფის საწარმოების ან ორგანიზაცია-დაწესებულებების ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ აღრიცხვა-ანგარიშგებას.

დარგთაშორისო ცენტრალიზებული ბუხპალტერია იქმნება ერთი და იმავე უწყების სხვადასხვა დარგის საწარმოებისა და ორგანიზაცია-დაწესებულებების მეურნეობრივ-ფინანსური საქმიანობის ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული აღრიცხვის მიზნით.

ყოველ შემთხვევაში აღრიცხვის ცენტრალიზაცია ხორციელდება ეტაპობრივად.

პირველი ეტაპი მოიცავს მცირე მოცულობის სააღრიცხვო საქმიანობის მქონე წვრილი ბუხპალტერიების გაერთიანებას. ამ ეტაპზე ხორციელდება ბუხპალტრული აღრიცხვის ამ ახალი ორგანიზაციული ფორმის ათვისება. შედარებით ჰარბობს სააღრიცხვო სამუშაოთა ხელით შესრულების ხვედრითი წონა, ცენტრალიზაციის შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტი დაბალია.

მეორე ეტაპი ეს არის უმთავრეს სააღრიცხვო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის ორგანიზაციის ეტაპი, ამ შემთხვევაში იცვლება ბუხპალტრული აღრიცხვის არსებული ფორმა (მემორიალურ-ორდერული თუ ეურნალ-ორდერული) და თანდათან გადადის ჯერ პერფორირებულ, შემდეგ კი ე. წ. ანგარიშწარმოების ელექტრონულ

⁴ «Бухгалтерский учет», 1980, № 3.

ფორმაზე. ოპერატიული და ბუხპალტრული აღრიცხვის სამუშაოების ყველა სახეობა სრულდება მექანიზებულად, პერფორაციული და ელექტრონული გამოთვლელი მანქანებით ანგარიშგების შედგენა ჩქარდება, მცირდება ადმინისტრაციულ-მმართველობითი აპარატი და ამასთანავე მალდება აღრიცხვა-ანგარიშგების ხარისხი.

მესამე ეტაპზე მიმდინარეობს ცენტრალიზაციის გარეშე დარჩენილი წვრილი და ჯგუფური ბუხპალტერიების გაერთიანება უწყებების ცენტრალიზებულ ბუხპალტერიებთან. სრული ცენტრალიზაცია ხორციელდება სააღრიცხვო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საფუძველზე.

ცენტრალიზებული ბუხპალტერიის ერთ-ერთ ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს ჯგუფური ცენტრალიზებული ბუხპალტერია, რომელიც მომსახურებას უწევს ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, ასეთი ცენტრალიზებული ბუხპალტერია იქმნება უმთავრესად პატარა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

საუწყებო ცენტრალიზებული ბუხპალტერია შეიძლება ჩამოყალიბდეს ქალაქის, ოლქის, მხარის სამმართველოსთან და ავტონომიური (რესპუბლიკური) რესპუბლიკის სათანადო სამინისტროსთან, რომელშიც გაერთიანდება მოცემული უწყების მოცემულ ტერიტორიაზე მოქმედი ყველა ორგანიზაცია და დაწესებულება. ასეთ ცენტრალიზებულ ბუხპალტერიას მომსახურებას უწევს საუწყებო გამოთვლითი დანადგარი.

ტერიტორიულ ცენტრალიზებულ ბუხპალტერიად ჩაითვლება ბუხპალტერია, რომელიც მომსახურებას უწევს გარკვეულ ადმინისტრაციულ ერთეულს. ე. ი. ქალაქის, რაიონის, ოლქის, მხარის, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა ორგანიზაციას. ტერიტორიულ ცენტრალიზებულ ბუხპალტერიას და საუწყებო ცენტრალიზებულ ბუხპალტერიას შორის ის განსხვავებაა, რომ ეს უკანასკნელი აერთიანებს მხოლოდ მოცემული უწყების დაქვემდებარებულ სამეურნეო ერთეულებს, ხოლო ტერიტორიული ცენტრალიზებული ბუხპალტერიის მომსახურება არ შემოიფარგლება ერთი უწყების ორგანიზაციებით. სათანადო მითითებათა საფუძველზე შეიძლება გაერთიანდეს მოცემულ ტერიტორიაზე განლაგებული სხვა დაწესებულება-ორგანიზაციების აღრიცხვა. ასეთი ცენტრალიზებული ბუხპალტერია ისარგებლებს ტერიტორიული გამოთვლითი დანადგარის მომსახურებით.

ზემოთ განხილული სოფლის ბიუჯეტის და ბიუჯეტურ დაწესებულებათა ხარჯთუნუსების შესრულების აღრიცხვის ცენტრალიზაციის რაციონალური ორგანიზაცია მიუთითებს ადგილობრივი ბიუჯეტებისა

და რაიონული დაწესებულება-ორგანიზაციების ხარჯთესხებებს შესრულების აღრიცხვის ცენტრალიზაციის ერთობლივად განხორციელების შესაძლებლობაზე უშუალოდ საფინანსო ორგანოებში. მით უმეტეს, რომ ბიუჯეტებისა და ხარჯთესხების შესრულებაზე ფინანსური კონტროლის განხორციელებაში საკვანძო პოზიცია უჭირავს თვით საფინანსო განყოფილებას, მისი როლი განსაკუთრებით იზრდება სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის პრობლემათა გადაწყვეტის პირობებში.

ყველა ფინანსური ანგარიშგების და სხვა ბიუჯეტური საბუთების თავმოყრა საფინანსო ორგანოებში იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კონტროლი ფულადი სახსრების მომპირნობით ხარჯვისადმი, სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი, მოწყობილობის, ინვენტარის, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა რაციონალური გამოყენებისადმი. საფინანსო ორგანოების ფუნქციებში შედის ფინანსური კონტროლი ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულება-ორგანიზაციების მეურნეობრივ-ფინანსურ საქმიანობაზე, ბიუჯეტებისა და ხარჯთესხების შესრულების მსვლელობაზე.

დაწესებულება-ორგანიზაციის რაციონალური მართვა მოითხოვს ბიუჯეტური აღრიცხვისა და კონტროლის ისეთი ორგანიზაციის უზრუნველყოფას, რომელიც მათ თავიდან ააცილებს ფულადი სახსრების და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისის წარმოქმნას, გაფლანგვისა და უკანონო ხარჯვის შესაძლებლობას. ბიუჯეტებზე მყოფი დაწესებულება-ორგანიზაციების ხარჯთესხების, აგრეთვე ადგილობრივი და სოფლის ბიუჯეტების შესრულების აღრიცხვის შემდგომ გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს კონტაქტის გაძლიერება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ბუხჰალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიური საბჭოს, სახელმწიფო ბიუჯეტის ცენტრალური ბუხჰალტერიისა და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს შორის, აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებათა ცენტრალურ სამმართველოებს, ადგილობრივ საფინანსო ორგანოებსა და საბიუჯეტო დაწესებულება-ორგანიზაციებს შორის, აგრეთვე მცირე, საშუალო და დიდი მოცულობის ხარჯთესხის მქონე დაწესებულებათა და ორგანიზაციათა აღრიცხვის მაქსიმალური ცენტრალიზაცია და აღრიცხვის კომპლექსური მექანიზაციის გაფართოება.

ჩვენი რესპუბლიკის სოციალურ-კულტურული სფეროს სამინისტროებში არსებული გამოთვლით ტექნიკურ საშუალებათა დონე თავიანთი სისტემის ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების კომპლექსურ მექანიზაციაზე გადაყვანის შესაძლებლობას იძლევა უწყებრივ გმდ და უკეთეს შემთხვევაში გამოთვლითი ცენტრის დაარსების გზით. ამასთან, გამოთვლითი მანქანა-დანადგარების ორგანიზაციულ ფორ-

მებს შორის უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთ გამოთვლით დანადგარს, სადაც ცენტრალიზებულად იქნება გამოყენებული მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები. ამიტომ საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტზე და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ იმ დაწესებულება-ორგანიზაციებისა და ცენტრალიზებული ბუხპალტერიებისათვის, რომლებიც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სისტემის გამოთვლითი დანადგარის მომსახურების ზონაში არ იმყოფებიან, ორგანიზებული უნდა იქნეს საუწყებთაშორისო გამოთვლითი ცენტრი, რომელიც მომსახურებას გაუწევს მისი მოქმედების ზონაში განლაგებულ სხვადასხვა უწყებთა ცენტრალიზებულ ბუხპალტერიებსა და დამოუკიდებელ ბიუჯეტურ დაწესებულება-ორგანიზაციებს ხელშეკრულებათა საწყისებზე.

ბიუჯეტურ დაწესებულებათა ხარჯთნუსხების შესრულების ცენტრალიზებული აღრიცხვისა და მისი მექანიზაციის განვითარებისა და გაფართოების მიზნით, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოთვლითი სამუშაოების მთავარი სამმართველოს ცენტრალურმა საპროექტო-ტექნოლოგიურმა ბიურომ გასულ წლებში დაამუშავა ცენტრალიზებული აღრიცხვის მექანიზაციის პროექტები, რომლებიც ასკოტას ტიპის გამომთვლელ-კლავიშოანი მანქანების, ასევე პერფორაციულ-გამომთვლელი და ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენებას ითვალისწინებენ.

ამჟამად ქალაქებში და რაიონებში არსებული ცენტრალიზებული ბუხპალტერიების შრომატევადი სააღრიცხვო სამუშაოების მექანიზაცია ხორციელდება ამ პროექტების შესაბამისად.

აღნიშნული პროექტების მიხედვით არის ორგანიზებული ხელფასის, კვების პროდუქტების, საბავშვო დაწესებულებებში ბავშვების შენახვისათვის მშობელთა გადასახდელების გამოანგარიშება და სხვა სამუშაოთა მექანიზაცია საანგარიშო მანქანათა სადგურებში სხვადასხვა ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენებით, ხოლო ფულადი საშუალებების საფინანსო-საანგარიშსწორებო ოპერაციებისა და საკასო და ფაქტიური ხარჯების სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა გათვალისწინებულია პერფორაციული მანქანებით.

აღსანიშნავია, რომ ერთგვაროვანი ოპერაციების უნიფიკაციის დაწერგვისა და აღრიცხვის მექანიზაციის გაფართოების მიზნით, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ საფინანსო ორგანოებისათვის დაადგინა გამომთვლელ მანქანებზე შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალი. მის შემადგენლობაში, კერძოდ, შეტანილია ადგილობრივი ბიუჯეტების, მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების, სსრ

კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ნაერთისა და მისი ანალიზური ცხრილების შედგენა; ბიუჯეტის შესრულების ბუხჰალტრული და ოპერატიული აღრიცხვის მონაცემების (შემოსავლების, ფულადი სახსრების, ხარჯებისა და სხვ.) გაანგარიშება და ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშგების შედგენა. ამ სამუშაოთა აღრიცხვის მექანიზაცია ამჟამად ხორციელდება უშუალოდ საფინანსო ორგანოებში.

გარდა ამისა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი მითითებების თანახმად, მსხვილი ბიუჯეტური დაწესებულებები ბიუჯეტის დაგეგმვისა და ხარჯთნუსხების შესრულების საშედეგო-სააღრიცხვო შრომატევად სამუშაოებს უნდა აწარმოებდნენ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ან სხვა ორგანიზაციების გამოთვლითი მანქანების დანადგარების ან გამოთვლითი ცენტრის მეშვეობით.

ყურადღებას იმსახურებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის მექანიზაციის ცენტრალიზაცია რსფსრ ფინანსთა სამინისტროში. აქ სახელმწიფო ბიუჯეტის ცენტრალური ბუხჰალტერიის სამმართველოსთან დააკრებულია საცდელი გამომთვლელი მანქანათა დანადგარი, რომელიც აღჭურვილია „რობოტრონის“ და სხვა ტიპის ელექტრონული გამომთვლელი მანქანებით. ეს გამომთვლელი მანქანათა დანადგარი ასრულებს ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის მთელ რიგ გამოთვლით სამუშაოებს თავისი და თავისი დაქვემდებარების ზოგიერთი საფინანსო ორგანოსათვის ბიუჯეტის გამოთვლით სამუშაოთა ცენტრალიზაციის საწყისებზე. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩატარებული ქმედითი მუშაობის მიუხედავად, ჯერ კიდევ შეუსწავლელია აღრიცხვის კომპლექსური მექანიზაციის ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორები. პირველ რიგში, ეს ეხება პერფორაციული აღრიცხვის ტექნოლოგიას, რომლის რაციონალურ ორგანიზაციაში გადაშვრელი მნიშვნელობა კოდირებასა და პერფორაციის მაკეტების შედგენას ენიჭება ადგილებზე. ეს ყველაზე უფრო რთული სამუშაოა, რომელიც ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის მუშაკებისა და გამოთვლითი მანქანა-დანადგარის დამპროექტებელ-ოპერატორთა შემოქმედებითი მუშაობის საფუძველზე უნდა მოგვარდეს, მათი ურთიერთ-თანამშრომლობით უნდა შეიქმნას საპერფორაციო მაკეტების სისტემა. აღრიცხვის შრომატევადი უბნების აღრიცხვის პერფორაციის მაკეტების შედგენისას რაციონალურად უნდა განლაგდეს გამოყენებული საბუთების საპერფორაციო რეკვიზიტები. უნდა დაწესდეს მაკეტში შესატანი სპეციალური რეკვიზიტების შემადგენლობა და დადგინდეს საპერფორაციო მაკეტების რაოდენობა, ცალკეული მაკეტის დანიშნუ-

ლება და, რაც მთავარია, დაიშიფროს ისინი საბუთების ხასიათისა და სამეურნეო-საფინანსო ოპერაციების შინაარსის საფუძველზე.

საბუთების საპერფორაციო ნიშნები მაკეტებში უნდა განლაგდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) საბუთის მთელი დასტისათვის მუდმივი ნიშნები, როგორცაა პერფორაციის მაკეტის ნომერი, საანგარიშგებო თვე, დასტის ნომერი და სხვ.

ბ) ცვალებადი საცნობარო ნიშნები;

გ) ცვალებადი მაჩვენებელი ნიშნები;

დ) ნატურალური მაჩვენებლები;

ე) მაჩვენებლები ფულად გამოსახულებაში;

ვ) საბუთებში იშვიათად შესახვედრი ნიშნები.

ცენტრალიზებულ ბუხჰალტერიაში საბუთების მომზადებისა და მისი გამოთვლითი მანქანების დანადგარში ჩაბარების წესის მოთხოვნათა შესაბამისად საბუთები ჯგუფდება და იკვრება ერთგვაროვნობის ნიშნით დასტებად. თითოეულ დასტაზე იყესება ე. წ. „თანმხლები ფურცელი“, რომელიც შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს: ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის შიფრი, მაკეტის ნომერი, საანგარიშგებო თვე, დასტის ნომერი, საბუთების ჩამბარებელი დაწესებულების (ორგანიზაციის) ნომერი, საბუთების და საბუთსტრიქონის რაოდენობა. თანმხლები ფურცლის მოსახვევ ყუაზე, რომელსაც „საოპერაციო ფურცელი“ ეწოდება და ჯანკუთვნილია გამოთვლით მანქანა-დანადგარებში საბუთების მოძრაობის და დამუშავების აღრიცხვისა და კონტროლისათვის, იწერება იგივე მაჩვენებლები, რაც „თანმხლებ ფურცელზე“. გარდა ამისა, გამოთვლით მანქანა-დანადგარში საოპერაციო ფურცლებში შეიტანება შემსრულებელთა ტაბელის ნომრები, საბუთების დამუშავებაზე დახარჯული დრო და აღინიშნება დაშვებული შეცდომები.

საბოლოოდ თანმხლებ ფურცელში კონტროლიორი დასტის საკონტროლო ჯამებს აღნიშნავს, რომელიც ერთდროულად საკონტროლო თანხების ჟურნალში იწერება ტაბულაგრამების ჯამობრივი მონაცემების შესამოწმებლად.

ამჟამად მოქმედი ცენტრალიზებული ბუხჰალტერიები უმთავრესად ხელის შრომით ახორციელებენ სააღრიცხვო მონაცემებს ბუხჰალტრული აღრიცხვის ყველა ჭრილში, ადგენენ ბუხჰალტრულ ინგარიშგებებსა და ბალანსებს გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების გარეშე. უზრუნველყოფენ მათ აუცილებელი ბუხჰალტრული, ოპერატიული და სტატისტიკური ინფორმაციებით და ატარებენ ცალკეული დაწესებულებებისა და ორგანიზაციათა, მთელი უწყებრივი სისტემებისა და მათი ცალკეული ჯგუფების მეურნეობრივ-ფინანსური საქმიანობის ანალიზს აგრეთვე ხელის შრომის გამოყენებით.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის საფუძველზე შესაძლებელია შეიქმნას აღრიცხვის დღემდე არსებული ფორმებიდან მკვეთრად განსხვავებული აღრიცხვის ახალი ფორმა. ანგარიშწარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საწყისებზე მოსკოვის, კიევის, ტალინის, ლენინგრადის და სხვა ქალაქების მთელი რიგი მსხვილი საწარმოების გამომთვლელ მანქანადანადგარების მეშვეობით ამჟამად წარმატებით ინერგება ე. წ. „აღრიცხვის მექანიზებული ფორმა“. ამ საწარმოებში ელექტრონულ-გამომთვლელი, პერფორაციული და სხვა ტიპის მანქანებით შედგენილი აღრიცხვის დოკუმენტაცია და რეგისტრები თავიანთი სტრუქტურით, ფორმით და სხვა ნიშნებით პრინციპულად განსხვავდება აღრიცხვის „მემორიალ-ორდერული“, „ეურნალ-მთავრული“ და „ეურნალ-ორდერული“ ფორმების რეგისტრებისაგან; შეცვლილია აგრეთვე აღრიცხვის რეგისტრების დამუშავების ტექნოლოგიის თანმიმდევრობა.

ბუხჰალტრულ აღრიცხვის წარმოება მეორე, მესამე თაობის ელექტრონული გამომთვლელი მანქანებით და ანგარიშწარმოების ფორმის შეცვლა არ გამოირიცხავს ბუხჰალტრული აღრიცხვის ძირითად მეთოდებს: ბალანსს, ანგარიშთა სისტემას, კალკულაციას, ანგარიშგებას, და სხვ. პირიქით, უზრუნველყოფს მათი გამოყენების სისწრაფესა და სისრულეს. მიუხედავად ამისა, ბუხჰალტრულ აღრიცხვაში ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენებას მაინც მნიშვნელოვანი ცვლილება შეაქვს აღრიცხვის მეთოდებში, ფორმებსა და ტექნოლოგიურ პროცესებში, რაც დაკავშირებულია ამ მანქანების დიდ „მახსოვრობასთან“, სწრაფმოქმედებასთან და ავტომატურ მართვასთან.

ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების შემთხვევაში წარმოიშობება ხარჯთნუსხების შესრულების აღრიცხვისა და მანქანური კონტროლის ობიექტური აუცილებლობა, რაც გაპირობებულია ორგანიზაციული „მას“-ის შესაბამის ქვესისტემათა მოქმედების პირობებით. საბიუჯეტო დაწესებულებათა მართვის ავტომატიზებულ ქვესისტემაში აღრიცხვისა და კონტროლის სისტემებს შორის ინფორმაციული კავშირები ხარჯთნუსხების შესრულების ნაწილში განისაზღვრება ამ სისტემათა ობიექტებისა და მიზნების ურთიერთდამოკიდებულებით. მაგალითად, შტატების მართვასა და ხელფასის ფონდის გამოყენებაზე მსხვილ, მრავალგანყოფილებიან უმაღლეს სასწავლებლებში, დავეუშვათ სახელმწიფო უნივერსიტეტში, კონტროლის სისტემის ძირითად ობიექტებს წარმოადგენენ: საშტატო დისციპლინის დაცვა; საშტატო განაკვეთების დაცვა, კონტროლი ადმინისტრაციული და სხვა თანამდებობრივ პირთა შემადგენლობასა და მოძრაობაზე, აგრეთვე დამხმა-

რე სასწავლო პერსონალის განაწილებაზე კათედრებს შორის; კონტროლი მეურნეობრივ-ფინანსური საქმიანობის ისეთ ოპერაციებზე, რომელიც დაკავშირებულია ყველა კატეგორიის პერსონალის ხელფასის ფონდების ხარჯვასთან.

შტატებისა და კონტინგენტების შესრულების ნაწილში აღრიცხვის ძირითადი ობიექტებია ოპერაციები ყველა კატეგორიის მუშა-მოსამსახურეების ძირითადი და დამატებითი ხელფასის გაანგარიშების, დარიცხვის, გაცემის და შრომის ანაზღაურებასა და მუშა-მოსამსახურეებთან ანგარიშსწორებებთან დაკავშირებული სხვა ოპერაციების გაფორმება და ბუხჰალტრული დამუშავება. აგრეთვე ანგარიშგების შედგენა შტატებისა და კონტინგენტების მოძრაობასა და ხელფასების ფონდების ხარჯვაზე.

მექანიზებული დამუშავების ტექნოლოგიის თვალსაზრისით ზემოთ აღნიშნული ოპერაციების წარმოება ყველა დონეზე დაკავშირებულია უდიდესი რაოდენობის ანგარიშგებითი, განკარგულებითი და სხვა ღირებუთულ ინსტრუქციული საბუთების შედგენასთან მანქანების მეშვეობით. როგორც ზემოთ ითქვა, გამოთვლითი ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საფინანსო ორგანოებში და რიგ ბიუჯეტურ დაწესებულებებში ჯერ კიდევ იყენებენ კლავიშიან საანგარიშო-გამომთვლელ მანქანებს და ზოგან ე. წ. ბუხჰალტრულ მანქანებს. საფინანსო და საბიუჯეტო დაწესებულება-ორგანოების ავტომატიზებული აღრიცხვისა და კონტროლის ქვესისტემის დანერგვის დასაწყისში ე. ი. მისი ამოქმედების პირველ ეტაპზე ადგილებზე არსებული ყველა ტიპის გამომთვლელი მანქანების რაციონალური გამოყენება მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც მართვის ავტომატიზებული ქვესისტემის საქმიანობა ემყარება ყველა სახეობის გამოთვლითი ტექნიკის ფართო გამოყენებას ელექტრონული, პერფორაციული, კლავიშიანი და სხვა ტიპის მანქანების ჩათვლით.

აქედან, რასაკვირველია, მართვის ავტომატიზებული სისტემის ძირითად საფუძველს ეგმ წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც წარმატებით მუშავდება სააღრიცხვო და საკონტროლო ინფორმაციები, რომლებიც ეკონომიკური ინფორმაციის შემადგენლობაში მოცულობით ყველაზე უფრო დიდი და დასამუშავებლად რთული ობიექტებია. ეს ინფორმაციები დისკრეტულია, მისი ფიქსირება ხდება სტრიქონობრივად. თავისთავად მათი მათემატიკური დამუშავება დიდ სირთულეებთან არ არის დაკავშირებული, რამდენადაც ადგილი აქვს ერთგვაროვანი ოპერაციების მასობრივად განმეორებას, მაგრამ ამ ინფორმაციის ლოგიკური გარდაქმნა მნიშვნელოვანია და მრავალფეროვანი, მოითხოვს მონაცემთა ამოკრებას, მრავალ დაჯგუფებას, რაც ერთი და იგივე სააღრიცხვო მონაცემების სხვადასხვა ვარიაციებში

გამოყენების შესაძლებლობას იძლევა საბიუჯეტო დაწესებულებების ფინანსური საქმიანობის კონტროლისა და ანალიზის დროს.

ფინანსების მართვის ავტომატიზებული სისტემის „გაერთიანებული ორგანიზაციული ფორმის ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის“ ავტონომიური ქვესისტემის დაარსება დაკავშირებული იქნება მთელ რიგ სიძნელებთან, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა გადაიღახოს ახალი თაობის გამოთვლითი ტექნიკით აღჭურვილობის უკმარისობა, ცალკეული ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების საქმიანობის თავისებურებებით გამოწვეული აღრიცხვის ერთიმეორისაგან განსხვავებული ფორმებისა და მეთოდების გამოყენება და სხვ.

გარდა ამისა, როგორც ითქვა, მთელ რიგ მსხვილ ბიუჯეტურ დაწესებულებებს გააჩნიათ დამხმარე მეურნეობები მრეწველური საწარმოების, სასწავლო სახელოსნოების, სოფლის საცდელი და დამხმარე მეურნეობების და სხვათა სახით, რომელთა აღრიცხვა-ანგარიშგება განსხვავებულ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს ემყარება და ბიუჯეტური დაწესებულების ხარჯთუნუსების შესრულების აღრიცხვა-ანგარიშგებისაგან განსხვავებით პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების აღრიცხვისა და კალკულაციის, ნაწარმის გამოშვებისა და რეალიზაციის ოპერაციებსაც შეიცავს, რაც დაკავშირებულია განსხვავებულ სააღრიცხვო-საანგარიშგებო ინფორმაციის მოცულობის მნიშვნელოვან ზრდასა და მათი დამუშავების განსხვავებულ ტექნოლოგიასთან. ამიტომ აუცილებელია ყველა ისეთი დაწესებულება-ორგანიზაციისათვის, რომლებსაც დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი თავისი დამხმარე მეურნეობები გააჩნიათ, ძირითადი საქმიანობის ხარჯთუნუსების შესრულების ერთიანი ანგარიშგებისა და ბალანსის ფორმები დაწესდეს. საჭიროა აგრეთვე მთელი რიგი მეთოდოლოგიური საკითხების გადაწყვეტა, რომელთა შორის აღსანიშნავია ჰხვადასხვა დანიშნულების ბიუჯეტურ დაწესებულებათა ხარჯთუნუსების შესრულების რაციონალური აღრიცხვის ორგანიზაცია უშუალოდ სააღრიცხვო-საკონტროლო ჯგუფებსა და გაერთიანებულ ცენტრალიზებულ ბუხჰალტერიაში.

გაერთიანებული ცენტრალიზებული ბუხჰალტერიები იმ ბიუჯეტურ დაწესებულება-ორგანიზაციებისათვის, რომლებსაც უწყებრივი ცენტრალიზებული ბუხჰალტერიები ემსახურებიან, უზრუნველყოფენ შიგასისტემის ფინანსური ინფორმაციული ნაკადების შეხამებას, კავშირს სხვადასხვა სახის გეგმიურ-ეკონომიკური ინფორმაციების ნაკადებთან სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის ინტეგრალური დამუშავების საწყისებზე თანამედროვე ელექტრონული გამომთვლელი მანქანებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ტექნიკური საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ პერფორაციული მანქანები, რომ-

ლბსაც შეუძლიათ უზრუნველყონ პირველადი ინფორმაციის საწყისი მონაცემების დამუშავების მექანიზაცია, ნაწილობრივი ან სრული ავტომატიზაცია იმ პირობით, თუ მექანიზებული დამუშავების ადგილას სააღრიცხვო ინფორმაციის გადასაცემად გამოყენებული იქნება აგრეგატები, რომლებსაც შეთავსებული აქვთ ტელეტიპი, პერფორატორი, შემჯავებელი მანქანა და მართვის ბლოკი ან კავშირგაბმულობის ხაზზე მომუშავე სარეგისტრაციო აპარატები, რომლებიც უზრუნველყოფენ საწყისი ინფორმაციის ეგმ-ში მოწოდებას შემდგომი დამუშავებისათვის.

გამოთვლითი და დისტანციური გადაცემების ტექნიკით აღჭურვილ გამოთვლით მანქანათა დანადგარებში დისტანციური სისტემით ინფორმაციათა გადაცემისა და დამუშავების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა პირველადი ინფორმაცია კოდირებულ ფორმით იწერება ინფორმაციის მატარებლებზე, საიდანაც მონაცემები ან უშუალოდ გადაეცემა ელექტრონულ მანქანებს, ან წინასწარ გადაიწერება პერფოლენტებიდან პერფობარათებზე (ან პერფოლენტებიდან და პერფობარათებიდან მაგნიტურ ლენტებზე) იმისდა მიხედვით, თუ როგორია მანქანებზე მონაცემების გადაცემა მოწყობილობის სისტემა. რეგისტრირებული ინფორმაცია გადაეცემა მანქანას სადისტანციო და მაკავშირებელი არხების მეშვეობით. სხვა შემთხვევაში პერფობარათებისა და პერფოლენტების მიწოდება გამოთვლით ცენტრში ტრანსპორტის საშუალებით მოხდება. გც-ში მიღებული ოპერატიული მაჩვენებლები უკუმიმტკევი და მაკავშირებელი არხების მეშვეობით უშუალოდ გადაეცემა გაერთიანებულ ცენტრალიზებულ ბუხპალტერიებს ან მათი მომსახურების დაწესებულება-ორგანიზაციებს.

ერთდროულად სამახსოვრო კონსტრუქციებში მანქანები (მაგნიტურ ლენტებზე ან ფირფიტებზე) აგროვებენ ინფორმაციებს თვიური ანგარიშგების შესამუშავებლად. ამავე წესით ინახება აუცილებელი ნორმატიული საგეგმო მაჩვენებლები.

რაციონალურად ორგანიზებულ გამოთვლით ცენტრში სწრაფმოქმედი ელექტრონული მანქანებით ახორციელებენ ფინანსურ-ეკონომიკურ ამოცანათა მთელი კომპლექტის დამუშავებას.

ფინანსურ-ეკონომიკურ ინფორმაციათა სრული მექანიზაციის პირობებში შესაძლებელი ხდება ყოველდღიურად გამოვლინდეს ნორმებიდან გადახრა ბიუჯეტის შესრულებაში, გადახრის მიზეზები და სხვ.

მექანიზაციის ასეთი პროგრესული ფორმის შემოღება მოითხოვს შემდეგი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას: 1 უნდა დამუშავ-

დეს ფინანსური სახეობისათვის (შემოსავლებისა და ხარჯების ბიუჯეტური კლასიფიკაციის საფუძველზე) ერთიანი კოდური სისტემა, რომელიც მანქანური დაჯგუფების დროს უზრუნველყოფს მაჩვენებლების მიღებას ყველა საჭირო კრილში.

სახალხო მეურნეობაში მოქმედი მართვის ავტომატიზებული
 სისტემები და ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის კვანისტემის
 ორგანიზაციული საჭიროებები

1. ორგანიზაციული მართვის ავტომატიზებული სისტემებისა
 და კვანისტემების ზოგადი ახასიათება

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მოქმედებს სხვადასხვა ტიპის მართვის ავტომატიზებული სისტემა, მათი რიცხვი სწრაფად იზრდება.

მართვის ავტომატიზებული სისტემები შეიცავენ უმთავრესად ერთმეორესთან დაკავშირებულ შემდეგ ქვესისტემებს: წარმოების ტექნიკური მომზადება, ტექნიკურ-ეკონომიკური დაგეგმვა, ოპერატიულ-ფინანსური დაგეგმვა, ბუხჰალტრული აღრიცხვა, კონტროლი და ეკონომიკური ანალიზი და სხვა. აქედან ჩანს, რომ „წარმოების თანამედროვე მართვა, მისი ფართო გაგებით, საზოგადოებრივი კვლავწარმოების რაციონალური კოორდინაციაა, რომელიც მეცნიერების განვითარებისა და ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპზე მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და მათში შემავალ ქვესისტემათა ორგანიზაციისა და სტრუქტურის გაუმჯობესებით უნდა განხორციელდეს“¹.

უკანასკნელ წლებში დაჩქარდა წარმოების მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვის ტემპები.

ქვეყნის მასშტაბით შეიქმნა და წარმატებით ამოქმედდა წარმოების მართვის მთელი რიგი ახალი ავტომატიზებული სისტემები: მაგალითად, მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ და ქარხანა „კრასნი ოქტიაბრის“, ლვოვის ტელევიზიის ქარხნისა და სხვ. ცნობილია, აგრეთვე დარგობრივი მართვის ავტომატიზებული სისტემა „პრიბორი“ და სხვ.

¹ შ. ბურდული. სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავებას ორგანიზაცია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მართვის ავტომატიზებულ სისტემაში. თბ., 1979, გვ. 57.

მართვის ავტომატიზებულ სისტემათა სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ ის შედგება ფუნქციური ქვესისტემებისაგან, რომელიც მას-ის რაიმე ნიშნით გამოყოფილი ნაწილია, მაგრამ თავისთავად წარმოადგენს ლოკალურ დამოუკიდებელ სისტემას.

მაგალითად, ლვოვის ტელევიზიის ქარხნის მართვის ავტომატიზებულ სისტემაში (სისტემა „ლვოვი“) ქვესისტემათა დონეზე მოქმედებენ: მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, პერსპექტიული დაგეგმვისა და განვითარების, ტექნიკურ-ეკონომიკური დაგეგმვის, ძირითადი წარმოების ყველა საამქროს მართვის, დაკომპლექტების, გასაღების, ფინანსური საქმიანობის მართვის, ბუხჰალტრული აღრიცხვისა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზის მექანიზაციის, ხელფასის აღრიცხვისა და კადრების მექანიზაციის სისტემები.

სისტემა „ლვოვი“ აღჭურვილია „მინსკი-32“ ტიპის ორი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანით და სხვა საჭირო მოწყობილობით. პირველადი ინფორმაციის მიღება ძირითადად წარმოებს მანქანებზე და ტექნიკური კონტროლის განყოფილებებში დადგმული აღმრიცხველებს საშუალებით.

სისტემა „ლვოვი“ გამიზნულია დარგობრივი მართვის ავტომატიზებულ სისტემაში ჩასართავად. სისტემა „ლვოვის“ გამოყენების შემთხვევაში „ლვოვის სატელევიზიო ქარხნის კაპიტალური დაბანდებანი გაიზარდა 3-ჯერ, ხოლო ყოველწლიური ეკონომიკური ეფექტი აღწევს 500 ათას მანეთს, წარმოების მართვის ავტომატიზებულ სისტემაზე დანახარჯები ანაზღაურდა ერთ წელიწადში“².

მინსკის სატრაქტორო ქარხნის ავტომატიზებული სისტემა, რომელიც აღჭურვილია „მინსკი-22“ ტიპის სამი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანით (და მასთან საჭირო პერფორაციული, გადამცემი და სხვ. მოწყობილობით) ასრულებს წარმოების ოპერატიული მართვის ტექნიკურ-ეკონომიკური დაგეგმვის, წარმოების ტექნიკური მომზადების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ნაწარმის დაკომპლექტების, მზა პროდუქციის შემოსვლისა და გაგზავნის, ნორმატიული მეურნეობის გაძღოლის მართვით ოპერაციებს. სისტემა უზრუნველყოფს დეტალების რაოდენობის აღრიცხვას საამქროებში ავტომატური აღმრიცხველების გამოყენებით, აგრეთვე მონაცემებს დაზგებისა და მოწყობილობის მუშაობისა და გაცდენების შესახებ.

ყველა ეს მონაცემი პერფორატორების საშუალებით გადააქვთ პერფორატორებში, ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებზე შემდგომი დაპუშავენის მიზნით, რასაც წარმატებით უზრუნველყოფს ზემოთ

² Гашковский В. М. Теория и практика разработки и внедрения АСУП, М., 1975, с. 90.

აღნიშნული ტექნიკური საშუალებები წარმოების მართვის ავტომატიზებული სისტემის დონეზე.

მინსკის სატრაქტორო ქარხანაში წარმოების მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვის შედეგად მუშათა გაცდენები კონვეიერზე 10—15%-ით შემცირდა, მისი მუშაობის რიტმულობა 3,5%-ით გაიზარდა. წმას-ის შემწვობით მიღწეულ იქნა 300 ათასზე მეტი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის შრომის ეკონომია, რეალიზებული პროდუქციის მოცულობა ქარხანაში გადიდა 21%-ით, თვითღირებულება შემცირდა 5,6%-ით, მოგება გაიზარდა 54,4%-ით, რენტაბელობა ამაღლდა 30%-ით.

სისტემის დანერგვით მიღებული ეკონომიკური ეფექტი აღწევს წელიწადში 1 მილიონ მანეთს, უკუგების ვადა არ აღემატება ორ წელს.

„ლევოვისა“ და მინსკის“ ტიპის სისტემებს შეიძლება მივაკუთვნოთ მართვის ავტომატიზებული სისტემები, რომლებიც გამოიყენება მოსკოვის ქარხნებში „ფრეზერი“ და „კრასნი ოქტაბრი“³.

მართვის ავტომატიზებული სისტემა „ფრეზერი“ შეიცავს ისეთ ფუნქციურ ქვესისტემებს, როგორცაა: წარმოების ტექნიკური მომზადება, დაგეგმვა, აღრიცხვა და წარმოების პროცესის რეგულირება, შრომისა და ხელფასის დაგეგმვა და აღრიცხვა; წარმოების მატერიალური მომარაგებით უზრუნველყოფის, დაგეგმვის და აღრიცხვის რეგულირება; პროდუქციის რეალიზაციისა და ფინანსური საქმიანობის დაგეგმვა და აღრიცხვა, წარმოებაზე დანახარჯების გეგმიური კალკულაციები და ნაერთი ბუხპალტრული ანგარიშგება.

ასეთი ტიპების წარმოების მართვის ავტომატიზებულ სისტემებში ტექნიკური, სააღრიცხვო და ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების პროცესები უმეტესად ინტეგრალური სისტემის წესით ეწყობა, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ინფორმაციის ურთიერთდაკავშირების თუ უკუკავშირების პრინციპი მას-ის დაარსების პროცესში არ არის დატული, ასეთ შემთხვევაში ინფორმაციული ნაკადების დამუშავების მთლიანობა ირღვევა და იქმნება დუბლირების პირობები. მაგალითად, მას-ში „ფრეზერი“ ინფორმაციული ნაკადები არაიშვიათად მეორდება სხვადასხვა ფუნქციურ ქვესისტემებში⁴.

ამაზე მიუთითებს მართვის ავტომატიზებული სისტემის „ფრეზერის“ დასახელებული ფუნქციური ქვესისტემები: „დაგეგმვა, აღრიცხვა და წარმოების რეგულირება“, „შრომისა და ხელფასის დაგეგმვა და

³ Гашковский В. М. Теория и практика разработки и внедрения АСУП, с. 92.

⁴ Белуха И. Т. Хозяйственный учет и его роль в АСУП «Финансы», 1972, с. 12.

აღრიცხვა“ და სხვ. ამ ავტომატიზებული სისტემის თითქმის ყველა ქვესისტემა მოითხოვს აღრიცხვის სამივე სახის — ოპერატიული, სტატისტიკური და ბუხპალტრული აღრიცხვის ურთიერთდამოკიდებულ ინფორმაციულ წყაროებს, რაც ცალ-ცალკე (ფუნქციონალურ ქვესისტემათა მიხედვით) დამუშავების პროცესში დუბლირებული ინფორმაციის ნაკადებს ქმნის. ამას იწვევს ისიც, რომ მას-ის ცალკეულ ქვესისტემაში ბუხპალტრული აღრიცხვის ამოცანები სრულდება ერთიანი პირველადი ინფორმაციის დამუშავების ფუნქციონალური ნიშნით, რაც მოითხოვს მას-ის ყველა ცალკე ქვესისტემისათვის დამოუკიდებელ საინფორმაციო ბაზას, იმის გამო, რომ დარღვეულია ინფორმაციის ინტეგრალური დამუშავების პრინციპები.

სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების ინტეგრალური სისტემის შესაქმნელად საჭიროა ინფორმაციის რაციონალური ნაკადების შექმნა, რაც აღრიცხვის ცენტრალიზაციის მეშვეობით ხორციელდება, ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ნებისმიერი ორგანიზაციული მართვის ავტომატიზებულ სისტემაში ცენტრალიზებული ბუხპალტერია დამოუკიდებელ ფუნქციურ ქვესისტემად უნდა შევიდეს. ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავების პირობებში სამეურნეო აღრიცხვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ეკონომიკური ინფორმაციის ისეთი ინტეგრალური ნაკადების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ცალკეული საწარმოებისა და მთლიანად მოცემული დარგის სააღრიცხვო-ეკონომიკური მართვის ოპერატიულ ხელმძღვანელობას უკვე ცნობილი და აპრობირებული ე. წ. ინფორმაციის „ბადისებრი“ დამუშავების გრაფიკების გამოყენების საფუძველზე, რაც ცენტრალიზებული ბუხპალტერიის მუშაობის საფუძველს წარმოადგენს.

საერთოდ ყველა დონისა და დანიშნულების მართვის ავტომატიზებული სისტემების ქვესისტემების დამუშავების დროს გასათვალისწინებელია იგივე პრინციპები, რაც თვით მართვის ავტომატიზებულ სისტემას ახასიათებს⁵, სახელდობრ:

1. ახალი ამოცანის დასმის პრინციპი, ამ პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მას-ის ქვესისტემის შექმნის დროს არ უნდა მოხდეს მართვის ტრადიციული მეთოდების უცვლელად გადატანა, არამედ არსებული მეთოდები უნდა შეიცვალოს ახლებურად და ამოცანები დაისვას უფრო გაფართოებულ ასპექტში, მართვის ავტომატიზებული ქვესისტემის მიერ შესასრულებელ ამოცანათა ავტომატიზაციის შესაძლებლობათა გათვალისწინებით. მართვის ავტომატიზებულმა ქვე-

⁵ ი. ბურღული, მართვის ავტომატიზებული სისტემები, თბ., 1981, გვ. 18—19.

სისტემამ უნდა შეძლოს მართვის ახალი ამოცანების გადაწყვეტა, მაგალითად, აღრიცხვისა და კონტროლის ნაწილში სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის ინტეგრალური დამუშავება, მისი მექანიზაცია და ავტომატიზაცია ეგმ-ს გამოყენების ბაზაზე.

2. სისტემური მიდგომის პრინციპი ითვალისწინებს მართვის ავტომატიზებული ქვესისტემის მიერ ყველა ამოცანის კომპლექსურ-მექანიზებულ გადაწყვეტას ამ ამოცანათა სისტემურ-თანმიმდევრული დამუშავების პრინციპებზე. მაგალითად, ბუხპალტრულ აღრიცხვაში სამეურნეო ოპერაციების სისტემურ აღრიცხვას, რაც ოპერაციათა შესაბამის ანგარიშებში დაჯგუფებას ნიშნავს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბალანსო მეთოდის გამოყენებას აღრიცხვის კომპლექსური მექანიზაციის პირობებში.

3. საბუთბრუნვის ავტომატიზაციის პრინციპი მოითხოვს მართვის ავტომატიზებული სისტემისა თუ მისი ქვესისტემის ძირითადი წყაროების საბუთების მოძრაობას, ანუ საბუთბრუნვას ქვევიდან ზევით და ზევიდან ქვევით. საბუთბრუნვის პროცესში გამოიკვეთება ორი ძირითადი მომენტი, ან შეიძლება ითქვას, ეტაპი. პირველი, როდესაც დოკუმენტი მოძრაობს მმართველ ორგანოს, გამომთვლელ მანქანასა და სამართავ ობიექტებს შორის — ეს არის მარტივი პროცესი. მეორე, რისთვისაც დოკუმენტი მოძრაობს წრიულად: მმართველი ორგანო, გამომთვლელი მანქანა, სამართავი ობიექტი და გამომთვლელი მანქანა. მეორე ეტაპი მოიცავს „ინფორმაციის წრიულ ბრუნვას, სადაც სამართავი ობიექტი ან ინფორმაცია მოდის როგორც მმართველ აპარატში, ასევე გამოთვლით ცენტრებში (გამომთვლელ მანქანაზე). ამ დროს მმართველობის ორგანო სამართავი ობიექტის შესახებ ინფორმაციას ღებულობს გამოთვლითი ცენტრიდან. მმართველი ორგანოები გამოთავისუფლებულია შრომატევადი ცალკეული რუტინული სამუშაოებისაგან, მათ ძირითად მოვალეობად რჩება ამოცანების დასმა და მიღებული შედეგების კონტროლი.

4. ერთიანი ინფორმაციული ბაზის შექმნის პრინციპი მოითხოვს ინფორმაციის მანქანურ მატარებელზე ინფორმაციის ნაკადების სისტემატურ დაგროვებას და განახლებას, რაც საჭიროა სათანადო ინფორმაციული ისეთი მასივების შესაქმნელად, რომელიც უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის მოცემული უბნის დაგეგმვის, აღრიცხვისა და მართვის ამოცანების გადაწყვეტას ინფორმაციების დუბლირების გარეშე სააღრიცხვო-საკონტროლო ინფორმაციის ინტეგრალური დამუშავების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ სააღრიცხვო ინფორმაციის ინტეგრაცია სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში პრინციპულად განსხვავდება ერთიმეორისაგან. სახელდობრ, აშშ სამეურნეო აღრიცხვას არ

ყოფენ ოპერატიულ-ტექნიკური, ბუხპალტრული და სტატისტიკური აღრიცხვის სახეებად. ამერიკელ ეკონომისტებს მიაჩნიათ, რომ აღრიცხვა, რომელიც ემყარება ერთიან პირველად დოკუმენტაციას, უნდა უზრუნველყოფდეს ეკონომიკური მართვის ყველა ამოცანის გადაწყვეტას და აკმაყოფილებდეს სამეურნეო ერთეულის ხელმძღვანელობის მოთხოვნებს საკურო მონაცემებით, რაც თავისთავად სამივე სახის აღრიცხვის ინტეგრაციის საფუძველზე უნდა განხორციელდეს. სსრ კავშირში სახალხო მეურნეობრივი აღრიცხვის სამივე სახე გარკვეული ფუნქციებით ხასიათდება, ამიტომ მათი დაყოფა ოპერატიულ-ტექნიკურ, ბუხპალტრულ და სტატისტიკურ აღრიცხვად ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს. ამასთანავე, სოციალისტური აღრიცხვის ცენტრალიზაცია და ინტეგრაცია სახალხო მეურნეობრივი აღრიცხვის სამივე სახის ინფორმაციული ნაკადების გაერთიანებულ დამუშავებას უზრუნველყოფს მართვის ავტომატიზებული სისტემებში აღრიცხვის კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის დამოუკიდებელი ქვესისტემების რაციონალური ორგანიზაციის საფუძველზე.

„ბუხპალტრული აღრიცხვის“ ქვესისტემის დაპროექტებისას ძირითად ამოცანას წარმოადგენს ინტეგრირებული აღრიცხვის ახლებური ორგანიზაციის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის შეხამება ეკონომიკურ-მათემატიკურ მეთოდებთან, კოდებისა და შიფრების მოდელებთან. მხოლოდ ასეთი პირობების დაცვით შეიძლება განხორციელდეს შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, რომელიც ინტეგრალური აღრიცხვის რაციონალურ ორგანიზაციას უზრუნველყოფს.

მას-ის ზემოთ აღნიშნული ქვესისტემის წინაშე ასეთი ამოცანის დაყენება შემთხვევითი არაა. საკმე იმაშია, რომ სოციალისტური აღრიცხვა მთლიანობაში ქმნის სააღრიცხვო-ეკონომიკურ ინფორმაციას, იგი შეიცავს სახალხო მეურნეობრივი (ოპერატიული, სტატისტიკური და ბუხპალტრული) აღრიცხვის ყველა სახის ურთიერთდაკავშირებულ ერთიან მონაცემებს, რომლებიც უკუკავშირის ფუნქციებითაც ხასიათდებიან და ამდენად მართვის, დაგეგმვისა და კონტროლის ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენენ.

ამრიგად, აღრიცხვის განვითარების შედარებით უფრო პერსპექტიული საშუალებაა მონაცემთა დამუშავების ინტეგრალური სისტემის გამოყენება. ასეთი სისტემა გულისხმობს სამივე სახის აღრიცხვის ისეთ გაერთიანებას, რომელიც თითოეულ მათგანს საკუთარ სახეს შეუნარჩუნებს, რადგანაც მეთოდოლოგიური თავისებურება და დამახასიათებელი ნიშანი ოპერატიული, ბუხპალტრული თუ სტატისტიკური აღრიცხვისა არ იცვლება. ინტეგრაცია ვრცელდება მხოლოდ ინფორმაციის დამუშავების ორგანიზაციაზე, მის ტექნოლოგიასა და ტექნიკაზე.

აღრიცხვისა და კონტროლის მექანიზაციის პირობებში, რაც უფრო სწრაფად და სათანადო სიღრმით იქნება მიწოდებული ინფორმაცია მის მომხმარებელზე, მით უფრო ოპერატიულად, სწრაფად და ზუსტად შეძლევადება მართვის ღონისძიება. ამით განისაზღვრება ინფორმაციის მიღების, გადაცემის და დამუშავების მექანიზაციის რაციონალური ორგანიზაციის როლი. სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაცია ხასიათდება დიდი მოცულობით, მასიურობით, სტაბილურობით, დამუშავების ციკლურობით. ეს მოითხოვს მრავალი არითმეტიკული და ლოგიკური ოპერაციის შესრულებას, მაღალი წარმადობის გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების თანამედროვე ეტაპზე აღრიცხვა, სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი და კონტროლი უნდა ზორციელდებოდეს ისეთი სტრუქტურის წარმოების მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და ქვესისტემების მეშვეობით, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან ელექტრონული-გამოთვლითი ტექნიკის სათანადო საშუალებებითა და დისტანციური გადამცემი მოწყობილობებით.

მართვის ავტომატიზებული სისტემის — აღრიცხვის, ეკონომიკური ანალიზისა და კონტროლის ქვესისტემების რაციონალური ორგანიზაცია უზრუნველყოფს სამეურნეო საქმიანობაზე ხელმძღვანელობის ოპტიმიზაციასა და წარმოების მართვის სრულყოფას. ამას კი საფუძვლად უნდა დაედოს სააღრიცხვო-ანალიზური და ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების კულტურის ამაღლება, აღრიცხვა-ანგარიშების, ეკონომიკური ანალიზის, რევიზიისა და კონტროლის მეცნიერული ორგანიზაცია.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში კიდევ უფრო მეტი ყურადღება ექცევა სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების დამუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების პროცესების ოპერატიული მართვის გაზრდილ მოთხოვნებს მართვის ავტომატიზებული სისტემების ამოქმედების პირობებში.

განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შემუშავდეს „ბუხჰალტრული აღრიცხვის“ ქვესისტემის მართვის სტრუქტურის პროექტი აღრიცხვის მაქსიმალური ცენტრალიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის ეკონომიკური ინფორმაციის ინტეგრალური დამუშავების საწყისებზე დეცენტრალიზებული აღრიცხვის ყველა ელემენტის გათვალისწინებით.

წარმოების მართვის ავტომატიზებული სისტემების სტრუქტურის შესწავლა გვიჩვენებს, რომ მათ უმეტესად ხელსაწყოთა სამინისტროს დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა მიერ შემუშავებული ტიპური პროექტები უღრევს საფუძვლად, რომელიც სამ ჯგუფად იყოფა.

აქედან, „პირველი ჯგუფის ამოცანათა ტიპური პროექტები შეიცავენ მართვის ფუნქციებს, ალგორითმებსა და მათი შესრულების პროგრამებს, ამოცანათა მეორე ჯგუფის ტიპური პროექტები განსაზღვრვენ მართვის ინფორმაციის დამუშავებისათვის საჭირო ტექნიკურ საშუალებებს, მათი განლაგებისა და ექსპლოატაციის წესებს.

მესამე ჯგუფის ტიპური პროექტები ასახავენ მმართველობითი პერსონალის შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას მართვის ავტომატიზებული სისტემის ობიექტების მომზადებისა და ფუნქციონირების პროცესში“⁶.

საალრიცხოვო-ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების ავტომატიზაციის პროცესი ამჟამად ემყარება მართვის „ბადისებრი“ დაგეგმვის სისტემას, რომელიც სამუშაოთა შესრულების მეცნიერულ ორგანიზაციას ითვალისწინებს და ამიტომ ფართოდ გავრცელდა მას-ის ტექნიკურ-ეკონომიკური ფუნქციური ქვესისტემების დაპროექტების პრაქტიკაში.

მას-ის ფუნქციური ქვესისტემა — „ცენტრალიზებული ბუხპალტრული აღრიცხვა“ ემსახურება ათობით საწარმოს, მასში მონაწილეობს ასობით შემსრულებელი. ასეთ პირობებში უკიდურესად ძნელია ზუსტად განისაზღვროს და დაუკავშირდეს ერთმანეთს სამუშაოთა შესრულების ვადები. აქ საქმე მართო შემსრულებელთა დიდ რიცხვში როდია, არამედ იმაშიც, რომ ერთი შემსრულებლის მუშაობის შედეგები გამოსავალ ინფორმაციას წარმოადგენს მეორე სამუშაოს დაწყებისათვის. ერთი სახის სამუშაოს შესრულებისაგან ხშირად დამოკიდებულია მეორე სამუშაოს შესრულების ვადების დაცვა, შინაარსი და მოცულობაც. წმას-ის „ბუხპალტრული აღრიცხვის“ ქვესისტემაში შემავალ საწარმოთა ტერიტორიული განლაგებაც სიძნელეს ქმნის პირველადი და საშედეგო ინფორმაციის საბუთბრუნვაში, ამიტომ მას-ის ფუნქციურ ქვესისტემათა სამუშაოების წარმოებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბუთბრუნვის ე. წ. „წრისებრი“ ტიპის გრაფიკებს, საალრიცხოვო-ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების გრაფიკებსა და „ბადისებრი“ დაგეგმვის სისტემის პრინციპზე აგებულ სანიმუშო პროექტებს. ასეთი პროექტი ყველაზე უფრო ეფექტურ შედეგს მას-ის „ცენტრალიზებული ბუხპალტრული აღრიცხვის“ ქვესისტემის მოქმედების პირობებში იძლევა.

ორგანიზაციული მართვის ავტომატიზებული სისტემის ქვესისტემათა შექმნის პროცესშიც ინფორმაციული ბაზის შექმნა „ერთ-ერთი

⁶ Карибский В. В. Принципы создания АСУП на базе типовых решений ВКН автоматизированной системы управления, М., «Экономика», 1972, с. 140.

ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო, უადრესად შრომატევადი სამუშაოა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ორი გზით: პირველი, როდესაც ჭერ შეიქმნება ძირითადი ინფორმაციული მასივები და მთლიანად სისტემის მათემატიკური უზრუნველყოფა, და ამის შემდეგ იქმნება სამუშაო პროგრამების სისტემა და მისი შესაბამისი სამუშაო მასივები. მეორე, როდესაც ჭერ იქმნება სამუშაო მასივები ცალკეული ამოცანისათვის და შემდგომ სისტემის მათემატიკური უზრუნველყოფის საფუძველზე ხდება მისი გაერთიანება ერთიან ძირითად მასივებად...“7.

აქედან, მართვის ავტომატიზებული ქვესისტემის დანერგვის პროცესში უფრო მისაღებად უნდა ჩაითვალოს მეორე გზა, რომელიც პირველთან შედარებით ინფორმაციული ბაზის შექმნას და ექსპლოატაციაში შეყვანას გულისხმობს ეტაპების მიხედვით ცალკეული ამოცანის ინფორმაციული მასივების შექმნის კვალობაზე.

სამუშაოთა პირველი გზით შესრულება, რომელიც მოითხოვს ყველა ინფორმაციის მასივების ერთდროულად შექმნასა და მთლიანად ექსპლოატაციაში შეყვანას, მართვის ავტომატიზებული სისტემის ამოქმედებას ყველა შრომატევადი სამუშაოთა დამთავრების შემდეგ უზრუნველყოფს, რაც მეტად რთულია. ამიტომ აღიარებულია, რომ მართვის ავტომატიზებული სისტემისა თუ მისი ქვესისტემის დამუშავების პროცესში, ინფორმაციული ბაზების შექმნა მეორე გზით ე. ი. ეტაპების მიხედვით, ნაწილ-ნაწილ საერთო სისტემის დამუშავების პარალელურად უფრო მისაღები და პრაქტიკულად ადვილი განსახორციელებელია. ამის გამო თანამედროვე მართვის ავტომატიზებული სისტემები და მისი ქვესისტემები უპირატესად მეორე გზის გამოყენებით იქმნება.

სამუშაო პროგრამების ამოცანებისა და მართვის ავტომატიზებული სისტემათა (ქვესისტემათა) პროექტების დამუშავებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროგრამებისა და ამოცანების კომპლექსურობას.

მართვის ავტომატიზებული სისტემისა თუ მისი ქვესისტემის მიმართ დასმულ ამოცანათა პროგრამირების დროს მხედველობაში მიიღება ის, რომ კომპლექსის შემადგენელი ცალკეული ამოცანები, ცალკეულ, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ ინფორმაციულ მასივებს ქმნიან, რომელთა საფუძველზე კომპლექსურ ამოცანათა გადაწყვეტის საერთო სამუშაო მასივები იქმნება და, რომლებიც ბოლოს თავს იყრიან სისტემის (ქვესისტემის) საერთო ინფორმაციულ ბაზაში.

7 ი. ბურდული, დასახ. ნაშრომი, გვ: 21—22..

მართვის ავტომატიზებული სისტემის დამუშავების პროცესი მეტად რთულია და, როგორც ზემოთ ითქვა, ხორციელდება ეტაპობრივად: აქედან, პირველ ეტაპზე წარმოებს ტექნიკური დავალებების დამუშავება; მეორეზე — ტექნიკური პროექტის დამუშავება; მესამეზე — სამუშაო პროექტის შედგენა და მეოთხე ეტაპზე — დანერგვა.

სამუშაო პროექტის შედგენა ითვლება მართვის ავტომატიზებული სისტემის (ქვესისტემის) დამუშავების საბოლოო სტადიად, მის საფუძველზე შეიძლება სისტემის ამოქმედება. ამიტომ სამუშაო პროექტში შედის: „საპროექტო გადაწყვეტილების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ ტექნიკური პროექტის განხილვის და დამტკიცების აქტებს; საწარმოს ავტომატიზებული სისტემის ეფექტურობის გაანგარიშებებს, ინფორმაციის რეგისტრაციისა და მანქანაში შეყვანის ტექნოლოგიას, სისტემის ფუნქციონირებას, პროცესში გამოყენებულ დოკუმენტთა ფორმებს და მათი მოძრაობის სქემას; ნორმატიულ საცნობო ინფორმაციის ფორმებს და მათი შედგენის ინსტრუქციას, ინფორმაციული მართვების ორგანიზაციის აღწერას; კომპლექსური და სტანდარტული პროგრამების ჩამოთვლას, სამუშაო პროგრამებსა და ინსტრუქციებს“.

სამუშაო პროექტებს თან უნდა ახლდეს აგრეთვე კოდიფიკატორები, შიფრების მაჩვენებელი ალბომები და სხვ.⁸

ინფორმაციის დამუშავების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის სრულყოფაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს მანქანის დამამახსოვრებელი მოწყობილობა, რომელიც ელექტრონულ დანადგარს წარმოადგენს, სადაც კოდირებული მონაცემები გროვდება და ინახება მათი ეგმ ცენტრალურ გამომთვლელებში დამუშავებამდე.

ეგმ მეხსიერების მოცულობა სხვადასხვა დონისაა. თანამედროვე ეგმ მეხსიერების მოცულობა რამდენიმე ასეულ ათას ბაიტ ინფორმაციის დაგროვებას ითვალისწინებს, რაც საკმარისი არ არის თუ მხედველობაში მივიღებთ ეგმ-ს მიერ მეხსიერებაში მოთავსებული ინფორმაციის ჩაწერისა და წაკითხვის დიდ სისწრაფეს, რომელიც წამში ერთ მილიონ ბაიტს უდრის. ეგმ მეხსიერების მოცულობის მკვეთრი გადიდების შესაძლებლობა არსებობს, მაგრამ იგი მეტად ძვირადღირებულია, ამიტომ ელექტრონული გამომთვლელი მანქანების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ძვირადღირებული მანქანური მეხსიერება ივსება ნაკლებადღირებული ელექტროტექნიკური მეხსიერებით — მაგნიტური ლენტებითა და მაგნიტური დოლებით და სხვა დამამახსოვრებელი მოწყობილობის საშუალებით (მაგნიტური დოლებით, მაგნიტური ლენტებით). საჭირო მონაცემები დასაძმუშავებლად გადაეცემა ელექ-

⁸ ი. ბურდული, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

ტრონული გამომთვლელი მანქანის ცენტრალურ აგრეგატს — ცენტრალურ გამომთვლელს, ანუ პროცესორს, რომელიც ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავების მთელი სისტემის ძირითად და მაკონტროლებელ მოწყობილობას წარმოადგენს. იგი თავისი ცალკეული ნაწილებით ასრულებს სამ ფუნქციას: არითმეტიკულს, ლოგიკურს და მართვით-საკონტროლოს. აქედან, პროცესორის (ცენტრალური გამომთვლელის) არითმეტიკული და ლოგიკური ფუნქციები ურთიერთდაკავშირებულია, რამდენადაც, თუ არითმეტიკული ფუნქცია უზრუნველყოფს მიმატება-გამოკლების, გამრავლება-გაყოფის, გადაადგილება-შედარების და ინფორმაციის დროებით შენახვის ოპერაციებს, ლოგიკური ფუნქცია უზრუნველყოფს სხვადასხვა პირობების შემოწმებას, რომელიც მიიღება ამოცანის გადაწყვეტის პროცესში და შედეგების მისაღებად ფორმალური ლოგიკის საფუძველზე იღებს და იყენებს უბრალო გადაწყვეტილებას. არითმეტიკული და ლოგიკური ფუნქციები სრულდება პროცესორის I და II ნაწილების მეშვეობით. მესამე ფუნქციას ახორციელებს პროცესორის III ნაწილი, იგი აწესრიგებს და აკონტროლებს მუშაობის მთელ პროცესს მანქანაში, თვალყურს ადევნებს მანქანის შემტან-გამომტან მოწყობილობებს, ცენტრალური გამომთვლელის არითმეტიკულ-ლოგიკური მოწყობილობების მუშაობას და წინასწარ გათვალისწინებული ინფორმაციის მიღებას და გადაცემას... ყველა ზემოაღნიშნული ფუნქციის მანქანურ შესრულებას საფუძვლად უდევს სპეციალისტების მიერ შედგენილი პროგრამები⁹.

2. ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის ორგანიზაცია ფინანსების მართვის ავტომატიზებულ სისტემაში

საკვ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება „სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფის“ შესახებ, აგრეთვე საკვ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის შემოქმედების გაძლიერების შესახებ ითვალისწინებს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისას არსებითად იცვლება ფინანსური კავშირურობის თანმიმდევრული დადგენილება და ბიუჯეტების

⁹ ი. ბურდული, დასახ. ნაშრომი, გვ. 110—112.

დაგეგმვისა და მის შესრულებაზე კონტროლის როლი, განუზომლად იზრდება საფინანსო სისტემისა და საფინანსო სამსახურების მნიშვნელობა. მოგების განაწილებისა და გამოყენების ახალი წესით წარმოებრივი ფონდების გადასახდელთა შემოღება, პროდუქციის რეალიზაციისა და მოგების ოპტიმალური დავალებების შესრულებით საწარმოთა კოლექტივების დაინტერესება, ეკონომიკური სტიმულის გაძლიერება და სხვა მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობს ფინანსური ინსტრუმენტების წარმოებაზე ზემოქმედებას, მისი ეფექტიანობის ამაღლებას, ხოლო ამის საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და საბოლოო ანგარიშში ეროვნული შემოსავლის ზრდას.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებებმა სააღრიცხვო და, კერძოდ, საკონტროლო-ეკონომიკური მუშაობის ნაწილში უნდა უზრუნველყონ საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 12 თებერვლის დადგენილება „რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც სახალხო მეურნეობის ყველა დარგს, სამინისტროსა და უწყებას ამოცანად უსახავს აღრიცხვის, კონტროლისა და რევიზიის სრულყოფის ფართო ღონისძიებების გატარებას.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ახალ პირობებში საფინანსო ორგანოებმა განსაკუთრებით უნდა გააძლიერონ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის საგეგმო ანალიზური მუშაობა, გაამახვილონ ყურადღება საფინანსო-საკრედიტო, ოპერატიულ-ტექნიკური ოპერაციების სიზუსტეზე, და, რაც მთავარია, გააძლიერონ კონტროლი ბიუჯეტის (ფაქტიურ) საკასო შესრულებაზე ისეთი მძლავრი ბერკეტის გამოყენებით როგორც არის აღრიცხვა და ეკონომიკური ანალიზი. ახალი პროგრესული მეთოდებით მუშაობის პირობებში საფინანსო ორგანოებმა, საწარმოო ორგანიზაციების საფინანსო სამსახურებმა, აღრიცხვის მუშაკებმა უნდა გამოიკვლიონ ის მიზეზები, რომლებიც გავლენას ახდენს გაერთიანების, ფაბრიკის, ქარხნის, ტრესტის შემოსავალ-გასავლის მოგების დონეზე, ჩასწვდნენ ღრმად ეკონომიკურ პროცესებს, გამოიანხონ რენტაბელობის გადიდების, ფინანსური რესურსების გამოყენების გაუმჯობესების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზები. ამასთან დაკავშირებით განსაზღვრონ სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ფულადი სახსრები ბრუნვის გადასახადის, ფონდების გადასახდელის, მოგებიდან და სხვა გადასახდელისა და გამოსაღებების მიხედვით, რაც ხელს შეუწყობს ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების ზუსტ დაგეგმვასა და შესრულებაზე კონტროლის განხორციელებას საფინანსო ორგანოების მიერ.

სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების პროცესი საფინანსო სისტემის ყველა ორგანოში დაკავშირებულია სისტემატურად მზარდი აღრიცხვის ობიექტებისა და დიდი რაოდენობის ფინანსურ-ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავებასთან, ამიტომ ბიუჯეტის შედგენა და მისი შესრულების აღრიცხვა-ანგარიშგება მიეკუთვნება ყველაზე უფრო რთულ და შრომატევად სამუშაოებს, რომელთა განხორციელების რაციონალური ორგანიზაცია პირდაპირ დამოკიდებულებაშია ოპერაციების შინაარსსა და აღრიცხვის ობიექტების თავისებურებებზე.

ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების პროცესების შინაარსი და დადგენილი წესები განსაზღვრავენ ადგილობრივი საფინანსო ორგანოების დონის ფინანსების მართვის ავტომატიზებული სისტემისა და კერძოდ, მართვის ავტომატიზებული აღრიცხვისა და კონტროლის ქვესისტემის ორგანიზაციულ სტრუქტურას.

ადგილობრივი საფინანსო ორგანოების დონის მართვის ავტომატიზებული სისტემა „მას — ფინორგანო“¹⁰ უნდა ითვალისწინებდეს სამ ქვესისტემას:

- ბიუჯეტის შემოსავლების ქვესისტემა;
- ბიუჯეტის ხარჯების ქვესისტემა;
- ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვისა და კონტროლის ქვესისტემა.

აქედან ჩანს, რომ ადგილობრივი საფინანსო ორგანოების დონის ფინანსების მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომელსაც აქვს თავისი ობიექტები, მიზნები, ამოცანები ფუნქციები და სტრუქტურა, ისევე, როგორც ყველა დონის მართვის ავტომატიზებული სისტემა, შეიძლება დაიყოს ფუნქციურ, ორგანიზაციულ და ელემენტარულ ქვესისტემებად. ერთ-ერთი ასეთი ქვესისტემათაგანი შეიძლება იყოს ადგილობრივ ფინორგანოებში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მართვის ავტომატიზებული აღრიცხვისა და კონტროლის ქვესისტემა, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს დიდი წარმადობის ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკის ერთ ცენტრში თავმოყრისა და მათი ფართოდ გამოყენების საფუძველზე საფინანსო ორგანოებში საბიუჯეტო ფინანსური და მეურნეობრივი საქმიანობის სრულყოფის მიზნით.

გადაწყვეტილების შერჩევა და მიღება წარმოადგენს ფინანსური საქმიანობის შემადგენელ ნაწილს ბიუჯეტების შესრულების სფეროში, რომელიც ხორციელდება განსაკუთრებული ხერხებითა და მეთოდებით. აღრიცხვა და კონტროლი, როგორც მეურნეობრივი საქმიანობის მართვითი ფუნქციები, ემყარებიან გარკვეულ საცნობარო ინ-

¹⁰ „მას — ფინორგანო“ — სახელწოდება პირობითია.

ფორმაციას, რომლის კრიტერიუმსაც წარმოადგენს ისეთი ოპერატიულ-მეურნეობრივი ოპერაციები, დირექტიული და ნორმატიული მასალა და მითითებანი, რომლებიც განსაზღვრავენ სწორი გადაწყვეტილების მიღებას. შემდგომი სწორი გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია მხოლოდ ფაქტიური დოკუმენტების შემოწმებისა და ადრე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მაჩვენებლების აღრიცხვისა და ანალიზის საფუძველზე, რაც ბიუჯეტისა და ხარჯთნუსხების შესრულების აღრიცხვის კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პირობებში გამოთვლითი მანქანებით შეიძლება განხორციელდეს.

თუ მმართველობას განვიხილავთ როგორც ერთ განუწყვეტელ დინამიკურ პროცესს, რომლის შინაარსსა და ძირითად ფუნქციას სათანადო გადაწყვეტილებების მიღება და მათი შესრულება წარმოადგენს, მაშინ ნათელი გახდება ის ორგანული კავშირი, რაც ბიუჯეტის დაგეგმვასა და შესრულებაზე კონტროლს შორის არსებობს. ეს იმაზეც მიუთითებს, რომ ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა და კონტროლი საფინანსო ორგანოების საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს მართვის ობიექტის ათვისებას ყოველმხრივად. ბიუჯეტისა და ხარჯთნუსხების შესრულებაზე კონტროლი, როგორც ინფორმაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო, მკიდროდაა დაკავშირებული ბიუჯეტის დაგეგმვასა და მისი შესრულების ორგანიზაციასთან, პასუხისმგებელ პირთა უფლება-მოვალეობასა და პასუხისმგებლობასთან.

კონტროლის ობიექტური აუცილებლობიდან ლოგიკურად გამომდინარეობს პრინციპი: ვინც ხელმძღვანელობს მანვე უნდა გააკონტროლოს.

საფინანსო ორგანოთა მართვის ავტომატიზებული აღრიცხვისა და კონტროლის ქვესისტემის ძირითად მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების აღრიცხვა-ანგარიშგების წინაშე მდგარ ამოცანათა გადაწყვეტის აუცილებელი პირობების შექმნა. საფინანსო ორგანოების რაციონალური მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა რეალურ შესაძლებლობათა გათვალისწინებით ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასავლების მართვითი დავალებების შემუშავება საინფორმაციო უკუკავშირების გამოყენების საფუძველზე.

მართვითი დავალებების შესრულებაზე კონტროლის რაციონალური ორგანიზაცია უნდა ითვალისწინებდეს სისტემატურ მაკორექტირებელ მოქმედებას ბიუჯეტის შესრულებაში ცვლილებების შესატანად და ფულადი სახსრების გადასანაწილებლად საბიუჯეტო დაწესებულებათა ხარჯთნუსხების შესრულების პროცესში. კონტროლის ასეთი ფუნქცია უნდა განხორციელდეს მართვის ავტომატიზებული სისტემის

ყველა ქვესისტემის მიერ დამუშავებული ინფორმაციული ნაკადების საფუძველზე უკუკავშირის მეშვეობით.

უკუკავშირების საშუალებით კონტროლის განხორციელების სისტემა საბიუჯეტო ორგანოთა რაციონალური მართვის პროცესების სრულყოფისა და მისი ორგანიზაციული სტრუქტურის შემდგომი განვითარების პერსპექტივას ქმნის. აქედან გამომდინარე, შეიძლება დასკვნაც გამოვიტანოთ, რომ ინფორმაციული უკუკავშირი წარმოადგენს მართვის ავტომატიზებული სისტემის საშუალო პროცესების რეგულირების ერთ-ერთ ძირითად ელემენტს. იგი იქმნება ავტომატურად, ინფორმაციული ნაკადების დამუშავების დროს და აუცილებელია ზუსტი, მორიგი მართვითი გადაწყვეტილებების მისაღებად, რაც მართვით სისტემებში ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების შემდგომი სრულყოფის საფუძველს წარმოადგენს.

ბიუჯეტის შესრულების მართვის პროცესში ინფორმაციის ნაკადები გადაეცემა საფინანსო (მართვითი) ორგანოდან შემსრულებელს. ამასთანავე ამ ინფორმაციათა მოძრაობის პროცესში ხორციელდება უკუკავშირი საწარმოო ორგანიზაციებსა, დაწესებულებებსა და საფინანსო ორგანოებს შორის.

უკუკავშირი ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლისა და მართვითი გადაწყვეტილების ეფექტიანობის საზომიც.

შვიდრო კავშირი საფინანსო ორგანოებსა და ბიუჯეტის შესრულებაში მონაწილე (საწარმო-ორგანიზაციებს, დაწესებულებებს) ორგანოებს შორის აპირობებს მართვის ავტომატიზებული სისტემის ნებისმიერი ქვესისტემის დამოუკიდებლობას (ავტონომიურობას) ინფორმაციათა უკუკავშირების მოქმედების პირობებში. ამასთან ერთად, მართვის ავტომატიზებული სისტემის დამოუკიდებელი (კონკრეტულ შემთხვევაში აღრიცხვისა და კონტროლის) ქვესისტემა აუცილებლად მოითხოვს ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების მაღალ დონეს, რაც აღრიცხვისა და კონტროლის კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

ჩვენს ქვეყანაში მოქმედი ორგანიზაციული მართვის ავტომატიზებულ სისტემათა სტრუქტურის ანალოგიურად ფინანსების მართვის ავტომატიზებული სისტემა მთელ რიგ ფუნქციურ (მათ შორის ავტონომიურ) ქვესისტემებს უნდა ითვალისწინებდეს.

ფინანსების მართვის ავტომატიზებულ სისტემაში „ცენტრალიზებული აღრიცხვის“ ქვესისტემის განვითარების შემდგომი ეტაპი ითვალისწინებს ერთიანი ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის შექმნას უშუალოდ საფინანსო ორგანოების ფინანსების მართვის ავტომატიზებულ სისტემაში საფინანსო ორგანოებისა და რაიონში მოქმედ ბიუჯეტურ,


სოცულტურულ დაწესებულებათა ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების გაერთიანების საფუძველზე. ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების რეორგანიზაციის ასევე ვარიანტი მოითხოვს ერთიანი ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის შემდეგ ორგანიზაციულ სტრუქტურას: ა) უწყებრივი სააღრიცხვო-საკონტროლო ჯგუფები (განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, აღმასკომის და სხვ. ც. ბ.); ბ) ერთიანი ც. ბ. უწყებრივი ფუნქციონალური განყოფილებები; გ) გამოთვლითი მანქანების დანადგარი და დ) ერთიანი ცენტრალიზებული ბუხჰალტერია, იგივე ფინანსური მართვის ავტომატიზებული სისტემის „ცენტრალიზებული აღრიცხვის ქვესისტემა“, რომელიც ერთიან სააღრიცხვო საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს (იხ. სქემა, გვ. 455).

ასეთი ორგანიზაციულ-სტრუქტურული ფორმის გაერთიანებული ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სააღრიცხვო-საკონტროლო ჯგუფებს, რომლებიც აღრიცხვა-ანგარიშგებას უზრუნველყოფენ გაერთიანებული ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის საერთო ხელმძღვანელობით კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საწყისებზე. საკონტროლო ჯგუფებს, რომლებიც თავისი სისტემის დაწესებულება-ორგანიზაციათა ცენტრალიზებულ აღრიცხვა-ანგარიშგებას უზრუნველყოფენ გაერთიანებული ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის მეშვეობით, ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა მათ მიერ მომსახურებული დაწესებულება-ორგანიზაციების ხარჯთესხების დანიშნულების მიხედვით შესრულების უზრუნველყოფაზე, ფულად და მატერიალურ ფასეულობათა ზუსტ ხარჯვაზე, სამეურნეო ოპერაციების სწორად გაფორმებასა და მომჭირნეობის რეჟიმის დამყარებაზე, აგრეთვე დამუშავების გარეშე დარჩენილი ზოგიერთი სააღრიცხვო-საანგარიშგებო დოკუმენტის მონაცემთა რეგისტრებში სწორად ასახვაზე და მიმდინარე კონტროლის განხორციელებაზე.

სააღრიცხვო-საკონტროლო ჯგუფები დროულად უზრუნველყოფენ გაერთიანებულ ცენტრალიზებულ ბუხჰალტერიებს მექანიზებული ბიუჯეტური აღრიცხვა-ანგარიშგებისათვის საჭირო დოკუმენტაციით. აწვდიან მათ პირველად სააღრიცხვო-სტატისტიკურ, საგეგმო და საანალიზო მონაცემებს (უკეთეს შემთხვევაში, დისტანციურ გადაცემათა საწყისებზე).

გაერთიანებული ცენტრალიზებული ბუხჰალტერიები ამუშავებენ და უზრუნველნიენ სააღრიცხვო-საკონტროლო ჯგუფებს მათი მომსახურების დაწესებულება-ორგანიზაციების მეურნეობრივ-ფინანსური საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის საჭირო სააღრიცხვო-საანგარიშგებო დოკუმენტაციას.

ფინანსების ბაზრის ავტომატიზებული სისტემის სტრუქტურა



პროგრამის დეტალები: პროგრამის იმპლემენტაციის ბიულეტენი
 ავტომატიზებული სისტემის მართვის პროგრამების მართვის პროგრამები

სააღრიცხვო-საკონტროლო ჯგუფები არსებითად ასრულებენ მოცემული დარგის (განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა სოციალ-კულტურული უწყების) ცენტრალიზებული ბუხპალტერიების ფუნქციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მომსახურებულ დაწესებულება-ორგანიზაციების ხარჯთესხათა შესრულების აღრიცხვა-ანგარიშგებას კომპლექსური მექანიზაციით. ამიტომ გაერთიანებული ცენტრალიზებული ბუხპალტერია ცალკეულ სააღრიცხვო-საკონტროლო ჯგუფებს სააღრიცხვო-საანგარიშგებო დოკუმენტაციით უწყებრივად (დარგობრივად) უზრუნველყოფს მათი თავისებურებათა გათვალისწინებით. ამასთან ერთად, იგი ამყარებს ბუხპალტრული აღრიცხვის ერთიან ორგანიზაციას პირველადი აღრიცხვის უნიფიცირებული ფორმებითა და სააღრიცხვო ინფორმაციის კოდირების ერთიანი სისტემით კონკრეტული პარამეტრების გათვალისწინებით.

გაერთიანებულმა ცენტრალიზებულმა ბუხპალტერიებმა თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკით აღჭურვილი გამსხვილებული დანადგარების საშუალებით უნდა უზრუნველყონ ბიუჯეტური აღრიცხვის ეფექტურობის ამაღლების ღონისძიებათა შესრულება და, პირველ რიგში, გაერთიანებული სააღრიცხვო პროცესების ტექნოლოგიის სრულყოფა, რაც ხშირ შემთხვევაში ფერხდება გამოთვლითი ტექნიკისა და დისტანციური გადაცემების საშუალებათა დაბალი კონცენტრაციის გამო.

მართვის ავტომატიზებულ ქვესისტემაში (ცენტრალიზებულ ქვესისტემაში), ელექტრონული გამომთვლელი მანქანების საშუალებით წარმოებს პირველადი ინფორმაციის გადამუშავება, ციფრობრივი მონაცემების ავტომატური გამოთვლა, დაჯგუფება, დაჯამება, სხვადასხვა რთული გაანგარიშებების, საკონტროლო ცხრილების და სხვ. შედგენა, რაც აღრიცხვისა და კონტროლის მუშაკებს, ერთი მხრივ, ათავისუფლებს ხელით შესასრულებელი შრომატევადი სამუშაოების წარმოებიდან, მეორე მხრივ უზრუნველყოფს ისეთი რთული უტყუარი საანალიზო ცხრილების შედგენას, რაც აადვილებს ფინანსურ-მეურნეობრივი საქმიანობის კომპლექსური შემოწმებისა და ეკონომიკური ანალიზის ჩატარებას. ამასთან ერთად, მხედველობაშია მისაღები, რომ ეგმ თავისი ტექნიკური თვისებებით საიმედოდ უზრუნველყოფს აღრიცხვისა და კონტროლის მაღალ დონეს. ინფორმაციის ბუხპალტრული დამუშავების ტექნოლოგია ითვალისწინებს დაშვებული შეცდომების აღმოჩენასა და შესწორებას, მაგრამ ამ პირობებშიც კი ხდება საჭირო კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც საყვებით უზრუნველყოფს ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიური პროგრამების რაციონალურ გამოყენებას მათი ეფექტურობის გადიდებისა და ზუსტი სააღრიცხვო-საკონტროლო გამოსავალი საშედეგო ინფორ-

მაციის მისაღებად. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი გარემოება; თუ მართვის ავტომატიზებულ აღრიცხვისა და კონტროლის ქვესისტემას არა აქვს თავისი ელექტრონული გამომთვლელი მანქანები, მაშინ სააღრიცხვო-ანალიზურ, საკონტროლო და სარევიზიო სამუშაოთა მექანიზაცია და შესაძლებელი ავტომატიზაცია უნდა განხორციელდეს კოლექტიური სარგებლობის ჯგუფურ გამოთვლით ცენტრში. ინფორმაციის მექანიზაციის ასეთმა ორგანიზაციამ ერთდროულად უნდა უზრუნველყოს ავტომატიზებული მართვის ქვესისტემის გარეშე დარჩენილი საწარმო-დაწესებულებებისა და მთლიანად მოცემული სამინისტროს აღრიცხვის და კონტროლის ოპერაციებისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის სხვა პროცესების მექანიზაციის მაღალი დონე და ავტომატიზებული მართვის საერთო სისტემის ამოქმედების წინა პირობები.

სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის მექანიზაციის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მის ყველაზე უფრო სრულყოფილ ფორმას ჯგუფური მომსახურების გამომთვლელ მანქანათა დანადგარები წარმოადგენენ, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე იმყოფებიან და სააღრიცხვო-ეკონომიკური, აგრეთვე სახარჯთესხო ბიუჯეტური ინფორმაციის დამუშავებას ხელშეკრულებათა საწყისებზე აწარმოებენ. ჯგუფურ გამომთვლელ მანქანათა დანადგარების უპირატესობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო სტატისტიკური სამმართველოს სისტემის გამოთვლითი ცენტრებისა და გამომთვლელ რაიონულ მანქანათა დანადგარების მეშვეობით მექანიზებულია ბიუჯეტურ დაწესებულებათა ხელფასის, კვების პროდუქტების, მშობელთა გადასახდელების და სხვა ფინანსურ-გაანგარიშებათა აღრიცხვა.

სხრ კავშირში მთლიანად საბიუჯეტო აღრიცხვის ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის შედეგად მიღწეული შრომითი დანახარჯების შემცირების და დიდი ეკონომიკური ეფექტის მიუხედავად, მოკავშირე რესპუბლიკებშიც მაინც არსებობს მისი შემდგომი გაფართოების მთელი რიგი ხელის შემშლელი მიზეზები. ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში (და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც) ხარჯთესხების შესრულების აღრიცხვის მექანიზაცია ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების მქონე საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და საბიუჯეტო დაწესებულებებში ძირითადად ხორციელდება სახელმწიფო-ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებსა და სხვა მმართველობის ორგანოების (სამინისტროებისა და უწყებების) დაქვემდებარების გამომთვლელ მანქანათა დანადგარების მეშვეობით, რომლებიც თავისთავად ვერ უზრუნველყოფენ სააღრიცხვო ეკონომიკური და ფინანსურ-ბიუჯეტური ინფორმაციის კომპლექსურ მექანიზაციას. მაგალითად, უკრაინის სსრ-ში მოქმედი 859 ცენტრალიზებული ბუხჰალტერიდან

საანგარიშო მანქანათა დანადგარების მომსახურებით მხოლოდ 369 სარგებლობს, ბელორუსიის სსრ-ში სამეურნეო ორგანიზაციების მოქმედი 85 ცენტრალიზებული ბუხპალტერიიდან — 35, საქართველოს სსრ-ში მოქმედი 190 ორგანიზაცია-საწარმოს და 1302 საბიუჯეტო დაწესებულებების ცენტრალიზებული ბუხპალტერიიდან აღრიცხვის მექანიზაცია გატარებულია 251 ცენტრალიზებულ ბუხპალტერიაში, მათ შორის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სისტემის საანგარიშო მანქანათა სადგურების მომსახურებით უზრუნველყოფილია 197 ცენტრალიზებული ბუხპალტერია¹¹. ამასთან, ცენტრალიზებულ ბუხპალტერიაში მექანიზებულია მხოლოდ ცალკეული სახის სამუშაოები, უმეტესად კი შრომისა და ხელფასის აღრიცხვა, მაგრამ ამ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია ხასიათდება მთელი რიგი ხარვეზებით (შეცდომები ხელფასის დარიცხვაში, გადასახადებისა და გადასახდელის დაკავებაში და სხვა, რომელიც ხშირად 10—15%-ს აღემატება). მიუხედავად ამისა, აღრიცხვის კომპლექსური მექანიზაცია გაერთიანებული ანგარიშწარმოების პირობებში გარკვეულ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა.

საქართველოს სსრ საფინანსო ორგანოებსა და ბიუჯეტურ დაწესებულებებში არსებული გამოთვლითი ტექნიკის სრული დატვირთვისა და სააღრიცხვო-ეკონომიკურ სამუშაოთა მანქანური წარმოების რაციონალური ტექნოლოგიის დანერგვის საშუალებით შეიძლება მკვეთრად ავამაღლოთ საბიუჯეტო აღრიცხვის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ეფექტურობა.

გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების პირობებში სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის მანქანური დამუშავების პირდაპირი ეფექტურობა განისაზღვრება ისეთ ძირითად მაჩვენებლებში, როგორცაა მმართველობითი აპარატის შენახვის ხარჯების შემცირება; სააღრიცხვო-გამოთვლითი სამუშაოების თვითღირებულების შემცირება; მმართველობითი აპარატის მუშაკთა შრომის ნაყოფიერების გადიდება; სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების შრომატევადობის შემცირება. მხედველობაში მიიღება, აგრეთვე, გამოთვლითი ტექნიკით აღჭურვილობისა და მექანიზაციის ღონის მაჩვენებლები და სხვა.

სააღრიცხვო-გამოთვლითი სამუშაოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ეფექტურობის განსაზღვრა შეიძლება როგორც ცალკეულ სამუშაოთა სახეების, ისე მთლიანად შესრულებულ სამუშაოთა მო-

¹¹ შ. ბურდული. სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების სრულყოფის პრობლემები სოფლის მეურნეობის საწარმოებსა და ბიუჯეტურ დაწესებულებებში, თბ., 1977, გვ. 75.

ცულობის მიხედვით, არა მარტო ხელითა და მანქანებით შესრულებულ სამუშაოთა წარმოების ნორმა-საათებისა და სხვა მაჩვენებლების ურთიერთშედარების, არამედ სხვა ტიპისა და წარმადობის მანქანებით შესრულებულ ცალკეულ სამუშაოთა გარკვეული მაჩვენებლების (გამომუშავების ნორმა-საათების, შრომატევადობის საათების) ურთიერთშედარების საფუძველზე შედეგების გამოვლენის გზითაც. ამ შემთხვევაში ეფექტურობის გაანგარიშება წარმოებს მანქანურ შესრულებაზე გადაყვანილი ცალკეული საინფორმაციო პარაცედურის მიხედვით. ერთდროულად განისაზღვრება პირველადი (ოპერატიული) ინფორმაციის შეგროვების რეგისტრაციისა და საინფორმაციო ცენტრში გადაცემის და მათი ინფორმაციის მატარებლებზე ასახვის ეფექტურობა. ამიტომ სხვადასხვა სახისა და წარმადობის გამომთვლელი მანქანებისა და გადამცემი ტექნიკური საშუალებების გამოყენების შედეგების გამოვლინება მიზანშეწონილია ეკონომიკური ეფექტიანობის განზოგადებული მაჩვენებლების საშუალებით. ასეთი მაჩვენებლების ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის დანერგვის ეფექტურობის მაჩვენებლები. ამ შემთხვევაში გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების საშუალო ეფექტურობის (ე) კოეფიციენტის განსაზღვრა ხდება სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის დანერგვის ეფექტურობისა და კაპიტალური დაბანდების ეფექტურობის კოეფიციენტების გამოანგარიშების ანალოგიურად:

$$ე = \frac{L_1 - L_0}{K_1 - K_0}$$

სადაც L_0 — ღირებულება (ნორმატიული) შესრულებული გამოთვლითი სამუშაოებისა და საბაზისო დონის ტექნიკით წლის განმავლობაში.

L_1 — ღირებულება ექსპლუატაციაში მიღებული ახალი ტექნიკით წლის განმავლობაში შესრულებული გამოთვლითი სამუშაოებისა;

K_0 — კაპიტალური დანახარჯები ძველ ტექნიკაზე;

K_1 — კაპიტალური დანახარჯები ახალ ტექნიკაზე.

ასეთი ფორმულის გამოყენებით შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა სახისა და წარმადობის გამომთვლელი მანქანებით განხორციელებული გამოთვლითი სამუშაოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ეფექტიანობა და მანქანების გამოყენების ყველაზე უფრო რაციონალური ტექნოლოგია.

ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებზე საადრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგია მოითხოვს მონაცემთა ტექნიკური დამუშავების წინასწარ დაწვრილებით ალგორითმიზაციასა

და პროგრამირებას, ე. ი. დეტალური განაწესის შედგენას შესავალი ინფორმაციის მანქანის დამამახსოვრებელ უჯრედებში მოსათავსებლად. ეს უკანასკნელი აპრობებს ინფორმაციის დამუშავების პროცესების ტექნოლოგიასა და გამოთვლათა შედეგების საჭირო ფორმებში მიღებას. ალგორითმიზაციის სისრულესა და სისწორეზე და პროგრამის სიზუსტეზე დიდადაა დამოკიდებული შესრულებულ სააღრიცხვო-ეკონომიკურ სამუშაოთა სისრულე და უტყუარობა, სწრაფმოქმედი ელექტრონული ტექნიკის ეფექტურობა¹².

ფინანსურ-ბიუჯეტური ინფორმაციის დამუშავების ეფექტურობის ამაღლებისა და მაქსიმალური მექანიზაციის და ავტომატიზაციისათვის საჭიროა საანგარიშო კლავიშთან და პერფორაციულ მანქანებთან ერთად გამოყენებულ იქნეს „ეს“ ტიპის ელექტრონული გამომთვლელი მანქანები.

ჩვენი რესპუბლიკის საფინანსო სისტემაში არსებული საანგარიშო-ტექნიკურ საშუალებათა დონე საფინანსო ორგანოების მართვის ავტომატიზებულ ქვესისტემებზე გადაყვანის საშუალებას იძლევა „ეს, ეგმ“ ბაზაზე უწყებრივ გამომთვლელ მანქანათა დანადგარებისა და გამომთვლელი ცენტრების ჩამოყალიბების საფუძველზე (რესპუბლიკურ და ავტონომიურ-რესპუბლიკურ ფინანსთა სამინისტროებთან).

იმ საბიუჯეტო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ცენტრალიზებული ბუხპალტერიებისათვის, რომლებიც სტატისტიკურ სამმართველოს სისტემის რმდ და რგმდ მომსახურების ზონაში არ იმყოფებიან, ორგანიზებული უნდა იქნეს საერთო მომსახურების (ჯგუფური) საუწყებათაშორისო გამომთვლელი ცენტრები, რომლებიც იმუშავენ ხელშეკრულებათა საწყისებზე და უზრუნველყოფენ სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ეფექტურობის მაღალ დონეს „ეგმ“ გამოყენების საფუძველზე.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ფინანსურ-ბიუჯეტური და სააღრიცხვო-ეკონომიკურ სამუშაოთა შრომატევადობის დაახლოებით 55—60%-ს შეადგენს პირველადი აღრიცხვა და ოპერატიულ გადაწყვეტილებათა შემუშავება. ამიტომ მათი მექანიზაცია და ავტომატიზაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა მართვის ავტომატიზებულ ქვესისტემებში. ამ პრობლემათა გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია სააღრიცხვო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია. ამ დარგის სპეციალისტების აზრით პირველად აღრიცხვაში შეიძლება გამოვეყნოთ ორი საფეხური, რომლებიც ხასიათდებიან თავისებურებებით და მოითხოვენ მექანიზაციის შესაბამის საშუალებებს.

¹² შ. ბურდული, სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების ორგანიზაცია..., თბ., 1979, გვ. 52.

პირველ საფეხურზე წარმოებს მეურნეობრივი ოპერაციების და მოვლენების რაოდენობრივი მონაცემების მიღება (გამოანგარიშებები და გამოთვლები), მეორე საფეხურზე კი მონაცემების რეგისტრაცია და გაფორმება-შენახვა (ჩაწერა და პერფორაცია).

პირველადი აღრიცხვის სამუშაოთა 30—35%-ს შეადგენს გაანგარიშებისა და გამოთვლის ოპერაციები, ე. ი. მონაცემების მიღებასთან დაკავშირებული სამუშაოები... ამ ოპერაციების აღრიცხვის მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის იყენებენ სხვადასხვა სისტემის საიმპულსო მიმწოდებლებს... საზომ ხელსაწყოებს ან სხვა გამომთვლელ საშუალებებს და ასე მიღებული ინფორმაცია ავტომატურად გადაეცემა აღრიცხვის მექანიზაციის ცენტრს.

ცენტრალიზებული დისტანციური სისტემის საშუალებით ინფორმაციის გადაცემის დროს ყველა პირველადი ინფორმაცია კოდირებული ფორმით იწერება პერფობარათებზე, პერფოლენტებზე, საიდანაც მონაცემები ან უშუალოდ გადაეცემა ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებს, ან წინასწარ გადაიწერება პერფოლენტებიდან პერფობარათებზე (ან პერფოლენტებიდან და პერფობარათებიდან მაგნიტურ ლენტაზე) იმისდა მიხედვით, თუ როგორია მანქანაზე მონაცემების გადამცემა მოწყობილობის სისტემა.

პირველადი ინფორმაციის გამოთვლით ცენტრში დამუშავების შემდეგ მიღებული ოპერატიული მაჩვენებლები უკუმიმქცევი და მაკავშირებელი არხების მეშვეობით უშუალოდ გადაეცემა მომხმარებელს.

პირველადი ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების სრულყოფის მიზნით მკაფიოდ უნდა განსხვავდებოდეს ერთიმეორისაგან მიმწოდებლისა და მომხმარებლის ფუნქციები, ამჟამად ხშირია შემთხვევა, როცა აღრიცხვის მექანიზაციის ცენტრიდან ნახევრად დამუშავებული დოკუმენტები ეგზავნება (უკან უბრუნდება) მიმწოდებელს მისი დამატებითი დამუშავების ან მის საფუძველზე სხვადასხვა საჭირო ცნობების მისაღებად. ასეთი ტენდენცია უნდა შეიცვალოს დოკუმენტების სრულყოფილად დამუშავების გზით უშუალოდ აღრიცხვის მექანიზაციის ცენტრში.

მართვის ავტომატიზებული სისტემის მოქმედების პირობებში, რაც უფრო სწრაფად და სათანადოდ იქნება მიწოდებული ინფორმაცია მის მომხმარებელზე, მით უფრო ოპერატიულად, სწრაფად და ზუსტად შემუშავდება მართვის ღონისძიება. ამით განისაზღვრება ინფორმაციის მიღების, გადაცემისა და დამუშავების მექანიზაციის რაციონალური ორგანიზაციის როლი.

საფინანსო ორგანოების ბიუჯეტურ-ფინანსური და სააღრიცხვო-საშედეგო ინფორმაციის დამუშავების კომპლექსური მექანიზაცია და

ავტომატიზაცია მას-ის ქვესისტემის ეკონომიკურ-ტექნოლოგიური და სამუშაო პროცესების, აგრეთვე სისტემის რაციონალური საინფორმაციო უზრუნველყოფის დაპროექტებას მოითხოვს, რომელიც სპეციალური საპროექტო ორგანიზაციების მიერ უნდა განხორციელდეს ფინანსთა სამინისტროების დაკვეთითა და მათი უშუალო მონაწილეობით. ადგილობრივ საფინანსო ორგანოებში უნდა დამუშავდეს სინთეზური და ანალიზური ანგარიშების კოდიფიკატორი. საფინანსო ორგანოს ხარჯთესხის შესრულების ბუხპალტრული აღრიცხვის კოდიფიკატორი პრაქტიკულად შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: ა) ბუხპალტრული აღრიცხვის პირველი და მეორე რიგის ანგარიშთა კოდი, ბ) მასალებისა და ძირითადი საშუალებების საგნობრივი აღრიცხვის კოდი, გ) საანგარიშსწორებო ანგარიშების ანალიზური აღრიცხვის კოდი, დ) ხარჯთესხების მუხლებისა და პარაგრაფების კოდი.

ანგარიშებს დებეტის ნიშნით ჩვეულებრივად აკუთვნებენ კოდებს 00-დან 49-მდე, ხოლო კრედიტის ნიშნით პირიქით, 49-დან 00-მდე. თითოეული ანგარიშვალდებული პირისათვის საფინანსო ორგანოსთან ურთიერთობაში მყოფი ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს ანგარიშვალდებული პირის გვარის, ორგანიზაცია-დაწესებულების სახელწოდების შემცველი რიგითი ნომერი (დაწესებული პირველიდან). პირებისა და ორგანიზაციების რაოდენობასთან დამოკიდებულებით, ცალკეულ პირს, ჯგუფს ან ორგანიზაციას შეიძლება მიეკუთვნოს ორციფრიანი კოდი. ყოველი კოდი უნდა იყოს ზუსტი, ნათლად უჩვენებდეს საგნის დასახელებას, მასალის ან ძირითადი საშუალებების სახეობას, ანგარიშვალდებული პირის გვარს, ორგანიზაციას, განყოფილებას და ა. შ.

კოდიფიკატორების გარდა უნდა შემუშავდეს საბუთბრუნვის ტიპური გეგმა-გრაფიკი საფინანსო ორგანოებისა და საინფორმაციო გამოთვლით ცენტრს შორის საბუთების მოძრაობაზე. საბუთბრუნვის სწორი ორგანიზაციის პირობებში, საინფორმაციო ცენტრის მიერ მომსახურებულ საფინანსო ორგანოებში პირველადი საბუთების ზუსტი გაფორმება და წარდგენის ვადების დაცვა უზრუნველყოფს ბიუჯეტურ-ფინანსური ოპერაციების ზუსტ დამუშავებასა და ანგარიშებში სწორად ასახვას, რაც მექანიზებული აღრიცხვის ხარისხს აამაღლებს.

სსრ. კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული მეთოდური მითითებები ფინანსების მართვის ავტომატიზებულ სისტემებში აღრიცხვის ორგანიზაციის შესახებ არ ითვალისწინებს აღრიცხვის მუშაკთა შორის შრომის ფუნქციურ განაწილებას, ამიტომ ობიექტური აუცილებლობა იქმნება მართვის ავტომატიზებული ქვესისტემის პროექტით დადგინდეს საინფორმაციო გამოთვლით ცენტრთან საფინანსო ორგანოების სათანადო თანამდებობრივი და მატერიალური პასუხის-

მგებელი პირების დამოკიდებულება, განისაზღვროს მათი მოვალეობა და საბუთბრუნვის ტიპური გეგმების შესაბამისად განაწილდეს ვალდებულებები საფინანსო ორგანოს აღრიცხვის და საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრის ოპერატიულ მუშაკთა შორის.

მართვის ავტომატიზებული ქვესისტემის საინფორმაციო უზრუნველყოფის დაპროექტების რაციონალური ორგანიზაცია მდგომარეობს ისეთი ოპტიმალურ ტექნიკურ-ორგანიზაციული პირობების შექმნაში, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დამუშავების მაღალ ხარისხს და ამის საფუძველზე მთლიანად მართვის ავტომატიზებული ქვესისტემის ეფექტურობას.

ინფორმაცია მართვის ყოველგვარი სისტემის აუცილებელი და უცვლელი კომპონენტია. მართვის ობიექტების მოცულობა განსაზღვრავს ინფორმაციის სხვადასხვა სახეობას.

დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის დაყოფას მუდმივ და ცვალებად ინფორმაციად, რომელიც ხორციელდება უშუალოდ ან მარეგულირებელი კოეფიციენტებით. ამისათვის არსებობს ამ კოეფიციენტთა გაანგარიშების სპეციალური მეთოდოლოგია. მუდმივი და ცვალებადი ინფორმაციის შესწავლა იძლევა ისეთ ფართო მასალას, რომლის საფუძველზეც დადებითად წყდება ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების რთული საკითხები.

რამდენადაც მართვის ავტომატიზებული ქვესისტემის ყველა სტრუქტურული ელემენტი მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია ინფორმაციის დამუშავებასთან ან წარმოადგენენ მონაცემთა მასივებს, ისინი გვევლინებიან დამუშავების პროცესის სტრუქტურულ ელემენტებად.

სამუშაო პროცესის დაპროექტებისა და აღწერის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია მათი დაყოფა ოთხ მსხვილ კომპლექსად: 1. მონაცემთა ხელით დამუშავება ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანისათვის ინფორმაციის მომზადების ჩათვლით. 2. დირექტიული, განკარგულებითი, საკონტროლო-სააღრიცხვო დოკუმენტაციის სისტემატიზაცია და ავტომატიზებული დამუშავების სისტემაზე გადაცემა. 3. მონაცემთა დამუშავების ავტომატიზებული სისტემა ინფორმაციის მომზადებისა და ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებზე დამუშავების ჩათვლით. 4. მონაცემთა ავტომატიზებული დამუშავებით მანქანური დოკუმენტების (მაშინოგრაფების, ტაბულოგრაფების და სხვა) გამომუშავება ცალკეული (მომსახურებელი) ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეულებისათვის მართვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

მართვის ავტომატიზებული სისტემის მკიდრო კავშირი თავის დაქვემდებარების ორგანიზაციულ-სტრუქტურულ ერთეულებთან ზემდგომი და ქვემდგომი საფინანსო ორგანოების დამახასიათებელი მარ-

ათვითი ინფორმაციის მიზნობრივი გამოყენების მაღალ დონესა და ოპერატიული კონტროლის რაციონალურ ორგანიზაციას უზრუნველყოფს.

ზემოთ განხილული მასალიდან ჩანს, რომ აღრიცხვისა და კონტროლის კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პრობლემა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ მიზანს ყველა დონის მართვის ავტომატიზებულ სისტემაში.

მართვის ავტომატიზებული სისტემათა სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ ის შედგება ფუნქციური ქვესისტემებისაგან, რომელიც მართვის ავტომატიზებული სისტემის რაიმე ნიშნით გამოყოფილი ნაწილია, მაგრამ თავისთავად წარმოადგენს ლოკალურ დამოუკიდებელ სისტემას. ასეთებია, მაგალითად, კონტროლისა და რევიზიის ქვესისტემა, რომელიც კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის მართვის ავტომატიზებულ სისტემად შეიძლება გაიყოს.

სახალხო მეურნეობაში საერთოდ სხვადასხვა დონის და კერძოდ, რესპუბლიკური მასშტაბის მართვის ავტომატიზებული სისტემების ორგანიზაცია ახალი შემოქმედებითი საქმეა, დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელეებთან, ამიტომ ის შაბლონურად ვერ გავრცელდება. არსებობს სხვადასხვა შეხედულებანი დიდი მასშტაბის მართვის ავტომატიზებული სისტემების ამოცანების შესახებ, მაგრამ პირველი ამოცანა მაინც ის არის, რომ უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის მართვითი პროცესების მაღალი ორგანიზაცია და სამეურნეო საქმიანობისა და მასში მომხდარი ყველა პროცესის იდეალური აღრიცხვა და კონტროლი.

ჩვენს ქვეყანაში კონტროლის დანიშნულებაა სისტემატურად ამოწმოს პარტიისა და მთავრობის დირექტივების, სახელმწიფო გეგმების, ზღვამძვანელ ორგანოთა კანონებისა და გადაწყვეტილებების შესრულება. მისი მთავარი შინაარსი გამოიხატება სოციალისტური საკუთრების დაცვის, მატერიალური, შრომითი, ფინანსური რესურსებისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფაში.

სკკპ და საბჭოთა მთავრობა სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობის ყველა ეტაპზე ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდნენ ბიუჯეტურ-ფინანსურ კონტროლს. ბიუჯეტურ-ფინანსური კონტროლის, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ მარქსისტული მოძღვრებისა და სოციალისტური სახალხო მეურნეობის ორგანიზაციის ნაწილის დახასიათებისას ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა კონტროლის მნიშვნელობას და მოითხოვდა „უმკაცრეს კონტროლს საზოგადოების მხრივაც და სახელმწიფოს მხრივაც შრომის ზომაზე და მოხმარების ზომაზე“¹³.

დასკვნა

ა. ცენტრალიზებულ ბუხჰალტერიაში სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების ხარისხის გაუმჯობესება და მისი ეფექტურობის ამაღლება დამოკიდებულია აღრიცხვის მექანიზაციის დონეზე, აღრიცხვის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების შემოღებაზე, უფრო მეტად კი მთლიანად საბიუჯეტო აღრიცხვის რაციონალურ ორგანიზაციაზე და იმ ნაკლოვანებათა გამოსწორებაზე, რაც მას კიდევ ახასიათებს. საბიუჯეტო აღრიცხვა ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების, კერძოდ მრეწველობის ბუხჰალტრულ აღრიცხვას ანგარიშწარმოების მოწინავე ფორმების გამოყენებაში, სააღრიცხვო სამუშაოების მექანიზაციაში, აღრიცხვის მეთოდოლოგიის გაუმჯობესებაში და სხვა.

როცა ლაპარაკია საბიუჯეტო აღრიცხვის ნაკლოვან მხარეებზე, პირველ ყოვლისა, უნდა შევეხოთ საბიუჯეტო აღრიცხვის ორგანიზაციასა და სტრუქტურას, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის ხარვეზებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საბიუჯეტო კლასიფიკაციას, რომელიც ბიუჯეტის ჩამოყალიბების ფორმას წარმოადგენს და განსაზღვრავს მისი აღრიცხვის სტრუქტურას.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის საშუალებით დგინდება მტკიცე ნომენკლატურა და ხორციელდება ერთსახოვანი შემოსავლებისა და ხარჯების დაჯგუფება როგორც ბიუჯეტში, ისე საბიუჯეტო დოკუმენტაციაში: ხარჯთნუსხაში, შემოსავალ-გასავლის ბალანსში, შემოსავლისა და გასავლის გაანგარიშებაში. გარდა ამისა, საბიუჯეტო კლასიფიკაცია ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზის წარმოების, წლების ბიუჯეტების მონაცემთა ურთიერთშედარების, საანგარიშგებო წელს ბიუჯეტის მოსალოდნელი შესრულების განსაზღვრის, ბიუჯეტის მონაცემთა ურთიერთშედარებისა და საანგარიშგებო წელს ბიუჯეტის შემოსავლების თანაფარდობის გამორკვევის შესაძლებლობას იძლევა.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეშვეობით ხორციელდება კონტროლი ბიუჯეტისა და ხარჯთნუსხების შესრულებაზე, როგორც ხელისუფლე-

ბისა და სახელმწიფო მმართველობის (ბიუჯეტების შესრულების შესახებ მათ მიერ ანგარიშგების განხილვისა და დამტკიცების დროს), ისე საფინანსო ორგანოების მხრივ (დაფინანსების, ხარჯთნუსხებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგებათა შემოწმების ან რევიზიის მოწყობის დროს). საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოკლე განმარტებიდან ჩანს, რომ მის საფუძველზე დგება ანგარიშთა გეგმები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროცესთან დაკავშირებული სამეურნეო ოპერაციების თანმიმდევრული აღრიცხვა და ანგარიშგების მონაცემები.

ჩვენს ქვეყანაში აღრიცხვა-ანგარიშგების ერთიანობის პრინციპი მოითხოვს ანგარიშთა ერთიანობასაც. ამის შესაბამისად, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა ბუხჰალტრული აღრიცხვის ანგარიშთა ერთიანი გეგმები სახელმწიფო ბიუჯეტისა და საბიუჯეტო დაწესებულება-ორგანიზაციების საფინანსო-მეურნეობრივი საქმიანობის აღსარიცხავად.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარე აღრიცხვის ანგარიშთა გეგმები, როგორც წესი, ერთიმეორესთან უშუალო კავშირშია და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის ერთ მთლიან ანგარიშთა გეგმას ქმნის.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაში მონაწილე ცალკეული სისტემის ორგანოების ანგარიშთა გეგმა მტკიცე მეცნიერულ საფუძველზეა აგებული და ასახავს მის საფინანსო-მეურნეობრივ საქმიანობას. ბიუჯეტისა და ხარჯთნუსხების შესრულების ანგარიშთა გეგმების აგების ძირითადი ეკონომიკური პრინციპი შეესაბამება ბიუჯეტის შესრულების ყველა რეალურად მოქმედი პროცესის ასახვას ანგარიშწარმოების „ქურნალ-მთავრული“ ფორმის პირობებში.

ბუხჰალტრული აღრიცხვის ქურნალ-მთავრულ, მემორიალ-ორდერულ და ქურნალ-ორდერულ ფორმებთან შედარებით ანგარიშწარმოების პერფორმირებული ფორმა ყველაზე რაციონალურია. აღრიცხვის ამ ფორმის უპირატესობა მეტად დიდია. იგი მკვეთრად ამალღებს აღრიცხვის მუშაკთა შრომის მწარმოებლურობას, ამცირებს სააღრიცხვო სამუშაოთა შრომატევადობას, ამოკლებს ანგარიშგების შედგენის ვადებს, იძლევა ქალაქის ეკონომიას და სხვ.

1951 წლიდან ჩვენს ქვეყანაში იწყება მაღალი მწარმოებლურობის საანგარიშო მანქანების — ელექტრონულ-გამომთვლელი დანადგარების წარმოება. ამჟამად ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ საწარმოებში ახორციელებენ აღრიცხვის ყველა სახის სამუშაოთა კომპლექსურ მექანიზაციას. ეს პროცესი მოითხოვს აღრიცხვის ახალ ტექნოლოგიას. ისე როგორც ანგარიშწარმოების ხელით შრომის პირობებში, აღრიცხვის ქურნალ-მთავრული, მემორიალ-ორდერული თუ ქურნალ-ორდერული

ფორმები დაიხვეწა და განვითარდა, აღრიცხვის მექანიზაციის პირობებშიც შეიქმნა ანგარიშწარმოების თავისებური ფორმები, რომლებიც თანდათანობით ვრცელდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მთელ რიგ საწარმოებში საანგარიშო-პერფორაციული მანქანების საშუალებით დაინერგა ბუნძ-პალტრული აღრიცხვის მექანიზებული ფორმა, რომელიც პერფორბართული ფორმის სახელწოდებით არის ცნობილი. ამ ფორმით ანგარიშწარმოების ტექნოლოგიური პროცესები, აღრიცხვის რეგისტრები თავიანთი სტრუქტურით, გარეგნული სახით და ფორმით პრინციპულად განსხვავდებიან აღრიცხვის ჟურნალ-მთავრული, მემორიალ-ორდერული და ჟურნალ-ორდერული ფორმებით დაწესებული რეგისტრები-საგან.

სააღრიცხვო მონაცემების დამუშავების თანამედროვე ორგანიზაცია უზრუნველყოფს ოპერატიული, ბუხპალტრულ და სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემების კონცენტრაციას მათი დამუშავების ცენტრალიზაციისა და მექანიზაციის ბაზაზე. აღრიცხვის ასეთი სისტემა წარმოადგენს სახალხო მეურნეობრივი აღრიცხვის ინფორმაციის ინტეგრარული დამუშავების ორგანიზაციულ-ტექნიკურ ფორმას.

მართვის ავტომატიზებული სისტემების შექმნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV, XXV, XXVI და XXVII ყრილობების გადაწყვეტილებათა ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს. მაგალითად, XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში მითითებულია, რომ „გავაჩაღოთ მუშაობა დარგების, ტერიტორიული ორგანიზაციების, გაერთიანებების, საწარმოების დაგეგმვისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების შექმნისა და დანერგვისათვის, ამასთან, მხედველობაში ვიქონიოთ, რომ შემდგომში შეეკმნათ ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების საერთო-სახელმწიფო ავტომატიზებული სისტემა აღრიცხვის, დაგეგმვისა და სახალხო მეურნეობის მართვისათვის გამოთვლითი ცენტრების სახელმწიფო ქსელისა და ჩვენი ქვეყნის კავშირგაბმულობის ერთიანი ავტომატიზებული ქსელის ბაზაზე... ფართოდ დავნერგოთ საწარმოებში ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემები“¹.

სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის. მათი პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, სადაც პირდაპირ არის მითითებული, რომ, ...„სამეცნიერო-კვლევითი საპრო-

¹ სკკ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 373.

ექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, უმაღლესი სასწავლებლები ჩაებან მოსახლეობისათვის საჭირო ახალ სახეობათა საქონლის შექმნისა და მისი ხარისხის ძირეული გაუმჯობესების მუშაობაში;

აწირმონ კოოპერაციულ საწყისებზე მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებები. ხელის, ნაკლებკვალიფიციური შრომის გამოყენების შესამცირებლად, ერთობლივად შეიძინონ და ექსპლოატაცია გაუწიონ, აგრეთვე ...შექმნან კოლექტიური სარგებლობის გამოთვლითი ცენტრები, გაერთიანებული სალაბორატორიო-საექსპერიმენტო სამეცნიერო და საკონსტრუქტორო სამსახურები რამდენიმე საწარმოსა და ორგანიზაციის საჭიროებისათვის“².

ამ ღონისძიებათა გატარება ხელს შეუწყობს გვ-ში თავმოყრილი გამოთვლითი ტექნიკის საშუალო სადღეღამისო დატვირთვის შემდგომ ამაღლებას, გაადიდებს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას.

სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების ბუხჩალტრული აღრიცხვის მოწინავე პრაქტიკა მოწმობს, რომ არსებობს მმართველობის აპარატის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამუშაო უბნის — ანგარიშწარმოების გამარტივებისა და გაიაფების შესაძლებლობა.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ასეთ ღონისძიებას წარმოადგენს აღრიცხვის რაციონალური მექანიზაცია, რომელიც აღრიცხვის ცენტრალიზაციის საფუძველზე უნდა მოეწყოს. მაგრამ, ცენტრალიზებულ ბუხჩალტერიაში უნდა დაინერგოს არა მხოლოდ სააღრიცხვო სამუშაოთა ერთი რომელიმე შრომატევადი უბნის მექანიზაცია, არამედ კომპლექსურად უნდა მოიცვას გაერთიანებული ანგარიშწარმოების ყველა უბანი (ე. ი. უნდა გატარდეს შრომისა და ხელფასის, მატერიალურ ფასეულობათა, წარმოების დანახარჯების, პროდუქციის რეალიზაციის და ყველა სხვა სააღრიცხვო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია).

სააღრიცხვო-ეკონომიკური მუშაობის მარტო ერთი უბნის, ვთქვათ, შრომისა და ხელფასის ან მხოლოდ ხელფასის აღრიცხვის მექანიზაცია, რაც დამახასიათებელია გამოთვლითი დანადგარების მოქმედების ზონებში განლაგებული ბიუჯეტური დაწესებულებებისა და სოფლის მეურნეობის საწარმოებისათვის, ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს მმართველობის საერთო ხარჯებში სააღრიცხვო-ეკონომიკურ სამუშაოთა წარმოების ხარჯების შემცირებას. ამას ადასტურებს რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის ცენტრალიზებულ ბუხჩალტერიაში ორგანიზებული ხელფასის აღრიცხვის მექანიზაციის პრაქტიკა. როგორც ცნობილია, ცენტრალიზებულ აღრიცხვას დეცენტრალიზებულიდან შედარებით საგრძნობი უპირატესობა აქვს. გაერთიანებული ბუხჩალტერიების მუშაობის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ აღრიცხვის

² „კომუნისტი“, 31 ივლისი, 1986, № 175.

ცენტრალიზაციის პირობებში მნიშვნელოვნად მაღლდება აღრიცხვა-ანგარიშგების ხარისხი, ძლიერდება კონტროლი წარმოების ხარჯებზე, მცირდება მატერიალური და ფულადი საშუალებების უყარათოდ გამოყენების შემთხვევები. ამასთან, ცენტრალიზაცია ქმნის აღრიცხვის მექანიზაციისა და ანგარიშწარმოების მოწინავე ფორმების გამოყენების მეტ შესაძლებლობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ფართო მექანიზაციის საშუალებანი მხოლოდ ცალკეულ ცენტრალიზებულ ბუხპალტერიაში თუ ინერგება და მას ჯერ კიდევ მასობრივი გავრცელების ხასიათი არა აქვს.

აღრიცხვის ცენტრალიზაცია წარმოადგენს არა მარტო ანგარიშ-წარმოების მაღალი ორგანიზაციის საშუალებას, არამედ საწარმო-ორგანიზაციათა ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების შემცირების საშუალებასაც. აღრიცხვის ცენტრალიზაცია უზრუნველყოფს აღრიცხვის მუშაების გამოთავისუფლებას და, ამასთან დაკავშირებით, ამ კატეგორიის მუშაების ხელფასის ფონდში ეკონომიას შრომის მწარმოებლურობის ამაღლების საფუძველზე.

აღრიცხვის ცენტრალიზაცია ხელს უწყობს აღრიცხვის ერთიანი ტიპური ფორმების დანერგვას, ანგარიშწარმოების პროგრესული მეთოდების, ფორმებისა და რაციონალური რეგისტრების გამოყენებას. ანგარიშწარმოების ცენტრალიზაციის გარეშე პერფორაციული საანგარიშო მანქანებისა და, მით უმეტეს, ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენება უმნიშვნელო ეკონომიკურ ეფექტს იძლევა. ამეამად სამეურნეო ორგანიზაციების ცენტრალიზებულ ბუხპალტერიას ემსახურება მაღალი წარზადობის საანგარიშო მანქანებით აღჭურვილი გამოთვლითი დანადგარი ან აღრიცხვის მექანიზაციის სხვა ორგანიზაცია, რომლებსაც დასამუშავებელი სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის ისეთი რაოდენობა სჭირდება, რაც უზრუნველყოფს პერფორაციული და ელექტრონული გამომთვლელი მანქანების სრულ დატვირთვას. დასამუშავებელი ინფორმაციის ასეთი სიუხვე მხოლოდ აღრიცხვის ცენტრალიზაციის პირობებში იქმნება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ცალკეული დარგების საანგარიშო გამომთვლელი მანქანების პარკებს ჯერ კიდევ არარაციონალურად იყენებენ. აღრიცხვის მექანიზაციის შესახებ არსებული საანგარიშგებო მასალების ანალიზით ირკვევა, რომ გამოთვლითი მანქანა-დანადგარების უმრავლესობა ერთ ცვლაზე მუშაობს, მათი მომსახურების ღირებულება ჯერ კიდევ მაღალია. ასეთ ვითარებაში ცენტრალიზებული ბუხპალტერიაები გაუზრდიან აღრიცხვის მექანიზაციის დანერგვას ჭკუფური გამოთვლითი დანადგარების მეშვეობით ხელშეკრულებათა საფუძველზე, რაც, რასაკვირველია, გავლენას ახდენს აღრიცხვის მექანიზაციის დონეზე. მაგრამ აღრიცხვის მექანიზაციის საშუალებების უფრო ეფექ-

ტიან გამოყენებას ხელს უშლის აგრეთვე წვრილი ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების არსებობა. აღრიცხვის მექანიზაციის დონის ასამაღლებლად მიზანშეწონილია აგრეთვე წვრილი ცენტრალიზებული ბუხჰალტერიების გამსხვილება და სხვა ეფექტური ღონისძიებების გატარება გამოთვლითი ტექნიკის სრული დატვირთვისა და რაციონალური გამოყენებისათვის.

გასულ წლებთან შედარებით საქართველოს სსრ გამოთვლით ცენტრებში დახარჯულ ყოველ 100 ათას საათში ეკონომიკური სააღრიცხვო სამუშაოების სტრუქტურა-მოცულობა საგრძნობლად ვაუმჯობესდა. ამჟამად ყოველი 100 ათასი საათიდან ყველაზე მეტი დრო ხნარჩება შრომისა და ხელფასის აღრიცხვის მექანიზაციაზე. სააღრიცხვო ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების სრულყოფისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების სადღეისო, გადაუდებელი ამოცანაა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვა. ავტომატიზაციამ უნდა მოიცვას სააღრიცხვო-საგეგმო ინფორმაციის დამუშავების მთელი პროცესი, რასაც წარმატებით უზრუნველყოფს ორგანიზაციული მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს:

1. ეგმ-ის სწრაფი მოქმედების ზრდას;
2. ინფორმაციის შენახვის შესაძლებლობის გაფართოებას ეგმ-ში;
3. ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიის გამარტივებას;
4. მანქანური კონტროლისა და მიღებული შედეგის უტყუარობის საიმედოობის გაზრდას და სხვ.

საწყისი ინფორმაციის (მონაცემების) შეტანა ეგმ-ში და დამუშავებული ინფორმაციის მიღება მანქანიდან უაღრესად მნიშვნელოვანი, შრომატევადი და მეტად რთული ტექნოლოგიური პროცესებია, რომლებიც ამჟამად ხორციელდება შემდეგი ხუთი ჯგუფის მოწყობილობით:

1. პერფორატების შემტან-გამომტანი მოწყობილობა;
2. ანბანურ-ციფრული და ციფრული მბეჭდავი მოწყობილობა;
3. ტექსტის საბეჭდი მანქანა;
4. გრაფიკული შემტან-გამომტანი მოწყობილობა.

ამჟამად ინფორმაციის მანქანაში შეყვანისათვის გამოიყენება პერფორატები და პერფოლენტები. მაგალითად, პერფორატში, რომელსაც 80 დანაყოფი აქვს, ერთი ან ორი ხვრეტილის გაკეთებით შეიძლება ციფრის ან ასოს, ან გარკვეული სპეციალური სიმბოლოს გამოხატვა. პერფორატებზე ასეთი ხვრეტილების საშუალებით შეიძლება მანქანაში ინფორმაციის 80 ერთეულის, ანუ ბაიტის შეტანა, როგორც მას უწოდებენ გამოთვლით ტექნიკაში.

ე. ი. ინფორმაციის ელემენტალურ ერთეულს გამომთვლელ მანქანაში წარმოადგენს ბაიტი. როგორც აღვნიშნეთ, ეს შეიძლება იყოს რიცხვი, ასო, სიმბოლო, ნიშანი და სხვა, რომელიც მანქანაში შეიტანება პერფორირებული პერფორატორების ინფორმაციის შემტან მოწყობილობებში ჩაწყობით.

ასეთივე ოპერაციები სრულდება, ასეთივე ტექნოლოგიური პროცესებით, ინფორმაციის მოსათავსებლად პერფორენტებზე. პერფორენტებზე ხვრეტილების გაკეთება და ინფორმაციის მანქანაში შეტანა პერფორატორების მომზადებისა და გამოყენების ანალოგიურია.

ინფორმაციის ყველაზე გავრცელებული გამომტანი მოწყობილობა ამჟამად არის ანბანურ-ციფრული ავტომატური საბეჭდი მოწყობილობა. ამ მოწყობილობის სისწრაფე, ისევე როგორც შემტანი მოწყობილობისა (პერფორატორებისა და პერფორენტების მომზადების თვალსაზრისით)³, ჭრკვრობით მაინც დაბალია, ვიდრე მანქანის ოპერატიული და გარემოწყობილობის სისწრაფე და საერთოდ ეგმ-ს შესაძლებლობანი ინფორმაციის დამუშავების სისწრაფეში.

მართვის ავტომატიზებული სისტემის პრაქტიკაში ფართო გავრცელება მიიღო ე. წ. ტერმინალურმა მოწყობილობამ, რომელიც ტელეარხების მეშვეობით ამყარებს ორმხრივ კავშირს ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანასა და ეკონომისტების, ბუხალტრების და სხვა მუშაკების სამუშაო ადგილებს შორის. ასეთი მოწყობილობის არსებობის პირობებში სათანადო უბნის მუშაკებს ეგმ-ს უშუალო გამოყენების შესაძლებლობას აძლევს; სახელდობრ, „მათ შეუძლიათ კოდირების გარეშე შეიყვანონ დასამუშავებელი ინფორმაცია მანქანაში თავიანთი კლავიშის პულტის საშუალებით და მიიღონ პასუხი ეგმ-დან ტელეკრანზე. მანქანა არა მარტო ეკრანზე ასახავს პასუხს, არამედ დოკუმენტშიც უკეთებს მას ფიქსირებას. ერთი თანამედროვე ეგმ-ს, რომელიც ე. წ. „დროის დანაწილებით“ რეჟიმზე მუშაობს, შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ასეული ორმხრივი კავშირის მოწყობილობა.

მეორე თაობის „მინსკის ტიპის“ ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენება მართვის ავტომატიზებული სისტემის პირო-

³ ინფორმაციის პერფორატორზე გადატანის სისწრაფე არის რამდენიმე ბაიტი წამში. ერთ ოპერატორს პერფორატორზე შეუძლია საათში დაამზადოს მხოლოდ 100 პერფორატორი.

⁴ დაწერილობით იხ. შრომები — Китянова З. В., Трусов А. Д. Бухгалтерский учет в условиях АСУП, М., 1974, с. 33—42; Ратмиров Ю. А. Механизированный учет в системе управления, М., 1971, с. 23—28; Бурдулл Ш. И. Обработка информации в условиях АСУП сельского хозяйства, Тбилиси, 1977.

ბებში ამაღლებს ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავების დონეს ასკოტას კლასის კლავიშთან და პერფორაციულ გამომთვლელ მანქანასთან შედარებით, ამასთან, ეგმ უზრუნველყოფს, სინთეზური და ანალიზური უწყისების გამოშვებასთან ერთად, მათ მაგნიტურ ლენტებზე ჩაწერას შემდგომი გამოყენებისათვის ხელის შრომის გარეშე, აჩქარებს გამოთვლითი სამუშაოების შესრულებას. ერთგვაროვან სააღრიცხვო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის საფუძველზე ახორციელებს სინთეზურ და ანალიზურ აღრიცხვას და ბალანსებისა და სათანადო საანგარიშგებო ფორმების შედგენას. მაგრამ სხვადასხვა სისტემისა და უწყების ბიუჯეტური დაწესებულება-ორგანიზაციის მექანიზაცია და ავტომატიზაცია სააღრიცხვო-ფინანსური ინფორმაციის დიდი სირთულის მოცულობისა და შრომატევადობის გამო, საჭიროებს კონსტრუქტიულად უფრო სრულყოფილი, ინტეგრალური სქემის მქონე მესამე თაობის ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებს. სხვადასხვა დანიშნულებისა და ფუნქციების მქონე ბიუჯეტურ დაწესებულებათა ხარჯთესხების შესრულების ცენტრალიზებულ აღრიცხვა-ანგარიშგების ამოცანათა გადაწყვეტა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მესამე თაობის ამ ტიპის ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენების პირობებში. ეს მანქანები წარმოადგენენ ინტეგრალური სქემით დაპროექტებულ დიდი წარმადობის ტიპურ უნივერსალურ, ელექტრონული გამომთვლელი მანქანების კომპლექსს⁵. „ეს“ ტიპის ეგმ გამოყენების პირობებში ნებისმიერი მართვის ავტომატიზებული სისტემა ფუნქციონირების თვალსაზრისით სამ ძირითად მოქმედებას უნდა ასრულებდეს:

1. დაქვემდებარებული ობიექტების შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება და გადაცემა;

2. ინფორმაციული ნაკადების გადამუშავება;

3. დაქვემდებარებული ობიექტებისათვის საჭირო მმართველობითი ზესამოქმედო ინფორმაციის შემუშავება და მიწოდება.

ერთმანეთისაგან განსხვავდება ორი სახის მართვის ავტომატიზებული სისტემა — ტექნოლოგიური და ორგანიზაციული. აქედან, ცხადია, რომ პირველი ახორციელებს ტექნოლოგიური პროცესის მართვას, მეორე კი ეკონომიკურ-სოციალურ, საგეგმო-სააღრიცხვო და

⁵ მაღალი წარმადობა, ინფორმაციის მისაწოდებელი და გამოსავალი მოწყობილობის ფართო ნომენკლატურა და სხვ. უზრუნველყოფს შიში უნივერსალური გამოყენების პირობებს ყველა დანიშნულების მას-ში. „ეს“ ტიპის ეგმ, რომელიც სოციალისტური მეგობრობის საწყისებზე შეიქმნა სსრ კავშირისა და სხვა დემოკრატიული ქვეყნების მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების ურთიერთგაზიარების საწყისებზე, შვიდი გამომთვლელი მანქანისაგან შედგება: ეს-1010, 1020, 1020ა, 1030ა, 1040, 1050, 1060.

სხვა მართვითი ამოცანების გადაწყვეტას. ამჟამად, ორგანიზაციული მართვის სისტემები იქმნება უკვე მეორე და მესამე თაობის ელექტრონული გამომთვლელი მანქანების ბაზაზე, რომლებიც უარესად დიდი წარმადობისაა და სხვა დამახასიათებელი თვისებების გამო, სოციალურ-ეკონომიური მრავალფეროვანი ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო ინფორმაციის შეგროვების, გადაცემისა და გადამუშავების ყველა პირობას ქმნიან. ორგანიზაციული მართვის ავტომატიზებული სისტემის ფუნქციონირებაში გარკვეული როლი ენიჭება ინფორმაციის შეგროვებისა და გადაცემის „ელექტრონულ სისტემას“.

ყველა დონის, მასშტაბისა და დანიშნულების (წარმოების, დარგობრივი, უწყებრივი და სხვ.) მართვის ავტომატიზებული სისტემა „...გარეგნულად იგივე ნიშნებით ხასიათდება, რომლებიც განსაზღვრავენ მონაცემთა დამუშავების ელექტრონული სისტემის არსს. ისევე, როგორც მონაცემთა დამუშავების ელექტრონულ სისტემაში, მართვის ავტომატიზებულ სისტემაშიც ყალიბდება ნორმატიულ-საცნობარო და სტატისტიკური ბაზა, მთელი ინფორმაცია მართვის ორგანოსა და წარმოებას შორის გაივლის ელექტრონულ გამომთვლელ მანქანაში. ამასთანავე მართვის ავტომატიზებულ სისტემებს აქვს საკუთარი სპეციფიკური ნიშნები, რაც იმაში გამოიხატება, რომ ელექტრონული მანქანა ერთეობა არა მხოლოდ მონაცემების შენახვისა და დამუშავების დროს, არამედ გადაწყვეტილების მიღების დროსაც. ამრიგად, მართვის ავტომატიზებულ სისტემაში მთელი პროცესი, ინფორმაციის შეგროვებიდან გადაწყვეტილების მიღებამდე, სრულდება ელექტრონული გამომთვლელი მანქანების და სხვა ტექნიკური საშუალებების დახმარებით“...⁶.

ამჟამად საბჭოთა კავშირში მუშავდება სახალხო მეურნეობის აღრიცხვის, დაგეგმვის და მართვის, ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების საერთო სახელმწიფოებრივი ავტომატიზებული სისტემა, რომელსაც საფუძვლად დაედება ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანური ტექნიკა და კავშირგაბმულობის საშუალებები. საერთო სახელმწიფოებრივმა ავტომატიზებულმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს საკავშირო, რესპუბლიკური და უწყებათა მმართველობის აპარატი (ხელმძღვანელობა) აუცილებელი ინფორმაციით, აღრიცხვის, დაგეგმვის, მმართველობის ამოცანების გადასაწყვეტად.

უკანასკნელ წლებში ინტენსიური მუშაობა გაიშალა ორგანიზაციული მართვის სპეციალიზებული ავტომატიზებული სისტემების შესაქმნელად. ამ პროგრესულ ღონისძიებას საფუძვლად ედება მათემატიკური მეთოდების დანერგვა, მეორე-მესამე თაობის ელექტრონულ-

⁶ Модин А. А. Автоматизированные системы управления, М., 1973, с. 7.

გამოთვლითი და სხვა საანგარიშო ტექნიკის გამოყენება, ასევე პირველადი სააღრიცხვო კავშირგაბმულობისა და დისტანციური გადაცემის საშუალებები. მართვის ავტომატიზებული სისტემები უზრუნველყოფენ ორგანიზაციული მართვის ყველა შრომატევადი ფუნქციის ავტომატიზაციას.

ორგანიზაციული მართვის ავტომატიზებული სისტემის ერთ-ერთ ძირითად ქვესისტემას წარმოადგენს „ბუხჰალტრული აღრიცხვა“ ცენტრალიზებული ბუხჰალტერიის სახით. მართვის ავტომატიზებული სისტემის ფართო პროგრამის განხორციელება მოითხოვს არსებული ელექტრონულ გამოთვლელი მანქანების რაციონალურ გამოყენებას, მანქანების მათემატიკური პროგრამირების გაუმჯობესებას და ა. შ. მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონულ-გამოთვლელი და სხვა გამოთვლითი ეფექტური ტექნიკური საშუალებები სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების პროცესის ყველა სტადიაზე არაა გამოყენებული, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია იმ ოპერაციათა რიცხვი, რომელიც ხელით სრულდება.

ნაკლოვანებები, რომლებიც შეიმჩნევა უკვე მოქმედი მართვის ავტომატიზებული სისტემის ზემოაღნიშნული ქვესისტემის მუშაობაში, იმითაც აიხსნება, რომ მათ დანერგვას წინ არ უსწრებს აღრიცხვისა და სხვა ეკონომიკური სამსახურების ინფორმაციის დამუშავების ცენტრალიზაცია და კომპლექსური მექანიზაცია.

პირველად შექმნილი მართვის ავტომატიზებული სისტემის დაპროექტებისა და ექსპლოატაციის პრაქტიკული გამოცდილება მთელი სიცხადით მეტყველებს აგრეთვე ეკონომიკური ინფორმაციის სისტემაში ბუხჰალტრული და ოპერატიული აღრიცხვის ადგილის, დანიშნულებისა და როლის ღრმა შესწავლის აუცილებლობაზე.

ავტომატიზებული სისტემების დაგეგმვისა და აღრიცხვის ქვესისტემების საქმიანობის გაოცდილება გვიჩვენებს, რომ ეგმ გამოყენებით შესაძლებელი ხდება საგეგმო და სააღრიცხვო-საკონტროლო ინფორმაციის პირველადი მონაცემების შეკრება-გადაცემის და შემდგომი დამუშავება-გამოშვების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. აღნიშნული ქვესისტემების მუშაობის ორგანიზაცია უზრუნველყოფს მართვის ავტომატიზებული სისტემისადმი დაქვემდებარებულ ყველა დაწესებულება-ორგანიზაციისა თუ საწარმოს სააღრიცხვო, საგეგმო და საანგარიშსწორებო მაჩვენებლებს დიდი ნაწილის კომპლექსურ მექანიზაციასა და ნაწილობრივ ავტომატიზაციას პირველი, მეორე და მესამე თაობის ელექტრონული გამოთვლელი მანქანებით.

მართვის ავტომატიზებულ სისტემებსა თუ მის ცალკეულ ქვესისტემებში მოქმედი ელექტრონული გამოთვლელი მანქანების მუშაობის უპირატესობასა და მაღალ დატვირთვაზე მიუთითებს აგრეთვე

ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედი და ასამოქმედებელი მართვის ავტომატიზებული სისტემების ელექტრონული გამოთვლელი მანქანების მუშაობის შედეგები, საიდანაც ჩანს, რომ ელექტრონულ გამოთვლელ მანქანებს უფრო ეფექტურად იყენებენ ასამოქმედებელი მართვის ავტომატიზებული სისტემების ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის დამამუშავებელ გამოთვლით ცენტრებში. მათ შორის: აგროსამრეწველო კომიტეტის, საქ. სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, სახელმწიფო ბანკის რესპუბლიკური კანტორის, საავიაციო ქარხნის; ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს და სხვათა გამოთვლითი ცენტრები.

ზემოაღნიშნული გამოთვლითი ცენტრების ეგმ-ის საშუალო სადღეღამისო დატვირთვა ყოველთვის აღემატება ნორმატიულს.

გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს მათი მუშაობა კომპლექსური ექსპლოატაციის საწყისებზე, რაც რამდენიმე ელექტრონული გამოთვლელი მანქანის კომპლექსური გაერთიანების საფუძველზე უნდა განხორციელდეს დისტანციური კავშირების მოწყობილობებით მათი აღჭურვის ბაზაზე. მართვის ავტომატიზებული სისტემების თანამედროვე მოთხოვნათა პირობებში ელექტრონული გამოთვლელი მანქანების კოლექტიური გამოყენება აამაღლებს მათ საშუალო სადღეღამისო დატვირთვას.

გამოთვლითი ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გამოთვლითი ცენტრებისა თუ სხვა ორგანიზაციული ფორმის გამოთვლითი დანადგარების ოპერატიულ მუშაებს დიდ დახმარებას გაუწევდა მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება, სამაშულო თუ საზღვარგარეთული გამოთვლითი ტექნიკის ეფექტური გამოყენების სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის მანქანური დამამუშავების ტექნოლოგიური პროცესების გაცნობა. „ახლა, როდესაც სსრ კავშირში იქმნება ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემა აღრიცხვის, დაგეგმვისა და მართვის ინფორმაციის დასამუშავებლად, უნარო იქნებოდა უარგვეყო მდიდარი გამოცდილება მრავალი პრინციპული ტექნიკური გადაწყვეტილებით, რომელიც საზღვარგარეთულ გამოთვლით ქსელში გამოიყენება“⁷.

ამშ-ში, ინგლისში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საფრანგეთსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში ბოლო დროს ფართოდ

⁷ Бердина Г., Голосов О., Чернин Е. Вычислительные системы для обработки учетной информации, М., 1977, с. 7.

გავრცელდა სპეციალიზებული კომერციული კოლექტიური გამოყენების გამოთვლითი ცენტრები, რომლებიც აღჭურვილი არიან მესამე და მეოთხე თაობის ეგმ-თან ერთად, ე. წ. „მინი“ ელექტრონული გამომთვლელი მანქანებით. ისინი ასრულებენ უმთავრესად სააღრიცხვო-ეკონომიკურ სამუშაოებს. მათ შორის, კლიენტთა უმრავლესობისათვის ახორციელებენ შრომისა და ხელფასის გამოთვლასა და აღრიცხვას, პროდუქციის რეალიზაციის აღრიცხვასა და მიღებული შედეგების ანალიზს; ამუშავენ გასანაღდებლად წარმოადგენილ და განაღდებულ ანგარიშებს. აწარმოებენ ფინანსურ და საანგარიშსწორებო ოპერაციებს, ასრულებენ აგრეთვე ფირმათა სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის საანალიზო და სხვა რთულ ეკონომიკურ ამოცანებს.

გამომთვლელი მანქანების ეფექტურობის ასამაღლებლად საზღვარგარეთ ბევრი გამოთვლითი ცენტრი მიმართავს მანქანების იჯარით გაცემას, რაც გამომთვლელი მანქანების სრული დატვირთვისათვის რაციონალურ საშუალებას წარმოადგენს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ელექტრონული გამომთვლელი მანქანებით სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების ღირებულება აშშ-ში წუთში შეადგენს 1 დოლარს, სსრ კავშირის უმსხვილეს გამოთვლით ცენტრებში კი საშუალოდ 50 კაპიკს არ აღემატება.

ეს იმაზე მეტყველებს, რომ დიდი წარმატებებია მიღწეული ჩვენი სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების აღრიცხვის მექანიზაციში⁸.

წარმოების სპეციალიზაციისა და დასამუშავებელი ინფორმაციის მოცულობის მიხედვით კაპიტალისტური ქვეყნების სპეციალური ფირმები აღრიცხვის მექანიზაციის ტექნოლოგიის სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ, მაგრამ დამახასიათებელი მაინც ისაა, რომ ელექტრონული გამომთვლელი მანქანები წარმოადგენენ ინტეგრალური აღრიცხვის ორგანიზაციის, მისი ფორმისა და შინაარსის განსაზღვრულ ფაქტორს. ამჟამად აღრიცხვის მექანიზაციის სრულყოფა მიმდინარეობს გამომთვლელ-მანქანურ საშუალებათა ტექნიკური პარამეტრების შეთავსებით აღრიცხვის ფორმებთან ერთი მხრივ და მექანიზაციის მოთხოვნათა შესაბამისად — მეორე მხრივ.

მეორე და მესამე თაობის მცირე და დიდი ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოშვების შემდეგ, სამოციან და შემდგომ წლებში, საზღვარგარეთული სააღრიცხვო ფირმების პრაქტიკაში ფართოდ გავრცელდა ისეთი სისტემები, რომლებიც აღრიცხვის ყველა ეტაპის კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას ითვალისწინებდა.

⁸ შ. ბურდული, სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების ორგანიზაცია... თბ., 1977, გვ. 48—50.

აშშ-ში მოქმედი თითქმის ყველა გამოთვლითი დანადგარი აწარმოებს ხელფასის დარიცხვის, მასალების აღრიცხვის, რეალიზაციის აღრიცხვისა და ანალიზის, პროდუქციის გასაღების ხარჯების აღრიცხვისა და ანალიზის და ბუხალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგებასა და ანალიზთან დაკავშირებული სხვა ოპერაციების მექანიზებულ აღრიცხვას, რაც ეგმ-ით შესრულებულ სამუშაოთა ტექნოლოგიურ პროცესში მონაცემთა დამუშავების იდეალურ სისწორესა და საიმედოობას ვერ უზრუნველყოფს, მაგრამ აღრიცხვისა და ანგარიშგების კომპლექსური მექანიზაციის საჭირო დონეს ტექნიკური პროგრესის მოთხოვნათა შესაბამისად ინტეგრაციის საწყისებზე აკმაყოფილებს.

იმასაგან დამოუკიდებლად, იცვლება თუ არა ეგმ-ის ზეგავლენით (აღრიცხვის) ორგანიზაციული სტრუქტურა, უდავოდ რჩება ის ფაქტი, რომ ბუხალტრული აღრიცხვა მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. აქედან ცხადია, რომ «გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, გავლენას ახდენს აღრიცხვის, კონტროლისა და რევიზიის ორგანიზაციაზე»⁹.

ბ. სოციალისტური მეურნეობის მართვაში კონტროლის გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კონტროლის საშუალებით სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები სისტემატურად აღევენებენ თვალყურს დაქვემდებარებულ საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას მათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლინებისა და აღმოფხვრის, აგრეთვე შიგარეზერვების უკეთ გამოყენების მიზნით.

საწარმოო დავალებათა შესრულების, მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების სისწორის და სხვ. კონტროლის გზით სახელმწიფო ახორციელებს მეურნეობრივ-ორგანიზატორულ ფუნქციას.

კონტროლი დიდ როლს ასრულებს სახელმწიფო აპარატისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებაში. ამ ამოცანის შესასრულებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფინანსურ კონტროლს. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები ახორციელებენ კონტროლს საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა დროულად შესრულებაზე, კერძოდ, ბრუნვის გადასახადის, ძირითადი ფონდების გადასახდელების, ფიქსირებული რენტის, მოგების თავისუფალი ნაშთის შესატანების და ბიუჯეტში სხვა გადასახდელების სრულად და თავისდროულად ჩარიცხვაზე, აგრეთვე ბიუჯეტებით გათვალისწინებული ხარჯების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე.

⁹ Нарисбаев Ю. Н. Организация Бухгалтерского учета в США, М., 1979, с. 117—118.

მნიშვნელოვან საკონტროლო მუშაობას ახორციელებენ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროების საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოები და მათი ორგანოები ადგილებზე. მათ ეკისრებათ კონტროლი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე, ბიუჯეტური სახსრების სწორად და მიზნობრივ გამოყენებაზე, აგრეთვე საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ საფინანსო დისციპლინის დაცვაზე.

კონტროლი საალრიცხვო პროცესის დამამთავრებელი სტადიაა, ამიტომ შესამოწმებელი ობიექტის რეალური მდგომარეობის დადგენა და მისი მართვის შემდგომი სრულყოფისათვის სწორი გადაწყვეტილების მიღება შიგამეურნეობრივი კონტროლის მეშვეობით ხორციელდება. შიგამეურნეობრივი კონტროლის ეფექტიანობაზე და მოკიდებული მიღებული გადაწყვეტილებების ქმედითობა და მათი შესრულების დროულობა.

კონტროლი საერთოდ, და შიგამეურნეობრივი კონტროლი კერძოდ, მართვის ის ფუნქციაა, რომლის საშუალებით ხდება სხვა დანარჩენი ფუნქციების რეგულირება. ამიტომ რა ფორმითაც არ უნდა მოქმედებდეს იგი, ყოველთვის იძლევა რეკომენდაციებს წარმოების ეკონომიკური მართვის გასაუმჯობესებლად. კონტროლის პროცესში შეგროვებული ოპერატიული ინფორმაცია გადაწყვეტილებათა შესრულების გადახრების შესახებ გამოიყენება მართვის რეგულირების ფუნქციის განსახორციელებლად.

საკონტროლო ოპერატიულ ინფორმაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეურნეობის ეკონომიკურ მართვაში. საერთოდ მართვისა და კერძოდ ეკონომიკური მართვის ობიექტებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინსტრუქციების, დირექტივების, ბრძანებებ-განკარგულებების, მართვითი მითითებებისა და ცალკეულ შემსრულებლებზე (განყოფილებაზე, საამქროზე, რგოლზე, ჯგუფზე, ცალკეულ პირებზე) გაცემულ საგეგმო დავალებათა შესრულებას. ამიტომ მართვის პროცესში წინასწარი და შემდგომი კონტროლის ძირითად ფუნქციებს სწორედ ამ მართვადი ობიექტების დავალებათა შესრულების შემოწმება წარმოადგენს, რაც შიგამეურნეობრივი კონტროლის საფუძველზე ხორციელდება შესამოწმებელი ობიექტების ეკონომიკური სამსახურების მეშვეობით.

ფინანსების დაგეგმვას და ყოველგვარ ფინანსურ გაანგარიშებას საფუძვლად უდევს საწარმოს მეურნეობრივ-წარმოებრივი საქმიანობა, ამიტომ საგეგმო, საწარმო, მომარაგების, გასაღებისა და სხვა სათანადო განყოფილებისა და ეკონომიკური სამსახურის მუშაობა გარკვეული ზომით დამოკიდებულია წარმოების ფინანსებთან, ეს კი მათ

მუშაობაში საფინანსო განყოფილებების უშუალო მონაწილეობასა და ურთიერთშეთანხმებულობას მოითხოვს შიგა და გარეკავშირებისა და უკუკავშირების დამყარების საშუალებით გამოთვლითი ტექნიკის ფართო გამოყენების ბაზაზე.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის მოთხოვნათა შესაბამისად, სამეურნეო ანგარიშობის განვითარებისა და ეკონომიკური სტიმულირების გაძლიერების ახალ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოგებას, რენტაბელობას, პროდუქციის რეალიზაციას, ე. ი. იმ მაჩვენებლებს, რომლებიც საწარმოს ფინანსური სამსახურის ყურადღების ცენტრშია და ყოველდღიურ კონტროლს ექვემდებარება.

თავის მხრივ სააღრიცხვო-საკონტროლო ჯგუფებისა და ფინანსური სამსახურის საკონტროლო მუშაობის მთელი რიგი საკითხები ეკონომიკური მნიშვნელობით პირდაპირ დაკავშირებულია საგეგმო განყოფილების (სამსახურის, ჯგუფების) საქმიანობასთან.

საგეგმო განყოფილება მონაწილეობს ძირითადი და საბრუნავი ფონდების მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა დამუშავებაში. ახორციელებს კონტროლს საამქროების მიერ თვიურ, კვარტალურ და წლიურ დავალებათა შესრულებაზე ეკონომიკურ-ტექნიკური მაჩვენებლების მიხედვით. ასეთი კონტროლი ხელს უწყობს მუშაობის რიტმულობას, პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებას და უზრუნველყოფს საწარმოს რენტაბელურ მუშაობას.

საგეგმო განყოფილება უზრუნველყოფს მეურნეობრივი საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის სამუშაოთა ორგანიზაციას, და, რაც მთავარია, იგი ახორციელებს კონტროლს მმართველობის სათანადო განყოფილებებისა და სამსახურების მიერ შედგენილ სხვადასხვა ფინანსურ-ეკონომიკურ და ტექნიკური მაჩვენებლების გეგმურ გაანგარიშებათა სისწორეზე.

სააღრიცხვო-საკონტროლო ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების მონაცემების ეგმ-ში ერთჯერადი შეყვანისა და მრავალჯერადი გამოყენების პრინციპის დაცვა ხორციელდება სათანადო პრაგმატით, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ ქვეპროგრამებს:

მიმდინარე ინფორმაციის დამუშავებისა და აღრიცხვის რეგისტრებისა და მაგნიტურ მატარებლებში დაშვებული შეცდომების გამასწორებელი ქვეპროგრამა;

საჭირო მაშინოგრაფების (მანქანური რეგისტრების — ტაბულგრაფების) ფორმირებისა და გამოშვების, აგრეთვე ყოველდღიური

მანქანური მონაცემებისა და გამოსავალი ცნობების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა¹⁰.

ეკონომიკური მართვის სისტემა კონტროლის ისეთ რაციონალურ ორგანიზაციას მოითხოვს, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოო და სამეურნეო-საფინანსო გეგმების შესრულების რაციონალურ ორგანიზაციას, დირექტივების, ბრძანება-განკარგულებების ვადაზე და მაღალხარისხოვნად შესრულებას და საჭირო კორექტივების დროულად შეტანას საგეგმო დავალებათა შესრულების პროცესში წარმოქმნილ ცვლილებათა შესაბამისად.

საწარმოთა მუშაობის, მათ მიერ გეგმების შესრულებაზე კონტროლის და ყოველმხრივი შემოწმების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა მათი სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი. ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მისი მთავარი ამოცანა იმაშია, რომ ხელი შეუწყოს მუშაობის ახალი სისტემაზე გადაყვანილ სოციალისტური საწარმოებისა და საბჭოთა და საზოგადოებრივი მეურნეობების საგეგმო დავალებების წარმატებით შესრულებას.

ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს დაგეგმვის სრულყოფის საქმეში. ის თავს უყრის იმ შემოწმებულ მაჩვენებლებს, რომელიც აუცილებელია მომავალი წლიური და პერსპექტიული გეგმებს შესადგენად. ამასთან, მისი ერთ-ერთი ამოცანაა გეგმის რეალობის დადგენა მასში ასახული ყველა მაჩვენებლის შემოწმების საფუძველზე. ანალიზს ექვემდებარება აგრეთვე გასული პერიოდის მასალა. გასული პერიოდის საქმიანობის შესწავლისა და გამოკვლევის საფუძველზე ხდება საწარმოს შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების დასახვა. აქედან ჩანს, რომ ანალიზი საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის შემოწმების აქტუალურ საშუალებას წარმოადგენს.

გ. სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის დამახასიათებელი თვისებაა გეგმის შესრულების სისტემატური, ოპერატიული შემოწმება ყველა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლის მიხედვით.

სოციალისტურ საწარმოთა მუშაობის დამახასიათებელი ყველა მაჩვენებელი ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ერთ ჯგუფს მიეკუთვნება რაოდენობრივი მაჩვენებლები, მეორეს — ხარისხობრივი. თავის მხრივ ხარისხობრივი მაჩვენებლებიც ორ ჯგუფად იყოფა: ტექნიკურ-ეკონომიკურ და წმინდა ეკონომიკურ-ხარისხობრივ მაჩვენებლებად. ამ უკანასკნელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომის ნაყოფიერებას, პროდუქციის თვითღირებულებას, რენტაბელობას,

¹⁰ გ. ჩოგოვაძე, მართვის ავტომატიზებული სისტემების აგების საფუძველი, თბ., 1981, გვ. 157—158.

ფულადი სახსრებისა და მატერიალური საშუალებების ბრუნვადობას და სხვ.

ანალიზმა თავისი ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით უნდა უზრუნველყოს აღნიშნულ მაჩვენებელთა ყველა მონაცემის მიღება. ამ მაჩვენებელთა შესრულებაზე მოქმედი დადებითი და უარყოფითი ფაქტორების განსაზღვრა. როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, ანალიზმა უნდა გაშალოს, გახსნას, აამეტყველოს „ციფრების ენა“.

საწარმოს მუშაობის, მისი მთლიანი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის თუ ცალკეული უბნის ანალიზის დროს პირველ რიგში უნდა გაირკვეს გეგმის შესრულების შემდეგი საკითხები: 1. როგორ არის შესრულებული გეგმა; 2. როგორია ამა თუ იმ მაჩვენებლების დინამიკა; 3. როგორია მიღებული (დამტკიცებული) გეგმა. აქედან უმთავრესია პირველი, რამდენადაც გეგმის შესრულება საწარმოს ისეთ კრიტერიუმს წარმოადგენს, რომლითაც მისი მუშაობა შეფასდება.

საწარმოს ეკონომიკურ მაჩვენებელთა დინამიკის შესწავლა გულისხმობს საანგარიშგებო პერიოდის ფაქტიური შესრულების მაჩვენებლების დაპირისპირებას წინა პერიოდების ფაქტიური შესრულების მაჩვენებლებთან იმის დასადგენად, თუ რამდენად და რა დადებითი თუ უარყოფითი ფაქტორების ზეგავლენით იცვლება ეს მაჩვენებლები შესადარ პერიოდებში. მიღებული (დამტკიცებული) გეგმის შემოწმება ხდება იმ მოტივით, რომ არ იყოს იგი განგებ შემცირებული მისი ადვილად შესრულებისა და გადაჭარბების მიზნით,

ანალიზით უნდა დადგინდეს სწორად იყო თუ არა შედგენილი გეგმა და გათვალისწინებული იყო თუ არა მასში საწარმოს მთელი კოლექტივის შრომითი და მატერიალური შესაძლებლობანი.

საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ანალიზის პროცესი ითვალისწინებს როგორც ბუხჰალტრული აღრიცხვის (ორმაგი ასახვა, ანგარიშთა სისტემა, ბალანსი, ინვენტარიზაცია, შეფასება და კალკულაცია, ანგარიშგება), სტატისტიკის (დაკვირვება, დაჯგუფება, შეფარდებითი საშუალო სიდიდეები, ინდექსები და სხვ.) და მათემატიკის მეთოდებს, ისე თავის საკუთარ მეთოდებსა და ხერხებს. აქედან ცხადია, რომ ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგია არის წესებისა და ხერხების ისეთი სისტემა, რომელიც რაციონალურად უზრუნველყოფს ანალიზის წარმოების ეფექტიანობას.

სხვადასხვა დონის „საწარმოს მუშაობის შესწავლისა და დახასიათების (საანალიზო) მეთოდებს შორის, რომელიც შეეხება ფაქტორების გავლენას, გაზომვას, ძირითადია ერთს გარდა ყველა დანარჩენი განმსაზღვრელი ფაქტორის გავლენის თანმიმდევრობით გამოთიშვის, გა-

მორიცხვის ანუ ელემინირების მეთოდით...¹¹. ამ მეთოდის მიხედვით საწარმო-ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობის ანალიზის დროს, უპირატესად იყენებენ ჯაჭვური ჩასმის, აბსოლუტური სხვაობის, პროცენტების სხვაობის, წინა ფაქტორების მთვლის ხერხებს.

ჯაჭვური ჩასმის ხერხით ფაქტორების გავლენის გაზომებისათვის ჯერ ერთიმეორეს უნდა დაუპირისპირდეს. ორი მაჩვენებელი, გამოსაკვლევი მოვლენის ორი სიდიდე: 1. სადაც ყველა ფაქტორის და, მაშასადამე, მათი ნამრავლის, ე. ი. გამოსაკვლევი მოვლენის მნიშვნელობაც საგეგმოა, 2. სადაც ყველა ფაქტორის მნიშვნელობა და, მაშასადამე მათი ნამრავლის, ე. ი. გამოსაკვლევი მოვლენის მნიშვნელობაც ფაქტიურია. ამ ორი მაჩვენებლის დაპირისპირებით, ე. ი. მეორე ნამრავლისაგან პირველის გამოკლებით, ირკვევა მხოლოდ საერთო გადახრა.

ამის შემდეგ ერთიმეორეს უპირისპირდება ორი ახალი მაჩვენებელი: პირველში უცვლელად მეორდება ის მაჩვენებელი, სადაც ყველა ფაქტორის მნიშვნელობა საგეგმოა, ხოლო მეორე მაჩვენებლად პირველი ფაქტორის საგეგმო მნიშვნელობის ნაცვლად იწერება ფაქტიური მნიშვნელობა, მეორე ფაქტორის მნიშვნელობა კი იგივე რჩება. ასეთი ორი სიდიდის ნამრავლი გვაძლევს ე. წ. შუალედურ მაჩვენებელს. სხვაობა ამ ორ მაჩვენებელს შორის, ე. ი. გამოსაკვლევი მოვლენის შუალედურ მაჩვენებელსა და მის საგეგმო მაჩვენებელს შორის მოგვცემს პირველი ფაქტორის გავლენის სიდიდეს. ასეთივე წესით განისაზღვრება მეორე და მესამე ფაქტორების გავლენა. ამ ხერხის გამოყენებით გაანგარიშებათა შესრულების დროს საჭიროა შემდეგი წესის დაცვა:

1. ფაქტორების გავლენის გამოთიშვა უნდა მოხდეს თანმიმდევრობით;

2. რომელიმე ფაქტორის ერთხელ უკვე შეცვლილი სიდიდე გაანგარიშების მთელ პროცესში მეორეჯერ აღარ იცვლება;

3. როდესაც გამოსაკვლევი მოვლენა ფაქტორების ნამრავლია, მაშინ გაანგარიშებით პროცესში, როგორც ფაქტორის, ისე გამოსაკვლევი მოვლენის ფაქტიურ სიდიდეს უნდა გამოაკლდეს საგეგმო სიდიდე და პლუსი და მინუსი ამის შესაბამისად დაიწეროს;

4. საერთო გადახრა ყველა ფაქტორის გავლენის სიდიდეთა ალგებრული ჯამია და, ამავე დროს, გამოსაკვლევი მოვლენის ფაქტიურ და საგეგმო სიდიდეებს შორის სხვაობა.

¹¹ ნ. დგებუაძე, მ. ბურდული, სოფლის მეურნეობის საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ანალიზი, თბ., 1961, გვ. 16—17.

ე. წ. პროცენტის სხვაობის ხერხის გამოყენების დროს უნდა განსხვავდეს ფაქტორების გავლენა პროცენტულად და აბსოლუტური სიდიდით. პროცენტულად ფაქტორის გავლენის დასადგენად საჭიროა განმსაზღვრელი ფაქტორის მიხედვით გეგმის გადაჭარბების ან ნაკლებსრულების პროცენტის გამრავლება ყველა მის წინა ფაქტორის გეგმის შესრულების პროცენტზე. ხოლო ამ საფუძველზე განმსაზღვრელი ფაქტორების გავლენის აბსოლუტური სიდიდის მისაღებად საკმარისია გამოსაკვლევი მოვლენის საგეგმო სიდიდის გამრავლება გამოსაკვლევი ფაქტორის გავლენის პროცენტზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება სააღრიცხვო და საკონტროლო პროცესების დამუშავების სრულყოფის და ოპერატიული კონტროლის შემდგომი განვითარების საშუალებას იძლევა ავტომატიზაციის საფუძველზე, რაც ხშირ შემთხვევაში ფერხდება საწყისი ინფორმაციის შესაკრები, საზომი, სარეგისტრაციო და გადამცემი (დისტანციური) მოწყობილობის შეუსაბამო მუშაობით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღებით შემოწმებას ექვემდებარება ეგმ-ის ინფორმაციის სტანდარტული დამუშავებისა და სტრუქტურული პროექტის მუშა ნახაზებისა და პროგრამების ურთიერთშესაბამისობა. ეგმ-ის ინფორმაციის დამუშავების დაპროექტებისას დატული უნდა იყოს სამი პირობა: დოკუმენტაციის უნიფიკაცია, ცენტრალიზაცია, ინფორმაციის დამუშავების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. ეს სამივე პირობა იმდენად მკიდროდ აკავშირებს ერთიმეორეს, რომ რომელიმე მათგანის შეუსრულებლობაც კი აქვეითებს ეკონომიკურ ეფექტს.

სააღრიცხვო-საკონტროლო სამუშაოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის აუცილებელია ინფორმაციის ფორმალიზაცია და ცალკეულ სააღრიცხვო-საკონტროლო სამუშაოთა ავტომატიზაციის ინდივიდუალური პროგრამირება. მაგალითად, ანალიზის სფეროში: საწარმოთა საწარმოო პროგრამის შესრულების ანალიზი; შრომის გამოყენებისა და ანაზღაურების ანალიზი; პროდუქციის წარმოებისა და თვითღირებულების ანალიზი; ფულადი სახსრების საანგარიშსწორებო-საკრედიტო ოპერაციების, მოგებისა და რენტაბელობის და ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და სხვ. ყველა ასეთ ამოცანათა შესასრულებლად უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური პროგრამა ეკონომიკური ანალიზის და კონტროლის, მეთოდებისა და ხერხების საფუძველზე. ზემოთ დასახელებულ საანალიზო ამოცანის დამოუკიდებელი გადაწყვეტა დაკავშირებულია დიდ შრომით დანახარჯებთან. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სააღრიცხვო-საკონტროლო ინფორმაციის დამუშავების პროცესების უნიფიკაციას, რომლის ერთ-ერთი საშუალებაა ანალიზისა თუ კონტროლის ცალკეული

ამოცანის გარკვეული ნაწილის ფორმალიზაცია, ანუ მოდიფიკაციური აღწერილობაა. იგი ემყარება კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის თეორიულ საფუძვლებს, წესებსა და ცალკეულ ამოცანათა გადაწყვეტის მეთოდებს და წარმოადგენს არა მარტო მანქანური კონტროლის რაციონალური ორგანიზაციის წინაპირობას, არამედ ეკონომიკური ანალიზის ჩატარების პროცესში ყველა ტიპის გამომთვლელი მანქანის მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობებსაც უზრუნველყოფს.

თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების პირობებში კონტროლი საანალიზო ინფორმაციის დამუშავების პროცესებზე და საშედეგო გამოსავალ ინფორმაციაზე უნდა განხორციელდეს ეგმ-ს მიერ შესასრულებელი ყველა ამოცანის გადაწყვეტის პროგრამირებაზე.

ანალიზის ყველა სახეობა ზუსტად უნდა იყოს გათვალისწინებული ინფორმაციის დამუშავების სისტემის შემუშავების დროს. ამ შემთხვევაში მანქანური კონტროლის ძირითად მიზანს შეადგენს გამოარკვეოს, მუშავდება თუ არა მიღებული სწორი პროგრამული მითითებები, საანალიზო ტაბულაგრამა-ცხრილები, განკარგულებები თუ სხვა ინსტრუქციული, თუ საანალიზო ხასიათის ინფორმაცია გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით.

საკონტროლო მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ფორმას წარმოადგენს დოკუმენტური რევიზია.

დოკუმენტური რევიზიის დროს წარმოებს მეურნეობრივი ოპერაციების მხოლოდ დოკუმენტური და ფაქტიური შემოწმება სოციალისტური საკუთრების დაცვის, ფულადი სახსრების, ფასეულობათა დანაკარგების, გაფლანგვების, დატაცებების ფაქტების დადგენის და ბუხ-პალტრული აღრიცხვის სისწორის შემოწმების მიზნით.

კომპლექსური რევიზიის დროს ხორციელდება საწარმოს, ორგანიზაციის საქმიანობის ყოველმხრივი, კომპლექსური შემოწმება, მისი ეკონომიკის მდგომარეობის, მეურნეობრივი ოპერაციების კანონიერების, მიზანშეწონილობის საფინანსო და სახარჯთაღნუსხო დისციპლინის, პროდუქციის ხარისხის, სახელმწიფო ინტერესების დაცვის შემოწმება.

რევიზიის ამოცანებია: 1) უზრუნველყოს სოციალისტური კანონიერების შესრულება; 2) შეამოწმოს სოციალისტური საკუთრების დაცვა; 3) გამოავლინოს სოციალისტური საკუთრების ხელყოფის ფაქტები; 4) დაადგინოს მატერიალური, ფულადი და შრომითი რესურსების უკანონო, არარაციონალური და დაბალეფექტიანი გამოყენების შემთხვევები; 5) შეამოწმოს აღრიცხვის მდგომარეობა და ანგარიშგების სისწორე; 6) დაადგინოს მეურნეობრივი ანგარიშთანობის მოქმედი სისტემის ეფექტიანობა, ეკონომიკური და საკონტროლო მუშაობის

ქმედითობა და ადრე ჩატარებული რევიზიებისა და შემოწმებების შედეგად მიღებულ დადგენილებათა შესრულება.

სოციალისტური საწარმოებისა და ორგანიზაციების რევიზიის მეთოდები ემყარება მარქსისტულ-დიალექტიკურ მეთოდს, რაც იმას გულისხმობს, რომ საწარმოთა და ორგანიზაციების საქმიანობა რევიზიის დროს შეისწავლება მუდმივ ცვალებადობასა და განვითარებაში, ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში (საქმიანობის სხვადასხვა მხარეების შესწავლისას დადგინდება მათ შორის მიზეზობრივი კავშირები და გამოვლინდება დადებითი და უარყოფითი ფაქტორები).

ისევე როგორც ეკონომიკურ ანალიზს, რევიზიას გააჩნია თავისი დამახასიათებელი მეთოდები და კვლევის ხერხები. მათ შორის აღსანიშნავია: დოკუმენტური შემოწმება, ინვენტარიზაცია, დაკვირვება, შემხვედრი შემოწმება და ა. შ. გარდა ამისა, რევიზიის პროცესში ფართოდ გამოიყენება ბუხჰალტრული აღრიცხვისა და ეკონომიკური ანალიზის მეთოდები.

დოკუმენტური შემოწმების დროს წარმოებს პირველადი საბუთების და მათ საფუძველზე მომხდარი ბუხჰალტრული ჩანაწერების სისწორის დადგენა.

ინვენტარიზაციის დროს ირკვევა საქონლურ მატერიალურ ფასეულობათა და ანგარიშსწორებათა ფაქტიური ნაშთების შესაბამისობა აღრიცხვის მონაცემებთან, მატერიალური და ფულადი სახსრების დანაკარგების რეალობა და აღნიშნული მონაცემების ანგარიშგებაში ასახვის სისწორე.

დაკვირვების დროს გამოიყენება სამუშაო დღის ფოტოგრაფირება, ქრონომეტრაჟი, ექსპერიმენტი, გამოკითხვა, საუბრის ჩაწერა, ლაბორატორული ანალიზი, ექსპერიმენტი, ანკეტური გამოკვლევა, შემხვედრი გამოკვლევა და სხვ.¹²

ს ა კ ო ნ ტ რ ო ლ -ს ა რ ე ვ ი ზ ი ო მ უ შ ა ო ბ ი ს ს წ ო რ ო რ -გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ს და და გ ე გ მ ვ ა ს უ დ ი დ ე ს ი მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა ა ქ ვ ს რ ე ვ ი ზ ი ის წ ა რ მ ა ტ ე ბ ი თ ჩ ა ტ ა რ ე ბ ა ს ა და კ ო ნ ტ რ ო ლ ის ქ მ ე დ ი თ ო ბ ა შ ი.

მთავრობის მიერ დადგენილია სარევიზიო მუშაობის საფუძვლები, შიგასაუწყებო დოკუმენტური რევიზიების პერიოდულობა, რომლის მიხედვითაც საწარმოებისა და სხვა მეურნეობრივი ორგანიზაციების დოკუმენტური რევიზია ტარდება წელიწადში ერთხელ, ხოლო ორგანიზაციების დოკუმენტური რევიზია, რომლებიც არ ახორციელებენ უშუალო მეურნეობრივ ოპერაციებს ორ წელიწადში ერთხელ.

¹² ბუხჰალტერია, ანალიზი და კონტროლი, ტ. 1, გვ. 472.

აქედან გამომდინარე, სამინისტროები და უწყებები ადგენენ რევიზიის ჩატარების კალენდარულ გეგმებს. როგორც წესი, აღნიშნული გეგმები დგება წლიური (კვარტალურად დაყოფით).

გეგმის შედგენისას უნდა გაითვალისწინონ პირველ რიგში რევიზიების ჩატარება იმ ორგანიზაციებსა და საწარმოებში, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ დახმარებას. ამიტომ კალენდარული გეგმის შედგენის წინ განიხილება საწარმოებისა და ორგანიზაციების ანგარიშგების ანალიზის ნაწილი, აგრეთვე ადრე ჩატარებული რევიზიის აქტი და სხვა მასალები.

მხედველობაშია მისაღები, რომ რევიზორთა სამუშაო დროის უმეტესი ნაწილი ეთმობა ადგილზე საწარმოებსა და ორგანიზაციებში რევიზიებისა და შემოწმებების ჩატარებას, ხოლო დანარჩენი დრო კი — რევიზიის შედეგების გაფორმებას, ანგარიშგების შედგენას და მომავალი რევიზიისათვის მომზადებას.

დოკუმენტური რევიზიების მაღალხარისხოვნად ჩატარება მოკლე ვადებში შესაძლებელია საკონტროლო-სარევიზიო სამუშაოთა შესასრულებლად გამომთვლელი ტექნიკის ფართოდ გამოყენების პირობებში.

საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის მოწინავე პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დოკუმენტური რევიზიებისა და თემატური შემოწმებების ჩატარების პროცესში წარმატებით შეიძლება ყველა ტიპის გამომთვლელი მანქანის გამოყენება.

დოკუმენტური რევიზიის დაწყებამდე რევიზორები, რევიზიის დამტკიცებული პროგრამიდან გამომდინარე, განსაზღვრავენ თუ წარმოებრივ და მეურნეობრივ-ფინანსური საქმიანობის რომელ უბანზეა საჭირო დიდი რაოდენობის შეჯამებებისა და გამოანგარიშებების განხორციელება გამოსათვლელი მანქანების დახმარებით. ამის შემდეგ დგინდება თუ ვინ უნდა შეასრულოს ასეთი სამუშაოები. თუ შესაძლებელ ობიექტში არის საკუთარი გამომთვლელ მანქანათა დანადგარი, მაშინ შემოწმებელი ობიექტის ხელმძღვანელმა ნებართვა უნდა მისცეს რევიზორებს გამომთვლელ მანქანათა დანადგარის (გმდ) შტატის მუშაკების გამოყენებაზე საჭირო სამუშაოთა შესასრულებლად.

შესაბამისი ნებართვის მიღების შემდეგ რევიზორი ან სარევიზიო ბრიგადის ხელმძღვანელი შემოწმების პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესასრულებლად გამოყოფილ გმდ მუშაკთა საწარმოო თათბირზე ატარებს ინსტრუქტაჟს თუ როგორ უნდა შეასრულონ დავლება, გააცნობს შემსრულებლებს ცალკეული სახის სამუშაოს შესრულების ვადის, გამოვლინებული სხვაობის გაფორმების წესს, მათ პასუხისმგებლობას მიწოდებული მასალის სიზუსტისათვის. ცალკეულ შემთხვევებში შემოწმებელი ობიექტის ხელმძღვანელის

ნებართვით (როდესაც გამომთვლელი ტექნიკა შესამოწმებელ ობიექტს არ გააჩნია) გამოსათვლელი სამუშაოების შესრულება შეიძლება განხორციელდეს სხვა სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციების გმდ საშუალებით.

გამომთვლელი მანქანების გამოყენება შეიძლება რევიზიის ყველა უბანზე. მათ შორის სალაროს და საბანკოს ოპერაციების, საანგარიშსწორებო და საკრედიტო ოპერაციების, მუშებთან და მოსამსახურეებთან ხელფასით ანგარიშსწორების, მატერიალური ფასეულობების, შვირფუდაიანი და სწრაფცვეთადი საგნების მოძრაობის ოპერაციების, ძირითად საშუალებათა და ამორტიზაციის ანარიცხების მოძრაობის, წარმოებაზე დანახარჯებისა და პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულების, მზა პროდუქციის მოძრაობის, მისი გადატვირთვისა და რეალიზაციის ოპერაციების, მეურნეობრივი წესით განხორციელებულ შენობათა და ნაგებობათა მშენებლობაზე, რეკონსტრუქციაზე, გაფართოებასა და კაპიტალურ რემონტზე დანახარჯების შემოწმების დროს და ა. შ.

განსაკუთრებით მიზანშეწონილია გამომთვლელი ტექნიკის გამოყენება იმ უბნებზე, სადაც ტარდება მასიური მეურნეობრივი და ფინანსური ოპერაციების მთლიანი შემოწმება. აღსანიშნავია, რომ ოპერაციების შემოწმების მეთოდთა დამოკიდებულება გამომთვლელი მანქანის სახეობისა და შესამოწმებელი ობიექტების რევიზიის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებზე. მაგალითად, სალაროს რევიზიის დროს ყოველი ჩატარებული ოპერაციის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის შემოწმებასთან ერთად რევიზორი სათანადო გაანგარიშების გზით უნდა დარწმუნდეს სალაროს ყოველდღიური ოპერაციებისა, შემოსავალ-გასავლის ბრუნვებისა და დღის ბოლოსათვის გამოყვანილი ნაშთების სისწორეში, ხელფასის, პენსიების, დახმარებების, პრემიების, სტიპენდიებისა და სხვა მასიური გაცემების საგადასახდელო უწყისების ჯამების სისწორეში და ა. შ.

ასეთი ამოცანების დამუშავება, შეჯამებები, გაანგარიშებათა შედგენა და მათი სისწორის შემოწმება შეიძლება განხორციელდეს გმდ-ში.

კომპლექსური რევიზიის პროცესში დიდი რაოდენობის გამომთვლითი სამუშაოების შესრულება დაკავშირებულია აგრეთვე საწარმოს ტექნიკური ფინანსური გეგმის შედგენის სისწორის, განხორციელებულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშებების სისწორის და სხვა შემოწმებასთან. ასეთ გაანგარიშებათა შედგენა უნდა წარმოებდეს გამოთვლითი ტექნიკის საშუალებით, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის შემოწმე-

ბელთა შრომის ნაყოფიერებას და უზრუნველყოფს გაანგარიშებათა უფრო ზუსტ შედეგებს.

ბუხპალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების, კონტროლისა და ანალიზის სრულყოფა მოითხოვს გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების სახალხომეურნეობრივი აღრიცხვის კომპლექსური მექანიზაციის მეთოდისა და ტექნოლოგიის ღრმა ცოდნას როგორც ანგარიშწარმოების მუშაკების, ასევე შემოწმებლებისაგან. ამიტომ, ახორციელებენ რა რევიზიას გამოთვლელი ტექნიკის საშუალებათა ფართო გამოყენების ბაზაზე, გმდ-ში ახორციელებენ მრავალფეროვან საკონტროლო სამუშაოებს, რომელთა შორის აღსანიშნავია შესამოწმებელი ობიექტების მიხედვით არსებითი აღრიცხვის რეგისტრების ჯამობრივი მონაცემებისა და გაანგარიშებათა სისწორის არითმეტიკული შემოწმება, გამოვლინებული სხვაობების მაგროვებელი უწყისის შედგენა და სხვ.

იმ ორგანიზაციებში, სადაც ბუხპალტრული აღრიცხვის პერფორაციული ფორმაა გამოყენებული, არ არის საჭიროება ყველა სააღრიცხვო რეგისტრის მთლიანი არითმეტიკული შემოწმებისა. პერფორაციული მანქანებით მექანიზებული აღრიცხვის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პირველადი საბუთების დამუშავების პროცესი გმდ-ში თანმიმდევრულად უზრუნველყოფს ისეთ კონტროლს, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს არითმეტიკულ მოქმედებათა არასწორად შესრულების შესაძლებლობას. შეცდომების დაშვება შესაძლებელია მხოლოდ პერფობარათების პერფორაციის დროს, ე. ი. პერფობარათებში ინფორმაციის არასწორად გადატანის დროს — სინთეზური ანგარიშის შიფრის, მუშაკის სატაბელო ნომრის, მასალების, სათადარიგო ნაწილების, მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების, მზა ნაკეთობათა, აგრეთვე მათი ღირებულების, ხელფასის თანხებისა და სხვ. მიხედვით. ამიტომ რეკომენდებულია პერფობარათების შერჩევითი შემოწმება პირველადი საბუთების მონაცემთა პერფორაციისა და ტაბულაგრამებსა და საანგარიშგებო ცნობებში ასახვის სისწორის მხრივ.

მთლიანი შემოწმების ჩატარება არ არის საჭირო მეურნეობრივი და ფინანსური საქმიანობის იმ უბნებზე, რომელთა ტაბულაგრამების ჯამები მოწმდება პერფობარათების სხვა მასივების საფუძველზე შედგენილი ტაბულაგრამების ჯამებით. მაგალითად, თუ საწარმოსა და ორგანიზაციაში ხელფასი ირიცხება საბოლოო ოპერაციის მიხედვით, მზა პროდუქციის გამოშვების შესახებ პატაკების საფუძველზე შედგენილ ტაბულაგრამაში მზა პროდუქციის რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს პერფობარათების იმ მასივის მიხედვით შედგენილი მზა პროდუქციის გამოშვების შესახებ ტაბულაგრამის მონაცემებს, რომელიც პერფორირებულია სამარშრუტო ფურცლების მიხედვით და ა. შ.

ზ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი

3

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ე მ ე ლ ი

გიუჯამბური ხარჯთნუსხების შესრულების აღრიცხვისა და კონტროლის საფუძველი

თ ა ვ ი I. მეურნეობრივი აღრიცხვის როლი საუწყებო ანგარიშწარმოების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში 11

1. მეურნეობრივი აღრიცხვის მეცნიერული ორგანიზაციის საფუძველები 11

2. ბიუჯეტური აღრიცხვის განვითარება და მისი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველები 22

თ ა ვ ი II. სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ხარჯების დაგეგმვის სრულყოფის საფუძველები 33

✓ 1. სახელმწიფო ბიუჯეტის როლი საფინანსო დაგეგმვის სრულყოფაში 33

2. ხარჯები განათლებაზე, მეცნიერებაზე და კულტურაზე 40

3. ჯანმრთელობის დაცვა, ფიზიკური კულტურა და სოციალური უზრუნველყოფა 68

თ ა ვ ი III. მოკავშირე რესპუბლიკების რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა ხარჯთნუსხების შედგენის ორგანიზაცია და ხარჯების ნორმირების პრინციპები. 80

1. ხარჯთნუსხების შედგენის ორგანიზაცია ადგილობრივი ბიუჯეტებით 80

2. ხარჯების დაგეგმვისა და ნორმირების არსი. 87

3. ბიუჯეტის ხარჯების დაგეგმვა	94
4. ხარჯების დაგეგმვის წესი ცალკეული მუხლების მიხედვით	95

ნ ა წ ი ლ ი მ ი ო რ ა

ბიუჯეტური დაფინანსებათა ბუჰალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება

თ ა ვ ი IV. ბუჰალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია ბიუჯეტურ დაწესებულებებში	104
1. ბიუჯეტური დაწესებულებების აღრიცხვის ორგანიზაციის საფუძვლები	104
2. მოქმედი სააღრიცხვო რეგისტრების აგების პრინციპები	106
3. ანგარიშწარმოების ეურნალ-ორდერული ფორმა	116
4. აღრიცხვის ეურნალ-მთავრული ფორმა	118
5. ხარჯთუნსების შესრულების აღრიცხვის ორგანიზაცია ბიუჯეტურ დაწესებულებებში	120
თ ა ვ ი V. გახსნილი კრედიტების (ასიგნებების) დაფინანსების, ფულადი სახსრებისა და ხარჯების აღრიცხვა	141
1. ბიუჯეტურ დაწესებულებათა დაფინანსების ძირითადი პრინციპები და მეთოდები	141
2. ფულადი სახსრების აღრიცხვა	146
3. სალაროს ოპერაციების აღრიცხვა ბიუჯეტურ დაწესებულებებში	149
4. გახსნილი კრედიტების (ასიგნებების) და ხარჯების აღრიცხვა	152
5. გახსნილი კრედიტების (ასიგნებების), დაფინანსების, ფულადი სახსრებისა და ხარჯების აღრიცხვა ცენტრალიზებულ ბუჰალტერიებში	155
თ ა ვ ი VI. ანგარიშსწორებების აღრიცხვა	160
1. ანგარიშვალდებულ პირებთან ანგარიშსწორებების აღრიცხვა	160
2. დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორებების აღრიცხვა	162
3. ანგარიშსწორებანი მუშა-მოსამსახურეებთან და სტიპენდიატებთან	171

თ ა ვ ი VII. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა მეცნიერებათა აკადემიისა და სხვა საბიუჯეტო დაწესებულებებში	174
1. ძირითადი საშუალებების დაჯგუფება და აღრიცხვა	174
2. ძირითადი საშუალებებისა და ცვეთის აღრიცხვა	189
3. კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების აღრიცხვა	197
4. კაპიტალურ დაბანდებათა დანახარჯების აღრიცხვა	198
თ ა ვ ი VIII. მასალების, კვების პროდუქტების და მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების აღრიცხვა	201
1. მასალებისა და კვების პროდუქტების აღრიცხვა	201
2. მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების აღრიცხვა	206
თ ა ვ ი IX. ბიუჯეტგარეშე სახსრების აღრიცხვა	210
1. ბიუჯეტგარეშე სახსრები და მათი სახეები	210
2. სპეციალური სახსრების, დავალებათა თანხებისა და დეპოზიტური თანხების აღრიცხვა	210
3. აღრიცხვა საწარმოო (სასწავლო) სახელოსნოებსა და წესდების არმქონე დამხმარე სოფლის მეურნეობებში	216
4. სახელმეკრულებო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულების და მისი რეალიზაციის აღრიცხვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში	218
თ ა ვ ი X. ბიუჯეტურ დაწესებულებათა ხარჯთნუსხების შესრულების ანგარიშგება	221
1. ანგარიშგების მნიშვნელობა, ფულადი სახსრების, მატერიალურ ფასეულობათა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაცია	221
2. პერიოდული და წლიური ანგარიშგება	224
თ ა ვ ი XI. კონტროლი ბიუჯეტურ დაწესებულებათა ხარჯთნუსხების შესრულებაზე	235
1. ბიუჯეტური კონტროლის საფუძვლები	235
2. კონტროლი ბიუჯეტური ხარჯთნუსხების შესრულებაზე	237
3. ბიუჯეტური ხარჯთნუსხების შესრულების ანგარიშგების საანგარიშო შემოწმება	250

სოფლის ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა და კონტროლის
ორგანიზაცია

თ ა ვ ი XII. სოფლის ბიუჯეტის აღრიცხვის ცენტრალიზაცია	259
1. ცენტრალიზებული აღრიცხვა ორმაგი სისტემით	259
2. ბიუჯეტის შესრულების ოპერაციების აღრიცხვა	262
თ ა ვ ი XIII. სოფლის ბიუჯეტურ დაწესებულებათა მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა ორმაგი სისტემით	269
1. ძირითად საშუალებათა აღრიცხვა	269
2. მასალების, კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების აღრიცხვა	271
თ ა ვ ი XIV. შრომის, ხელფასისა და საანგარიშსწორებო ოპერაციების აღრიცხვა	282
1. შრომისა და ხელფასის აღრიცხვა	282
2. სხვა დებიტორები და კრედიტორები	285
თ ა ვ ი XV. ფულადი სახსრების, ხარჯებისა და დაფინანსების აღრიცხვა	288
1. ფულადი სახსრების აღრიცხვა	288
2. ბიუჯეტის შემოსავლების აღრიცხვა	290
3. ბიუჯეტის საკასო ხარჯების აღრიცხვა	293
თ ა ვ ი XVI. სპეციალური სახსრებისა და თვითდაბეგვრის სახსრების აღრიცხვა	297
1. თვითდაბეგვრის სახსრების აღრიცხვა	297
2. სპეციალური სახსრების აღრიცხვა დამოუკიდებელ ბიუჯეტურ დაწესებულებებში	300
თ ა ვ ი XVII. სოფლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება	303
1. მოსამზადებელი სამუშაოები	303
2. ანგარიშგების შემადგენლობა	306

თ ა ვ ი XVIII. ბიუჯეტის აღრიცხვის მექანიზაციის საფუძველები	310
--	-----

ნ ა ჟ ი ლ ი მ ე ო თ ხ ა

გოუჯაბის შედგენისა და შესრულების აღრიცხვის ორგანიზაცია
საფინანსო ორგანოებსა და განკის დაწესებულებებში

თ ა ვ ი XIX. ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენის პრინციპები	315
---	-----

- ✓ 1. სახელმწიფო ბიუჯეტის კლასიფიკაცია 315
- 2. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მეთოდური მითითებანი ბიუჯეტების პროექტის შედგენისათვის 320
- 3. სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მეთოდური მითითებანი სოფლის ბიუჯეტის პროექტის შედგენისათვის 325

თ ა ვ ი XX. ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები	329
---	-----

- ✓ 1. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 329
- ✓ 2. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 336

თ ა ვ ი XXI. ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა საფინანსო ორგანოებში	342
--	-----

- 1. აღრიცხვის ორგანიზაციის საფუძველები 342
- 2. ბიუჯეტის შესრულების ბუხჰალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა 348

თ ა ვ ი XXII. ბიუჯეტის შემოსავლებისა და ფულადი სახსრების აღრიცხვა	350
---	-----

- 1. ბიუჯეტის შემოსავლების აღრიცხვა 350
- 2. ფულადი სახსრების აღრიცხვა 354
- 3. კრედიტებისა და ასიგნებათა აღრიცხვა 357

თ ა ვ ი XXIII. ხარჯებისა და ბიუჯეტებს შორის ურთიერთანგარიშსწორებათა აღრიცხვა	361
--	-----

- 1. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების აღრიცხვა 361
- 2. ბიუჯეტებს შორის ურთიერთანგარიშსწორებათა აღრიცხვა 363

3. მიზნობრივი დანიშნულების ფონდების აღრიცხვა	367
თ ა ვ ი XXIV. ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშგება და მისი საანგარიშო შემოწმება	368
1. ანგარიშგების შემადგენლობა და შინაარსი	368
2. ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშგების საანგარიშო შემოწმება	371
3. ხარჯების შემოწმება	379
თ ა ვ ი XXV. ბიუჯეტის საკასო შესრულების აღრიცხვისა და სახელმწიფო ბანკის გარდაქმნის საკითხები	382
1. ბიუჯეტის საკასო შესრულების აღრიცხვის ორგანიზაცია	382
2. ბანკების მოკლე ისტორიისა და როლის შესახებ	386
3. ქვეყნის საბანკო სისტემის გარდაქმნის აქტუალური საკითხები	395

ნ ა წ ი ლ ი მ ე ხ უ თ ე

ბიუჯეტური ხარჯთნუსხაბისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების აღრიცხვის სრულყოფის საფუძვლავი

თ ა ვ ი XXVI. ბიუჯეტებისა და ხარჯთნუსხების შესრულების აღრიცხვის სრულყოფის გზები	408
1. ბიუჯეტის შესრულებისა და აღრიცხვის სრულყოფის ძირითადი მიმართულებანი	408
2. ხარჯთნუსხების შესრულების აღრიცხვის მექანიზაციის განვითარების დამოკიდებულება ანგარიშწარმოების ფორმებზე	420
3. ცენტრალიზებული აღრიცხვის რაციონალური ორგანიზაცია	427
თ ა ვ ი XXVII. სახალხო მეურნეობაში მოქმედი მართვის ავტომატიზებული სისტემები და ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის ქვესისტემის ორგანიზაციული საკითხები	439
1. ორგანიზაციული მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და ქვესისტემების ზოგადი დახასიათება	439
2. ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვის ორგანიზაცია ფინანსების მართვის ავტომატიზებულ ქვესისტემაში	449
და ს კ ვ ნ ა	465

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3812

გამომცემლობის რედაქტორი ს. ხ ა ნ ჯ ა ლ ა ძ ე
მხატვარი გ. ლ ო მ ი ძ ე
მხატვრული რედაქტორი ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე
ტექნოლოგიური ნ. ბ ო კ ე რ ი ა
კორექტორი ლ. შ ა ბ უ რ ი შ ვ ი ლ ი
გამომწვები ლ. შ ა ი ს უ რ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 25.12.1987; ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.3.1988;
ქალაქის ზომა 60×90^{1/16}; ქალაქი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 31,0;
პირ. სალ. გატ. 31,0; საალრიცხო-საგამომცემლო თაბახი 27,3;
უე 02342; ტირაჟი 4700; შეკვეთა № 4120;
ფასი 5 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19